

ჩვენი  
სამართალი  
ძუღლები

1. ველფიფის კარის ბარიზება
2. დასტურლავალი

ტექსტები გამოსაცემად მოაგზავდა, გამოკვლევები,  
ლექსიკონები და საძიებლები დაურთო

ი. სურბულაძემ

34(C41)(09)  
3:(47.912)(09)  
ქ279

ნაშრომში მოცემულია ქართული სამართლის ისტორიის ორი მნიშვნელოვანი ძეგლის — „ქელმწიფის კარის გარიგებისა“ და „დასტურლამალის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტები.

„ქელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნის ძეგლია და ასახავს გაერთიანების პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას.

„დასტურლამალი“, რომელიც ვახტანგ VI მიერაა შედგენილი 1707—1709 წლებში ქართლის სამეფოსათვის, შეიცავს მდიდარ მასალას საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების, სასამართლო ორგანიზაციის, საგადასახადო სისტემისა და სხვა საკითხების შესახებ.

Книга содержит критически установленные тексты двух важнейших памятников истории государства и права Грузии: «Распорядка царского двора» и «Дастурламали».

«Распорядок царского двора» — официальный документ, датируемый XIV веком, — воспроизводит государственный строй объединенной феодальной Грузии.

«Дастурламали», составленный Вахтангом VI в 1707—1709 годах для Картлийского царства, дает богатейший материал для изучения государственного строя, судебной организации, налоговой системы и т. д.

Das Buch enthält eine auf kritischer Überprüfung beruhende Darlegung der Texte zweier äußerst wichtiger Denkmäler der Staats- und Rechtsgeschichte Georgiens:

1. „Hausordnung des Königshofes“ und
2. „Dasturlamali“.

Die „Hausordnung des Königshofes“ — ein aus dem XIV Jhd stammendes offizielles Dokument, widerspiegelt die Staatsordnung des geeinigten feudalen Georgiens.

Das vom König Wachtang VI in den Jahren 1707—1709 für das Kartlische Reich verfaßte Gesetzbuch „Dasturlamali“ bietet ein äußerst reichhaltiges Material zum Studium der Staatsordnung, des Gerichtswesens, des Steuersystems u. a. der betreffenden Epoche.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	XI
<b>ველშოფის კარის ბარიზება</b>	1
I ცნობები ძეგლის შესახებ	—
II. სახელმწიფოებრივი წყობილება ქელშოფის კარის გარეგნობის მიხედვით	18
1. შეფის ხელისუფლება	—
2. ღარბაზი	21
3. სავაზირო	22
ა) შწიგნობართუხუცეს-ქყონდიდელო	23
ბ) ათაბაგი	24
გ) ამირსპასალარი	25
დ) მანდატურთუხუცესი	27
ე) შექურქლეთუხუცესი	28
ვ) მსახურთუხუცესი	29
გარიგება ქელშოფის კარისა (ტექსტი)	32
Распорядок царского двора (текст)	51
ტექსტის დადგენისათვის (შენიშვნები)	81
Распорядок царского двора (რეზიუმე რუსულ ენაზე)	128
Die Hausordnung des Königshofes (რეზიუმე გერმანულ ენაზე)	150
ლექსიკონი	168
საძიებლები	202
საკუთარ სახელთა	—
ა) პირთა	—
ბ) გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა	203
გ) ტერმინთა	—
<b>დასტურლამალი</b>	211
I. შესავალი	—
1. ლიტერატურა დასტურლამალის შესახებ	—
2. დასტურლამალის შედგენის დრო	215
3. დასტურლამალის შედგენილობა	216
4. დასტურლამალის ამა თუ იმ ნაწილის წარმოშობის შესახებ	218
5. დასტურლამალი და ქელშოფის კარის გარიგება	220
6. ვახტანგ VI დასტურლამალი და ნიკო დადიანის დასტურლამა	222
7. დასტურლამალის მოქმედების დრო და ტერიტორია	224
II. ტექსტის დადგენისათვის	227
1. ნუსხების გარეგნული აღწერა	—
2. ხელნაწერების დახასიათება ტექსტის დადგენის თვალსაზრისით	232
3. დასტურლამალის აღნაგობის საკითხისათვის	237

1. შირველ თუშანიშვილის ნუსხა (M)	—
2. სულხან თუშანიშვილის ნუსხა (S)	312
3. ყაერიშვილისეული ხელნაწერი (K)	325
4. იესე მდიენის ხელნაწერი (J)	334
5. დავით რექტორის ხელნაწერი (D)	350
6. ქობულაშვილის ხელნაწერი (Q)	369
7. ხელნაწერი იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან (B)	373
8. ალექსიძისეული ხელნაწერი (a)	390
9. ლორთქიფანიძისეული ხელნაწერი (L)	424
10. იოველ ალექსიძისეული ხელნაწერი (A)	432
11. გიორგი მაისურაძისეული ხელნაწერი (g)	451
12. ნაზარიშვილის ნუსხა (N)	463
13. ტაბიძისეული 1869 წ. თებერვლის ნუსხა (T)	468
14. ტაბიძისეული 1869 წლის მარტ-აპრილის ნუსხა (I)	469
15. ტაბიძისეული ხელნაწერი 1869 წ. მაისის (I <sup>1</sup> )	473
დასტურლამალის ტექსტი	475
დასტურლამალის სარჩევი	723
დასტურლამალის ნუსხები	729
Дастурламали (რეზიუმე რუსულ ენაზე).	730
Dasturlamali (რეზიუმე გერმანულ ენაზე).	747
ლექსიკონისათვის	765
შემოკლებანი	767
ლექსიკონი	768
ა) ტერმინები	—
ბ) გეოგრაფიული სახელები	841
საძიებლები	872
საკუთარ სახელთა	—
ა) პირთა	—
ბ) გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები	881
ტერმინთა საძიებელი	887
პირთა დამატებითი საძიებელი	998
Addenda et corrigenda	900

## СОДЕРЖАНИЕ

Предисловие . . . . .	XI
<b>РАСПОРЯДОК ЦАРСКОГО ДВОРА</b>	
I. Сведения о памятнике . . . . .	1
II. Государственный строй по «Распорядку царского двора»	
1. Царская власть . . . . .	18
2. Государственный Совет (Дарбази) . . . . .	21
3. Совет визирей (Савизиро) . . . . .	22
а) Мцигнобартухуцес-Чкондидели . . . . .	23
б) Атабаги . . . . .	24
в) Ампрспасалари . . . . .	25
г) Мандатуртухуцеси . . . . .	27
д) Мечурчлетухуцеси . . . . .	28
е) Мсахуртухуцеси . . . . .	29
Распорядок царского двора (текст на грузинском языке) . . . . .	32
Распорядок царского двора (текст на русском языке) . . . . .	51
К вопросам установления текста . . . . .	81
Распорядок царского двора (Резюме на русском языке) . . . . .	122
Die «Hausordnung des Königshofes» (Резюме на немецком языке) . . . . .	150
Словарь . . . . .	168
Указатели . . . . .	202
<b>ДАСТУРЛАМАЛИ</b>	
I Введение	
1. Научная литература о Даcтурламали . . . . .	—
2. Составление памятника . . . . .	215
3. Состав . . . . .	216
4. О происхождении отдельных частей Даcтурламали . . . . .	218
5. Даcтурламали и «Распорядок царского двора» . . . . .	221
6. Даcтурламали Вахтанга VI и Н. Дадзиани . . . . .	222
7. Время и территория действия Даcтурламали . . . . .	224
II К тексту . . . . .	227
1. Описание рукописей . . . . .	227
2. Характеристика рукописей . . . . .	232
3. Строение памятника . . . . .	237
III Рукописи Даcтурламали	
1. Рукопись М. Туманишвили (М) . . . . .	248
2. « С. Туманишвили (S) . . . . .	312
3. « Кавришвили (K) . . . . .	325
4. « Иесе Бараташвили (J) . . . . .	334
5. « Давид Алексидзе (D) . . . . .	350

6. Рукопись Кобулашвили (Q)	. . .	369
7. « И. Багратиони (B)	. . .	373
8. « Алексидзе (a)	. . .	380
9. « Лорджианидзе (I)	. . .	424
10. « И. Алексидзе (A)	. . .	432
11. « Г. Майсурадзе (g)	. . .	451
12. « Назаришвили (N)	. . .	463
13. Табидзе (3 рукописи, T, t t!)	. . .	468
Текст Дагурламали	. . .	475
Дагурламали (содержание)	. . .	723
Резюме (на русском языке)	. . .	730
Daŕurlamali	. . .	747
Резюме (на немецком языке)	. . .	747
Словарь	. . .	765
Указатели	. . .	872
Addenda et corrigenda	. . .	900

## I N H A L T

Vorwort . . . . .	XV
-------------------	----

### DIE „HAUSORDNUNG DES KÖNIGSHOFES“

I. Mitteilungen über das Denkmal . . . . .	I
II. Die Staatsordnung laut der „Hausord. d. Königshofes“ . . . . .	18
1. Die Macht des Königs . . . . .	—
2. Der Staatsrat („Darbasi“) . . . . .	21
3. Rat der Wesire (Sawasiro) . . . . .	22
a) Der Mzignobartuchuzess-Tschondideli . . . . .	23
b) Der Atabagi . . . . .	24
c) Der Amirspassalari . . . . .	25
d) Der Mandaturtuchuzessi . . . . .	27
e) Der Metschurtschletuchuzessi . . . . .	28
f) Der Msachurtuchuzessi . . . . .	29
Die „Hausordnung des Königshofes“ (Sext in georgischer Sprache) . . . . .	32
Die „Hausordnung des Königshofes“ (Text in russischer Sprache) . . . . .	51
Zur Frage der Feststellung des Textes . . . . .	81
Die „Hausordnung des Königshofes“ (Resüme in russischer Sprache) . . . . .	128
Die „Hausordnung des Königshofes“ (Resüme in deutscher Sprache) . . . . .	150
Wörterbuch . . . . .	168
Register . . . . .	202

### DASTURLAMALI

I. Einleitung . . . . .	211
1. Wissenschaftliche Literatur über den Dasturlamali . . . . .	—
2. Zeitpunkt der Entstehung des Denkmals . . . . .	215
3. Bestandteile des Denkmals . . . . .	216
4. Über den Ursprung der einzelnen Teile des Dasturlamali . . . . .	218
5. Der Dasturlamali und die „Hausordnung des Königshofes“ . . . . .	220
6. Der Dasturlamali von Wachtang VI und von N. Dadiani . . . . .	222
7. Epoche und Wirkungsbereich des Dasturlamali . . . . .	229
II. Zum Text . . . . .	227
1. Beschreibung der Manuskripte . . . . .	—
2. Charakteristik der Manuskripte . . . . .	232
3. Struktur des Denkmals . . . . .	237

III. Die Dasturlamali—Manuskripte . . . . .	248
1. Manuskript von Tumanischwili (M) . . . . .	—
2.     "     "     S. Tumanischwili (S) . . . . .	312
3.     "     "     Kawrischwili (K) . . . . .	325
4.     "     "     Jesse Barataschwili (J) . . . . .	339
5.     "     "     David Alexidse (D) . . . . .	350
6.     "     "     Kobulaschwili (Q) . . . . .	369
7.     "     "     I. Bagrationi (B) . . . . .	373
8.     "     "     Alexidse (a) . . . . .	380
9.     "     "     Lordkipanidse (L) . . . . .	424
10.     "     "     I. Alexidse (A) . . . . .	432
11.     "     "     G. Maisuradse (g) . . . . .	451
12.     "     "     Nasarischwili (N) . . . . .	463
13.     "     "     Tabidse (Manuskripte: T, t, t') . . . . .	469
Text des „Dasturlamali“—(in georgischer Sprache) . . . . .	475
„Dasturlamali“—Resumè (in russischer Sprache) . . . . .	730
„Dasturlamali“—Resume (in deutscher Sprache) . . . . .	747
Wörterbuch . . . . .	765
Register . . . . .	872
Addenda et corrigenda . . . . .	899

## წინასიტყვაობა

წიგნში მოცემულია ქართული სამართლის ორი ძეგლი: „ქელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“. ამ ძეგლებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიისათვის საერთოდ და კერძოდ საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თითოეული მათგანის დაწვრილებითი დახასიათება მოცემულია ქვემოთ.

აღნიშნული ძეგლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო სასურველი იყო ქართულ ტექსტთან რუსული თარგმანის დართვა, მაგრამ წიგნის მოცულობამ საშუალება არ მოგვცა ეს ამოცანა მთლიანად განგვეხორციელებინა. წიგნში მოცემულია მხოლოდ „ქელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანი. „დასტურლამალის“ თარგმანის გამოცემა, კი, რომელიც „ქელმწიფის კარის გარიგებასთან“ შედარებით ბევრად ვრცელია, მომავლისათვის გადავდევით.

ტექსტებს წამძღვარებული აქვს ჩვენი გამოკვლევები, ხოლო ბოლოს დართულია თითოეული ძეგლისათვის შედგენილი ლექსიკონი და საძიებლები.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ ჩვენ მიერ შესრულებული რუსული თარგმანის პარალელურად (მეორე სვეტში) მოტანილია ექ. თაყაიშვილის თარგმანი.

წიგნში მოცემულია ძეგლებისადმი მიძღვნილ გამოკვლევათა რეზიუმე რუსულსა და გერმანულ ენებზე.

ნაშრომზე მუშაობისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუდმივი დახმარებით ვსარგებლობდით (მივლინებები, ხელნაწერთა ფოტოპირების მოპოვება და სხვა), რისთვისაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ჩვენი მუშაობის წარმართვას ხელი შეუწყო აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, მისმა თანამშრომლებმა, განსაკუთრებით კი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, აწვანსვენებულმა ი. ვ. აბულაძემ, რომელიც ხელნაწერებზე მუშაობისას წლების განმავლობაში დაუზარებლად მიწევდა კონსულტაციას.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ა. გ. შანიძეს, ს. გ. ყაუხჩიშვილს და გ. ვ. წერეთელს ლექსიკონების ცალკეული სიტყვების განმარტებისათვის.

დიდად დამავალა შ. ა. მესხიამ, რომელმაც იკისრა რედაქტორობა და საცურადღებო შენიშვნებიც მომაწოდა.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გულთადი მადლობა მოვახსენო დ. ლ. ფურცელაძეს, რომლის მეგობრულმა და სისტემატურმა დახმარებამ დიდი როლი შეასრულა „ქელმწიფის კარის გარიგების“ გამოსაცემად მომზადებაში.

ძლიერ დავალებული ვართ ს. ს. ჯიქიასა, დ. ი. კობიძისა და ჯ. შ. გიუნაშვილისაგან, რომელთა კონსულტაციით ვსარგებლობდით „დასტურალის“ ლექსიკონის შედგენისას.

კორექტურის სწორებასა და საძიებლების შედგენაში მშველოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრის თანამშრომლები დოცენტები: მ. კეკელია, ვ. გეწაძე და ვ. მეტრეველი, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

ივ. სურგულაძე.



## ПРЕДИСЛОВИЕ

В этой книге публикуются два памятника грузинского права: «Распорядок царского двора» и «Дастурламали». Эти памятники имеют исключительно важное значение для истории Грузии вообще и для истории грузинского государства и права, в частности. Подробная характеристика каждого из них в отдельности — дело дальнейшего изложения.

Ввиду особого значения названных памятников желательно было бы представить их одновременно в русском переводе. Однако, объем издания не позволил нам осуществить эту задачу полностью. В настоящей книге помещен русский текст только «Распорядка царского двора»; перевод «Дастурламали», памятника значительно более пространныго, предполагается издать в будущем.

Кроме предпосылаемых исследований, каждый из публикуемых памятников снабжен словарем и указателями.

Параллельно с нашим переводом «Распорядка царского двора» на русский язык дается перевод, выполненный в свое время Е. С. Такайшвили (во втором столбце).

Книга содержит также резюме наших исследований о «Распорядке царского двора» и о «Дастурламали» на русском и немецком языках.

При выполнении нашей работы мы пользовались постоянной поддержкой со стороны Тбилисского государственного университета (научные командировки, фотокопии рукописей и др.), руководству которого приносим нашу глубокую благодарность.

Весьма благодарны мы также коллективу Института рукописей им. К. С. Кекелидзе Академии наук Груз. ССР, в особенности его директору И. В. Абуладзе, с неизменной готовностью консультировавшему нас на протяжении ряда лет в работе над рукописями издаваемых памятников.

Приношу глубокую благодарность А. Г. Шанидзе, С. Г. Каухчишвили и Г. В. Церетели за консультации по отдельным вопросам издаваемых памятников.

Весьма признателен Ш. А. Месхиа, взявшему на себя тяжелый труд редактора и своими ценными замечаниями оказавшему нам большую помощь в подготовке издания настоящей книги.

Считаем приятным долгом выразить горячую признательность Д. Л. Пурцеладзе, дружественная систематическая помощь которого сыграла большую и весьма ценную роль в подготовке публикации «Распорядка царского двора».

При составлении словаря «Дастурламали» мы пользовались консультацией С. С. Джикиа, Д. И. Кобидзе и Д. Ш. Гиунашвили, за что приносим их глубокую благодарность.

В правке корректуры и составлении указателей помогали сотрудники кафедры теории и истории государства и права ТГУ: М. М. Кекелиа, В. А. Гецадзе и В. Д. Метревели, за что приношу благодарность.

**И. Сургуладзе**

## V O R W O R T

Im vorliegenden Buch werden zwei Denkmäler des georgischen Rechts veröffentlicht;

1. „Hausordnung des Königshofes“,
2. „Dasturlamali“.

Diese Denkmäler sind für die Geschichte Georgiens im allgemeinen, sowie für die des georgischen Staats und Rechts insbesondere von außerordentlicher Bedeutung. Die nachstehende Darlegung ist einer eingehenden Charakteristik dieser beiden Denkmäler gewidmet.

Angesichts der besonderen Bedeutung der betreffenden Denkmäler wäre eine gleichzeitige Veröffentlichung der russischen Übersetzung beider Dokumente erwünscht. Der Umfang der vorliegenden Ausgabe nötigte mich jedoch, davon Abstand zu nehmen und mich vorläufig auf die Veröffentlichung der Übersetzung nur des einen Denkmals, und zwar der „Hausordnung des Königshofs“, zu beschränken. Die Herausgabe der russischen Übersetzung des bedeutend umfangreicheren „Dasturlamali“ ist in Zukunft vorgesehen.

Außer den der Publikation vorausgeschickten Untersuchungen ist jedes der beiden Denkmäler mit einem Wörterbuch und einem Verzeichnis versehen.

Neben meiner russischen Übersetzung der „Hausordnung des Königshofes“ wird parallel (in der zweiten Spalte) die seinerzeit von E. S. Takaišwili besorgte Übersetzung ins Russische gegeben.

Das Buch enthält ein Resumé meiner speziellen Untersuchungen zur „Hausordnung des Königshofes“ und zum „Dasturlamali“ in russischer und deutscher Sprache.

Bei der Arbeit an den Denkmälern wurde ich ständig von der Staatlichen Universität Tbilissi unterstützt (durch wissenschaftliche Studienreisen, Fotokopien von Manuskripten u. a.), wofür ich hier der Leitung der Universität meinen wärmsten Dank ausspreche.

Zu großem Dank bin ich auch dem Kekelidse-Institut für Manuskripte an der Georgischen Akademie der Wissenschaften, insbesondere dem Direktor des Instituts, I. V. Abuladse, verpflichtet, der mir im Laufe einer Reihe von Jahren bei der Arbeit an den Manuskripten stets hilfsbereit zur Seite stand.

Mein ganz besonderer Dank für ihre Konsultationen zu einzelnen Fragen der veröffentlichten Dokumente gilt den Professoren A. G. Schanidse, S. G. Kauchtschischwili und G. W. Zereteli.

Zu großem Dank fühle ich mich auch Sch. Meßchia gegenüber verpflichtet, der die schwierige Arbeit der Redigierung übernommen hat und mir durch seine wertvollen Hinweise bei der Vorbereitung der Herausgabe des vorliegenden Buches große Hilfe geleistet hat.

Sehr erkenntlich bin ich auch D. L. Purzeladse, dessen systematische Hilfe bei der Vorbereitung zur Veröffentlichung der „Hausordnung des Königshofes“ eine äußerst wichtige Rolle gespielt hat.

Von außerordentlichem Wert waren für mich bei der Arbeit am Wörterbuch zum „Dasturlamali“ die Konsultationen von S. S. Dshikia, D. J. Kobidse und D. Sch. Giunaschwili.

Beim Korrekturlesen wie auch bei der Zusammenstellung der Verzeichnisse halfen mir die Mitarbeiter des Lehrstuhls für Theorie und Geschichte des Staats und Rechts an der Staatlichen Universität zu Tbilissi: M. M. Kekelia, W. A. Gezadse und W. D. Metreweli, wofür ich ihnen hier meinen herzlichen Dank ausspreche.

## I. Surguladse

## ქელმწიფის კარის გარიგება

### I ცნობები ძეგლის შესახებ

„ქელმწიფის კარის გარიგება“ შედგენილი უნდა იყოს XIV საუკუნეში. იგი აღმოაჩინა ექ. თაყაიშვილმა და მანვე გამოსცა 1920 წელს. ივ. ჯავახიშვილი ძეგლის შესახებ წერდა: „ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია. რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წყობილების, ისე კულტურული: ეკონომიური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უალრესი მნიშვნელობა აქვს. ამ დარგში სხვა ასეთი უხვი ცნობების შემცველი ძეგლი XVIII ს. დამდეგამდე არ მოგვეპოვება ჯერჯერობით მაინც და XVIII ს. ამ ხასიათისავე განრიგება ვახტანგ VI-ის დასტურლამალი თუ შეედრება და აჯობებს მას. თორემ სხვა ვერაფერი. ამის თქმაც მხოლოდ იმიტომ შეიძლება. რომ კარის გარიგება დაზიანებულია და ნაკლებეანად დატულობის გამო ბევრ რესტავრაციას არ შეიცავს, როგორც დასტურლამალსა აქვს, და თანაც კ. გარიგება ოფიციალურად აღწერილობის ძეგლი არ არის, დასტურლამალი კი სწორედ ამნაირი თვისებების მქონებულია“<sup>1</sup>.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ ერთადერთი ნუსხა, რომელიც ექ. თაყაიშვილმა აღმოაჩინა. მოთავსებული იყო გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადების“ ნუსხასთან ერთად ერთ ხელნაწერ კრებულში. ამ ხელნაწერის აღმოჩენის გამო ივ. ჯავახიშვილი 1908 წლის 11 ნოემბერს ექ. თაყაიშვილს პეტერბურგიდან სწერდა:

„გიორგი ბრწყინვალეს „კარის გარიგების“ პოვნამ ძალიან გამახარა. გულწრფელად მომილოცავს და გთხოვთ რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნოთ. მოუთმეხლად ველი მის დაბეჭდვას“<sup>2</sup>.

ექ. თაყაიშვილი ძეგლის შესახებ წერდა: „...ჩვენ თამამად შეგვიძლია ეთქვათ. რომ კარის გარიგების აღმოჩენა ზემოთა ჩვენს ისტორიისათვის“<sup>3</sup>.

ნ. მარის აზრით: „ქელმწიფის კარის გარიგება“ უმნიშვნელოვანესი ძეგლია საქართველოს ისტორიის“<sup>4</sup>.

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ მეტად საყურადღებო ცნობებია შემონახული საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგებისათვის. განსაკუთრებ-

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, 1. 1928. გვ. 67-68.

2 საქართველოს სსრ მეცნიერ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ე. თაყაიშვილის პირადი არქივი. № 1334 (ეს წერილი ვაჟა-ფშაველას პრინციპ. გ. ლომთაძისგან. რუსეთისა და მადლობას მოვხსენებ).

3 პროფ. ექ. თაყაიშვილი. ქელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. XXXVIII.

4 სსრკ მეცნ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება. ნ. მ. მარის არქივი.

ბით მდიდარ მასალას გვაწვდის ეს ძეგლი ქართული სახელმწიფო სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტის ისტორიის შესასწავლად. არ შეიძლება ამასთანავე არ აღნიშნოს ის გარემოება, რომ ასეთი შინაარსის ძეგლს ფეოდალური პერიოდის სხვა ქვეყნების ისტორია არ იცნობს. ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო სასურველია მისი გამოქვეყნება არ მარტო ქართულ, არამედ სხვა ენებზეც.

ძეგლის აღმოჩენი ექ. თაყაიშვილი ვარაუდობდა ამ ძეგლის ქართულ ტექსტთან ერთად გამოქვეყნებინა მისი რუსული თარგმანიც, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ხელი შეუშალა ამ განზრახვის განხორციელებაში. ძეგლი პირველად გამოქვეყნდა 1920 წელს და ისიც მხოლოდ ქართულ ენაზე. ექ. თაყაიშვილი ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში წერს, რომ პეტერბურგში „ქელმწიფის კარის გარიგების“ ქართული და რუსული ტექსტი უკვე აწყობილი იყო. მართლაც, ნ. მარის არქივში აღმოჩნდა აწყობილი ტექსტის ნაწილი.

5. მარმა, რომლის მონაწილეობით უნდა დაბეჭდილიყო „ქელმწიფის კარის გარიგება“ პეტერბურგში, დაწერა სპეციალური გამოკვლევა, რომელშიაც დწვრილებითაა განხილული ეს ძეგლი, განსაკუთრებით მოცემულია ტექსტის ფილოლოგიური ანალიზი. ჭერჭერობით ეს ნაშრომი. გამოქვეყნებული არ არის.

5. მარის არქივში შემონახულია „ქელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანის შემდეგი პარაგრაფები: 1, 2, 8, 9, 13, 14 (მე-14 პარაგრაფის დასაწყისი), 15, 16, 17, 18 (მე-18 §-ის დაახლოებით ნახევარი, სიტყვებამდე: „აკმაზულობა რაც ზედ აბია“), 20, 29, 33. 36, 38 და 39. ნ. მარი აღნიშნავს, რომ რევოლუციამ დააშორა იგი ექ. თაყაიშვილს, რომელიც ამ ძეგლს ძლიერ მაღალ შეფასებას აძლევდა. ექ. თაყაიშვილს, წერს ნ. მარი, სურდა ჩემთან ერთად გამოეცა ეს ძეგლი ქართულ და რუსულ ენებზეც. ტექსტი უკვე აწყობილი იყო, როცა დაიწყო თებერვლის რევოლუცია, რომელმაც შეათერხა ბეჭდვის საქმე. ნ. მარი აღნიშნავს, რომ განზრახული აქვს გამოსცეს აწყობილი ძეგლის გადარჩენილი ნაწილი თავისი გამოკვლევით. ამ საქმის დამთავრება მან ვერ მოასწრო.

5. მარს გამოკვლევის გარდა შენიშვნები აქვს გაკეთებული თვით ხელნაწერში ტექსტის ამა თუ იმ ადგილის შესახებ. ჩვენს გამოცემაში ნ. მარის ეს შენიშვნები გამოყენებულია სათანადო მითითებით.

როდესაც ექ. თაყაიშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, ჩვენ მიემართეთ მას, ვუჩვენეთ ნ. მარის არქივიდან ამოწერილი მასალები. ექ. თაყაიშვილი გაეცნო ნ. მარის შენიშვნებს და ქართული გამოცემისათვის მის მიერ დაწერილ წინასიტყვაობას გაუკეთა შენიშვნები, რომლებიც ქვემოთ გვაქვს გამოყენებული.

თუ ლენინგრადში, ნ. მარის არქივში დაცულია „ქელმწიფის კარის გარიგების“ თარგმანის მხოლოდ ნაწილი, სამაგიეროდ ე. თაყაიშვილის არქივში ავტორის მიერ შესწორებული ამ თარგმანის სრული ტექსტია შემონახული. აქვე აღმოჩნდა ექ. თაყაიშვილის ხელით შესრულებული თარგმანის შავი ხელ-

1 საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, შ. თაყაიშვილის ფონდი, № 95.

ნაწერები<sup>1</sup>. აღნიშნულის გარდა ექ. თაყაიშვილის არქივში დაცულია აგრეთვე „ქელმწიფის კარის გარიგებისათვის“ მის მიერ შედგენილი, სტამბურად აწყობილი და ავტორის მიერ შესწორებული ლექსიკონი<sup>2</sup> და ამ ლექსიკონის შავი ეგზემპლარები<sup>3</sup>. ლექსიკონში სიტყვები ახსნილია ქართულად და თარგმნილია რუსულად. ქართული განმარტებანი შეესაბამებოდა 1920 წლის ამ ძეგლის გამოცემის ლექსიკონს. წინამდებარე გამოცემაში ექ. თაყაიშვილის არქივში ნაპოვნი ლექსიკონი გამოყენებულია და გამოყენების ყველა შემთხვევაში მიზითებული გვაქვს მის ავტორზე.

ჩვენს გამოცემაში ექ. თაყაიშვილის რუსული თარგმანი წარმოდგენილია სრულად, ჩვენი თარგმანის პარალელურად, მეორე რიგში. ექ. თაყაიშვილის თარგმანი შესრულებულია 1914 წელს<sup>4</sup>, მის შემდეგ კი დიდი დრო გავიდა, ჩვენი მეცნიერება წინ წავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ექ. თაყაიშვილი და ნ. მარი დიდი მეცნიერები იყვნენ, დღეს მათი თარგმანი და შენიშვნები დაზუსტებას და შესწორებას მაინც მოითხოვს. როგორც მკითხველი ნახავს ქვემოთ, ხშირად ეს შესწორებანი არსებითი ხასიათის არის.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია თვალი გადავაგლოთ „ქელმწიფის კარის გარიგების“ ირველივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ექ. თაყაიშვილის ფუნდამენტალური ნაშრომი ამ ძეგლის შესახებ, რომელიც ავტორის მიერ წინასიტყვაობის სახით წამძღვარებული აქვს „ქელმწიფის კარის გარიგების“ ქართულ გამოცემას. ეს ნაშრომი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1) ცნობა ხელნაწერის შესახებ, 2) დრო კარის გარიგების შედგენისა, 3) სად არის დაწერილი ანუ შედგენილი კარის გარიგება და გვაქვს თუ არა ცნობა ამ ძეგლის შესახებ ლიტერატურაში, 4) ვის მიერ უნდა იყოს შედგენილი კარის გარიგება, 5) რა წყაროებით სარგებლობს ავტორი კარის გარიგების შედგენისათვის, 6) ენა და ტექსტი კარის გარიგებისა, 7) კარის გარიგებაში მოხსენებულნი სასულიერო პირნი და მოძღვართ-მოძღვარი, 8) კარის გარიგების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისა და სამართლისათვის.

ნაშრომის თვითეულ ნაწილში დაწვრილებით არის გარჩეული სათაურების შესაბამისი პრობლემები და მოყვანილია სათანადო დასაბუთება ცალკეული საკითხის გადაჭრისათვის.

ძეგლის შესახებ ამ ნაშრომში წამოყენებული ძირითადი დებულებანი დღესაც ძალაშია. საერთოდ ისტორიის, კერძოდ კი „ქელმწიფის კარის გარიგების“ მკვლევარი, გვერდს ვერ აუვლის ექ. თაყაიშვილის ამ ძვირფას გამოკვლევას<sup>5</sup>.

1 საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ექ. თაყაიშვილის ფონდი, № 95.

2 იქვე №№ 90, 91, 92.

3 იქვე, №№ 83, 93, 96.

4 იქვე, № 92.

5. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ივ. სურგულაძის: „ექ. თაყაიშვილი და ქართული საზოგადოების ისტორია“ (ეურ. „საბჭოთა სამანთალო“, 1965, № 1); მისივე „ექ. თაყაიშვილი და ქართული სამართლის ისტორია“, (აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, სტატიების კრებული, 1951). სტატიების სათაურები ერთი და იგივეა, მაგრამ შინაარსით სხვადასხვა.

იხ. აგრეთვე ჩვენი „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, 1,

„ქელმწიფის კარის გარიგების“ შესწავლის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“. ამ ნაშრომში „ქელმწიფის კარის გარიგება“ სპეციალურად არის განხილული და ყოველმხრივ დახასიათებული<sup>1</sup>. გარდა ამისა, ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების შესასწავლად ივ. ჯავახიშვილი ძირითადად სწორედ „ქელმწიფის კარის გარიგებას“ ეყრდნობა, მოყავს რა ამონაწერები ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახებ იგი გამოყენებული ადგილების საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევა<sup>2</sup>.

მაგრამ, ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ივ. ჯავახიშვილს სპეციალური მუშაობა აქვს ჩატარებული ამ ძეგლის ტექსტის დადგენაზე. მის არქივში აღმოჩნდა „ქელმწიფის კარის გარიგების“ ექ. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ეგზემპლარი. რომლის ფურცლებზედაც გაკეთებულია ძეგლის ამა თუ იმ ადგილის ახსნა-განმარტების შემცველი მრავალი შენიშვნა. პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შეძლო ივ. ჯავახიშვილის ყველა მინაწერის ამოკითხვა და მათთვის თავ-თავის ადგილის მიჩნევა. ამის შედეგად შესაძლებელი შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებათა ამოცნობა ძეგლის ცალკეული ადგილისა თუ სიტყვების შესახებ.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი განზრახვა — დაედგინა „ქელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტი ვერ მოიყვანა სისრულეში. მან მხოლოდ ტექსტის დასაწყისის შესახებ გამოთქვა თავისი შეხედულება<sup>3</sup>, ძეგლის სხვა ნაწილების მიმართ კი, როგორც ვთქვით, სავარაუდო შენიშვნები წამოაყენა<sup>4</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭერჯერობით ცნობილია „ქელმწიფის კარის გარიგების“ ერთადერთი დეფექტური, ნაკლული (აკლია ნახევარზე მეტი) ხელნაწერი. სამწუხარო კიდევ უფრო ის არის, რომ ნაკლული ტექსტის ადგილებიც არეულია. ყველა ამის გამო, ტექსტის დადგენის საკითხი უპირველესი ამოცანაა.

ამ ბოლო ხანებში გამოვიდა „ქელმწიფის კარის გარიგების“ ახალი გამოცემა, სათანადო გამოკვლევით, რომელიც მომზადებულია პროფ. ი. დოლიძის მიერ<sup>5</sup>. პროფ. ი. დოლიძის ამ ნაშრომში მოცემულია ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლების ტექსტები სათანადო გამოკვლევებით. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ წიგნში შეტანილია 164 საერო შინაარსის ძეგლი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „დასტურლამალი“ და „ქელმწიფის კარის გარიგება“ (სწორედ ის ძეგლები, რომელთაც ამჟამად ჩვენ ვაქვეყნებთ). ჩვენი ნაშრომი გამომცემლობას უკვე ჩაბარებული ჰქონდა, როცა გამოვიდა პროფ. ი. დოლიძის ნაშრომი, ამიტომ პროფ. ი. დოლიძის ამ ნაშრომმა ჩვენს წიგნში ვერ ნახა ყოველმხრივი ასახვა.

ამასთანავე, ქართულ გამოკვლევაში მოცემული ი. დოლიძის ნაშრომის განხილვა ვერ გადავიტანეთ „ქელმწიფის კარის გარიგებისადმი“ წამძღვარებულ რუსულ ენაზე შესრულებულ გამოკვლევაში.

1952, გვ. 19—20 და „სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის შესახებ ქელმწიფის კარის გარიგების მიხედვით“ (ფურც. „საბჭოთა სამართალი“, 1953, № 3).

1 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, გვ. 62—69.

2 იქვე, წ. 11, ნ. 1, გვ. 108—218.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, V, გვ. 166—178.

4 იქვე, გვ. 204—224.

5 „ქართული სამართლის ძეგლები“, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1966 წ., გვ. 80—97, 601—108.



პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ „ქელმწიფის კარის გარიგების“ გამოცემის განხილვას აქ ვურთავთ ჩვენს გამოკვლევას.

პროფ. ი. დოლიძეს ფრიად სერიოზული და ნაყოფიერი შრომა გაუწევია ძეგლზე. მას დაწვრილებით შეუსწავლია „ქელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერი, ექ. თაყაიშვილისა და ივ. ჭავჭავაძის გამოცემები და შეუდარებია ისინი ერთმანეთისათვის. ძეგლის შინაარსობლივი ანალიზის საფუძველზე პროფ. ი. დოლიძე ცდილობს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ტექსტის ნაწილების პირვანდელი თანმიმდევრობის აღდგენას. ამ საკითხის შესწავლას უძღვნის ავტორი თავის გამოკვლევას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ავტორის მოსაზრება ძეგლის პირვანდელი აგებულების აღდგენის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

ი. დოლიძე სავსებით მართალია, როცა წერს, რომ „ქელმწიფის კარის გარიგების“ წინამდებარე ტექსტი კრატიკული და დამოუკიდებელი გამოცემის ცდას წარმოადგენს“-ო<sup>1</sup>.

პროფ. ი. დოლიძის მოსაზრებას ძეგლის შინაარსის მიხედვით გამართვავს ქვემოთ ცალკე განვიხილავთ, აქ კი მოკლევანთ ჩვენს შენიშვნებს „ქელმწიფის კარის გარიგების“ ამ გამოცემაზე.

1) ძეგლის დასაწყისი, რომელიც ახალი წლის დღესასწაულს ეხება (§ 1), ხელნაწერში დამახინჯებულია. ექ. თაყაიშვილმა აღადგინა ამ მუხლის ზოგიერთი ადგილი, ხოლო ივ. ჭავჭავაძი აღდგენილი სიტყვებითაც არ დაკმაყოფილდა და სიტყვები წინადადებაში გადაადგილა.

ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით მეფე შემოსავს ე. ი. ჩააცმევს მონადირეთუხუცესს (ამ მუხლში საუბარია არა ჩასაცმელის, ტანისამოსის ბოძებაზე, არამედ შემოსვაზე, ზედა სამოსის ჩაცმაზე და ქუდის დახერვაზე). ძეგლის პირველი მუხლისა და მომდევნო მუხლის მიხედვით, ახალ წელს მეფე თავისებურად იკაზმება და ამ დღეს მეფის ჩაცმა მხოლოდ და მხოლოდ მონადირეთუხუცესს ევალება. მოკაზმულ მეფეს საღვინესთან გაუშლიან სუფრას, შიართმევენ „ველური ტახის თავს“ (ველური ტახის თავის მორთმევაც; ალბათ, მონადირეთუხუცესის საქმიანობასთან არის დაკავშირებული).

შემდეგ მონადირეთუხუცესი შეეკითხება მეფეს მეკვლეობის შესახებ (იხ. ქვემოთ 1-ლი და მე-2 პარაგრაფების შენიშვნები). ამგვარად, ხელნაწერის შეცდომა აშკარაა, ხოლო თუ ი. დოლიძე არ ეთანხმება ექ. თაყაიშვილსა და ივ. ჭავჭავაძის, მაშინ მას სათანადოდ უნდა დაესაბუთებინა ეს.

2. ხელნაწერში წერია: „მკერვალთუხუცესი და ტყისმცველი დასხდებიან“. ტყისმცველი მე-20 §-შიც გვხვდება. სავარაუდებელია, რომ ტყისმცველი მრავალია. ამიტომ ექ. თაყაიშვილისა და ივ. ჭავჭავაძის უწერიათ „ტყისმცველნი დასხდებიან“. ექ. თაყაიშვილისა და ივ. ჭავჭავაძის გასწორება მართებულად მიგვაჩნია. ი. დოლიძემ კი არ გაიზიარა მათი შეხედულება, „ტყისმცველი“ მხოლოდობით რიცხვში დატოვა და არც რაიმე დასაბუთება მოიყვანა.

3. პროფ. ი. დოლიძემ ექ. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით მე-2 §-ს დასაწყისი სიტყვებს — „აქითგან წლის თავით თევდორობამდის“ მიუმატა „კარ-

<sup>1</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, ტექსტები გამოსცა. შენიშვნები და საძიებლები ღურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1966, გვ. 607.

ზედ არიან“ და აღდგენილ სიტყვებთან ერთად ექ. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით პირველ პარაგრაფს მიაწერა (ბოლოში). ჩვენი აზრით ი. დოლიძე ამ შემთხვევაში სავსებით მართებულად მოიქცა.

პირველ პარაგრაფში (ექ. თაყაიშვილის გამოცემით) საუბარია მეფის მოკაზმვაზე. საღვინის წინ სუფრის გაშლაზე; პარაგრაფის ბოლოს საუბარია იმ მოხელეებზე. რომლებიც იქ არიან: მკერვალოთუხუცესზე, ტყისმცველზე. მეხელადეთუხუცესზე და მონადირეებზე, პარაგრაფი არ მთავრდება. „აღთვალვენ მათცა (ე. ი. ჩამოთვლილ მოხელეებს ი. ს.), და დასხდებიან მასვე ადგილსა, საცა დგებიან. და მონადირეთაცა“. მეორე პარაგრაფი (ექ. თაყაიშვილის გამოცემით) ასეთია: „აქითგან წლის თავით თევდორობამდის მონადირეთუხუცესი მწვადს მიიხვამს. უკანისღა მიდგების, იკითხავს: ზვალ სით ჰკვლევენ? უბრძანებს მეფე სითაც ეპრიანების, ჰიქას უბოძებს და მწვადს შესჭამს და შესვამს ღვინოსა და მუნქვე წავა და დაჯდების თავის ადგილსა“. რას ნიშნავს „აქითგან წლის თავით თევდორობამდის მონადირეთუხუცესი მწვადს მიიხვამს“? ივ. ჯავახიშვილს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამ ძეგლის ტექსტის აღდგენაზე, სწორედ ძეგლის დასაწყის ნაწილზე ე. ი. ე. თაყაიშვილის გამოცემის პირველ პარაგრაფებზე (1, 2 და 3) მოცემული აქვს ვრცელი განმარტება. იგი მართებულად შენიშნავს, რომ მე-2 § პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. მეცნიერი აღნიშნავს ტექსტის ამ ადგილის ბუნდოვანებას და განმარტავს:

მონადირეთუხუცესი აძლევს შეკითხვას მეფეს, მეფე აძლევს პასუხს და თანაც უბოძებს ჰიქას და მწვადს, მონადირეთუხუცესი მწვადს შეჭამს, ღვინოს დალევს და დაჯდება თავის ადგილას.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „იმის გასაგებად, თუ რატომ იყო, რომ მწვადი მეფისათვის მონადირეთუხუცესს სწორედ „წლის თავით თევდორობამდის“ უნდა მიერთმია, „კარის გარიგების“ § 20, სტრქ. 259—268-ის გახსენებაა საჭირო. იქ. ნათქვამია: „მონადირეთუხუცესი და მონადირენი „გიორგობას კარზედ (იგულისხმება სამეფო კარი) მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან“-ო! მაგრამ როგორ წარმოვიდგინოთ მწვადის მიერთმევა? ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან მოყვანილი ციტატის მიხედვით გამოდის რომ მონადირეთუხუცესი დაწყებული ახალი წლიდან თევდორობამდის ყოველდღიურად მიაერთმევს მეფეს მწვადს. მაგრამ ჩვენ უფრო ბუნებრივად გვეჩვენება, რომ აქ სწორედ ერთდროულ, ერთჯერად მწვადის მიერთმევაზე იყოს საუბარი; რადგანაც პირველსა და მეორე პარაგრაფში საუბარია ახალ წელთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებაზე, შით უმეტეს, რომ მონადირეთუხუცესი მწვადს მიაერთმევს („მიიხვამს“ ექ. თაყაიშვილის ისე.ესმის, რომ მონადირეთუხუცესი თვითონ მიერთმევს მწვადს, იხ. მისი რუსული თარგმანი) და თანაც შეეკითხება მეფეს: „ზვალ სით ჰკვლევენ“ (ახალწლის მეორე დღე სწორედ მეკვლეობის დღე იყო).

მაშასადამე, ახალი წლის დღეს, საღვინის წინ გაშლილ სუფრაზე, მონადირეთუხუცესი მეფეს მწვადს მიაერთმევდა. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ სიტყვები „აქითგან წლის თავით თევდორობამდის“ უნდა მოვაცილოთ მონადირეთუხუცესის მიერ მწვადის მიერთმევას.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, 1953, გვ. 178.

ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით წინადადებაში — „ჭიქას უბოძებს და მწვადს“, „და“-ს შემდეგ აღდგენილია „მონადირეთუხუცესი“. ეს აღდგენა ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც ისედაც ნათელია, რომ მონადირეთუხუცეს-ზეა საუბარი.

4. ი. დოლიძეს მე-3 § (ექ. თაყაიშვილის გამოცემით) ისევე გაუკეთე-ბია, როგორც ივ. ჭავჭავიძის აქვს. წინადადებისა და სიტყვისათვის ადგი-ლები არის შეცვლილი, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით. (იხ. ამ პარაგრაფის ჩვენი განმარტება „შენიშვნებში“).

5. მეაბჯრეთუხუცესის მომკითხველად ჩვენ მიგვაჩნია არა მესაწოლეთ-უხუცესი, როგორც ეს ხელნაწერში და ე. თაყაიშვილისა, ივ. ჭავჭავიძისა და ი. დოლიძის გამოცემაშია, არამედ ზარდახნის უხუცესი (მე-7 § ექ. თაყა-იშვილისა და ივ. ჭავჭავიძის გამოცემით, მე-3 §-ი ი. დოლიძის გამოცემით).

6. ხელნაწერში წერია — „უწერია“ (ექ. თაყაიშვილის გამოცემის მე-10 §-ი). ი. დოლიძეს — „უწერია“-ს წინ აღდგენის ნიშნის გარეშე დამატებუ-ლი აქვს „და“. (ი. დოლიძის გამოცემის მე-5 §). ასევე აქვთ ექ. თაყაიშვილსა და ი. ჭავჭავიძის.

7. მე-14 § (ი. დოლიძის გამოცემის მე-8 §) ჩვენს გამოცემაში სხვაგვარად არის წარმოდგენილი, ვიდრე სხვა გამოცემებში. (იხ. ჩვენი გამოცემის მე-4 § და „შენიშვნები“).

8. ხელნაწერში წერია „გნმგულებით“. ი. დოლიძე აღადგენს ა-ს უკავე-ბით (ი. დოლიძის გამოცემის მე-8 §). ასევე აქვს ექ. თაყაიშვილსაც.

9. ი. დოლიძის გამოცემაში არის: „მსახურთუხუცესმან მანდილი საყე-ლე [გაიკეთოს] მერმე იგი დაღვას“ (ი. დოლიძის გამოცემის მე-8 §). სიტყ-ვა „გაიკეთოს“ ი. დოლიძის მიერ არის აღდგენილი. სხვა გამოცემებში მას ურ-ვხვდებით. ი. დოლიძე მართალია იმაში, რომ „საყელე“-ს შემდეგ წინადადე-ბას რაღაც აკლია, აზრი ბუნდოვანია, მაგრამ რადგანაც ამ სიტყვის ჩამატე-ბის შემდეგაც აზრი ნათელი მაინც არ არის, ამიტომ, სიტყვის აღდგენისაგან ჩვენ თავი შევიკავეთ (ნაკლულობის ნიშანი დავუსვით).

10. ი. დოლიძეს, სხვა გამოცემებიდან განსხვავებით, აღდგენილი აქვს სი-ტყვა „მეჭურჭლეთუხუცესის“: „[მეჭურჭლეთ-უხუცესის] ზედამდგომელი მარ-თებს მეჭურჭლე“ (ი. დოლიძის გამოცემის მე-9 §). აღდგენა მართებულია, მაგრამ მთლიანად პარაგრაფის მიხედვით, ეს ისედაც ნათელია. ამიტომ აღნი-შნული სიტყვის აღდგენისაგან ჩვენ თავი შევიკავეთ. (არც ექ. თაყაიშვილსა და ივ. ჭავჭავიძის აქვთ ეს სიტყვა აღდგენილი).

11. ი. დოლიძეს მე-20 §-ის (ექ. თაყაიშვილის გამოცემით) ერთი ადგილი სხვა გამოცემათაგან განსხვავებულად აქვს გაგებული: ხელნაწერში წერია: „შარვან შანშე“, ი. დოლიძე წერს: „შარვან[შა], შანშე“ (ი. დოლიძის გამოცე-მის მე-13 §). ტექსტის ეს ადგილი მართლაც ბუნდოვანია და ძეგლის შესწა-ვისათვის დიდად მნიშვნელოვანია ამ ადგილის მართებული გააზრება. სამ-წუხაროდ ი. დოლიძე საერთოდ არ გვაძლევს ძეგლის ტექსტში მის მიერ შე-ტანილ აღდგენა-შესწორებათა დასაბუთებას. ყველა აღდგენა-შესწორებისათ-ვის ასეთი განმარტებანი შესაძლებელია არც იყოს საჭირო. მაგრამ ამ შემთხ-ვევაში აღდგენა-შესწორების დასაბუთება, ჩვენი აზრით, აუცილებელია. სხვა-გვარად ამ აღდგენას ვერ მივიღებთ.

12. 24-ე §-ის ბოლო (ეჭ. თაყაიშვილისა და ჩენი გამოცემით) ჩენ სხვაგვარად გვესმის, ვიდრე ეჭ. თაყაიშვილსა, ივ. ჯავახიშვილსა და ი. დოლიძეს. ჩენი აზრით ეჭობი მოიწვევს ვაზირებს შეფესთან. მეფე ეჭობის მოწვეულთ სათანადო პატივით ღებულობს. ეჭ. თაყაიშვილს, ივ. ჯავახიშვილსა და ი. დოლიძეს კი ისე ესმით, თითქოს ეჭობს მეფე „ქარის გარიგებაში“ გათვალისწინებული პატივისცემით ღებულობს (ხსენებულ მეცნიერთა ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მათ მიერ დასმული სასვენი ნიშნებიდან).

18. 29-ე § ერთობ ბუნდოვანია. ჩენი აზრით, მართებულად მოიქცა ი. დოლიძე, როცა ეჭ. თაყაიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის გამოცემათაგან განსხვავებით სიტყვები „ორსავე სამკროსა თვთო იქნების“ პარაგრაფის ზემოთ აიტანა (ი. დოლიძეს გამოცემის მე-13 §, პ. ზ.), მაგრამ, ამით ბუნდოვანება სავსებით არ გამქრალა. გაურკვეველია, თუ რას ნიშნავს სიტყვები: „როსცა ასსა თეთრსა ჩაფლასა გაუგზავნის“ მეფე. ჩაფლა ამავე ძეგლის სხვა ადგილის მიხედვით ფეხსაცმელს უნდა ნიშნავდეს (ფეხსაცმელის ზემო ჩასაცმელს). ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ მეფე ორ მკითხველს (ეკლესიაში საეკლესიო წიგნების მკითხველს) ასს თეთრი ფერის ფეხსაცმელს გაუგზავნის. ივ. ჯავახიშვილი „თეთრს“ „თეთრის“-ად ასწორებს და ამ გასწორებას კითხვით ნიშანს უსვამს (ე. ი. სავარაუდოდ მიიჩნევს). ამ შემთხვევაში მეფე ორ მკითხველს უგზავნის ასი თეთრის ღირებულების ფეხსაცმელებს; ეჭ. თაყაიშვილის აზრით კი მეფე მკითხველებს უგზავნის ასს თეთრს (ვერცხლის ფულს, ი.ე. მისი რუსული თარგმანი).

თუკი ფეხსაცმელებით დაჯილდოებაზეა საუბარი, იქნება ტერმინი „სამჯრო“, „სამჯრე“ ტანისამოსსა (31-ე §-ში საუბარია მერემეთუხუცესზე, რომელსაც „მქარსა საგდებელი აცვია“) და ტანისამოსის ჩუქებას დაუუკავშიროთ და მაშინ წინადადების ის გადაადგილება, რომლის შესახებ გვაქვს საუბარი, არც იყოს საჭირო.

აღნიშნულის გარდა კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ი. დოლიძის მიერ გამოცემულ ტექსტთან დაკავშირებით (ცალკეული სიტყვების აღდგენა, სასვენი ნიშნების დასმა და სხვა). შეიძლება მრავალ რამეში დავეთანხმოთ ი. დოლიძეს, ან არ გავიზიაროთ მისი წაკითხვა, მაგრამ ერთი აშკარაა: ი. დოლიძემ სასარგებლო საქმე გააკეთა „ქელმწიფის კარის გარიგების“ გამოცემით.

ძეგლის ხელნაწერი XVIII საუკუნისაა, ხოლო თვითონ „ქელმწიფის კარის გარიგება“, როგორც აღვნიშნეთ, XIV საუკუნეშია შედგენილი. ჩანს, გადამწერს ტექსტის მრავალი ადგილი ვერ გაუგია. ამიტომ, ბუნდოვანი სიტყვები მექანიკურად ამოულია ტექსტიდან, ხოლო ზოგიერთი მათგანი მისთვის გასაგები, მაგრამ ძეგლის ეპოქისათვის შეუსაბამო სიტყვებით შეუცვლია. ამასთანავე, მას არასწორად აქვს დასმული შემოკლების ნიშნები. არეული აქვს ერთმანეთში მუხლები, გვერდები და სხვა. ყოველივე ამის გამო ხელნაწერი ძნელი გასაგებია.

„ქელმწიფის კარის გარიგება“ გამოყენებული აქვს „ქართული ლიტერატურის ისტორია“ I ტომში აკად. კ. კეკელიძეს, სადაც იგი გამოთქვამს გარკვეულ მოსაზრებას ძეგლის ამა თუ იმ ადგილის შინაარსის შესახებ. მეცნიერს სპეციალური კვლევა ძეგლის აღდგენაზე არ ჩაუტარებია.

1 კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1951, გვ. 71, 540—541.

აკად. ნ. ბერძენიშვილიც საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას იმოწმებს „ქელმწიფის კარის გარიგებას“ და იძლევა ძეგლის ზოგიერთი ადგილის საკუთარ ინტერპრეტაციას<sup>1</sup>.

ფართოდ აქვს თავის ნაშრომებში გამოყენებული „ქელმწიფის კარის გარიგება“ პ. ინგოროყვას. პრაი აზრით, ეს ძეგლი შეიცავს ისეთ ადგილებს, რომლებიც უფრო ძველი პერიოდის „ქელმწიფის კარის გარიგებიდან“ მომდინარეობს<sup>2</sup>.

გარდა ამისა, „ქელმწიფის კარის გარიგებით“ სხვა ავტორებიც სარგებლობდნენ და თავისებურ განმარტებას იძლეოდნენ ძეგლს ამა თუ იმ ადგილის შესახებ.

წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული გვაქვს ყველა მნიშვნელოვანი შენიშვნა თუ განმარტება.

ის ერთადერთი ნაკლული ნუსხა, რომელიც დღემდეა შემონახული დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H, 3094). ექ. თაყაიშვილის დროს ხელნაწერს ყდა არ ჰქონდა. ნუსხა ახლა ყდაშია ჩასხული. იგი შესრულებულია ნუსხა ხეცურით, იკითხება ადვილად, ასოები გარკვეულად არის გამოყვანილი და ლამაზად, მაგრამ ვიშვორებ, შინაარსის მხრივ ხელნაწერი მრავალ შეცდომას შეიცავს.

ამასთანავე, ჩვენი აზრით, ზოგიერთი სიტყვა ექ. თაყაიშვილის გამოცემაში არასწორად იკითხება.

ამჟამად სიტყვები ძეგლში ქარაგმით არის მოცემული. ექ. თაყაიშვილი კი შენიშვნაში არ უთითებს ყველა ქარაგმაზე. გარდა ამისა, ზოგიერთი ქარაგმა ჩვენს მიერ სხვაგვარად არის გახსნილი, ვიდრე ექ. თაყაიშვილს აქვს. ამიტომ მოვუყვანეთ შენიშვნებში ძეგლის ქარაგმებიანი სიტყვების ყველა შემთხვევა.

როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებს სხვა ენაზე გადათარგმნა თავისთავად რთული და საყურადღებო საქმეა. ამ შემთხვევაში კი „ქელმწიფის კარის გარიგების“ რუსული თარგმანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმით, რომ ძეგლი დაწერილია ძველი ქართული ენით, ნაკლული და ძნელად გასაგებია. ასეთი ტექსტი თარგმნილია თანამედროვე რუსულ ენაზე. ი. ძეგლის შინაარსი გადმოცემულია საფსებით გასაგები ცნებებით. ის დაბრკოლება, რომელიც ძეგლის ქართულ ენაზე შკითხველს ხვდება, რუსულ თარგმანში თუ სრულიად არა, ყოველ შემთხვევაში საგრძნობლად გადალახულია.

ზოგიერთ შემთხვევაში, სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით და საკუთარი დაკვირვების შედეგად ტექსტში სიტყვას ან ფრაზებს ადგილები შევუტევალეთ, როგორც ერთისა და იმავე მუხლის ფარგლებში. ისევე მუხლიდან მუხლში გადატანით.

გადავიღვართ რა ტექსტის აგებულების საკითხის განხილვაზე საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ პროფ. ი. დოლიძის გამოცემაზე.

აგებულების მხრივ პროფ. ი. დოლიძის გამოცემა ცოტათი განსხვავდება ექ. თაყაიშვილის, ივ. ჭავჭავაძისა და ჩუენი გამოცემებისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება შემდეგში:

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილება. „იმომპილველი“. 1926 წ.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა. თხზულებანი, I. 1963, გვ. 563.

1. პროფ. ი. დოლიძეს ხშირად პარაგრაფები გაერთიანებული აქვს. მისი გამოცემა 16 მუხლისაგან შედგება, ექ. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ჩვენი გამოცემები კი — 39 მუხლისაგან. ამასთანავე, ი. დოლიძის გამოცემაში მე-6, მე-8 და მე-10 მუხლები პუნქტებად არის დაყოფილი და მუხლებსა და პუნქტებს სათაურები აქვს მიცემული.

2. ექ. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ჩვენი გამოცემების 28-ე და 29-ე მუხლები (რაოდენობით — დაბეჭდილი წიგნის 21 სტრიქონი, ე. ი. ერთ გვერდზე ცოტა ნაკლები) ი. დოლიძის გამოცემაში მთლიანად გადატანილია ე. თაყაიშვილის, ი. ჯავახიშვილისა და ჩვენი გამოცემების 33-ე და 34-ე მუხლებს შორის. სხვა მხრივ ი. დოლიძისა და სხვა გამოცემების ტექსტების აგებულება თავიდან ბოლომდე ზუსტად ერთმანეთს ემთხვევა<sup>1</sup>.

რადგანაც ჩვენს გამოცემაში ტრადიციული დაყოფა უცვლელად დავტოვეთ (ტრადიციულს ჩვენ ვუწოდებთ ხელნაწერისეულ დაყოფას, სადაც მუხლები სინგურით დაწერილი სიტყვით თუ სიტყვებით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი, ხოლო მუხლების რიცხობრივი სათვალავი ექ. თაყაიშვილის მიერ არის შედგენილი), ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია პროფ. ი. დოლიძის გამოცემის ამ მხარეზე შეჩერება. ექ. თაყაიშვილი აღნიშნავდა: „ტექსტმა კარის გარიგებისა არა თუ ნაკლებად მოაღწია ჩვენამდის, არამედ ძლიერ გარყვნილადაც... ექვს გარეშეა, რომ ზოგიერთი მუხლები კარის გარიგებისა თავის ადგილზე არ არის, არეულია გადაწერის დროს, ან არეულად და ნაკლებად ყოფილა დედანში. რომლიდანაც გამომუშერიათ“<sup>2</sup>. ავტორი ასახელებს კიდევ ტექსტის არეულ ადგილებს და გამოთქვამს მოსაზრებას ამა თუ იმ სავარაუდოდ ადგილის შესახებ. მაგალითად, ექ. თაყაიშვილის აზრით „ამილახორის დაჯდომის წესი“ უფრო 33-ე მუხლის ნაწილს უნდა შეადგენდეს<sup>3</sup>. აღნიშნული მოსაზრება ჩვენ მართებულად მიგვაჩნია. პროფ. ი. დოლიძეს, როგორც ჩანს ეს არ გაუზიარებია.

დარბაზობის წესი ექ. თაყაიშვილის მოსაზრებით იწყება მე-20 მუხლიდან და თავდება 29-ე მუხლით; ი. დოლიძის გამოცემაშიც ასევეა<sup>4</sup>. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს რომ 28-ე მუხლის მეორე ნაწილი და 29-ე მუხლი ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს, ორივე ძღვენის შესახებ ცნობებს შეიცავენ. 29-ე მუხლით მთავრდება დარბაზობის წესი, მაგრამ ექ. თაყაიშვილისაგან განსხვავებით, ივ. ჯავახიშვილის აზრით დარბაზობის წესი იწყება ექ. თაყაიშვილის გამოცემის 23-ე პარაგრაფით<sup>5</sup>.

ივ. ჯავახიშვილს მე-2 მუხლი პირველის გაგრძელებად მიაჩნია<sup>6</sup>, ასევე ფიქრობს ი. დოლიძე.

ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს თუ სად იწყება და სად თავდება მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის შესახებ თხრობა (მე-8 და 9, მუხლები)<sup>7</sup>, ასევე

1 „ქართული სამართლის ძეგლები“, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები ჯერო პროფ. ი. დოლიძემ, 1965, გვ. 80—97.

2 პროფ. ე. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, 1920, გვ. XXII.

3 იქვე, გვ. XXIII.

4 „ქართული სამართლის ძეგლები“, II, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები ჯერო პროფ. ი. დოლიძემ, გვ. 89—95.

5 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, 1952, გვ. 167—168.

6 იქვე, გვ. 178.

7 იქვე, გვ. 169—171.

რქვევა ი. დოლიძე; ივ. ჭავჭავაძის უჩვენებს თუ სად იწყება მექურკლეთ-  
უხუცესის შესახებ თხრობა<sup>1</sup>, ასევე განმარტავს ი. დოლიძეს და ა. შ.

ამით ჩვენ გვინდა ვთქვათ შეპლდგე: იმის მიუხედავად, რომ ექ. თაყაიშვილ-  
მა და ივ. ჭავჭავაძის (და როგორც ამ ძეგლის რუსული თარგმანიდან ჩანს  
ნ. მარმაკ) იცოდნენ ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედგას  
ძეგლის აღდგენას, უთითებდნენ კიდევ ხელნაწერის ამა თუ იმ ნაწილის სა-  
ვარაუდებელ ადგილზე, რომელიც უფრო შესაბამისი იქნებოდა ძეგლის პირ-  
ვანდელი აგებულებისათვის, პრაქტიკულად მაინც ასეთი ცვლილებანი მათ თა-  
ვიანთ გამოცემებში არ შეუტანიათ, ალბათ, იმიტომ, რომ საკითხი სათანადოდ  
წინაწავლილად არ ვიჩნდათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანც დღეს არის ეს საკით-  
ხი გადაწყვეტილი.

შევიჩინოთ ამაზე უფრო დაწვრილებით.

ამ შემთხვევაში ძირითადი სადავო საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ  
ი. დოლიძემ თავის გამოცემაში 28-ე მუხლის მეორე ნაწილს და 29-ე მუხლს  
(ექ. თაყაიშვილის და ჩვენი გამოცემით) ადგილი შეუცვალა და მოათავსა 33-ე  
და 34-ე მუხლებს შორის (ექ. თაყაიშვილის და ჩვენი გამოცემით). ამ გადაწ-  
ველებას ი. დოლიძე იმით ასაბუთებს, რომ ტექსტი საწელიწადისათაო ძღვენის  
შესახებ ხელნაწერში არეულია და თავის ადგილზე არ არის. ი. დოლიძის აზ-  
რით ამისი დამადასტურებელია: 1) 29-ე მუხლის ბოლო ნაწილი, სადაც სწე-  
რია: „დასრულდა დარბაზის წესი“. 2) 32-ე მუხლის ბოლო ნაწილი, სადაც გე-  
ლათური და გარეჯული ძღვენის შესახებ ნათქვამია: „ვითარცა მართებს, ქვე-  
მო სწერია“; მაგრამ ხელნაწერში „ქვემოთ“ კი არა—„ზემოთ“ წერია. ამიტომ,  
ცხადია, დასკვნის ი. დოლიძე ტექსტის ისეთი გადაადგილებაა საჭირო, რომ  
გელათისა და გარეჯის ძღვენის შესახებ თხრობა მართლაც ქვემოთ იყოს<sup>2</sup>.  
ი. დოლიძის დასაბუთება საყვებით მართებულია. ხელნაწერში ტექსტის ეს  
ადგილი არეულიც არის და არც თავის ადგილზეა მოთავსებული. სადაც არ  
შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ 29-ე მუხლი დარბაზობის წესის დასა-  
რულია, რადგანაც ამის შესახებ ამავე მუხლში გარკვევით წერია.

გარდა ამისა, თუ ძეგლი ორი ძირითადი ნაწილისაგან — დარბაზობისა  
და ვაზირობისაგან შედგება, მაშინ ცხადია 29-ე მუხლი უშუალოდ ვაზირო-  
ბის შესახებ თხრობას უნდა უსწრებდეს წინ.

ყველაფერი ეს თეორიული ხასიათის მსჯელობაა, მაგრამ როცა საკით-  
ხი დგება პრაქტიკულად ხელნაწერის ამა თუ იმ ნაწილის გადატანის და გა-  
დასატანის ნაწილისათვის დღესის სავარაუდებელი აგებულების მიხედვით კონ-  
კრეტული ადგილის მიჩენისა, მაშინ მთელი რიგი დაბრკოლებები იჩენს თავს.

ი. დოლიძეს 28-ე მუხლის მეორე ნაწილი და 29-ე მუხლი მოთავსებული  
აქვს 34-ე მუხლის წინ. 34-ე მუხლი ნაკლებია და იგი ნაწყვეტის სახით არის  
შემონახული. აი ეს მუხლი: „პირმშობემა მან ნაილო. და ოდეს აკურთხეს, არა  
მაგად აკურთხევენეს. არ მოელის კათალიკოზსა, რომე არავის ქვეშეთ შე-  
რქმოდესო, ვარკვე. და აცილნეს ორნივე კათალიკოზნი, არა მე მმართვესო,  
არა მეო“.

34-ე მუხლის შემორჩენილი ნაწყვეტის ბუნდოვანი შინაარსიდან იმ დასკვნ-  
ის გამოტანა მაინც უნდა იყოს შესაძლებელი, რომ ის ვაზირობის დებულე-

1 ივ. ჭავჭავაძის, ქართველი ერის ისტორია, V. 1953, გვ. 170.

2 „ქართული სამართლის ძეგლები“, 11. ი. დოლიძის რედაქციით, 1965, გვ. 605—606.

ბის დასაწყისი არ არის, და მაშასადამე, მის წინ 28-ე მუხლის მეორე ნაწილი-  
სა და 29-ე მუხლის გადმოტანა უმართებულოა.

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ი. დო-  
ლიძე 34-ე მუხლს ისტორიულ ექსკურსად თვლის.

მაგრამ, საქმე ამით არ თავდება. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ ძვე-  
ლი ორი ნაწილის—დარბაზობისა და ვაზირობის წესების თხრობისაგან შედ-  
გება — სავსებით მართებულია. ხელნაწერში ვაზირობის უფლება-მოვალე-  
ობა, მათი ფუნქციები არეულადაა მოცემული დარბაზობის თხრობაში.  
ჯერ დღესასწაულების გარიგებაზეა საუბარი, შემდეგ ვაზირობის უფლება-მო-  
ვალეობაზე. შემდეგ დარბაზობაზე და ბოლოს ისევ ვაზირობაზე, ე. ი. სავაზი-  
როზე. მის ზაქმიანობაზე! სავსებით მართებულად აქვს აღნიშნული ივ. ჯა-  
ვახიშვილს: „ცხადია, რომ შეუძლებელია ტექსტის ნაწილების ადგილმდებარე-  
ობა თავდაპირველადაც ასე არეული ყოფილიყო და დარბაზობის ნაწილში  
ასე უაღაგო ალაგას ვაზირთა უფლება-მოვალეობის შემცველი ტექსტი ყო-  
ფილიყო ჩაჩხირული. ამიტომ უპირველესად უნდა დავასკვნათ, რომ ვაზირ-  
თა უფლება-მოვალეობის აღმნუსხველი ნაწილი თავის თავდაპირველ ადგი-  
ლას არ არის, არამედ შეცდომითაა დარბაზობის განრჩევაში ჩართული“<sup>1</sup>  
(ხაზგასმდა ავტორისაა). ვაზირობის უფლება-მოვალეობის შესახებ მუხლები  
იქ უნდა იყოს; სადაც სავაზიროზეა საუბარი.

ახლა გამოსარკვევია საკითხი, კონკრეტულად თუ სად უნდა მოეუძებნოთ  
ვაზირთა უფლება-მოვალეობის შესახებ თხრობას ადგილი, სავაზიროს.  
წინ თუ შემდეგ? ამითაც არ თავდება საქმე. ვაზირთა უფლება-  
მოვალეობის შესახებ თხრობა არეულია. ხელნაწერში ჯერ მოდის ჭყონ-  
დიდელის შესახებ თხრობა, შემდეგ მანდატურთუხუცესზეა საუბარი, მანდა-  
ტურთუხუცესის შემდეგ კი მსახურთუხუცესისა, მეჭურჭლეთუხუცესისა და  
ამირსპასალარის სახელოებია დახასიათებული. რით შეიძლება იმის დასაბუ-  
თება, რომ ასეთი თანმიმდევრობა იქნებოდა დაკული დედანში? დედანში  
ვაზირები უფროს-უმცრობის მიხედვით ასეთი თანრიგით უნდა ყოფილიყო  
მოცემული: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი,  
მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი<sup>2</sup>. ხელნაწერ-  
ში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შესახებ არ გვაქვს სრული ცნობები.  
მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ კი ათაბაგი უნდა იყოს, მაგრამ  
უმფროს-უმცროსობის მიხედვით განლაგების სავარაუდებელ ადგილზე ათა-  
ბაგის შესახებ ცნობებს ვერ ვხვდებით. შეიძლება ეს ხელნაწერის დეფექტი-  
ანობით ავსნათ. მე-19 მუხლის შემდეგ, რომელიც მწიგნობართუხუცეს-ჭყონ-  
დიდელს ეხება, ხუთი ფურცელი აკლია. ამასთანავე, ხელნაწერში სრულიად  
მოულოდნელად ამირსპასალარზე მოგვეპოვება ცნობა ისეთ ადგილას, სა-  
დაც არ უნდა ყოფილიყო თუ უფროს-უმცროსობა იქნებოდა დაკული; თა-  
ნაც ამირსპასალარის შესახებ თხრობას წინ უსწრებს მეჭურჭლეთუხუცესის  
შესახებ დაუმთავრებელი თხრობა, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ  
თხრობის წინ მსახურთუხუცესის სახელოზეა საუბარი<sup>3</sup>. ამას გარდა, დებუ-  
ლება დღესასწაულების შესახებ ხელნაწერში თავის ადგილზე არ უნდა იყოს.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, 1953, გვ. 167—169.

<sup>2</sup> იქვე გვ. 168.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 174.

<sup>4</sup> იქვე.



მე-4 მუხლის დასაწყისში წერია: „ეს ზემოთ დამაკლდა: კმალი ამილანორს არტყია დარბაზობასა ზედა“. ზემოთ კი დღესასწაულების დებულებაა მოცემული. „ავტორის ამ სიტყვებიდან უცილობლად ირკვევა, რომ ზემოთ სწორედ დარბაზობას განრიგება ყოფილა მოთავესებული“<sup>1</sup>. თუ დღესასწაულების შესახებ დებულებას უადგილოდ მივიჩნევთ, მაშინ საკითხავია, სად უნდა მიუძღინოთ მას ადგილი.

მაშასადამე, დღესასწაულების დებულება, ვაზირების უფლება-მოვალეობათა შესახებ თხრობა, მათი თანრიგი და მრავალი ამგვარი საკითხი, მკიდროდ არის დაკავშირებული 28-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 29-ე მუხლის სავარაუდებელი ადგილის განსაზღვრასთან. ერთი საკითხი არ გადაწყდება, თუ მეორეც არ გაირკვა. ამის გამო, 28-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 29-ე მუხლის გადატანა 33-ე მუხლის შემდეგ არ მივიჩნევთ შესაძლებლად.

იმის გამო, რომ 28-ე მუხლის მეორე ნაწილსა და 29-ე მუხლს იმავე ადგილზე ვტოვებთ და აგრეთვე იმისათვის, რომ ძეგლის პირვანდელი აგებულების საკითხები ჯერ კიდევ შესასწავლია, ამიტომ მუხლების გაერთიანება და მათი იმ სახით დასათაურება, როგორც ეს ი. დოლიძის გამოცემაშია მოცემული, უმართებულოდ მიგვაჩნია. ძეგლის შესახებ მეცნიერული კვლევის პროცესში, ჯერჯერობით უფრო მიზანშეწონილად მივიჩნევთ ტრადიციული დაყოფის დატოვებას. რადგანაც ამ დაყოფის საფუძველზე ძეგლის ხელნაწერის სხვადასხვა გამოცემებთან შედარება ტექნიკურად უფრო მოსახერხებელია. ამასთანავე, ძეგლის შესწავლისათვის იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ე. თაყაიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის გამოცემებში შემონახულია ხელნაწერის გადაწერის დაყოფა.

რადგანაც არ გავიზიარებთ ი. დოლიძის გამოცემის მუხლების (28-ე და 29-ე) გადაადგილებას. მათი გაერთიანება და დასათაურება. ამიტომ საჭიროდ ვცანით შევჩერებულეყავით ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით.

თავისთავად ი. დოლიძის გამოცემა 28-ე და 29-ე მუხლების გადაადგილებით, მუხლების შეერთებით და დასათაურებით არ არის ინტერესს მოკლებული.

მართლაც, 29-ე მუხლი დარბაზობის დასასრულად აცხადებს თავს. და თუ ძეგლი დარბაზობისა და ვაზირობისაგან შედგება, თუ ვაზირობის დასაწყისად 35-ე მუხლს მივიჩნევთ, მაშინ 29-ე მუხლის 35-ე მუხლთან მიახლოებას, როგორც ეს ი. დოლიძის გამოცემაშია, ერთგვარი გამართლებაც აქვს.

მაგრამ, ი. დოლიძის გამოცემის დადებით მხარეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვენ ვხედავთ ხელნაწერის ადგილების ახლებურად წაკითხვასა და გაგებაში.

ამ მხრივ შეიძლება ვთქვათ, რომ ძეგლის შემსწავლელი გვარდა ვერ აუხვევს ი. დოლიძის გამოცემას.

ჩვენს გამოცემაში ტექსტის ამა თუ იმ ნაწილის გადაადგილების სავარაუდებელი შემთხვევა აღნიშნული გვაქვს. ზოგიერთი გადაადგილება კიდევ მოვახდინეთ, მაგრამ ტრადიციული დაყოფის ფარგლებში.

ექ. თაყაიშვილი დაწვრილებით იხილავს საკითხს ძეგლის შემდგენისა და ვინაობისა და დაწერის დროის შესახებ. მისი აზრით, ძეგლის გადაწერა XVII

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, 1952, გვ. 168.

საუკუნეზე ადრე და XVIII საუკუნის დამდეგზე უფრო გვიან არ შეიძლება და მომხდარიყო.

ტექსტში მოხსენებული ისტორიული პირების მიხედვით ექ. თაყაიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ ძეგლი XIII საუკუნეზე ადრე და XIV საუკუნეზე გვიან შედგენილი არ უნდა იყოს. ავტორის აზრით, უფრო მართებული უქნება, თუ „ქელმწიფის კარის გარიგების“ შედგენას გიორგი ბრწყინვალის მეფობის ხანას მივაკუთვნებთ<sup>1</sup>.

ამასთანავე „ქელმწიფის კარის გარიგება“ არ არის ოფიციალური ხასიათის ძეგლი ანუ საკანონმდებლო აქტი. იგი წარმოადგენს იურიდიული შინაარსის ტრაქტატს და დაწერილი უნდა იყოს სასახლის კარისკაცის მიერ, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა სასახლის წეს-ჩვეულებას, სახელმწიფო წყობილების ინსტიტუტებსა და სხვ.

„ქელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, რომ არსებობდა კიდევ სხვა „ქელმწიფის კარის გარიგება“, რომლის ავტორთან წინამდებარე „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი კამათს აწარმოებს. ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ „ქელმწიფის კარის გარიგება“ არ არის საკანონმდებლო აქტი. ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს მრავალი სხვადასხვა წყაროთი უსარგებლია. ასე, მაგალითად, მასში მოყვანილია ცნობები „ქართლის ცხოვრებიდან“. მიუხედავად ამისა, „ქელმწიფის კარის გარიგება“ ძირითადად მაინც ქართულ სახელმწიფო სამართალს ეყრდნობა.

როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს „ქელმწიფის კარის გარიგების“ წყაროებზე, საჭიროა აღვნიშნოს, რომ ძეგლის ავტორი კარგად იცნობს ქართული სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებს, ქართულ საკანონმდებლო აქტებს და რაც მთავარია, ქართულ ჩვეულებით სამართალს. მრავალი რამ, რაც „ქელმწიფის კარის გარიგებაშია“ მოცემული, ჩვეულებითი სამართლიდან უნდა იყოს აღებული. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ სახელმწიფო სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი ჩვეულებითი სამართლიდან არის წარმოშობილი.

პროფ. ი. დოლიძეს არ მიიჩნია დამაჯერებლად ექ. თაყაიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ძეგლის არასაკანონმდებლო, არაოფიციალური ხასიათის შესახებ. ი. დოლიძის აზრით, „კარის გარიგება ისეთი კოდექსია, რომელიც დაკანონებული იყო სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეფის მიერ და კანონად შემოღებული. რახან კარის გარიგება კანონად შემოღებული კოდექსია, თუმცა სხვადასხვა მეფის მიერ დაკანონებული, ცხადია რომ იგი საკანონმდებლო ძეგლია, ოფიციალური აქტია“<sup>2</sup>.

ავტორის აზრით, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ „ქელმწიფის კარის გარიგება“ გამოცემული და „ხელჩართული არ არის ერთი მეფის მიერ. ამ ფორმალური ნიშნით არ შეიძლება ძეგლის საკანონმდებლო ხასიათის უარყოფა. ძეგლის საკანონმდებლო ხასიათის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთელი ნორმატიული მასალა, რომელიც საკანონმდებლო ხასიათის წესებასა და დადგინებებს შეიცავს<sup>3</sup>. ი. დოლიძის აზრით, „კარის გარიგება არ წარმოადგენს სამეფო კარის კაცის მიერ თავისი თაოსნობითა და

<sup>1</sup> „ქელმწიფის კარის გარიგება“, ექ. თაყაიშვილის რედ. გვ. VIII.

<sup>2</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, II, 1965, გვ. 607.

<sup>3</sup> იქვე.

ნებასურვილით შედგენილ წესჩვეულებათა ტრაქტატს ან კომპილაციას<sup>1</sup>, იგი „წარმოადგენს დაკანონებულ წესისა და რიგის კრებულს“<sup>2</sup>. ავტორის ვარაუდით „თავდაპირველი ტექსტი ანუ დედანი, რომელიც დაკარგულია, დამტკიცებული და სანქციონირებული იქნებოდა მეფის მიერ“<sup>3</sup>.

ავტორი განაგრძობს: „რაც შეეხება კარის გარიგებაში ჩართულ ისტორიულ ექსკურსებს და ერთგვარ პოლემიკას, ისინი ძეგლის ორგანულ ნაწილს არ შეადგენენ, მხოლოდ საილუსტრაციო მასალაა და შეიძლება მერმინდელი ინტერპოლაციაც იყოს. მაგამ. თუნდაც რომ ეს ადგილები თავიდანვე შეტანილი იყოს ძეგლში, ყოველ შემთხვევაში ისინი ძეგლის საკანონმდებლო ხასიათის უარყოფის საფუძვლად ვერ გამოდგება“<sup>3</sup>.

პროფ. ი. დოლიძის მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად. კანონი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტი, რომლითაც გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად მყარდება სავალდებულო ნორმები. რამდენადაც კანონს სავალდებულო ხასიათი აქვს, ამდენად ის არ შეიძლება შეიცავდეს რაიმე საკამათოს, მასში არ შეიძლება ჩართული იყოს ლექსები, მათიანეებიდან ამონაწერები. „კელმწიფის კარის გარიგებაში“ კი მათიანეებიდან ამონაწერის გარდა მოცემულია აგრეთვე კამათიცა და ლექსიც კი-ამიტომ, „კელმწიფის კარის გარიგება“ იმ სახით, როგორსაც ჩვენ მას ვიცნობთ, საკანონმდებლო აქტად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში წამოყენებულია დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „კელმწიფის კარის გარიგების“ ერთ-ერთი ავტორი სოფრომისძე უნდა იყოს<sup>4</sup>. მეორე კარის გარიგების ავტორად კი მიჩნეულია მსახურთუხუცესი მანაველი<sup>5</sup>.

პროფ. ი. დოლიძე ავტორების საკითხს არ შეხება; ალბათ, იმიტომ, რომ ამას, მისი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა ძეგლის საკანონმდებლო აქტად აღიარებისათვის.

გამოდის, რომ სოფრომისძის ან მანაველის ნაწარმოებები (კარის გარიგებები) საკანონმდებლო აქტებია. ამაზე დათანხმება კი შეუძლებელია.

პროფ. ი. დოლიძის აზრით, ძეგლის ისტორიული ექსკურსები ან პოლემიკის ამსახველი ადგილები შეიძლება დედანში არ იყო და რომც ყოფილიყო ეს მაინც არ შეგვიშლიდა ხელს ძეგლი საკანონმდებლო აქტად მიგვეჩინაო.

დარბაზობის წესების შესახებ „კელმწიფის კარის გარიგებაში“ წერია: „ზოგთა ვიქე]თჲე ასრე უწერია“, როცა ტრაპიზონის და სხვა მეფეები მოვიდნენ, მათი „საჯდომი ერთი [არ] არის ოთხთავე“-ო (§ 20). აქ სავსებით მკაფიოდ ჩანს, რომ ჩვენი „კელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს საუბარი აქვს სხვა ავტორზე (კარის გარიგების), რომელსაც იგი არ ეთანხმება. შეუძლებელია კანონს ასეთი ფორმა ჰქონოდა.

იმავე მუხლში ჩვენი „კელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი იმოწმებს არსენ იყალთოელს და მოყავს მისი ლექსი. კანონი, როგორც ვთქვით, არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, ამ შემთხვევაში მეფის,

<sup>1</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, II, 1965, გვ. 607.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 608.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „კელმწიფის კარის გარიგება“. ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობა. გვ. III.

<sup>5</sup> პავლე ინგოროვეა, თხზულებათა კრებული, L, 1963. გვ. 563.

როგორც სახელმწიფოს მეთაურის აქტი. მეფეს კანონის დასასაბუთებლად ლექსი არ ესაჭიროებოდა, მისთვის პოეტური ნაწარმოები არც სავალდებულო იყო, არც მისაბაძი. მეფეზე მალლა სახელმწიფოში არავინ იდგა და კანონს საფუძვლად მეფის ნება (იგივეა რაც გაბატონებული კლასის ნება) ედგა.

პროფ. ი. დოლიძის აზრით, ძეგლს რომ სავალდებულო ძალა აქვს, ეს ნაწიანს თუხდაც კარის გარიგების შემდეგი ადგილიდან: „საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან! ... აწ, ვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან“<sup>1</sup>. ჩვენის აზრით, ძეგლიდან მოყვახილი ციტატი სწორედ პროფ. ი. დოლიძის მოსაზრებების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. მართლაც, აქ საუბარია იმის შესახებ, რომ დარბაზობის დროს მოწვევა საწოლის მწიგნობარს მართებს. საპატიო პირთა მოწვევის შესახებ „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი წერს: დაუწერიათ (ვის? ვილაცას, არა ჩვენი „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს), რომ ასეთი მოწვევა საწოლის მწიგნობარს ევალებათ, მაგრამ, — წერს ჩვენი „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი, — მეფისაგან (პატრონისაგან) ასეთი რამე არ გამიგონია, მეფეს ეფიცავარო. როდესაც „ალის ჭალას... წვევის ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინსასრიძე პატრონი[ის] წინაშე დგა“. პატრონმა, ე. ი. მეფემ ჩვენი „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს უბრძანა კათალიკოზის მოწვევა. ამის შესახებ, ძეგლის ავტორი წერს— „სოფრომისძე იტყუხ: „და მეორეს წელს ეგრე [ბრძანა (მეფემ ი. ს.): „ამირეჯიბს მართებსო თონთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევაო“. მაშინ ამირეჯიბი ქვაბლიძე უგემურად იყო, და არ იყო მანდა“.

როგორც ვხედავთ, აქ კამათია გამართული: ერთ-ერთი კარის გარიგების ავტორს დაუწერია, რომ საწოლის მწიგნობარს ეკუთვნის საპატიო სტუმრების წვევაო. ჩვენი „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი წესის არსებობა მეფისაგან არ გამიგონია და მოყავს დასაბუთება: ალის ჭალას, როცა საპატიო პირთა წვევის საკითხი დადგა, საწოლის მწიგნობარი იქ იყო, მაგრამ მეფემ წვევა მე დამავალათ. მაგრამ ერთ-ერთ კარის გარიგების ავტორის სოფრომისძის სიტყვების მიხედვით კი, — სხვა დროს, მეორე წელს, მეფემ საპატიო პირთა მოწვევა ამირეჯიბს დაავალათ, იმ დროს ამირეჯიბი უვად იყო, და არ იყო იქო. და ბოლოს, „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი წვევის შესახებ დავას ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „აწ ვინათგან დაუწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან“.

როგორც, ვხედავთ, სწორედ კანონისათვის შეუსაბამო, უჩვეულო ფორმით აქ მოცემულია კამათი, აზრთა სხვადასხვაობა საპატიო სტუმრების წვევის შესახებ. პროფ. ი. დოლიძის საყურადღებოდ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეფის ნება ამ კამათში თითქოს არც არის განმსაზღვრელი. საქმე იმაშია, რომ ძეგლის მიხედვით კამათი სწარმოებს იმის შესახებ, თუ სტუმრების მოწვევის როგორი წესი არსებობს დარბაზობის დროს, ვინ არის მათი მომწვევი. ზოგიერთის აზრით, ასეთი მოწვევის უფლება საწოლის მწიგნობარს ჰქონია, მაგრამ მეფეს სხვა მოხელისათვის დაუვალეზია ეს საქმე. სხვა დროს კი მეფეს ამირეჯიბისათვის მიუხდვია სტუმრების მოწვევა. დაბოლოს, ეს საკითხი საწოლის მწიგნობრის სასარგებლოდ გადაწყვეტილა.

მაშასადამე, აქ კანონთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ძიებასთან, კამათთან იმის შესახებ, თუ როგორი წესი არსებობდა, თუ ვისი მოვალეობა იყო სტუმრის მოწვევა.

პროფ. ი. დოლიძეს ციტატი „პატრონისაგან არ მასმია“ და სხვა იმისათვის მოყავს, რომ დაასაბუთოს „ქელმწიფის კარის გარიგების“ საველდებულო ძალა. ამ ციტატაში ხედავს ის „მეფის სანქციის“ გამოვლინებას. ავტორის აზრით, კონკრეტულად ეს იმაში გამოიხატება, რომ ძველში წერია: „პატრონისაგან არ მასმია“, ე. ი. პატრონისაგან ასეთი რამე არ გამოიგონია და ამიტომ არც მართებული იქნებაო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეფის ნების გარეშე არ შეიძლება დარბაზის წესის არსებობაო. ამ შინაარსითაც რომ გავიგოთ აღნიშნული ციტატი, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ „ქელმწიფის კარის გარიგება“ საკანონმდებლო აქტი იყო. მართლაც, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსების მიხედვით, მეფეები არიან ღვთის სწორნი, მათი ნებასურვილი საველდებულო უნდა იყოს ყველასათვის. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვითაც მეფის ნებას უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ ქვეშევრდომნი. ასეთივე აზრია გატარებული ფეოდალური ეპოქის მრავალ ისტორიულ და მხატვრულ ნაწარმოებში; მაგრამ აქედან ვერ გამოვიტაოთ დასკვნას, რომ ეს ნაწარმოებნი საკანონმდებლო ხასიათის არიან.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. ი. დოლიძე, „ფორმალურ ნიშანს“ (პროფ. ი. დოლიძის გამოთქმა) კანონის განსაზღვრებისას არ უწყვეს სათანადო ანგარიშს. ყველა ამის შემდეგ ჩვენ, მართებულად მიგვაჩნია ექ. თაყაიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი, რომ „ქელმწიფის კარის გარიგება“ არ არის საკანონმდებლო აქტი. „ქელმწიფის კარის გარიგება“ არის იურიდიული შინაარსის ნაშრომი. რომელიც ეხება სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტებს. მასში არის მოყვანილი კანონები, უმთავრესად ჩვეულებითი სამართლის ნორმები, მაგრამ მთლიანად აღებული ძველი არ წარმოადგენს საკანონმდებლო ხასიათის აქტს.

„ქელმწიფის კარის გარიგება“, როგორც მართებულად შენიშნავს ექ. თაყაიშვილი, დასავლეთ საქართველოში წარმოშობის ნიშნებს ატარებს. ძველი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებასა და სამართალს ასახავს. მასში მოხსენიებულია დასავლეთ საქართველოს მონასტრები. ზოლო მცხეთის კათედრალურ ტაძარზე არაფერია ნათქვამი. ძველის დასავლეთ საქართველოში დაწერის უფრო კონკრეტული მანიშნებლებიც არის, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველო მასში მოხსენიებულია, როგორც „იმიერი“.

როგორც მართებულად აღნიშნავდა ნ. მარი, „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ შეინიშნება უძველესი პერიოდისან მომდინარე სხვადასხვა ხანის დანაშრევები. ასე მაგალითად, ახალ წელთან დაკავშირებული ზოგიერთი წესჩვეულება. როგორცია ველური ტანის თავით გამასპინძლება, მილოცვები. ჩეკვლეობა და სხვა, ქრისტიანობის წინააღმდეგ პერიოდისან მომდინარეობა დას ატარებს. ჩანს, „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს ძველი წყაროებითა და ზეპირი გადმოცემებით უხვად უსარგებლია.

# 11. სახელმწიფოებრივი წყობილება „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით

## 1. მუფის ხელისუფლება

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ წარმოდგენილია ფეოდალური მონარქია, რომლის სათავეში დგას მეფე. საყურადღებოა, რომ ძეგლის მიხედვით მეფე ზებუნებრივი არსების ნიშნებით არის დაჯილდოებული, იგი ღვთის სწორია. ამას ნათლად მოწმობს სასახლეში მიღებული შემდეგი წეს-ჩვეულება: მეფის მორთვის დროს მომსახურება (§ 1), მეფის მსვლელობის განსაკუთრებული წესები (§ 15), მეფის დამით მომსახურება (§ 16), მეფის მიერ საპატიო პირთა მიღების ცერემონიალი (§24—25) და სხვ. „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ისიც კია გათვალისწინებული, თუ მეფის პირის დაბანის დროს ტაშტი ვის უნდა ეჭიროს, ან ღილები ვინ უნდა შეუქრას (§ 35) და სხვა.

ძეგლში მოცემულია ისეთი წეს-ჩვეულება, რომელიც დასავლეთ ევროპაში აბსოლუტიზმის პერიოდში მონარქების კარზე იყო მიღებული. ექ. თაყაიშვილი ამ გარემოებას გარკვეულ ყურადღებას აქცევს. იგი წერს: „...კარის გარიგება გვიხატავს სურათს თვით ხელმწიფის კარისა ანუ დარბაზისა და იმ რთული ეტიკეტის და ცერემონიებისა, რომელიც არსებობდა ხელმწიფის კარზე, თვითეულს ხელმწიფის ფეხის გადადგმაზედ და რომელიც მოგვაგონებს ლიუდოვიკო მეთოთხმეტის კარის ეტიკეტს“<sup>1</sup>.

მეფესთან დაკავშირებით ძეგლში ყველაფერი დეტალურად არის მოცემული: ვინ უნდა მიულოცოს მეფეს ახალი წელი (§ 1), ვინ უნდა მიაწოდოს მას სასმელი, როცა დამე მოსწყურდება (§ 16), როგორ უნდა მოიკაზმოს იგი ღილით (§ 16), ვინ დაიშვება ამ დროს მეფესთან (§ 12), როგორ და ვის მიერ უნდა შეიკაზმოს მეფის ცხენი (§ 18) და სხვ.

ძეგლის მიხედვით მეფე უდგას სათავეში ყოველგვარ საეკლესიო და საერო საქმიანობას. საეკლესიო დღესასწაულის (ნათლისღება) დროს მეფესთან თავს იყრის, რაც „კაცი არის ქრისტიანი“ და მისი მეთაურობით მიემართება პროცესია ეკლესიისაკენ (§ 13).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მეფის გაღმერთების იდეა აღმოსავლეთის თეოკრატიული სახელმწიფოებისათვის იყო დამახასიათებელი. ამ წეს-ჩვეულებამ ანტიკური სამყაროს გამოვლიო ქრისტიანულ ბიზანტიაში დაიმკვიდრა და აქედან ევროპის ფეოდალურ ქვეყნებშიც გავრცელდა.

მეფის ღვთიური წარმოშობის იდეა, „ქელმწიფის კარის გარიგების“ გარდა, მოცემულია სხვა წყაროებშიც. მაგალითად, თამარის ისტორიკოსი თამარ მეფეს ღვთის თანასწორად თვლის.

მეფის პატივისცემისა და გაღმერთების წესჩვეულება, რომელიც „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ წარმოდგენილი, შემთხვევითაა გარემოებით არ აიხსნება. ეს არის ძლიერი მეფის ხელისუფლების იდეის გამოძახილი. ფეოდალური სახელმწიფოების ისტორიას არ ახსოვს ისეთი მეფე, რომელიც ძლიერებისაკენ არ მიისწრაფვოდა, მაგრამ იმისათვის, რომ მეფის მისწრაფება რეალურ საფუძველზე ყოფილიყო აგებული, საჭირო იყო შესაფერისი ეკონომიური პირობები.

<sup>1</sup> „ქელმწიფის კარის გარიგება“, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. XXXV.

ფრ. ენგელსის განმარტებით, ფეოდალური წყობილების დროს, როცა მსხვილი ფეოდალებისა და მეფის ხელისუფლების გაუთავებელი ბრძოლები არეულობასა და საერთოდ უწესრიგობას ქმნიდნენ, ერთად-ერთი პროგრესული ძალა, რომელიც წესრიგის წარმომადგენლად ითვლებოდა საერთო უწესრიგობაში იყო მეფის ხელისუფლება<sup>1</sup>.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ძალები მეფის მხარეზე იქნებოდნენ.

აღნიშნულ საზოგადოებაში მეფის ხელისუფლების გაძლიერება ნიშნავდა მსხვილი ფეოდალების ალაგმვას, ნათი სეპარატისტული მიდრეკილების აღკვეთას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას, საწარმოო ძალების განვითარებას, ე. ი. იმ ფაქტორების დაწინაურებას, რომლებმაც საბოლოო ჯამში განსაზღვრეს ძლიერი მეფის ხელისუფლების წარმოშობა. ძლიერი სამეფო ხელისუფლება, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს ედგა სათავეში, ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა ქვეყნის გარეშე მტრებისაგან დასაცავად. ამიტომ იყვნენ ფეოდალურ საზოგადოებაში პროგრესული ძალები ძლიერი მეფის ხელისუფლების ირგვლივ დარაზმულნი.

ფეოდალთა კლასი, რომლის ბატონობის იარაღს სახელმწიფო წარმოადგენდა, სახელმწიფო ორგანიზაციას ისეთ ფორმას აძლევდა, რომელიც უფრო მისაღები იყო მისთვის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ამ შემთხვევაში მთავარი იყო გაბატონებული კლასის საერთო ინტერესები. თუ როგორი ვითარება იყო შექმნილი მშრომელთა მასების დათრგუნვა-დამორჩილებისათვის, იმის მიხედვით მოქმედებდა გაბატონებული კლასი. ამასთანავე, მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო მდგომარეობასა და სხვა. როცა გაბატონებული კლასის ინტერესები მოითხოვდა, მაშინ იგი ქმნიდა სახელმწიფოს ისეთ ფორმას, რომელიც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებით იყო წარმოდგენილი.

მაგრამ, ძლიერი მეფის ხელისუფლების შესაქმნელად საჭირო იყო სათანადო ეკონომიკა.

ძიუხედავად იმისა, რომ „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ შემონახულია წინა ხანების დანაშრევები, მაინც ცხადად ჩანს, რომ ძეგლის ავტორი ძლიერი ფეოდალური მონარქიის — აბსოლუტიზმის იდეებს ატარებს თავის შრომაში. ისმება საკითხი: როგორ შეიძლებოდა ფეოდალურ საქართველოში აბსოლუტიზმის იდეები წარმოშობილიყო?

როგორც ცნობილია, აბსოლუტიზმი წარმოიშვება მაშინ, როცა ფეოდალურ საზოგადოებაში ჩაისახება და განვითარებას იწყებს კაპიტალიზმის საწყისები, ეს კი ხდება ფეოდალიზმის უკანასკნელ სტადიაზე, მისი დაშლის პერიოდში.

პირველ ყოვლისა, XI—XIII საუკუნეების საქართველოში, რომელსაც „ქელმწიფის კარის გარიგება“ ასახავს, ეკონომიური განვითარება საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა. ამის დამადასტურებელია ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, რაც ეკონომიური განვითარების შედეგი იყო. ამ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა ნაწილები ეკონომიურად ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი.

საწარმოო ძალთა და ქალაქური მეურნეობის განვითარება იყო საფუძველი ქვეყნის გაერთიანებისა.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. второе, т. 21, 1961, гл. 411.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში (XI—XIII საუკუნეებში) ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრების ერთგვარი გარდატეხის მაუწყებელია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქალაქის მოსახლეობის მოძრაობა. მისი აქტიურობა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში (ყუთლუ-არსლანის აჯანყება, მესტუმრე ჩიქურის სიკვდილით დასჯით გამოწვეული მღელვარება და სხვა). ამასთანავე, XIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში დამოწმებულია ამ პერიოდის საქართველოში სავაჭრო ორგანიზაციების (ურტალები) არსებობა.

გარდა ამისა, თვით ის ფაქტი, რომ ამ ეპოქაში იწერებოდა ისეთი შრომები, როგორც „ქელმწიფის კარის გარიგება“, იმის მაუწყებელია, რომ აბსოლუტიზმის იდეების წარმოშობისათვის სათანადო პირობები მზადდებოდა.

ამავე ეპოქაში დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“. ასეთი ნაწარმოების შექმნა მოწმობს, რომ აღნიშნულ ეპოქაში ქართული საზოგადოება განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ თვით შოთა რუსთაველი, თავის გენიალურ ნაწარმოებში, აბსოლუტიზმის იდეებს ქადაგებს. იგი მომხრეა ძლიერი მეფის ხელისუფლებისა; გაერთიანებული ქვეყნის მეფე, გონებისა და განათლების საფუძველზე სამართლიანად უნდა მართავდეს ქვეყანას.

ამასთანავე, ისეთი პროგრესული შეხედულებები, როგორც იმდროისათვის აბსოლუტიზმის იდეები იყო, შეიძლებოდა წარმოშობილიყო იმაზე ადრე, ვიდრე მისი პრაქტიკულად განხორციელება მოხდებოდა. ამგვარად, „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ წამოყენებულია ამ ეპოქისათვის მოწინავე, პროგრესული იდეები<sup>1</sup>.

ცხადია, ფეოდალური საზოგადოების რეაქციული ნაწილი ებრძოდა ამ იდეებს და არ უნდოდა მეფის ხელისუფლების გაძლიერება.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მსხვილი ფეოდალი, თუ კი იგი საერთოდ სცნობდა მეფის ხელისუფლებას და არ იყო ჩაბმული მასთან აშკარა ბრძოლაში, იმავე დროს მხარს უჭერდა მეფის სასახლის ბრწყინვალეობას, მეფის პიროვნების გარეგნულ განდიდებასაც კი. საქმე იმაშია, რომ სასახლის ბრწყინვალეობისა და მეფის პიროვნების განდიდების იდეები გაბატონებული კლასის იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი იყო: მეფე, რომელიც ყოველთვის გაბატონებული კლასის ინტერესების სადარაჯოზე იდგა, იმავე დროს ღვთის მიერ იყო გამოვლენილი ამ ქვეყნად და მას ყველა უნდა დამორჩილებოდა. ე. ი. მშრომელი მასები მას უნდა დამორჩილებოდნენ და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ არ უნდა გამოსულიყვნენ.

ფეოდალურ საქართველოში ყველაზე ძლიერი მეფის ხელისუფლება დავით აღმაშენებლის დროს შეიქმნა. ეს ხელისუფლება საკანონმდებლო გზით არ იყო შეზღუდული, მაგრამ ფაქტიურად ქვეყანას მსხვილ ფეოდალებთან ერთად მართავდა.

ფორმის მხრივ სახელმწიფოებრივი წყობილება საქართველოში დავით აღმაშენებლის, გიორგი III-სა და თამარ მეფის დროს შეუზღუდველ ფეოდალურ მონარქიას წარმოადგენდა. მაგრამ, ამ შეუზღუდველობას აბსოლუტიზმის ფორმა საქართველოში არ მიუღია. საქმე იმაშია, რომ დავით აღმაშენებ-

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმის შესახებ ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით (ტურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. № 3).



ლის, გიორგი III-სა და თამარის დროს საქართველო მაინც ცალკეულ სამეფოებისა და სამთავროებისაგან შედგებოდა. მართალია, ქვეყანა გაერთიანებული იყო, მაგრამ მასში შესული წინანდელი სამეფოები და სამთავროები ერთგვარი დამოუკიდებლობის ნიშნებს ატარებდნენ. გაერთიანებული საქართველოს მეფეები სამეფოებსა და სამთავროებს ამ ცალკეული სამეფო-სამთავროებისათვის დამახასიათებელი კანონებითა და წეს-ჩვეულებებით მართავდნენ. ცალკეულ სამეფო-სამთავროებში შემორჩათ შარტო ამ კუთხისათვის დამახასიათებელი სახელოები, ინსტიტუტები და სხვ.<sup>1</sup>

თამარ მეფის დროს კი მსხვილი ფეოდალების აჯანყების შედეგად, მეფის ხელისუფლება შეზღუდული აღმოჩნდა და როგორც ეს აღნიშნულია „ქელმწიფის კარის გარიგებაში“, აჯანყების შემდეგ სამეფოს „ერთნებობით“ ე. ი. მეფე და დიდებულები ერთობლივი შეთანხმებით მართავდნენ. ეს უკვე საკანონმდებლო გზით მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. მაშასადამე, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ორი პერიოდი განვლო: 1) ფორმალურად შეუზღუდველი მონარქიისა, 2) თამარის დროიდან ფორმალურად შეზღუდული სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

როგორც ჩანს, იმ ეკონომიკას, რომელიც საფუძვლად დაედვა ქვეყნის გაერთიანებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისათვის საჭირო ძალა არ აღმოაჩნდა.

## 2. დარბაზი

როგორც ვთქვით. მეფის ხელისუფლება შეზღუდული იყო მსხვილი ფეოდალების მიერ. მეფე სახელმწიფოს მსხვილ ფეოდალებთან ერთად მართავდა. ამ ორგანოს, რომლის საშუალებითაც მეფე და ფეოდალები სამეფოს განაგებდნენ დარბაზი ეწოდებოდა.

დარბაზში შედიოდნენ მსხვილი მოხელეები: ვაზირები, ერისთავები. ეპისკოპოსები. ამასთანავე მისი წევრები იყვნენ ე. წ. „უხელონიც“ ე. ი. ისეთი პირობები, რომელთაც რაიმე თანამდებობა არ გააჩნდათ. ასეთები შეიძლება ყოფილიყვნენ მსხვილი ფეოდალები. ის გარემოება, რომ ფეოდალს მამულები ჰქონდა, იმასაც ნიშნავდა. რომ იგი პოლიტიკური ხელისუფლების თანამონაწილე იყო.

დარბაზს იწვევდნენ დრო და დრო, საგანგებო შემთხვევის ან კიდევ დიდ დღესასწაულებთან დაკავშირებით. „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულია მაგალითად, განაწესი. რომელიც ვათვალისწინებელი იყო ნათლისღებისა და აღდგომის დღესასწაულების დროს დარბაზის მოწვევისათვის. როგორც ჩანს, ამ დღესასწაულების დროს დარბაზის მოწვევა სავალდებულო ყოფილა. გარდა ამისა, დარბაზი უნდა მოწვეულიყო ომის, მეფის ტახტზე აყვანისა და სხვა სახელმწიფო საკითხების განსახილველად.

დარბაზობის მოწვევის ორი წესი არსებობდა: დიდი და პატარა (§ 3). რაში მდგომარეობდა ამ წესებს შორის არსებული განსხვავება, ძეგლში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. სავარაუდებელია. რომ პატარა დარბაზის მოწვევა ხდებოდა სასწრაფო საკითხების მოსაგვარებლად.

<sup>1</sup> ივ. ჟავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II. ნ. II. 1929, გვ. 414-415; ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, II, 1965-წ. გვ. 139-163.

დარბაზი ძირითადად დიდებულთა ორგანო იყო, რომელიც ზღუდავდა და გასაქანს არ აძლევდა მეფის ხელისუფლებას.

### 8. სავაზირო

„ქელმწიფს კარის გარიგებაში“ მოცემულია აგრეთვე სავაზიროს მუშაობის განაწესი. სავაზირო ჭაჯობის მსგავსი დაწესებულება იყო. სავაზიროში შედიოდნენ ვაზირები და მისი თანაშემწეები: 1. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი (სავაზიროს თავმჯდომარე), 2. ათაბაგი, 3. ამირსპასალარი, 4. მანდატურთუხუცესი, 5. მეპურტლეთუხუცესი და 6. მსახურთუხუცესი, ამასთანავე — საწოლის მწიგნობარი, ამილახორი და ამირეჯიბი. „სავაზირო ქვეყნის მმართველობის საუწყებო სისტემის შემოღებას გულისხმობდა და მეფის ხელში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციას ემსახურებოდა. სავაზირო არსებითად ქვეყნის მმართველობის ადრეფეოდალური ხანის სისტემას — საერისთაობისა და დარბაზობის სისტემას უპირისპირდებოდა და ბიუროკრატიულ სამოხელეო მმართველობის ჩანასახს წარმოადგენდა“<sup>1</sup>.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით სავაზიროს სხდომა მტკიცედ იყო რეგლამენტირებული. როცა სავაზიროს მეფე ესწრებოდა, ის იყო სხდომის თავმჯდომარე. ვაზირებისათვის განსაზღვრული იყო ადგილები. სხდომის დაწყებისას „ჯალაბი“ გააყრებოდა და იწყებოდა სხდომა (§ 36).

საკიროდ მიმაჩნია შევჩერდეთ ამ შემთხვევაში ტერმინ „ჯალაბის“ განმარტებაზე.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ამ სიტყვის ასეთი განმარტებაა მოცემული: „ჯალაბი — დედაწული“, „ჯალაბობა-დედაწულიანობა“, ხოლო დედაწულის შესახებ ნათქვამია: „სახლის ჯალაბობა“. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონით ჯალაბი—სახლეულს. ცოლ-შვილს, ოჯახს, დედაწულს ნიშნავს.

ქართულ განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „ჯალაბი... (სპარ. ჯალაბ) 1. ოჯახი, ოჯახის წევრები, — სახლეული, 2. ცოლი, სახლობა, 3. კუთ. (გურ.) იგივეა რაც მოჯალაბე, 4. კუთ. (გურ.) ჯაბანი, გლახაკი...“

ამ განმარტებათა მიხედვით ჯალაბი სახლეულს, ოჯახის წევრს ნიშნავს. ასევეა ეს სიტყვა გაგებული ექ. თაყაიშვილის (იხ. ქვემოთ რუსული თარგმანი, § 36) და ივ. ჯავახიშვილის მიერ. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ჯალაბი გაიყაროს“—ო... ე. ი. ქალები და ყმაწვილები, ალბათ, სამეფო და ან იქნებ დარბაისელთა სახლობაც, დარბაზობიდგან უნდა გასულიყვნენ“<sup>2</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ჯალაბი“ ამ შემთხვევაში უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ და ოჯახის წევრების გარდა იგი უნდა ნიშნავდეს კარისკაცებს, სასახლის მსახურებს, რომელთაც ვაზირობაზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, როცა როსტევეზმა ტარიელის კვალს ვერ მიაგნო და შინ დამწუხრებული დაბრუნდა, მას საწოლს მარტო ავთანდილი შეპყვა. პოემაში ვკითხულობთ: „ყველაკი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი“ (101,3). „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვითაც ჯალაბში, როგორც ჩანს, სასახლის მოსამსახურებიც შედიოდნენ.

<sup>1</sup> „საქართველოს ისტორია“, 1, 1958 წ. გვ. 210.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1928, გვ. 200.

სავაზიროში ვაზირები შემდეგი რიგით ისხდნენ: პირველ ადგილზე იყო მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი (მეფის შემდეგ პირველი პირი სამეფოში), „ჰყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენ“ (§ 36), შემდეგი ადგილი ეკავა მანდატურთუხუცესს, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესის გვერდით მსახურთუხუცესი იჯდა (§ 37). სავაზიროს საათობირო ხმით ამილანორიც ესწრებოდა (§ 37).

საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცესის შოადგილედ ითვლებოდა და ვაზირობის დროს მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის მხარეს იდგა (§ 38), შუაზე კი — ამირეჯიბი (§ 38).

სავაზირო სახლის გარშემო მანდატურები იდგნენ. სავაზიროში არავის არ უშვებდნენ. თუ სავაზიროს სხდომის დროს საჭირო შეიქნებოდა ვისმეს გამოძახება, იმას შემოიყვანდნენ.

სავაზიროს დადგენილების დაწერა მწიგნობარს ევალებოდა. მეაბჯრეთუხუცესი, განმგეთუხუცესი, საჭურჭლის ნაცვალი, მესტუმრე, ზარდახნის მწიგნობარი და სხვა ხელისუფალნი ვაზირობის დროს გარეთ იდგინდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში სავაზიროს განკარგულება სასწრაფოდ შეესრულებინათ (§ 38).

#### ა) მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი

როგორც ზემოთ ვთქვით, ექვს ვაზირთა შორის პირველი ადგილი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს ეკირა. სიტყვა-სიტყვით მწიგნობართუხუცესი მწიგნობართა უფროსია. მწიგნობარი ნიშნავს მდივანს, მწერალს. მმართველობის ყველა დარგში იყო დაწესებული მწიგნობრის თანამდებობა.

მწიგნობარი ადგენდა საქმიან ქალაქებს, ხელმძღვანელობდა დაწესებულების საანგარიშო განყოფილებას და ასრულებდა სხვადასხვა დავალებას. სულ სამეფო კარზე 26 მწიგნობარის თანამდებობა არსებობდა. მათგან გამოირჩეოდნენ საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარები.

საწოლის მწიგნობარი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, მეფესთან ძლიერ დაახლოებული იყო. ამასთანავე იგი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის თახამეშქედაც ითვლებოდა. ვაზირობის დროს საწოლის მწიგნობარი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის გვერდით იდგა საწერით ხელში და მწიგნობართუხუცესის ყოველგვარ განკარგულებას ასრულებდა. (§ 38).

ამასთანავე, საწოლის მწიგნობარი თან ახლდა ხოლმე მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს სააჯო კარში და ზარდახნის მწიგნობართან ერთად ეხმარებოდა საქმეების განხილვაში (§ 8).

მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი „ვითა მამა არს მეფისა“, ამიტომ, „ყველა ჭაურავი უმისოდ არ იქნების“ (§ 9), — ვკითხულობთ „ქელმწიფის კარის გარიგებაში“.

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი კაცი იყო სახელმწიფოში და იგი მის თანამეშქედ ითვლებოდა. მას არ ებარა მმართველობის რომელიმე დარგი. იგი ყველა დარგს უწევდა ზედამხედველობას.

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი სავაზიროს მეთაური, პრემიერ მინისტრი ანუ კანცლერი იყო. იგი როგორც სავაზიროს უფროსი, სამხედრო საქმეების მოწესრიგებაშიც ლებულობდა მონაწილეობას. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი, როგორც მონაზონი, ოთხ საპატიო მონაზონთან ერთად იყო გათვალისწინებული დარბაზობის განაწესში (§ 21, 22).

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს, როგორც საეკლესიო მოხელეს, გარდა ველათისა, ყველა მონასტერი და ეკლესია ემორჩილებოდა (§ 9).

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის სახელო ქართული სახელმწიფოს გაძლიერების გარიერაზე წარმოიშვა. ამ სახელოს პატრონი აქტიური მონაწილე იყო სახელმწიფოს საქმიანობის და საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა-დაკნინება იყო სახელოს ძლიერების დასასრულიც.

მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის თანამდებობა დავით აღმაშენებელმა შემოიღო. მწიგნობართუხუცესობა დავით აღმაშენებელამდე არსებობდა, მაგრამ დავითი იყო პირველი მეფე, რომელმაც მწიგნობართუხუცესობა ჰყონდიდის ეპისკოპოსს გადასცა, როგორც ეპისკოპოსთა შორის ყველაზე ერთგულ სასულიერო პირს და უფრო გააფართოვა ამ თანამდებობის ფუნქციები.

აღნიშნული ღონისძიებით მეფემ პირველ ყოვლისა, ეკლესიის დაუმორჩილა მეფის ხელისუფლებას. გარდა ამისა, ჰყონდიდელი, როგორც მონაზონი და მამასადაძმე, უცოლშვილო, არ იყო დაინტერესებული მამულების შექენით. ეს გარემოება კი უფრო საიმედოს ხდიდა ჰყონდიდელის ერთგულებას მეფისადმი.

დავით აღმაშენებლის ვარაუდი გამართლდა და მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი მართლაც მეფის ხელისუფლების გაძლიერების საქმეს ემსახურებოდა!

### ბ) ათაბაგი

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ათაბაგი იხსენიება მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის შემდეგ და მას პატივის მხრივ თანასწორი ადგილი უკავია ამირსპასალართან და მანდატურთუხუცესთან ერთად (§§ 22, 32,33). მამასადაძმე ათაბაგი ვაზირების პირველ სამეულში შედის.

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ „ათაბაგი დიდი და საბატო“ ვაზირია და „ძვირად ოდესმე იქნების“ (§ 36). ვაზირობის დროს ათაბაგის ადგილი არის „ჰყონდიდელს ქვემოთ“ ამირსპასალართან ერთად (§ 36).

ასეთია „ქელმწიფის კარის გარიგების“ ცნობები ათაბაგობის შესახებ.

თუ ჩვენ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის სახელოს დაწესება ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერებას დაუკავშირებთ, ამის საწინააღმდეგო უნდა ვთქვათ ათაბაგობის შესახებ. ათაბაგობა საქართველოში შემოღებულ იქნა მსხვილი ფეოდალების მეფის ხელისუფლებაზე გამარჯვების შემდეგ. ათაბაგი თავისი თანამდებობრივ მდგომარეობით მაშინვე დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს.

პირველი ათაბაგი საქართველოში ივანე მხარგრძელი იყო. როცა მისი ძმა ზაქარია გარდაიცვალა, თამარ მეფემ ამირსპასალარის სახელო ივანეს უბოძა, როლო ივანემ ამირსპასალარობის ნაცვლად მეფეს ათაბაგობა გამოსთხოვა. ეს მოხდა 1212 წელს.

ათაბაგობა სელჯუკიანთა სამეფოში იყო გავრცელებული და იგი ტახტის მემკვიდრის მეურვედ ითვლებოდა. ასეთივე ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული ათაბაგს საქართველოში.

ივანე მხარგრძელი მსახურთუხუცესი იყო, ე. ი. სასახლის ხელშინაური მოწვე. გიორგი ლაშა მისი ამ მოხელეობის დროს დაიბადა და აღიზარდა, ასე რომ მეფის მემკვიდრის აღზრდის საქმესთან მას, როგორც მსახურთუხუ-

<sup>1</sup> ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966. გვ. 5—56.

ცეს ხელი მართლაც მიუწვდებოდა ფაქტიურად. ამავე დროს, ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით მეფის მემკვიდრის აღზრდის ფუნქციები მეფის შემდეგ პირველ პირს ეკუთვნოდა. ასეთი კი მწიგნობართუხუცეს-წყობნიდელი იყო. ამგვარად, ათაბაგობა იმ ოთვე დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს-წყობნიდელს და დაიწყო ბრძოლა მათ შორის პირველობისათვის.

ათაბაგობა ხშირად შეთავსებული იყო ამირსპასალარის სახელოსთან. შემდეგში ამ თანაშემწეობას მედროვეები დაეპატრონენ. ათაბაგსა და მწიგნობართუხუცეს-წყობნიდელს შორის ბრძოლა დასრულდა იმით, რომ საქართველოს სახელმწიფო დაუსტდა და ორივე სახელო გადაშენდა<sup>1</sup>.

### გ) ამირსპასალარი

ამირსპასალარი სამხედრო დარგის ხელმძღვანელი იყო სახელმწიფო მმართველობაში. „ლაშქრობაჲ და ლაშქრობის ვეზრობა ამირსპასალარის კელთ არის“, წერია „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ (§ 18).

ვაზრობის დროს პირველი სიტყვა ამირსპასალარს ეკუთვნოდა (§ 18). ეს ალბათ იმ შემთხვევაში თუ საკითხი სამხედრო საქმეს შეეხებოდა.

ამირსპასალარს სხვა პრივილეგიაც ჰქონდა. „ამირსპასალარი საბატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის“. — გადმოგვცემს „ქელმწიფის კარის გარიგება“ (§ 36).

ამირსპასალარი რომ საბატიო ვაზირი იყო. ეს ისედაც ცნობილია. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს „ქვეყნის გაცემის“ განსაკუთრებული უფლება, რომელიც ამირსპასალარს ჰქონია. „ქვეყნის გაცემა“ ნიშნავდა მიწითა და გლეხებით, ვისმე დაჭილღებდას—მეფის მიერ. ჩვენამდე მოღწეულია გაერთიანებული პერიოდის შედეგების წყალობის ზოგი სიგელი და ამ საბუთებში ამირსპასალარის შესახებ არაფერია ნათქვამი. შესაძლებელია, სიგელების სიმციროს გამო არ გვაქვს ამირსპასალარის შესახებ რაიმე ცნობა. ამასთანავე გამორიცხული არ არის ისიც, რომ დიდი უფლებების მიუხედავად სავალდებულო ყოფილიყო სიგელებში ამირსპასალარის მოხსენიება, რადგანაც ხელს პირადად მეფე აწერდა საბუთს და ეს უკვე საქმარისი იყო სიგელის ძალაში შესასვლელად.

რატომ შეიძლებოდა რომ ასეთი უფლება ამირსპასალარს ჰქონოდა? საქმე იმაშია, რომ ისეთი სახელმწიფო გადასახადები, როგორც იყო სამხედრო შიხარსის გადასახადი—სალაშქრო (ლაშქარ-ნადირობა). მიწისა და გლეხების მფლობელობასთან იყო დაკავშირებული. გადასახადს იმ მამულებზე, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა სამართლის კერძო საწყისებით, მოსახლეობას მეფის მოხელე აწერდა. ხოლო ფეოდალების მამულებზე მეფის მოხელე უშუალოდ არ ანაწილებდა გადასახადს. მეფეს ამ შემთხვევაში სახელმწიფო გადასახადების ჩხრივ ფეოდალთან ჰქონდა საქმე. აქედან ცხადია, რომ ამირსპასალარი საქმის კურსში უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ მიწების წყალობის სახით გაცემის შესახებ, რომ სამხედრო გადასახადის აღრიცხვისა, მისი გაწერისა და აკრეფის ვარაუდი დაეკირა. ვარდა ამისა. მამულებით წყალობა ხშირად დაკავშირებული იყო ლაშქრობის შედეგებთან. ლაშქრობა თუ გამარჯვებით მთავრდებოდა, როგორც წესი, ომში წარჩინებული მონაწილეები უნდა დაეჭილდოებიათ

<sup>1</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, 1965.

და ეს საქმე ამირსპასალარის გარეშე არ უნდა მომხდარიყო. ჯრადგანაც სწორედ ამირსპასალარს შეეძლო ყველაზე მეტად სცოდნოდა ომის მონაწილეთა საქმიანობა. ასე იყო თუ რა, თვით ის ფაქტი, რომ მიწის წყალობით გაცემაზე ამირსპასალარს ასეთი უფლება ჰქონდა, მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. ჯროგორც ჩანს, როდესაც დიდებულებმა თამარის დროს მიაღწიეს იმას, რომ მეფის ხელისუფლება შეზღუდეს (ერთნებობით მართვა სამეფოს მეფის და დიდებულების მიერ), ალბათ მაშინვე აიძულეს მეფე დათანხმებულიყო ამირსპასალარის ასეთ უფლებაზე. ამირსპასალარი კი ფეოდალურ საქართველოში მსხვილი და პირველი ფეოდალთაგანი იყო. ამირსპასალარი ყუბასარი არ იყო ასეთი პირველი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი და აჯანყებულმა დიდებულებმა სწორედ ის ამოიღეს ნიშანში და მეფეს მოსთხოვეს მისი სამსახურიდან გადაყენება.

პატივით ამირსპასალარი ვაზირთა პირველ სამეულს მიეკუთვნებოდა და იგი ძეგლში ათაბაგის შემდეგ არის მოხსენებული.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამირსპასალარობა XII საუკუნეზე აღინდელ ძეგლებში არ იხსენიება, თუმცა მისი არსებობა მანამდეც არ არის გამორიცხული, რადგანაც ტერმინი სპასალარი წინანდელ ძეგლებშიც ვხვდებით.

ამირსპასალარის მოადგილე იყო ამილახორი (§ 18). იგი პატივით გათანაბრებული იყო მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესთან (§ 25).

ამილახორი სავაზიროს სხდომას ესწრებოდა, მაგრამ მას მხოლოდ სათათპირო ხმა ჰქონდა, როცა შეეკითხებოდნენ, მაშინ უნდა გაეცა პასუხი. ამილახორს „ვეზირობა ესმის და იგი არას იტყვის, რასაც არა ჰკითხავენ და რაჲ კითხონ, მაშინდა პასუხს იტყვის“, წერია „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ (§ 37).

ჯარი, რომელსაც ამირსპასალარი მეთაურობდა შედგებოდა ქვეითისა და ცხენოსნებისაგან. ამილახორის საქმიანობა ძირითადად ცხენოსანი ლაშქრის და პასთან დაქვემდებარებულ საკითხებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. საყურადღებოა რომ ამილახორი „ვეფხისტყაოსანში“ ასეთ კონტექსტშია მოცემული: „ამილახორო, მოასხი რემა, ცხენი და ჯოგია“, უბრალოდ მას (54,2).

ამირსპასალარის სახელოში ამილახორის გარდა შედიოდნენ აგრეთვე მებაჭრეთუხუცესი და ზარდახნისუხუცესი მათდამი დაქვემდებარებულ მოხელეებით (§ 18).

პ. ინგოროყვას აზრით, 6 ვაზირის გარდა კიდევ იყო სამი თანამდებობის პირი, სახელდობრ ჩუხჩარხი, მეჯინიბეთუხუცესი და ამილახორი, რომლებიც სპასპეტებად იწოდებოდნენ და უმცროსი ვაზირების უფლებებით სარგებლობდნენ. მეკლევარის აზრით, ამილახორი და მეჯინიბეთუხუცესი ამირსპასალარის მოადგილეები იყვნენ, ხოლო ჩუხჩარხი იყო მეფის სადროშოს სპასპეტი და ამ მხრივ მეფის მოადგილე. ამავე დროს იგი მეფის გვარდიის სათავეში იდგა. კორნაციონს დროს ჩუხჩარხი მეფის უკან მიდიოდა, როგორც დაცვის უფროსი.<sup>1</sup>

აქედ. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ჩუხჩარხი სამხედრო უწყების მსხვილი მოხელე და მეფის დაცვის უფროსი უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

1 ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1. 1929 წ. გვ. 141.

2 პ. ინგოროყვა. თხზულებანი, 1. 1963. გვ. 563. გვ. 564.

3 ი. სურგულაძე. კორნელი კეკელიძე და ქართული სამართლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1961, V.

აკად. კ. კეკელიძე ჩუხჩარხის ვაზირობაზე არაფერს ამბობს, ივ. ჯავახიშვილს განხილული აქვს ამილახორის, მეჭინბეთუხუცესისა და ჩუხჩარხის სახელოები, მაგრამ ეს მოხელეები ვაზირებად არ ეგულებად<sup>1</sup>. რადგანაც ამილახორის, მეჭინბეთუხუცესის და ჩუხჩარხის მიმართ ძეგლებში ვაზირობის წოდებულება არ არის დამოწმებული, ამიტომ ჭერჯერობით არ მიგვაჩნია შესაძლებლად პატივცემული მეცნიერის პ. ინგოროყვას მოსაზრების გაზიარება.

## დ) მანდატურთუხუცესი

სახელწოდება მანდატურთუხუცესი ორი ნაწილისაგან შედგება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მანდატური ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვაა<sup>2</sup>. სიტყვა-სიტყვით მანდატურთუხუცესი მანდატურების უფროსს ნიშნავს.

მანდატურთუხუცესი ვაზიარია და იგი ვაზირთა პირველ სამეულს ეკუთვნის. მისი პატივი ათაბაგისა და ამირსპასალარისას უტოლდება (§ 22). მანდატურთუხუცესის და ამირსპასალარის პატივი „სწორი არის“, ვკითხულობთ „ქელმწიფის კარს გარიგებაში“ (§ 36)

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მანდატურთუხუცესი იყო მანდატურების უფროსი ე. ი. მანდატურები მის საგამგებლოში შედიოდნენ. ეს უკანასკნელნი თავიანთ მხრივ სხვადასხვა ხასიათის ფუნქციებს ასრულებდნენ. მანდატურები გაპოდოდნენ მეფის მცველების როლში. მაგალითად, საეაზიროს სხლოვის დროს მანდატურები იმ შენობის „გარეშემო“ იდგნენ (§ 38) წესრიგის დასაცავად, სადაც სხლომა მიმდინარეობდა. მანდატური მიჩენილი ყავდა, მაგალითად, ამირეჯაბს, როგორც მხლებელი დაცვისა სხვადასხვა დავალების შესასრულებლად (§ 12). სამოხელეო გასამრჯელოდან მანდატურსაც ეკუთვნოდა ნაწილი და როგორც ჩანს, ყველა მოხელეზე ნაკლები (§ 13) ისინი ხელმძღვანელობდნენ მეფის ვენახების სამუშაოებს (§§ 11, 20).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ქელმწიფის კარს გარიგების“ მიხედვით მანდატური ატარებდა არგანს (§ 28). არგანი კი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით ჯოხს ნიშნავდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უფრო გვიანდელ ხანაში, სახელდობრ XVII—XVIII საუკუნეებში აღმინისტრაციული და აღმასრულებელი ხასიათის დაბალ მოხელეებს ხელჯოხიანები ერქვათ<sup>3</sup>.

38-ე პარაგრაფის შინაარსის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ რომ, მანდატური, როგორც წესი, არგანს ატარებდა ე. ი. არგანი მისი სამოხელეო ნიშანი იყო<sup>4</sup>.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა იმ გარემოების აღნიშვნა, რომ თვითონ მანდატურთუხუცესის სამოხელეო ნიშანი ოქროს არგანი ყოფილა, რომელსაც „სამანდატურო“ რქმევიან<sup>5</sup>. მაშასადამე, მანდატურთუხუცესის და მისი უწყების მოხელეებისათვის არგანი სამოხელეო გარეგნული ნიშანი ყოფილა. ალბათ, იგი მათ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. შემდეგდროინდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, მანდატურთუხუცესი საპოლიციო უწყების ხელმძღ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, გ. 1, გვ. 159.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I. 1952 წ., გვ. 251—253, 271—273.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 11, გ. 1, გვ. 160.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 158.

ენელად მოჩანს. დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ეს უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს უდრიდა.

მანდატურთუხუცესი იყო სასახლის მთავარი განმკარგულებელი დარბაზობის დროს. „კელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მანდატურთუხუცესი ხელმძღვანელობს დარბაზობის განაწესის შესრულებას.

დარბაზობის დაწყებისას „მეფე უბრძანებს მანდატურთუხუცესსა, იგი არგანს დაადგებს და ამირეჯიბი არგანს აიღებს“. მანდატურთუხუცესის ხელმძღვანელობით იწყებოდა დარბაზის მონაწილეთა მოწვევა (§ 33).

უნდა აღინიშნოს, რომ მანდატურთუხუცესი მეფის ვენახების სამუშაოების საქმეებსაც განაგებდა. „კელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მანდატურთუხუცესი აძლევს განკარგულებას მანდატურს, რომ მიიყვანოს მეფის ვენახებში მუშები, თვალყური ადევნოს მათ შრომას და სხვა (§ 11).

მანდატურთუხუცესის მოადგილედ ამირეჯიბი ითვლებოდა. იგი საპატიო თანამდებობა იყო. ამირეჯიბი „სადა გინდ იყოს მეფე... ყოველგან მივა და ყოველგან იურვის“, წერია მე-12 პარაგრაფში. ეს იმას ნიშნავს, რომ ამირეჯიბს, როგორც მეფესთან დაახლოებულ პირს ყოველთვის ჰქონდა მასთან მისვლის უფლება. მხოლოდ მაშინ, როცა მეფე „უკაზმავი“ არის, მისი მომსახურება მსახურთუხუცესსა და მის სახელოში შემავალ მოხელეებს. ეკუთვნოდათ, მაგრამ ამირეჯიბის „დათხოვნა არც მათგან ეგების“ (§ 12).

ამირეჯიბი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დარბაზობის დროს გათვალისწინებულ განაწესის შესრულებაში, როგორც მანდატურთუხუცესის თანაშემწე (§§ 33, 23).

ამირეჯიბი დიდი პატივით სარგებლობდა. იგი იყო ერთ-ერთი იმ სამი მოხელეთაგანი (საწოლის მწიგნობარი, ამილახორი და ამირეჯიბი), რომელიც სავაზიროს სხდომას ესწრებოდა. მას სათათბირო ხმის უფლება ჰქონია (§ 38).

მეფე ამირეჯიბს ისეთივე პატივით ღებულობდა, როგორც ვაზირებს (§ 29).

ამირეჯიბს ეკუთვნოდა პირადი მხლებელი, ადიუტანტი (§ 12). მას ემორჩილებოდნენ ეჯიბები და სხვა მოხელეები.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ეჯიბები მსხვილ ფეოდალებსაც ჰყავდათ. იგი საკმაო საპატიო თანამდებობად ითვლებოდა<sup>1</sup>.

მანდატურთუხუცესს ემორჩილებოდნენ აგრეთვე გამგეთუხუცესი, მესტუმრე და სხვა.

ჩვენ საუბარი გვქონდა მანდატურთუხუცესისა და სხვა მოხელეების სამოხელეო გასამრჩელოზე, რომელიც „კელმწიფის კარის გარიგებაში“ აღინიშნება ტერმინით „ქრთამი“. „ქრთამში“ ამ ძეგლის მიხედვით იგულისხმება მოხელის ნუბადართული გასამრჩელო, მაგრამ ამავე ეპოქაში და შემდეგ სხვა ძეგლებზე მიხედვით, ამ ტერმინმა ორმაგი მნიშვნელობა მიიღო. იგი ნიშნავდა კანონიერ გასამრჩელოს და უკანონოს (სულხან-საბა ორბელიანი. განმარტებით ქრთამი „საციოდავი ძღვენია“).

## მ) მეჭურჭლეთუხუცესი:

მეჭურჭლეთუხუცესი, „კელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „ძველი ეჯიბი არის და საპატიოა“ (§ 36). თუმცა ეს სახელო XII საუკუნის წინანდელ

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე. ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში. ტ. II. 1965. გვ. 23—35.



წყაროებში არა ჩანს, მაგრამ მისი ფუნქციები ისეთია, რომ მართლაც მეჭურჭლეთუხუცესი ერთ-ერთი „ძველი“ სახელო უნდა იყოს. ძნელი დასაჯერებელია. რომ XII საუკუნეზე აღონდელ მეფეებსა ანდა მთავრებს თავიანთი ფინანსთა მინისტრის მსგავსი მოხელე არ ჰყოლოდათ.

მეჭურჭლეთუხუცესი, პირველ ყოვლისა, მეჭურჭლეთა უფროსი იყო. საქურჭლე სახელმწიფო ხაზინას ერქვა, იგი ერთი იყო ისე, როგორც ერთი იყო სახელმწიფო, მაგრამ ამ სახელმწიფო საქურჭლის ანუ ხაზინის განძეულობა თუ ფასეულობა შეიძლებოდა სხვადასხვა ადგილს ყოფილიყო შენახული<sup>2</sup>.

საქურჭლეში ყოველდღიურად სახმარი და სახარჯავი ქონება ინახებოდა (§ 17), სალაროში კი „შეკრული“ იყო „სხვადა ლარი და ჭურჭელი, ოქროსი, ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური“ (§ 18), ე. ი. ისეთი სიმდიდრე, რაც ყოველდღიურად „სანიადაგოდ“ სახმარი არ იყო<sup>3</sup>. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა მხოლოდ საქურჭლე<sup>4</sup>.

გარდა ამისა, მეჭურჭლეთუხუცესის საგამგეოში შედიოდა აგრეთვე „ძველნი ქალაქნი, ვაჭარნი, საგაჭრო რაც მეფისა [ა], სადაც წავა ანუ მოვა“ (§ 17). მეჭურჭლეთუხუცესი მსახურთუხუცესთან ერთად შეადგენდა ვაზირთა მეორე ჯგუფს. ამ ორ ვაზირს ნაკლები პატივი ჰქონდა ვიდრე პირველ სამეულს — ათაბაგს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს (§ 25). ამასთანავე, მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესს ერთნაირი პატივი ეკუთვნოდათ (§ 17, 25, 37).

მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ვაზირს, თავისი ბეჭედი ჰქონდა (§ 20). ამავე დროს ჰყავდა თავისი მოადგილე. რომელსაც მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი ეწოდებოდა. ეს ფაქტი დამოწმებულია თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის შრომაში<sup>5</sup>. მაგრამ „...ქელმწიფის კარის გარიგებაში“ იგი თითქოს „საქურჭლის ნაცვალი“-ს (§§ 17, 98) სახელით გვხვდება.

იმის თქმა. თუ რას ნიშნავს „საქურჭლის ნაცვალი“, არის თუ არა იგივე ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა, — ძნელია, მაგრამ „საქურჭლის ნაცვალი“ თუ მეჭურჭლეთუხუცესის მოადგილე არ იყო, ყოველ შემთხვევაში მისდამი დაქვემდებარებული მაინც იქნებოდა.

„საქურჭლის ნაცვალის“ გარდა მეჭურჭლეთუხუცესის უწყებაში შედიოდნენ შემდეგი მოხელეები: მუშრიბი, საქურჭლის მექიფი და მეჭურჭლენი.

### 3) მსახურთუხუცესი

მსახურთუხუცესი მსახურთა უფროსი იყო. თავისი წარმოშობით მსახურთუხუცესის სახელო ხელშინაური, სასასახლო სამართლის კერძო საწყისებზე აღმოცენებული სახელოა. რამდენადაც სენიორი, სამართლის საჯარო ხასიათის ნიშნებს იძენს, ხდება მეფედ, იმდენად მისი სასახლის მსახურებიც იძენენ სახელმწიფო მოხელის თვისებებს. მსახურთუხუცესი ერთ-ერთი უძველესი სახელო უნდა იყოს, რამდენადაც მსხვილი ფეოდალი, მთავარი და მით უფრო მეფე, მსახურებისა და მათი უფროსის გარეშე არ იქნებოდნენ.

1 ივ. ჭავჭავაძის, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. 1. გვ. 167.

2 იქვე. გვ. 170—172.

3 იქვე. გვ. 174.

4 იქვე. გვ. 175.

5 იქვე. გვ. 167.

მსახურთუხუცესი თავისი მდგომარეობით ძლიერ დაახლოვებული იყო მე-  
ყესთან. თამარ მეფის კარზე მსახურთუხუცესად ივანე მხარგრძელი იყო. მან  
დიდი ნდობა მოიპოვა მეფის სასახლეში და შემდეგში ათაბაგობის სახელოც მი-  
იღო. მსახურთუხუცესი ვაზირად რუსუდან დედოფალმა გახადა (§ 36).

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მსახურთუხუცესის „ხელისა-  
არის: სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარეშთუხუ-  
ცესი; ციცხეთუხუცესი, მეხილეთუხუცესი“ (§ 14).

სალარო, როგორც აღვნიშნეთ, დიდი დაწესებულება იყო. მასში ინახებო-  
და ისეთი ძვირფასი ქონება, რომელიც ყოველდღიურად არ იყო სახმარი (§ 17).  
სალაროს მიხედვით მსახურთუხუცესის სახელოში შემავალ დიდ მოხელედ ით-  
ვლებოდა მოლარეთუხუცესი, რომელსაც ექვემდებარებოდა ყველა მოლა-  
რე (§§ 1, 14).

მეორე დაწესებულება, რომელიც მსახურთუხუცესის სახელოში შედიოდა  
საწოლი და მისი სათავსოები იყო. მეფის საწოლს მესაწოლეთუხუცესი განა-  
გებდა.

მესაწოლეთუხუცესი ვაზრობის ღირს „სალაროს კარის გამოსავალსა-  
დგას, გარეთ, მეფის ზურგიით“ (§ 38). ამ მხრივ მოლარეთუხუცესს თითქოს მა-  
სზე უპირატესობაც აქვს, რამდენადაც ის ვაზრობის ღირს „სალაროს კართა-  
შიგან დგას“ (§ 38).

მესაწოლეთუხუცესის მოვალეობა იყო მიმსახურება გაეწია მეფისათვის.  
მაშინ, როცა მეფე „უკაზმავი“ იყო (§ 12). მესაწოლეთუხუცესს მესაწოლე-  
ნი ექვემდებარებოდნენ. 700 „სახლი მესაწოლე არის და ულუხი რვა სახლია-  
და სხვა ყოველივე აზნაური“ (§ 15). მესაწოლენი ძირითადად მეფის მცველე-  
ბი იყვნენ.

როდესაც მეფე „აიყაროს“ მაშინ „შვიდასივე შუბოსანი“ მეფეს გაყვესო.  
ამ განსაკუთრებული დანიშნულების გამო მესაწოლენი მეფის ერთგულნი უნდა.  
ყოფილიყვნენ. ამიტომ ისინი უმთავრესად აზნაურებიდან იყვნენ შერჩეულნი.

მსახურთუხუცესის უწყებაში შემავალ ფარეშთუხუცესს (§ 17, 19), ციცხ-  
ეთუხუცესს (§ 14) და მეხილეთუხუცესს (§ 14) თავიანთი შტატი, თავიანთი მო-  
ხელები ჰყავდათ.

\* \*

ბეგლის მიხედვით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სახელმწიფოსა და  
ეკლესიის დამოკიდებულების საკითხი. ამ საკითხზე ნაწილობრივ შევჩერდით  
მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის სახელოსთან დაკავშირებით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეკლესია-მონასტრები თავის დროზე მსხვილ  
დაფეოდალოებად ითვლებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ეკლესიის ზოგიერთი  
წარმომადგენელი ადგილზე ერისთავადაც იწოდებოდა. მაგალითად, მტბევიარა,  
გარდა იმისა, რომ სასულიერო პირი იყო შავშეთის ერისთავადაც ითვლებოდა.  
(§ 28).

საეკლესიო სახელოებიდან „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ყვე-  
ლაზე უფრო საინტერესო მოძღვართ-მოძღვარია. მას განსაკუთრებით საპატიო  
ადგილი უკავია სახელმწიფოში. ეკლესიის ოთხ უმაღლეს იერარქს შორის იგი  
პირველია: „ამ ოთხთაგან (მოძღვართ-მოძღვარი, ორი კათალიკოსი და მწიგ-  
ნობართუხუცეს-ჰყონდიდელი ი. ს.) ერთი საჯდომი მარჯვენით (მეფის ი. ს.)  
დაუწერია მოძღვართ მოძღვარისა“ (§ 21). მაშასადამე, ამ ოთხში პირველი

## [24] ბარიგება ჯელგწივის კარისა<sup>1</sup>

[1]

მსახურთუხუცეს[ს]ა<sup>3</sup> სალაროთ<sup>4</sup> მოლარეთუხუცესი მოართომს და მოუფენს; მსახურთუხუცესი მას<sup>5</sup> ეთაყვანების.

— მას<sup>6</sup> წელიწდის თავს<sup>7</sup> დღეს მეფე<sup>8</sup> არავეის[გან]<sup>9</sup> შეიმოსების ამისგან<sup>10</sup> კიდე, რომე მონადირეთუხუცესი ყვთლით ყაბარჩით შემოსს<sup>11</sup>, საჯელმოკლით, ტყავიანითა<sup>12</sup>, — მოყვენთუსლითა, არა დია პრტყელად<sup>13</sup>, საყელოსა; — და თავსა<sup>14</sup> კარგისა ყვრდიზისა და მალლად<sup>15</sup> აშვერილსა<sup>16</sup>, მკლოდ შეკერულსა<sup>17</sup> ქულსა დაარქვამს.

საღვინეთ წინ ქვე დასმენ მალა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს<sup>18</sup>, მობარშულს, წინ დაუდგმენ.

შას<sup>19</sup> წინათ, საღვინეთავე, იმის კერძს, შორს, აღრე მკერვალთუხუცესი<sup>20</sup> და ტყის<sup>21</sup> მტველ[ნი]<sup>22</sup> დასხდებიან. და მეხელადეთუხუცეს[ნი]<sup>23</sup> დგანან<sup>24</sup>; აღთვალვენ<sup>25</sup> მათცა<sup>26</sup> და დასხდებიან მასვე<sup>27</sup> ადგილსა, საცა დგებიან. და მონადირეთაცა.

[2]

აქითგან<sup>28</sup>, [25] წლის თავით<sup>29</sup>, თევდორობამდის [კარზედა არიან]\*. მონადირეთუხუცესი მწვადს მიიხვამს, უკანისდა მიდგების, იკითხავს<sup>30</sup>, ხვალ სით ჰკვლევენ; უბრძანებს მეფე<sup>31</sup>, სითაც ვერიანების, ჭიქას უბოძებს და მწვადს; შესჭამს<sup>32</sup> და შესვამს ღვინოსა, და მუნწექ<sup>33</sup> წავა და დაჭდების თავის<sup>34</sup> ადგილსა.

<sup>1</sup> ქმწიფის. <sup>2</sup> კარისა. <sup>3</sup> [ს] ე. თაყ-საა. <sup>4</sup> სალაროთ. <sup>5</sup> მას. <sup>6</sup> მას. <sup>7</sup> თავს. <sup>8</sup> მეფე. <sup>9</sup> არავეის[გან]. <sup>10</sup> ამისგან. <sup>11</sup> შემოსების ამისგან... ყაბარჩით... შემოსს[შემოსს ამისგან]. <sup>12</sup> ტყავიანითა. <sup>13</sup> პრტყელად. <sup>14</sup> საყელოსა, — და თავსა და საყელოსა. <sup>15</sup> მალლად. <sup>16</sup> აშვერილსა. <sup>17</sup> მკლოდ შეკერულსა. <sup>18</sup> ტახის თავს. <sup>19</sup> შას. <sup>20</sup> მკერვალთუხუცესი. <sup>21</sup> ტყის. <sup>22</sup> მტველ[ნი]. <sup>23</sup> მეხელადეთუხუცეს[ნი]. <sup>24</sup> დგანან. <sup>25</sup> აღთვალვენ. <sup>26</sup> მათცა. <sup>27</sup> მასვე. <sup>28</sup> აქითგან. <sup>29</sup> თავით. <sup>30</sup> იკითხავს. <sup>31</sup> მეფე. <sup>32</sup> შესჭამს. <sup>33</sup> მუნწექ. <sup>34</sup> თავის.

ადგილი მოძღვართ-მოძღვარს ეკავა. ამას მოწმობს აგრეთვე ის, რომ მათ შორის მოძღვართ-მოძღვარი პირველად მოიხსენიება (§§ 22, 32, 33). მიღების დროს პირველად მოძღვართ-მოძღვარს იწვევენ მეფესთან და მეფეც ყველაზე დიდი პატივით მას ღებულობს (§ 22).

როგორც „ქელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, მოძღვართ-მოძღვარი მეფისათვის ძლიერ საპატიო პიროვნებაა, მაგრამ რა ფუნქციები ჰქონდა მას, ამის შესახებ ძეგლში არაფერია ნათქვამი.

ქმ. თაყაიშვილის ვარაუდით მოძღვართ-მოძღვარი გელათის აკადემიის რექტორი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

აკად. კ. კეკელიძეც ენება მოძღვართ-მოძღვრის საკითხს<sup>2</sup> და აღნიშნავს მის საბატიო მდგომარეობას სახელმწიფოში, მაგრამ თვით სახელოს დანიშნულების შესახებ არაფერს წერს<sup>3</sup>.

ბ. მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ: ამირეჯიბი, მესტუმრე და მერიგე. სამანდატურთუხუცესობაში შედიოდნენ აგრეთვე: განმგეთუხუცესი საგანმგოთი და მისი მოხელეებით—საგანმგოს მუქიფითა და მეჯამეთუხუცესით (მეჯამეებითაც, რომელნიც „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ნახსენები არ არიან); მერემეთუხუცესი სარემოს მოხელეებით—სარემოს ნაცვლითა და მერემეებით ამირსპასალარის დაწესებულებაში შედიოდა. არა ჩანს გარკვევით, განმგეთუხუცესი (და მერემეთუხუცესიც) უფრო მაღალი მოხელე იყო თუ მესტუმრე და მერიგე. ივ. ჯავახიშვილის ნათქვამიდან (იქვე: 161, 165—166) მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება რომ, რაკი განმგეთუხუცესიც ამირეჯიბზე დაბლა იდგა, მესტუმრისა და მერიგის დაწინაურება აღსვების მოსაკითხავში მათი ამირეჯიბის უშუალო ხელქვეითობით უნდა აიხსნებოდეს.

მანდატურთუხუცესის ხელქვეითები იყვნენ, რა თქმა უნდა, მანდატურებიც.

მისი უწყების განსაგებელი იყო მევენახეობა ნაწილობრივ (იხ. § II, შენიშვნები).

გ. მეჭურჭლეთუხუცესის სახელოში შედიოდნენ: საქურჭლის ნაცვალი („ქელმწიფის კარის გარიგებით“ ნაცვლებზე და სარემოს ნაცვალზე—იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, გვ. 155, 167—168. ნაცვალი უბრალოდ მთავრად იყო აღარ ნიშნავს მხოლოდ, არამედ უკვე ცალკე თანამდებობრივ სახელწოდებადაა ჩამოყალიბებული), [საქურჭლის] მუქიფი (ძველი

ასახელებს საგანმგეოსა და საღვინის მუქიფებს), სადაც ეს მოხელე დარგის მიუთითებლად წერია, ყველგან კონტექსტით იგივე ორი დაწესებულებაა საგულისხმებელი; მხოლოდ მე-7 და მე-17 წ-ებში საქმე საქურჭლის მუქიფთან უნდა გვქონდეს. სამეჭურჭლეოთუხუცესოს მოხელეებადვე გვევლინებიან [საჭურჭლის] მუშრიბი (მე-17 წ-ის მიხედვით იგი სწორედ საქურჭლის მოხელეა), ქალაქის აპირანი და დარბაზისა და ქალაქის მეჭურჭლენი.

ივ. ჯავახიშვილი სამეჭურჭლეოთუხუცესოშივე ანგარიშობს საქურჭლისუხუცესსა და მწიგნობარს, რომლებიც ძეგლში დასახელებული არ არიან (ქართ. სამართ. ისტორ., წ. II, ნ. I, გვ. 176). საქურჭლისუხუცესის არსებობის სასარგებლოდ ის მოსაზრებაც გამოდგება, რომ თუ მანდატურთუხუცესს საგანმგეოს საპატრონებლად ცალკე ხელქვეითი განმგეთუხუცესი თუ საგანმგეოს უხუცესი (იხ. ზემოთ) ჰყავდა, ხოლო მსახურთუხუცესს — მოლარეთუხუცესი (იხ. ქვემოთ), მეჭურჭლეოთუხუცესისათაა დიდმოხელე, ვეზირი, საქურჭლეს უფუოდ საერთო ხელმძღვანელობას უწევდა და ამ დაწესებულებას თავისი უშუალო უფროსიც ეყოლებოდა. რაც შეეხება მწიგნობარს, „ქელმწიფის კარის გარიგების“ არც ერთი წ, სადაც ეს ტერმინი თანამდებობად არის ნახმარი და თან მინიშნებულია თუ რომელი დაწესებულებისაა იგი, არ იძლევა შესაძლებლობას საქურჭლის მწიგნობრობა დავასკვნათ. მაგრამ, რადგან საწოლისა და ზარდახნის მწიგნობრებივით ასეთი სახელწოდების მოსელე მაინც არსებულა, იგი ისევე მწიგნობართუხუცესის თვალად და ხელად საქურჭლეში მივლენილი წარმომადგენელი იქნებოდა (ივ. ჯავახიშვილი, იქვე. 132, 178).

მეჭურჭლეოთუხუცესი განაგებდა: „ძველ“ (იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. წ. V, 211, სქ. 8 და ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. I, 178; III. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, 82, 298) ქალაქებს, ვაჭართა წოდებას და მასთანავე აღებშიცემობასაც, საქურჭლეს (იხ. და ზემოთ ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. I, 174, 178) და ღვინის მეურნეობას — საღვინესა და მის ხელისუფალთ: მეღვინეთუხუცესს, საღვინის მუქიფსა და მოლარეს, მეხელადეთუხუცესს, პირის მეღვინესა და მწდესს (იხ. § 33-ე შენ.). მეღვინეებისა და მწდების შესახებ. იხ. § 1, 7, 17, 20—22, 28. ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. I, 190—195, სადაც „მეღვინეთუხუცესი და მისი სახელისუფლო“ სხვა უწყებათაგან ცალკეა განხილული, ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, 213, სქ. 5, რომელშიც მეღვინეთუხუცესის სახელო თითქოს სამსახურთუხუცესოს ნაწილად არის ნიშნული.

დ. მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდნენ: მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, სალაროს მოლარეები (მე-17 წ-ის ტექსტში წერია „სალაროთ“, ე. ი. სალაროებისაო, აქ ალბათ შეცდომაა, თუმცა მოძრავი სალაროც ყოფილა იხ. § 15). სამსახურთუხუცესოშივე ვხედავთ ფარეშთუხუცესს მისი საფარეშოებით, ციცხვთ-უხუცესს თავისი ციცხვებითა და მეხილეთუხუცესს, რომელსაც სახილე და მეხილენი ებარა (§ 17).

ამ უწყებას ეკუთვნოდნენ (§§ 15, 17, 33): სალარო — მოლარეებითურთ, (ზარდახნისა და საღვინის მოლარეთა გარდა), საწოლი — მესაწოლეებითურთ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მასში შედიოდნენ აგრეთვე საწოლის მეკარე, კა-

რის დარაჯი (ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 187—188) და მეფის სამგზავრო ქარავანი—მისი ბარგის უხუცესით (§ 15).

სახელოთა ეს აღნუსხვა, რასაკვირველია, სრული როლია. ამასთანავე ზოგი მოხელისა და მმართველის თუ მეურნეობის დარგის გადაწყვეტით ამა თუ იმ სახელისუფლოსადმი მიკუთვნება შეიძლება სათუოც იყოს (იხ. მაგალითად ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ნაწილებში სარემოზე).

მე-7 §-ში მსახურთუხუცესისა მოსაკითხავის შემდეგ ხარვეზი ეტყობა და ამას ექ. თაყაიშვილიც აღნიშნავს („ქელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 3). ამ წ-ის მეორე ნაწილი იწყება პირის მეღვინით, მაგრამ ვინ მოიკითხავს მას, არა ჩანს. საერთოდ ამ ნაწილში უფრო დაბალი მოხელეები უნდა იყვნენ მოქცეულნი, თანაც მხოლოდ ორი სახელისუფლოსი და ადგილშეცვლილადაც: ჭერ სამეკურკლეთუხუცესისი — მეღვინეთუხუცესი და საღვინის მუქიფი, ხოლო შემდეგ სამანდატურთუხუცესისი — განმგეთა უხუცესი, საგანმგეთოს მუქიფი, საგანმგეთოს უხუცესი, მეჯამეთუხუცესი და აქვეა სარემოს ნაცვალიც. საფიქრებელია, რომ განმგეთა უხუცესობა და საგანმგეთოს უხუცესობა ერთნა და იმავე თანამდებობას წარმოადგენს და საგანმგეთოს მუქიფის, როგორც მომკითხავის შემდეგ დედანში საგანმგეთოს მუქიფივე ეწერებოდა, უკვე როგორც მოსაკითხავი (ტექსტი ამის მიხედვით გაიმართა). ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ზემოაღნიშნულ წყებაში სარემოს ნაცვალი ყველაზე უმცროს მოხელედ მოჩანს, რაც ერთგვარ ექვს ბაღებს.

სააღდგომო მოსაკითხავში სულ არ იხსენიებიან მონადირეთუხუცესი და მისი ხელქვეითები, რომელნიც ასე „გამოჩინებული“ არიან საახალწლოდ და თევდორობას. ისიც კია, რომ ამ დროს, თევდორობის შემდეგ, მონადირეთუხუცესი შეიძლება კარზე არც ყოფილიყო (§§ 1, 2, 20). „მონადირეთუხუცესსა და მის სახელისუფლოს“, ასევე „ტყისმცველთუხუცესსა და ტყისმცველთ“ ი. ჯავახიშვილი სხვა უწყებათაგან განცალკევებით განიხილავს (იხ. ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. I, გვ. 195—197).

## 8

მე-8 §-ში აღწერილია სავაზიროს უფროსი წევრის, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის განკითხვითი საქმიანობა, რომელსაც იგი კვირაში ერთხელ, ორშაბათობით, უმაღლეს სასამართლო დაწესებულებაში „სააჯო კარსა შიგან“ ახორციელებდა.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით და სხვა საბუთების განხილვა-დამოწმებით ივ. ჯავახიშვილმა მოხაზა მაშინდელი სასამართლოს მიახლოებითი სურათი, რომელსაც დღეისათვის უნდა ითქვას, ბევრი არაფერი შემატებია (ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, 471—502, 541—543).

აღნიშნული უმაღლესი სასამართლო მას დავით აღმაშენებლის შემოღებულად მიაჩნია (ივ. ჯავახიშვილი, ქართული. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, 223—224, 478; ქართ. ცხ., I, 354), თუმცა „სააჯო კარი“ სასამართლოს მნიშვნელობით აღრეც ხმარებულა (ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, 477): „თუ ვინმე გაწყენდეს და არავინ რას გაგიგონებდეს, სააჯო კარსა მიიხუენით“—ო, წერია ფაენელთა X ს. საბუთში. სასამართლოს სახელთან „კარის“ (ე. ი. ადგილის თუ შენობის) დაკავშირება მოცემულია „ბჰისკარ“-შიც (ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, 476).

მე-8 §-ის მიხედვით „სააჯო კარი“, მაღალ, უზენაეს ინსტანციას წარმოადგენდა დაბალი ინსტანციის სასამართლოებისათვის. იმ დროს, რომ საქართველოში მართლაც ერთგვარად მწყობრი სასამართლო სისტემა არსებობდა, ამას რამდენადმე მოწმობს სწორედ დავით აღმაშენებლის მატეანის ის ადგილიც, სადაც მეფის ხელისუფლების ფუნქციებს შორის აღნიშნულია: „შემცოდეთა წყალობითნი წურთანი“ და „მოჩივართა მართალნი გამოძიებანი“ („ქართლის ცხოვრება“, 1, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 351).

„სააჯო კარი“ გამართული მუდმივად მოქმედი დაწესებულება უნდა ყოფილიყო. თუ ორშაბათობით მასში ჰყონდიდელი მსაჯულობდა, დანარჩენ დროს საქმეებს სხვა, რიგითი მოსამართლენი იხილავდნენ (ი. ჯავახიშვილი. ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, 477-478, 486). თუ კი ასეა, მაშინ მწიგნობართუხუცესისა და რიგითი მოსამართლეების კომპენტენცია, როგორც, გაშიჯნულად უნდა ვივარაუდოთ. „მწყალობელი“ მეფის უპირველესი მოხელე. თითქმის მისი ნაცვალნი (ჰყონდიდელი „მამა არს მეფისა“ — §9, 36). „ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა გასიკითხავ“—და (§8). ივ. ჯავახიშვილს მის კერძო საქმეთა განმასხვავებელ ნიშნად სწორედ მომჩივნი ჩაგრულობა მიაჩნია. „სააჯო კარის“ სხვა მოსამართლეების განსჯადობას კი რგი. „დანარჩენთა საჩივრებს“ აკუთვნებს (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ., წ. II ნ. I, 131—132; წ. II, ნ. II, 478). მაგრამ, ამით მე-8 §-ს საკმაო ნათელი ვერ ეფინება და თავისთავადაც მომჩივნის ჩაგრულობა განსჯადობათა გამიჯნვის კრიტერიუმად არ უნდა ვარგოდეს.

ქერ ერთი, ჩაგრული იყო ნამდვილად მომჩივანი თუ მხოლოდ თავს მოაჩვენებდა ასეთად, ეს ყოველთვის წინასწარვე გადაწყვეტივთ ვერ ითქმობდა. მხოლოდ საჩივრის განხილვის შედეგად გამოირკვეოდა. და მეორეც, ივ. ჯავახიშვილის მიერ მატეანეებიდან მოტანილ მკვალითებში (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნ. II, გვ. 223-224, 475; ქართ. ცხ. I. 315, 354; II, 253-254) და ამ წყაროების ზოგ სხვა ადგილშიც („ქართ. ცხ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 368, II, 301) განსაკითხავად, როგორც წესი, დანახელებული, არიან: გლახკანი. მოჩივარნი. დაჭირებულნი. მიმძლავრებულნი. უღონონი, უქონელნი, შეურაცხნი. ეს გასაგებიც არის. ერთი მხრივ, დაჩაგრული და მართლმსაჯულების მონატრული და მაძიებელი უმთავრესად უმწყო ხალხი იყო. მეორე მხრივ უმაღლეს ხელისუფლებას ამ საწყალი ხალხის მიუკერძოებელ მსაჯულად, შემწყნარებლად და მწყალობლად მოქმენდა თავი (ანიჩხელისუფლება, რასაკვირველია ისევ გაბატონებული კლასის ინტერესებს ეძსასურებოდა); ამასთანავე, ყველა აღნიშნულ შემთხვევაში განმკითხველობა ამ თვითონ გვირგვინოსნებს მიეკუთნებათ, ანდა მათ მიერ საგანგებო ნდობით აღკუთრვილ პირებს, რომელთაც ისინი, როგორც უშუალო წარმომადგენლებს. ამ თავიანთი ფუნქციის აღსრულებას ავალებდნენ.

დაბოლოს, აღსანიშნავია, შემდეგით. ივ. ჯავახიშვილის თქმით, თავის დროზე „სააჯო კარი“ სამოქალაქო სასამართლო ყოფილა (ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 477), ხოლო განკითხვას იგი, ჩანს, სასისხლო პროცესის ტერმინად თვლის, რადგან მას თავისი შრომის სწორედ ამ ნაწილში იხილავს (იქვე, 489—499) და სამოქალაქო სამართალწარმოების თავში ადგილს აღარ აკუთვნებს (იქვე, 541-543). თუ იმასაც გაეხსენებთ. რომ ივ. ჯავახიშვილი სისხლის სამართლის (ყოველ შემთხვევაში დახა-

შაულთა ერთი დიდი დარგისათვის განკუთვნილსა) და სამოქალაქო სამართლის სასამართლოებს. ცალ-ცალკე არსებულად ვარაუდობს (იქვე, 483), მაშინ იმ ანელად დასაჯებელ დასკვნას უნდა დაეადგეთ, რომ „სააჯო კარი“ მარტო სასისხლო საქმეების გასაჩივრების ინსტანცია ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად შესაძლებელია გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: „სააჯო კარი“, როგორც განმკითხავი მართლმსაჯულების ორგანო, უმაღლესი სასამართლოა, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებისათვის და უთუოდ, ფეოდალთა და ადგილობრივ მოხელეთა უსამართლობა-ძალმომრეობით გამოწვეულ საჩივრებსაც „სააჯო კარი“ განიხილავდა. უწყებრიობის პრინციპით შექმნილ სავაზიროს ვითარებაში (§ 30; იხ. აგრეთვე § 6—7 შენიშვნები) ყოვლად წარმოუდგენელია; რომ მართლმსაჯულებას პოთავე არ ჰყოლოდა. ასეთ მოთავედ სხვა არავინ არის საგულვებელი, თუ არ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. მრავალი სახელმწიფო საქმით დატვირთული „ვაზირთა—უპირველესისათვის“ ამ მოვალეობის შესასრულებლად კვირაში ერთი დღე იყო გამოყოფილი, როდესაც იგი, ვითარცა სასამართლო უწყების უფროსი, „სააჯო კარში“ პირადად იმყოფებოდა და მიღება-განკარგულებას აწარმოებდა.

როგორც მე-8 §-დან ჩანს „სააჯო კარში“ რიგითი მოსამართლეების გარდა ოვითონ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის კოლეგიაც ყოფილა და ეს ქართული სასამართლოს კოლეგიურობის პრინციპს სრულიად ეთანხმება (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 487). მწიგნობართუხუცესის თავმჯდომარეობით ამ კოლეგიის წევრებად მისი უახლესი ხელქვეითი მოხელეები, მწიგნობართა შორის უწარჩინებულესი საწოლისა და ზარდახნის მწიგნობარები არიან, ჰყონდიდელს. „...ყოველი [...] საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის; და ზარდახნის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოიხსენიებს, რაც ვის რა სჭირს“—ო, ნათქვამია მე-8 §-ში. [...]—ის ადგილას ივ. ჯავახიშვილს აღდგენილი აქვს: „[საბჭოდ ჯდომის ეამსა?]", (ქართვ. ერას ისტ., V, 206) და. როგორც მისი „ქართული სამართლის ისტორიის“ შესაბამისი ადგილის კონტექსტიდან ჩანს, „ყოველი“ „ყოველთვისად“ აქვს გაგებულნი (§ II, ნ. II, 486). „ყოველი“ (ყველა) ან იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საწოლის მწიგნობარი რამდენიმე იყო, რაც სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს (შდრ. § 33), ანდა იმას, რომ ეს სიტყვა საწოლის მწიგნობარსაც ეხება და ზარდახნისასაც (ასეთი გაგება შესაძლებლად მიაჩნია ილ. აბულაძეს). ტექსტში ეს უკანასკნელიც ჰყონდიდელის კოლეგიის წევრად იგულისხმება. ასეა თუ ისე, საწოლის მწიგნობრის შესახებ ყრუდ არის ნათქვამი და მის მონაწილეობაზე მწიგნობართუხუცესის განკითხვითს საქმიანობაში ჯერჯერობით დამატებით ვერაფერს ვიტყვით (ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., წ. II, ნ. I, გვ. 136). საწოლის მწიგნობარი მართლმსაჯულებაში მწიგნობართუხუცესის თანაშემწე ყოფილა (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, გვ. 487). ზარდახნის მწიგნობრის ფუნქცია კი, მართალია, უფრო ვრცლად არის მოხაზული, მაგრამ მასში ყველაფერი გარკვეული როდია. ივ. ჯავახიშვილი ზარდახნის მწიგნობარს „გამომძიებელსა და საქმის მომხსენებელს“ უწოდებს (იქვე, წ. II, ნ. II, 487), მაგრამ სხვა ადგილას ამით არ ემყოფილდება და ამბობს: „სასამართლო საქმეებში ზარდახნის მწიგნობარი ვაზირთა უპირველესის წარვლენილი მოხელე, მის მიწოდებლობათა აღმას-

რულებელი და ნაცვალთა“-ო (იქვე, წ. II, ნ. 1 137). ეს რამდენადმე გადაჭარბებული უნდა იყოს. მე-8 §-ის „მისის პირით მოიხსენებს“ (ტექსტის გასწორებას: „მოახსენებს“ „მოიხსენებს“ ი. ჯავახიშვილიც იზიარებს, ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, 486—487) და „რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს“ იმაზე მეტს არ უნდა ნიშნავდეს რომ მწიგნობართუხუცესი საქმეებს ძირითადად თავისი კოლეგიის მომხსენებელი წევრის ზარდახნის მწიგნობრის ინფორმაციით სჯიდა (საწოლის მწიგნობართან მოთათბირებით).

მაგრამ, იბადება კითხვა: სად იგზავნებოდა ზარდახნის მწიგნობარი, სად მიდიოდა თვითონ მწიგნობართუხუცესი „რა ეამსცა ეამი იყოს“ იმ საქმეების „დაურეებისათვის“, რომელნიც მარტო მოხსენებით ვერ გადაეწყვიტა. და სახელდობრ როგორ „იურვიდა“ იგი მათი საბოლოოდ მოგვარებისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მასალით მიხედვით შეიძლება საქმე შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

მწიგნობართუხუცესის „სააჯო კარში“ ჯდომის დღე, რაღა თქმა უნდა, საყოველთაოდ ცნობილი იქნებოდა და მომჩივრები, რომელთაც პირადად მისთვის უნდა მიემართათ, დაწესებულებას იმავე დღეს მიაწყდებოდნენ. აგრეთვე ამ, ან ვთქვათ, სააპელაციო სასამართლოში წინა კვირაში შემოსული საჩივრებიც დაგროვდებოდა. ზარდახნის მწიგნობარ-ჰყონდიდელის კოლეგიის მდივანი-რეფერენტი ალბათ მიდიოდა მოსულ მთხოველთა გამოსაკითხავად და მათგან არზების ჩამოსართმევად, ასევე დაწესებულების უფროსის გადასაწყვეტად დაგროვილი საკითხების გასაცნობად და მოხსენების შესადგენად. საფიქრებელია, რომ მას ცალკე საქმეების ადგილობრივ გამოსაჩივლად მისვლა-მოსვლა და საჩივრების შესაკრებად ადგილებზე სიარულიც ეკისრებოდა (მდრ. ქართ. ცხ., I, 354). თუმცა, ამ ბოლო ვარაუდს ხელს უშლის ის, რომ ასეთი მგზავრობა ერთი დღის განმავლობაში (§ 8) მეტწილად ვერ მოხერხდებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, ზარდახნის მწიგნობრის მოვალეობა ძირითადად დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო.

მისი მოხსენების საფუძველზე მწიგნობართუხუცესი, ალბათ, საქმეებს მართულებას აძლევდა და თავის რეზოლუციებში სახელმძღვანელო მითითებებსაც იძლეოდა. რამდენადაც ქართულ სასამართლო პროცესს შეგიბრებინოთ ახასიათებდა (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, 497—498), უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარად წარმართული საქმის არსებითი განხილვა უკვე „სააჯო კარის“ რომელიმე რიგითი მოსამართლის მიერ მოხდებოდა. იმ საჩივრებს კი, რომელთაც მწიგნობართუხუცესი ზარდახნის მწიგნობრის „პირით ვერ დაიურვებდა“, ე. ი. საკმაოდ რთულად და საფრთხილად ჩათვლიდა, რომ მაშინვე საბოლოოდ გადაეჭრა ან მარტო ხელქვეითი მოსამართლისათვის მიეხდო, შემდეგისათვის დანიშნული საქმის განხილვას („რა ეამსცა ეამი იყოს“) იგი თვითონვე ესწრებოდა.

რასაკვირველია, მწიგნობართუხუცესის საზრუნავს „სააჯო კარში“ სასამართლო სისტემის საერთო მართვის საკითხებიც შეადგენდა, რომელთაც იგი იმავე ორშაბათობით საბოლოოდ სწყვეტდა და პირდაპირი განკარგულება-დირექტივებით აწესრიგებდა.

9

მე-9 §-ში გრძელდება ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობისა და უწყების აღწერა-დახასიათება. თუ წინა პარაგრაფი მართლმსაჯულე-

ზის ფუნქციას ეხება, აქ საუბარია მის უფლებებზე სასულიერო საქმეებისა და საქურჭლის ანუ, ასე ვთქვათ, ხაზინის მიმართ. აღნიშნულია ამასთანავე მწიგნობართუხუცესის უპირველესობა მთელ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

ეს § შეიცავს აგრეთვე ზოგიერთ ცნობას საწოლის მწიგნობრისა და სამწიგნობროს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

დასაწყისში ჩამოთვლილია: „საყდარ[ნი]... პონასტერნი... ეკლესიანი...“ საყდარი და ეკლესია ორივე საღვთისმსახურო შენობა-დაწესებულებად რომ გავიგოთ, განმეორებასთან გვექნება საქმე. საყდარი ძველად უმთავრესად ტახტს, საჯდომს ნიშნავდა (მეფისას, მღვდელთათავრიას—ქ. გ. ლ., იხ. ღველი ლექსიკონებიც. აგრეთვე ი. ჭავჭავიძე, ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. II, გვ. 195) და ამიტომ, მოტანილ ჩამოთვლაში ეს სიტყვა საღვდელმთავრო კათედრის, კათედრალის შესატყვისად ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ? ამით ჩამოთვლას თანამიმდევრობის სახე მიეცემოდა (§ გელათის ხსენებით იწყება. იხ. აგრეთვე § 27).

ჰყობილდელს წესით ორი ზედამდგომელი (ნიდაგ თანმხლები „საგანგებო დავალებათა მოხელე“ თუ ადიუტანტი) ეკუთვნოდა, საწოლის მწიგნობარს—ერთი. მიუხედავად იმისა, რომ ძველნი სრული ცნობები არ შერჩენილა, მაინც ჩანს, რომ ასეთი ზედამდგომელები ყველა ვეზირს და ზოგ სხვა დიდძოსელსაც უნდა ჰყოლოდა (§ 12 „ამირეჯიბს მანდატურივე“-ო, § 14—„მესაწოლეთუხუცესსაც“-ო).

მე-9 §-ის ბოლო ნაკლულია და არ ვიცით, დაწერილი ქაღალდები მექურქლეს ყელზე (თუ ქელზე) „ჩახუთ“ (პარკით, თოფრით) რად უნდა დაეკიდა. მექურქლე მათი დამტარებელი (ხელმოსაწერად?) იყო თუ შემკრები და შემნახველი, ახდა, ვინ იცის, ქაღალდის სიძვირის გამო (აკი დღედაღღე თვლით რიგდებოდა, § 9. და დამრიგებელიც იქნებ იგივე ჩახვიანი მექურქლე იყო?), ამ წესით დახარჯული ქაღალდის ანგარიში სწორდებოდა? (შეადარეთ მომდევნო §-ის დასაწყისი). მექურქლის გამოჩენა აქ მოულოდნელი არ უნდა იყოს. მწიგნობართუხუცესისა და საწოლის მწიგნობრის ზედამდგომელებიც მექურქლეები იყვნენ.

## 10

მე-9 და მე-10 §-ებს შუა ხელნაწერი ნაკლულია (იხ. § 9 შენ.). შესაძლოა თვით მე-10 §-ის შერჩენილი ნაწყვეტის დასაწყისშიც, „ანგარიშს აიღებს“ სიტყვების შემდეგ, რაიმე გამოტოვებული იყოს. ივ. ჭავჭავიძე დამატებულია, მანდატურთუხუცესის უწყებას ეკუთვნის მე-10 §-ი თუ მსახურთუხუცესისას. საფიქრებელია, რომ უფრო მანდატურთუხუცესის სახელოს უნდა შეეხებოდეს. მომდევნო, მე-11 §-იც ხომ მასზე მოგვითხრობს და სურსათ-სანოვაგისა და საერთოდ პურობის თადარიგი განმგეთუხუცესის საზრუნავი უნდა ყოფილიყო (§ 13-მეჯამეთუხუცესი მისი ხელისა ჩანს, — § 33). ხოლო განმგეთუხუცესი თვითონ მანდატურთუხუცესის ხელქვეითად გვევლინება (იხ. § 6—7 კომენტ.; ივ. ჭავჭავიძე ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. I, 161, 166).

ნაკლულობის მიუხედავად, აღნიშნულია და კვებით მოტანილი მასალის გოთვალისწინებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ათქოს მე-10 §-ში საქმე პუ-



რის მეურნეობაში (ხაბაზი!) მომხდარ რაღაც უწესოებას, უფრო კი ქურდობას (იქნებ მარცვლეულის, ფქვილისა ანდა გამომცხვარი პურის დანაქლისს) უნდა ეხებოდეს. ძეგლის ავტორი ეკამათება სხვა ამგვარივე გარიგების შემდგენელს (ე. თაყაიშვილი, წინასიტყვაობა, „ქელმწიფია კარის გარიგებისა“ გვ. XVII—XVIII), რომელსაც ეტყობა, სახაბაზოს მუშაეთა შესაგონებლად ერთ-ერთი ზათვანის დასჯა „დაუწერია“. ჩვენი ავტორი ამგვარი დასჯის მომხრე არ არის: საამისოდ ცემაც კმარა და გაპარსვა მხოლოდ მართლაც ქურდს ეკუთვნისო. დასძებს იგი.

„გამართვა“ ექ. თაყაიშვილსაცა და ივ. ჯავახიშვილსაც განწესებდა, განკუთვნდა, მისჯად აქვთ გაგებული, მაშინ როდესაც ეს სიტყვა—გასწორებას, გამოსწორებას ნიშნავს (იხ. ლექსიკონები: სულხან საბას, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის, აგრეთვე დავით ბატონიშვილის სამართალი, დავით ფურცელაძის რედაქტ., ლექსიკონი და ქართ. ცხოვრ., II. 23 „...რამეთუ კული ძალისა არა განმართების“). ამის მიხედვით ექ. თაყაიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის „გაპარვა[დ] გამართავს“ ნაცელად გაკეთდა „გაპარსვა[დ] გამართავს“, მით უფრო, რომ დ-ონს ისინი ხელნაწერის მოხეულ კუთხეზე ვარაუდობენ<sup>1</sup>.

„განალამც“ ძეგლში რამდენჯერმეა ნახმარი (§§ 3, 10, 17, 21), მეტწილად აშკარად რასაკვირველიას მნიშვნელობით. მხოლოდ მე-10 §-ში იმისდა მიხედვით, თუ როგორი პუნქტუაცია იქნება, მას შეიძლება განას მნიშვნელობაც მიეცეს: „თუ არ ნაპარევი გამოაჩნდეს, განალამც გაპარსავს“. ტექსტი გამართულია რასაკვირველიას აზრით, რომელიც ვითარებას უფრო უდგება.

მე-10 §-თან დაკავშირებით გასათვალისწინებელია. ყოველ შემთხვევაში, შემდეგი. აქ დამოწმებულია სასჯელის ორი სახეობა: ცემა (იხ. ივ. ჯავახიშვილი ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. II, 507—508) და გაპარსვა. ეს უკანასკნელი გამაწილებელ სასჯელს მიეკუთვნება. (ქართ. სამართლ. ძეგლ., I, ი. დოლიძე, რედ., ლექსიკონი; იხ. ი. ჯავახიშვილის ქართვ. ერის ისტ., წ. 5, 207, სქ. 4); მას ვხვდებით ვახტანგ VI-ის კრებულში (ქართ. სამართლ. ძეგლ., I, ი. დოლიძის რედ.) შესულ ბერძნულ სამართალსა (მუხ. 383) და გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადებაში (მუხ. 2. აღნიშნული სამართლის წიგნი კი, როგორც ვიცით, მოღწეულია ჩვენამდე „ქელმწიფის კარის გარიგებასთან“ ერთად, ერთ ხელნაწერად (ე. თაყაიშვილი წინასიტყვაობა „ქელმწიფის კარის გარიგებისა“, II. III, VIII).

ბერძნული სამართალი იყენებს\* გაპარსვას პურეულის შეცილებით შემსყიდველისათვისაც (შეადარ. § 10-ხაბაზი). საყურადღებოა ამ მხრივ ბერძნული სამართლის 383-ე მუხლის დასაწყისი: „ქ. მეფეთათვის ესრეთ ჯერ არს, რათა მოსავლის დროს ერთი სარწმუნო კაცი დააყენოს პურისა, ქერისა და ამისთანას მოსავალზედა, მართებულად ბაზარში თუ სოფელში გაასყიდვიწოს, და არა ძვირად“. იგი იცნობს მეორე ამგვარსავე გამაწილებელ სასჯელს — გაკრექასაც, რომელიც გამოყენებულია (სხვა სასჯელებთან კომპლექსში): უსამართლო მსაჯულისათვის (მუხ. 2), ქრისტიანის შვილის დატყვევებისათვის (მუხ. 34), ქალის მომტაცებლის ასაბიისათვის (მუხ. 49), თვალის, მომთხრელის ასაბიისათვის (მუხ. 68), მუტლის წასახდენი წამლის მიმცემისათვის (მუხ. 77),

<sup>1</sup> ი. დოლიძის გამოცემაში: „გაპარსვა[დ]“, „ქართული სამართლის ძეგლები“, II, 1966, გვ. 82, ტექსტი ისევეა გაგებული, როგორც ექ. თაყაიშვილსა და ივ. ჯავახიშვილს ესმით.

ღვთის შეხვეწილი კაცის ეკლესიიდან გამოყვანისათვის (მუხ. 233), სახლიდან ხატის მოპარვისათვის (მუხ. 259), ნასყიდობაში შეცილებისათვის (შდრ. მუხ. 383) და მკერვალის მიერ აგრეთვე სხვა ხელობის დაჩემებისათვის (მუხ. 382). ვახტანგის კრებულის რუსულ თარგმანში 383-ე მუხლის (აღნიშნულ გამოცემაში—385) გაპარსვაც წინა მუხლის მიმსგავსებით გაკრეპად (остричь) არის თარგმნილი.

„ძეგლის დადებაში“ გაპარსვა ნახმარია მსახური განმგებლის კოლექტიური მკვლელობისათვის; მკვლელი — „ქვეყნისა“ თუ „ქვეის“ სოფლების თითო თავკაცი უხდა გაპარსულიყო. ვახტანგის კრებულის რუსულ გამოცემაში აქ გაპარსვა გამოტრეპებულია.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსია მომდინარეობს არმენოპულოს Hexabiblos-სა (1345 წლის ახლო) და ვლასტარის Syntagma-საგან (1335 წელი), რომელთაც გავრცელება და გამოყენება ჰქონიათ მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთში, კერძოდ საქართველოშიც. სახელდობრ 383-ე მუხლი ეხმაურება არმენოპულოს თხზულების შესაჯავის ადგილს. (ქართ. სამართლ. ძეგლები, ი. დოლიძის რედ., 1, 556, 582, 582, 587). ჩვენში აღრევე ცნობილი უნდა ყოფილიყო არმენოპულოს და ვლასტარის წყაროებიც (იხ. თ. ბრეგაძე, ბერძნული სამართალი, 05—087).

„ძეგლის დადება“ შედგენილი უნდა იყოს 1335 წელს. ი. დოლიძის აზრით, გაპარსვა შესულია მასში ჩვეულებითი სამართლიდან და „ცნობილი იყო სხვა ძველ ხალხთა სამართალშიც“ (ძეგლ. დად., 10—15, 30, 42; ქართ. სამართ. ძეგლ., 1, 616). ეს არ უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ გაპარსვა ძეგლის დადებაში ბერძნული სამართლის გზითაც გაჩენილიყო და უფრო სავარაუდებელი სწორედ მისი ბერძნულიდან მომდინარეობაა.

დაბოლოს, მცირე ცნობა. სურსათ-სანოვანისა და სხვა ამგვარის შეცილებით შესყიდვა და ჩარჩობა, თუმცა სულ სხვა სანქციით (შდრ. ბერძნული სამართალი, მუხ. 383), ცნობილია XVIII საუკუნის რუსულ სამართალსა (ПСЗРИ, VII, 463—14, I, 1725-ის ბრძანებულება; აგრეთვე—Грам. на права и выгоды городам Рос. имп., 25) და ქართულ კანონპროექტებში, სადაც სახელდობრ ალაფები, ე. ი. პურეულის მოვაჭრენი იხსენებიან (დ. ფურცელაძე, სჯულ-ვილება, გვ. 39, 7).

## 11

მე-11 § ეხება საჰეფო ზვრებს, ე. ი. მევენახეობას, და, როგორც ეტყობა, ნაწილობრივ მაინც ღვინის გადასახადს, კულუხსაც.

ვახანაშვილის სავარაუდო ჩანამატი §-ის დასაწყისში — „მსახურთუხუცესისა“ ანდა „მეღვინეთ-უხუცესისა“, იმ აზრის გამომხატველია, რომ მევენახეობა მართო მანდატურთუხუცესს არ უნდა ჰქონოდა მინდობილი. მართლაც მევენახეობისა და მეღვინეობის მკვეთრად განცალკევება ძნელი იქნებოდა ისინი ახლაც თითქმის ერთ, განუყრელ დარგად ითვლებიან (მევენახეობა? მეღვინეობა). მსახურთუხუცესი აქ არაფერ შუაშია; თუ ზვართა ხელი-სუფთა მანდატურთუხუცესთან ერთად ვინმე კიდევ უნდა ეწეროს, ეს მეჭურჭლე-უხუცესია, რომელსაც საღვინე ებარა (იხ. § 20: ღვინის ჭურჭელი „მეჭლინ“ კიდევან ღვანან და ბექედი მეჭურჭლეუხუცესისა... [ძვს]“ და ამას სურს ამბავი და მოხელეები მოჰყვებიან; იხ. აგრეთვე—§§ 6—7 კო-

მენტ.); მეღვინეთუხუცესი მე-11 §-ში ისედაც გამოყვანილია და მისი დაწერა თავშიც, თანაც მანდატურთუხუცესის წინ, მართებული არ უნდა იყოს.

მაგრამ, თუ ზერები ორი ხელისუფლის საზრუნავს შეადგენდა, მოვალე-მეღვინეთა მოვალეობას წარმოადგენდა: „...და სხვათ (ზედამდგომელობის გა-თლად გამოსკვივის და ივ. ჯავახიშვილსაც აღუნიშვნელი არ დარჩენია (ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. I, 160, 192). მე-11 და მე-20 §-ების დაკვირვება გვიჩ-ვენებს, რომ გამიჯვნას შეიძლება მეტი სიმკვეთრეც ჰქონოდა. მანდატური უფ-რო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლად გამოიყურება. მას მუშახელის, თუ შეიძლება ითქვას, გობილიზაცია და მორჩილებაში ყოლა, იქ-ნებ ვენახების დაცვაც ევალებოდა („სამუშაოსა ზედამდგომელად“—§ 11: „ზვართა... მანდატურიცა ადგს ზედა“—§20), ხოლო თვითონ დამუშავების ხელმძღვანელობა სპეციალისტების—მეღვინეთუხუცესის, საღვინის მუქიფის, მეღვინეთა-მოვალეობას წარმოადგენდა: „...და სხვათ (ზედამდგომელობის გა-რდა. ი. ს.) მეღვინეთუხუცესი და მუქიფი აურვინ სამუშაოს“ (§ 20)—კუ-თხულობთ ძეგლში.

„გამოსაჩვენერი“ ექ. თაყაიშვილს ღია ფურცლად მიაჩნია, რო-მელიც მანდატურს მუშახელის გამოსაყვანად უნდა გამოეჩინა, წარედგინა. მაგრამ, ეს საბუთი სრულიად გარკვეული მითითების შემცველია („...მუშად... ესე ქვეყანა მოასხითო“—§ 11) და შემსრულებლის მიხედულობისათვის იმდენ ადგილს თითქოს აღარ ტოვებს. ამიტომ, იგი უფრო განწესებას (наряд-ს) უნდა წარმოადგენდეს და შესაძლებელია გამოჩენისაგან კი არ იყოს ნაწარმოე-ბი, არამედ საჩვენოსაგან.

ღვინის აკრეფის გამო იხ. § 20.

1

12

მე-12 § ზოგადად და ძირითადად მოხაზავს მანდატურთუხუცესის პირვე-ლი თანამემწის ამირეჯიბის უფლება-მოვალეობას. ეს მოხელე მთავარი მომხ-სენებელი და მოწესრიგეა მას შემდეგ, რაც მეფე საწოლიდან გამოვა, ვიდრე —„საღამოს რეკამდის“ (საქმიანი ღღის დასრულებამდე თუ საწოლადვე შეს-ვლამდე). ძეგლის ახლანდელ ტექსტში ვკითხულობთ: „...საურავი... მათია...“-ო. ამით კი, მსახურთუხუცესისა და ამირეჯიბის—მანდატურთუხუცესის უწარ-ჩინებულესი მოხელის—მოსაქმეობის გამიჯვნა შინაარსს მოკლებული გამოდის. „მათია“-ს შეცვლა „მისიათი“-თ (§ 12) ამ ადგილს ნათელსა ჰფენს და თანაც იგი მე-14 §-თან შეთანხმებულად იმართება (ამირეჯიბზე საერთოდ იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტ. წ. II, §, I, 161—166; წ. II, ნ. II, 233. მისი ზედამდგომელის გამო იხ. § 9 კომენტ.).

მე-13 §-ში, სიგლის გაცემაში უადგილოდ ჩართული საკლავის ამბავი თა-ვის ნამდვილ ადგილს მე-12 §-ში პოულობს. მუქიფი, რაილისთვისაც მორეკი-ლი ცოცხალი საკლავი უნდა ჩაებარებინათ, ექვევარეშეა, რომ საგანმგეოს. ე. ი. მანდატურთუხუცესის უწყებისავე დაწესებულების მუქიფია (იხ. § 6—7 კომენტ., აგრეთვე —ი. ჯავახიშვილის ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. I, 189).

იმით, რომ სიტყვები „კვრას ღღესა და“ წინ მოვაქციეთ (§ 12, სქ. 7, 36-ე), ვფიქრობთ, ვითარება უფრო სწორად უნდა ისახებოდეს: მესტუმრეს თი-ითო ბეჭი ყოველდღიურად ერგებოდა, ხოლო კვირაობით მთელი საკლავი და ფქვილიც ეკუთვნოდა, რათა ამ ღღეს მოძალებულ, ნაკლებად შეძლებულ

„ქვეითი“) ხალხს გამასპინძლებოდა (შეადარ. ე. თაყაიშვილის რედაქციას, მეტადრე რუხულს, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის ქართვ. ერ. ისტ., 5, 208 და ქართ. სამართლ. ისტ., წ. II, ნ. I, 165—166; წ. II, § II, 233).

მე-12 §-ში მოხსენებული „მწიგნობარი“ ცხადია, ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მოხელე არ უნდა იყოს. შეიძლება ამ შემთხვევაში კარზე მოსული მკითხველი იგულისხმებოდეს (იხ. § 6, 28).

13

მე-13 §-ი განსაზღვრავს, თუ რომელ მოხელეებს ეკუთვნოდათ სარგოდ ქრთამი (ჯილდო, გასამრჩელო, ბაჟი თუ მოსაკრეფელი) სიგლის გაცემისათვის. ზოგისათვის მითითებულია ამ ქრთამის თანაფარდობითი მეტნაკლებობაც. აქვე ძეგლის ავტორს დახასიათებული აქვს აგრეთვე მანდატურთა კორპუსის შემადგენლობა. ბოლო ნაწილში ჩამოთვლილია მეჯამეთუხუცესის განსაგებელი, (იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. I, 166—167). ხელნაწერის ნაკლულობის შედეგად §-ის ამ ადგილსა და ტექსტის დაწარჩენ შინაარსს შორის კავშირიდა შეიმჩნევა, რომ მეჯამეთუხუცესის ამბავს მისი უფროსის, განმგეთუხუცესისა უძღვის და მასზე წინ მანდატურთუხუცესისავე ხელქვეითებზეა ლაპარაკი (§ 6—7 კომენტ.).

სიტყვები „... რა ჰყონდიდლის და საწოლის მწიგნობარი ქრთამი გათავადღეს...“ და „... მას უკან მან მისი აიღოს...“ იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქრთამი ერთი იყო, ხოლო სხვადასხვა მოხელეს მასში თავ-თავისი წილი ედო (ამაზევე ვაკვრით ნათქვამი აქვს ი. ჯავახიშვილს, იხ. მისი ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 137, 160).

სიგლის მიმღების მიერ გადახდილი ქრთამით პირველად თითქოს საბუთის დაწერი უწყება კმაყოფილებოდა: ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, საწოლის მწიგნობარი და სიგლის უშუალო დამწერი (მწიგნობარი. იხ. § 14. დიდმნიშვნელოვანი სიგლები თვითონ საწოლის მწიგნობარის მიერ იწერებოდა). ვის რამდენი ერგებოდა მასში, არა ჩანს, უფრო კი უფროს-უმცროსობით უნდა განაწილებულიყო.

სიგლები მეტწილად „ქვეყნის გაცემას“ და „სამამულოდ შეწყალებას“ ეხებოდა და ამირსპასალარის დასტურს მოითხოვდა (§ 36). ამიტომ, ქრთამის ნაწილი მასაც ეკუთვნოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილის „დიპლომატიკა“, გვ. 67), თანაც მანდატურთუხუცესის წილის თანაბარი.

თუმცა მე-13 §-ში ნათქვამია, სიგლის დამწერმა „... მისი აიღოს, მაშინდა მესტუმრეს მისცეს“ სიგლის მიმღებმაც, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ქრთამი მესტუმრეს თავისი უწყების მესვეურის, მანდატურთუხუცესისა და მისი ტოლის ვაზირის ამირსპასალარის უწინარეს მისცემოდა.

მანდატურთუხუცესის ხელქვეითებში სიგლის ქრთამი ერგებოდა მესტუმრეს (სიგლის გამომთხოვის დამხდურსა და გამძღოლს), მერიგესა და მანდატურს (უთუოდ იმას, რომელიც იმ დღეს სათანადო სამსახურად განწყესებული იქნებოდა). მესტუმრის, მერიგისა და მეტადრე მანდატურის ქრთამის აღება ნათლად არ ჩანს. „... მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარსა სწორი მართებს, მესტუმრეს—უმცროსი, და მერიგეს რაც მას დაუვარდეს, მანდატურს მართებს და მიხვლების, მისგან მართებს“—ო, —წერია ძეგლში. მესტუმრის წილი, რომ ვეზირებისაზე ნაკლებია („უმცროსი“), ეს ეჭვს არ იწვევს; მესტუმ-

რისა და მერიგისა კი უნდა ვიფიქროთ, რომ თანასწორი იყო. მათზე ნაკლები („რაც მას დაუვარდეს“) მანდატურს უნდა მიეღო, მაგრამ ვისგან ან საიდან? მთელი ქრთამის რაიმე წილი „მიხვდებოდა“ მას, თუ მერიგეს თავისიდან უნდა ეწილადებინა? ექ. თაყაიშვილს ეს ადგილი რუსულად სწორედ უქანასკნელი აზრით უთარგმნია.

ქრთამს იღებდა აგრეთვე განმგეთუხუცესი, მაგრამ სიგლის გაცემასთან იყო ეს დაკავშირებული თუ არა, ძნელი სათქმელია, რადგან ძველის ავტორი აღნიშნულის შესახებ ზოგადად წერს: „ზემო დაშიწერია“-ო. სხვაგან კი განმგეთუხუცესის ქრთამზე არსად არაფერს ამბობს (ამას ე. თაყაიშვილიც აღნიშნავს გვ. XXIII და ი. ჯავახიშვილიც ქართვ. იერ. ისტორ., 5, 208, სქ. 3).

14

მე-14 §-დან ჩანს, რომ სიგლის ქრთამი ამით არ თავდებოდა. უკვე გამზადებული სიგლის დაბეჭდვაში მსახურთუხუცესის მოხელენი—მოლარეთუხუცესი, სალაროს მოლარე და მეგოდრე (ესეც სალაროს მსახურად ჩანს) მონაწილეობდნენ. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ორი უქანასკნელი მაინც ამითვის გასაპრჭელოსაც იღებდა (ივ. ჯავახიშვილი, დიპლომატიკა, 76, 79).

მანდატურების შესახებ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამ მოხელეთა უმრავლესობა გლეხები ყოფილან (სამასიდან მხოლოდ სამი სახლია აზნაურისა, § 13) და, მაშასადამე, მანდატურობა ერთ-ერთ უდაბლეს თანამდებობას წარმოადგენდა (შეად. მესაწოლეებს — § 15). ხელნაწერში სწერია: „მანდატური სამი სახლი არის“-ო. ექ. თაყაიშვილი მართებულად „სამასს“-ად ასწორებს. რადგან იქვე სამი მარტო საზნაურო სახლია აღნიშნული. მიუხედავად ამისა, ექ. თაყაიშვილის რუსულ თარგმანში ეს აშკარა შეცდომა გაუსწორებელი დარჩენილა.

მეჩამეთუხუცესის განსაგებლის ნუსხაში უადგილოდ მოჩანს სიტყვა „მეკირე“. ექ. თაყაიშვილი მას დამახინჯებულად თვლის და თავისი რუსული თარგმანის ერთ-ერთ ვარიანტში შენიშნავს, აქ რომელიღაც ტყბილეულობა უნდა იგულისხმებოდესო.

მ ე კ ა მ ბ ე ჩ ე დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ი მ ა რ ტ ო მ წ ე ვ ე ლ ა ვ ს კ ი არ უნდა ნიშნავდეს, როგორაც ექ. თაყაიშვილს რუსულად უთარგმნია, არამედ კამეჩების (მეჩამეთუხუცესის განსაგებელში ფურკამეჩების წველაა ნახსენები) მომვლელსაც (შეადარ. „ქართ. ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., II, გვ. 80, ლექსიკონი: დიასახლისი).

მე-14 § შეიცავს მსახურთუხუცესის სავაზიროს ხელისუფალთა ჩამოთვლას და, კერძოდ, თვითონ ვაზირის, მესაწოლეთუხუცესისა და მოლარეთუხუცესის საწოლ-სალაროში სამსახურის განრიგებას. (იხ. §-ი 12, 1, 6—7, 35).

მსახურთუხუცესს თანამდებობის ნიშნად თვლიანი ბეჭედი ერგებოდა და განწესების დროს მეფისაგან ებოძებოდა ხოლმე იგი როგორც დიდ მოხელეს (იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. 1, 98). ი. ჯავახიშვილის მიერვე მე-14 §-ში აღნიშნული საბოძებელი ბეჭედი მოლარეთუხუცესისად და თანაც სასიგელე ბეჭდად არის აღნიშნული, რაც მართალი არ უნდა იყოს (ი. ჯავახიშვილი, ქართ. სამ. ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 184, მისივე დიპლომატიკა 69, 74). ალბათ, უფრო გვიან, „ქელმწიფის კარის ვარიგების“ ტექსტზე მუშაობისას, ი. ჯავახიშვილს, ე. თაყაიშვილის საწინააღმდეგოდ წინადა-

დებამი „...ამათი[ა] საურავი და ზღვენი... მოლარეთუხუცისსა“-ს შემდეგ წერტილი დაუსვამს და ამრიგად მოლარეთუხუცესსა და ბეჭდის ბოძებას შორის კავშირი გაუწყვეტია. ამავე დროს მას ის აზრიც კი დაბადებია, იქნებ მე-14 §-ის „რა ითაყვანოს“ და 1-ლი §-ის „მსახურთუხუცესი მას ეთაყვანების“ ერთმანეთს ეხმაურებოდესო (ივ. ჭავჭავიძე, ქართვ. ერის ისტორია, V გვ. 209, სქ. 1). რომ მოსაზრება მსახურთუხუცესის თანამდებობითი ბეჭდის შესახებ სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, ეს შემდეგიდანაც ჩანს: მე-14 §-ის პირველი სამი აბზაცი საკუთრივ მსახურთუხუცესისა და მისი სახელისუფლოს დახასიათებისადმია მიძღვნილი. მოხელეთა დასახელების შემდეგ მე-12 და 35-ე §-ებთან შეთანხმებით გამოყოფილია საწოლსა და სალაროში მოქმედი მოხელეები. შემდეგ ტექსტს უნდა აკლდეს, სახელდობრ მსახურთუხუცესის ზედამდგომელის ამბავი, რადგან მომდევნო §-ის ამ ნაწილის დამასრულებელ აბზაცში ნათქვამია: „...ზედამდგომელი მესაწოლეთუხუცესსაც მართებს“-ო (იხ. § 9 კომენტ.). ამრიგად, მეორე და შემდეგ, აწ დაკარგულ აბზაცში ვეზირ მსახურთუხუცესის თანამდებობითს გამოჩინებაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი.

სიგლების დაბეჭდვის ადგილი, როგორც ნათლად აქვს ნაჩვენები ივ. ჭავჭავიძის, ისეა შერყენილი, რომ ნამდვილი ვითარების აღდგენა მეტადრე სრულად, ძნელად თუ მოხერხდება. მიუხედავად ამისა, განსვენებულ მეცნიერს ცდა არ დაუკლია და სათანადო სურათი რამდენადმე წარმოუსახავს (ი. ჭავჭავიძე, დიპლომატიკა, 69—78; ქართ. სამართ. ისტ., წ. II, ნ. 1, 184). აღნიშნულის მიუხედავად ზოგი რამის დაზუსტება და დამატება მაინც კიდევ შეიძლება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ივ. ჭავჭავიძის თანამდებობის ნიშნად ნაწყალობევი ბეჭედი იმავე დიდ სასიგელე, საგახსნითე ბეჭდად მიუჩნევიან (იხ. ე. თაყაიშვილის რუსული თარგმანიც), მაგრამ თანვის სხვა თხზულებაში მას ასეთი გაიგივება საექვოდ ჩაუთვლია. იგი ამბობს, რომ „...თუ დასაბეჭდავად მოლარეთუხუცესის თვალედი ბეჭედი —კი არ იხმარებოდა, არამედ მოლარეთუხუცესის სასიგელე, საგახსნითე ბეჭედი, რომელიც შეიძლება ლითონისაც ყოფილიყო“, მაშინ „საქართველოშიაც ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპის მსგავსად ლითონის შეკიდული ბეჭდები“ იტოღნენო. (ივ. ჭავჭავიძე, დიპლომატიკა, 76).

მე-14 § თითქოს არაფერ საბუთს არ იძლევა, რომ მსახურთუხუცესის ბეჭედი სიგელების დასაბეჭდად ვიგულოთ. ამ ბეჭდის ბოძების შემდეგ თხრობა ზედამდგომელზე გადადის და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ბეჭდვის პროცედურის აღწერილობა, რომელსაც წინ ქვესათაურის მსგავსი ასეთი სიტყვებით კი აქვს წამძღვარებული: „ბეჭედი ესრეთ სხენს“. ესეც არ იყო, სრულიად გარკვევით ნათქვამია, დიდი საგასახსნითე ბეჭედი რომ არის (ე. ი. სხვა, ის არა, რომელზედაც აქამდე იყო ლაპარაკი), სიგელები იმითი იბეჭდებოა. თუ კი სიგელებისათვის ცალკე, საგანგებო ბეჭედი ყოფილა, რომლის ანაბეჭდი უფრო ლითონის შეკიდულ ბეჭდად უნდა წარმოვიდგინოთ, მაშინ ისიც გასათვალისწინებელია. რომ ასეთ ბეჭედს ბეჭედი ტუფრისაჲ, ე. ი. სატვიფრაჲ, რქმევიან (ივ. ჭავჭავიძე, დიპლომატიკა, 73). მე-14 მუხლში ვკითხულობთ: „...ტუფრითა დაბეჭდული მოლარეთუხუცესსა კელთ აცვია“. ტუფრი ექ. თაყაიშვილს განმარტებული აქვს ტყვიათ (იხ. ექ. თაყაიშვილის წინასიტყვაობა

„ქელმწიფის კარის გარიგებისა“, გვ. XXXVII, აგრეთვე ლექსიკონი), მაგრამ ამას დამადასტურებელი წყარო ვერ მოენახა, ჯუანშერ მემბტიანეს უწერია: „...გუჯარნი ტყვისანი...“, ე. ი. ტყვისა, ტყვის ბექდიანიო (ქართ. ცხ., I, 236 და ლექსიკონი: ტყვი; იხ. აგრეთვე ი. ჯავახიშვილის „დიპლომატიკა“, გვ. 135—ტყვიებუქედი). ამრიგად, ტური-ტყვია თითქოს არ მართლდება და ნი-ზანშეწობილი იქნება, თუ ტურის ტუიფრად წავიკითხავთ, მით უფრო, რომ ნუსხის გადამწერის მიერ — ზ-ს ნაცვლად „უი“-ს დაწერა ადგილი მოსალოდ-ნელია. აქვე მოსატანია, რომ თვითონ ტერმინ სიგლის სათავეში ბექედი უნდა იყოს: იგი თუ X-დან არა, XI საუკუნიდან მაინც არის ჩვენში გაჩენილი და იმავე მნიშვნელობის ბიზანტიური სიგილიონიდან უნდა იყოს წარმომდ-გარი, რომელიც თავის მხრივ, ლათინურ Sigillum-ისაგან (ბექდისაგან) მომ-დინარეობს. ასეთი წარმომავლობა გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ბი-ზანტიაში სწო ზედ ლითონის შეკიდული ბექედები ყოფილა (ი. ჯავახიშვილი, დიპლომატიკა, 24—25, 134—136). ძნელი წარმოსადგენია, რომ დიდი სასიგე-ლე ბექედი მოხელეს ხელზე (თითზე) ჰქონდა გაკეთებული, როგორც ეს თით-ქოს მე-14 §-იდან ჩანს. ეტყობა ივ. ჯავახიშვილს ასე ჰქონდა წარმოდგენილი (დიპლ., 69). ექ. თაყაიშვილს ეს ადგილი უფრო სწორად აქვს გაგებული. „ქელთ აცვია“, ე. ი. წამოცმული აქვს, ჰკიდიო (იხ. რუსული თარგმანი). მარ-თლაც ბექედები ყელზედაც ჰკიდებიან (იხ. ЭС — Брокгауза и Эфрона, Сфрагистика). ხელზე დაკიდება კიდევ უფრო იქნება დასაჯერებელი, თუ ვიფიქრებთ რომ მხედველობაში უკვე ტვიფრდაკრული და სიგელზე დასაყი-დებლად ზონარგაყრილი ბექედებია. და ბოლოს, წყლიანი თასი და ნალი, მეტ-ადრე ორი, ცვილისაზე თუ სხვა ამგვარზე მეტად ლითონის ბექდისათვის იქნე-ბოდა საჭირო.

მეოთხე აბზაცს, რომელიც დაბეჭდვის ინვენტარსა და პროცესს აგვი-წერს, თხრობის თანამიმდევრობა აკლია, მაგრამ ეს ნუსხას ესაყვედურება და ხელნაწერის ბევრ სხვა ადგილსაც ღირსებას უმცირებს.

დაბეჭდვაში მონაწილეობენ მოლარეთუხუცესი, სალაროს მოლარე, მეგო-დრე და სიგლის დამწერი მწიგნობარი. აქედან აშკარაა, რომ დიდი სახელმწი-ფო სასიგელე ბექედი სალაროში ინახებოდა და სიგელი დასაბეჭდად იქ მიჰ-ქონდათ. სალაროს მოლარე და მეგოდრე, უთუოდ სალაროსავე (ძეგლში ეს მოხელე მართო აქ იხსენიება, ხოლო საანგარიშო გოდორი მე-18 და მე-20 §-ში გვხვდება და მეგოდრეები ზარდახანასა და საღვინეშიც სავარაუდებელია) მოხელეები ანუ ბექდის უშუალო შემნახველები თუ მცველები იქნებოდნენ. შესაძლოა გოდორში საბეჭდელ გამზადებული ზონარგაყრილი ლითონის ნაჭ-რებიც ეწყო.

საყურადღებოა, რომ სალაროს მოხელეთაგან დაბეჭდვის გასამრჯელოს მხოლოდ მოლარე და მეგოდრე იღებდნენ (იხ. § 13 კომენტ.).

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიგელს სალაროს მოხელენი კი არ ბექდავდნენ, არამედ თვითონ მისი დამწერი და სალაროში დასაბეჭ-დად მიმტანი მწიგნობარიო (ი. ჯავახიშვილი, დიპლომ., 74—75). მაგრამ, და-ბეჭდვის ტექნიკურ დეტალებში მართო სალაროს მოხელეთა მოხსენიება, თუ ეს ხელნაწერის ხარვეზის შედეგი არ არის, იმის მომასწავებელია, რომ სიტყ-ვები „და დაბეჭდავს მწიგნობარი...“ ბექდის სალაროში საქმის მოთავების აზრით უნდა გავიგოთ.

მე-14 §-ში მოხსენებული „საგახსნითე“ ბეჭედი იმას ნიშნავს, რომ იგი გახსნილი საბუთებისათვის იყო განკუთვნილი, ე. ი. ივ. ჭავჭავაძის განმარტებით. „არსებული უფლებრივი დამოკიდებულებითგან განთავისუფლების“ აღმწესხველი საბუთებისათვის (ი. ჭავჭავაძის, დიპლომატიკა, 38). მაგრამ „ქელმწიფის კარის გარიგება“ საერთოდ დიდ სახელმწიფო სასიგელე ბეჭედზე მიგვანიშნებს და „საგახსნითე რომ ბეჭედი არის“ დამატებით განმარტებად ვვესახება. ავტორს ნდომებია სრული სიზუსტით მიეთითებინა, თუ როგორ ბეჭედზეა საუბარი, რადგან, ჩანს, განსხვავებული დანიშნულების დიდი ბეჭედი სხვაც ყოფილა. ექ. თაყაიშვილს ძეგლის თავისი ქართული გამოცემის ლექსიკონში, „საგახსნითე“ „საგახსნითე“-დ უწერია და პირვანდელი, განზრახული ქართულ-რუსული გამოცემის ლექსიკონში სწორად *разрешительная* დაქვეს ნათარგმნი. კორექტურაში მას ჩაუმატებია, „ის ბეჭედი, რომლითაც დაბეჭდვდნენ სასიგელე სახელმწიფო ბეჭედს შესანახად ხმარებამდის“-ო, მაგრამ შემდეგში ეს განმარტება უსაფუძვლოდ მიუჩნევია და ამოუშლია.

15

მე-15 § კვლავ (იხ. § 14) მსახურთუხუცესის სახელოზე მოგვითხრობს. მისი განსაგებელი მეფის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა, როგორსაც მეცხვარეობა წარმოადგენდა. მისივე საერთო საზრუნავად ჩანს მეფის მგზავრობის ორგანიზაცია და ქარავანი. მსახურთუხუცესს, როგორც უწყების მთავარ უფროსს, ექვემდებარებოდნენ. მესაწოლეთუხუცესის მეშვეობით, მესაწოლენი და უთუოდ ბარგის უხუცესიც.

მე-14 §-ში წერია, რომ მსახურთუხუცესს ექვემდებარება სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი და სხვა. როგორც მოძრავი, სალარო, აგრეთვე მოძრავი საწოლიც არსებობდა (ივ. ჭავჭავაძის, ქართ. სამ. ისტ., წ. II, ნ. I, 187).

მე-15 §-ში მოცემულია მოძრავი საწოლისა და სალაროს აღწერილობა, მათი ერთიდან მეორე ადგილზე გადატანის წესი. მოძრავი საწოლი და სალარო საჭირო იყო მეფის მოგზაურობის შემთხვევაში („რა მეფე აიყაროს“). პირველ ყოვლისა, საწოლის გადაზიდვისათვის ძეგლში გათვალისწინებულია „სიკისტროსანი ჯორი“. სიტყვა „სიკისტროსანი“ ანუ „სიკისტრონი“ მხოლოდ „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ გვხვდება და მისი შინაარსი გაურკვეველია. აღწერილობიდან ჩანს, რომ „სიკისტროსანი ჯორი“ განსაკუთრებით მდიდრულად იყო მორთულ-მოკაზმული. სიკისტროსან ჯორს უკან მისდევდა „სასაგებლე“ „ყათარი“ ჯორი, ხოლო შემდეგ მიჰქონდათ სალარო.

მეფეს თან ახლდა შვიდასი „შუბოსანი“.

საწოლსა და სალაროს, ერთად აღებული, როგორც ჩანს, ბარგი ეწოდებოდა, რომლის გადატანასაც „ბარგის უხუცესი“ ხელმძღვანელობდა.

ზოგიერთი სიტყვის შინაარსი გაურკვეველია, გაურკვეველია მაგალითად თუ რას ნიშნავს „სუნდუზი“.

16

მე-16 §-ში საუბარია მეფის მომსახურეობის შესახებ ღამით. მასში ვკითხულობთ, რომ მეფეს ღამით იცავენ წინმწოლნი. აქვე მოხსენებული არიან „კარის დარაჯა“ და „საწოლის მეკრე“.



1  
საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საწოლის მეკარეს „ხელთ არგანი“ ჰქონა (§ 38). ვაზირობის დროს საწოლის მეკარე „გარეთ არს, ზურგი შემოუქცევია კარით, ან გამოუხშავს...“ ქვე ზის და ვისცა უბრძანებენ შემოიყვანს“ (§ 38). იგი დიდი დარბაზობის დროს „ქვე ვერ დაჭდების“ (§ 20). საწოლის მეკარე და კარის დარაჯი მეფის საწოლს იცავდნენ (§ 16).

ლამით, შესაძლებელია მეფეს მოსწყურდეს, ამისთვის მეღვინეს მომზადებული აქვს გაცივებული ღვინო ან სხვა სასმელი, და რომელიც მეფეს მოესურვება იმას მიაართმევს (მეღვინე), ხოლო რაც დარჩება იმას საწოლის მეკარე, კარის დარაჯი და წინამწოლნი წაიღებენ.

დილით მეფე საწოლიდან გამოვა. „რამე მეფე საწოლით გაქმოქვიდეს ფარეშთუხუცესსა კელის ნოხნი, სანთელი, ფანარი, მაშხალა და რამე ტაბაკი აიღონ, სარმუზა აცვია, ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა, მას კედლის ძირსა ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში გახსნის და შეუნახავს, და იგი ტახტსა ზედა გავა, ანუ აქვს ცოტა გარეჯით ნაძლნობი, ანუ თუ იგი არ იყოს, მანდილი გრძელი და მეფეს გარდამოუქმანავს წინა“. წინადადება ნაკლულია. „ფარეშთუხუცესსა“-ს შემდეგ სიტყვები აკლია. ივ. ჭავჭავაძის აღნიშნავს, რომ სიტყვების „მაშხალა“-სა და „გრძელი“-ს შემდეგ ტექსტი ნაკლულია, (ივ. ჭავჭავაძის, ქართული ერის ისტორია, წ. 5, 1953, გვ. 210) ამის გამო აზრი ბუნდოვანია. დილით მეფე ადგება და საწოლიდან გამოვა. უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე საწოლიდან მისაღებ დარბაზში შევა. ამ დროს მეფეს ფარეშთუხუცესი და ფარეშები ემსახურებიან. ჩვენ ვიცით, რომ დღესასწაულების დროს მეფის ჩაცმას, მორთვას, მსახურთუხუცესი ხელმძღვანელობს (§ 1), რომელსაც ექვემდებარებიან ფარეშთუხუცესი და ფარეშები. მე-16 პარაგრაფის მიხედვით ფარეშთუხუცესის საქმიანობა მეფის საწოლიდან გამოსვლის მომენტიდან იწყება. ფარეშთუხუცესის მომსახურება ამ შემთხვევაში ერთ ეპიზოდად არის აღწერილი. პირველ ყოვლისა, ფარეშთუხუცესის მომსახურება დაკავშირებულია ხელის ნოხთან, სანთელთან, ფანართან, მაშხალასთან, ტაბაკის აღებასთან, მეფის მისაღებ დარბაზთან და ტახტის მორთვასთან.

ჩამოთვლილი საგნების მიხედვით, ფარეშთუხუცესის საქმიანობა შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: 1) მეფის საწოლთან დაკავშირებული მომსახურება და 2) მეფის მისაღებ ოთახში სამსახური. მართლაც, სანთელი, ფანარი, მაშხალა აღარ იქნებოდა საჭირო „დილას, რამე მეფე საწოლით გაქმოქვიდეს“. ეს ნივთები ღამე იყო საჭირო მეფის საწოლის მომსახურებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, პარაგრაფის დასაწყისში ტაბაკზეა საუბარი, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში ღამით მეფესთან სასმელს შეიტანდნენ. ჩვენს მიერ წოყვანილ ციტატში კი ნათქვამია: როცა დილით მეფე საწოლიდან გამოვა, მაშინ, „ტაბაკი აიღონ“-ო. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სიტყვებამდე „ტაბაკი აიღონ“ ფარეშთუხუცესის საწოლის მომსახურებას ეხება, ხოლო ამის შემდეგი ადგილი, იმავე ფარეშთუხუცესის მისაღებ დარბაზში სამსახურს ეხება: ფარეშთუხუცესი გაიხდის ჩაფლს (ფეხსაცმელის ზევიდან ჩასაცმელს), გავა ტახტზე და „გარეჯით ნაძლნობი ცოცხით მეფეს გადმოუწმენდს ტახტსა და ნოხს.

29-ე §-შიც არის საუბარი „გარეჯულ ძღვენზე“, გარეჯულ ძღვენში. რომელიც გარეჯის მონასტერს მეფისათვის უნდა მიერთმია შედიოდა „ცოტა ძღვენი — ცოცხი კარგად გაწყობილი“. ამ ცოცხს „ფარეშთუხუცესი აიღებს, სურობას უკანით ნოხსა გარდმოგვს“ (§ 29).

მე-16 §-შიც „ცოტა გარეჯით ნაძღნობი“ სწორედ გარეჯული ცოცხი უნდა იყოს, რომლითაც ფარეშთუხუცესი მეფის ტახტს და ნოხს გადმოგვიდა. ე. თაყაიშვილს მოყავს 1479 წლის ერთი საბუთი. (ტყავზე მინაწერი), რომელშიაც ჩამოთვლილია დავით გარეჯის გადასახდელები მეფის სასარგებლოდ. („ქელმწიფის კარის გარიგების“ წინასიტყვაობა, გვ. XX—XXI). ეს გადასახდელები დაახლოებით ისეთივეა, როგორც „ქელმწიფის კარის გარიგებაშია“ მოცემული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1479 წლის მინაწერში მოხსენებულია „სამი ცოცხი“, რომელიც გარეჯის მონასტერს მეფისათვის უნდა მიერთებია. მინაწერის მიხედვითაც ეს ცოცხები ფარეშთუხუცესს ებარა. „ქელმწიფის კარის გარიგებისა“ და 1479 წლის მინაწერის ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ არის. „ქელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს თავის შრომაში მოცემული დებულებანი, სამართლის ნორმები, წესები, ამოღებული აქვს წერილობითი ხასიათის კანონებიდან ან ჩვეულებითი სამართლიდან. ამიტომ არის, რომ „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ გათვალისწინებული ნორმები მოქმედებენ შემდეგ საუკუნეებში (მინაწერი, როგორც ვთქვით, 1479 წლისა).

მე-16 §-ის მიხედვით ფარეშთუხუცესი „ტახტსა ზედა გავა“, მაგრამ ისე, რომ ჩაფლთ გაიხდის „კედლის ძირსა“, ან ფარეში შეუნახავს. ფარეშთუხუცესის მიერ ჩაფლთ გახდა, იმასთან არის დაკავშირებული, რომ იგი უნდა შეუდგეს ტახტის გასუფთავებასა და მოკაზმვას. ტახტი ნამდვილი სამეფო ტახტის მნიშვნელობით არის აქ ნახმარი თუ მას დივანის ან სხვა რამე საჯდომის შიხარისი აქვს, ტექსტის მიხედვით არა ჩანს. ის კი ცხადია, რომ ყველა შემთხვევაში ის მეფისათვის იყო განკუთვნილი. ამიტომ, მსახურთათვის იგი განსაკუთრებული ყურადღების და პატივისცემის საგანი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, ტახტზე მხოლოდ ფარეშთუხუცესი ავიდოდა და ისიც პატივისცემის ნიშნად ჩაფლთ განდრიო.

ამავე დარბაზის სხვა ადგილებს ან სხვა ნოხებს, რომლებიც ტახტთან არ არის დაკავშირებული ფარეშთუხუცესის ქვემდებარე ფარეშები სწმენდნენ და კაზმავენდნენ.

ამ საკითხზე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ აღნიშნული ადგილის სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მოგვეხსნა. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „მეფეს ჩვეულებრივ სარმუზა აცვია ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა. მას კედლის ძირსა ჩაფლთ წახსნის, ანუ ფარეში გახსნის... და იგი (მეფე) ტახტსა ზედა გავა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, 1928, გვ. 190). მაშასადამე, აკად. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ტახტზე მეფე ავა და არა ფარეშთუხუცესი. აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, როგორც ვნახეთ, არ უნდა იყოს მართებული.

ამავე პარაგრაფში საუბარია ტახტის მოკაზმვაზე, მაშინ როდესაც ადგილი აქვს „ხილობას“. „ხილობა“ აკად. ექ. თაყაიშვილს გაგებულ აქვს, როგორც ღილა, ნახვა, აღდენცია, დარბაზობა (იხ. ექ. თაყაიშვილის ლექსიკონი, მისივე რუსული თარგმანი). ექ. თაყაიშვილის განმარტება არ მიგვაჩნია მართებული.

მე-17 §-ში საუბარია სათხილეს—თხილის გასატეხი იარაღის, სახილე ტაბაკის შესახებ და ხილით გამასპინძლეებისა მსახურთუხუცესის მოვალეობაზე. ეს იმიტომ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ალბათ მსახურთუხუცესი

განაგებდა მომსახურების საქმეს. იქვეა ნახსენები სპეციალური მოხელე — „მეხილეთუხუცესი“, რომელიც მისდამი დაქვემდებარებული მოხელეებით ემსახურებოდა სტუმრებს ხილით გამასპინძლების დროს. როგორც ჩანს, მეფის სასახლეში ცალკე სახილე დარბაზი იყო გამოყოფილი (§ 17). ყველა ამის გამო, მე-16 §-ის ხილობა გაგებული უნდა იქნეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ხილით გამასპინძლება.

მე-17 §-იც ნაკლულია. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ადგილის შესახებ, რომელიც მსახურთუხუცესს ეხება: „და რა მსახურთუხუცესმან მანდილი საყელე მერპე იგი დადვას და მეხილე ანუ მოლარე თხილსა მით ლეწდენ“. ექ. თაყაიშვილს ეს ადგილი ასე აქვს გადმოცემული: „глава служителей надев на шею фартук ставит поднос“.

მსახურთუხუცესი ვაზირი იყო. შეიძლება მან სახილე გამასპინძლების ცერემონიალთან დაკავშირებით „მანდილი საყელე“ გაიკეთა, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, ან რას წარმოადგენდა ეს მანდილი, გაურკვეველია. ტექსტის ეს ადგილი რომ ნაკლული არ იყოს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა შინაარსის მიხედვით დაგვედგინა, თუ რას აკეთებდა სახილეში დარბაზობის დროს მსახურთუხუცესი და რად უნდოდა მას ეს საყელე მანდილი.

მე-17 §-ში წერია: „დიდი არის მეჭურჭლეთუხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვეზირი არის. ძელნი, ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო, რაც მეფისაქაჲ მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებაო.“

„ძელნი“ აკად. ივ. ჯავახიშვილს გაგებული აქვს, როგორც „ძველნი“ (ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 176).

„ძველნი“ შინაარსის მიხედვით თითქოს უფრო მისაღები ჩანს („ძველნი ქალაქნი“). ამავე პარაგრაფის ბოლოში კიდევ არის ნახსენები ქალაქი, რომელიც მეჭურჭლეთუხუცესის „სასაურვოა“. ეს გარემოება, კიდევ უფრო ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ სწორედ ძველ ქალაქებზეა საუბარი. ე. თაყაიშვილს კი ეს ადგილი გაგებული აქვს როგორც „строеной лес“.

მე-17 §-ში წერია: მეჭურჭლეთუხუცესს „ზედამდგომელი მართებს მეჭურჭლე. და ქრთამი და სასაურვო უქალაქოთ სხეაც მისია, და მსახურთუხუცესისა სწორია, ვით ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა“.

25-ე §-ის მიხედვით კი მეჭურჭლეთუხუცესი მსახურთუხუცესის სწორია, ხოლო სამთა ვაზირთა—ათაბაგსა, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესზე — ნაკლები. ამიტომ, საფიქრებელია, რომ მე-17 §-ში არ არის საუბარი მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანასწორობაზე, როგორც ამას ექ. თაყაიშვილი (იხ. რუსული თარგმანი) და ივ. ჯავახიშვილი (ქართული სამართლ. ისტორია, წ. II, ნ. I, 1928, გვ. 167) ფიქრობენ. სავარაუდებელია მე-17 პარაგრაფის ამ ადგილის ასეთი ახსნა: სასაურვო და ურვასთან დაკავშირებული ქრთამი ანუ გასამრჩელო, სასყიდელი, ქალაქებიდან საკუთრივ მეჭურჭლეთუხუცესისაა, ხოლო დანარჩენი ადგილებიდან მას ისევე ეკუთვნის ქრთამი, როგორც მსახურთუხუცესს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს.

მე-18 §-ი ეხება ამირსპასალარსა და მის სახელისუფლოს. პირველ ყოვლისა, აქ საუბარია სამხედრო უწყებაზე, რომელიც ამირსპასალარს აბარია

„ლაშქრობაჲ და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ხელთ არის, მას წინათ არავენ იტყვის“, მაშასადამე, ამირსპასალარის არის პირველი სიტყვა. როგორ უნდა გავიგოთ ეს ადგილი? ჩვენ ვიცით ორი დაწესებულება: სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი და სავაზირო. ერთშიც და მეორეშიც შედიოდა ამირსპასალარი. მაგრამ, ორივე დაწესებულებაში შედიოდა მწიგნობართუხუცეს-ჰყოხდიდელიც, რომელიც მეფის შემდეგ პირველი იყო და პირველი სიტყვაც მისი უნდა ყოფილიყო. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სახელმწიფო საბჭოში ან სავაზიროში, თუ კი სამხედრო საკითხი იდგა, მაშინ პირველი სიტყვა ამირსპასალარს ეკუთვნოდა.

აკად. კ. კეკელიძემ „მეფის კურთხევის წესის“ მიხედვით ჩუხჩარხი მართებულად მიიჩნია მეფის დაცვის უფროსად (კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, 1941, გვ. 15).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ძეგლის შემდეგი ადგილი: „სადაც მეფე მივა, ცხენისაგან ჩამოვა, ამირჩუხჩი მანამღი ცხენით მივა“. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამირჩუხჩი, როგორც მეფის დაცვის უფროსი, მეფისა და მისი აწალის მსვლელობის დროს წინასწარ მივა იმ ადგილზე, სადაც მეფე უნდა მივიდეს, დაზვერვის მიზნით, რომ მეფეს რაიმე საფრთხე არ მოელოდეს.

პარაგრაფში საუბარია „ერთის ტანსაცმელის აბჯარზე“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ერთის ტანსაცმელის აბჯარზე“ ზოგადად არის საუბარი. ამ ადგილის შინაარსი ისე უნდა გავიგოთ, რომ რაც მეფეს აცვია, ან რითაც მეფის ცხენია შეკაზმული, ის არ არის ზარდახანაში, ხოლო სხვა, რაც ჩამოთვლილია პარაგრაფში, არის ზარდახანაში და იგი უნდა აიწეროს.

მე-18 მუხლში გვხვდება სიტყვა „დაბარჩამნი“. ე. თაყაიშვილს ეს სიტყვა გაგებულნი აქვს, როგორც „პატარა ცული“. რუსულ ტექსტში მას უწერია: „две секиры с коваными концами“ (ქართულად: „დაბარჩამნი ორნი თავგარდაჭედილნი“). მაგრამ ტექსტის შინაარსს ასეთი თარგმანი არ უდგება. ქართულ ტექსტში მოყვანილ ციტატას წინ უძღვის „დიდი დროშა“. ამიტომ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „დაბარჩამნი ორნი“ ორ პატარა დროშას ნიშნავდეს, ან კიდევ დიდი დროშის ორ ბუნს (ტარს). ამ სიტყვის ასეთი ბუნდოვანობის გამო არ ჩავთვალეთ შესაძლებლად მისი რუსული თარგმანი მოვეცა.

მე-19 §-ი ტექსტის დეფექტურობის გამო ბუნდოვანია. განსაკუთრებით ეს ითქმის პარაგრაფის თავსა და ბოლოზე.

- მ ე ჭ ლ ი შ ი ი ხ, უმეჭლიშო. ქ. გ. ლ.: არაბ. მაქლის „ერება, ბეობა“. მეჭლიშისანი 41<sub>20</sub>, ე. თ.: მეჭლისი (დაბეჭდილში: მეჭლიში. — ი. ს.) — დიდი პურობა, ლხინი; მეჭლისისანი, относящийся к пирю.
- მ ი მ ძ ლ ა ვ რ ე ბ უ ლ ი, მიმძლავრებულთა 34<sub>12</sub>, ე. თ.: მიმძლავრებულთა — დაზარალებული ძალადობით, угнетенный, потерпевший от насилья.
- მ ი ს ა ლ მ ე ზ ა, მოესალმოს (მეფე) 44<sub>6-7, 27</sub>, ამ შემთხვევაში სასახლეში მიღების ცერემონილის კომპონენტი.
- მ ი ს ჯ ე ვ ე ნ 37<sub>21</sub>, ე. თ.: მისჯევენ — მისდევენ, მოყვებთან, следовать.
- მ ი ს რ ა ტ უ ლ ი 40<sub>20</sub>, ე. თ.: მისრატული—(დაბეჭდილში: სამეჭინბოს მოხელეა.—ი. ს.) мисратул. стремянный.
- მ ი ს რ ა ტ უ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი 40<sub>4</sub>, მისრატულთუხუცესს 40<sub>2</sub>, ე. თ.: მისრატულთუხუცესი — მისრატულების უფროსი, глава мисратулов.
- მ ი შ რ ა პ ა ი ხ, მაშრაპა, ე. თ.: მიშრაპა — (იხ. მაშრაპა).
- მ ი ხ მ ე ე ა, მიხმევს 32<sub>10</sub>, მიღება, მიიღებს.
- მ ე რ ე ა ლ თ უ ხ უ ც ე ს ი 32<sub>10</sub>, სასახლის სამკერვალოს უფროსი. ე. თ.: მკერვალთ-უხუცესი — მკერვალთა უფროსი глава портных.
- მ ე რ ე ფ ე ლ ი — ვინც კრეფს (ქ. გ. ლ.); ღვინის მკრეფელნიცა 35<sub>10</sub>, იხ. ღვინის მკრეფელი.
- მ ნ ა თ ო ბ ი 40<sub>20</sub>, აქ გამნათებელი, ბრწყინვალე მნათობი.
- მ ო გ ე ბ ე ბ ა — შეხედრა. მოეგებვის — (მეფე) 44<sub>6</sub>, გელაუური ძღვენი... ფიცხლავ მოაგებონ (მეფეს) 45<sub>20-21</sub>.
- მ ო გ ვ ი, სარმუზა აცეია ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა 38<sub>7</sub>, ე. თ.: მოგვი — (დაბეჭდილში: მესტი. წულა, ჩუსტი. — ი. ს.) кожа, кожаный чулок, ныне мести; кожаный чулок, поверх которого надевают чула, ჩუსტი; დ. ჩ.: ხაპლი, მოგვი, ყელმალალო ფესსაცმელი—ჩეჭმა... ქ. გ. ლ.: ჩეჭმა (თურქ. ჩაქმა) მალაღყელიანი ფესსაცმელი. — წალა. წალა... 1. მალაღყელიანი ქუსლიანი ფესსაცმელი, — ჩეჭმა... 2 უხმარიათ წულის მნიშვნელობით... ყაფალიანი წალები... ხამსის წალა... ხამსი... ხამსის წალა ავ. ყარაბაღული წალა. ყაფალიანი... ყაფალიანი წალები—ჭეჭინტიანი წალები, რომლის ყელი ფუნჯიანი ყათინით იკეროდა. ს. ო.: მოგვი—ჩეჭმა და მისთანანი. ჯამლი თურქთ — საცმელი. ჩეჭმა სხვათა ენაა, ქართულად მოგვი; ნ. ჩ.: როგვი, ხაპლი, ყელმალალო ფესსაცმელი, ჩეჭმა.
- მ ო ი ვ ა ლ ე ლ ი ლ ა გ ა მ ი 37<sub>14</sub>, ძვირფასი თელებით შემკული ლაგამი.

- მ თ ე მ ა ზ ე ა ი ს. მოკმაზული, შდრ. კაზმეა, აკაზმელობა. ტახტი ოდესა მოკმაზმოს 28<sub>12</sub>...  
იხ. უკაზმეა, გარდმოკაზმეა, მოკმაზული ჯორი 37<sub>12</sub>, ექელუად მოკმაზული ექი  
37<sub>12</sub>13, ცრთი ყათარი სხეა ჯორი სასაგებლე ტურჟადე მოკმაზული 37<sub>24</sub>25. მო-  
კაზმეა—მორთეა.
- მ თ ლ ა რ ე 37<sub>4</sub>, 39<sub>10</sub>, 41<sub>10</sub>. სალაროთ მოლარეებ[ი]სა 34<sub>4</sub> იხ. სალარო, სალაროს მოლარე,  
სალაროს მოლარეს 37<sub>7</sub>, ზარდახნის მოლარე 40<sub>20</sub>, საღვინის მოლარე 41<sub>18</sub>, საღვინის  
მოლარეს 41<sub>18</sub>, იხ. საღვინე, საღვინის მოლარე[ნი] 41<sub>20</sub>37. მოლარენი 41<sub>20</sub>37, ე. თ.:  
მოლარე—სალაროს მოხელე, გამგე, казначитель, хранитель сокровищницы,  
казначей.
- მ თ ლ ა რ ე თ უ ხ უ ე ს ი 32<sub>2</sub>, 47<sub>24</sub>, 50<sub>8</sub>. მოლარეთუხუცესისა 34<sub>8</sub>, 36<sub>24</sub>, მოლარეთუხუ-  
ცესი 34<sub>8</sub>, 36<sub>2</sub>, 37<sub>3</sub>, 4, მოლარეთუხუცესისა 32<sub>4</sub>37<sub>3</sub>, 45<sub>12</sub>13, მისა (მტბეკარის) მოლარეთ-  
უხუცესისა 45<sub>12</sub>14, მოლარეთუხუცესმან 49<sub>3</sub>, 5, ე. თ.: მოლარეთუხუცესი — მოლა-  
რეთ უფროსი, глава казначейств, глава казначеев. (ივ. ჟავახიშვილი, ქარ-  
თული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 183—185).
- მ თ ნ ა დ ი რ ე 42<sub>13</sub>. მოხელე, რომელიც მონადირეთუხუცესს (იხ.) ემორჩილება. მონადირე-  
თაჲა 32<sub>13</sub>, 14. მონადირენი 42<sub>4</sub>, 16. მონადირეთ 42<sub>4</sub>, 13-14. ე. თ.: მონადირე — егер.
- მ თ ნ ა დ ი რ ე თ უ ხ უ ე ს ი 32<sub>3</sub>, 14-16. მონადირეთუხუცესისა 42<sub>3</sub>, მეფის სასახლო  
მმართველობის უწყებაში სამონადირო საქმეების უფროსი. ე. თ.: მონადირეთუხუ-  
ცესი — მონადირეთ უფროსი, обер-егермейстер (ივ. ჟავახიშვილი, ქართული სა-  
მართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 195—196).
- მ თ ნ ა ზ ო ნ ი 45<sub>10</sub>, იგივეა, რაც ბერი. ქ. გ. ლ.: მონაზონი ბერძ. monach-იდან მარტოდ  
მყოფი. მონაზონნი 34<sub>20</sub>, ოთხთა მონაზონთა 44<sub>1</sub>, მონაზონ ოთხთაჲე 49<sub>7</sub>.
- მ თ ნ ა ს ტ ე რ ი, მონასტერი, ქ. გ. ლ.: მონასტერი ბერძ. — monasterion მონაზონთა  
საეკლესიო — საადგილ-მამულო ორგანიზაცია, თემი. რომელსაც აქვს თავისი მეურ-  
ნეობა. 34<sub>10</sub>.
- მ თ ს ა ფ ლ ა ე ე, მოსაფლავეა 44<sub>28</sub>, მოსაფლავეც 44<sub>28</sub>. ე. თ.: მოსაფლავე — მეფის საფლა-  
ვის მკველი, მეფის დამმარხველი, хранитель могилы, смотритель могилы.
- მ თ უ რ ა ე ი, მოურავნი 42<sub>18</sub>, 42<sub>16</sub>. მზრუნველი ე. თ.: (დაბეჯილში არ არის—ს. ი.) მოურა-  
ვი — управляющий, заведующий; ს. ო.: მოურავი, მწე, მონაღლე (2 მეფე. 15.3).  
ნ. ჩ.: მოურავი გამგებელი ქალაქის. თემისა და უფროვე ელის ერთა. დ. ჩ.: მოურა-  
ვი, გამგებელი ქალაქისა, სოფლებისა, ელის ერთა. ქ. გ. ლ.: მოურავი-ი... 1. ძე. მეზა-  
ტონის, მემამულის ქონების გამგებელი... 2. ისტ. რომელიმე პროვინციის, ქალაქის  
თემის და მისთ. გამგე...
- XVI—XVII საუკუნეებიდან უცხოური წარმოშობის ტერმინი „ამირა“ (იხ.)  
და „ამირთამირა“ შეიკვალა ტერმინით „მოურავი“, მოურავი იყო მმართველობის  
ადგილობრივი აპარატის მოხელე — ქალაქად (ქალაქის გამგებელი). სოფლად (სოფ-  
ლების, სოფლის, ან მისი ნაწილის გამგებელი), დაწერილებით ამის შესახებ იხ. ჩენი  
„საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, 1. 1952, გვ. 394—  
407, გვ. 424—433.
- საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სიტყვა „მოურავი“, მზრუნველის მნიშვნელო-  
ბით წყაროებში გვხვდება მაშინაც. როცა ქალაქის გამგებელს არაბული წარმოშობის  
„ამირა“ ან „ამირთამირა“ ერქვა.
- ქართ. ცხ., 1, ლექსიკ.: მოურავი („მზრუნველი“) 144, 274; გვ. 274: ...დაუტყენა  
(დავით ურბაძე—ი. ს.) უფლისციხეს გურგენ და ძე მისი პაატაჲ. მას აქმსა იყო  
პაატაჲ ჯერეთ ასაკითა თჳსითა ღირელ. ამისოჲ თან უკლებულს დაუტყეა მამა მისი  
გურგენ. შემოკრიბნა, (გურგენნა—ი. ს.) ქალთელსი ახანურნი და ესრძანა: აესე არს  
ჰკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა. შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ  
მოურავი ამისი და თანაშემწე: ამას დაემორჩილენით ყოველნი. და დაყენა დღერი  
მცირედნი და წარვიდა ტაოს“. (იხ. ზემოთ შენიშვნები 20-ე პარაგრაფისა).
- მ თ ყ ე ე ნ თ უ ს უ ლ ი — მოსილი სიასამურის ბეწვით. მიყენთუსლათა 32<sub>6</sub>, ე. თ.: მო-  
ყენთუსლათი — უნდა იყოს მიყენდრული, ესე იგი ყენდირის ბეწვით მოვლებუ-  
ლი (იხ. ყენდირი), желтоватым.
- მ თ ჩ ი ე ვ ა რ ი 34<sub>12</sub>13. „ობოლთა და ქერიეთა და მიმძღვერებულთა მოჩივართა განიკით-  
ხას“. საჩივრის აღმძებელი (ქ. გ. ლ.).

- მოდღვართ მოძღვარი 43<sub>15</sub>, 28, 44<sub>ა</sub>, 47<sub>ა</sub>, 47<sub>15</sub>, 18, მოძღვართმოდღვრისა 43<sub>6</sub>, 12, 18, მოძღვართმოდღვარსა 47<sub>18</sub>, 48<sub>2</sub>, მოძღვართმოდღვრისათჳს 43<sub>10</sub>, ე. თ.: მოძღვარ-მოდღვარი — მასწავლებელთა მასწავლებელი. მეცნიერთა მეცნიერი, учитель учитеlem (მერმე კორექტურაში ამოშლილია: духовник—ი. ს.), ректор духовной академии (Sic) в Гелатии. (შემდეგ შენიშვნა, რომელიც წაშლილია: ასე ვფიქრობ და ამას ავხსნი წინასიტყვაობაში (ი. ს.). წინასიტყვაობაში მართლაც არის ეს საკითხი გაშუქებული (გვ. XXX—XXXIV). იხ. ზემოთ გამოკვლევა.
- მოწაფე. მისთა (მოძღვართმოდღვრის) მოწაფეთათვის 43<sub>17</sub>, ქ. გ. ლ.: მოწაფე 1) სკოლის მოსწავლე. შეგირდი 2) ვისიმე მოძღვრების ან პრაქტიკული საქმიანობის მიმდევარი.
- მოკედვა — რაიმე საგნის მოკედვა, მოკედეს 45<sub>8</sub>, ს. ო.: კედა... ილევრის მუშაკობა: ილევრო ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბაშად. ნ. ჩ.: კედა... გამოკვერვა მეტალთა, КОВАТЬ. დ. ჩ.: კედა... კედვა — ковка. მოკედილი, მოკედვა, მოკედილი... ეხი 37<sub>12-13</sub>, მოკედილი... აჯახმულობა 40<sub>13-24</sub>, მოკედილი ყელ-საბაში 40<sub>24</sub>, მოკედილი ვერცხლითა და სპილენძიანი 40<sub>28-27</sub>, ტულწერაქვი... ტარის ბოლო მოკედილი, ტარმოკლე. მოკედილი 41<sub>15</sub>. ტარი მოკედილი (კოვზისა) 47<sub>24-25</sub>. ქ. გ. ლ.: მოკედილი 1) შემკობილი, შემოსილი (ძვირფასი ქვებით, ვერცხლით ოქროთი), 2) გავსებული, გაკედილი.
- მოხსენება აქ ნიშნავს პატივისცემით შეტყობინებას. მოახსენე 44<sub>7</sub>, მოახსენონ 49<sub>6</sub>.
- მსახურთუხუცესი—ევზირი, რომელსაც სასახლის მეურნეობა ებარა, მსახურთუხუცესი 34<sub>7</sub>, 35<sub>12</sub>, 36<sub>20</sub>, 28, 44<sub>17</sub>, 47<sub>4</sub>, 7, 47<sub>20</sub>, 48<sub>13</sub>, მსახურთუხუცესისა 39<sub>21</sub>, მსახურთუხუცესმან 39<sub>8-9</sub>, მისის ხელისანი 35<sub>14-15</sub>. მსახურთუხუცესისა ქელთავე 37<sub>11</sub>. მისის ხელისა 36<sub>20</sub>, მსახურთუხუცესობა 46<sub>22</sub>, მსახურთუხუცესი 32<sub>3</sub>, 47<sub>7</sub>, 49<sub>27</sub>, 30, მსახურთუხუცესის(ს) 48<sub>13</sub>. მსახურთუხუცესმან 49<sub>2</sub>, 4, მსახურ(თ)უხუცესმან 49<sub>2</sub>, 4, 13. მსახურთუხუცეს(ს)ა 49<sub>7-8</sub>, მსახურთუხუცესი მანაველი 49<sub>28</sub>, ე. თ.: მსახურთუხუცესი — მსახურების უფროსი, глава служителей, оберкамергер. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 183 — 1907; იხ. ზემოთ გამოკვლევა.
- მუახლე—მოახლე, მათნი: ამილახორისა და მეაბჯრეთუხუცესის მუახლენი 40<sub>13</sub>. სერებრ.: მოახლება... ს. ო.: მუახლე, ახლოს მყოფი... ნ. ჩ.: მოახლე, მუახლე, შიშუნეარი, მხევალი, გოგო მხლებელი, служанка, თანა-მხლებელი, ამხანაგი (ვეფხისტყ. 44, 724). დ. ჩ. 1840: მოახლე, მუახლე. ქ. გ. ლ.: მოახლე... ძე. I. შინამოსამსახურე ქალი... 2. „მიახლებელი, მხლებელი“ (იუსტ. აბულ.). მოვიდნენ სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლად ზანისა, აეთანდილ პირმზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა, ვაზირი სოგრატ. მოახლე მეფისა დასთა დასისა (რუსთაველი).
- მუზარადი 40<sub>21</sub>, მეომრის რკინის ქუდი (ქ. გ. ლ.).
- მუზაფარი 36<sub>13</sub> ი. ჯ.: მუზაფარი — მუჟუჟი (ივ. ჯავახიშ., ქართვ. ერ. ისტ., 5, 208 სქ. 4). ე. თ.: მუზაფარი — მწნილი, соленья. კორექტურის ფურცლის მარჯვენა კუთხეში სწერია: მუზაფარი — ძმარში ჩადებული თევზი ან ხორცი — соленья; ქ. გ. ლ.: მუზამფარი ძე. იხ. მუზაფარი. მუზაფარი-ი... ძე. „ხორცის მწნილი“ (საბა). მუჟუჟი-ი... ძმარში ჩადებული მოხარშული ღორის ფეხები. ს. ო.: მუზამფარი, ხორცის მწნილი. ნ. ჩ.: მუზამფარი — მუჟუჟი, ხორცი გინა თევზი მოხარშული და ძმარში ჩადებული მწნილად. დ. ჩ.: მუზამფარი ... მუჟუჟი, მოხარშული ხორცი ან თევზი ძმარში ჩადებული.
- მუქიფი, მუქაფი 39<sub>21</sub>, 41<sub>25</sub>, 46<sub>8</sub>, 48<sub>29</sub>, მუქიფის(ა) 34<sub>9</sub>, საღვინის მუქიფისა 42<sub>19</sub>, საღვინის მუქიფის(ა) 34<sub>9</sub>, საღვინის მუქიფისა 46<sub>24</sub>, იხ. საღვინე. საგანმგეოსა მუქაფის(ა) 34<sub>10</sub>, საგან(ნ)მგებოსა მუქაფისა 46<sub>24</sub>, იხ. საგანმგეო, მუქიფის 36<sub>1</sub>; (საჭურჭლის) მუქიფი 34<sub>8</sub>, მუქიფისა 41<sub>23</sub>, 41<sub>20</sub> საგანმგებოს მუქიფისა 42<sub>10</sub>, იხ. საგანმგეო. ე. თ.: მუქაფი, მუქიფი—ძღვენთ მწე, ძღვენთ გამგე. მეჩვიდმეტე საუკუნიდან ფემქაშნივისი, мукиф—заменяющий, должностное лицо, помощник; „мукиф“-ის განმარტება კორექტურის მე-2 ცალში ასეა შეცვლილი: заведующий приношениями (ძღვენთ მწე — Сана), მუქიფებს თავის უხუცესი ყავდათ, მაგრამ ჩვენს კარის გარიგებაში არ იხსენიება, ალბათ ნაკლულოვანების გამო. ხოლო ერთს გელათის გუჯარში 1545 წ. მოხსენებული არის: „მუქიფთ-უხუცესო და მუქიფნო“, საქ. სიძველენი, ტ. I, 1899 წ., გვ. 24. (ეს, კორექტურაში ჩამატებული შენიშვნა მერმე

გადახაზულია — ი. ს.). იხ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 5, 1953, გვ. 206, სქ. 4.

- მ უ შ ა, მუშად მოასხითო 35<sub>ა</sub>, აქ შესაძლებელია დაჭირავებული მუშაც იგულისხმებოდეს.
- მ უ შ რ ი ბ ი, (საქურჭლის) მუშრიბი 39<sub>26</sub>, მუშრიბმან 39<sub>26</sub>, ე. თ.: მუშრიბი — ქალაქთა ბაჟის და სავაჭრო გადასახადის ამკრეფი და შემნახავი, мушриб, бухгалтер, счетчик, (იხ. „დასტურლამალის“ ლექსიკონის მუშრიბი).
- მ უ ქ ლ ი, თავმოდრეკით მუხლთ დაყრით მუხლის მოხრა, დაჩოქება — განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, (ყმა — ბატონის მიმართ, მეფის მიმართ და ა. შ.). მეფეს „მუქლთ დაყრით ქუდი მოლარეთ-უხუცესმან“ მიართვას 49<sub>5</sub>.
- მ ყ ი ნ ვ ა რ ი ი ხ, სამყინვარი, მყინვარიანითა კურჭლითა 38<sub>1</sub>, მყინვარსა 38<sub>2</sub>, მყინვარს 41<sub>16</sub>, ე. თ.: მყინვარიანი (კორექტურაში ჩაწერილია: შაქრის ყინულიანი — ი. ს.) холодильный. ქ. გ. ლ.: მყინვარი იგივეა, რაც მყინაუ.
- მ შ ჯ ლ დ-ა პ ა რ კ ი 40<sub>21</sub>, ქ. გ. ლ.: მშვილდ-კაპარკი — მშვილდი და კაპარკი. მშვილდი ძველებური იარაღი—რკალისებურად მოღუნული ხე, რქა ან რკინა, რომლის ბოლოებზე იკიმება ლარი; კაპარკი — ისრების ჩასაწყობი ბუდე.
- მ ც ვ ე ლ ი, მცველი მისი (საწოლის ღმრთისმშობლისა) 50<sub>23-24</sub>, ე. თ.: მცველი — страж, стражник.
- მ წ დ ე 43<sub>12</sub>, 46<sub>26</sub>, 48<sub>9</sub>, 10, პირის მწღესა 41<sub>22</sub> იხ. პირი, პირის მწ(ღ)ედ 46<sub>26</sub>, პირის მწ(ღ)ეს 48<sub>9</sub>, 10, ე. თ.: მწდე, მწე — მოსამსახურე, მიწოდებული პურისა. საქამადისა, лажей, камергер, кравчий, виночерпий. მწდე ღვინის მიწოდებელს უნდა ნიშნავდეს.
- მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი 33<sub>26</sub>, 27, 36<sub>5</sub>, 37<sub>8</sub>, 42<sub>10-11-12</sub>, 46<sub>29</sub>, 48<sub>16</sub>, 50<sub>13</sub>, მწიგნობართა 33<sub>25</sub>, 34<sub>23</sub>, საწოლის მწიგნობარი 33<sub>26</sub>, საწოლის მწიგნობარის 34<sub>24</sub> 36<sub>7</sub>, საწოლის მწიგნობარსა 34<sub>26</sub> იხ. საწოლი. ზარდახნის მწიგნობარსა 33<sub>27</sub>, ზარდახნის მწიგნობარს 34<sub>14</sub> მწიგნობარი (ქვეითი) 36<sub>4-5</sub>, (ზარდახნის) მწიგნობარი 33<sub>27</sub>, 48<sub>15</sub>, ზარდახნის მწიგნობარისა(ა) 40<sub>28</sub>; რომელიც მწიგნობარი (ძალთ) დასწერს 42<sub>10-11</sub>, საწოლის მწიგნობარი 34<sub>14</sub>, 36<sub>7</sub>, საწოლის მწიგნობარმან 44<sub>3</sub>, ზარდახნის მწიგნობარი 34<sub>14</sub> 48<sub>15</sub>, საწოლის მწიგნობარის 34<sub>21</sub>, 25, 27, სხვანი მწიგნობარნი, ოცდა ოთხნი 46<sub>29</sub>, მას ქვემოთ (ზარდახნის მწიგნობარისა) მწიგნობარნი 48<sub>16</sub>, ე. თ.: მწიგნობარი (დაბეჭდილში: წიგნის მცოდნე, მეცნიერი) дьяк, писец, книжник, ученый. 40<sub>16</sub>, 17, 18. მწიგნობარი— მოხელე მღვინის ფუნქციებთ, ექვემდებარებოდა მწიგნობართუხუცესს — კუონდიდელს (იხ.).
- მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი. მწიგნობართუხუცესად 46<sub>10</sub>, ე. თ.: მწიგნობართ-უხუცესი (დაბეჭდილში: მწიგნობართ-უხუცესი მწიგნობართ უფროსი), глава книжников, глава дьяков, канцлер (ტექსტი მითითებული არ არის. — ი. ს.). მწიგნობართუხუცესობა კუონდიდელის 49<sub>18</sub>. მწიგნობართუხუცეს-კუონდიდელი—ვაზიროთა თავმჯდომარე, მეფის შემდეგ პირველი — სამეფოში, ძეგლში მეფის მამად წოდებული (§ 9).
- მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა 49<sub>18</sub>, კუონდიდელისა მწიგნობრობა შემოსრულა 49<sub>17-18</sub> იხ. მწიგნობარი. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 124—140; იხ. ზემოთ გამოკვლევა.
- მ ქ ლ ო 32<sub>6</sub>, აქ წვეტიანი, მქლოდ შეეკრული (ქუდი) 32<sub>6-7</sub>, კლო-წვეტიანი—остроконечный, „მქლოდ შეეკრულსა ქუდსა დაარქვამს“ 32<sub>6-7</sub>, ს. თ.: დაეჭო, დაეჭუნა, დაქნობა — მცირედ შეხმობა. დაქნობა — დაქნობა, მქენარი, დამქენარი, შემქენარი, მქლე ზორკთ მოკლებული... შეიჭყო, შეიოჭო. შეიჭუა, შეიჭუხა... (იხ. ივ. სურგულაძე, შოთა რუსთაველის პორტრეტის გამო, გაზ. „თბილისი“, 1961 წ., 20 აპრილი).
- მ ჯ ა რ ი, მხარი ზროხისა 36<sub>3</sub>, მჯარსა შეიღებენ 42<sub>22</sub>, კუონდიდლის მჯარს 46<sub>30</sub>, (დროშას) მჯარსა უთქს 47<sub>2</sub>, მჯარსა საგდებელი აცუია 47<sub>3</sub>, მჯარსა დგანან 47<sub>4</sub>, მარცხენის მჯარს სუფრასა 47<sub>10</sub>. მხარი — ცხოველის (ძროხის); ბეჭის ქვევითი ძვალი მასზე დამაგრებული კუნთებით. აღამიანის მხარი: მხარი — მხარე — მიმართულება, აღვიღებდებარეობა ვისიმე ან რისამე (ქ. გ. ლ.).

- ნ ა კ ა ო ა ე ვ ი 35<sub>ა</sub>. „ნაპარევი გამოაჩნდეს“ ნიშნავს ნაქურდალი გამოაჩნდეს. პარკა არის დანაშაული, რომლისათვის ვათვალისწინებულობა სასჯელი, ამ შემთხვევაში სასჯელის სახე არის გაპარსვა (გამაწბილებელი სასჯელი) და ცემა.
- ნ ა ე ვ ი 45<sub>ა</sub>, ე. თ.: ნაევი *составил шинака*. ს. ო.: ნაევი, ფიჭვის კაკალი... ნაეზ-ხელია ფიჭვივით. ხული, ნაქუქ-მაჯარი ხილი; ნუში, ნიგოზი, თხილი, წაბლი, ზუსტული და ეგვ ვითარნი. ზუსტული ხულია ნაეუსავით, დიდი ბელეკონი... ბელეკონი, (ბე) ჩატლაყური (ბე) (1, 30, ესაია). ნ. ჩ.: 1961: ნაევი. (ბე). დ. ჩ.: ნაევი—ხის სახელი, ფიჭვი.
- ნ ა ტ ი შ დ რ. ნატაჟი სასანთლითა და მისითა ნატითა 38<sub>18</sub>, ე. თ.: ნატი — *настилка, замша, сафьян, небольшой ковер*. ქ. გ. ლ.: ნატი-ი, ნატა... ძვ. 1. თალათინი, ზამში. 2. ქვეშ გასაგები ტყავის საფენი. თალათინი... (სპარს. თზლანინ „თბილი ტყავი“). ძვირფასი ტყავი, რბილი და მოქნილი; ტყავის თასმა (ქალამნის ამოსახმევი); დანის, სამართებლისა და მისთ. პირის ასაწყობი). ს. ო.: ნატა, თალათინი, მოქნილი ტყავი. ნ. ჩ.: ნატა, ნატი ტარსიკონი, მოქნილი სამოგვე ან თალათინი... *сафьян*. ტარსიკონი — შეღებილი სამოგვე ... ტყავი ვერძთა ტარსიკონი. დ. ჩ. 1840: ნატა, ნატი... *замша, сафьян*; დ. ჩ. 1887: ტარსიკონი, მოქნილი სამოგვე ან თალათინი, *замша, сафьян*. *Даль: замша... кожа, н. ч. оленья, лоскуная, сафьяная*. „ქართ. ცხ.“, II: ლექსიკონი; ნატი („ტყავის ბალიში“, „ტყავის საფენი“); უნატოდ — (უბალიშოდ) იქვე, გვ. 30.
- ნ ა ტ ა კ ი შ დ რ. ნატი, ნატაკსა ზედა 44<sub>6</sub>, ე. თ.: ნატაჟი — პატარა ნატი *коврик*.
- ნ ა ე ვ ა ლ ი — მაგიერი, მოადგილე. საჭურჭლეთ ნაცვალ(ი)სა 34<sub>5</sub>. საჭურჭლის ნაცვალსა 50<sub>11</sub>. საჭურჭლის ნაცვალსა 34<sub>5</sub>, 39<sub>20-21</sub>, 46<sub>26</sub>. საჭურჭლის ნაცვალსა 44<sub>17</sub> იხ. საჭურჭლე. სარემოს ნაცვლისა 34<sub>11</sub>. იხ. სარემო.
- ნ ა ძ ღ ნ ო ბ ი ი ხ. ძღვენი, ცოტა გარეჯით ნაძღნობი 38<sub>6</sub>.
- ნ ა ხ ე ა ი ხ. სანახავი. ნახვა—აქ მიღება. ამილახორიცა ამ ორთა სწორად ნახოს მეფემან 44<sub>22</sub>.
- ნ ე ვ ი — ხელის გული. ს. ო.: „ნები — ქელის სიბრტყე შინაგანი“. ნებნი ნახევრამდის დასხნეს დამრუდებით 44<sub>16</sub>, ე. თ.: ნებნი — ხელის გული. *ладонь*. დ. ჩ.: „ნები — ხელის გული“.
- აღღენციხს დროს მეფე მისაღებ პირებს მიესალმებოდა იმის შესაბამისად თუ ადგილმდებარის მიხედვით იერარქიის რა საფეხურზე იდგნენ ისინი, — ზოგს მიეგებებოდა ნოხზე გავლით და ნატაკზე (ბალიშზე) ხელების დადებით, ზოგისათვის ნოხის მესამედს გაივლიდა და ხელებს დაადებდა ნატაკზე, ზოგისათვის მეფე სამს ნაბიჯს გადადგამდა და ხელის გულებს („ნებნი“) სანახევროდ დაადებდა ნატაკს. ზოგს მიესალმებოდა ადგილიდან და თითებით შეეხებოდა ნოხს (ალბათ, იმ ნოხს, რომელზედაც ბალიში იდებ). მეფე ზოგს მისალმების ნიშნად ხელებს აღუპყრობდა შესაბამისად მათი მდგომარეობისა პატივის მხრივ, — ზოგს მდაბლად (უფრო სპატაროს), ზოგს მაღლად და ასე შემდეგ.
- ამასთანავე, მეფე თავისი მოძრაობითაც განასხეავებდა მისაღებთ: ზოგისათვის შემოარუნებოდა მთლიანად, ზოგისათვის სანახევროდ, ხოლო ზოგს ღებულობდა ადგილზე — უძრავ მდგომარეობაში (ალბათ, მისალმების ნიშნად თავს დახრიდა; § 24, 25, 26).
- ასეთ კონტექსტში არის მოცემული სიტყვა „ნებნი“ ძეგლში.
- ნ ო ბ ა თ ი 33<sub>8</sub> იხ. მენობათე. ე. თ.: ნობათი — დაფი, დავლი, ბარაბანი, *нордан*. ქ. გ. ლ.: არაბ. ნებათ „რიგი, წერი“. ძღვენი საჩუქარი, მოსაკითხი.
- ნ ო ხ ი, ქელის ნოხნი 38<sub>6-8</sub>. ნოხთა 38<sub>18</sub>, ნოხთა პირსა მოეგებვის 44<sub>6</sub>. ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს 44<sub>10-11</sub>, თითნი ნოხსა ზედან დასხნეს 34<sub>20</sub>, ქელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს 44<sub>24-7</sub>, ნოხსა გარდმოგუს 45<sub>24-28</sub>, სუფრის ნოხი 42<sub>11</sub>, იხ. სუფრა, თავსა სუფრის ნოხისასა 49<sub>11-12</sub>, ნოხთაჲე პირს 49<sub>16</sub>, (ნოხთა) ზედა 49<sub>19</sub>, ნოხთა ზედა 49<sub>26</sub>. ს. ო.: ნოხი — გრძელი ორხოვა, ვიწრო. დ. ჩ.: ნოხი ... ხაუოიანი საფენი, ორხოვა, ხალიჩა: *кивер*, ორხოვა მომცრო უკეთესი 37<sub>16, 18</sub>, ორხოვა ... მომცრო 49<sub>9</sub>, ე. თ.: ორხოვა — ხალიჩა, ხაუოიანი საფენი (საბა), *палас, ковровая ткань*.

## მ

ოქსონო, ქ. გ. ლ.: ოქსინო ოქროქსოვილი ხაყერდი ან ძვირფასი ფარჩა. ოქსინუები-თა 43<sub>გ</sub>, ოქსინოსა ზედა 48<sub>21</sub>. ე. თ.: ოქსინო — ოქრო ქსოვილი ხაყელი, ვინა მისი ფარდავი (საბა).

## პ

პატივი 45<sub>23</sub>, 49<sub>23</sub>, 50<sub>24</sub>, იმხნელის სწორი პატივი მართებს (ქუთათელს), 45<sub>გ</sub>, პატივი მისი (ამირსპასალარისა) და მანდატურთუხუცესისა 49<sub>23-24</sub>, ღმრთის ვამს პატივი 50<sub>20</sub>. ქ. გ. ლ.: პატივი — ჯარგად მოპყრობა, დაფასება, სახელი, ღირსება.

პატრონი, პატრონისა 43<sub>7</sub>, პატრონისაგან 43<sub>20</sub>. მათი (პატრონის) შვილი 43<sub>21</sub>, პატრონ(ი)ს წინაშე 43<sub>23</sub>, პატრონმან 43<sub>24</sub>, პატრონთათვის 46<sub>12</sub>. ე. თ.: პატრონი — ბატონი, უფალი, მეფე. Патрон, государь.

პირმარხეა, ორშაბათსა პირმარხეასა 45<sub>21</sub>, ე. თ.: პირმარხეა — დასაწყისი დიდ მარხვისა, начало поста.

პირო, პირის მეღვინე 34<sub>8-9</sub>, პირსა მარწუხვიო ერთგან შეყრიდეს 39<sub>გ</sub>, პირის მწლესა 41<sub>22</sub>. პირის მწ(ღ)ედ 46<sub>25-26</sub>, პირის მწ(ღ)ეს 48<sub>9-10</sub>, პირის მანდილი 49<sub>3-4</sub>, ნოხთავე პირს 49<sub>16</sub>. ე. თ.: პირის მანდილი — პირსახოცი, полотенце. პირის მეღვინე — ღვინის მიმწოდებელი (დაბეჭდილში: მეფისა — ი. ს.), отведчик вина, виночерпий პირისპირ (მეფისა?), პირის მწლე, (მერზე იყო და წაშლილია: პირის მწე — ი. ს.), სასმელ-საკმელის მიმრთმევი მეფისადმი, отведчик, виночерпий? камергер. ქ. გ. ლ.: პირი 1) ტუჩების მოხაზულობა, 2) პირისახე, 3) ინდივიდი, 4) პირობა, 5) პირობა, 6) ნება, 7) დედნისაგან ზესტად გადაღებული ტექსტი — ასლი, 9) ზედაპირი, 10) ერთ-ერთი მხარე დასხვა. „პირი“ აქ ნიშნავს: პიროვნებას, პირისახეს და ნაპირს, კიდეს, ერთ-ერთ მხარეს.

პირშოგება. პირშოგებაი 48<sub>25</sub>, აქ პარველობა.

პური, იხ. პურობა, პურსა 42<sub>17-20</sub>, პურად ავია 42<sub>23</sub> — ეპურმარილოა, ძუნწია. პურად ჩაეხსნეს 43<sub>1</sub>. — პურობის დროს სუფრას შემოუსხდნენ, პური მოიღეთ 47<sub>13</sub> — სუფრა გაშალეო, პურ(ი)ს წინაშეას იურებებს 47<sub>4</sub> — სუფრის გაწყობაზე ზრუნავს.

პური ბა — ლხინი, წვეულება, пир. პურობას 38<sub>14</sub>, პურობას უკანთ 45<sub>24</sub>. ე. თ.: პურობა — პურის ჭამა, ნადიმი, пир, пиршеству, званый обед.

## ს

საანგარიშო გოდორი. საანგარიშო გოდორსა 40<sub>19</sub>, საანგარიშოთა გოდორთა 41<sub>21</sub>. საანგარიშო გოდორში, საანგარიშო საბუთები ინახებოდა.

სააქო ქარი, სააქო ქარსა 34<sub>12</sub>. ე. თ.: სააქო ქარი — სასამართლო სახლი. Двор ходатайств, судилище.

საბარკული 40<sub>21</sub>, ს. თ.: საბარკული — საწვივე აბჯარი.

საბატო იხ. პატივი, საპატიო, პატივსაცემი, მოსარიდებელი. საბატოთა დარბაისელთა 43, 46<sub>2</sub>. საბატო არის (ქუთათელი) 45<sub>გ</sub>, ამოდ და საპატიოდ ამყოფებს 46<sub>2-3</sub>, ათაბაგი დიდი და საბატო 49<sub>19</sub>, საბატო ევზირი 49<sub>21</sub>, 96.

საგანმგეო, საგანმგებო, საგანმგეოსა მექიფის(ა) 34<sub>10</sub>, საგანმგეოს უხუცესი 34<sub>10</sub> (სქოლიო 19), საგანმგებოს მექიფსა 42<sub>19</sub>, საგანმგებოსა 45<sub>17-18</sub>, 46<sub>24</sub>, საგანმგებოსა მექიფსა 42<sub>19</sub>. ე. თ.: საგანმგეო — გამგეობისათვის დანიშნული სახლი. ამის ნაცვლად კორექტურაში დამატებული იყო, მაგრამ ისევე წაიშალა: სახლი სადაც ერთი ვარიანტი: სწარმოებდა გამგეობა სასახლისა ან სახელმწიფოსა, მეორე ვარიანტი: განსაკუთრებული დაწესებულება, — ი. ს., административный двор, распорядительный двор. საგანმგეოს უხუცესი — საგამგეოს უფროსი, გამვეთუხუცესის (დაბეჭდილში: გამგეთ-უხუცესის. — ი. ს.) ხელკეეი (ამის მაგერ ქერ იყო: საგამგეო სახლის მმართველთა უფროსი. — ი. ს.) глава распорядительного двора, глава административного дома. საგანმგეოს მექაფი (მექიფი) — საგამგეოს უხუცესის მოადგილე. ამის მაგერ ქერ იყო: საგამგეო სახლის მმართველის მოადგილე, ნაცვალის (დაბეჭდილში კი არის: საგამგეოს ძღვნის მწე. — ი. ს.).

საგასახსნითე ბეჭედი 37<sub>1</sub>, იხ. ივ. ჯავახ. დიპლომატიკა, გვ. 38—39: „არსებული უფლებრივი დამოკიდებულებითგან ვანთავისუფლების აღმნუსხველს საბუთს „გაქსნითი“ ერქვა. ე. თ.: (ერთ ცალ კორექტურაში არის, მეორეში კი ამოშლი-

ლია: საგახსნით — разрешительный, открывающий). საგახსნით ბეჭედი — (ჩამატებული იყო კორექტურაში, მაგრამ შერბე წაშლილია: ის ბეჭედი, რომლითაც დაბეჭდვდნენ სასიგლე სახელმწიფო ბეჭედს შესანახად ხმარებამდის, — ი. ს.) разрешительная печать.

ს ა გ დ ე ბ ე ლ ი 47<sub>2</sub>, ე. თ.: საგდებელი — საბელი შორით შესატყორცნი რემათა შესაპყრობელად (საბა), аркан.

ს ა დ გ ო მ ი, სადგომსა 46<sub>2</sub>, აქ საცხოვრებელი ადგილია.

ს ი ე კ ლ ე ს ი ო, საეკლესიონი დასნი 34<sub>20</sub>, იხ. დასი.

ს ა ვ ა ზ (ი) რ ო იხ. ვეზირი, ვეზირობა, წყლის ზიდვა... სავაზ(ი)როსა, 39<sub>12</sub>, შეუყვანია სავაზიროსა 49<sub>29</sub>, ე. თ.: სავაზირო — სახელმწიფო სათათბირო, სახლი, სადაც ვაზირთა ბჭობა ხდებოდა. Государственный совет, სავაზირო — ვაზირთა შეკრებულეება, ვაზირთა სხდომის ადგილი — შენობა, დაწესებულეება.

ს ა თ ა ე ა დ ო 46<sub>15</sub>, ის რაც თავადისათვის არის განკუთვნილი; 1) ფეოდალის სამფლობელო, სენიორია; 2) აქ ნიშნავს საუფროსოს.

ს ა თ ი ქ ა რ ი, სათიჯარი რკინისა 41<sub>9</sub>, ე. თ.: კორექტურაში არის, მაგრამ ერთ-ერთ მის ფურცელში ამოშლილია; სათიხარი (sic) наконецник у ножен (Саба). სათიჯარი — ქრშისის ბუნიცი (საბას განმარტებით), მაგრამ აქ რკინის ჯოხს უნდა ნიშნავდეს.

ს ა თ ხ ი ლ ე 39<sub>4-10</sub>, ე. თ.: სათხილე — თხილის სატეხი იარაღი. Шпидцы (sic) для ломки орехов სათხილე. რუსულად შეიძლება ერთი სიტყვითაც გადმოიკეს: ореходайка (Даль).

ს ა კ ი თ ხ ა ვ ი, აღვებისა საკითხავი 33<sub>24</sub>, მოსაკითხავი, მისალოცავი.

ს ა კ რ ე ფ ე ლ ი, საკრეფელისა 42<sub>1</sub>, აქ გადასახდელს ნიშნავს.

ს ა ლ ა მ ა ს უ რ ი, სალამასურის სახესა ზედა 33<sub>18-19</sub>, ე. თ.: სალამასური ანუ სალმასური — სალმასი ქალაქი (დაბეჭდილში: ქალაქია, — ი. ს.) სპარსეთისა, განთქმული აბჯრის კეთებით, 16 კილომეტრის სიშორით ჩრდილო-დასავლეთის მხრით ურმიის ტბისა, ჯზაზედ თავრიზიდან აზრუმისაკენ (იხ. რუქა წიგნისა: Бартольд, Историко-географический обзор Ирана, СПб, 1903). ეხლა ქალაქს დილმანს უწოდებენ, ხოლო ხეობას სალმასი ჰქვია (ლარუსისი ლექსიკონი). გიორგი მეფეს, თამარის მამას, სალმასური ვერცხლის ჯაჭვი სეფეთათვის (ეხლანდელის ტერმინოლოგიით კამერპერების ანუ კამერ-იუნკრებისათვის) შემოუღია, მაგრამ სალმასური ჯაჭვი მეფეთა ძვირფასი სამოსელის ანუ აბჯრის ნაწილიცა ყოფილა; „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გაიყვეს სამეფო განძეულობა ორმა დავითმა, დავით რუსუდანის ძემ და დავით ლაშას ძემ, სხვათა შორის სწერია: „ხოლო ჯაჭვი იგი სახელდებული სალმასური და თვალი იგი პატივეცემული გერდემლი და მარგალიტი იგი დიდი, რომლისა სწორი არაეის სადა უხილავს, ესე სამივე რუსუდანის ძესა დავითს მიხუდა“ (ქარ. ცხ., მარიაშ დედოფლის ვარიანტი, გვ. 677). თუ სალმასურის სამეფო ჯაჭვი ისეთ მარგალიტის თვალთან არის მოხსენებული, რომლის მსგავსი არაეის უხილავს, ეტყობა დიდ განძად ყოფილა მიჩნეული (დაბეჭდილიდან აღებული ამ ადგილის ნაცვლად მიწერილი იყო კორექტურაზე ჩასამატებლად, მაგრამ წაიშალა: ა) სალმასი ქალაქია სპარსეთში, რომელიც განთქმული იყო აბჯრის კეთებით, სალმასური ვერცხლის ჯაჭვი სეფეთათვის გიორგი მეფეს, თამარის მამას შემოუღია, კარის გარიგებით ერთგვარი ფორმაა ვერცხლის ჯაჭვისა, რომელიც გიორგი მეფეს შემოუღია სეფეთათვის, ეხლანდელ ტერმინოლოგიით კამერ-იუნკრებისათვის, — ი. ს.), на подобие Салма ассипрнского или на подобие Салманасара.

ს ა ლ ა რ ო 36<sub>21</sub>, სალაროთ 32<sub>2</sub>, სალაროს მოლარეებ(ი)სა 34<sub>6</sub>, სალაროს 35<sub>12</sub>, 36<sub>22</sub>, 37<sub>4</sub>, 37<sub>5</sub>, 39<sub>12</sub>, 10 50<sub>8</sub>, 8, სალაროს მოლარე 37<sub>4</sub>, სალაროს მოლარეს 37<sub>4</sub>, სალაროსა 37<sub>24</sub>, სალაროს კარის გამოსავლსა დგას გარეთ 50<sub>7</sub>, სალაროს კართა შიგან დგას. გამოსავლსა 50<sub>8-9</sub>, ე. თ.: სალარო — ხაზინა; სადაც ლარი, განძი ინახებოდა, казна, сокровищница, სალაროს მოლარე — სალაროს გამგე, хранитель сокровищницы, казни (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 183 — 185).

ს ა ლ ა შ ქ რ ო, სალამქროს საქმეს 40<sub>11</sub>, სამხედრო საქმე.

ს ა მ ა მ უ ლ ო, უმისოდ (ამირსპასალარისა)... არცა ვინ სამამულოდ შეიწყვალეების 49<sub>22</sub>, ე. თ.: სამამულოდ — (იყო მაგრამ წაშლილია: შეყვანა — ი. ს.) მამულის მიცემა.



ქვეშევრდომად მიღება; სამამულოდ შეწყალება — მეფის შიერ ვისმესთვის მამულის ბოძება.

სამარხო, სამარხო წამალი 39<sub>27</sub> ს. ო.: სამარხო, მარხვაში საკმელი. წამალი-ნივთი—საყურ-ნებელი... ნ. ჩ.: სამარხო — მდაბიურად მარხვის საკმელი, არა სახსნილო, წამალი... ღონისძიება ანუ საშუალება... სამკურნალო; დ. ჩ.: სამარხო, მარხვის საკმელი; წამალი, სამკურნალო შემზადებულობა, დასალევი ან დასადები. ქ. გ. ლ.: წამალი 1) სამკურნალო საშუალება, 2) საწამლაი, 3) საღებავი, 4) შაბიანისა და კირის ხსნარი, 5) თოფის წამალი. კონტექსტში „წამალი“ უადგილოდ გამოიყურება. წამალი ამ შემთხვევაში მიახლოებით, ნაძალადევი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც საშუალება.

სამაშხალე იხ. მაშხალა სამაშხალედაცა 38<sub>19</sub> 20. სამაშხალესა აღყასა 38<sub>21</sub>.

სამეფო — სახელმწიფო. „ერთნებითა მკლსავე სამეფოსა დიდებულთა“ 46<sub>9</sub>.

სამზარეულო, კარავი სამზარეულოსა 36<sub>18</sub>; ე. თ.: სამზარეულო — кухня. სამზარეულოს კარავი მეჭამეთუხუცესს ექვემდებარებოდა.

სამთავრო 46<sub>16</sub>. ფეოდალურ საქართველოში სამთავრო ზოგჯერ დამოუკიდებელი სამეფოა, ზოგჯერ კი ძლიერი საფეოდალოა, რომელიც პირობით ცნობს ცენტრალურ ხელისუფლებას. იყვენენ აგრეთვე წვრილი სამთავროებიც. იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, 1965, გვ. 97—163.

სამოციქულო, ვინცა კელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ 50<sub>11</sub> 12, ე. თ.: სამოციქულო — посреднический, для посредничества. მოციქული შუამავალი, გაგზავნილი დესპანი... აქედან: სამოციქულო.

სამსკვადი 45<sub>6</sub>. სამსკვალი — ლურსმანი, რომლითაც თითქოს მათური ქრისტე იყო ჭვარზედ მიღურსმული.

სამუქლე, მანდილი... სამუქლე 41<sub>11</sub>, ე. თ.: სამუქლე — მანდილი, სამუქლე — ტექსტის მიხედვით უნდა ნიშნავდეს ფაიფურის ან ფაიანსის ჭურჭლის საწმენდ მანდილს, ვინაიდან იყო კიდევ საფუყე მანდილი, ესე იგი ხის ჭურჭლის საწმენდი.

სამყინვარი ვერცხლისა უნდა ტაბაი 41<sub>14</sub> იხ. მყინვარი. როგორც ჩანს, წყლისა ან ღვინის გასაგრილებლად, გასაცივებლად სასახლეში ყინული ჰქონდათ, რომელსაც შესაფერის ჭურჭელში ინახავდნენ.

სამხარი, 45<sub>32</sub>, 46<sub>1</sub>, სამხრის დალოცვასა 45<sub>21</sub>, სამხრისასა გამოილოყენ 46<sub>1</sub>, ე. თ.: სამხრის ლოცვა — предвечерье. ს. ო.: სამხარი ჰამადთა ეამთა სახელი არს... შუადღე ჰამადი არს სამხარი, სამვარი. ვაჟასი (28. 4. გამოსლუათა). ვაჟასი, სამხრეა, სამვარი, კართ საცუმელი. ნ. ჩ.: სამხარი — სამხრეთი... სამხარი სადილის შემდგომი სერი, დაღამების წინ (ნახე სერთან), სერი — სადილი ან ვახშამი თქვად, ან გამორჩევნებით სტუმართა თანა..., вечер, пир, пируество; ეწოდების პირველსა (პურის ჰამას — ი. ს.) საუზმე, მეორესა — სადილი, მესამესა — სამხარი, მეოთხეს — ზარბელი, მეხუთესა ვახშამი; სამხარი — და სამხრე მხრებზედ დაეკრებულ სხვაფერის ფარჩა სამლუდელოთა შესამოსელთა ზედა (გამოს. 28, 4, 7; ლივრტ. 8. 7 132, 2). დ. ჩ.: სამხარი, სამხეველო, კარის ზეითი ქული კედელში მიკრული, სამხარი სამხრეთი, სამხარი სადილის შემდეგ სერი, სამხარი, სამხრე..., наплечник. ქ. გ. ლ.: სამხარი — პურის ჰამა სადილსა და ვახშამს შორის. სამხრე — 1) მხრებზე დასაყურებელი განმასხვავებელი ნიშანი, 2) მხარზე გადასადები, მხარზე მოსაყიდებელი.

სამჭრო, სამჭროსა 45<sub>33</sub>, ე. თ.: სამჭრო ადგილი ეკლესიაში, სადაც მგალობელნი დგანან.

სანახავი, სანახავი ძღვენი 45<sub>27</sub>, ე. თ.: სანახავი ძღვენი — подношения для лицезрения; სახილველი, პირისპირ მისართმევი.

სანელებელი 39<sub>27</sub>, საქაზმევი (საკმელის), ე. თ.: სანელებელი — снадобие, приправа. ს. ო.: სანელებელი, ესე არს რაიცა სუნნელი საკმელსა შეანელებს. სუნნელი, მრავალთა სულნელად აღუწერიათ, არამედ არა ეწოდების სულნელი, არამედ — სუნნელი, ვინათგან... სახელი არს სუნნი, ვინათგან უსუნებთ და ვისუნებთ საყნოსველთა... ნ. ჩ.: სანელებელი სუნნელი, რითაც საკმელი შენელდება: კოჭა, პილპილი და მისთანანი, снадобие. დ. ჩ. 1840: სანელებელი სუნნელი, რომლითაც საკმელი შენელდება. ქ. გ. ლ.: სანელებელი... რითაც უნდა შეანელონ (საკმელი)...

- ს ა ნ ი ა დ ა გ ო . სანიადაგოდ 41<sub>18</sub>, სანიად(ა)გო სანთელი და კანდელი. 50<sub>21</sub> ქ. გ. ლ.: სანიადაგო 1) რაც ნიადაგ იქნება, — სამუდამო, სამარადისო. 2) ნიადაგ ყოველდღიურად სახმარი.
- ს ა რ ე შ თ, რემის სამყოფი; სარემოს ნაცელისა 34<sub>11</sub>, ე. თ.: სარემოს ნაცვალი — რემათა (ცხენის ჯოგთა) უფროსის გამგის მოადგილე, помощник заведующего табунами.
- ს ა რ მ უ ზ ა აცვია ანუ ჩაფლა მოგვსა ზედა 38<sub>7</sub>, ე. თ.: სარმუზა (ჩამატებულია კორექტურაში დაბეჭდილიდან: მაშია (საბა). სარმუზი — ქოში, ფოსტალი (ჩუბინაშვილი). თვით კორექტურაში: ქოში, деревянный башмак — ფოსტალი, ფლოსტი. ს. ო.: — სარმუზა-მაშია. მაშია-ფერხთ-საცმელი. დ. ჩ.: სარმუზი-მაშია, ქოში. ქ. გ. ლ.: მაშია ძვ. ქოშის მსგავსი ფეხსაცმელი; აგრეთვე ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი.
- ს ა რ ჩ ე ლ ა, ცილობა, დისარჩლნეს 45<sub>1</sub>, 2.
- ს ა ს ა გ ე ბ ლ ე ჯ ო რ ი 37<sub>26</sub>, ე. თ.: სასაგებლე ჯორი—ჯორი, რომელზედაც მეფის საგებელი იყო აკიდებული, для постели, предназначенный для постели.
- ს ა ს ა უ რ ე ო იხ. ურვა, საზრუნავი. სასაურვო უქალაქოთ 39<sub>22-4</sub>, სასაურვო 39<sub>23</sub>, 50<sub>13</sub>, ე. თ.: სასაურვო — საველო, განსაგებელი, ведомство, ведение, საურავი, ურვის, ზრუნვის სავანი.
- ს ა ს ა ხ ლ ე, (სა)სახლის დიდებულნი 48<sub>17</sub>, ე. თ.: სასახლის დიდებულნი — великие (гражд) двора, царедворцы. სასახლე — აქ მეფის სასახლეა, მეფის ვარი.
- ს ა ს თ უ ლ ი 37<sub>16</sub>, 43<sub>9</sub>, 49<sub>8</sub>, ე. თ.: სასთაული — ბალიში, подушка. ქ. გ. ლ.: სასთაული. ბალიში, სასთუმალი, სერებრ.: სასთაული-ი подушка. ს. ო.: სასთაული—ბანბის ბალიში... ნ. ჩ.: სასთაული — ბუნბულის ბალიში. დ. ჩ.: სასთაული — ბალიში.
- ს ა ს ი გ ე ლ ე ბ ე ქ ე დ ი დ ი დ ი 37<sub>1</sub> იხ. ბეჭედი.
- ს ა ტ ა ლ ა ხ ე, ცხენი... სატალახე 45<sub>10-17</sub>, სატალახე ცხენი 45<sub>21</sub>, სატალახე ცხენი — საბარგო ცხენი.
- ს ა უ რ ა ე ი 34<sub>24</sub>, 35<sub>17</sub>, 36<sub>23</sub>, 40<sub>11</sub>, საურავისა 35<sub>18</sub>, საურავთა 46<sub>13</sub>, ე. თ.: საურავი — საზრუნავი (ჯერ კორექტურაში ჩასამატებლად ეწერა — გასაგებელი, საზრუნავი, დაბეჭდილშია: საზრუნავი, გასაგები).
- ს ა ფ ა რ ე შ თ, საფარეშოთა 38<sub>18</sub>, საფარეშოს 41<sub>12</sub>, ე. თ.: საფარეშო — служба. დ. ჩ.: საფარეშო ფარეშო სადგომი ოთახი.
- ს ა ფ რ ა მ ა ნ გ ი 46<sub>19</sub>, ე. თ.: საფრამანგი — сапраманг, скараманг. ი. ჯავახიშვილის აზრით „საფრამანგი“ უნდა იყოს „საქრამანგი“ (იხ. ი. ჯ. ქართველი ერის ისტორია V, 1953, 219, სქ. 5). ქ. გ. ლ.: საქრამანგი 1) „ძვირფასად და ყვევილოვნად ნაყერი, ოქროს თმითა და ჩიგინითა“ (საბა), — ძვირფასი ფარჩეული ან მარგალიტით ნაკერი ქსოვილი, 2) ცხენის ჩული, მარგალიტით ნაყერი, 3) პერანგის გულისპირზე მარგალიტის საკინძეუ.
- ს ა ფ უ ე ე, მანდილი... საფუეე 41<sub>12</sub>, ე. თ.: საფუეე — მანდილი, ხის კურკლის საწმენდი.
- ს ა ქ რ ი ს ტ ო შ ო ბ ო 45<sub>21</sub>. ქრისტესშობის დღეისათვის, (ქრისტიანული დღესასწაული).
- ს ა ღ ე ნ ე — დაწესებულება, რომელიც ღვინის შემოსავალ-გასავლის საქმეს განაგებდა და რომელშიაც ღვინის კურკელი ინახებოდა. საღვინის 41<sub>9</sub>, 45<sub>18</sub>, საღვინეთ წინ 32<sub>8</sub>, საღვინეთავე 32<sub>10</sub>, საღვინის მუქიფისია, საღვინის მუქიფსა 42<sub>19</sub>, 46<sub>28</sub>, საღვინესა 41<sub>9</sub>, საღვინის მოლარე, საღვინის მოლარე[ნი] 41<sub>9</sub>, 10, [სა]ღვინესევე 41<sub>13</sub>, საღვინის მოლარეს 41<sub>18</sub>, საღვინე კურკელი, სანიადაგო, უმეჭლიშო 41<sub>19</sub>, საღვინეში 41<sub>19</sub>, საღვინის გამცემარსა 42<sub>19-20</sub>, საღვინის ჯელისუფალნი 45<sub>18</sub>, ე. თ.: საღვინე — დაწესებულება. სადაც ღვინის შემოსავალი და ყოველგვარი (დაბეჭდილში.: საქმეები ღვინის შესახებ და) ღვინის კურკელი ინახებოდა. საღვინის მოხელე — хранитель винного погреба, საღვინის გელისუფალი — საღვინის მოლარე, служащий в винном погребе. საღვინის მუქაფი (დაბეჭდილში: მუქიფი) — საღვინის გამგის მოადგილე (ჯერ მიწერილი იყო ამის ნაცვლად კორექტურაში ჩასამატებლად, მაგრამ წაიშალა: მეღვინეთ-უხუცესის თანაშემწე, ნაცვალი. დაბეჭდილშია: საღვინის ძღვინის მწე, ო. ს.).
- ს ა ყ ბ ე უ რ ი, საყბურს 40<sub>21</sub>, აქ ცხენის საყბურზეა საუბარი. დ. ჩ.: საყბურის აპარულად აპაური. ქ. გ. ლ.: აპაური — კუთხ. (ხვეს.) ლილილო, საკინძი (შდრ. აპური), „აპური“ — ტაბიკების გადასაბმელი თოკი.
- ს ა ყ დ ა რ ი, საყდარ[ნი], 34<sub>19</sub>, 45<sub>3</sub>, მისსა (ქუთათელის) საყდარსა შიგან 44<sub>20</sub>, ჩემსა (ქუთათელის) საყდარსა შიგან 45<sub>4</sub>, ს. ო.: საყდარი (5, 34, მათე) ტახტი. დ. ჩ.: საყდარი...

ტახტი, დალიკი... ეკლესია: престол, церковь, დალიკი... ტახტი დიდებულთა და საჯდომელი, трон, престол, დალიკოვანი, სახლი, тронная зала. ნ. ჩ.: საყდარი ტახტი, დალიკი... საზოგადო საზარებასა შინა ეკლესია, სახტარი, престол. საყდარნი — პირველი დასი ანგელოსთა (ნახე დასი); დალიკი — ტახტი დასაჯდომელი დიდებულთა. სერებრ.: საყდარი — престол. ქ. გ. ლ.: საყდარი... 1. საგანგებო შენობა, სადაც სრულდება მღვდელმსახურება... 2. მეფეთა და მღვდელმთავართა საჯდომი სკამი, — ტახტი... 3.... სიმბოლურად გამოხატავს მეფის ან მღვდელმთავრის ხელისუფლებას...

ს ა ც ხ ე ნ ე ჭ ა ე შ ა ნ ი 40<sub>22</sub> ცხენის აბჯარი. იხ. აბჯარი.

ს ა წ ე ბ ე ლ ი 36<sub>10</sub>, ე. თ.: საწებელი — соус. ქ. გ. ლ.: საწებელი... სხვადასხვა საწებელი საგანგებო შემზადებული ტყეშლის, ნიგეზის, ბროწეულისა და მისთ. წვენი, რომელშიც ხორცს, თევზს და მისთ. აწებენ ან სდებენ.

ს ა წ ე ლ ი წ დ ი ს თ ა ო ძ ღ ვ ე ნ ი 45<sub>15</sub>, იხ. წელიწდი; საწელიწდისთაო — საახალწლო. საწელიწდისთაო (ძღვენი) 29 — საახალწლო ძღვენი.

ს ა წ ე რ ე ლ ი 46<sub>28</sub>, 50<sub>2</sub>, საწერლებით 46<sub>28-30</sub>. აქ საწერელია — ის რითაც და რაზეც უნდა დაიწეროს.

ს ა წ ო ლ ი 36<sub>21</sub>, 22, აქ მეფის საწოლი.

ს ა წ ო ლ ი ს მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი 33<sub>24</sub>, 34<sub>14</sub>, 43<sub>23</sub>, 46<sub>27</sub>, 48<sub>22</sub>, 50<sub>4</sub>, (იხ. ზემოთ გამოველევია). საწოლის მწიგნობარის 34<sub>21</sub>, 43<sub>20</sub>, 46<sub>27</sub>, საწოლის მწიგნობარსა 34<sub>27</sub>, საწოლს 35<sub>13</sub>, საწოლის მეკრე 38<sub>4</sub>, 42<sub>24</sub>, 50<sub>15</sub>, საწოლით 38<sub>4</sub>, საწოლსა 36<sub>23</sub>, 42<sub>25</sub>, საწოლის მწიგნობარმან 44<sub>2</sub>, საწოლისა ღმრთისმშობელი 50<sub>22</sub>, საწოლსა 50<sub>22</sub>. ე. თ.: საწოლის ღმრთის მშობელი — Образ Божьей матери для спални. საწოლის მწიგნობარი — дьяк спални, საწოლის მეკრე — привратник спални, стража у дверей спални.

ს ა ქ ა რ მ ა გ ე ო ს ე ფ ი ს კ ე რ ი 45<sub>20</sub>. ე. თ.: საქარმაგეო — სეფისკერი — სეფისკერი, რომელიც ალბათ საქარმაგეის (ქერ ასე გრძელდებოდა: გამარჯვების სახსოვრად იყო. — ი. ს.) ბრძოლაში დაღუპულ გმირთა შოსახსენებლად იყო (ქერ ეწერა: შემოღებული. — ი. ს.) დაწესებული. Просфора в память Начармагевн. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „საქარმაგეო“ სიტყვა „ქარმაგეისაგან“ მომდინარეობდეს? ს. ო.: ქარმაგი, თეთრზედ შავით დაწინწკლული ქარმალა. ქალარა. ნ. ჩ.: ქარმაგი თეთრზედ შავით დაწინწკლული ფერი ბეწველთა... ქარმალი ქალარაშერეული. ნოდრამი, მოხუცი, მხნე და სიმატლის მექონი. დ. ჩ.: 1840: ქარმაგი здоровый, ქარმაგი... проседина, проседь, ქარმალი... седой, бодрым.

ს ა ქ უ რ კ ლ ე, საჭურჭლეთ ნაცეალ(ი)სა 34<sub>5</sub>, საჭურჭლის ნაცეალი 34<sub>5</sub>, 39<sub>27</sub>, 45<sub>20</sub>. საჭურჭლის ნაცეალმან 44<sub>16</sub>, საჭურჭლესაც 34<sub>23</sub>, საჭურჭლეს 35<sub>13</sub>, სახლისა საჭურჭლე 39<sub>14</sub>, საჭურჭლესა 39<sub>28</sub>, რაც ქალაქთა საჭურჭლე შევა 39<sub>28</sub>, საჭურჭლის ნაცვალსა 50<sub>11</sub>, ე. თ.: საჭურჭლე — სახლი, სადაც ძვირფასი ჭურჭელი და ხაზინა ინახებოდა. казнохранилище.

ს ა ხ ლ ი — ოჯახი 37<sub>21</sub>, შანშეთ სახლისა 49<sub>25</sub>, შანშეს გვარეულობა, სახლისა საჭურჭლე 39<sub>14</sub>. სასახლე, სახლი 5<sub>11</sub>, შენობა.

ს ა ხ რ ა ვ ი ხავედისა ნაყერი 37<sub>14</sub>, სახურავითა ნაყერითა 37<sub>14</sub>. ქ. გ. ლ.: ზემოდან დასაფარებელი, დასახურავი. ს. ო.: რაფა... დახურვის ცხოვლსა, სახლსა, ჭურჭელსა...

ს ა ხ ი ლ ე, სახილესა 39<sub>4</sub>, 7, სახილესა [ტაბაკსა] ზედა 39<sub>4</sub>, ე. თ.: სახილე. სახილე ტაბაკი — поднос для фруктов.

ს ა ქ ე ლ ო — თანამდებობა, საჯელოსა[ა] 34<sub>21</sub>, ე. თ.: საჯელო — ის რაც შეადგენს ყოველი მოქელის უფლება-მოვალეობას. (დაბეჭდილში: საგამგეოს — ი. ს. ведомство).

ს ა ჯ მ ა რ ე ბ ე ლ ი, საჯმარი, საჯმარებლად 39<sub>14</sub>, საჯმარო თუთუბო — 39<sub>27</sub>, სერებრ.: საჯმარი—нужным, годным. ს. ო.: საჯმარი, ჩასაცმელი, შესახებელი და რაღაც შესაწვენიელი. დ. ჩ.: სახმარი... ვარგისი გამოსადეგი, ჭარბ. ცხ., I: საჯმარი „საქირო ნივთი და საგანი“... II: საჯმარი „საქირო რამ“, „საქირო ნივთი და საგანი“, „ქონება“.

ს ა ქ ი ნ ი ბ ო, საქინიბოს შემეაღლი 40<sub>5</sub>, ქ. გ. ლ.: „(არაბ. ქინიბა-დან ცხენი), ცხენის სადგომი, თავლა.

ს ე ლ ი, სელითა 38<sub>11</sub>, სელის ზეთ[ს] 38<sub>20</sub>, ე. თ.: სელი — სელის ზეთი, სელებითა ოქრო მკედლითა 46<sub>18</sub>, სელნი დადგან 49<sub>13</sub>, ე. თ.: სელნი — დასაყევი სკამები. ქ. გ. ლ.: სელი 1) ერთწლიანი ცისფერყვავილებიანი და კოლოფანაყოფიანი მცენარე. 2) ძვირ-

- ფასი სკამი, სავარძელი. გელმწიფის კარის გარეგებაში ორივე მნიშვნელობით გვხვდება ეს სიტყვა.
- სეფე 33<sub>2</sub>, 40<sub>2</sub>, 47<sub>2</sub>, სეფესა 33<sub>1</sub>, სეფე ტაბაკი 33<sub>22</sub>, 47<sub>21</sub>, სამეფო ტაბაკი, სეფე აღმითა (იხ. აღმით) 40<sub>2</sub>, კარავი... სეფე იყოს 50<sub>25-26</sub>. სამეფო კარავი. ე. თ.: სეფე—მეფის კარის კაცი, კამერპერი ანუ კამერ-იუნკერი, царедворец, царский камер-юнкер. სეფე-კარავი — მეფის (დაბეჭდილში: სამეფო. — ი. ს.) კარავი, царская ставка, палатка, სეფე-ტაბაკი—სამეფო ტაბაკი, царская трапеза, царский поднос, დ. ჩ.: სეფე. შემოკლებით სიტყვა საუფლო ან სამეფო, საუფლო, საბატონო, ან მეფე, უფალი, ბატონი, царский, господский, боярский, царь, господин, боярин, სეფე მწიგნობარი — статс-секретарь. ს. ო.: „სეფე დიდებულთათჳს“, „ძე. ქართ. ლიტ. ქრესტ“, I, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. 1946, ლექ.: სეფე — მეფე, დიდებულის, სამეფო ან სამთავრო გვარისა, ქ. გ. ლ.: სეფე... 1. საუფლო, სამეფო, საბატონო... 2. მეფე, უფალი, ბატონი, დიდებული... სეფეთუხუცესი... ძე. კარისკაცთა შორის უფროსი, სეფეთუხუცესი იყო გულითადი მეფისა, რომელსა ერქვა რუქა(საბა). ნ. ჩ.: „სეფე შემოკლებით თქმა, ვითარ, საუფლო, ანუ სამეფო (ვეფხისტყ. 674, 1059, 1069, 1494), царский, господский. ანუ საბატონო, ითქმის დიდებულთათჳს და იხმარების უფრობე რთულად, ვითარ სეფექალი დიდებულთ გუარის ქალი (ნახე დედოფალი), боярния, фрейлиня. სეფეწული — დიდებულთ ვაჟი, უფლის-წული“.
- სეფე ი ს კ ვ ე რ ი 45<sub>20</sub>, სეკარმაგეო სეფისკვერი 45<sub>20</sub>, იხ. სეკარმაგეო. ქ. გ. ლ.: „დიდებულთ კვერი“ (საბა). წმინდა ფქვილსაგან გამომცხვარი კვერი: ქრისტიანულ მღვდელთ-მსახურებაში იყენებენ ზიარების დროს.
- სიგელი, სიგელი ვისცა უბოძონ... რომელსაც დაეწეროს 36<sub>6-7</sub>, სიგელი... ვისთვისცა დაუწერია 36<sub>6</sub>, მიცემა სიგლისა 37<sub>10</sub>, ე. თ.: სიგელი — снгелъ, дворянская записка. ქ. გ. ლ.: სიგელი... (ლათ. sigellum ბეჭედი) ისტ. მეფის ან კერძო პირის მიერ ბოძებული საბუთი, — გუჯარი... ს. ო.: სიგელი, წყალობის წიგნი. ნ. ჩ.: სიგელი—მეფეთაგან ნაბოძები წყალობის წიგნი, грамота, sigella. დ. ჩ.: წყალობის წიგნი მეფეთაგან ნაბოძები.
- სიცი სტროსანი ჯორი 37<sub>12</sub>, სიცი სტროსანი ჯორისასა 37<sub>22</sub>, სიცი სტრონი 37<sub>24</sub>, სიცი სტროსნი 37<sub>26</sub>, ე. თ.: დაბეჭდილში: სიცი სტრონი — მოკაზმული ჯორი, სიცი სტროსანი ჯორი — мул, покрытый снкнстром.
- სიტყვა „სიცი სტრონი“-ს შინაარსი გაურკვეველია.
- სილალორი თორმეტი თავლის ქვევრი, სილალორი 45<sub>24</sub>. ე. თ.: სილალორი — საბას ეს სიტყვა ამოწერილი აქვს თავის ლექსიკონში ამრიგად: „ალარდენი. სილალორი. ლელვი და ბროწული. განაჩენში“. (დაბეჭდილში დამარცვლულია. — ი. ს.). რომელ წიგნს გულისხმობს საბა განაჩენად (დაბეჭდილში ეს ორი სიტყვა დამარცვლულია. — ი. ს.) ჩვენ არ ვიცით, თუშეა საბას მიერ ზემორე მოყვანილი სიტყვები ჩვენს ძეგლშიც გვხვდება. მაგრამ საზოგადოდ ლექსიკონის ციტატებიდან არ ჩანს, რომ საბა კარის გარეგებას იცნობდეს.
- სკამი იხ. ზესკამი 50, მალა სკამითა 22<sub>6</sub>, დიდროანიოთა სკამითა 43<sub>6</sub>.
- სკიპტრა 45<sub>4</sub>, 7, ქ. გ. ლ.: სკიპტრა ბერძ. skeptron ჯოხი, სამეფო კვერთხი, როგორც მეფის ძალაუფლების ნიშანი. ე. თ.: სკიპტრა—სამეფო ჯოხი, ფაენი (საბა).
- სოფელი, სოფლისაგან. 42, სოფელი აქ უპიატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი.
- სპასალარი იხ. ამირსპასალარი, ქ. გ. ლ.: სპასალაი სპარ. საფაჰს ლარ, ჯარის უფროსი, სამცხის სპასალარისა 45<sub>15-16</sub>. ე. თ.: სპასალაი — სამცხის სპასალარი, спасалар, полководец, генерал (ასეა გაკეთებული კორექტურის ერთ ფურცელში, — ი. ს. მეორეშია: სპასალარი — спасалар, полководец, генерал, სამცხის სპასალარი — самцхийский спасалар, полководец. „სამცხის სპასალარი“ კორექტურის პირველ ფურცელში ამოშლილია. სპასალარი სამხედრო ფუნქციების მქონე მოხელე იყო, რომელიც ამირსპასალარს ემორჩილებოდა (გავრთიანებული პერიოდის ეფოდალურ საქართველოში), იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 143.
- სუნდუზი 37<sub>16</sub>. ე. თ.: სუნდუზი — ზეწარი — სუნანი ტახტზედ საფენი აბანოში, протыня.
- სუფრა, სუფრასა ზედა 38<sub>17</sub>, მარცხენის მკარს სუფრასა 47<sub>10</sub>, რაჲ სუფრა დაუფინონ 48<sub>14</sub>, სუფრის ზოლოს... სხედან 48<sub>18</sub>, სუფრაზედ 48<sub>21</sub>, სუფრის ნობი... მომრგვალე-

ბით დაფინონ 49<sub>11</sub>, თავსა სუფრის ნოხისასა 49<sub>11-12</sub>, ე. თ.: სუფრის ნოხი — ковер для стола, скатерть. ქ. გ. ლ.: სუფრა (არაბ. სუფრა) 1) მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი 2) ტაბლა 3) პურის საკმელად მომზადებული მაგიდა.

ბ

ტ ა ბ ა კ ი 33<sub>22</sub>, 38<sub>8</sub>, 41<sub>14</sub>, 43<sub>9</sub>, 47<sub>23</sub>. ტაბაკი სეფე იხ. სეფე 33<sub>22</sub>, მუინუარიანითა... ანუ ტაბაკითა 38<sub>2</sub>, სახილესა ტაბაკსა... ხისასა, არათუ ვერცხლისასა, 39<sub>4-9</sub>, (იხ. სახილე).

ტაბაკსა 39<sub>4</sub>, 7, 10, 41<sub>15-16</sub>, 17, 47<sub>20</sub>, სამუინუარი ვერცხლისა უნდა ტაბაკი 4<sub>14</sub>, სეფეს ტაბაკსა 47<sub>20</sub>, ტაბაკს 47<sub>21</sub>, 48<sub>3</sub>, 48<sub>3</sub>, ოქროს ტაბაკი 47<sub>23</sub>, ტაბ(ა)ზე 48<sub>4</sub>, ე. თ.: ტაბაკი — поднос, трапеза, სეფე ტაბაკი — царский поднос, царская трапеза. ს. თ.: ტაბაკი — ხონჩა, ტაბლა, ფიცრის სუფრა. ფერხელი... ნ. ჩ.: ტაბაკი — ხის ლანჯანი დიდი, მრგვალი და გაშლილი, поднос деревянный, ტაბლა — მაგიდა. წინდასადგმელი ფეხედი ფიცარი... მას ზედა დაგებული სანოვაგე... დ. ჩ.: ტაბაკი — დიდი ხონჩა ან ლანჯანი ხისა. ქ. გ. ლ.: ტაბაკი... 1. ხის მოზრდილი სინისმაგვარი თეფში, ხმარობენ ჩეულებრივ, ხორბლის სარკვევად... 2. იგივეა რაც ტაბლა... ტაბლა... 1. დაბალი მაგიდა... 2. ძვ. რელიგ. მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მომზადებული სასმელ-საკმელი, რომელსაც მღვდელი აუერთებდა, — საყურთხი... 3. ძვ. ეთნ. ტაბაკაზე, ხონჩაზე... დაწყობილი მოსაკვლეველი, რომელიც შეკვლეს ახალწლის დილას ოჯახში მიჰქონდა... 4. ეუთ. (ქიზ.) ჭარის (სართავი მანქანის) საყრდენი.

ტ ა ბ ლ ა, სუფრა, ქ. გ. ლ.: დაბალი მაგიდა იხ. ტაბაკი. ტაბლას წინ დაუდგმენ 32<sub>9</sub>, ტაბლეთითა 43<sub>9</sub>, ტაბლას 48<sub>2</sub>, ვ. ე. თ.: ტაბლა — ხონჩა.

ტ ა ხ ტ ი, ტახტსა ზედა გავა (ფარეშთუხუცესი) 38<sub>3</sub>, ტახტი... მოეაზროს 38<sub>12</sub>, ტახტ(ი)ს წინ მიდგების 47<sub>12</sub>, ტახტსა ზედა დგანან 48<sub>22</sub>, ქ. გ. ლ.: 1) ხის გრძელი ოთხფეხიანი დგამი, 2) სავარძელი, რომელშიც მეფე ჯდებოდა რაიმე ოფიციალური მიღების, ზემის და მისთ. დროს.

ტ ე რ ფ ი, ერთითა ტერფითა უკანარე დგას 33<sub>14</sub>, ე. თ.: ტერფი — ступня.

ტ უ ი რ ი, ტუირითა დაბეჭდელი 37<sub>2-9</sub>, ვ. თ.: ტუირი — тучия, свищ. ქართ. ცხ., 1. ლექსიონი: ტუკი (= ტუკია). გუქარნი ტუკისანი, ჩუანმური, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 236<sub>17</sub>; „ხოლო მე გვრგვინი იგი ჩემნი და გუქარნი ტუკისანი მარტოდ დაესხენ“. ს. თ.: ტუფარი, მომალოდ ამოჭრილი. ნ. ჩ.: ტუიფარი — მომალოდ ამოჭრილი რამე საბეჭდავად, ანუ ბეჭედი, ტუფრა... დატუფრა, დაბეჭდა ტუფართ. დ. ჩ.: ტუიფარი... სახე ბეჭდის დასმულისა, ან ამოჭრილის ქვაზე მხატვრობისათვისა. ტუიფრა... ილბეჭდე. ქ. გ. ლ.: ტუიფარი... იგივეა, რაც ტუიფრი... ტუიფრა... ტუიფრის, შტამპის დასმა. ტუიფრი... 1. სპეც. რაიმე მასალაზე (ლითონზე)... პირუეღმა ამობურცული წარწერა (გამოსახულება, ნიშანი) ან ანაბეჭდის მისაღებად, შტამპი. 2. ტექ. ლითონის ფორმა მანქანების დეტალების ან წერილმანი საგნების სერიულად დასამზადებლად... რუს. ქართ. ლექს.: штамп, შტამპი, ტუიფარი.

ტ ყ ი ს მ ც ვ ე ლ ი 32<sub>11</sub>, 42<sub>8</sub>, მოხელე სატყეო მუერნობაში. ე. თ.: ტყის მცველი — лесничий.

უ

უ დ ა ბ ნ ო, უდაბნოთა 45<sub>26</sub>, ძმანი... თორმეტი უდაბნოთანი 47<sub>9</sub>, ე. თ.: უდაბნონი, — დავეთ-გარეჯის უდაბნონი. ქ. გ. ლ.: უდაბნო განმარტოებით მდგარი მონასტერი.

უ ვ ე რ ც ხ ლ ო კ უ ზ რ ქ ე ლ ი 36<sub>18</sub>, უბრალო კურკელი.

უ კ ა ზ მ ა ე ი მ ე ფ ე 35<sub>14</sub>, იხ. მოკმაზული; უკაზმავეი — პოურთველი.

უ კ ე თ ე ს ი... ცხენი 45<sub>18</sub>, ცხენი „უკეთესი“ დაპირისპირებულია „სატალახე“ ცხენთან: „სატალახე (იხ.) ნიშნავს საბარგეს და „უკეთესი“ ამ შექთხევაში ნიშნავს შესაქლომ ცხენს.

უ ლ უ ფ ა, კერძი, წილი, სადაც ღვინის ულუფა დაწერონ 42<sub>13</sub>, ე. თ.: ულუფა — ღვინის ულუფა — винная порция, винная повинность (ასეა გასწორებული ყოველქტურის ერთ ფურცელში; მეორეშია: ულუფა — порция), 42<sub>3</sub>. ს. თ.: ულუფა, სხუათა ენათგან შემოღებულია, ქართულად განკვეთილი და როკიკი ქვიან. როკიკი — ულუფა. ესე არს სამეფოთა გამოსაზრდელი, სჭულეირი მთავრობის ნიჭი. ნ. ჩ.: ულუფა გაოდაკეთილი როკიკი, სარჩო, სარჩო, пенсия, порция, содержание. დ. ჩ.: ულუფა —

საზროლო, სარჩო, содержание, жалованье. ქ. გ. ლ.: კერძი, წილი, როჰიკი—უღუფა. საზოლო, ქირა, ჯამაგირი. როჰი.

უ ბ ე ჯ ლ ი შ ი ს. მეჭლიში 41<sub>19</sub> ე. თ.: უმეჭლისო—რაჲ მეჭლისის დროს არ არის სახმარი. უ რ ვ ა. უ რ ვ ე ბ ა. სასაურეო, საურავი, ზრუნვა, საზრუნავი. იხ. საურავი. დაიურეებს 34<sub>16</sub>, იურვის 34<sub>17</sub>, 35<sub>17</sub>, დაიურეოს 34<sub>18</sub>, იურვიან 50<sub>14</sub>, საურავად 40<sub>11</sub>, იურეოდეს 40<sub>12</sub>, იურვიან სამუშაოს 41<sub>25</sub>, იურეებს 47<sub>14</sub>, იურვიან, რაც სასაურეო იყო 50<sub>13-14</sub>.

უ რ თ უ მ ე ლ ი, უნდა ოქროს ტაბაი, შუაზედ ურთუმელი იყო 47<sub>23</sub>, ე. თ.: ურთუმელი დაბეჭდილში — თავ-დაუხურავი. (ქერ ეწერა კორექტურაში ჩასამატებლად: უთავო. მეგრული სიტყვა არის. — ი. ს.) თავ-დაუხურავი (мингрельское слово) крыша. სერებრ. სართულ-ი крыша. შერთუმა... подавать, подносить. გამორთუმა... преподнести (вынув откуда-то). შირთუმა... подносить, давать, подавать. შორთუმა... приносить, приводить, подавать. შოართუა თავი შისი ლანჯლასა ზედა (მრ. ნ., 28).. ს. ო.: რთვა, შორთვა, შორთმა — უაღრესთა მოსცემდეს, ურთავი. ნ. ჩ.: რთვა(ვართავ) ნახე სთვა: სთვა — რთვა (ვართავ), ძაფის კეთება... ბამბისათა, მატყლისა და მისთანათა... რთვა (ვართავ) ზმნა ესე შიიღებს სხვადასხვა შნიშენლო-ბასა ზედდადებულთაგან: გართვა, დართვა, შორთვა და სხ. (ერთვის) ერთის მდინარისა შერება — შერთება მეორესთან (впадает), ურთავი უსართულო, უქერო (გუგუ. 10, 4 და 40, 14). დ. ჩ.: ურთავი—უსართულო, უქერო, თავ-დაუხურავი.

უ ს ა მ ა რ თ ლ ო ს ქ ი რ ს 34<sub>18-17</sub>. უკანონოდ ექვეიან, უსამართლოდ იჩაგრება.

უ ს ა ღ ვ ი ნ ო ქ უ რ ჯ ე ლ ი, უსაღვინო 39<sub>28</sub>, ქურჯელი, რომელიც არ არის ღვინისათვის გათვალისწინებული.

უ ქ ა ლ ა ქ ო, იხ. ქალაქი. უქალაქოთ 39<sub>23-24</sub>. ქალაქის გარეშე.

უ ლ ა რ ო, მანდილი უღარო 41<sub>11</sub>, უნაოქო, ნ. ჩ.: ღარი — გძელი ხე შუა ამოჭრილი გასადინებლად წყალთა (ვეფხისტყ. 704), жолот. დ. ჩ.: ღარი — გრძელი ხე შუა ამოჭრილი წყლის გასადინებლად. ქ. გ. ლ.: ღარი-ი. 1. სითხის ღია სადინარი ხისა (ან ლითონისა)... 2. გრძელი ჩაღრმავება რამეზე... 3....სახის ხაზი, ნაოქი ღარავს... ღარს ავლებს, აჩნევს, ღარებს უყეთებს.

უ ხ უ ც ე ს ი, უფროსი, უხუცესთა 39<sub>22</sub>, ფარეშთა უხუცესი 38<sub>16</sub>. იხ. ფარეში, ფარეშთუხუცესი. ზარდახნის უხუცესმა 41<sub>3</sub>, ზარდახნის უხუცესი, 40<sub>17</sub>, 47<sub>3</sub>, იხ. ზარდახანა, ზარდახნისუხუცესი. ე. თ.: უხუცესი — უფროსი.

უ ხ ე რ ე ტ ე ლ ი ნ ა ლ ი ჟ ო რ ი ს 37<sub>3</sub>, ასეთი ნალი გათვალისწინებული იყო სასიგელე-ბეჭდისათვის.

### ფ

ფ ა ნ ა რ ი 38<sub>6</sub>, ე. თ.: ფანარი — фонарь; ქ. გ. ლ.: ფარანი (ბერძ. phonarion სანთელი). შინისკედლებიანი კოლოფი, რომელშიც მოთავსებულია სანათი. — ლიფლიფა.

ფ ა ნ ჯ ა, ფინჯანი, ფანჯას მომცროს 38<sub>1</sub>, ფანჯისა 41<sub>10</sub>, ე. თ.: ფანჯა, ფინჯანი, ашаа.

ფ ა რ ი 45<sub>14</sub>, უწინდელი საომარი იარაღი (ხისა ან ტყავისა), მრგვალი ან მოგრძო, ბრტყელი ან გამობურცული, შიგნით სახელურიანი, მოწინააღმდეგის დარტყმისაგან დასაცავად (ქ. გ. ლ.).

ფ ა რ ე შ ი 38<sub>6</sub>, ქ. გ. ლ.: ფარეში არაბ. ფარ-აშ „მსახური“, ხელზე მოსამსახური. ფარეშნი 38<sub>10-11</sub>. ფარეშთა უხუცესი 38<sub>16</sub>, ფარეშთ 39<sub>2</sub>, ე. თ.: ფარეში — მოსამსახურე, კამერდინერი. ამ მნიშვნელობით სხვა წყაროებში პირის ფარეში იხსენიება, ашаа.

ზემოაღნიშნული მიზეზით, ე. ი. ნაშრომის მოცულობის გაზრდის თავიდან აცილების მიზნით, ძლიერ მოკლედ შევებეთ შესავალში „დასტურლამალის“ სახელწოდების, წარმოშობის, მისი სხვა ძეგლებთან შედარებისა და სხვა საკითხებს. მხოლოდ ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები გვაქვს განვილული შესაძლებელი სისრულით.

სანამ „დასტურლამალი“ სტამბურად გამოცემოდა, მანამდეც ამ ძეგლით სარგებლობდნენ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის მკვლევარნი — მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე და სხვები.

მ. ბროსე არამარტო სარგებლობდა „დასტურლამალის“ ხელნაწერით, არამედ კიდევ გამოაქვეყნა ამ ძეგლის ზოგიერთი მუხლის შემოკლებული შინაარსი ფრანგულად<sup>1</sup>.

ბეჭდური წესით პირველად „დასტურლამალის“ ნაწილი—116 მუხლი გამოქვეყნდა ქურნალ „მნათობში“ 1871 და 1872 წლებში<sup>2</sup>. პ. უმიკაშვილი „დასტურლამალის“ 1886 წლის გამოცემაში აღნიშნავს, რომ „მნათობში“ გამოქვეყნებული „დასტურლამალის“ ტექსტი „დაიბეჭდა ჩვენის დედნიდამ“-ო<sup>3</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ პ. უმიკაშვილის მიერ 1886 წელს გამოცემული „დასტურლამალის“ დედნის ნაწილი დაბეჭდილი ყოფილა 1871 და 1872 წლების ქურნალ „მნათობში“.

ქურნ. „მნათობის“ 1871 წლის მე-7 ნომერში, რომელშიაც იწყება „დასტურლამალის“ გამოქვეყნება, ტექსტს წამძღვარებული აქვს რედაქციის გვერდნახევრიანი წინასიტყვაობა, სადაც მოთხრობილია ვახტანგ VI მოღვაწეობის დიდი მნიშვნელობის შესახებ საქართველოს ისტორიაში და ამასთანავე მოცემულია „დასტურლამალის“, როგორც საქართველოს ისტორიის წყაროს, მოკლე დახასიათება.

1886 წელს გამოცემული „დასტურლამალისა“ და 1871—1872 წლებში „მნათობში“ გამოქვეყნებული ცალკე ნაწილის წინასიტყვაობათა ავტორი ერთი და იგივე პირია, კერძოდ პ. უმიკაშვილი. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ წინასიტყვაობანი ერთმანეთისაგან განსხვავდება. პირველი მეორესთან შედარებით უფრო ვრცელია (5 გვერდზე ცოტა ნაკლები). ამასთან, „მნათობში“ გამოქვეყნებულისაგან განსხვავებით, 1886 წლის გამოცემაში პ. უმიკაშვილი ცნობებს გვაძლევს „დასტურლამალის“ იმ ხელნაწერების შესახებ, რომელთა საფუძველზეც გამოსცა მან ტექსტი<sup>4</sup>.

შემდეგში, რასაკვირველია, მკვლევარნი ამ გამოცემით სარგებლობდნენ. ამასთანავე, თვით „დასტურლამალის“ შესახებაც სპეციალური ლიტერატურა შეიქმნა.

აკად. ივ. ჭავჭავიძე იღობა თავის ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ „დასტურლამალი“ განიხილა, როგორც ქართული სამართლის ისტორიის წყარო. მან აღნიშნა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის შესწავლის თვალსაზრისით. აქვე შეეხო „დასტურლამალის“ პირვანდელი სისტემის საკითხს და დაახასიათა ის ხელნაწერები, რომლებიც საფუძველად დაედო პ. უმიკაშვილის გამოცემას<sup>5</sup>. აკად.

<sup>1</sup> „Histoire de la Géorgie Introduction et Tables des matieres“, 1858, p. CIII—CIX.

<sup>2</sup> იხ. მნათობი. 1871 წ. VII, VIII, 1872, №№ IV, V, VI VII.

<sup>3</sup> „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გვ. 111.

<sup>4</sup> იქვე, გვ. III—VII.

<sup>5</sup> ივ. ჭავჭავიძე იღობა, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, 1928, გვ. 73—81.

ივ. ჯავახიშვილი თავის სხვა შრომაშიც განიხილავს „დასტურლამალს“, რო-  
კორც საქართველოს ისტორიის შესწავლის წყაროს და აღნიშნავს: „ცნობათა  
სიუბვიტაცა და მრავალფეროვნობითაც ვასტანგ VI-ის დასტურლამალი საქარ-  
თველოს ეკონომიური ისტორიისათვის ნამდვილ დაუშრეტელ განძს წარმოად-  
გენს“<sup>1</sup>.

ი. ლორთქიფანიძემ სპეციალური შრომა უძღვნა XVIII საუკუნის პირვე-  
ლი მეოთხედის ქვემო ქართლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შესწავლას  
და ამასთან დაკავშირებით ზედმიწევნით შეისწავლა „დასტურლამალი“. ხსენე-  
ბულ შრომაში ი. ლორთქიფანიძემ განიხილა „დასტურლამალის“ ის ხელნაწე-  
რები, რომლებიც საფუძვლად დაედვა პ. უმიკაშვილის გამოცემას. მანვე გა-  
ნიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ქეკელიძის სახელობის  
ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული „დასტურლამალის“ ერთი ხელნაწერი  
(S—4532), რომელიც სინამდვილეში იესე მდივანს ეკუთვნის (ამის შესახებ  
დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი იესე მდივანის ხელნაწერის განხილ-  
ვასთან დაკავშირებით). მკვლევარი შეეხო აგრეთვე „დასტურლამალის“ შედ-  
გენის დროის საკითხს<sup>2</sup>.

პროფ. ვ. გაბაშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „სპარსული დასტურლამალი“.  
ამ ნაშრომში ავტორი დაწვრილებით განიხილავს ვასტანგ ბაგრატიონის მიერ  
შედგენილი „დასტურლამალის“ ორიგინალობის საკითხს.

1943 წელს ინგლისში მინორსკიმ გამოსცა სპარსული „დასტურლამალის“  
ტექსტი ინგლისური თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით (Tadh-  
kirat al-muluk, a manual of Safavid administration, Persian text in facsimi-  
le, with Translation and Commentary by V. Minorsky. London, 1943). მინორ-  
სკის აზრით ქართული „დასტურლამალი“ სპარსულის იდენტურია.

პროფ. ვ. გაბაშვილმა შეადარა ქართული „დასტურლამალის“ (მირველ  
თუმანიშვილის ხელნაწერის მიხედვით) სარჩევი სპარსულ „დასტურლამალის“  
სარჩევს, ამოკრიფა ორთავე „დასტურლამალიდან“ მსგავსი ადგილები და შე-  
სადარებელი მასალის შესწავლისა და სათანადო ანალიზის საფუძველზე მი-  
ვიდა შემდეგ დასკვნამდე: ქართული „დასტურლამალი“ ორიგინალური იური-  
დიული ძეგლია, წარმოშობილი ქართული ფეოდალური საზოგადოების სო-  
ციალურ-ეკონომიური პირობების საფუძველზე და ასახავს გვიანფეოდალური  
საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას<sup>3</sup>.

ამასთანავე, „დასტურლამალში“ შეტანილია ისეთი იურიდიული აქტე-  
ბი, რომლებიც გამოხატავენ ქართლის ვასალურ დამოუკიდებლობას ირანთან,  
ან კიდევ, მასში არის ისეთი გარიგებანი, რომლებიც ასახავენ ირანის სახელ-  
მწიფოებრივ წყობილების გავლენას ქართლის სამეფოზე. ძირითადად კი „დას-  
ტურლამალი“ შეიცავს ქართული ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმ-  
წიფო წყობილებისათვის დამახასიათებელ გარიგებებს ანუ დასტურლამა-  
ლებს<sup>4</sup>.

პროფ. ვ. გაბაშვილი ამ შრომაში ასაბუთებს, რომ გვიანფეოდალურ პე-  
რიოდში მახლობელ აღმოსავლეთში „დასტურლამალი“ ეწოდებოდა სახელმ-

1 იხივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, 1930, გვ. 51—52.

2 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნ. 1 და II, 1935, გვ. 7—12.

3 ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრო-  
მები, XXV, 1949, გვ. 191—220.

4 იქვე, გვ. 117.

წიფთ სამართლის ძეგლს“. ეს ტერმინი (დასტურლამალი) გავრცელებული იყო ერანში, თურქეთში, მონღოლების ინდოეთში და ამიერკავკასიის სახანოებში. საქართველოში იგი დაპყვიდრდა XVIII საუკუნიდან<sup>1</sup>.

ამავე ავტორს ეკუთვნის ნაშრომი „დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი“, რომელშიც შესწავლილია მირველ თუმანიშვილის ხელნაწერი<sup>2</sup> (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ მირველ თუმანიშვილის ხელნაწერის განხილვასთან დაკავშირებით).

პროფ. შ. მესხიას ეკუთვნის ნაშრომი: „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“<sup>3</sup>. ამ ნაშრომში ავტორის მიერ განხილულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული „დასტურლამალის“ ორი ნუსხა. ერთი—იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან, ჩვენ მიერ ქვემოთ განხილული ლათინური ლიტერი B-თი და მეორე ქობულაშვილის ხელნაწერი.

პროფ. შ. მესხიასათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ქობულაშვილის მიერ გადაწერილი ნუსხა, რადგანაც მას დართული აქვს „ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“. (ამის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვაქვს ქვემოთ დავით რექტორისა, ქობულაშვილისა და იოანე ბაგრატიონის კოლექციის ნუსხების განხილვასთან დაკავშირებით).

## 2. დასტურლამალის შედგენის დრო

„დასტურლამალი“ შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ. როცა ის ქართლს განაგებდა თავისი ბიძის გიორგი XI შაგიერ, გიორგი XI კი ამ დროს აპარსეთში იყო „სრულიად ერანელთა სპასალარისა და სპასპეტად დადგინებულნი“. გიორგი XI შეურიგდა ირანს, იქ თანამდებობა მიიღო, ხოლო ქართლში ძმისშვილი, მომავალი მეფე ვახტანგ VI განაწესა გამგებლად 1703 წელს, გიორგი XI კი მოჰკლეს სპარსეთში 1709 წელს. მაშასადამე, რადგანაც „დასტურლამალის“ შესავალში გიორგი XI მოხსენებულია, როგორც ირანის მთავარსარდალი. ამიტომ ძეგლი შედგენილია გიორგი XI სიკვდილამდე, ე. ი. 1709 წლამდე. მაგრამ ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება შეიძლება:

ი. ლორთქიფანიძის მართებული მოსაზრებით, მეფეს ეკუთვნოდა თრიალეთში სოფლები: უზნარიანი, კარუკულმართი და კარწახი. „დასტურლამალის“ მიხედვით თრიალეთის სახასო სოფლებში მოხსენებულია კარწახი. უზნარიანი და კარუკულმართი კი 1707 წელს ვახტანგ ბატონიშვილს შეუწირავს ნათლისმცემლის მონასტრისათვის (კარწახი კი 1719 წ. ბაქარ მეფემ შესწირა იმავე მონასტერს). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ „დასტურლამალი“ შედგენილია არა უადრეს 1707 წლისა და არა უგვიანეს 1709 წლისა.<sup>4</sup>

„სადედოფლო დასტურლამალის“ დასაწყისშივე აღნიშნულია: „პირველ მეფის გიორგისაგან განწესებული და შემდგომად მეფის ვახტანგისაგან აღმტკიცებული“, ხოლო პირველი პარაგრაფის სათაურია: „საალამოდ მისაღებში მარიამ დედოფლისათვის“. აქედან უნდა დავასკვნათ: „სადედოფლო

<sup>1</sup> ივეე, გვ. 192—193; ამიერკავკასიის ერთ-ერთ სახანოში XVIII საუკუნის ბოლოსათვის შედგენილ დასტურლამალზე საუბარი აქვს თავის წერილში გენ. ვრმოლოვს (Архив. Арх. Комиссии, VI, гл. 774, № 1144).

<sup>2</sup> ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასტურლამალი 1729 წ. ხელნაწერი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნახ. 30).

<sup>3</sup> შ. მესხია, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1954, ნ.გვ. 30).

დასტურლამალი“ შედგენილია პირველად გიორგი XI მიერ<sup>1</sup>, მარიამ დედოფლის (დადიანის ასულის, ვახტანგ V მეუღლის, გიორგი XI დედინაცვლის) გარდაცვალების ახლო ხანებში, ე. ი. 1683—84 წლებში, არა უგვიანეს 1688 წლისა. რადგანაც 1688 წელს გიორგი XI ნაცვლად ერეკლე I არის ქართლის მეფე.

გიორგი XI „სადედოფლო დასტურლამალი“<sup>2</sup> ვახტანგ ბატონიშვილს „განახლებით“ დაუმტკიცებია. შეიტანა თუ არა რაიმე ცვლილება ვახტანგმა მასში. არ ჩანს.

### 3. დასტურლამალის შედგენილობა

ვახტანგ VI „დასტურლამალი“ ერთგვარი კრებულია, რომელიც შედგენილია სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტებისაგან. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მასში შევიდა გიორგი XI მიერ შედგენილი „დასტურლამალი“. ამასთანავე, ძეგლში ვხვდებით ვახტანგ VI მამის ლევან მეფის მიერ შედგენილ მდივანბეგობის გარიგებასა და ბოქაულთუხუცესის სარგოს.

ამავე დროს მურდრის შესახებ დებულება გამოცემული იყო როსტომ მეფის მიერ 1638 წელს. 1703—1724 წლებში შედგენილი ყოფილა აგრეთვე მურდრის განაწესი<sup>3</sup>. ეს დებულებანი ცოტაოდენი ცვლილებებით შეტანილია „დასტურლამალში“.

„დასტურლამალში“ აღნიშნულია, რომ ყაიყულის შესახებ გარიგება შედგენილია გიორგი XI, ხოლო ყარაის კონის განაწესი როსტომ მეფის მიერ.

როდესაც ვახტანგი „დასტურლამალს“ ადგენდა, მან შეკრიბა წინათ შედგენილი დებულებანი, დაუმატა ახალი და ყველაფერი ეს ჩამოაყალიბა ერთ საკანონმდებლო აქტში—„დასტურლამალში“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მდივანბეგობის გარიგება, რომელიც 1704 წლით არის დათარიღებული, „დასტურლამალის“ შედგენის დროს ძნელად საშოვნელი ყოფილა.

ამის დამადასტურებელია, ამ გარიგების ანუ სიგელის ერთ-ერთ ასლზე შემდეგი მინაწერი: „ქ. თქვენის თავის მზემა და ღმან იცის დიდათ გულსმოდგინეთ ვეცადეთ, რომ ის წიგნი მეშონა და მომერთმია, მაგრამ ვერ ვნახე ახლა მდივანბეგობის წესი და, რიგი არც ერთი იოტი არა დარჩომილა რა ისე თამბათ დავსწერეთ და ეს გვიახლებია. ამიტომ დავგიგვიანდა ამდენს ხანს თქვენი უხლებლობა“<sup>4</sup>.

სიგელი, როგორც ვთქვით, 1704 წელს არის შედგენილი, მაგრამ ამ სიგელის ასლი და ეს მინაწერი, რომელიც მოვიყვანეთ, არ არის დათარიღებული. იგი დაწერილია XVIII ს. პირველ ნახევრის ქალაქზე და გადაწერილი უნდა იყოს „დასტურლამალის“ შედგენასთან დაკავშირებით ბატონიშვილის დავალებით, რადგანაც ძეგლის შედგენის შემდეგ ეს სიგელი უკვე შეტანილი იყო „დასტურლამალში“.

1 ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I და II 1935. გვ. 11.

2 „სადედოფლო დასტურლამალის“ შედგენის შესახებ იხილეთ „იოანე ბაგრატიონი, სჯულდება“, 1957, გვ. 026—028.

3 „საქართველოს სიძველენი“, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, გვ. 543—546; ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. 1952, გვ. 241—244.

4 საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—13053.

მაშასადამე, „დასტურლამალი“ იმ სახით, როგორცაც ჩვენ მას ვიცნობთ. შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ 1707—1709 წლებში. მაგრამ, ამ ძეგლის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეფის მიერ არის შედგენილი, ხოლო ვახტანგმა გააერთიანა ისინი. ამ მხრივ „დასტურლამალი“ კრებულია.

ცნობილია ის გარემოება, რომ მეფეები ამა თუ იმ პირის სახელოებით დაჯილდოების შემთხვევაში, დაჯილდოებულს აძლევდნენ სიგელს, რომელშიც განსაზღვრული იყო სახელოს ფუნქციებიც. სახელო კი, როგორც ცნობილია. მემკვიდრეობით გადადიოდა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ საბუთები, განსაკუთრებით კი ისეთი, როგორც სახელოებისა თუ გადასახადების გარიგებას შეეხებოდა, სახელმწიფო საცავში ინახებოდა. ამისი ნიშნები „ქელმწიფოს კარის გარიგებაშიც“ მოიპოვება (§ 14). თვით საბუთებიდანაც მოჩანს არაპირდაპირი მითითება საბუთების შესანახი ადგილის შესახებ. მეფეები ხშირად წერენ „მოკითხული ვქენით“-ო! ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სათანადო საბუთებს საცავებში ნახულობდნენ საჭიროების შემთხვევაში. „დასტურლამალს“ მიხედვით სისტემატურად ხდებოდა სამეფოს აღწერა. რასაკვირველია, აღწერის შედეგი სათანადოდაც ინახებოდა სახელმწიფოს საცავსა თუ სალაროში. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ამასთანავე სიგელი ექნებოდა დაინტერესებულ პირს, სახელოს ანუ მამულის თუ სხვა რაიმეს პატრონს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითეულ აქტს, სახელოს დებულებას თუ სარგოს „დასტურლამალი“ ანუ „დასტურლამა“ ეწოდებოდა. თვით ვახტანგის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“, სახელდობრ ზარაფხანის გარიგებაში სწერია: „ამისი ვეჯუბი დასტურლამა“, „ვეჯუბი დასტურლამა“ ნიშნავს განაწესს, ანუ სარგოს, ან გარიგებას ოქროს ან ვერცხლის გამონადნობის იმ ნაწილისა, რომელსაც გადასახდელის სახით იღებდნენ მეფის სასარგებლოდ. ამგვარადვე, შეიძლებოდა ყოფილიყო მდივანბეგის დასტურლამალი, დილომის გადასახდელთა დასტურლამა და ასე შემდეგ.

მაშასადამე, \* „დასტურლამალი“ ეწოდება ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შედგენილ კანონთა კრებულს, და აგრეთვე ამ კრებულში შემავალ ცალკეულ აქტებს. †

ჩვენ დავასახელოთ კიდევ ვახტანგის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“ შესული ზოგიერთი გარიგება, რომელიც ცალკე აქტად ინახებოდა. მაგრამ, „დასტურლამალში“ შემავალი მუხლების უმრავლესობას არ ვიცნობთ ცალკეული აქტების სახით. შეიძლება ზოგი მათგანი ცალკეც არსებობდა, მაგრამ ამჟამად ჩვენ არ ვიცნობთ ასეთ წყაროს. შესაძლებელია მრავალი მათგანი ადათობრივი სამართლის ნორმის სახით არსებობდა და ვახტანგის მიერ პირველად იქნა შეტანილი თავის „დასტურლამალში“. საფიქრებელია, რომ გლეხთა გადასახდელები, ზოგიერთ სოფლებში ადათობრივი სამართლის სახით არსებობდა და ვახტანგმა მისცა მას წერილობითი ფორმა „დასტურლამალში“ შეტანით. ‡

სახელოებისა თუ მამულების მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევაში. სახელოსა თუ მამულის მფლობელი ახალ მეფეს უდგენდა სიგელს ხელახლად დასამტკიცებლად. ამასთანავე, სიგელში, დროთა განმავლობაში, შეჰქონდათ ესა თუ ის ცვლილება.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მოცოდნობა ანუ დიპლომატიკა, 1926, გვ. 80—81.

ზოგჯერ მეფეები სცვლიდნენ გლეხთა გადასახადებს, უმატებდნენ ან აკლებდნენ მას, იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათი ჰქონდა კლასთა ბრძოლას. ჰაგალითად, ცნობილია ის ვარემოება, რომ ვახტანგ-ბაქარის დროს ადგილი ჰქონდა გლეხთა აჯანყებას რამდენიმე სოფელში, რის შედეგად მეფის ხელი-აუფლება იძულებული შეიქნა გლეხთა გადასახადების ერთიანი და ახალი განაწილება შემოეღო.

იმ შემთხვევაშიც, როცა მეფე ან ფეოდალი ეკლესია-მონასტრებს მამულებს სწირავდა, შეწირულების სიგელში მოცემული იყო აგრეთვე გლეხთა საგადასახადო დებულებანიც.

ვახტანგმა შეკრიბა ასეთი აქტები, სახელმწიფო არქივსა თუ კერძო პირებისაგან, თავი მოუყარა ადათობრივი სამართლის ნორმებს, მოიყვანა ისინი სისტემაში და მისცა მათ ერთიანი საკანონმდებლო აქტის ფორმა, რის შედეგად მივიღეთ „დასტურლამალი“.

#### 4. „დასტურლამალის“ ამათუიმ ნაწილის წარმოშობის შესახებ

ჩვენ ვთქვით, რომ „დასტურლამალში“ შემავალ ცალკეულ აქტებსაც დასტურლამა ეწოდებოდაო. „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბული სიტყვაა და ნიშნავს სახელმძღვანელოს, ინსტრუქციას, გარიგებას. უცხო ტერმინი „დასტურლამალი“ შემოდის საქართველოში გვიანფეოდალურ პერიოდში, როდესაც ქართლი და კახეთი ირანის ვასალები იყვნენ. ქართლის სამეფო კარზე, „დასტურლამალის“ მიხედვით, ვეზირისა და მუსტოფის თანამდებობა არსებობდა, რომლებიც ირანის მოხელეები იყვნენ. მათ ერთგვარი საკონტროლო ფუნქციები ჰქონდათ ვასალურ ქართლში<sup>1</sup>.

ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ XVII საუკუნიდან, სახელდობრ როსტომ მეფის დროიდან, ქართლის სამეფო წყობილებაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ცვლილებებს<sup>2</sup>. „დასტურლამალის“ შესავალში მოხსენებული მეფე კიორგი XI „დასტურლამალს“ შედგენის პერიოდში, ირანში რამდენიმე პროვინციის გამგებელი და ირანის სპასალარი იყო. ვახტანგის მამას, მეფე გიორგის ძმას—ლევანს „ერანის მდივანბეგის“ თანამდებობა ეკავა. ეს აღნიშნულია კიდევ „დასტურლამალის“ შესავალში.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ „დასტურლამალში“ შეტულია ლევან მეფის ორი სიგელი — ერთი ბოქაულთუხუცესის სარგო და მეორე — მდივანბეგის გარიგება. მამასადამე, ირანში მდივანბეგის სახელს მქონე ქართლის მეფე ლევანი — მდივანბეგობას უბოძებს ერასტი ორბელიანს და ამასთანავე განსაზღვრავს ამ სახელს ფუნქციებს. სიგელში სხვათა შორის წერია: „...თუ ელში ეს ოთხი საქმე მოხდეს, კაცის სიკვდილი, ბიჭრი, თვალისა და კბილის გაგდებინება, ეს კარხედ უნდა მოვიდეს“. საყურადღებოა, რომ ასეთ კონტექსტში ხატებულ დანაშაულთა ჩამოთვლა არც ერთმა ქართულმა სამართლის ძეგლმა არ იცის. ამასთანავე სახელწოდება „ბიჭრი“ ქართული სამართლის ძეგლებისათვის საერთოდ უცნობია. პროფ. ვ. გაბაშვილს ჩვენ მიერ შეპოლასახელებულ ნაშრომში, მოყავს ქართული „დასტურლამალიდან“ ეს ადგილი, უდარებს მას სპარსული „დასტურლამალის“ სათანადო ადგილს, აღ-

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოა და სამართლის ისტორიისათვის. 1952, გვ. 361-383.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 23.

ნიშნავს ამ ადგილების ინგაგებებს, მიუთითებს იმაზეც, რომ ქართულ „დასტურლამალში“ ეს ადგილი მხოლოდ ელის მოსახლეობას ეხება და ასევე, რომ მიუხედავად ამ მსგავსებისა, მდივანბეგობის დებულებათა შორის ამ ორ ძეგლში არსებითი ხანიათის განსხვავებაა, „რადგან ერანის მდივანბეგი უპირატესად შარიათით ხელმძღვანელობდა და სადრის მონაწილეობით აწარმოებდა გასამართლებას“<sup>1</sup>.

რაც შეეხება ქართული და სპარსული მდივანბეგობის გარიგებიდან მოყვანილ მსგავს ადგილს ელში მომხდარი დანაშაულის ოთხი სახის შესახებ, სავარაუდებელია, რომ ერანის მდივანბეგის ლევანის მიერ ქართულ მდივანბეგისათვის შედგენილ განაწესში ეს ადგილი სპარსული სამართლის მიხედვით იყოს გამართული, მით უმეტეს, რომ ქართლის მდივანბეგობისათვის შედგენილ ამ განაწესში ხსენებული საბეები დანაშაულისა გათვალისწინებულია ელისათვის, ე. ი. ქართლის სამეფოში უმთავრესად სპარსეთიდან ჩამოსახლებულ მომთაბარე თურქმანი მოსახლეობისათვის<sup>2</sup>.

ამასთანავე, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ქართული სამართლის ძეგლებისათვის ცნობილია ჩამოთვლილი საბეები დანაშაულისა (გარდა ბიქრისა), მაგრამ მათი ქვემდებარეობის საკითხი სხვაგვარად არის გადაჭრილი. კბილის ჩაგდებინებაზე (მუხ. 47), თვალს დაზიანებასა (მუხ. 44, 45) და მკვლელობაზე (მუხ. 37, 60, 75), როგორც დანაშაულზე, საუბარია ვახტანგის სამართლის წიგნში. რაც შეეხება ბიქრს, თუ ის ქალწულის გახრწნას ნიშნავს, ასეთი დანაშაული არც არის გათვალისწინებული ვახტანგის სამართლის წიგნში, ხოლო მისივე სამართლის წიგნების კრებულში შესულ ბერძნულსა და სომხურ კანონებში კი არის.

ვახტანგის სამართალში მკვლელობის, კბილის ჩაგდებინებისა და თვალის დაზიანებისათვის საზღაურია დანიშნული, ხოლო ქვემდებარეობის საკითხი „დასტურლამალში“ გათვალისწინებული. ქართული სამართლით ყოველგვარი მსხვილი სისხლისა ან სამოქალაქო სამართლის საქმე მდივანბეგს უნდა განეხილა. მსხვილ საქმედ ითვლებოდა მკვლელობა, დიდი ფეოდალის გაყრა და სხვა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მკვლელობა, მდივანბეგის გარიგებით მდივანბეგს ექვემდებარება (სადაც არ უნდა მოხდეს). მაგრამ, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ, ელისათვის ცალკეა აღნიშნული, რომ მკვლელობის საქმე მდივანბეგმან გაარჩიოსო. ამავე დროს მკვლელობის შესახებ იმავე გარიგებაში კვლავ არის საუბარი, რომ ასეთი დანაშაულის შესახებ საქმეები მდივანბეგს ექვემდებარებაო. რაღა საჭირო იყო ორჯერ ერთისა და იმავე საკითხზე შესჯელობა? ამით ჩვენ იმის თქმა გვიწევს, რომ ელის შესახებ ზემოთ ციტირებული ადგილი დანაშაულის სხვადასხვა სახის ქვემდებარეობის შესახებ მდივანბეგის გარიგებაში ჩამატებული ჩანს, ეს ადგილი აქ უცხოდ გამოიყურება.

დასანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ არსებობს მდივანბეგობის სიგელი, რომელიც ვახტანგ V გაუცია 1776 წელს ვახტანგ ორბელიანისადმი<sup>3</sup> (ვახტანგი იყო „დასტურლამალის“ მდივანბეგის ერასტის მამა). ამ სიგელში დანაშაულის ის ოთხი სახე—მკვლელობა, ბიქრი, თვალისა და კბილის გაგდებინება, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, — არ არის. სიგელში ნახსენებია „სისხლისა“ და სხვა საქმეები, რომლებიც მდივანბეგს ექვემდებარება,

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი. სპარსული დასტურლამალი (თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV B, 1941. გვ. 209—210).

<sup>2</sup> მისივე, 1949. გვ. 210.

<sup>3</sup> „საქართველოს სიძველენი“, ტ. II, 1909, გვ. 137—138.

საუბარია „დიდ სიხლის“ სამართლის საქმეებზე. ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ „დასტურლამალის“ მდივანბეგობის გარიგებაში ვახტანგ V შვილს, ერანის მდივანბევს ლევანს შეუტანია შესწორება და მიუმატებია ხსენებული ადგილი, რომელიც მანამდე მდივანბეგობის გარიგებაში არ ყოფილა. ეს ადგილი კი, როგორც აღვნიშნეთ, უცხოური წარმოშობისაა.

ვახტანგის „დასტურლამალის“ ზარაფხანის გარიგება, სათანადო ირანული დებულებიდან უნდა იყოს გადმოღებული, როგორც ეს მართებულად აქვს აღნიშნული პროფ. ვ. გაბაშვილს<sup>1</sup>.

თვითონ ტერმინი მდივანბეგი არაქართულია. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ზემოთხსენებულ 1776 წლის სიგელში ვახტანგ ორბელიანისათვის ვახტანგ V მდივანბეგობის ბოძების შესახებ ორბელიანის მისამართით წერს: „წინაც მამა თქუენსაც ჰქონებოდა ჩუენის საბატონოს ქართლის მდივანბეგობა“<sup>2</sup>. მამასადამე, ვახტანგ ორბელიანის მამასაც ჰქონია მდივანბეგობა და სავარაუდებელია, სათანადო სიგელიც ექნებოდა. მამის სიგელს უახლებს მეფე შვილს. რასაკვირველია, არც ვახტანგის მამის სიგელში აქნებოდა ბიქრსა და მსგავს რამეზე საუბარი.

ზარაფხანისა და მდივანბეგობის ვარიგებათა ზემომოყვანილი ადგილის გარდა, რომელიც ელში მომხდარი დანაშაულის ქვემდებარეობის საკითხს ეხება, „დასტურლამალის“ სხვა ადგილი უცხოურიდან გადმოღებული არ უნდა იყოს.

„დასტურლამალში“ ხშირად ვხვდებით სპარსულ და თურქულ ტერმინებს. რომელთა შინაარსი ქართულია. ზოგი ამ ტერმინთაგანი გაქართულებულია. ზოგი არ არის გაქართულებული, მაგრამ უცხოური ტერმინის ქვეშ აღწერილი ინსტიტუტი ქართულია.

რასაკვირველია, უცხოური გავლენა, განსაკუთრებით ირანული, დიდი „დასტურლამალზე“, რადგანაც იგი ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებას აახავეს, ხოლო ქართლის სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, განსაკუთრებით როსტომ მეფის ხანაში, ირანის დიდი გავლენა განიცადა<sup>3</sup>.

ამ საკითხის შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვაქვს საუბარი შრომაში „საქართველოს სახელმწიფო და სამართლის ისტორიისათვის“ (1952 წ.), რომელსაც ასეთი ქვესათაური აქვს: „ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში“.

## 5. დასტურლამალი და ქელმწიფის კარის გარიგება

სანამ უცხო ტერმინი „დასტურლამალი“ ანუ „დასტურლამა“ შემოვიღოდა, მანამ საქართველოში იხმარებოდა ტერმინი გარიგება, სარგო, რიგი, განაწესა. მაგალითად „დასტურლამალში“ გვხვდება: „ზარაფხანის რიგი“, „ვეზირის სარგო“, „ბატონის ბალის წყლის გარიგებისათვის“, მოხელეთა „რიგი“, „ქარხნის ნაზირის სარგო“, „მდივანბეგის გარიგება“ და ასე შემდეგ.

ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებიდან შინაარსის მიხედვით ვახტანგის „დასტურლამალს“ ყველაზე უფრო ემსგავსება „ქელმწიფის კარის

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები. XXV, 1940, გვ. 213—216.

<sup>2</sup> „საქართველოს სიგელები“, II, ვ. თაყაიშვილის რედაქციით. 1909. გვ. 137.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 23.



გარიგება“. მათი მსგავსება იმაში მდგომარეობს. რომ ორივე ძეგლი სახელმწიფო სამართალს განეკუთვნება და პირველ ყოვლისა, სასახლის განაწესს წარმოადგენენ; ძეგლებში საუბარია სასახლის აუდენციისა, დარბაზობისა, პურობისა და ამ მოვლენებთან დაკავშირებულ სასახლის წესჩვეულების შესახებ. ამასთანავე, ორივე ძეგლში მოცემულია მეფის ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეების დახასიათება.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მესამე პარაგრაფში საუბარია დარბაზობის შესახებ. მეფე დარბაზობას მართავს „დიდის წესითა“ ან „უმცროსი“ წესით. „დასტურლამალის“ იმ მუხლში, რომლის სათაურია „სასახლეების რიგისათვის“, საუბარია „დიდი“ წესით გამართულ სერისა და ნადიმის შესახებ, ჩვეულებრივად კი „დასტურლამალი“ ითვალისწინებს ნადიმს, რომელზედაც მომსახურეები გაცილებით ნაკლები რაოდენობით არის გათვალისწინებული, ვიდრე „დიდი-სერისა“ და ნადიმის დროს (§§ 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21). აქედან ვასკვნით, რომ „დასტურლამალში“, ისე როგორც „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ სასახლეში აუდენცია იმართებოდა დიდი და მცირე წესით.

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ დაწვრილებით არის გათვალისწინებული დარბაზობის წესი, დარბაზობის მიწვევის რიგი, გათვალისწინებული თუ ვინ ვის შემდეგ უნდა დამჯდარიყო. „ქელმწიფის კარის გარიგების“ 24-ე პარაგრაფის მიხედვით, მოძღვართმოძღვარს, კათალიკოსს, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს, მოიწვევს საწოლის მწიგნობარი ან ამირეჯიბი, ხოლო ვეზირთა პირველი სამეული და მეჭურჭლეთუხუცესი — ეჯიბმა უნდა მოიწვიოს, ე. ი. უფრო პატარა მოხელემ, ვიდრე საწოლის მწიგნობარი ან ამირეჯიბი იყო.

„დასტურლამალის“ მიხედვით „დარბაისელნი რომ შემობრძანდებოდნენ. დიდროანს კაცებს აქათამ ეშოკალასბაშმან აქათ უჩვენოს ალაგი და იქითმან იქით უჩვენოს ალაგი, როგორც შეეფერებოდეს“; ხოლო „მერმე სხუა დარბაისელნი რომ მოვიდნენ“. ის ბოქაულთუხუცესმა მიიწვიოს და უჩვენოს თავისი ადგილი (§ 14). ბოქაულთუხუცესი ეშოკალასბაშმის მოადგილე, მისი თანაშემწე იყო. მაშასადამე, უფრო დიდკაცებს ეშოკალასბაში იწვევს, შედარებით დაბალი რანგის დიდებულებს ეშოკალასბაშის მოადგილე — ბოქაულთუხუცესი. ადგილები კი დიდებულთათვის განსაზღვრულია დიდკაცობის მიხედვით. ამრიგად, ამ შემთხვევაში „ქელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“ ერთმანეთს ემსგავსება. „დასტურლამალისაგან“ განსხვავებით „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ დარბაზობის წესი, მოწვევის რიგი, უფრო დაწვრილებით არის წარმოდგენილი. „დასტურლამალში“ კი უფრო დაწვრილებით არის მოცემული სამეკლისო საქმელების ჩამოთვლა. „დასტურლამალის“ ეპოქაში. გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სამოხელეო წყობილება შეცვლილია. „დასტურლამალში“ უკვე აღარ გვხვდება გაერთიანებული პერიოდის ვეზირები და მათი მოადგილეები. თუ „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით დარბაზობის დროს წესრიგის მიმცემი მანდატურთუხუცესი და ამირეჯიბი იყვნენ, „დასტურლამალის“ მიხედვით ამ როლში ეშოკალასბაში და ბოქაულთუხუცესი გამოდიან. მიუხედავად იმ დიდი განსხვავებისა, რომელიც მანდატურთუხუცესის სახელოსა და ეშოკალასბაშის სახელოს შორის არსებობდა. ამ შემთხვევაში მათ მსგავსება მაინც აქვთ. ეს მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორთავე სახელოში საპოლიციო შინაარსის ფუნქციებიც შედის. 1)

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ძეგლში არის ერთი და იგივე სახელწოდების სახელოებიც, ასეთებია: იმოლარეთუხუცესი; მლოარე, ფარეშთუხუცესი, ფარეში და სხვა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ამ ერთი და იგივე სახელ-

წოდების მოხელეებს, ფუნქციებიც დაახლოებით ერთგვარი აქვთ. მმართველობის აღვილობრივი მოხელეებიდან ორივე ძეგლში მოხსენებულია ერისთავი. / „წელმწიფის კარის გარიგებაში“ საუბარია საერთოდ ერისთავებზე, რომლებიც მსხვილი ფეოდალები და იმავე დროს ადგილზე დიდი მოხელეები იყვნენ. „დასტურლამაში“ კი მოხსენებულია ქსნის და არაგვის ერისთავი. ამ ორივე ერისთავებს შორის, რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა, მაგრამ, გარდა სახელისა, შინაარსის მიხედვითაც მათ შორის მსგავსება მაინც არის. ორივე ძეგლში ერისთავები მსხვილი ფეოდალები არიან და ადგილზე მოხელეების ფუნქციებიც აქვთ.

ორივე ძეგლში საუბარია მეფეზე, მის სასახლეზე, დარბაზობასა და სხვათა შესახებ.

მაგრამ, ყველაზე მეტი მსგავსება ამ ძეგლებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ორივე სასახლის განაწესს შეეხება, ორივე სასახლის გარიგებაა.

ამასთანავე, ამ ორ ძეგლს შორის დიდი განსხვავებაა. „წელმწიფის კარის გარიგება“ უცნობი ავტორის მიერ შედგენილი იურიდიული შინაარსის ტრაქტატი, „დასტურლამაში“ კი საკანონმდებლო აქტია. „წელმწიფის კარის გარიგება“ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას ასახავს, როცა იგი დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო იყო და თავის მხრივ ვასალურ ქვეყნებს განაგებდა. „დასტურლამაში“ კი მხოლოდ ირანის ვასალურ ჩაგვრაში მყოფი ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებას ასახავს, თვითონ „დასტურლამაში“ ირანის სასარგებლო ხარკი არის გათვალისწინებული. ქართლის მეფეს „დასტურლამაში“ „ბატონი“ ეწოდებოდა, ხოლო ირანის შაჰს — „ხელმწიფე“: /

„წელმწიფის კარის გარიგების“ ერთადერთი ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია, ნაკლებია და თანაც გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომებით აღსავსე. ამიტომ, „წელმწიფის კარის გარიგებაში“ არ არის სრულად გადმოცემული საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება, „დასტურლამაში“ კი მრავალი ხელნაწერით არის ჩვენდამი მოღწეული. იგი სრულია და უფრო მკაიდარ მასალას შეიცავს, ვიდრე „წელმწიფის კარის გარიგება“.

„წელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი აბსოლუტური მონარქიის სასარგებლოდ არის განწყობილი. იგი აბსოლუტიზმის იდეებს ქადაგებს. „დასტურლამაში“ ძლიერი მეფის ხელისუფლების მომხრეა, რადგანაც თვით ისეთი ერთიანი საკანონმდებლო ძეგლის შექმნა, როგორც „დასტურლამალია“, მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ამასთანავე, „დასტურლამაში“ კანონმდებლის ასეთ მისწრაფებასთან ერთად, ასახულია რეალური ვითარებაც: ქართლის მეფე ირანის ვასალია და სამეფო საფეოდალოებზე არის დაყოფილი, რის გამოც მეფის ხელისუფლება სუსტია. /

## 8. ვახტანგ VI დასტურლამალი და ნიკო დადიანის დასტურლამა

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ „დასტურლამა“-ს სახელწოდებით ცნობილია ნ. დადიანის მიერ შედგენილი განწყობა სამეგრელოს მთავრისათვის. ამ „დასტურლამა“-ს ანუ განწყობას, კანონის სახე არ მიუღია. ნ. დადიანმა, თავისი დროისათვის ფრიად განათლებულმა ადამიანმა, სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს წარუდგინა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი წესით უნდა

1 „დასტურლამა“, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა, 1897 წ.

წარმოებდეს სამეგრელოს მართვა-გამგეობა. ეს მოხსენება გამოცემულია ი. მე-  
უნარგიას მიერ, რომელსაც წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა ნ. დადიანის  
ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. მოხსენება დათარიღებულია 1818 წლის 27  
აგვისტოთი, რომლისთვისაც ავტორს „დასტურ-ლამა“ დაურქმევია. ნიკო და-  
დიანმა კარგად იცოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების სამოხელეო წყო-  
ბილება, იცნობდა ვახტანგის კანონებს, რომლებიც სამეგრელოშიც მოქმედებ-  
დნენ. რასაკვირველია, მისთვის ცნობილი იქნებოდა ვახტანგ VI „დასტურლა-  
მალი“.

როდესაც ვადარებთ ვახტანგის „დასტურლამალისა“ და ნ. დადიანის  
„დასტურლამა“-ს, შინაარსის მიხედვით ედემტურობას, ან ორივე ძეგლის რო-  
მელიმე ნაწილის იჯერეობას, მათ შორის ძლიერ მსგავსებას, ვერ ვხედავთ. ეს  
არის რომ, ნ. დადიანს ჩამოთვლილი ყავს ისეთი მოხელეები, რომელთაც ვახ-  
ტანგის „დასტურლამალშიც“ ვხვდებით. ნ. დადიანის მოხსენებაში ყველაზე  
მნიშვნელოვანი მოხელე სამეგრელოში სახლთუხუცესია. ასევე ვახტანგის  
„დასტურლამალშიც“ ქართლის სახლთუხუცესია ყველაზე დიდი მოხელე.

სახლთუხუცესის გარდა, ნ. დადიანის „დასტურ-ლამაში“ მოხსენებულია:  
მდივანბეგი, მოლარეთუხუცესი, მოლარეები, ფარეშები, ზინდრები, მებაჭრე-  
ები, ბაზიერები, მესტუმრე, მზარეული, მეღვინეთუხუცესი და სხვა. აღნიშნუ-  
ლი მოხელეები მოხსენებული არიან აგრეთვე ვახტანგის „დასტურლამალშიც“.  
მაგრამ, ეს ქართლსა და სამეგრელოს სამოხელეო წყობილებების მსგავსებით აიხ-  
სნება და არა ვახტანგის „დასტურლამალის“ გავლენით, თუმცა, როგორც  
ვთქვით, ნ. დადიანი, ვახტანგის „დასტურლამალსაც“, ალბათ, იცნობდა. ნ. და-  
დიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მას შეუსწავლია რუსეთისა და ევროპის სხვა  
ქვეყნების სახელმწიფოების მმართველობა. იგი წერს, რომ თუმცა მას შეეძლო  
„უმჯობესთა და უნათლესთა წესდებულებათა“ შედგენა, მიმსგავსებით „ევრო-  
პიეთნი“ ქვეყნებისა, მაგრამ „ჭერეთ ესე კმა არს“ სამეგრელოსათვისა<sup>1</sup>, ე. ი.  
ჩემი მოხსენება ჭერჭერობით საქმარისიაო.

რასაკვირველია, სხვა ქვეყნების მართვა-გამგეობის შესწავლით დაინტე-  
რესებულ ნ. დადიანს, პირველ რიგში ვახტანგის „დასტურლამალი“ ექნებოდა  
შესწავლილი. იგი თავის „დასტურ-ლამაში“ ცდილობს ზოგიერთი სიახლე  
შეიტანოს სამეგრელოს მართვა-გამგეობაში. მაგალითად, რუსეთის მიბაძვით.  
მას სურს შემოიღოს სამეგრელოში აღიუტანტის თანამდებობა, ხაზინდარის  
სახელო და სხვა. მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ნ. დადიანის მოხსენე-  
ბის მიხედვით სამეგრელოს მართვა-გამგეობა გარკვეული პრინციპების მი-  
ხედვით ერთიან კანონებს ემყარება. მისი აზრით აკრძალულ უნდა იქნეს ფეო-  
დალური თვითნებობა, უნდა დაწესდეს ერთიანი გადასახადები და სხვა.

ნ. დადიანის „დასტურ-ლამა“ თავის ეპოქის მიხედვით პროგრესული სა-  
კანონმდებლო აქტია. ამჟამად მიზნად არ ვისახავთ ამ ძეგლის ყოველმხრივ  
განხილვას. გვინტერესებდა მხოლოდ მისი ვახტანგის „დასტურლამალთან“  
შედარება.

ნ. დადიანის „დასტურ-ლამაში“ არის ისეთი სახელოებიც, რომლებიც არ  
არის ვახტანგის „დასტურლამალში“. ასეთებია: ყულუხჩითუხუცესი (ვახტანგის  
„დასტურლამალში“ ყულუხჩი არის, ყულუხჩითუხუცესი — არაა). ნ. დადი-  
ანის „დასტურ-ლამა“-ს მიხედვით ყულუხჩითუხუცესებსა და ყულუხჩებს, ქა-  
მისა და სმის „ყოველნი იარაღნი“ ებარათ.

<sup>1</sup> „დასტურ-ლამა“, თხზულება, ნიკოლოზ დადიანისა, 1897 წ. გვ. 89.

6. დადიანის „დასტურ-ლამაში“ არის კერძოალი, რომელსაც ებარა მე-  
ქებრები, ნაგაზები და სხვა. „დასტურლამაში“ ეს სახელო არ არის. ნ. დადიან-  
ნის. „დასტურ-ლამაში“ არის: „გვამის მცველი“, ვახტანგის „დასტურლამა-  
ში“ ამ მოვალეობას ყულები, ყორჩები ან ქეშკეები ასრულებენ. ნ. დადიანის  
„დასტურ-ლამაში“ მოხსენებულია „სტუმართ გაშვება“, ვახტანგის „დასტურ-  
ლამაში“ — მემანდარი. ნ. დადიანის „დასტურ-ლამაში“ არის ხაზინდარი.  
ვახტანგის „დასტურლამაში“ ასეთი სახელწოდების მოხელე არ არის და  
სხვა. ვახტანგის „დასტურლამაში“ მოინახება მრავალი სახელო, რომლებ-  
საც ნ. დადიანის „დასტურ-ლამაში“ ვერ ვხვდებით.

ნ. დადიანის „დასტურ-ლამა“ რაოდენობით ვახტანგის „დასტურლამალის“  
მხოლოდ მათედს თუ შეადგენს. ამის შესაბამისად რასაკვირველია, ის მხო-  
ლოდ მოკლედა ასახავს სამეგრელოს საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებ-  
რივ წყობილებას.

ამასთანავე, ვახტანგის „დასტურლამალი“ კანონია, ხოლო ნ. დადიანის  
„დასტურ-ლამას“-ს მოხსენება — პროექტის მნიშვნელობა აქვს.

## 7. დასტურლამალის მოქმედების დრო და ტერიტორია

1. „დასტურლამალი“ მოქმედებდა ქართლის სამეფოში მისი შედგენის პე-  
რიოდინდ (1707—1709 წწ.) აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთე-  
ბამდე. „დასტურლამალის“ შემდგენელი ვახტანგ VI 1724 წელს იძულებული  
შეიქნა რუსეთს გადასახლებულიყო. 1723 წლიდან ქართლში იწყება ოსმალე-  
თის საოკუპაციო პერიოდი, რომელიც გაგრძელდა 1735 წლამდე. 1735 წელს  
ოსმალთა ბატონობა ირანის ბატონობით შეიცვალა. 1744 წელს ირანის მიერ  
ქართლის მეფედ დამტკიცებულ იქნა თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ—  
ერეკლე II. 1762 წელს თეიმურაზ II გარდაიცვალა რუსეთში, ხოლო ერეკლე  
II შეიქნა გაერთიანებული ქართლისა და კახეთის მეფედ. ქართლ-კახეთის  
სამეფო ტახტზე ერეკლეს მემკვიდრე იყო მისი შვილი გიორგი XII, რომლის  
გარდაცვალების შემდეგ 1801 წელს საქართველო რუსეთს შეუერთდა.

ვახტანგ VI რუსეთში გადასახლებამდე რომ მის მიერ შედგენილი კანონე-  
ბი მოქმედებდნენ, ეს ბუნებრივია. მაგრამ, საოკუპაციო პერიოდში. „დასტურ-  
ლამალის“ მოქმედება შეფერხდა. ცნობილია, რომ ოკუპანტები ისეთი ახალი  
გადასახადებით ბეგრავდნენ მოსახლეობას, რომლებიც „დასტურლამალით“  
გათვალისწინებული არ ყოფილა. მაგალითად, 1741 წელს ირანმა აღწერა აღ-  
მოსავლეთი საქართველო. „ყიზილბაშებს არ დაუტოვებია არც ერთი სოფელი  
თუ ნაოფლარი, რომ არ აეზომათ და დაეხარკათ. ყიზილბაშებმა სათითაოდ  
დათვალეს ვაზები, ხეხილის ხეები და ყოველ ძირს გადასახადი დააწერეს. ფუ-  
ლადი გადასახადი გაწერილი იყო აგრეთვე ყოველ მამაკაცზე ათი წლის ასაკი-  
დან. ამგვარადვე დაბეგრეს პირუტყვი, ბოსტანი, წისქვილი და სხვა“<sup>1</sup>. ასეთი  
გადასახადები, რასაკვირველია, „დასტურლამაში“ არ არის გათვალისწინე-  
ბული. მაგრამ, „დასტურლამალი“ საოკუპაციო ხელისუფლებას არ გაუუქმე-  
ბია. ამ პერიოდშიც საოკუპაციო ხელისუფლებას ქართლსა და კახეთში ქართ-  
ველი მეფეები ყავთ ტახტზე. სხვა საკითხია, თუ რა უფლებები გააჩნიათ ამ  
მეფეებს, მაგრამ ნომინალურად მაინც ისინი მეფეებად ითვლებიან და „დას-  
ტურლამალი“, როგორც სასახლის განაწესი და მეფე-დედოფლის მამულების

<sup>1</sup> „საქართველოს ისტორია“, 1, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, დამხმარე სახელმძღვანე-  
ლო, 1958, გვ. 339.

დებულება, იურიდიულად მოქმედი კანონია. უნდა ჩავთვალოთ, რომ ის გადასახადები, რომლებიც საოკუპაციო ხელისუფლებამ დააწესა, „დასტურლამალით“ გათვალისწინებულ გადასახადებს კი არ აუქმებდა, არამედ მათ დამატებას წარმოადგენდა. ძველი და ახალი გადასახადების ერთად გაღება მოსახლეობას გაუჭირდა, რამაც ირანის წინააღმდეგ აჯანყება გამოიწვია.

რადესაც საუბარია „დასტურლამალის“ მოქმედებაზე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საქმე გვაქვს ფეოდალურ საზოგადოებასთან, როცა კანონის მოქმედებას თავისებური ხასიათი ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ, როგორც ვახტანგის სამართლის წიგნის, ისე „დასტურლამალის“ ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი წარმოადგენს. ადათობრივი სამართლის ნორმა, სანამ ის წერილობით სამართლის ნორმად გადაიქცეოდა, მანამდინაც მოქმედებდა, მაგრამ არაა ცნობილი არც მისი წარმოშობა და არც მისი მოქმედების საზღვრები. ზოგჯერ ადათობრივი სამართლის ისეთ ნორმასაც ვხედავთ (მაგალითად, პირველი დამის უფლება), რომელიც გაბატონებულ კლასსა და მის სახელმწიფო ორგანიზაციას წერილობით ნორმად ვერც გაუხდია, რადგანაც იგი ხალხთა მასების უდიდეს აღშფოთებას იწვევს. იმავე დროს, ფეოდალთა კლასს სურს ისარგებლოს ამ ნორმით, თუ კი ოდნავ შესაძლებლობა მიეცა<sup>1</sup>.

„დასტურლამალის“ შემადგენელი ნაწილები, მაგალითად, სოფლების გადასახადები, დროთა განმავლობაში ადათობრივ სამართლის სახით არსებობდა და მათ „დასტურლამალში“ შეტანის შემდეგაც არ დაუკარგავთ ძალა, როგორც ადათობრივ სამართალს.

ამასთანავე, სახელოების სარგო და დებულებანი, რომლებიც შეტანილია „დასტურლამალში“, იმიტომაც არ შეწყვეტდნენ მოქმედებას რომ მთლიანად თუ არა, მათ უმრავლესობას მაინც, არ დაუკარგავთ ძალა ოკუპაციის პერიოდშიც. როგორც ცნობილია, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ, ოსმალეთმა ქართლის ტახტი იესეს, ვახტანგის ძმას მისცა. მიუხედავად ამისა, საოკუპაციო პერიოდში, ქართლის მართვა-გამგეობის საქმეს ფაქტიურად ოსმალეთის ხელისუფლება განაგებდა, მაგრამ, რადგანაც ქართლის სამეფო ტახტი ნომინალურად მაინც იესეს ეკუთვნოდა, ცხდია, დარბაზობის წესი და მოხელეობა საჭირო იქნებოდა. ამგვარად, „დასტურლამალი“ განაგრძობდა მოქმედებას. ¶

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „დასტურლამალში“ იყო ისეთი მუხლები, რომლებიც არ შეიძლებოდა მოქმედებაში ყოფილიყო ოსმალეთის ბატონობის პერიოდში. ასე, მაგალითად, ირანის შაჰისათვის „დასტურლამალი“ ქართლში ითვალისწინებდა ირანის მოხელეებს, რომლებსაც ვაშალური ქართლისათვის მეთვალყურის ფუნქციები უნდა შეესრულებინათ. მაგალითად, ვეზირი, მუსტაფი და სხვა. რასაკვირველია, „დასტურლამალის“ ასეთი მუხლები ოსმალეთის ბატონობის პერიოდში არ შეიძლებოდა მოქმედებაში ყოფილიყო.

1744 წლიდან ქართლის მეფე არის თეიმურაზ II, კახეთისა კი — ერეკლე II. ცნობილია, რომ თეიმურაზი და ერეკლე ცდილობდნენ აღედგინათ საოკუპაციო პერიოდის წინანდელი სამართლის ნორმები. ასე, მაგალითად, ერეკლე II საგანგებოდ შეისწავლა ქალაქ თბილისის მმართველობა და ამის შესახებ სათანადო დებულება შეიმუშავა. ასევე თეიმურაზმა და ერეკლემ შეაღვივნეს ქალაქში მემკვიდრეობის წესი და სხვა. ამგვარად, თეიმურაზს და

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 83—86.

ერეკლეს მეფობის ხანაში „დასტურლამალის“ მოქმედება ეჭვს არ იწვევს. საქმე იმაშია მხოლოდ, თუ რა ტერიტორიაზე მოქმედებდა იგი.

1762 წლიდან ქართლი და კახეთი გაერთიანებულია. „დასტურლამალი“ კი მართო ქართლის სამეფოსათვის იყო გათვალისწინებული. ცნობილია ის გარემოებაც, რომ ვახტანგის „სამართლის წიგნი“ ქართლისათვის იყო შედგენილი. მაგრამ იგი მთელ საქართველოში მოქმედებდა!

ჩვენ ვთქვით, ისევე როგორ „სამართლის წიგნი“. „დასტურლამალიც“ ადათობრივი სამართლის საფუძველზეა შედგენილი და ამდენად, შეიძლება ეს ადათობრივი სამართალი მისადები ყოფილიყო მთელი საქართველოსათვის. რასაკვირველია, დარბაზის წესი, სახელოები და სხვა დაახლოებით ერთგვარი იქნებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროებში და ამდენად ვახტანგის მიერ შედგენილი „დასტურლამალის“ სათანადო ადგილები სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფო-სამთავროებისათვისაც. ვახტანგის „დასტურლამალს“ რომ იცნობდნენ საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროები, ამის შესახებ სათანადო ცნობები მოიპოვება. ცხადია, ქართლის სამეფოსათვის შედგენილ „დასტურლამალს“ ქართლის-მეფურ ვერ მიანიჭებდა მოქმედების ძალას კახეთსა, იმერეთსა, სამეგრელოსა ან გურიაში. ეს არც იყო საჭირო, რადგანაც საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში მსგავსი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება არსებობდა და ძირითადად ერთი და იგივე ადათობრივი სამართალი მოქმედებდა. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: „დასტურლამალი“ უმრავლეს შემთხვევაში შეიცავს ისეთ მუხლებს, რომელთა მოქმედება მხოლოდ ქართლით არის განსაზღვრული. მაგალითად: დიღომი, შულავერი, თეთრი სოფელი, ალეკი და „დასტურლამალში“ ჩამოთვლილი სხვა სოფლები, მხოლოდ ქართლშია. ასევე ითქმის ელის, ქართლის საზღვრების, საფეოდალოებისა და სხვათა შესახებ. უმრავლესობა მუხლებისა კი სწორედ ამ სოფლებისა და საფეოდალოების დებულებას წარმოადგენს. ამგვარად, „დასტურლამალის“ დიდი ნაწილი მხოლოდ ქართლის სამეფოში მოქმედებდა და სხვაგან არსად. რასაკვირველია, დანარჩენ სამეფო-სამთავროებში სოფლებისათვის მსგავსი დებულებანი იქნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში „დასტურლამალი“ ამ სამეფო-სამთავროებს არ მიუდგებოდა.

ვახტანგის „დასტურლამალზე“ ხშირად უთითებენ XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II შემდეგაც. იგი მოქმედებდა გიორგი XII დროსაც. „დასტურლამალის“ მოქმედების დასასრულად ჩაითვლება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და მისი რუსეთთან შეერთება. ცნობილია, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ ვახტანგის „სამართლის წიგნი“ ნაწილობრივ განაგრძობს მოქმედებას, მაგრამ „დასტურლამალი“ კი არა. ეს გასაგებიცაა: „დასტურლამალი“ ძირითადად სასახლის განაწესსა და მეფის მამულების გარიგებას წარმოადგენს. რუსეთთან შეერთებისას მეფის სასახლე გაუქმდა, სამეფო სოფლები რუსეთის მმართველობაში გადავიდა, ხოლო ქართველ მეფეთა მოხელეებმა თავიანთი სამოხელეო რწმუნებათა საბუთები ახალ ხელისუფალთ წარუღებინეს პენსიების მისაღებად. ამგვარად, „დასტურლამალის“ მოქმედება 1801 წელს შეწყდა.

1 ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლისათვის, 1957.

## II. ბეჰსტის დაღვინისათვის

### I. ნუსხების გარეგნული აღწერა

„დასტურლამალის“ თვითოეულ ხელნაწერს ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ ცალ-ცალკე. აქ კი მოკლედ აღწერთ ხელნაწერებს და განვმარტავთ ნუსხებისათვის ჩვენ მიერ მიცემულ პირობით სახელებს.

სულ გამოვლენილია „დასტურლამალის“ 15 ნუსხა. აქედან ერთ ნუსხაში, სახელდობრ მირველ თუმანიშვილისაში, „დასტურლამალის“ მრავალი ადგილი სამი ვარიანტით არის წარმოდგენილი. სულხან მდიენისეულისაში — ორი ვარიანტით, ხოლო დანარჩენ ნუსხებში 67-ე და 41-ე მუხლების ერთი ნაწილი ორი ვარიანტით არის მოცემული.

1. მირველ თუმანიშვილის მიერ 1729 წელს გადაწერილი ნუსხა (ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, № 38), გადამწერის სახელის პირველი ასოს მიხედვით აღნიშნული გვაქვს ლათინურ M-ით (გვარის პირველი ასო „თ“, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გვკირდება სხვა ნუსხის, სახელდობრ, ტაბიძისეულის აღსანიშნავად).

2. სულხან მდიენისეული ხელნაწერი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისაა, (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—4738), იგი „სულხანი“-ს პირველი ასოს მიხედვით აღნიშნული გვაქვს ლათინური S-ით: S, S I var., S II var.

3. ყავრიშვილისეული ხელნაწერი გადაწერილია 1742—1766 წლებს შორის (ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, H—986). გადამწერის ვინაობა უცნობია. ხელნაწერი შემოწირულია გიორგი იოსების ძე ყავრიშვილის მიერ. ამისთვის იგი შემომწირველის გვარის პირველი ასოს მიხედვით აღნიშნული გვაქვს K-ით: K, K I var., K II var.

4. იესე მდიენისეული ნუსხა გადაწერილია XVIII საუკუნის სამოციან წლებში (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—4532). ხელნაწერი აღნიშნული გვაქვს გადამწერის სახელის პირველი ასოთი: J I var., J II var.

5. დავით რექტორის მიერ 1789 წელს გადაწერილი ნუსხა, რომელსაც პროფ. ს. კაიხაძემ მიაკვლია<sup>1</sup>, აღნიშნული გვაქვს გადამწერის სახელის პირველი ასოთი: D, D I var., D II var.

6. ქობულაშვილისეული ხელნაწერი, რომელიც XIX საუკუნის პირველი ათეული წლებით თარიღდება, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (იოანე ბაგრატიონის კოლექცია № 153) ინახება და აღნიშნული გვაქვს გადამწერის გვარს პირველი ასოთი — ლათ. Q (ყავრიშვილისეული ხელნაწერი, როგორც ზემოთ ვთქვით, აღნიშნული გვაქვს „K“-ით): Q, Q I var., Q II var.

7. იოანე ბაგრატიონის კოლექციაში შემონახული „დასტურლამალის“ ნუსხა (ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, № 170) გადაწერილია XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში. გადამწერი უცნობია. ამიტომ იგი აღნიშნული გვაქვს „ბაგრატიონი“-ს პირველი ასოთი: B, B I var., B II var.

<sup>1</sup> ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეც. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q—1334).

8. ალექსიძის მიერ 1816—1817 წლებში გადაწერილი ნუსხა (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—5037), აღნიშნული გვაქვს „ალექსიძის“ პირველი ასოთი: a. al var., all var. (A-თი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღნიშნულია იოველ ალექსიძის ხელნაწერი).

9. იასონ ლორთქიფანიძის მიერ შექმნილი ხელნაწერი. რომლის გადამწერის ვინაობა უცნობია, 1820—1821 წლებით თარიღდება (ინახება იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, Q—342), აღნიშნული გვაქვს იგი ნუსხის შემძენის გვარის პირველი ასოთი L, L I var., L II var.

10. იოველ ალექსიძის 1821 წლის ხელნაწერის (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—1507) პირობით სახელად „ალექსიძის“ პირველი ასო—A, A I var., A II var. ავიღეთ (ეს ნუსხა დაედვა საფუძვლად „დასტურლამალის“ 1886 წლის გამოცემას).

11. გიორგი მაისურაძის მიერ გადაწერილი ნუსხა (ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, E 64, ნ. ბროსეს კოლექცია) აღნიშნული გვაქვს სახელი „გიორგის“ პირველი ასოს მიხედვით: g, g I var., g II var. („მაისურაძის“ პირველი ასო „მ“-ით, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღნიშნულია მირველ თუმანიშვილის ხელნაწერი).

12. ნაზარიშვილის მიერ 1842 წელს გადაწერილი ხელნაწერი (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—3684) აღნიშნულია გადამწერის გვარის პირველი ასოს მიხედვით: N, N I var., N II var.

13. ს. ტაბიძის მიერ 1869 წლის თებერვალში გადაწერილი ხელნაწერის (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, H—2192) პირობით სახელად აღებულია „ტაბიძის“ პირველი ასო: T, T I var., T II var.

14. ს. ტაბიძის მიერ 1869 წლის მარტსა და აპრილში გადაწერილი ნუსხა (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2190) აღნიშნულია „ტაბიძის“ პირველი ასოს მიხედვით: t, t I var., t II var.

15. ს. ტაბიძის მიერ 1890 წლის მაისში გადაწერილი ნუსხა (ინახება თბილისის კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, S 23) აღნიშნულია „ტაბიძის“ პირველი ასოთი: t', t' I var., t' II var.

ნუსხების სხვაობას სქოლიოში ვუჩვენებთ პირობითი სახელებით: M, S, K, J, D, Q, a, L, A, g, N, T, t, t' და როდესაც ამა თუ იმ ნუსხაში ამა თუ იმ ადგილის მეორე ან მესამე ვარიანტი გვხვდება, მაშინ ხელნაწერის პირობით სახელს მივუმატებთ ვარიანტს. მაგალითად, მეორე ვარიანტის აღსანიშნავად მივუწეროთ: M II var., S II var და ა. შ. მაგრამ, იქვე ვუჩვენებთ აგრეთვე პირველ ვარიანტს M I var., S I var და ა. შ. პირველი ვარიანტია ის, რაც ჩვენ მივიჩინეთ ტექსტის ძირითად ანუ პირვანდელ დაწერილობად. როგორც აღვნიშნეთ, M-სა და S-ში მრავალ შემთხვევაში ვარიანტია მოცემული, მაგრამ ეს „მრავალი შემთხვევა“ მთლიან ტექსტთან შედარებით, რასაკვირველია, მცირეა. მაგალითად, M-ის 216 გვერდიდან ვარიანტების შემცველი არის 27 გვერდი. დაახლოებით ასეთივე სურათია S—ხუსხაში. K-ში ვარიანტები აქვს 41-სა და 99-ე მუხლებს, ხოლო დანარჩენ ნუსხებში ვარიანტები მოცემულია



მხოლოდ 67-ე მუხლისა და 41-ე მუხლის ერთი ნაწილის მიმართ. S-ში ეს ვარიანტები ტექსტისაგან განსხვავებული ფერის მელნითა და ხელით არის ჩაწერილი. მაშასადამე, სიებში მოცემული ტექსტის უდიდესი ნაწილი ვარიანტების გარეშეა მოცემული. როცა ნუსხაში ვარიანტია მოცემული და ამის აღნიშვნა გვინდა. მაშინ ვარიანტების ერთმანეთისაგან გასარჩევად, ნუსხის ძირითად ნაწილს პირველ ვარიანტად ვთვლით.

ორთოგრაფიული და ენობრივი თვალსაზრისით ხელნაწერები იყოფა ორ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნება „დასტურლამალის“ ოთხი უძველესი ხელნაწერი: 1729 წ., S და K (XVIII საუკუნის ორმოციანი წლები) და J (XVIII საუკუნის სამოციანი წლები), რომლებსაც არ ამჩნევიათ ანტონ I სკოლის გავლენა, მიუხედავად იმისა, რომ იესე მდივნის ნუსხა და S II var. გადაწერილი უნდა იყოს 1773 წლის ახლო ხანებში. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება დანარჩენი ნუსხები, რომლებსაც ანტონის სკოლის ნორმების გავლენა ეტყობათ. ყველა ის ენობრივი ნორმები, რომელიც ანტონ I შემოიღო<sup>1</sup>, მეტ-ნაკლებად ასახულია II ჯგუფის ნუსხებში.

შევჩერდეთ ნუსხების ამ ჯგუფების დახასიათებაზე. პირველ ოთხ M, S, K და J ნუსხაში არ გვხვდება ხმარებიდან გამოსული ასოები — შ, ა, ვ, ფ. და ჟ. მაგრამ ხმარებიდან გამოსული ასოებიდან ხშირად გვხვდება, კ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხმარების რაიმე კანონზომიერება ნუსხებში არ შეინიშნება. ერთსა და იმავე ნუსხაში, ერთსა და იმავე პარაგრაფშიც კი, ერთი და იგივე სიტყვა ხან ვ-თი არის წარმოდგენილი, ხან კიდეც ხ-თი. ვ-თუა და ხ-ს ასეთი აღრევა დამახასიათებელია არა მარტო უძველესი ნუსხებისათვის, არამედ საერთოდ ყველა მათგანისათვის<sup>2</sup>.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სიტყვის მიმართ ნუსხებში შეინიშნება ვ-ს ხმარების ერთგვარი სტაბილურობა. მაგალითად, საქლო, მოჯელე, უმრავლესისაგან უმრავლეს შემთხვევაში ვ-თი არის წარმოდგენილი.

პირველ სამ MSK ნუსხაში შეინიშნება ვ-ინის აღრევა უ-ნთან. მაგალითად, გვხვდება სიტყვების ასეთი დაწერილობა: სხუა, ძველა, ჩუენ, თქუენ. ყუელა და ა. შ. იგივე სიტყვები იწერება აგრეთვე შემდეგნაირად: სხვა, ძველი, ჩეენ, თქვენ, ყველა და ა. შ.<sup>3</sup>

მოვიყვანოთ მაგალითები: 1. სიტყვა „სიკვდილი“. ჩვენი გამოცემის მუხლი 130. სიკუდილი M (გვ. 177), K(76r), J (გვ. 13). სიკვდლი S (58v), მაგრამ, ეს სიტყვა S-ში ტექსტის მელნის ფერისაგან განსხვავებული მელნით არის შესრულებული, სიკუდილი (ყველა სხვა ნუსხაში, § კდ).

იგივე სიტყვა იხმარება ძეგლის სხვა ადგილასაც: სიკუდილი M (გვ. 64, 65, სამჯერ, K (29v, 30r სამჯერ), სიკვდილი J (გვ. III), სიკუდლაო, J (გვ. 111, 112 ორჯერ), სიკვდილი S, 21v, 22r (მდივანბეგის შესახებ ტექსტში S-ში ტექსტის მელნისაგან განსხვავებული ფერის მელნით არის შესრულებული). სიკვდილი DNTtt' (სამჯერ, § 100), სიკუდილი a (§ რ, ორჯერ), სიკუდილი a (§ რ, ერთხელ), სიკვდილი a (§ 100, ორჯერ), სიკვდილი g (§ 100, ერთხელ).

1 ამის შესახებ დაწერილებით იხ. აკად. აკაკი შანიძის ნაშრომი: „ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე“, 1964 (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, ცალკე ამონაბეჭდი).

2 აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, 1953, გვ. 18—20; არს. ჩოქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), 1, 1950, გვ. 21—226).

3 აკაკი შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, 1964, გვ. 38.

საკუდილი Q (§ 100, ერთხელ), სიკვდილი Q (§ რ, ორჯერ). სიკუდილი A (§ რ, სამჯერ).

2. სიტყვა „ქვა“ ჩვენი გამოცემის 125-ე მუხლი.

სიტყვა ქვა ასეთივე ფორმით იწერებოდა ძველად: M-ში შრავალჯერ გვხვდება ეს სიტყვა და უ-ნით იწერება: ქუა ჩაუსვით. ქუა კაცი (გვ. 206), ქუა კაცა, ქუა ზის (გვ. 207), ქუა ძეს, ქუის გადასწორ (გვ. 208) და სხვა.

K-ში სიტყვა „ქვა“, „ქვის“ (25r) და სხვა ყველა შემთხვევაში ეს სიტყვა ვინა იწერება. S-ში ამ სიტყვის შემცველი §-ის ორი ვარიანტია. პირველი ვარიანტი ძლიერ მოკლეა და ამ ვარიანტის ერთ წინადადებაში გვხვდება: ქვა ჩაუსვით, ქუა კაცი ზის (62r). I ვარიანტის სხვა ადგილას და II ვარიანტში ეს სიტყვა მხოლოდ ვ-ინით არის წარმოდგენილი (62v, 76v); JDQaL-ში ვინით არის ქვა წარმოდგენილი (აგ). AgN-ში არის ქუა, მხოლოდ ქვიანი და ქვის, — ვ-ინით არის წარმოდგენილი (აგ); t-ში უმრავლეს შემთხვევაში არის ქუა; გვხვდება: ქვა, ქვიანი, ქვისა და ქუა (აგ). Tl'-ში: ქვიანი, ქვის, ხოლო სხვა შემთხვევაში ქუა, არსად სიბრჯგვის ნიშანი ამ სიტყვას არ ახლავს (§ აგ).

3. სიტყვა „ქვემო“ და „აქვს“, ჩვენი გამოცემის 126-ე მუხლი. M-ში: ქუემო, ქუეით, აქუს (გვ. 206); S I var. 6r-ში: ქვემოთ, S II var. 67v.-ში: ქვემო და აქვსთ, K. (84r)-ში: „ქვემო“, (K-ში სიტყვა აქვს არ არის, ეს ადგილი აკლია); J-ში: ქვემო, ქვეით აქვსთ (§ დგ); DQaL-ში: ქვემო, ქვეით, ქვევით, აქვსთ (დგ), AgNTt-ში: ქვემო, ქვევით, აქუსთ (დგ); t'-ში: ქვემო, ქვევით, აქუსთ (დგ).

4. ჩვენი გამოცემის 126-ე მუხლიდან:

S II var-ში: „სამძღვარი“, სამძღვარადინ“, „ჩვენგან“. S I var. და K-ში ეს ადგილი არ არის.

DAgT-ში: სამზღურები, სამზღუარი, ჩუშნგან

QL-ში: სამძღვრები, სამძღვარი, ჩვენგან

a-ში: სამძღვარები, სამძღვარო, ჩვენგან

N-ში: სამძღურები, სამძღუარი, ჩვენგან

t-ში: სამზღვრები, სამძღვარი, ჩვენგან

t'-ში: სამზღვრები, სამზღუარი, ჩვენგან.

5. ავალთ სიტყვები ჩვენი გამოცემის 37-ე მუხლიდან:

M-ში: ჟუნისა, ხნან, იმათვე (გვ. 48), გასულამდი, ჩვენის (გვ. 49); KS I var.-ში: ჟენისა, ჟენა, ჟნან, იმათვე, გასულამდი, ჩვენის, (S I var. 73r, 74v., K 100 r); S II var. 61 v.-ში: ხენისა, ხენა, ხნან, იმათვე, გასულამდი, ჩვენის;

J-ში: ხენისა, ხენა, ჟნან, იმათვე, გასულამდი, ჩვენის (§ მ.). DQL-ში: ჟენის, ჟენა, ჟნან, იმათვე, გასულამდი, ჩვენის (§ მა, Q-ში: გასულამდინ); a-ში ჟენისა, ჟენა, ხნან, იმათვე, გასულამდი, ჩვენის (§ მა); A-ში: ჟენისა, ჩუნა, ჟნან, იმათვე, გასულამდის, ჩვენის (§ მა); G-ში: ჟენისა, ჟენა, ჟნან, იმათვე, გასულამდის, ჩვენის (§ მა); N-ში: ჟენისა, ჩუნა, ჟნან, იმათვე, გასულამდის, ჩვენი (§ მა); BTli'-ში: ჟენისა, ხენა, ჟნან, გასულამდის, ჩვენის (B-ში გასულამდი).

ამგვარად, არც ერთ ნუსხაში არ არის დაცული გარკვეული კანონზომიერება, სიტყვას დაწერილობის ერთგვარი წესი. მხოლოდ ეს კი შეინიშნება, რომ სხვა ნუსხებთან შედარებით ზოგიერთი ნუსხა მაგალითად J, ძირითადად ე-ინს ხმარობს. ეს გარემოება, მოყვანილი მაგალითების გარდა, სხვა

ადგილებითაც დასტურდება. ამასთანავე, MS I var, და K ნუსხების მიმართ დროის მიხედვით არ შეიძლება საუბარი ანტონ I გავლენაზე, რადგანაც ეს ხელნაწერები მანამდეა გადაწერილი, სანამ ანტონის სკოლა აღმოცენდებოდა. რაც შეეხება S II ვარიანტსა და J-ს, ისინი 1773 წლის ახლო ხანებშია შედგენილი და ამდენად, დროის მიხედვით, მათ შეიძლებოდა ანტონის სკოლის გავლენა განეცადათ. მაგრამ, საესებით გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს გავლენა არც ერთ მათგანს არ განუცდია.

მოყვანილი მაგალითებისა და მსგავსი შემთხვევების მიხედვით, ნუსხებს შორის განსხვავებას, როგორც წესი, ჩვენ სქოლიოებში არ ვუჩვენებთ თუ ასეთი ჩვენების საჭიროება გამოწვეული არ არის სხვა რაიმე გარემოებით.

დანარჩენ ნუსხებს (DQBaLAGNTt'), როგორც ვთქვით, ეტყობა ანტონ I გავლენა. პირველ ყოვლისა, DQBaLAGN ნუსხებში — ე. ი. მათში, რომლებიც შედგენილია 1789—1842 წლებში, არის ანტონის მიერ შემოღებული ასო ჯ, რომელიც მან სომხური ენის მიხედვით უმართებულად შემოიღო ქართულში<sup>1</sup>. ამ ასოს ნიშანს ვხვდებით, როცა სიტყვაში თანამოვლებია თავმოყრილი. მაგალითად, ნუსხებში გვხვდება „ცხენი“ „ცხენის“ მაგიერ, „უბრძანებეს“ „უბრძანებს“ მაგიერ და სხვა. 1969 წლის შესრულებულ ნუსხებში (Tt') ამ ასოს ნიშან- აღარ გვხვდება. არც ტექსტში და არც სქოლიოში ამ ნიშანს არ ვუჩვენებთ.

ანტონ I შემოიღო სიბრჯგუის ნიშანი: „ეს ნიშანი დაესმის უმარცვლო ჟ-ს თავზე. რომ განასხვავოს იგი მარცვლიანისაგან, რომელსაც არავითარი ნიშანი არ აქვს. ამ შემთხვევაში სულ ერთია, მართლა უმარცვლო იყო იგი ეველად თუ, მცდარი თეორიის წყალობით, უნს ვინის ადგილი უქირავს“, ანტონმა „ვინი თანხმომის შემდეგ უმარცვლო უნს გაუთანაბრა და ზედ სიბრჯგუის ნიშანი დაუსვა: ქუა, მარხუა და სხვ.“<sup>2</sup>.

სიბრჯგუის ნიშანი „დასტურლამალის“ ყველა ხელნაწერშია დასმული. დაწყებული 1789 წლიდან (დავით რექტორის ხელნაწერი) და 1869 წლის ხელნაწერებით დამთავრებული. ამასთანავე ამ ნიშნის დასმაში არ შეინიშნება ატაბილურობა. ერთი და იგივე სიტყვა ერთსა და იმავე ნუსხაში, ერთსა და იმავე პარაგრაფშიც კი, წარმოდგენილია სიბრჯგუის ნიშნით და მის გარეშე აღნიშნული ნიშნით სიტყვები ყველაზე მეტად გვხვდება A-სა და N-ში, ყველაზე ნაკლებად a-სა და L-ში. შეიძლება ითქვას, რომ a-სა და L-ში სიბრჯგუის ნიშანი იშვიათად გვხვდება. შედარებით ნაკლებად არის ნახმარი იგი 1869 წლის ხელნაწერებში (Tt').

სიბრჯგუის ნიშანს სქოლიოში ჩვენ ვუჩვენებთ მაშინ, როცა სიტყვა ჩაგვაქვს სქოლიოში. მაგალითად, გვხვდება ასეთი ფორმები: საქვრიო, საქუჭრიო, აქჭრი, ან კიდევ სასთვლო, სასთულო, სასტეთლო, სასთულო და სხვა. ასეთი შემთხვევები სქოლიოში არის ჩამოტანილი.

გასარჩევი ანუ დიაკრიტიული ნიშნებიდან, ვარდა სიბრჯგუისა. „დასტურლამალის“ ნუსხებში (განსაკუთრებით Q-ში). გვხვდება ე. წ. კლასიკური და მახვილი<sup>3</sup>, რომლებსაც ჩვენ სქოლიოში არ ვუთქვამებთ.

ანტონისავე გავლენას მიეწერება ის გარემოება, რომ უცხო წარმოშობის სიტყვებში ორი თანხმოვანი ზედიზედ შემონახულია<sup>4</sup>, მაგალითად, მრ-

1 აკაკი შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, 1964, გვ. 9--10.

2 იქვე, გვ. 21.

3 იქვე, გვ. 22.

4 იქვე, გვ. 32—33.

ვალ ნუსხაში (LBAтI'-ში) გვხვდება ეკკლესია—ეკლესიის ნაცვლად. ამგვარადვე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ J-ს გარდა, ანბანური წესით შედგენილ ნუსხებში გვხვდება ჰა და ს პრეფიქსები ზმნებში<sup>1</sup>.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ანტონის გავლენით მოსალოდნელი იყო ნუსხებში შეგვხვედროდა „გრიგორი“, რომლის მართებული ფორმაა „გრიგოლი“<sup>2</sup>. თუ „დასტურლამალის“ ხელნაწერებს არ ეტყობა ანტონის ესოდენ ძლიერი გავლენა. ამის მიზეზი, საფიქრებელია. შემდეგში მდგომარეობდეს: 1) „დასტურლამალი“ საკანონმდებლო ძეგლი იყო, პრაქტიკულად ხშირად გამოსაყენებელი და ადვილი გასაგები უნდა ყოფილიყო ხალხისათვის. ამისთვის არ გამოდგებოდა „მაღალი სტილი“<sup>3</sup>. 2) „დასტურლამალი“ ბეჭდურა წესით არ გამოცემულა XVIII საუკუნეში და ანტონის მოწაფეებს სპეციალურად არ უმუშავიათ მის გამართვაზე ენობრივი ნორმების მიხედვით.

ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში, გარდა J-სა, მუხლების სათაურები მოცემულია ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად, სასახლეების რიგისათვის, მუშაბის სახლის რიგისათვის, სამს წელიწადში ელის აღწერისათვის და სხვა. (ოთხ უძველეს ნუსხაში სათაურები, როგორც წესი, სახელობით ბრუნვაშია დასმული: აღწერა, გარიგება, სარგო და სხვა); ანბანურ წესით შედგენილ ხელნაწერებში ნათესაობით ბრუნვაში დასმული სიტყვები, განსაკუთრებით მუხლების სათაურები, როგორც წესი, იწერება ჯ-ის საშუალებით. მაგალითად — აღწერისათვის, სარგოსათვის, რიგისათვის და სხვა. ჯ-ს ხმარებაშიც არ არის მტკიცე კანონზომიერება დაცული. ერთსა და იმავე ნუსხაში „ჯ-ს“ მაგიერ „ვის“-იც იწერება. ეს კია რომ ნუსხების უმრავლესობაში „ჯ-ს“ ფორმა ძლიერ ხშირად გვხვდება. „ჯ-ს“ ხმარების სიხშირით გამოირჩევა ANGDQ ნუსხები. ძლიერ იშვიათია ასეთი ფორმა L-ში, ნაკლებად გვხვდება a-სა, T-სა, t-სა და t' ნუსხებში.

DQAN ნუსხებში ჯ-ს შემდეგ ხშირად გვხვდება მ. ამას BaLGтI' ნუსხების შესახებ ვერ ვიტყვით, რაც შეეხება MSKJ-ს ნუსხებს, მათში უმ საერთოდ არ გვხვდება.

## 2. ხელნაწერების დახასიათება ტექსტის დადგენის თვალსაზრისით

ჩვენამდე მოღწეული „დასტურლამალის“ ხელნაწერებიდან ყველაზე უძველესია 1729 წლით დათარიღებული მირველ თუმანიშვილის ხელნაწერია. „დასტურლამალი“ კი შედგენილი იყო 1707—1709 წლებში. მაშასადამე, „დასტურლამალის“ თავდაპირველ დედანს ჩვენ არ ვიცნობთ. იმ ხელნაწერებიდან, რომლებიც ხელთ გვაქვს და საფუძვლად დავუდეთ „დასტურლამალის“ ტექსტის მეცნიერულ დადგენას, სამი უძველესი საგნობრივ სისტემაზე შედგენილი, დანარჩენი კი — ანბანურზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ პ. უმიკაშვილის მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ საგნობრივ სისტემაზე შედგენილი ხელნაწერები დედანთან უფრო ახლოა. ვიდრე ანბანური წესით შედგენილები, რომელთა წარმოშობის წყაროს შინაარსის მიხედვით დალაგებული ხელნაწერები წარმოადგენენ. როგორც ჩანს, „დასტურ-

1 აკაკო შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, 1964 წ.

2 იქვე, გვ. 33—34.

3 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული განმარტებითი ლექსიკონი I, 1950, გვ. 020—025).

ლამალი“ იმდენად საჭირო და პრაქტიკულად გამოსაყენებელი წიგნი ყოფილა, რომ იგი სარგებლობის გაადვილებისათვის ანბანის მიხედვით შეადგინეს. მოსაზრება, რომ საგნობრივ სისტემაზე დალაგებული ხელნაწერები უფრო ადრინდელი წარმოშობისაა, ხოლო ანბანური—შედარებით შემდგომდროინდელი, დავას არ იწვევს.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ვახტანგ VI სამართლის წიგნით კანონმდებელი უფლებას იძლევა ნორმების შევსებისა. იქნებ „სამართლის წიგნი“, წერს ის, არ უპასუხებდეს ყველა კონკრეტულ კაზუსს, მაშინ შეიძლება „სამართლის წიგნის“ ახალი ნორმებით შევსებაო. ამის კვალს „დასტურლამალ-შიც“ ვხვდებით. „დასტურლამალში“ არის ისეთი პარაგრაფები, რომელთა მხოლოდ სათაურია მოცემული. საფიქრებელია, რომ კანონმდებელი ვარაუდობდა ამ მუხლების მის მიერ და სხვის მიერ მომავალში შევსებას.

გარდა ამისა, ისეთი კანონთა კრებულები, როგორიც არის ვახტანგის სამართლის წიგნი და „დასტურლამალი“, დროთა განმავლობაში ერთგვარ ცვლილებას განიცდიდა, მაგალითად, მდივანბეგობის განაწესი, იმ სახით, როგორც ის არის მოცემული „დასტურლამალში“, აღარ მოქმედებს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მდივანბეგთა საკრებულო დაწესებულების შექმნის შემდეგ, თუმცა ოფიციალურად „დასტურლამალის“ მდივანბეგობის განაწესი არ გაუქმებულა.

ამასთანავე, „დასტურლამალის“ სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერებში გაკეთებულია ხელნაწრის ეპოქისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი მიხაწერი. დამატებანი და სხვა.

იბადება კითხვა, თუ რა უნდა დაედვას საფუძვლად ტექსტის აკადემიურ გამოცემას. ამასთან დაკავშირებულია „დასტურლამალის“ თავდაპირველი აღნაგობის საკითხი, რისთვისაც საჭიროა გაირკვეს:

- 1) როგორი იყო ძველის პირვანდელი შედგენილობა;
- 2) როდის და როგორი ცვლილებანი განიცადა მან.

ჩვენს აზრით, „დასტურლამალის“ გამოცემას პირველ ყოვლისა საფუძვლად უნდა დაედვას საგნობრივ სისტემაზე შედგენილი სამი ხელნაწერი:

M, S და K. ამ სამიდან მირველ თუმანიშვილის ხელნაწერი კარებად და მუხლებად არის დაყოფილი, ხოლო S და K ხელნაწერებში ასეთი დაყოფის მხოლოდ ნიშნებია შემორჩენილი. ამასთანავე M ხელნაწერშიც კარებად დაყოფა არ არის ლოგიკურ დაბოლოებამდე მიყვანილი. ზოგიერთი კარი ისე დიდი და არსებითად მრავალმხრივია, იმდენ სხვადასხვა ხასიათის საკითხებსა და ინსტიტუტებს შეიცვას, რომ მათი ერთ კარში მოთავსება არც შეიძლება. მაშასადამე, ზოგიერთი ნაწილი M ხელნაწერში კარების დაყოფის გარეშეც არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, M ხელნაწერში 3 ვარიანტია, ხოლო S-ში—ორი (დანარჩენ ხელნაწერებშიც ორ-ორი ვარიანტია, მაგრამ ორი ვარიანტი M, S გარდა სხვა ხელნაწერებში ორი პარაგრაფის ფარგლებში გვხვდება. ამიტომ, ტექსტში ამაზე ვუთითებთ, მხოლოდ აქ ამაზე საგანგებოდ შეჩერება საჭიროდ არ მიგვაჩნია). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ M ხელნაწერიც პირვანდელ დედნისაგან განსხვავებულია, რადგანაც არ შეიძლება ვევარაუდოთ, რომ პირვანდელ დედანშიც ერთი და იგივე მუხლის რამდენიმე განმეორება იქნებოდა. ამიტომ M, S და K ხელნაწერების მიხედვითაც შეუძლებელია „დასტურლამალის“ პირვანდელი აგებულების ზუსტი აღდგენა. მაგრამ, ამ ხელნაწერების ურთიერთთან შედარების შედეგად შესაძლებელია პირვანდელი აგებულების ჯერათო სურათის აღდგენა. ამიტომ „დასტურლამალის“ შენების. მისი აგე-

ხელის დასადგენად პირველ რიგში გამოყენებული გვაქვს M და შემდეგ S და K ხელნაწერები. M ხელნაწერს განსაკუთრებით იმითომ აღვნიშნავთ, რომ პასუხი ტექსტის კარებად და პარაგრაფებად დაყოფაა მოცემული, მაშინ, როდესაც სხვა ხელნაწერებში ეს არ არის.

მაგრამ, M, S და K ხელნაწერები საფუძვლად უნდა დაუდგათ არა მარტო „დასტურლამალის“ ავტორების შესწავლას, არამედ თვით ტექსტის დადგენასაც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ტექსტის დადგენაზეა საუბარი, მაშინ მხედველობაში გვაქვს „სამეფო დასტურლამალი“, რადგანაც „სადედოფლო დასტურლამალი“ საერთოდ, M, S და K ხელნაწერებში არ არის და, მაშასადამე, „სადედოფლო დასტურლამალის“ ტექსტი ანბანური წესით შედგენულ ხელნაწერებით უნდა დადგინდეს. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ „სადედოფლო დასტურლამალი“ საგნობრივად არის დალაგებული.

ანბანური წესით შედგენილი „დასტურლამალი“ გვშვავს აგრეთვე „სამეფო დასტურლამალის“ ტექსტის დადგენის საქმეშიც, რადგანაც მთელი რიგი პარაგრაფებისა, მხოლოდ ანბანურ წესით შედგენილ ხელნაწერებშია შემონახული. ამასთანავე ზოგიერთი პარაგრაფი სწორედ ამ ხელნაწერებში არის უფრო სრულად მოცემული. მხოლოდ ანბანური წესით შედგენილი „დასტურლამალის“ ხელნაწერების შესწავლისა და ამ ხელნაწერების საგნობრივ სისტემაზე შედგენილ „დასტურლამალის“ ხელნაწერებთან შედარების შედეგად შესაძლებელია ზოგიერთი ადგილის დადგენა.

ამგვარად, სადავო არ არის, რომ „დასტურლამალის“ ტექსტის დასადგენად საჭიროა როგორც შინაარსის მიხედვით დალაგებული, ისე ანბანური წესით შედგენილი ხელნაწერების გამოყენება.

როგორც აღვნიშნეთ, M ხელნაწერი კარებად იყოფა. ეს მხოლოდ მისი თავისებურებაა და ამ ხელნაწერს უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს. ამასთანავე, M ხელნაწერში ზოგიერთი ისეთი პარაგრაფია შეტანილი, რომლებსაც სხვა ხელნაწერებში ვერ ვხვდებით. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე აგრეთვე S და K ხელნაწერებშიც.

ამრიგად, ტექსტის დადგენის თვალსაზრისით M, S და K ხელნაწერების შედარებით მრავალი საკითხი ირკვევა, რის გამოც საგნობრივად შედგენილი „დასტურლამალის“ სამივე ხელნაწერის გამოყენება ტექსტის დასადგენად აუცილებელია.

ასლა ისმება საკითხი ანბანური წესით შედგენილი ხელნაწერების შესახებ. რაოდენობით ასეთი ხელნაწერები თორმეტია. ხოლო ტექსტის დადგენის თვალსაზრისით თვითოეულ მათგანს სხვადასხვა გვარი მნიშვნელობა აქვს.

ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებიდან ორი XVIII საუკუნითაა დათარიღებული. აქედან ერთი გადაწერილი უნდა იყოს 1773 წლის წინა ხანებში იესე მდივნის მიერ. საყურადღებოა შემდეგი გარემოების აღნიშვნა: გადაწერილი იესე მდივანი დასძევს, რომ „დასტურლამალის“ ხელნაწერი ერთის მეტი არ იყო საქართველოში. ჩვენ კი ვნახეთ, რომ M, S და K სახით სამი ხელნაწერი მაინც ყოფილა მაშინ. როგორც ჩანს, ეს იესემ არ იცოდა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ. რომ იესეს მიერ გადაწერილი ხელნაწერი ერთგვარ მსგავსებას აქვდა იესეს M ხელნაწერთან, მაგრამ დაბეჭდვით იმის თქმა, რომ იგი M ხელნაწერიდან არის გადმოწერილი, არ შეიძლება. მაშასადამე, სავარაუდებელია, რომ იესეს სხვა ხელნაწერი ჰქონდა ხელთ, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. საერთოდ, ოთხი ხელნაწერის არსებობა იესეს დროს გამორიცხული არ არის. M, S და K ხელნაწერებისაგან განსხვავებით J ხელნაწერი ანბანის

მიხედვით არის დალაგებული. შესაძლებელია J პირველი ხელნაწერია, რომელიც ანბანზეა დალაგებული. მომდევნო პერიოდის ანბანის წესით შედგენილი ხელნაწერებისაგან განსხვავებით J ხელნაწერის მუხლების სათაურები საფელობით ბრუნვაშია დასმული. ამასთანავე, M, S და K ხელნაწერების მსგავსად, J ხელნაწერში არ მოიპოვება უ, ჯ და ც ასოები. ბოლოს, J ხელნაწერი შეიცავს ისეთ ადგილებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ტექსტის დადგენისათვის. ამიტომ, J ხელნაწერი ერთ-ერთი ძირითადი ხელნაწერია, რომლის საფუძველზე უნდა გაიმართოს ტექსტი.

შემდეგი დროის, მაგრამ ისევ XVIII საუკუნის არის დავით რექტორის 1789 წლის ხელნაწერი.

D ხელნაწერში J ხელნაწერისაგან განსხვავებით უკვე შეინიშნება ანტონ I გავლენა ორთოგრაფიულსა და ენობრივ საკითხებში. D ხელნაწერი ამჟღავნებს J-სთან მსგავსებას, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ D—J-საგან არის გადმოწერილი. მსგავსებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ D ხელნაწერში გვახვლობთ: „დასტურლამალის“ ხელნაწერი საქართველოში ერთი-ორის მეტი არ მოიპოვებაო. დავით რექტორს იესე მდივნისაგან განსხვავებით, ხელნაწერის რაოდენობა ერთით გაუზრდია. სავარაუდოდელია, რომ D-ს გადამწერს J ხელნაწერი ჰქონდა ხელთ.

D ხელნაწერიდან მომდინარეობენ XIX საუკუნის ხელნაწერები, ამიტომ D ხელნაწერის მნიშვნელობაც დიდია. იგი ერთ-ერთი ხელნაწერია, რომელიც 'საფუძვლად უდევს' „დასტურლამალის“ ტექსტის გამართვას. ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ D-ში არის ისეთი ადგილები, რომელიც წინანდელ ხელნაწერებში არ მოიპოვება.

XVIII საუკუნის ეს ხუთი ხელნაწერი M, S, K, J და D უნდა დაედგას საფუძვლად „დასტურლამალის“ ტექსტის დადგენას. დარჩა კიდევ 10 ხელნაწერი, ესენი შედგენილია XIX საუკუნეში, სხვადასხვა დროს და ძეგლის ტექსტის დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. ქობულაშვილის (Q). იოანე ბაგრატიონის კოლექცია (B). ალექსიდის (a), ლორთქიფანიძისა (L) და ოველ ალექსიდის 1821 წლის ხელნაწერები დავით რექტორის ხელნაწერისაგან მომდინარეობენ. მაგალითად, ქობულაშვილის ხელნაწერი (Q) ატარებს D-საგან გადმოწერის ნიშნებს, ხოლო თუ სხვებს ასეთი ნიშნები არ გააჩნიათ. Q ხელნაწერიდან მომდინარეობა მაინც ეტყობათ. ყოველ შემთხვევაში, ჩამოთვლილი ხელნაწერები გადაწერილია დროის პატარა მონაკვეთში (1805—1821 წლამდე), და მათი საშუალებით შესაძლებელია J-სა და D-ს ხელნაწერების ზოგიერთი ადგილის დაზუსტება, ურთიერთთან დამოკიდებულების გამორკვევა, ძეგლში ჩამატებული ადგილების დროის განსაზღვრა და სხვა.

კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს დანარჩენ 5 ხელნაწერს, მაგრამ ზოგიერთი საკითხის გარკვევისათვის მაინც საჭიროა მათი მოშველიებაც. მაგალითად, ბოქაულთუხუცესის განაწესისადმი შენიშვნის წარმომობა, ამ შენიშვნის დამატების ავტორისა და დროის განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც ეს თავის ადგილზე გვაქვს გამორკვეული, ამ ხელნაწერების საშუალებით. აღნიშნული ხელნაწერები გვშველის აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხების გამორკვევაშიც. ამ ხუთი ხელნაწერიდან უფრო მნიშვნელოვანია გიორგი მაისურაძის 1841 წლისა და ნაზარიშვილის 1842 წლის ხელნაწერები. დანარჩენი სამი, რომლებიც ტაბიძის გადაწერილი უნდა იყოს 1869 წელს, გვეხმარება ახლანაწერთა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხების გამორკვევაში.

თავ-თავის ადგილას შესწავლილი გვაქვს თვითოეული ხელნაწერი და იქვე ვიძლევეთ ყოველი მათგანის მნიშვნელობის განსაზღვრას.

განსხვავებათა აღსანიშნავად შედგენილი გვაქვს ცხრილი M, S, K, J, D და A ხელნაწერებისათვის ცალკე და იგი მოცემულია M ხელნაწერის განხილვისას. მეორე წყება ხელნაწერებისათვის, სახელდობრ D, Q. B. a, L და A-სათვის, ცალკე ცხრილი გვაქვს და იგი მოცემულია a-ხელნაწერის ანალიზის დროს. აღნიშნულ ცხრილებში მოცემულია ცალკეულ ხელნაწერებს შორის არსებულ განსხვავებანი და ამის მიხედვით დახასიათებულია თვითოეული მათგანი, შესწავლილია მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება. ცხრილებში მოცემულია ურთიერთთან მახლობელი ხელნაწერების განსხვავება. ამასთანავე, ზემოაღნიშნულ ორთავე ცხრილის საშუალებით ნაჩვენებია ხელნაწერთა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის ძირითადი გზები. დადგენილი ტექსტის სქოლიოებში ნაჩვენებია ყველა ხელნაწერისა და მათი ვარიანტების სხვაობანი.

როგორც ვთქვით, ხუთი უკანასკნელი ხელნაწერის (g, N, T, 11') მნიშვნელობა ტექსტის დადგენისათვის უმნიშვნელოა. ამიტომ, აღნიშნულ ხელნაწერებისათვის ცალკე ცხრილი არ შეგვიდგენია, მაგრამ განსხვავებანი სქოლიოებში მოვიტანეთ, რათა ამ გზით ხელნაწერთა რაიმე თავისებურება მხედველობის გარეშე არ დაგვრჩენოდა.

პირველად ჩვენ ვფიქრობდით ხელნაწერების ყოველგვარი (ორთოგრაფიული, ენობრივი) სხვაობა მოგვეცა და მთლიანად ტექსტიც ამგვარად გავმართეთ, მაგრამ, ასეთი სხვაობის ჩვენებამ იმდენად გაადიდა შრომის მოცულობა, რომ იძულებული გავხდით ამ მეთოდისაგან თავი შეგვეკავებინა, ამიტომ ხელმოკრედ გადავწერეთ შრომა და ხელახლა გავმართეთ სქოლიოები. ამასთანავე ორთოგრაფიული და სხვა ხასიათის სხვაობა მოგვეყავს იმ შემთხვევაში, როცა სხვა მიზეზის გამო ესა თუ ის სიტყვა ჩამოსატანია სქოლიოში. ამ გზით ყოველგვარი სხვაობა ხელნაწერებს შორის მაინც კარგად ჩანს. თავისთავად ორთოგრაფიული სხვაობის აღსანიშნავად სათანადო სიტყვების მოყვანას ტექსტის დადგენისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

ჩვენც არ გავართულეთ და სპეციალურად არ მოვიყვანეთ სქოლიოში ნუსხებს შორის ისეთი ორთოგრაფიული თუ ენობრივი განსხვავებანი, რომლებიც შინაარსობლივად ტექსტის დადგენას არაფერს მატებს. მაგრამ, თუ ტექსტის შინაარსის დასადგენად საჭიროა, ან კიდევ თუ სიტყვა ან წინადადება რაიმე მხრივ ბუნდოვანობის შთაბეჭდილებას ტოვებს და განმარტებას მოითხოვს. მაშინ განსხვავების მოყვანას არ ვერიდებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ჩვენ ვთქვით, რომ როცა ესა თუ ის სიტყვა სქოლიოში მოგვეყავს რაიმე მიზეზის გამო, მაშინ იგი ისევე ჩამოგვაქვს სქოლიოში, როგორც ნუსხაშია. მაგრამ, აქაც გვაქვს გამონაკლისი. ავიღოთ ასეთი მაგალითი. ზოგიერთ ნუსხაში სწერია „თვითო“, ზოგერთში კი „თითო“. ჩვენ ამას ვაჩვენებთ სქოლიოში, უძველესი ნუსხების მიხედვით, ტექსტში ვტოვებთ „თვითო“-ს. მაგრამ, თუ „თვითო“ ნუსხებში ერთნაირი ფორმით არ არის წაროდგენილი, ზოგიერთში სწერია „თვითო“, ზოგიერთში „თუთო“. ტექსტში ჩვენ ვტოვებთ „თვითოს“, ხოლო სქოლიოში—იმ ფორმას, რომელიც ნუსხების უმრავლესობაშია მოცემული. ვიმეორებ, სქოლიოში ჩამოტანისა და საერთოდ ყოველგვარი განსხვავების ჩვენებისას, მთავარი, განმსაზღვრავი ჩვენთვის იყო შინაარსობლივად ტექსტის დადგენის საკითხი.



სანიმუშო ზ მოვიყვანეთ „სადედოფლო დასტურლამალიდან“ პირველი ოთხი მუხლი, რომლებშიც ყოველგვარი განსხვავება სრულად არის წარმოდგენილი. სრულადვე ასეთი განსხვავება მოყვანილი აგრეთვე ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

ერთის გარდა (D), ყველა ხელნაწერი, რომელშიც „სადედოფლო დასტურლამალი“ შემონახული, XIX საუკუნისაა, შვიდი XIX საუკუნის პირველი ნახევრის (Q, B, a, L, g, A, N), სამი კი XIX საუკუნის II ნახევრის (T, I, t').

### 3. დასტურლამალის აღნაგობის საკითხისათვის

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ „დასტურლამალის“ აღნაგობის პირვანდელი სახის შესწავლის საკითხში ძირითადად M, S, K ხელნაწერებს ვეყრდნობით.

ჩვენ ვთქვით, რომ M, S, K ტექსტები შინაარსის მიხედვით, ე. ი. საგნობრივად არის შედგენილი. სამივე ხელნაწერში პარაგრაფებიც შინაარსის მიხედვით არის დალაგებული, მაგრამ ეს პრინციპი. როგორც აღვნიშნეთ, მტკიცედ არ არის დატყობილ და ამის შედეგია ის, რომ ხშირად თვითოეულ მათგანში განმეორებებსაც აქვს ადგილი. ამასთანავე, აღნიშნულ ხელნაწერებში ერთი და იგივე უწყების შესახებ დებულებანი შესაბამისად კი არ არის მოცემული, არამედ სხვადასხვა ადგილას. ასე, მაგალითად, M-ის მე-4 კარი ეხება „სალაროს ნაზირისა და მისის ასნაფების“ დებულებას, კარი 52-ე „სალაროს ნაზირის სარგოს“, კარი 53-ე „მოლარეთხუცის და მათი სალაროს მოქალაქეთ სარგო“-ს. ამ კარების და პარაგრაფების საგანი ერთი და იგივეა. ეს იმდენად აშკარაა, რომ ზოგჯერ მათში მოცემული სხვადასხვა პარაგრაფის სიებშიც კი ერთი და იგივე გვარსახელებია. (ამის შესახებ თავთავის ადგილზე გვაქვს მითითებული). ასეთი ვითარება არ იქნებოდა თავდაპირველ დედანში.

ჩვენ კარები და პარაგრაფები ცალ-ცალკე დავტოვეთ. მაგრამ ისინი ერთმანეთის თანმიმდევრობით მოვათავსეთ, ე. ი. ერთი და იგივე უწყების შესახებ სხვადასხვა ადგილას გაბნეული პარაგრაფები ერთმანეთს დავუკავშირეთ. პარაგრაფების გაერთიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივმართეთ, როდესაც მათში ტექსტების განმეორებასთან გვაქვს საქმე. ასეთი გაერთიანების შემთხვევა სათანადო დასაბუთებით აღნიშნული გვაქვს დადგენილი ტექსტის სქოლიოებში.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პარაგრაფების ყოველგვარ გადაჯგუფებას განსაკუთრებული სიფრთხილით ვუდგებოდით და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივმართავდით, როცა ამის საშუალებას M ვარიანტები და ამ ვარიანტების სხვა ხელნაწერებთან შედარება-შეჭერება გვაძლევდა. ამგვარად, „დასტურლამალის“ პირვანდელი აღნაგობის საკითხში ჩვენ მტკიცედ ვეძყარებოდით არსებულ ხელნაწერებს და გადასხვევის შემთხვევას შესწავლილი ხელნაწერებით ვასაბუთებდით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „დასტურლამალის“ შინაარსის მიხედვით დალაგების დროს, ზუსტად M-სა და მის ვარიანტებს ვერ დავეყრდნობოდით, რადგანაც მათში ერთი და იგივე პარაგრაფი ხშირად რამდენჯერმე არის განმეორებული და მაშასადამე, ძალაუვნებურად მაინც უნდა დაგვესვა საკითხი „დასტურლამალის“ პირვანდელი აღნაგობის შესახებ.

მოყვანთ იმ ცვლილებებს, რომლებიც შევიტანეთ M-ის დალაგებაში.

1. როგორც აღვნიშნეთ, M მიხედვით კარი მე-4 ეხება „სალაროს ნაზირისა და მისი ასნაფების“ დებულებას. კარი 52-ე „სალაროს ნაზირის სარგოს“. ხოლო კარი 53-ე „მოლარეთხუცისა და მათი სალაროს მოქელეთ სარგოს“. ამ კარებს ობიექტი ერთი და იგივე საგანია და მათი „დასტურლამალის“ სხვადასხვა ადგილზე გაბნევა, ძველის შინაარსის მიხედვით დალაგების მხრივ, ყოველად გაუპართლებელია.

მოცემულ შემთხვევაში სალაროს შესახებ კარები და მუხლები შემდეგნაირად გავერთიანეთ: M-ის მიხედვით კარი „დ“ „სალაროს ნაზირისა და მისი ასნაფების შესახებ“ მოვხსენით თავისი ადგილიდან და „ნბ“ და „ნგ“-ის შემდეგ გადავიტანეთ, რადგანაც „ნბ“ და „ნგ“-ში სალაროსა და მისი მოხელეების დანიშნულებასა და ფუნქციებზეა საუბარი. „დ“ კარში (M-ის მიხედვით) ძირითადად დარჩა მოხელეთა სიის ჩამოთვლა. საგნობრივ სისტემაზე შედგენილ ნუსხებში სწორედ ამ ადგილზეა მოცემული მოხელეების შესახებ დებულებანი.

ამგვარად, მივიღეთ შემდეგი დალაგება: კარი „ნბ“ (M-ის მიხედვით) სათაურით — „სალაროს ნაზირის სარგო“, შეიცავს შემდეგ პარაგრაფებს: 1) „სალაროს ნაზირის სარგო“, 2) „ნაზირი სალაროს და მისი ასნაფებისა“, ამას მოსდევს კარი „ნგ“ სათაურით: „მოლარეთხუცისა და მათის სალაროს მოქელეთ სარგო“. ეს კარი აერთიანებს შემდეგ მუხლებს: 1) „მოლარეთხუცის სარგო“, 2) „სალაროს მუშრობის სარგო“, 3) „სალაროს თავილდრის სარგო“, და 4) „გერაქიარალის სარგო“. შემდეგ მოდის კარი „დ“ (M-ის მიხედვით) სათაურით: „სალაროს ნაზირისა და მისი ასნაფებისა“. მასში შემავალი მუხლებია: 1) „სალაროს ნაზირის თაბუნი“, 2) „მოლარენი“, 3) „მკერვალეები“. მკერვლების შემდეგ მოდის: „მერიქიფე“, მაგრამ ეს პარაგრაფი შინაარსის მიხედვით მომდევნო კარში (რომლის სათაურია „მეითრისა, ფეშქაშნივისისა და მერიქიფეებისა“) გადავიტანეთ; 4) „აბდრები“, 5) „ყალიონ-ყორჩები“, 6) „ყავაჩები“. „ყავაჩების შემდეგ მოდის პარაგრაფი სათაურით „ფეშქაშის მოქელენი“, რომელიც შინაარსის მიხედვით გადავიტანეთ მომდევნო კარში „მეითრისა, ფეშქაშნივისისა და მერიქიფეებისა“); 7) „საჯაბადროს მოქელენი“, 8) „საფარუშოს მოქელენი“, 9) „ნალარახანის მოქელენი“, და 10) „სარქარბაში და სარქრები“.

ამის შემდეგ მოდის კარი „ნდ“ (M-ის მიხედვით), რომლის სათაურია „მეითრისა, ფეშქაშნივისისა და მერიქიფეებისა“. კარი შედგება შემდეგი მუხლებისაგან: 1) „მეითრისა“, 2) „ფეშქაშის მოქელენი“, 3) „ფეშქაშნივისისა“ და 4) „მერიქიფე“ (უკანასკნელი პარაგრაფი, როგორც ვთქვით, M-ის მიხედვით „დ“ კარიდან არის გადმოტანილი).

შინაარსის მიხედვით ამ კარის ადგილი აქ უნდა იყოს, ამასთანავე საგნობრივად შედგენილ ნუსხებშიც კარი „ნდ“ (M-ის მიხედვით) მოსდევს კარს „ნგ“ (M-ის მიხედვით), რომლის სათაურია „მოლარეთხუცისა და მათის სალაროს მოხელეთ სარგო“.

ჩვენი გამოცემის შესაბამისი კარებია: 45, 46, 47 და 48.

2. M-ის მე-3 კარი ბაზიერთხუცისა და ბაზიერებისა შედგება შემდეგი პარაგრაფებისაგან: „ბაზიერთხუცის“ შესახებ, „შევარდნის ბაზიერი“, „გვეზის ბაზიერი“, „ქორის მებადური“ და „საზანდრები“. M-ის 22-ე კარი შევარ-

დნის და ქორის ბუდეების შესახებ შემდეგ პარაგრაფებს შეიცავს: „შავარდნის ბუდეებისა“ და „ქორის ბუდის რიგი“, ხოლო 56-ე კარში შესულია პარაგრაფები: 1) „ბაზიერთხუცისა და ყარაიას მეყორულისა“ და „მეძალღეთხუცის შესახებ“. შინაარსით ეს კარები და პარაგრაფები ერთმანეთთან ახლო დგას. ამიტომ ჩვენ ეს კარები და პარაგრაფები ასეთი თანმიმდევრობით მოვათავსეთ: პირველად მოვათავსეთ M ხელნაწერის 58-ე კარი, რადგანაც იგი ასეთი დებულებებს შეიცავს, შემდეგ მე-3 კარი და ბოლოს 22-ე კარი. ამის მიხედვით ჩვენ მივიღეთ: „კარი ბაზიერთხუცისა და ყარაიას მეყორულის შესახებ“ პარაგრაფებით: 1) „ბაზიერთხუცისა და ყარაიას მეყორულისა“ და 2) „მეძალღეთხუცის“ შესახებ. მას მოსდევს: კარი „ბაზიერთხუცისა და ბაზიერების შესახებ“ პარაგრაფებით: 1) „ბაზიერთხუცისი“, 2) „შავარდნის ბაზიერი“, 3) „გავაზის ბაზიერი“, 4) „ქორის მეძალღური“ და 5) „საზანდრები“, აღნიშნულის შემდეგ მოთავსდა კარი „შავარდნისა და ქორის ბუდეების შესახებ“ შემდეგი პარაგრაფებით: 1) „შავარდნის ბუდეებისა“ და 2) ქორის ბუდის რიგის შესახებ.

M ხელნაწერში კარი „ბაზიერთხუცის და ბაზიერების შესახებ“ შეიცავს ხუთ მუხლს: ბაზიერთხუცისა, შავარდნის ბაზიერისა, გავაზის ბაზიერისა, ქორის მეძალღურისა და საზანდრების შესახებ. საზანდრების შესახებ მუხლის ადგილი ამ კარში საეჭვოდ მივიჩნით. საზანდარი საზის, ჭიანურის, ან დაირის დამკვრელია, შეიძლება მესტირეც იყო. ამიტომ, არა გვაქვს წარმოდგენილი თუ რით უკავშირდებოდა იგი ბაზიერთხუცისის სახელს. კარი კი რაიმეთი უნდა აკავშირებდეს მასში შემავალ მუხლებს, სანწუხაროდ, M ხელნაწერი ყოველთვის არ იცავს ამ პრინციპს და ზოგჯერ მუხლი კარის გარეშეც არის მოცემული. ასეთ შემთხვევაში კარი ჩვენ მივუმატეთ. შინაარსის მიხედვით უფრო მართებული იქნებოდა, რომ 47-ე მუხლი „საზანდრების შესახებ“ კარში გადაგვეტანა და მოგვეთავსებინა ნალარახანის შესახებ მოცემული 153-ე მუხლის მეზობლად. მაგრამ, მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ საზანდრების შესახებ მუხლი საგნობრივად შედგენილ სხვა ნუსხებშიც (SK) იმ გვარსავე თანრიგშია მოცემული, როგორც M ხელნაწერში და ამიტომ, მას ადგილი არ შევუცვალეთ. სამაგიეროდ ეს მუხლი ცალკე კარად გამოვყავით.

ჩვენი გამოცემის შესაბამისი კარებია: 58, 59, 60, 61.

3. M ხელნაწერის „ე“ (5) კარი ქარხნის ნაზირსა და მის ახსნაფებს ეხება. ამავე მოხელეებზეა საუბარი აგრეთვე „ნე“ (55) კარში, რის გამოც ეს ორი კარი ერთმანეთის თანმიმდევრობით მოვათავსეთ. ჯერ არის „ნე“ კარი, შემდეგ კი „ე“. უკანასკნელი კარი მოვხსენით თავისი ადგილიდან და გადავიტანეთ „ნე“-ს შემდეგ, რადგანაც „ნე“ ქარხნის მოხელეების შესახებ ზოგად დებულებებს შეიცავს. „ნე“ კარს M ხელნაწერის სარჩევში ასეთი სათაური აქვს: „ქარხნის ნაზირისა და ჩართა ნაზირისა, ქარხნის მუშრობისა და მეჯოგეთხუცისა“. სიტყვები „და მეჯოგეთხუცისა“ სათაურიდან ამოვიღეთ, რადგანაც მეჯოგეთხუცის შესახებ პარაგრაფი სხვა კარში გადავიტანეთ. სათაურის ასეთი შესწორებისა და სათანადო პარაგრაფის ამოღების შემდეგ ამ კარში დარჩა ასეთი პარაგრაფები: 1) „ქარხნის ნაზირის სარგო“, 2) „ჩართა ნაზირისათვის“ და 3) „ქარხნის მუშრობის სარგო“. ამას მისდევს M ხელნაწერის მიხედვით კარი „ე“ სათაურით „ქარხნის ნაზირისა და მისის ახსნაფებისა“ შემდეგი პარაგრაფებით: 1) „ქარხნის იასაულები“, 2) „სახაბაზოს მოხელენი“. 3) „სუფრაქეში“, 4) „სამზარეულოს მოწელენი“, 5) „სალვინის მოწელენი“, 6) „სატიკისპიროსი“, 7) „საშარბა-

თოს მოხელენი“, 8) „სააუტროსი“, 9) „სათეზაოსი“, 10) „მესაკლავე“ და 11) „საამბარდანოსი“. ასეთი თანმიმდევრობით გვაქვს ჩვენ მოცემული ეს ორი კარი. ამასთანავე, M ხელნაწერის მიხედვით კარი „იბ“, რომელიც საშარბათოს ეხება, ძლიერ მჭიდროდ არის დაკავშირებული ქარხნის მოხელეების შესახებ ხსენებულ ორ კართან და ამიტომ ამ ორი კარის შემდეგ ჩვენ მოვათავსეთ M ხელნაწერის მიხედვით კარი „იბ“, რომლის სათაურია: „საშარბათოს რიგებისა“. ამ კარში არის შემდეგი პარაგრაფები: 1) „შაქრისა“, 2) „ვარდის წყლისა“, 3) „ძმრისა“, 4) „ისრიმისა“ და 5) „მურაბისა“.

ჩვენი გამოცემის კარები: 49, 50, 51.

4. M-ის მიხედვით კარები — „მგ“, „მდ“, „ნგ“, და „ნე“-დან ერთი პარაგრაფი (მეჯოგეთხუცისა და მეჯოგეების შესახებ) ეხება მეფის თავლისა, ჯოგისა და მათი მოხელეების საკითხებს. ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შინაარსის მიხედვით ამ კარებისა და მათი შემცველი პარაგრაფების ერთმანეთთან თანმიმდევრობით მოთავსება. ამიტომ ჭერ მოვათავსეთ კარი ჯოგისა და მისი მოხელეების შესახებ თავისი პარაგრაფებით, ხოლო შემდეგ კარები თავლისა და მისი მოხელეების შესახებ შესაბამისი პარაგრაფებით.

ჯოგისა, მეჯოგეთხუცისა და მეჯოგეების შესახებ ერთი პარაგრაფი მოთავსებულა M ხელნაწერის „ნე“ (55) კარში, რომლის სათაურია: „ქარხნის ნაზირისა და ჩარფა ნაზირისა და ქარხნის მუშრებისა და მეჯოგეთხუცისა“. მეჯოგეთხუცისა და ჯოგის შესახებ დებულებას ამ კართან აქვს კავშირი, რამდენადაც ჯოგი ჩარფა ნაზირის დასახედავი იყო. მიუხედავად ამისა, ეს პარაგრაფი — „მეჯოგეთხუცის შესახებ“ გამოვყავით ცალკე კარად. ამასთანავე M ხელნაწერის პარაგრაფი სათაურით „მეჯოგენი“. რომელიც საზანდარს და მის მოხელეებს ეხება, ამოვიღეთ მე-3 კარიდან და მოვათავსეთ მეჯოგეთა და მეჩინიბეთხუცის შესახებ ჩვენ მიერ ახლად შექმნილ კარში. ამ კარში ორი პარაგრაფია — „მეჯოგეთხუცისა“ და „მეჯოგეთა შესახებ“. პარაგრაფი „მეჯოგეთა შესახებ“ მოვათავსეთ „მეჯოგეთხუცისა“ პარაგრაფის შემდეგ.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ კარი „მეჯოგეთხუცის შესახებ“ მოვათავსეთ ქარხნის მოხელეების კარის შემდეგ (M ხელნაწერის მიხედვით კარი „ნე“ ქარხნის ნაზირისა, ჩარფა ნაზირისა და ქარხნის მუშრების შესახებ და კარი „ე“ ქარხნის ნაზირისა და მისი ასნაფებისა), რადგანაც, როგორც ვთქვით. მეჯოგეთხუცის დაკავშირებული იყო ჩარფა ნაზირთან, მაშასადამე კართან ქარხნის შესახებ. ამ გარემოებამაც ხელი შეუწყო იმას, რომ „ჯოგისა და თავლის შესახებ“ დებულებანი ძეგლის ბოლოსაკენ გადაგვეწია.

ახლად შექმნილი კარის „მეჯოგეთხუცისა და მეჯოგეების“ შემდეგ მოვათავსეთ M-ის მიხედვით „კგ“ (23) კარი სათაურით: „აჯილის მიბარებისა და ქერისა“, ეს კარი შემდეგ პარაგრაფებს შეიცავს: 1) „ჯოგის აჯილის მიბარება“, 2) „აჯილის ქერი“.

ამის შემდეგ მოვათავსეთ M-ის მიხედვით „მგ“ (43) კარი სათაურით: „სახასო ბზისა, თავლისა და შიგამდეგებისა“, იგი შეიცავს მუხლებს: 1) „სახასო ბზისა, თავლისა და შიგამდეგებისა“, 2) „მეჩინიბეთ უხუცესთ სარგო“. მას მივყავოლეთ კარი „მდ“ (M-ის მიხედვით) სათაურით: „თავლის ქეშოკისა“, რომელიც შეიცავს ერთ მუხლს: „თავლის ქეშოკის დებულება“. მომდევნო კარი გახდა „56“, რომლის სათაურია: „საზინდრისა და მისი თავილდრისა“.

ამ კარში შედის შემდეგი პარაგრაფები: 1) „საზინდროსი“, 2) „აჭილის შიგამდეგი და ზინდრები“, 3) „მეჭინიბენი“ და 4) „შათირები“ (შათირების შესახებ პარაგრაფის ადგილის შესახებ იხ. ტექსტში შენიშვნა).

ჩვენი გამოცემის მიხედვით სათანადო კარებია: 52, 53, 54, 55 და 56.

5. M, S, K-ში პარაგრაფი საფერისცვლებო თევზის შესახებ (M 87, S 29 v, K 40r) მოთავსებულია გზების შენახვის გაროგების შემდეგ (M-ში კარი „კა“ ეკუთვნის გზების შენახვის დებულებას). „საფერისცვლებო თევზის გარიგება“ შინაარსის მიხედვით გადავიტანეთ M-ის მიხედვით „ია“ კარში, რომლის სათაურია: „ყველისა, მწვანილისა, ხილისა, თევზისა, დიდ ბადისა (და) ნაეტიქისა“. ამ კარში დებულება „საფერისცვლებო თევზის შესახებ“ მოვათავსეთ თევზის შესახებ დებულების შემდეგ ცალკე პარაგრაფად. (ჩვენი გამოცემის მეექვსე კარი, პარაგრაფი 34-ე).

6. M, S, K-ში ელის ეთაზის დებულების შემდეგ (M 140, S 1 var. 45r. S II var 44v, K 58v) მოთავსებულია წინადადებები: „ყარაის კონს რაც ქვით შეესება მოუხდების ელის კაცმან უნდა ქვით შეავსოს. ყარაის მუშაზე კოღრ ლე ღვინო რაც მივსკეთ“. ეს ორი წინადადება მოვათავსეთ „ყარაის კონის დებულების“ ბოლოს (შინაარსის მიხედვით). ამასთანავე, ანბანური წესით შედგენილ ნუსხებში, „ყარაის კონის ქვით შევება“ ცალკე პარაგრაფად არის წარმოდგენილი (რეთ), მაგრამ იგივე წინადადება „ყარაის კონის დებულების“ ბოლოშიც არის მოცემული, რაც იმაზეც მიგვიჩინებს, რომ ამ წინადადებას ადგილი აქ არის. (ჩვენი გამოცემის კარი 8, პარაგრაფი 41).

7. კარი „ზ“-ს (M-ის მიხედვით) ასეთი სათაური აქვს: „სახლების დგომისა. რიგისა და საკმელებისა“. იგი შეიცავს შემდეგ პარაგრაფებს: 1) „სასახლეების რიგი“, 2) „მუშაბების სახლის რიგი“, 3) „ტოგუნის რიგი“, 4) „ალაყათის შუა სახლის რიგი“, 5) „ალაყათის აივნისათვის“, 6) „ახალი სასახლის რიგი“, 7) „შანიშინის დივანხანის რიგი“, 8) „მოხელენი და როგორ უნდა მოიქცენ იმისი რიგი“. ამის შემდეგ M მიხედვით მოდის კარი „ჭ“, რომელიც კოდისპურსა და სხვა გადასახადებს ეხება. ძეგლის შინაარსის მიხედვით გამართვის მიზნით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კარი კოდისპურის შესახებ გადაგვეტანა იქ, სადაც ასეთსავე გადასახადებზეა საუბარი (M-ის მიხედვით კარი „კ“). ამ გადატანის შესახებ ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი, აქ კი გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: M-ის მიხედვით მე-7 კარის შემდეგ ჩვენ მოვათავსეთ ორი კარი: „იე“ და „იგ“. კარი „იგ“-ს M-ის სარჩევით სათაურად აქვს: „ბოშაბისა და სასამელ-საკმლის რიგისა“, რომელიც შეიცავს პარაგრაფებს: 1) „ბოშაბისა“, 2) „სუფერის პურის“, 3) „ჭამის ღვინისა“, 4) „თუშმლების ყადაღა“. ამის შემდეგ მოვათავსეთ „იე“, კარი, რომლის სათაურია: „ყაბებისა თუ რა უნდა მისცეს“. ამ კარის პარაგრაფებია: 1) „ყაბის რიგი“, 2) „უმისა და მოხარშული ძროხის საწესოს მიცემა“, 3) „დაკლულის ცხვრისა“ და 4) „ტყავისა“. მაშასადამე M-ის მე-7 კარს უშუალოდ მისდევს „იგ“ და „იე“ კარები. (ჩვენი გამოცემა შესაბამისი კარები: 3, 4 და 5).

8. ძეგლში კოდისპურისა და სხვა გადასახადების ორი კარია: M-ის მიხედვით კარი „ჭ“ და კარი „კ“. „ჭ“ კარის სათაურია: „კოდისპურისა, სთვლისა. საბალახისა, პირისთავისა (და) სახასო პურისა“. ამ კარის პარაგრაფებია: 1) მე-კოდისპურის რიგი, 2) ღვინის მოსავლის რიგი, 3) ცხვრის მოსავლისა, რომელ არს საბალახე, 4) პირისთავისა, 5) სახასოს პურის მოსავლისა, 6) შპეტის გარიგებისა, 7) სადიასახლისოსი და 8) ბატისა და ქათმისა. „კ“ კარის სათაურია: „კოდისპური, საბალახე, პირისთავი და სამასპინძლო თუ სად როგორ

შეწერებში. მისი პარაგრაფებია: 1) კოდისპური 2) საბალანსს თუ როგორ აიღებენ, 3) პირისთვის თუ როგორც აიღებენ, 4) ნახირისთვის თუ როგორ აიღებენ, 5) სამასპინძლოს შეწერისა, 6) საამილანგროს კოდისპურისა, 7) ქსნის ერისთვის მამულისა, 8) მუხრანის კოდისპურისა, 9) საციციანოს კოდისპურისა, 10) საბარათაშვილოს კოდისპურისა და 11) სომხითის კოდისპურისა. ორივე კარი ვალასანადებს ეხება, მაგრამ სხვადასხვა მხრივ: „მ“-კარში გადასახადის შინაარსის გარდა უმთავრესად გადასახადის ამკრეფ მოხელეებზეა საუბარი. „კ“-კარში კი იმაზე, თუ როგორია გადასახადის შინაარსი. მაშასადამე, ეს ორი კარი ძირითადად ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა მხარეს ეხება. ამასთანავე, თვითოეულ კარში სხვადასხვა საკითხებზედაც არის საუბარი. გარდა ამისა. „კ“-კარში, განსხვავებულად „მ“-კარისა, კოდისპურის გადასახადის ცალკეულ საფეოდალოებზე გაწერაზეც არის საუბარი. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით ამ ორი კარის თანმიმდევრულად ერთმანეთის გვერდით მოთავსება. ამისათვის „მ“-კარი თავისი პარაგრაფებით მოვსენით ძველი ადგილიდან და მოვათავსეთ „კ“-კარის წინ (M-ის მიხედვით).

„მ“-კარის თავისი ადგილიდან მოხსნის საფუძვლად ის მივიჩნით, რომ იგი სასახლეების განაწესის შესახებ კარის (M-ის მიხედვით კარი „ზ“) შემდეგ არის მოთავსებული და ამ ადგილზე კი ჩვენ ბოშაბისა და ყაბების შესახებ დებულებანი მოვათავსეთ (იხ. წინა პუნქტი). მაშასადამე, M-ის მიხედვით კარი „მ“-ს შემდეგ არის კარი „თ“, ხოლო ამ უკანასკნელის შემდეგ მოვათავსეთ კარი „კ“, კარი „თ“, ერბოსა და ბრინჯის შესახებ განაწესია და M ხელნაწერის მიხედვით „მ“-კართან არის დაკავშირებული, M-ის ტექსტში სწორედ —იგი— „მ“-ს მოსდევს და მას ადგილი არ შეეუცვალეთ (იხ. „თ“-კარის შესახებ შენიშვნა ტექსტში). ჩვენს გამოცემაში შესაბამისი კარებია: 13, 14 და 15.

9. M-ის მიხედვით „ი“-კარი გადმოვიტანეთ „იგ“-კარის წინ, კარი „ი“-ს სათაურია: „ხენისა და სამეხრეოს გარიგებისა“, რომელსაც აქვს პარაგრაფები: 1) ხენისა და სამეხრეოს რიგი, 2) გუთნის ხარჯი და 3) გუთნის რიგი.

M-ის მიხედვით კარი „ი“ „ქენისა და სამეხრეოს გარიგება“ „თ“-კარს („ერბოსა და ბრინჯის გარიგება“) მოსდევს, მაგრამ ეს თანრიგი ჩვენ არ დავიცავით შენდები გარემოების გამო: 1) „ქენისა და სამეხრეოს გარიგების“ კარში ჩვენ შევიტანეთ პარაგრაფი—„გუთნის ხარჯი“, რომელიც M ხელნაწერში მოთავსებულია არა აქ, არამედ „თავლის ქეშეის“ დებულების შემდეგ (დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ ტექსტის სქოლიოში).

2) ამავე კარში შინაარსის მიხედვით შევიტანეთ პარაგრაფი „გუთნის რიგი“, რომელიც არ არის M S I var და K ხელნაწერებში. ამგვარად, ამ კარის ორი პარაგრაფი ახლად შექმნილია.

3) ეს თითქმის ახლად შექმნილი კარი, რომ „ბრინჯისა და ერბოს გარიგების“ შემდეგ მოგვეთავსებინა იგი მოხვდებოდა კოდისპურისა, მეკოდისპურისა და სხვა ამგვარ გადასახადების შუაში, ე. ი. შინაარსით ერთი სახის გადასახადებს გაყოფდა, მაშინ როდესაც მათთან მჭიდრო კავშირი არ ჰქონდა. ამიტომ მოვუწახვით მას ეს ადგილი. ამ კარის შემდეგ ვაგრძელებთ M ხელნაწერის დასაგრებას. ჩვენი გამოცემის შესაბამისი კარი მე-7.

10. M-ში დებულება „თრიალეთის საზღვრების შესახებ“ ხელნაწერის ბოლოშია მოთავსებული და წარმოდგენილია „ნიბ“-კარად. შინაარსის მიხედვით თრიალეთის სოფლების საზღვრების დებულება მოვათავსეთ „მ“-კარის შემდეგ (M-ის მიხედვით). „მ“-კარის სათაურია: „თრიალეთის რიგისა და მათის

მოხელეებისა“. სწორედ ამ კარში (ბოლოში) გაღმოვიტანეთ „თრიალეთის სოფლებს განაწესი“.

ჩვენი გამოცემის შესაბამისი კარია: 37, მუხლი 126-ე.

11. დებულება „კახეთისა და ქართლის საზღვრების შესახებ“ არ არის თავის ადგილზე. M ხელნაწერის მიხედვით „ივ“ კარის სათაურია: „კახეთისა და ქართლის საზღვარი“ (ჩვენი გამოცემის მე-10 კარი, 42-ე მუხლი). საგნობრივი სისტემის მიხედვით შედგენილ ნუსხებიდან (M S K) ეს კარი და პარაგრაფი არის მხოლოდ M ხელნაწერში. ანბანურა წესით შედგენილ ნუსხებში წარმოდგენილია მხოლოდ ამ პარაგრაფის პირველი წინადადება. რამდენადაც „დასტურლამალი“ ქართლის სამეფოს ეხება, ამდენად კანონმდებელს საჭიროდ მიუჩნევია ქართლისა და კახეთის საზღვრების მითითება. ამ პარაგრაფის ადგილი ძეგლის თავში შესავლის შემდეგაა. შინაარსის მიხედვით შეიძლებოდა ამ პარაგრაფის ბოლოშიც გადატანა, ან კიდევ ელის დებულების წინ მოთავსება, რადგანაც ზოგიერთი ელი სწორედ ქართლისა და კახეთის საზღვარზე იყო. M ხელნაწერში ამ კარს და პარაგრაფს მოსდევს კარი „იზ“ სათაურით: „ქართლის აღწერისა თუ, როგორ აიწერების“, მასში არის ერთი პარაგრაფი სათაურით: „ქართლის აღწერისა“ (ჩვენი გამოცემის კარი მე-10, მუხ. 43).

ქართლის სამეფოს აღწერისათვის საჭირო იყო აგრეთვე ქართლისა და კახეთის საზღვრების გათვალისწინებაც. ამდენად კარი და პარაგრაფი, რომელიც ქართლისა და კახეთის საზღვარს ეხება (კარი „ივ“ M ხელნაწერის მიხედვით) წარმოადგენს ქართლის აღწერის დებულების (კარი „იზ“) ერთგვარ შესავალს. ამიტომ, შესაძლებელი იყო ეს ორი კარი („ივ“ და „იზ“) გაგვეერთიანებინა ერთ კარად, რომელშიც იქნებოდა ორი პარაგრაფი: 1) „კახეთის და ქართლის სამზღვარი“, 2) „ქართლის აღწერისა“. შინაარსის მიხედვით ასეთი გაერთიანება და გადაადგილება გამართლებული იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ დავკმაყოფილდით ამ განმარტებით და ხსენებული კარები და პარაგრაფები იმავე თანრიგით დავტოვეთ, როგორც ეს M-შია შემდეგი მოსაზრების გამო: S, K ხელნაწერებში „ქართლის აღწერის“ პარაგრაფი იმ ადგილზეა, სადაც იგი M ხელნაწერშია.

M ხელნაწერში დებულება ქართლის აღწერის შესახებ ორჯერ არის განმეორებული (I ვარიანტი: გვ. 74, 75, 76; II ვარიანტი—გვ. 95, 96, 97). ორივეჯერ მას მოსდევს დებულება საურის შესახებ (საურის შესახებ დებულებაც ორჯერ არის განმეორებული). ამის გამო ქართლის აღწერის შესახებ დებულება ამ კონტექსტიდან აღარ ამოვიღეთ (საურის შესახებ დებულება ჩვენი გამოცემის მე-12 კარი, მუხ. 44-ე).

დებულება ქართლ-კახეთის საზღვრის შესახებ M ხელნაწერში მხოლოდ ერთხელ არის მოცემული და წინ უძღვის ქართლის აღწერის I ვარიანტს. იგი ჩვენც იმ ადგილზე დავტოვეთ.

ჩვენს გამოცემაში შესაბამისი კარებია: 9, 10, 11 და 12.

12. „წელმწიფის ტყვის ხარჯის განაწესი“, რომელიც M S K ხელნაწერებში შეტანილი არ არის, შინაარსის მიხედვით ძეგლის ბოლოს მოვათავსეთ და კარისა და პარაგრაფის ნომერი ჩვენ მივეცი (ჩვენი გამოცემის კარია 63-ე).

13. ძეგლი ბოლოს „წელმწიფის ტყვის ხარჯის განაწესის“ შემდეგ მოვათავსეთ აგრეთვე მეფისა და მისი ოჯახის დასაფლავების განაწესი (ჩვენი გამოცემის 64-ე კარი).

14. დებულებანი სომხეთის მელიქისა და მოურავის შესახებ შინაარსის მიხედვით მოვათავსეთ სომხეთის სოფლების დებულების შემდეგ.

კარის სახელწოდება ჩვენ მიერ არის მიცემული (კარი 35, სომხეთის შე-  
ლიქისა და მოურავის სარკო). დაწერილებითი განმარტება ადგილის შესახებ  
ამ პარაგრაფებს სქოლიოში ახლავს (ჩვენი გამოცემის კარებია 34-ე და 35-ე).

15. პარაგრაფ ვარიან ხვედიანელის შესახებ MSK ხელნაწერებში შეტა-  
ნილი არ არის. სამაგიეროდ მას ვხვდებით დანარჩენ ნუსხებში. პარაგრაფი გა-  
მოყავით ცალკე კარად, როგორც ეს სხვა სოფლებისათვის არის გაკეთებუ-  
ლი M ხელნაწერში და შინაარსის მიხედვით მოვათავსეთ ატენის დებულების  
შემდეგ (ჩვენი გამოცემის 33-ე კარი).

16. „ბატონის ბალის წყლის გარიგება“ და „ციხის ბალის გარიგება“ M S  
I var K ხელნაწერში შეტანილი არ არის. ამ ორ პარაგრაფს რიგითი ნომრები  
მივეცი და შინაარსის მიხედვით ქალაქ თბილისის გარიგებაში „ქალაქის კარ-  
ზე მიწისა და საღების“ პარაგრაფის შემდეგ და „ციხის ბალის განაწესის“ წინ  
მოვათავსეთ (ჩვენი გამოცემის კარი მე-19; პარაგრაფები 85-ე, 86-ე).

17. განაწესს ამილახორის შესახებ მარტო SK ხელნაწერებში ვხვდებით.  
დებულება ამილახორის შესახებ ცალკე ხევისთავების დებულების შემდეგ მო-  
ვათავსეთ (იხ. შენიშვნა ჩვენი გამოცემის კარი 63-ე).

18. ქორის ბუღის განაწესი, შინაარსის მიხედვით შევარდნის ბუღის განა-  
წესის შემდეგ უკანასკნელთან ერთ კარში მოვათავსეთ (შესაბამისი ადგილი  
ჩვენს გამოცემაში: 61-ე კარი).

როგორც ვთქვით, „დასტურლამალის“ აგებულება დავიცავით საგნობ-  
რივი სისტემით შედგენილი ხელნაწერების მიხედვით. გარდა იმ გამონაკლი-  
ებისა, რომელზედაც გვქონდა საუბარი. გამონაკლის შემთხვევებშიც საგნობ-  
რივ სისტემის ხელნაწერებს ვეყრდნობოდით, მათ ვარიანტებს ვღებულობდით  
მხედველობაში. შენიშვნებში უმრავლეს შემთხვევაში M ხელნაწერზე ვუთი-  
თებთ, რადგანაც გარდა პარაგრაფებისა იქ კარებიც არის. თუ რომელიმე გამო-  
ნაკლის ან გადაადგილების შესახებ აქ არა გვაქვს საუბარი, მაშინ ასეთი გა-  
მონაკლისი თუ გადაადგილების შემთხვევა დაწვრილებით თვით ტექსტის სქო-  
ლიოშია ნაჩვენები და დასაბუთებული.

ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით სხვადასხვა ხასიათის შენიშვნები:

1. ციფრების მაჩვენებელი ქართული ასოები კითხვის პროცესის გასაად-  
ვილებლად არაბულით შეეცვალეთ. მაგრამ, ზოგიერთ ხელნაწერში ციფრი  
ზოგჯერ სიტყვით არის გადმოცემული. მაგალითად, „ორი“ და „ბ“ აი და  
ერთნახევარი და ა. შ. თუ კი ციფრები ხელნაწერებში სიტყვებით არის გად-  
მოცემული, ჩვენ ვამჯობინეთ ტექსტში სიტყვები დაგვეტოვეთ, ხოლო განსხ-  
ვავება სქოლიოში ვუჩვენეთ. დანარჩენ შემთხვევაში ტექსტში ციფრების მაჩ-  
ვენებელი ქართული ასოები არაბულით შეეცვალეთ და ქართული ასოები  
სქოლიოში ჩავიტანეთ.

2. თუ სიტყვა, წინადადება, ან სათაური კარისა თუ პარაგრაფისა, კავებ-  
შია [ ] ჩასმული, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში ჩასმული სიტყვა ჩვენს მიერ  
არის აღდგენილი. თუ აღდგენილია სათაურის მხოლოდ ნაწილი ამას შესა-  
ხებ აღნიშნული გვაქვს ტექსტის შენიშვნაში (რა ეწერა ხელნაწერებში და რო-  
გორ არის ახლა, ე. ი. აღნიშნული გვაქვს, რა დავტოვეთ და რა გადავაკეთეთ  
ან აღვადგინეთ).

3. M-ში ყოველი კარისა და ხშირად აბზაცის წინ „ქ“ არის დასმული,  
ჩვენ „ქ“ არ მოგვყავს.

4. ზოგიერთ ხელნაწერში სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაში  
ან სხვა შემთხვევაში მოცემულია „ვის“; ზოგიერთში წერია „ვ“ და ზოგი-



ერთში „კ“-ს ნაცვლად მოცემულია მოკლე ხაზი, მაგალითად, „სოიბათიასალისათვის“, „სოიბათიასაულისათვის“ და სოიბათიასალისათ“-ს“. უძველეს ნუსხებში, როგორც არის M, S, K და J „კ“ არც არის. იმ შემთხვევაში, როცა სიტყვების განსხვავებული დაწერილობა სქოლიოში მოგვყავს. ვუჩვენებთ „კ“-საც, მაგრამ „ვ“-ს ნაცვლად ნმარებული მოკლე ხაზი (-) არ მოგვყავს (ცხრილებში კი ასეთ ხაზსაც ვუჩვენებთ).

5. ანბანური წესით შედგენილ ნუსხებში მუხლები სათაურის პირველი ასოს მიხედვით არის ანბანზე დალაგებულნი. ამიტომ ანბანური ხელნაწერების მუხლების სათვალავს ვუჩვენებთ და არა გვერდებისას. გვერდები მოგვყავს M, S, K-ს ხელნაწერებისა.

6. ზოგიერთი სიტყვა, სათაური, წინადადება და სიტყვის პირველი ასო ხელნაწერებში სინგურით არის წარმოდგენილი. როგორც წესი, ამის შესახებ ჩვენ სქოლიოში არ მიგვივითებია, იმ გამონაკლისის გარდა, როცა ასეთი მითითება საჭირო იყო ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევად.

7. სასვენი ნიშნები, აბზაცები, უმრავლეს შემთხვევაში ჩვენია და ამის შესახებ მითითებას არ ვაკეთებთ, თუ ასეთი გამოწვეული არ არის ტექსტის დადგენის საჭიროებისათვის.

8. სიტყვების დაწერილობის ფორმის უნიფიცირებას ძლიერ ვერიდებით, და როდესაც ამას ვაკეთებთ, სქოლიოში ვუთითებთ კიდევ. კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი ეხება როგორც ერთსა და იმავე, ისე სხვადასხვა ხელნაწერებში ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვა ფორმით ხმარებას. ასე, მაგალითად, ხელნაწერებში გვხვდება „ახანაურის შვილი“ და „ახანაურ შვილი“. რადგანაც უმეტეს შემთხვევაში მოცემულია „ახანაურ შვილი“, ამიტომ ჩვენც უკანასკნელი ფორმა დავტოვეთ. უძველეს ნუსხებში გვხვდება „თავილდარი“ (M, S, K), შემდგომ ნუსხებში „თავლიდარი“, ჩვენ პირველი ავირჩიეთ. ნუსხებში გვხვდება აგრეთვე: „კაცთმოყუარებასა“ (M, K), „კაცთმოყუარებასა“, „კაცთმოყვარებასა“. ენის განვითარების დღევანდელი ეტაპის მიხედვით მართებული ფორმა უკანასკნელია, მაგრამ უძველეს ხელნაწერებში მოცემული ფორმა უფრო შეეფერება ძეგლის შედგენის პერიოდის ქართულ ენას და ის დავტოვეთ. ასევე ითქმის სიტყვა „ყუელა“ და „ყველა“-ს დაწერილობის საკითხის შესახებ და ა. შ.

ზოგჯერ ძველი ხელნაწერების ნაცვლად, მომდევნო პერიოდის ხელნაწერების დაწერილობას ვტოვებდით ტექსტში, მაგალითად, M, S, K, J-ში არის „ტაშტწურწუმა“, დანარჩენ ნუსხებში — „ტაშტწურწუმა“. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „წურწუმა“ ქურქელია, ხოლო „წუმწუმა“ — გოგირდი. ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გვიანდელი ნუსხების ფორმა („ტაშტწურწუმა“) დაგვეტოვებინა ტექსტში.

ძირითადად ჩვენ M, S, K, J-ს სიტყვების დაწერილობას ვიცავდით, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, გამონაკლისსაც ვუშვებდით, რაზედაც სქოლიოებში უცილობლად ვუთითებთ.

სიტყვა „აივანი“ M, S, K, J-ში ხან „აივანი“-ს ფორმით არის მოცემული, ხან კიდევ „ეივანი“-ს, სხვა ნუსხებში ყველგან „აივანი“ წერია, ჩვენც უკანასკნელი ფორმა დავტოვეთ ტექსტში.

სიტყვის დაბოლოებად ხან მოცემულია „ზედ“, ხან კიდევ „ზე“ (სოფელ-ზედ, სოფელზე). უძველეს ნუსხებში უმეტეს შემთხვევაში „ზედ“ არის, ჩვენც ის დავტოვეთ.

სიტყვათა დაწერილობის უნიფიცირების საკითხი ძნელად გადასაწყვეტია ძველის გამოსაცემად მომზადების დროს. ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა, ერთსა და იმავე ნუსხაში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი.

ერთსა და იმავე ნუსხის ერთსა და იმავე პარაგრაფის ფარგლებშიც კი ზოგჯერ შეინიშნება ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა დაწერილობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყარნობით ძველ ნუსხებს (M, S, K, J) და მათგან გამოვძინა რე ვწყვეტდით საკითხს.

არის ასეთი შემთხვევა: ზოგიერთი სიტყვის ფორმა ერთსა და იმავე პარაგრაფის ფარგლებში დავადგინეთ ძველი ნუსხების უმრავლესობის მიხედვით, მაგრამ იგივე სიტყვა, სხვა პარაგრაფში, ყველა ნუსხების მიხედვით ერთნაირად არის მოცემული, თუმცა წინანდელთან შედარებით განსხვავებული დაწერილობით. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ დავტოვეთ ის დაწერილობა, რომელიც ძველ ნუსხებშია გვხვდება მეორეგვარი შემთხვევათ: „სადედოფლო დასტურლამალის“ მეოთხე მუხლში სიტყვა „წმინდა“ ზოგიერთ ნუსხაში იკითხებოდა როგორც „წმიდა“. მიღებული წესის თანახმად, ამ სიტყვის ფორმა დავტოვეთ უმრავლესი ხელნაწერების მიხედვით, მაგრამ იგივე სიტყვა „სადედოფლო დასტურლამალის“ ყველა ხელნაწერის მეშვიდე მუხლში ერთნაირი ფორმით წერია „წმიდა“.

ტერმინი „სახლთხუცესი“ უმრავლეს შემთხვევაში წარმოდგენილია „სალთხუცესი“-ს ფორმით, ხოლო ზოგჯერ M და K ხელნაწერებში მოცემულია — „სახლთხუცესი“. თუ კი M ან K ხელნაწერების რომელიმე პარაგრაფში წერია „სახლთხუცესი“, ჩვენ ეს უფრო მართებულ ფორმად მივიჩინეთ და ტექსტში უცვლელად დავტოვეთ. მაგრამ, როცა არჩევანის შესაძლებლობა არ მოგვეცა, მაგალითად, თუ ყველა ნუსხის ერთსა და იმავე პარაგრაფში „სალთხუცესი“ არის შეტანილი, მაშინ მართებულ ფორმას ვტოვებთ „ჩვენი კონიექტურის“ აღნიშვნით.

როგორც წესი სიტყვა „ბრძანება“ და მისგან წარმოშობილი სხვა ფორმა როგორცაა, მაგალითად, „ნაბრძანები“, „უბრძანე“ და სხვა, იწერება „რ“-თი. ასევეა უძველეს ნუსხებში. მაგრამ „დასტურლამალის“ ზოგიერთ მუხლში გვხვდება ეს სიტყვა „რ“-ს გარეშეც. თუ კი ამისი შესაძლებლობა არის, ე. ი. თუ რომელიმე ნუსხაში (თუნდაც ეს ნუსხა ყველაზე ბოლონდელი იყოს T. I. I') ეს სიტყვა „რ“-თია მოცემული, ჩვენ მას უცვლელად ვტოვებთ ტექსტში.

სიტყვის დაწერილობის უნიფიცირებას ვახდენთ სქოლიოში „ჩვენი კონიექტურის“ აღნიშვნით, აგრეთვე ლექსიკონსა და საძიებლებში.

9. სქოლიოში, როგორც წესი, პირველად იმ ნუსხასა თუ ნუსხებს ვუჩვენებთ, რომლის ან რომელთა დაწერილობას ტექსტში ვტოვებთ. მაგრამ, აქაც ვუძევებთ გამოჩაქლისს: იმ შემთხვევაში, როცა სქოლიოში ჩამოტანილი გვაქვს რამდენიმე სიტყვა, ხოლო ამ სიტყვებიდან ტექსტში ზოგი დატოვებულია ერთი ნუსხიდან, ზოგი მეორედან და ა. შ., მაშინ ამ წესს ვერ ვიცავთ. ავიღოთ მაგალითი. ტექსტში დატოვებული გვაქვს: „კომლზედ ქალაქამდის ულაყი“. M ხელნაწერში წერია: „კომლზე ქალაქამდის ულაყი“, S-ში: „კომლზედ ულაყი ქალაქამდის“, J-ში: „კვამლზედ თვითო ულაყი“ და სხვა. სქოლიოში პირველად M-ი ვუჩვენებთ, თუმცა მისი ტექსტი ზუსტად არ ემთხვევა იმას, რაც დადგენილად მივიჩინეთ და მაღლა დავტოვეთ. M-ში წერია: „კომლზე“, დადგენილ ტექსტში კი გვაქვს „კომლზედ“. ასეთი შემთხვევა ბევრია.

10. სქოლიოში მოგვყავს პირველი სიტყვის ან წინადადების ტექსტში დატოვებული ფორმა, რის მანიშნებლადაც ვწერთ — I. შემდეგ მოგვყავს სხვადასხვა ნუსხებში მოცემული განსხვავებული ფორმა, ან კიდევ ტექსტში დატოვებული სიტყვა თუ წინადადება, ხოლო განსხვავებულ სიტყვის ფორმას, ან წინადადებას ცალ-ცალკე ნუსხების მიხედვით აღვნიშნავთ ცალკეული ნუსხის ჩვენებით. თუ ამ ნუსხებში სიტყვის ეს ფორმა ან წინადადება ერთნაირადაა მოცემული, მაშინ *set*-ით ამას აღვნიშნავთ. ზოგჯერ მხოლოდ განსხვავებული წაკითხვა მოგვყავს. იგულისხმება, რომ დანარჩენ ნუსხებში ისეა, როგორც ტექსტში გვაქვს დატოვებული.

ცალკეულ შემთხვევაში როცა რომელიმე ნუსხაში ესა თუ ის ადგილი აქვია, ან კიდევ ესა თუ ის ადგილი ბუნდოვანია და სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი, იძულებული ვართ თითქმის ყველა ნუსხის წაკითხვაზე მივუთითოთ. ასევე ვიქცევით მაშინ, როდესაც გვინდა შეიტხველმა იცოდეს, რომ ამ სიტყვისა თუ წინადადებისათვის გამომცემელს საგანკებო ყურადღება მიუქცევია.

11. ხელნაწერების სივრცეში გვარსახელები ერთნაირი თანრიგით არ არის დასახელებული. ამ მხრივ ერთმანეთთან ახლო დგას M, S, K-ის სივრცეები. ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში ძირითადად ერთნაირი თანრიგია მოცემული, თუმცა იგი განსხვავებულია საგნობრივ სისტემაზე აგებული ხელნაწერებისაგან.

12. სივრცის შეჯამება M-ში სრულად არის მოცემული, მაგრამ ზოგჯერ ეს შეჯამება არ არის სწორი. თუ შეჯამება სწორია, მას ტექსტში ვტოვებთ, ხოლო თუ სწორი არ არის, იგი სქოლიოში ჩაგვაქვს.

13. ზოგიერთი სიტყვა ზოგიერთ ნუსხაში ერთად არის წარმოდგენილი, ზოგიერთში დაყოფილად, მაგალითად, ანბანურ ნუსხებში, J ხელნაწერის გარდა, წერია „იორ ყული“, ხოლო ხელნაწერში M, S, K, J-ში „იორყული“. ჩვენ ეს სახელი უკანასკნელი ფორმით წარმოვადგინეთ და განსხვავება სქოლიოში არ გვიჩვენებია. ასევე მოვიქცევით სხვა მსგავს შემთხვევაშიც. ზოგჯერ მოგვყავს სიტყვის დაწერილობა დაყოფილად, როცა ეს შინაარსის მიხედვით არის საჭირო. მაგალითად, „შაპნაზარას შვილი“, „შანაზარა შვილი“ და ა. შ. შეიძლება აქ გვარსახელთან გვეკონდეს საქმე, ან მაშის სახელთან.

14. არ ვჩერდებით ისეთი გეოგრაფიული პუნქტის ახსნა-განმარტებაზე, რომლის ადგილმდებარეობა თითქმის ყველასათვის ცნობილია. მაგალითად, დილოში.

15. იმ შემთხვევაში, როცა სიტყვა ან სიტყვები ჩვენს მიერ არის დადგენილი, სქოლიოში ვუჩვენებთ, რომ ეს ჩვენი კონიექტურაა („ჩვენი კონიექტ.“).

მაგრამ, ზოგჯერ ტექნიკური მიზეზების გამო იძულებული ვართ სქოლიოში „ჩვენი კონიექტურა“ ისეთ რამეზე აღვნიშნოთ, რაც შინაარსეულად კი არ ვეკუთვნის ჩვენ, არამედ მხოლოდ ფორმით. მაგალითად, ხელნაწერებში ხშირად ციფრები ქართული ასოებით არის ნაჩვენებო. ქართული ასოები კი კითხვის გასაადვილებლად აღნიშნული გვაქვს სათანადო არაბული ციფრით, ან სიტყვით. „სადედოფლო დასტურლამალის“ მეხუთე პარაგრაფით ყაფიჩის ჯამაჯირი განსაზღვრულია ქართული ასო „კ“-თი, რაც ორ მინალთუნს უდრის. ტექსტში ჩვენ „ორი მინალთუნი“ დავწერეთ, ხოლო სქოლიოში ვუჩვენეთ: „ორი მინალთუნი—ჩვენი კონიექტ.“ აღნიშნულ ხერხს აქ ამიტომ მივმართეთ, რომ ორი სიტყვა იყო ჩამოსატანი: 1) ორი, 2) მინალთუნი, სქოლიოში ჩამოსატანის ნიშანი კი „მინალთუნს“ აწერია, მაშინ როდესაც, სქოლიოში მართა

„მინალთუნი“ კი არ ჩამოგვაქვს, არამედ „ორი“-ც: ამიტომ, იძულებული შევიქნით მიგვეწერა „ჩვენი კონიექტურა“.

16. იწ. შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ადგილი ან სიტყვა ერთსა და იმავე ნუსხის სხვადასხვა ვარიანტში სხვადასხვაგვარად არის მოცემული, მაშინ ჩვენ სქოლიოში ვუთითებთ I-სა, II-სა და III ვარიანტზე. ხოლო თუ ერთი ნუსხის უველა ვარიანტში ერთნაირად არის, მაგრამ სხვა ნუსხებისაგან განსხვავებულად, მაშინ სქოლიოში ნუსხას ვუჩვენებთ, ვარიანტების გარეშე.

როცა ამა თუ იმ პარაგრაფის მხოლოდ ნაწილია ვარიანტების სახით მოცემული, ამ ნაწილის დამთავრების შემდეგ ნუსხას სქოლიოში ვუჩვენებთ ვარიანტების გარეშე.

<p>კჳ 205. მურდრისა (გვ. 99)</p>	<p>კჳ 205. მურდრისათუს (გვ. 45)</p>	<p>კჳ 205. მურდრისათუს (გვ. 71)</p>
<p>სხვა ამისი შემდგომი მდივანბეგის განაჩენის ბოლოს იძიეთ სხვაგან ვიპოვე და იქ დაესწერე აქ არ დაეტივა (გვ. 100)</p>	<p>სხვა ამისი შემდგომი მდივანბეგის განაჩენის ბოლოს იძიეთ სხვაგან ვიპოვე და იქ დაესწერე აქ არ დაეტივა (გვ. 45)</p>	<p>სხვა ამისი შემდგომი მდივანბეგის განაჩენის ბოლოს იძიეთ სხვაგან ვიპოვე და იქ დაესწერე აქ არ დაეტივა (გვ. 71)</p>
<p>რწი 206. სომხითის მოურავის სარგო 152)</p>	<p>რწი 206. სომხითის მოურავის სარგო (გვ. 67)</p>	<p>რწი 206. სომხითის მოურავის სარგო (გვ. 103)</p>
<p>რდა 207. სომხითის მელიქისა (გვ. 157)</p>	<p>რდა 207. სომხითის მელიქისათუს (გვ. 69)</p>	<p>რდა 207. სომხითის მელიქისათუს (გვ. 106)</p>

<sup>1</sup> M-ში ძლიერ შემოკლებულია (სხვა ხელნაწერებთან შედარებით).

M	S	K
<p>პარი 50</p> <p>208. ბაზიერთხუცის სარგო. გვ. 202)</p> <p>ყარაის მეყორულისა როგორც წიგნი აქუსთ გაბაშვილებს იმაში სწერია და ისრუ ქნან (გვ. 202)</p>	<p>208. ბაზიერთხუცისა სარგო (60r)</p> <p>ყარაის მეყორულისა როგორც წიგნი აქუსთ გაბაშვილებსა იმაში სწერია ისე ქნან (60r)</p>	<p>208. ბაზიერთ ხუცისა სარგო (81 r)</p> <p>ყარაის მეყორულისა, როგორც წიგნი აქუსთ გაბაშვილებსა და იმაში სწერია ისე ქნან (გვ. 81r)</p>
<p>პარი 50ა</p> <p>209. ქვეისთავეებისა... (გვ. 202)</p>	<p>209. ქვეისთავეების რიგი (28r)</p>	<p>209. ქვეისთავეებს რიგი (38r)</p>
<p>210. არის ქორის ბუდე სომხითს (გვ. 205)</p>	<p>211. არის ქორების ბუდე სომხითს (60v)</p>	<p>210. არის ქორების ბუდე სომხითს (82r)</p>
<p>პარი 50ბ</p> <p>211. თრიალეთის სოფლების სამძღვრები (გვ. 206)<sup>1</sup></p>	<p>211</p>	<p>211 —</p>
<p>212. —</p>	<p>212. —</p>	<p>212. —</p>
<p>213. —</p>	<p>213. —</p>	<p>213. —</p>
<p>214. —</p>	<p>214. —</p>	<p>214. —</p>
<p>—</p>	<p>—</p>	<p>—</p>
<p>215. —</p>	<p>215. —</p>	<p>215. —</p>

<sup>1</sup> ყველაზე უფრო სრულად ეს მუხლი მოცემულია M-ში. S-ში სათაური აკლია, ნაწილი მოცემულია 62r-ზე, ნაწილი შემდეგ არის ჩამატებული (76v, 76r). K-შიც სათაური აკლია, ნაწილი...

J	D	A
<p style="text-align: center;"><b>ლვ</b></p> <p>208. ბაზიერთხუცისა და ყარაის მეყორულისა (გვ. 27)</p> <p style="text-align: center;">—</p>	<p style="text-align: center;"><b>ლვ</b></p> <p>208. ბაზიერთხუცისა და ყარაის მეყორულისათჳს (გვ. 15)</p> <p style="text-align: center;">—</p>	<p style="text-align: center;"><b>ლვ</b></p> <p>208. ბაზიერთხუცისა და ყარაის მეყორულისათჳს (გვ. 25)</p> <p style="text-align: center;">—</p>
<p style="text-align: center;"><b>სბ</b></p> <p>209. კვეისთავების რიგი (გვ. 212)</p>	<p style="text-align: center;"><b>სბ</b></p> <p>209. კვეისთავების რიგისათჳს (გვ. 66)</p>	<p style="text-align: center;"><b>სბ</b></p> <p>209. კვეისთავების რიგისათჳს (გვ. 142)</p>
<p style="text-align: center;"><b>რპვ</b></p> <p>210. ქორის ბუდე არის სომხითს (გვ. 175)</p>	<p style="text-align: center;"><b>რპვ</b></p> <p>210. სომხითს რომელსაც ალაგს არის ქორის ბუდისათჳს (გვ. 77)</p>	<p style="text-align: center;"><b>რპვ</b></p> <p>210. სომხითს რომელსაც ალაგს არის ქორის ბუდისათჳს (გვ. 119)</p>
<p style="text-align: center;"><b>მვ</b></p> <p>211. თრიალეთის სოფლების სამძღვრებეი (გვ. 62)</p>	<p style="text-align: center;"><b>მვ</b></p> <p>211. თრიალეთის სოფლების სამძღვრებისათჳს (გვ. 31)</p>	<p style="text-align: center;"><b>მვ</b></p> <p>211. თრიალეთის სოფლების სამძღვრებისათჳს (გვ. 50)</p>
<p style="text-align: center;"><b>ამ</b></p> <p>212. აჯილდის მიბარება (გვ. 14)</p>	<p style="text-align: center;"><b>ამ</b></p> <p>212. აჯილდის მიბარებისათჳს (გვ. 10)</p>	<p style="text-align: center;"><b>ამ</b></p> <p>212. აჯილდის მიბარებისათჳს (გვ. 15)</p>
<p style="text-align: center;"><b>პვ</b></p> <p>213. ბოქოულთხუცესი და ეშვიკალასბაშეზბი (გვ. 18)</p>	<p style="text-align: center;"><b>პვ</b></p> <p>213. ბოქოულთხუცებისა და ეშვიკალასბაშეზბისათჳს (გვ. 11)</p>	<p style="text-align: center;"><b>პვ</b></p> <p>213. ბოქოულთხუცესთა და ეშვიკალასბაშეზბისათჳს (გვ. 18)</p>
<p style="text-align: center;"><b>კვ</b></p> <p>214. ბატონის ბალის წყლის (გვ. 19)</p>	<p style="text-align: center;"><b>კთ</b></p> <p>214. ბატონის ბალის წყლის გარიგებისათჳს (გვ. 11)</p> <p style="text-align: center;">. . . . .</p>	<p style="text-align: center;"><b>კთ</b></p> <p>214. ბატონის ბალის წყლის გარიგებისათჳს (გვ. 19)</p>
<p style="text-align: center;"><b>ნვ</b></p> <p>215. ვარიანს ხედიანელი (გვ. 54)</p>	<p style="text-align: center;"><b>ნვ</b></p> <p>215. ვარიანს ხედიანელისათჳს (გვ. 27)</p>	<p style="text-align: center;"><b>ნვ</b></p> <p>215. ვარიანს ხედიანელი-სათჳს (გვ. 44)</p>
		<p>ანჩისხატის დეკანოზი მხატვარი გრიგოლ (19)<sup>2</sup></p>

ბი მოცემულია: 84r, 84v, 85r, 85v, 86r, 87r და 87v. D-სა და A-ში ეს მუხლი შემოკლებულია. \* JD-ში ბალის წყლის გარიგებაში დამატებან ანჩისხატის დეკანოზის შესახებ არ ვხვდებით.

M		S		K	
216.	—	216.	—	216.	—
217.	—	217.	—	217.	—
218.	—	218.	—	218.	—
219.	—	219.	—	219.	—
220. მოლარებისა (გვ. 197)		220.	—	220.	—
221.	—	221.	—	221.	—
222. . . . .		222. . . . .		222. . . . .	
223.	—	223.	—	223.	—
224.	—	224.	—	224.	—
225.	—	225.	—	225.	—

<sup>1</sup> M-სა, S-სა და K-ში ეს პარაგრაფი ცალკე არ არის გამოყოფილი. სამაგიეროდ მისი შინა-არსი მოცემულია მდივანგების გარიგების ბოლოს. <sup>2</sup> M-სა, J-სა და ანბანური წესით შედგენილ სხვა ნუსხებში მხოლოდ სათაურია, ტექსტი კი არ არის (S-სა და K-ში არც სათაურია და არც ტექსტი). <sup>3</sup> M-სა, S-სა და K-ში არ არის. J-სა, D-სა და სხვა ნუსხებში მარტო სათაურია (ტექსტის

J	D	A
<p>ოზ 216. იარაღის საქმე კეთება სალაროს ნაზირს (გვ. 80)</p>	<p>ოზ 216. იარაღის კეთებისათვის იარაღის საქმე და კეთება ყოველივე სალაროს ნაზირის საქმე არის (გვ. 38)</p>	<p>ოზ 216. იარაღის კეთებისათვის იარაღის საქმე და კეთება ყოველივე სალაროს ნაზირის საქმე არის (გვ. 60)</p>
<p>ოთ 217. კახეთისა და ქართლის სამძღვარი (გვ. 81)</p>	<p>ოფ 217. კახეთისა და ქართლის სამძღურისათვის (გვ. 39)</p>	<p>ოფ 217. კახეთისა და ქართლის სამძღურისათვის (გვ. 61)</p>
<p>რ 218. მეჭლისის პურისა (გვ. 109)</p>	<p>ჟთ 218. მეჭლისის პურისათვის</p>	<p>ჟთ 218. მეჭლისის პურისათვის (გვ. 78)</p>
<p>რბ 219. მდივანბეგის ასალები (გვ. 114)</p>	<p>რა 219. მდივანბეგის ასალებისათვის (გვ. 92)</p>	<p>რა 219. მდივანბეგის ასალებისათვის (გვ. 82)<sup>1</sup></p>
<p>რმ 220. მოლარებისა (გვ. 118)</p>	<p>რმ 220. მოლარებისათვის (გვ. 54)</p>	<p>რმ 220. მოლარებისა (გვ. 84)<sup>2</sup></p>
<p>221. —</p>	<p>რად 221. თევზის ჩაჩხისათვის (გვ. 59)</p>	<p>რად 221. თევზის ჩაჩხისათვის (გვ. 23)</p>
<p>რლზ 222. სარქარბაშისა და მისი თავლიდრისა (გვ. 142)</p>	<p>რლზ 222. სარქარბაშისა და თავლიდრის სარგოსათვის (გვ. 62)</p>	<p>რლზ 222. სარქარბაშისა და თავლიდრის სარგოსათვის (გვ. 95)</p>
<p>რმდ 223. საკმლისა (გვ. 148)</p>	<p>რმდ 223. საკმლისათვის (გვ. 64)</p>	<p>რმდ 223. საკმლისათვის (გვ. 99)</p>
<p>რა 224. სომხითის ტარულისა (გვ. 157)</p>	<p>რა 224. სომხითის ტარულისათვის (გვ. 69)</p>	<p>რა 224. სომხითის ტარულისათვის (გვ. 105)<sup>3</sup></p>
<p>რამ 225. სამეფოს კაცის სადედოფლოდ ვერ ამუშაებენ (გვ. 162)<sup>4</sup></p>	<p>რამ 225. სამეფოს კაცისა სადედოფლოდ არ მუშაობისათვის (გვ. 72)</p>	<p>რამ 225. სამეფოს კაცისა სადედოფლოდ არ მუშაობისათვის (გვ. 110)</p>

გარეშე), ამასთანავე სომხითის მოურავისა და მეღვივის სარგო ყველა ხელნაწერშია (M გვ. 201, S 28r, 60r, K 81r, J 152, 157, D 67, 69, A 103, 106). <sup>4</sup> J-ში პირველი ორი სიტყვა სინგურით არის დაწერილი, ხოლო სათაური საერთოდ ცალკე არ არის გამოყოფილი.

M	S	K
226. —	226. —	226. —
227. სათაური არ არის (გვ. 14)	227. სათაური არ არის (გვ. 5v)	227. სათაური არ არის (გვ. 8v) <sup>1</sup>
228. —	228. —	228. —
229. —	229. —	229. —
230. ქსნის ერისთვის მამულისა (გვ. 80)	230. ქსნის ერისთვის მამულისა (27r)	230. ქსნის ერისთვის მამულისა (37r)  რბ
231. არის მდივანბეგის სა- რგო. ... ტყვის ბაჟიღამ რაც ღადგების თერთმე- ტის თავის შუოთქედის ნაქვეარი (გვ. 192)	231. სალთხუცის... ... ტყვის ბაჟიღამ თერთ- მეტის თავის ნახევარი როგორც იჯარა იქნება თუმანი შოვა (67r)	231. სალთხუცისა... ... ტყვის ბაჟიღამ თერთ- მეტის თავის ნახევარი როგორც იჯარა იქნება თუმანი შოვა (92v)
232. ბოქოულთხუცების სა- რგო (გვ. 69)	232. ბოქოულთხუცობის რგო (23r)	232. ბოქოულთხუცობის რგო (32r)  ლ

<sup>1</sup> M-სა S-სა და K-ში არ არის სათაური, ტექსტი ანუ სია არის. <sup>2</sup> ეს მუხლი უფრო განმეორებულია

J	D	A
<p>რპშ 226. ღმერთმან ნუ ქნას (გვ. 177)</p>	<p>რპშ 226. მეფის ღამარცხებისა და მცხეთას ნასვენებისა- თუს (გვ. 78)</p>	<p>რპშ 226. მეფის ღამარცხებისა და მცხეთის ნასვენებო- სათუს (გვ. 120)</p>
<p>რშა 227. ყორჩიბაში (გვ. 179)</p>	<p>რშა 227. ყორჩიბაშისათუს (გვ. 79)</p>	<p>რშა 227. ყორჩიბაშისათუს (გვ. 121)</p>
<p>სიზ 228. ციხის ბალისა (გვ. 206)</p>	<p>სიზ 228. ციხის ბაღებისათუს (გვ. 81)</p>	<p>სიზ 228. ციხის ბაღებისათუს (გვ. 139)</p>
<p>საბ 229. კელმწიფის ტყვისა- სათვის ხარჯი (გვ. 216)</p>	<p>საბ 229. კელმწიფის ტყვის ხა- რჯისათუს (გვ. 61)</p>	<p>საბ 229. კელმწიფის ტყვის ქარჯისათუს (გვ. 144)</p>
<p>რპ 230. ქსნის ერისთვის მამუ- ლისა (გვ. 170)</p>	<p>რპ 230. ქსნის ერისთვის მამუ- ლისათუს (გვ. 75)</p>	<p>რპ 230. ქსნის ერისთვის მამუ- ლისათუს (გვ. 115)</p>
<p>ქსნის ჭვევლთ აქვს ულ- უფა...</p>	<p>ქსნის ჭვევლთ აქვს ულ- უფა...</p>	<p>ქსნის ეველთა აქუსთ ულუფა...</p>
<p>ასრევე არაგვის ერის- თვის... (გვ. 170)</p>	<p>ასრევე არაგვის ერისთვის (გვ. 75)</p>	<p>ასრევე არაგვის ერისთვის (გვ. 116)<sup>2</sup></p>
<p>რნთ 231. სალთხუცის სარგო. ... ტყვის ბაჟიღამ თერთ- მეტის თავის ნახევარი როგორც იჯარა მოვა იქ- ნების თუმანი მოვა (გვ. 155)</p>	<p>რნთ 231. სალთხუცის სარგო- თუს ...ტყვის ბაჟიღამ თერთმეტის თავის ნახე- ვარი როგორც იჯარა იქ- ნების თუმანი მოვა (გვ. 68)</p>	<p>რნთ 231. სალთხუცის სარგო- სათუს. ...ტყვის (გადა- ნასწორებია, ყოფილა ტყვის) ბაჟიღამ თერთ- მეტის თავის ნახევარი როგორც იჯარა იქნების (ცარიელი აღგილია ერ- თი ან ორი სიტყვისა- თვის) (გვ. 104)</p>
<p>ლგ 232. ბოქაულთხუცების სა- რგო (გვ. 22)</p>	<p>ლგ 232. ბოქაულთხუცების სა- რგოსათუს (გვ. 13)</p>	<p>ლგ ბოქაულთხუცების სარ- გოსათუს (გვ. 21)</p>

პირლად მოცემულია J-სა, D-სა და ანბანური წესით შედგენილ სხვა ნუსხებში. M-ში ეს მუხლი (იხ. ცხრილი № 111).

M	S	K
<p style="text-align: center;">—</p> <p style="text-align: center;">პარი 58</p> <p>233. მოლარეთხუცის ქა- მაგირი (გვ. 196)</p> <p style="text-align: center;">—</p>	<p style="text-align: center;">—</p> <p>233. მოლარეთხუცისა ქა- მაგირი (69v)</p> <p style="text-align: center;">—</p>	<p style="text-align: center;">—</p> <p>233. მოლარეთხუცის ქამა- გირი (95r)</p> <p style="text-align: center;">—</p>
<p>234. კონისა (გვ. 57)</p> <p>...ერთი კათალიკოსის აზ- ნაურშვილი თაზისშვილი უნდა იღვეს... (გვ. 57)</p>	<p>234. კონისა (19r)</p> <p>...ერთი კათალიკოსის აზ- ნაურ შვილი თაზისშვი- ლი უნდა ადგეს... (19r)</p>	<p>234. კონისა (26v)</p> <p>...ერთი კათალიკოსის აზ- ნაურშვილი თაზისშვი- ლი ადგეს (26v)</p>

<sup>1</sup> ბოქაელთუხუცეების სარგო მოყვანილია ზემოთ (იხ. № 98). ბაგრატ ბატონიშვილის მინა-  
წერს ბარკულად ალექსანდის ხელნაწერში ვხვდებით და შემდეგ კი ალექსიძიდან მომდინარე ხელნა-  
წერებში. <sup>2</sup> M-სა, S-სა და K-ში ეს მუხლი შემოკლებულია. J-სა, D-სა და A-ში კი ვრცლადაა



J	D	A
<p style="text-align: center;">—</p> <p style="text-align: center;">რბ</p> <p>233. მოლარეთ ხუცის სარგო (გვ. 115)</p> <p>ტექსტში სიტყვა „მოლარეთუხუცესს“ დასმული აქვს აშიაზე გატანის ნაშანი და მარცხენა აშიაზე ამ ნიშნის ქვეშ სწერია: „სხვაში ეს ორი შაური მუსტოფისა ეწერა“ (გვ. 116)</p>	<p style="text-align: center;">—</p> <p style="text-align: center;">რბ</p> <p>233. მოლარეთ ხუცის სარგოსათვის (გვ. 53)</p> <p>ქ-ის აშიაზე გატანილი სიტყვები D-ში ტექსტშია (გვ. 53)</p>	<p>ტექსტში სახელს „შაპუელიზნს“ დასმული აქვს სქოლიოში ჩატანის სანიშნებელი და ამ სანიშნების ქვეშ ბაგრატ ბატონიშვილის ხელით სწერია: „ეს სახელი მეფე ვახტანგს 6-ს ერქვა ოდეს იყო თათრად“<sup>1</sup></p> <p>გვ. 21)</p> <p style="text-align: center;">რბ</p> <p>233. მოლარეთუხუცის სარგოსათვის (გვ. 83)<sup>2</sup></p> <p>ქ-ის აშიაზე გატანილი სიტყვები A-ში ტექსტშია (გვ. 83)</p>
<p style="text-align: center;">ოზ</p> <p>234. კონისა (გვ. 38)</p> <p>...ერთი კათალიკოზის აზნაურშიელი თამაზის შვილი უნდა იდგეს... (გვ. 81)</p>	<p style="text-align: center;">ოზ</p> <p>234. ყაჩაღის კონისათვის</p> <p>...ერთი კათალიკოზის აზნაურშიელი თამაზის შვილი ან ანჩისხატის დეკანოზის შვილი მესხი-შვილი ამ ორში ერთ-ერთი იდგეს (გვ. 38—39)<sup>3</sup></p>	<p style="text-align: center;">ოზ</p> <p>234. ყაჩაღის კონისათვის (გვ. 60)</p> <p>...ერთი კათალიკოზის აზნაურშიელი თაზის შვილი ან ანჩისხატის დეკანოზის შვილი მესხიშვილი ამ ორში ერთ-ერთი იდგეს... (გვ. 60)</p>

წარმოდგენილი. \* სიტყვები: „ან ანჩისხატის დეკანოზის შვილი მესხიშვილი ამ ორში ერთ-ერთი“ პირველად გვხვდება D-ში და შემდეგ კი XIX საუკუნის აველა ზელნაწერში.

ჩვენ სრულად მოვიყვანეთ ხელნაწერების განსხვავება დასათაურებას მიხედვით. ამასთანავე, სათაურების გარდა სხვა განსხვავებაც ვაჩვენებთ თავის ადგილზე, მაგრამ ვარიანტული სხვაობა არ მოგვიყვანია. ასეთი სხვაობა მოყვანილი იქნება გამართული ტექსტის სათანადო შენიშვნებში.

ხელნაწერების შედარებისას გამოირკვა, რომ ოთხი მათგანი, სამი საგ-ნობრივი (M, S და K) და ერთი ანბანური სისტემით შედგენილი (J), ორთოგრაფიულად ზუსტად ერთნაირ საფუძველზე დგას. ამ მსგავსებამ განსაკუთრებით იმაში იჩინა თავი, რომ უბრჯგუ და მ ამ ოთხიდან არც ერთ ხელნაწერში არ არის გამოყენებული, ამასთანავე, ოთხივე ხელნაწერში ნახმარია როგორც კ, ისე ხ, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ J ხელნაწერში უფრო ხშირია შემთხვევა, როცა კ-ს ნაცვლად, ხ იხმარება.

გარდა აღნიშნულისა, როგორც ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი, S და K ხელნაწერი ზუსტად მისდევს ერთმანეთს, ხოლო M და J ხელნაწერები ხშირად ამჟღავნებენ ერთმანეთთან მსგავსებას. საფიქრებელია, რომ პირველი ანბანური წესით შედგენილი ხელნაწერია.

მოყვანილი ცხრილის მიხედვით შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება.

პირველყოელისა, საჭიროდ მიგვაჩნია მიუუთითოთ ისეთ ადგილებზე, რომლებიც მხოლოდ მირველ თუმანიშვილის ხელნაწერშია. ასეთი ადგილებია:

1) ყულარალასის გარიგება ყველა ხელნაწერშია, ხოლო ყულებოს სია — მხოლოდ M ხელნაწერში (გვ. 3).

2) შათირების გარიგების ბოლოში M ხელნაწერში არის: „ჩვენი საჯინბოს გარდალუსა მოქალაქებს აქეს. შათირები ქარხნის ნაზირის თაბუნი არ არის“ (გვ. 27).

3) სახლთუხუცესის სარგო უფრო ვრცლადაა მოცემული M-ში (გვ. 192).

4) თრიალეთის სოფლების საზღვრები ვრცლად მხოლოდ M ხელნაწერშია წარმოდგენილი (გვ. 206—215).

5) ატენის ხევისთავის დებულება (გვ. 165) მხოლოდ M-შია.

6) თრიალეთის გარიგებიდან მხოლოდ M-შია შემონახული თრიალეთის ბაჟის განაწესი (გვ. 179). ამასთანავე, მრავალი ადგილი M-ში უფრო ვრცლად არის მოცემული.

M-ში არ არის: 1) აჯილდის შიგამდევი და ზინდრები (მუხ. 167), სხვა ხელნაწერებში კი არის (S 11 var 63v, K—15v, J გვ. 2, D გვ. 2, A—გვ. 4).

2) ქვევრის მრეცხელის შესახებ განაწესი არის S-ში (17v) და K-ში (9 vl).

3) ქალის მწვანილის ბაჟის განაწესის ბოლოს ყველა ხელნაწერში (S 37r, K 47r, J 208, D 64, A 140) არის მინბაშის სარგო, M-ში კი არა.

4) ამილახვარის შესახებ დებულება არის მხოლოდ S (36r) და K (48r) ხელნაწერებში

5) M-ში წერია: „წესი არს“ (გვ. 48). დანარჩენ ნუსხებში დამახინჯებულია: „წესიერს“, S 73 r, K 100r, J § ლა, სხვა ნუსხებში § ლბ.

6) კოდის პურის შესახებ დებულება სრულად მხოლოდ M ხელნაწერშია მოცემული (გვ. 98—99). S და K-ში სულ არ არის, ხოლო დანარჩენ ნუსხებში შემოკლებითაა, J § 3 (დანარჩენ ნუსხებში — §-ით).

7) M, S 1var და K ხელნაწერებს აკლია ერთი ადგილი ბოლნისის გარიგებიდან (მუხ. 109).

8) SK M-ში არის შემონახული ალექის დებულების ბოლო წინადადება: „ალექის მუშაზე, პური კოდი ია“. მუხ. 110.

9) „სამართლიანი ბატონის თერთმეტს თავი“ მხოლოდ M-შია, მუხ. 113.

10) „ღვინო ნაკვევარ კოკა გასამყრელო მარჩილი თავის... ბატონის ათის-თავი. მის დროს იქ რომ იყოს... ძღვენი“. მხოლოდ M-შია, მუხ. 113.

11) ატენის მოურავის ხევისთაობის შესახებ მოზრდილი ადგილი დაწყებული სიტყვებიდან „ატენის კევზედ“ და დამთავრებული სიტყვებით „იმრაგად იქვეისთაოს“ მხოლოდ M-შია (მუხ. 117, გვ. 165).

12) თრიალეთის დებულება: ერთი ადგილი დაწყებული სიტყვიდან „თრიალური“ და დამთავრებული სიტყვით „წაიღებოდეს“ მხოლოდ M-შია, მუხ. 124.

13. M-ში არის ბოლნისის დებულებიდან უკანასკნელი წინადადება: „ბოლნური ზერის სამუშაოდ პური კოდი კე, ღვინო კოკა ლ, მუშას კოდი — კა, მეზერეს კოდი მე, მეზერეს კოდი იბ“. სხვა ნუსხაში ეს წინადადება არ არის. (მუხ. 109).

14) ღურნუკის დებულების ბოლო მოცემულია მხოლოდ M, S, K-ში. იგი გამოხატულია შემდეგი სიტყვებით: „ღურნუკისა პური კოდი იე. ღვინო რაც მივსცეთ ხენაში, მკაში, ლეწვაში კოდი მბ, მეზერეს კოდი კბ“. მუხ. 112.

15) M, S, K-ში 129-ე მუხლის დიდი ნაწილი არის, დასაწყისი ამ მუხლისა კი მარტო M, S, K ხელნაწერებშია მოცემული.

16) 131-ე მუხლი M ხელნაწერში არ არის.

17) M, S, K-ში მუხ. 140 არ არის.

18) M, S, K-ში მუხლი ვარიანს ხვედიანელის შესახებ არ არის.

19) M, S, K-ში შეტანილი არ არის 23-ე მუხლის ბოლო ადგილი: „მეჭლისისა ასე ქნან: რასაც სახლში ბატონმან მეჭლისი ბრძანოს, იმ მეჭლისაჲს კაცნი დასწერონ და რაც დაიხარჯოს, ის პური იმ დღეს დასწერონ და ჩაავლონ“.

საკვიროა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში M, S და K ერთმანეთს ზისდევს. ის რაც აკლია ერთ მათგანს, უმრავლეს შემთხვევაში აკლია მეორესა და მესამესაც.

ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში, როგორც მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ხშირად ტექსტი უფრო ვრცელადაა მოცემული და საერთოდ მათში პარაგრაფებიც მეტია.

ამის მიხედვით ჩვენ უნდა ვითვქროდეთ, რომ ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში სხვა დედნიდან უნდა იყოს გადმოწერილი.

რასაკვირველია, საგნობრივ და ანბანურ წესით შედგენილ ხელნაწერებს შორის არსებული განსხვავება უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში, ხშირად ვხვდებით სათაურებს, მაშინ როდესაც საგნობრივად შედგენილ ხელნაწერებში შესატყვის ადგილებზე მარტო ტექსტია მოცემული, ხოლო სათაური კი ცალკე გამოყოფილი არ არის. ცხრილში ასეთი განსხვავება აღნიშნულია, მაგრამ ამას ჩვენ არ

ვთვლით არსებით განსხვავებად. არსებითად მიგვაჩნია ისეთი განსხვავება. როცა ერთ ხელნაწერში რომელიმე პარაგრაფი ან მისი ნაწილი არის, მეორეში კი არა.

ის გარემოება, რომ M ხელნაწერში ხშირად ვარიანტებთან გვაქვს საქმე. იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ გადამწერს ისეთი დედანი ჰქონდა ხელთ, რომელშიაც მოკლე და ვრცელი ვარიანტები იყო მოცემული. თვითონ დედანში კი, ანუ პირველ წყაროში, ასეთი ვარიანტები არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ისწავება კითხვა: რატომ უნდა წარმოშობილიყო ხელნაწერში საერთოდ პარაგრაფების განმეორება?

ხელნაწერში ზოგჯერ ისეთ განმეორებასთან გვაქვს საქმე, რომ ძნელდება კადეც განმეორებულის ვარიანტად ჩათვლა.

საფიქრებელია, რომ პირველ თუმანიშვილს ხელთ ჰქონდა რამდენიმე დედანი. ზოგიერთ მათგანში ესა თუ ის ადგილი შემოკლებითა და თანმიმდევრობის დარღვევით იყო მოცემული, რის გამოც გადმოწერის დროს შეიძლება ადგილი ჰქონოდა განმეორებას. რასაკვირველია, ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში განმეორება გამორიცხული იყო, რადგანაც თვით ანბანი ამ შემთხვევაში ერთგვარ კონტროლის საშუალებას იძლეოდა.

უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც განმეორებას ადგილი აქვს S და K ხელნაწერებშიც. ამასთანავე, მათში პარაგრაფების თანმიმდევრობა განსხვავებულია იმ თანმიმდევრობისაგან, რომელიც დაცულია M ხელნაწერში. ეს გარემოება კი იმაზე მეტყველებს, რომ შესაძლებელია M ხელნაწერის გადამწერს ისეთი ხელნაწერებით ესარგებლოს, რომლებშიაც პარაგრაფების თანმიმდევრობა სხვადასხვაგვარად იყო წარმოდგენილი. M-ში ვარჩევთ სამ ვარიანტს, რომლებიც გადაწერილია ერთი და იგივე ხელით. თუ ხელნაწერში, რომელიმე პარაგრაფი მხოლოდ ერთი ვარიანტით არის წარმოდგენილი (ასე არის უმრავლეს შემთხვევაში), მაშინ ვუთითებთ M ხელნაწერზე ვარიანტის მოუხსენებლად. როცა ერთი ან რამდენიმე ვარიანტია, მაშინ კი ვასახელებთ თვითეულ მათგანს.

## \* 2. სულხან მდივნის ნუსხა (S)

„დასტურლამალის“ სულხან მდივნის ხელნაწერი, რომელიც ჩვენ აღნიშნული გვაქვს ლათინური S-ით („სულხანის“ პირველი ასო), ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. აკეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S — 4738).

ხელნაწერის ზომაა 31× 21,5 სანტ., ქაღალდი კარგია და ჩასმულია მუჯაოს ყდაში, რომელსაც გადაკრული აქვს ტყავი.

ხელნაწერი შეიცავს 78 ფურცელს და დანომრილია ფანქრით. ქაღალდის უკირნიშანი უჩვენებს სამ ნახევარ მთვარეს. შესრულებულია ულამაზო მხედრული ხელით, საწერად გამოყენებულია შავი მელანი. სათაურები, სიაში პირველი ასოები და ზოგჯერ აბზაცის პირველი სიტყვები მოცემულია სინგურით. ყოველი სიტყვის შემდეგ სასვენ ნიშნად დასმულია ორი წერტილი. შესწორება-ჩამატებაში ორი წერტილის გარდა, ზოგჯერ წერტილიც იხმარება.

ფანქრით შესრულებული ნუმერაცია, როგორც ჩანს, შემდეგშია გაკეთებული. ხელნაწერში არის ნუმერაცია თვითეული 8 ფურცლის მიხედვითაც. 2r-ს აწერია ა, 10r-ზე — ბ, 18r-ზე — გ, 26r-ზე დ, 34r-ზე — ე, 42r-

ზე — ვ, 52r-ზე — ზ (ამ შემთხვევაში 8 ფურცლის ნაცვლად 10 ფურცლის შემდეგ არის დასმული (ასო — ზ) 60r-ზე — მ, 66r-ზე — თ (აქ კი 8 ფურცლის ნაცვლად, რვეულად 6 ფურცელი არის ჩათვლილი), 74r-ზე — ი (ასოს (ი) ქვეშ არის მხოლოდ ხუთი ფურცელი).

ტექსტი იწყება 2r-ზე.

პირველ ფურცელზე, რომელიც ამოვარდნილია, გაკეთებულია მინაწერები: „ეს წიგნი სულხან მდივნისა არის“. შემდეგ იმავე გვერდზე კვითხლობთ: „ქ. ესე წიგნი მოგართვი სიბრძნემან მამისამან, მხოლოდ შობილმან ძემან-ღ-ისამან ყ-დ კეთილმან ღ-თან მოგანიჭოს ზეგარდმოითა წყალობითა ნიქნი კეთილნი უფალო თავადო დარჩი ბებუთოვო“. ცოტა ქვემოთ არის მოთავსებული ამავე შინაარსის სომხური წარწერა.

2r-ს მარცხენა აშიაზე წერია: „ეს დედანი დასტურლამალისა (როგორც წინა ფურცელზე წერია სულხან მდივნისა), მქონდა პირველად დაბეჭდვას დროსა და ამ დედნის ვარიანტები დაიბეჭდა დასტურლამალის პირველ გამოცემაში ჩემის რედაქტორობით 1886 წელსა 10 მკათათვეს, ტფილისი, პეტრე უმიკაშვილი. ფრად შესანიშნავი დედანია და კარგი შენახვა უნდა საძუდამოდ დასაცველად. პეტრე უმიკაშვილი“.

2v-ზე სხვა ფერის მელნით მარცხენა აშიაზე სათაურის მსგავსად მიწერილია: „ხელჯობიანებისა“. 3r-ზე სიაში 5 გვარსახელი სხვა ფერის მელნით არის შესრულებული, აგრეთვე 3v-ზე 8 გვარსახელი ასეთივე ტექსტისაგან განსხვავებული ფერის მელნით არის დაწერილი, 4r-ზე არის აგრეთვე სხვა ფერის მელნით შესრულებული ჩამატებული ადგილი.

4v-ზე და 5r-ზე თვითოეულზე ხუთი გვარსახელი გადახაზულია.

6r-ზე არის სხვა მელნით მიწერილი ადგილები, მაგრამ მთელი გვერდი გადახაზულია.

6v-ზე გადახაზულია 11 სტრიქონი. 7v-ზე ერთი გვარსახელი გადახაზულია და მის მაგიერ სხვა არის ჩაწერილი ტექსტისაგან განსხვავებული ხელთა და მელნით.

8r-ზე არის ჩამატებული ადგილები. 9v-ზე გადახაზულია ერთი გვარსახელი, 10r-ზე არის სხვა ხელითა და სხვა მელნით ჩამატებული ადგილები. 12v-ზე გადახაზულია „ენაგელი ასლანა“ და ეს გვარსახელი გადატანილია 12r-ზე (ბოლოს არის მიწერილი).

14v-ზე არის ჩამატებული ადგილები.

19r, 20r, 24r, 24v, 26r, 27v, 28r, 28v, 33v, 35r, 37r, 38v, 39v, 45r, 45v, 48v, 51r, 51v, 53v, 57v, 58r, 58v, 59r, 59v, 60r, 60v, 61r, 62r, 62v, 64v, 65r, 67r, 67v, 68r, 68r, 72r, 72v, 73r, 73v, 74v, 77v, 78r და 78v გვერდებზე არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები, რომლებიც შესრულებულია სხვა მელნით.

გვერდებზე არის უბრალო და ლურჯი ფანქრით მინაწერები, რომლებიც პეტრე უმიკაშვილის მიერ უნდა იყოს შესრულებული: 19r-ზე „ქოდავის რაგის“ გასწვრივ წერია: „ეს ნაკლებია; კიდევ არის ქვემოთ 86 დაბეჭდ“. მართლაც „ქოდავის რიგი“ ქვემოთ უფრო ვრცელადაა მოცემული. „86 დაბეჭდ“ ნიშნავს პ. უმიკაშვილის რედაქციით გამოქვეყნებული „დასტურლამალის“ 86-ე გვერდს, სადაც მოთავსებულია დებულება ქოდავის შესახებ.

30r-ზე ბოლოში მარჯვენა აშიაზე წერია: „აქედან ეს ბოლო არის სტრიქონი უკანასკნელ ფურცელ.“ (კარგად არ იკითხება): 36r-ს ზემო აშიაზე

კვითხულობთ: „ამოსწერეთ“. ამავე გვერდის მეორე ადგილას „ამილახორის“ დებულების პირდაპირ მიწერილია: „აქედამ გამოსწერეთ“, პირველი სიტყვა ლურჯი და მეორე უბრალო ფანქრით არის შესრულებული.

36v-ზე ამილახორის შესახებ მოყვანილი დებულების დასასრულს მიწერილი აქვს „აქამდის“. 38r-ზე: „20 გვ. დაბეჭდ“. 44r-ზე: „დავწერეთ. დასაბეჭდია“. გარდა ამისა, ზოგიერთ გვერდზე დასმულია „X“ ან სხვა ნიშანი. ყველაფერი ეს შესრულებული უნდა იყოს პეტრე უმიკაშვილის მიერ, მაშინ როცა იგი „დასტურლამალს“ სულხანის ხელნაწერიდან აწყობინებდა სტამბაში. პ. უმიკაშვილი აღნიშნული მინაწერებითა და ნიშნებით ასოთა აწყობებს უჩვენებდა სულხან მდივნის ხელნაწერის განსხვავებულ ადგილებს, რომლებიც სხვა შრიფტით უნდა დაბეჭდილიყო, როგორც განსხვავებული ვარიანტი.

განცვიფრებას იწვევს ასოთააწყობის გულმოდგინება. იგი კრკვეოდა ხელნაწერის ვარიანტებში და დამოუკიდებლად კითხულობდა ისეთ ადგილებს, რომლებსაც მხოლოდ სპეციალისტი თუ გაარჩევდა დიდი დაკვირვების შედეგად.

როგორც ვთქვით, 74r-ის თავზე ზედა აშიაზე აწერია რვეულის სათვალავის აღმნიშვნელად ი. ამ ნაწილში არის მხოლოდ ხუთი ფურცელი. 74r და 74v გვერდების შემცველი ფურცელი შინაარსის მიხედვით ადგილზე არ არის. სხვა ხელნაწერებთან შეჯერების შედეგად გამოირკვა, მისი ადგილი 10r და 10v გვერდების შემცველი ფურცელია. იქ სადაც თავდება ნალარახანის მოხელეების სია (9v-თი), უნდა იწყებოდეს დებულება სარქარბაშისა და სარქრების შესახებ (სულხან მდივნის ხელნაწერის ნუმერაციით 74r) და ასე უნდა გრძელდებოდეს. ეს ფურცელი (74r და 74v) ამოვარდნილია. ამოვარდნილია აგრეთვე უკანასკნელი ორი ფურცელი (77r, 77v და 78r, 78v).

როგორც ვნახეთ, ხელნაწერი უთარიღოა. ფრიად საყურადღებოა გაზიარებულს თუ როდის არის სულხან მდივნისეული ხელნაწერი შესრულებული.

პირველად სულხან მდივნის ხელნაწერს პ. უმიკაშვილი შეეხო. მისი გადმოცემით ეს ხელნაწერი რევაზ შალვას ძე ერისთავისა ყოფილა. მას იგი დიმ. ბაქრაძისათვის გადაუცია, რომლისაგანაც პ. უმიკაშვილის მიუღია<sup>1</sup>. დეფექტურობის გამო, პ. უმიკაშვილს აღნიშნული ხელნაწერი ვერ დაუღვია თავისი გამოცემის საფუძვლად, მაგრამ განსხვავებული ადგილები ვარიანტების სახით მაინც მოცემული აქვს თავის გამოცემაში<sup>2</sup>. ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ პ. უმიკაშვილის მინაწერი, რომ ხელნაწერი შესანიშნავია. იმავეს იმეორებს თავის გამოცემაშიც. თარიღის შესახებ კი ამბობს, რომ სულხან მდივნის ხელნაწერი, როგორც „საგანთა შინაარსის კვალობაზე“ დალაგებული „უფრო ძველი ნაწერია“ ვიდრე მელიქიშვილისეული<sup>3</sup>.

სულხან მდივნისეული „დასტურლამალს“ ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იგი მართებულად თვლის, რომ ხელნაწერის პირველი ფურცლის r-ზე მინაწერები ხელნაწერის კუთვნილებისა და მისი დარჩია ბებუთოვისათვის მირთმევის შესახებ უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. „გადაწერილი და გადაწერის თარიღი არ არის ნაჩვენები. ქალაქის ფილიგრანი უჩვენებს სამ

<sup>1</sup> დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გვ. V.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 131—157.

<sup>3</sup> იქვე, გვ. V.

ნახევარმთვარეს; ხელნაწერი უსათუოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრი-საა<sup>1</sup>. რაზე ამჟარებს თავის კატეგორიულ მოსაზრებას ხელნაწერის თარიღის შესახებ ე. თაყაიშვილი, არა ჩანს.

„დასტურლამალის“ სულხან მდივნისეული ხელნაწერი განხილული აქვს თავის შრომებში აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილს<sup>2</sup>. იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სულხანის ხელნაწერი, როგორც შინაარსის მიხედვით დალაგებული, უწინ არის წარმოშობილი, ვიდრე ანბანური წესით შედგენილი ხელნაწერები<sup>3</sup>.

ხსენებული ხელნაწერის თარიღის შესახებ განსვენებულ მეცნიერს სხვა არაფერი აქვს ნათქვამი.

ი. ლორთქიფანიძე იხილავს სულხან მდივნის ხელნაწერს და გამოთქვამს თავის მოსაზრებას საერთოდ „დასტურლამალის“ შედგენის შესახებ: „სამეფო დასტურლამალის ტექსტის შედგენა, — წერს იგი, — ასე უნდა წარმოვიდგინოთ: პირველად შეუდგენიათ ის ტექსტი, რომელიც შენახულია სულხან მდივნის პირვანდელ ვარიანტში, მრავალ ადგილებს გამოტოვებით; შემდეგ ეგ ტექსტი ზოგ ადგილას შეუვსიათ, ზოგ ადგილას შეუსწორებიათ ან ჩაუმატებიათ. ამ შესწორებული და ჩამატებული ტექსტისაგან შეუდგენიათ ბელიქიშვილის და იესე მდივნის ხელნაწერის ვარიანტების დედანი და ბოლოს შეუდგენიათ ალექსი მესხიშვილის ვარიანტის ტექსტი“. ამ ვარიანტების დროის განსაზღვრა, ი. ლორთქიფანიძის აზრით, ჭერჭერობით ძნელია. „ერთადერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: ეს ვარიანტები დროის მიხედვით მეტად დაშორებულნი არ არიან ერთი მეორისაგან, რადგან მოხელეთა გვარები, სახელები და მათი თანამდებობანი, მცირე გამოწკლისის გარდა. თითქმის ერთი და იგივეა ორთავე ვარიანტში“<sup>4</sup>.

მეწინავე სადროშოს 1721 წლის აღწერაში ნახსენებია მდივანი სულხანი, რომელსაც ი. ლორთქიფანიძე თუმანიშვილად მიიჩნევს. ავტორი აღნიშნავს, რომ სულხანი იხსენიება 1736 წლის ერთი საბუთში. ამ სულხან მდივანს, — წერს ი. ლორთქიფანიძე, — ეკუთვნის დასტურლამალის უძველესი ვარიანტი<sup>5</sup>.

მაშასადამე, ი. ლორთქიფანიძე ხელნაწერს XVIII საუკუნის პირველ ნახევრით ათარიღებს.

სულხან მდივნისეულ ხელნაწერს ეხება თავის გამოკვლევაში პროფ. ვ. გაბაშვილიც. მისი აზრით, ჩამატება-შესწორებანი ხელნაწერში შეტანილი უნდა იყოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის „დასტურლამალის“ ხელნაწერების მიხედვით<sup>6</sup>.

ავტორის მიხედვით, ეს ჩამატებანი ძირითად ტექსტისაგან განსხვავებული ხელით უნდა იყოს შესრულებული. იგი შენიშნავს, რომ სულხან მდივნისა და იესე მდივნის ხელნაწერების სარჩევი ერთი და იგივეა, ამასთანავე სულხან მდივნის ხელნაწერის სარჩევი შედგენილია ხელნაწერის შემსწორებელ-შემავსებლის ხელით<sup>7</sup>.

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Описание рукописей..., т. II, 1906—1912, стр. 698—699.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1928 წ., I, გვ. 73—81; მიხევე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930 წ., 51—52.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1928 წ., I, გვ. 77.

<sup>4</sup> ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი. 1935 წ., I, II გვ. 11—12

<sup>5</sup> მისივე, III, IV, 1938, გვ. 388—389.

<sup>6</sup> ვ. გაბაშვილი, დასტურლამალი, 1729 წ. ხელნაწერი („მასალები საქართველოსა და აკასიის ისტორიისათვის“, 30, 1954, გვ. 93—95).

<sup>7</sup> იქვე.

3. გაბაშვილს აღწერილი აქვს სულხანის ხელნაწერი, მაგრამ ძირითად ტექსტის თარიღია შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი.

ასეთი მოსაზრებაა გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში ხელნაწერის თარიღის ირგვლივ.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

ცნობილია ის გარემოება, რომ თუმანიშვილები მეფის მდივნები იყვნენ. გიორგი XII ეგნატი თუმანიშვილს მდივნობას უბოძებს და ბოძების სიგელში თუმანიშვილების მისამართით წერს: „როდესაც ბაგრატიონი მეფე საქართველოში მეფედ დადგინებულა, ამავე მეფისაგან თქვენს ოჯახს მდივნობა ჰბოძებია და მას აქეთ თქვენს ოჯახში მდივნობა არის“<sup>1</sup>.

ეს გადაჭარბებული უნდა იყოს, მაგრამ ის კია, რომ XVII—XVIII საუკუნეებში თუმანიშვილები ხშირად არიან მდივნებად მოხსენებულნი. ჩვენთვის საყურადღებოა XVIII საუკუნის მდივნები, რომლებიც სულხანის სახელით არიან ცნობილნი, რადგანაც „დასტურლამალი“ XVIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი.

სამწუხაროდ, თუმანიშვილების გენეალოგია დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის, რომ დახმარება გავეციოს საკვლევ საკითხის გარკვევაში.

1884 წლის უერნ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული იყო მოკლე ცნობა იმის შესახებ, რომ თუმანიშვილები მოვიდნენ კილიკიიდან, დასახლდნენ გილანში, საიდანაც გადმოვიდნენ საქართველოში და საცხოვრებლად უბოძეს ხელთუბანიო. „წელსა 1726-სა, — ვკითხულობთ მასში, — ოდეს განასხნა ნადირმან ორბელინი საქართველოდან ამათ (თუმანიშვილების — ი. ს.) გვარნი იწოდენ მდივნებად მეფისა თეიმურაზ მეორისა და მსახურებდენ“<sup>2</sup>.

რა წყაროებს ემყარება ამ ცნობის ავტორი არ ჩანს, ის კი ვიცით, რომ 1726 წლის უწინაც სულხანი (თუმანიშვილებიდან) მეფის მდივანი ყოფილა.

ა. ხახანაშვილის აზრით, თუმანიშვილები კილიკიიდან მოსულან ვანში, საიდანაც გილანში გადასახლებულან. აქ თუმანიშვილების წინაპარი ტუმანად იწოდებოდა. მიღებული ჰქონია III ხარისხის თავადობა. ამ წინაპრის სახელს ატარებენ თუმანიშვილებით, ასკენის ა. ხახანაშვილი<sup>3</sup>.

ბ. დოღგორუკოვის ცნობით, თუმანოვი ძველი გვარია, მისი წარმომადგენლები საქართველოში XIII საუკუნეში მოსულან და მამულად ხეითუბანი მიუღიათ (Хейт-убანი)<sup>4</sup>. ეს მოკლე ცნობები, რომლებიც მოყვანილია წყაროების უჩვენებლად, არაფერს გვეუბნება XVIII საუკუნის სულხან მდივნეზის შესახებ.

გ. უმიკაშვილი დაინტერესებულა თუმანიშვილების გენეალოგიით და 1901 წელს კონსტანტინე მიხეილის ძე თუმანიშვილისაგან გადმოუღია თუმანიშვილების საგვარეულოს გენეალოგიური რუკა, რომელიც კონსტანტინე თუმანიშვილს 1815 წელს თავის მხრივ მაიორ დავით თუმანიშვილისაგან გადმოუწერია. ამ რუკაში 90-მდე თუმანიშვილია წარმოდგენილი, რომელთა წინაპრადაც მამუკა თუმანიშვილია მოხსენებული. რომელ საუკუნეში ცხოვ-

<sup>1</sup> „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. I, შოთა მესხიას რედაქციით, 1948 წ., გვ. 37.

<sup>2</sup> უერნ. „ივერია“, №№ 5 და 6, 1884.

<sup>3</sup> „Грузинские дворянские акты и родословные росписи“, А. С. Хаханова, 1893, стр. V.

<sup>4</sup> П. Долгоруков, Российская родословная книга, ч. III, 1856, стр. 483.



რობდა მამუკა, ეს არ ჩანს. საერთოდ წლები იშვიათად არის აღნიშნული რუკაზე და ისიც მხოლოდ XIX საუკუნის თუმანიშვილებს აქვთ მიწერილი. მაგალითად, მიხეილ თუმანიშვილს მიწერილი აქვს 1818—1875 წელი. ამასთანავე დაახელებულია მიხეილის ერთ-ერთი ასული ანასტასია, გ. წერეთლის მეუღლე, „ჩეჭილის“ რედაქტორი.

ამ თუმანიშვილებში ორი სულხანია დასახელებული. ერთი მათგანი თუმანიშვილების წინაპრის — მამუკას შვილისშვილია. მას ყოლია შვილი შიოში, შიოშს — სვიმონი, სვიმონს — ნიკოლოზი, ხოლო ნიკოლოზს — სულხანი<sup>1</sup>. ეს ორივე სულხანი რუკის მიხედვით დაახლოებით XVIII საუკუნის მოღვაწენი უნდა ყოფილიყვნენ.

გარდა იმისა, რომ XVIII საუკუნეში ორი სულხანი ყოფილა, სხვა რამეს ეს რუკა ვერაფერს გვეუბნება, საბუთების მიხედვით კი XVIII საუკუნეში რამდენიმე (სამი მაინც) სულხანია დამოწმებული.

იმის გამოსარკვევად, თუ რომელ სულხანს ეკუთვნოდა, ან რომელი სულხანის მიერ იყო გადაწერილი „დასტურლამალის“ ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო ხელნაწერი, მივმართეთ ამ უკანასკნელს იმ საბუთების ხელისათვის შედარებას, რომელიც XVIII ს. სულხან მდივნებს ეკუთვნის.

1707 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში ვკითხულობთ: დაიწერა „ხელითა... მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის სულხანისათა“<sup>2</sup>. ეს არის კონსტანტინე მეფისა და მისი ძმის თეიმურაზის (შემდეგში თეიმურაზ II) ბოძების სიგელი. იმავე მეფის მიერ, იმავე წლის ბოძების სიგელი დაწერილია მდივანმწიგნობრის სულხანის მიერ<sup>3</sup>.

ერთ საბუთს გაკეთებული აქვს დედოფალთ-დედოფლის რუსუდანის მდივან-მწიგნობრის სულხანის წარწერა<sup>4</sup>. ეს წარწერა შესრულებული უნდა იყოს 1711—1722 წლებს შორის, როდესაც ვახტანგ VI მეფედ დროგამოშვებით იყო და მის მეუღლეს რუსუდანს შეეძლო ეტარებინა დედოფალთ-დედოფლის ტიტული. არის აგრეთვე თეიმურაზ II და ანახანუმის ბოძების ერთი სიგელი: დაწერილი „ქელითა მდივნიშვილის სულხანისათა“<sup>5</sup>.

1737 წლის ნასყიდობის ხელწერილის მარცხენა აშიაზე მიწერილია: „ქ. მე მდივანი სულხან ამისი მოწამე ვარ“. იქვე დასმულია ბეჭედი პატრონის სახელის წარწერით<sup>6</sup>.

1737 წლის საბუთზე მიწერილია: „მე მდივანი სულხანი ამისი მოწამე ვარ“<sup>7</sup>.

მოიპოვება აგრეთვე სულხანის წერილი მელიქისადმი ფულის მიცემის შესახებ (1745 წ.)<sup>8</sup>.

ერეკლე II 1772 წლის ერთი სიგელი შედგენილია „მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის სულხანისათა“<sup>9</sup>.

1 საქართველოს სსრ მეც. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S, 5245.

2 სსსრ ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 596.

3 იქვე, ფ. 1448, № 1472.

4 „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 97.

5 სსსრ ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 505.

6 კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—1241.

7 საქ. ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, № 3908.

8 საქ. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 2092.

9 „ „ „ „ ფ. 1448, № 25.

1778 წლის სიგელი შედგენილია „გორჯასპის მდივნის ძის თუმანიშვილის სულხანის მიერ“<sup>1</sup>.

1778 წლის ერთი სიგელი II ერთი ბოძების სიგელი შესრულებულია „ქელითა მდივან მწიგნობრის ბეგთაბეგის ძის სულხან ფეშქაშნივისათა“<sup>2</sup>.

1779 წლის ერთი საბუთი დაწერილია „მდივანმწიგნობრის ბეგთაბეგის ძის სულხანისათა“<sup>3</sup>.

1779 წლის საბუთში წერია, რომ ის „მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის სულხანის“ მიერ არის შედგენილი<sup>4</sup>.

1793 წელს ერთი სიგელი დაწერილია „მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის პირველი მდივნის სულხანისათა“<sup>5</sup>.

სულხანის ერთი წერილი თავისი სიძის მერაბ ადასათვის ჩელიექიდან 15 თუმნის მიცემის შესახებ 1794 წლით არის დათარიღებული<sup>6</sup>.

ერთი სიგელი II 1795 წლის ბოძების სიგელი დაწერილია „თუმანიშვილის სულხანისათა“<sup>7</sup>.

„დასტურლამალის“ სულხან მდივნის ხელნაწერისა და მოყვანილი საბუთების ხელის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ორივე შემთხვევაში ხელი ულამაზოა. ასობის მოყვანილობის მხრივ „დასტურლამალის“ ხელნაწერას ხელი ემსგავსება XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლების საბუთებს. მაგრამ, ამ პერიოდის (1737 წ.) მხოლოდ ორი საბუთი გაგვჩანია, რომლებზედაც სულ რამდენიმე სიტყვაა მიწერილი და ეს შედარებისათვის საკმარის მასალად არ გამოდგება. ამასთანავე, ასობის გადაბმისა და მოხაზულობის მხრივ „დასტურლამალის“ ხელნაწერი XVIII ს. მეორე ნახევრის სულხან მდივნის ხელნაწერთანაც ამუღავნებს ერთგვარ მსგავსებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთებშიც, რომლებსაც სულხანის ხელწერა გააჩნიათ, საკმარის რაოდენობით არ მოგვეპოვება, რათა დაწერილებით შეგვესწავლა მათი ხელწერა.

ჩვენ ვთქვით, რომ სულხან მდივნისეული ხელნაწერი დროდადრო სწორდებოდა და ივსებოდა. მაშასადამე, ერთხელ გადაწერილი შემდეგში ჩამატება-შესწორებებს განიცდიდა.

ეს აშკარად ჩანს თვით ხელნაწერიდან, რომელშიაც ვხვდებით ასეთ გამოთქმებს: „დედანი დახეული იყო“, დედანი ვიპოვეთ“ და სხვა. ამასთანავე ხშირად ცარიელი ადგილები ტექსტისაგან განსხვავებული ფერის მელნითა შევსებული, ხოლო ხშირად ძველი ტექსტი გადახაზულია და ახლად არის ჩამატებული. ზოგჯერ სტრიქონებს ზევით, ან აშიაზე გაკეთებულია მინაწერები.

მეტად საყურადღებოა გაირკვეს, ვის ეკუთვნის ტექსტში შეტანილი შესწორება-ჩამატებანი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამატება-შესწორებათა ავტორის ხელი საერთოდ ჰკავს ხელნაწერის ხელს, დაწერილებითი შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ მათი ავტორები სხვადასხვა პირები არიან. აღნიშნულს ნათლად მოწმობს

1 საქ. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, № 3170.

2 „ „ „ „ ფ. 1448, № 1499

3 „ „ „ „ ფ. 1448, № 29

4 „ „ „ „ ფ. 1448, № 56

5 „ „ „ „ ფ. 1448, № 589

6 „ „ „ „ ფ. 1448, № 4668

7 „ „ „ „ ფ. 1448, № 1552

ზოგიერთი ასოს მოხაზულობა. ჯ-ს, ტ-ს, რ-ს და სხვა ასოების აგებულება ექვს არ ტოვებს, რომ ხელნაწერის ხელი და ჩამატებათა ავტორის ხელი სხვადასხვაა. ასე, მაგალითად, ასო ჯ-ს ხაზები ხელნაწერში არსად არ გვხვდება გადაბმული, მაშინ, როდესაც ჩამატება-გასწორებაში ჯ-ს გადაშვეთი ხაზი ყოველთვის შეერთებულ-გადანასკვულია. ეს დეტალი იმდენად და ისე დამახასიათებლად არის გაიძეოებული შესწორება-ჩამატებაში, რომ უსაძუოდ განსხვავებაზე მიუთითებს. ასევე ითქმის რ-სა, ტ-სა, ბ-სა, გ-სა და ზოგიერთ სხვა ასოს შესახებაც. ამგვარად, შესწორება-ჩამატებები გაკეთებულია ტექსტისაგან განსხვავებული ხელით.

შესაძლებელია აგრეთვე, ჩასწორებული და შევსებული ადგილების ხელნაწერში შეტანის დროის მიახლოებითი განსაზღვრაც.

იესე მდივნის ხელნაწერში ხილის ბაჟის შესახებ გარიგება მთავრდებოდა წინადადებით: „რუსუმი აგრეე ამისაჲ აიღებენ“. როგორც ჩანს, დაინტერესებულ პირს ასე გაუგრძელებია: „და კათალიკოზსაც წილი აქვს“-ო. სიტყვა „და“-ს წინ იესე იესეს ძეს გაუყეუებია სანიშნებელი და მიუწერია: „ოსეს იესე ვსწერ, ეს რომ მოუწერიათ ჩემი ჯელი არ არის, იცანიოთ“<sup>1</sup>. სულხანის ხელნაწერში ასე წერია: „რუსუმი აგრე ამისას აიღებენ“. შემდეგ განსხვავებული ხელითა და მელნით მიწერილია: „და ამისგან კათალიკოზსაც წილი აქვს“. „და“-ს შემდეგ დაწერილია ორი ასო „კა“. დამწერს სდომებია „და“-ს შემდეგ მოეთავსებინა სიტყვა „კათალიკოზსაც“, მაგრამ გადაუფიქრია და იგი ერთი სიტყვის შემდეგ გადაუტანია (S—32 v). საფიქრებელია, რომ აღნიშნული მინაწერი გაკეთებულია იესე მდივნის ხელნაწერის მიხედვით. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო მანამ, სანამ იესე ოსეს ძე დასწერდა—მინაწერი ყალბიყო (სიყალბის გამოაშქარავების შემდეგ აღარც მინაწერს გაიმეორებდნენ). იესე ოსეს ძის ხელნაწერი კი შესრულებული უნდა იყოს XVIII ს. ორმოცდაათიანი წლების შემდეგ, შესაძლებელია 1773 წლის ახლო ხანებში. იესე ოსეს ძემ მელიქიშვილსეული ხელნაწერის „სადედოფლო დასტურლამალი“ გადაწერა 1773 წელს (პ. უმიკაშვილის მიერ მოყვანილი მელიქიშვილსეული ხელნაწერის ვარიანტში ადგილი მინაწერის სიყალბის შესახებ დატოვებულია).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ კათალიკოსის სასარგებლო მინაწერი მხოლოდ ამ ორ ხელნაწერშია. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იესე მდივნის ხელნაწერიდან კი არ გადმოუღია ეს მინაწერი სულხანის ხელნაწერის ჩამატებელ-შემსწორებელს, არამედ პირიქით — სულხანისეული ხელნაწერის ჩამატება-შესწორების, კერძოდ, კათალიკოსის სასარგებლო მინაწერის შესრულების შემდეგ არის ის გადატანილი იესეს ხელნაწერში?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად გავარჩიოთ იესე მდივნის კიდევ ერთი მინაწერი. იესე მდივნის მინაწერში მოლარეთხუცესის სარგოს გარიგებაში არის ასეთი ადგილი: „გერაქიარალს წელიწადში ერთი კელი ტანისამოსი დანამისა, ორი შაური მოლარეთხუცისა“. სიტყვა „მოლარეთხუცისა“-ს სტრიქონს ზემოთ სანიშნებლად დასმული აქვს „0“. ეს სანიშნებელი გატანილია მარცხენა აწიაზე და წერია: „სწვამი ეს ორი შაური მუსტოფის ეწერა“.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—4532, გვ. 211.

სულხან-მდივნის ხელნაწერში, მართლაც ამ ადგილზე, მუსტოფისათვის ორი შაურია გათვალისწინებული (ასევეა მირველ თუმანიშვილისა და ყავრი-შეილისეულ ხელნაწერებშიც), მაგრამ ამასთანავე, სულხანისეულ ხელნაწერში შემსწორებელ-ჩამმატებელს ამ ადგილზე სტრიქონს ზემოთ ჩაუწერია „ახლა მოლარეთ-უხუცესობამ“ (მაშინ როდესაც აქ, როგორც ვთქვით, იესე მდივანს „მოლარეთხუცისა“ უწერია). ეს სიტყვები („ახლა მოლარეთხუცესობამ“), მაინცადამაინც არ არის ზუსტად გარკვეული, თუ რას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ამ ადგილზე სულხანის ხელნაწერის შემსწორებელს იესე მდივნის ხელნაწერის მსგავსად „მოლარეთხუცისას“ ჩამატება მოუნდომებია. ამით იმისი თქმა გვინდა, რომ სულხან მდივნის ხელნაწერის შემსწორებელ-ჩამმატებელს იესე მდივნის ან მისი მსგავსი ხელნაწერი ჰქონია ხელთ.

დავით რექტორის ხელნაწერიდან დაწყებული ანბანური წესით შედგენილ ყველა ხელნაწერში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „ორი შაური მუსტაფისა ეწერა, ორი შაური მოლარეთხუცისა“. მაშასადამე, ამ ხელნაწერებში იესე მდივნის მარცხენა აშიაზე გატანილი შენიშვნა ტექსტშია შეტანილი, მაგრამ იესე მდივნის ხელნაწერიდან მომდინარეობას აშკარად ამჟღავნებს უადგილო სიტყვა — „ეწერა“.

როგორც ვთქვით, ასეთივე შესწორება მოუნდომებია სულხან მდივნის ხელნაწერის შემსწორებელსაც. ამის მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ სულხანის ხელნაწერის შემსწორებელ-ჩამმატებელის ნამუშევარი დაახლოებით იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა იესე მდივნის ხელნაწერი შესრულდა.

„დასტურლამალის“ ხელნაწერები, როგორც ვიცით, არც ისე ბევრი არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, იესე მდივნისა და დავით რექტორისეულის გარდა, ანბანური წესით შედგენილი ხელნაწერი XVIII საუკუნისა სხვა არ ვიცით. „სადედოფლო დასტურლამალი“ XVIII საუკუნიდან შემონახული გვაქვს მხოლოდ დავით რექტორის ხელნაწერში. ამიტომ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სულხან მდივნის ხელნაწერის შემსწორებელს ხელთ ჰქონდა იესე მდივნის ხელნაწერი.

სულხანის ხელნაწერში რომ შევსებთ-ჩამატებანი ანბანური წესით შედგენილი ხელნაწერებიდან ავდატანილია, იქიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ადგილი სულხანის ხელნაწერის ჩამატებაში და ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერში ერთმანეთს ემთხვევა, რასაც 1729 წლისა და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებში ვერ ვხვდებით. მაგალითად, დებულების ნაწილი ქართლის აღწერის შესახებ მხოლოდ სულხანის ხელნაწერის შევსებულ ნაწილსა (27r) და ანბანური წესით შედგენილ ყველა ხელნაწერშია მოცემული.

ამასთანავე, სულხანის ხელნაწერის შემსწორებელს გადახაზული აქვს ძირითადი ტექსტის ის ადგილიც, რომელიც ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერის ტექსტებს არ ეთანხმება. გადახაზული ადგილის ნაცვლად მოცემულია ახალი ტექსტი ანბანური წესით შედგენილი ვარიანტის მიხედვით.

მოიპოვება კიდევ ერთი საბუთი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ სულხანის ხელნაწერის შემავსებელს სწორედ იესე მდივნის ხელნაწერი ჰქონდა ხელთ. ამის საფუძველს იძლევა სარჩევის შედარება. სულხან მდივნის ხელნაწერს დართული აქვს სარჩევი, რომელიც შედგენილია ანბანურ წესზე და შეიცავს მხოლოდ „სამეფო დასტურლამალს“. სარჩევები იშვიათ მსგავსებას იჩენენ და ამით ორივე ხელნაწერი გამოირჩევა დანარჩენი ხელნაწერებისაგან.

სარჩევის სათაური იესე მდივნის  
ხელნაწერისა

სარჩევის სათაური სულხან მდივნის  
ხელნაწერში

ქ. ზანდუკი წიგნისა ამის რომელსა  
უნდეს ძიება რიგისა და პოვნა ვიეთი-  
სამე საქმისა. პირველი თავი და შესა-  
ვალი მეფის ვახტანგისი.

ქ ზანდუკი წიგნისა ამის რომელსა  
უნდოდეს ძიება წიგნისა და პოვნ-  
ვიეთისამე საქმისა. პირველი თავი  
და შესავალი მეფის ვახტანგისა.

ამრიგად, არც ერთ ხელნაწერში ასეთი სათაური მოცემული არ არის. ის განსხვავება კი, რომელიც მოყვანილ ორ სათაურშია, იმდენად უმნიშვნელოა, რომ მხედველობაში მისაღები არც არის. აი ეს განსხვავებაც: „უნდეს-უნდოდენ“, „პოვნ-პოვნა“, „ვახტანგისი-ვახტანგისა“. ასეთი განსხვავება შესაძლებელია ან კალმის შეცდომად ჩავთვალოთ (მაგალითად „პოვნ“), ან კიდევ გადაწერის შესწორებად (მაგალითად „უნდეს“).

დანარჩენი განსხვავებანიც ასეთსავე საფუძველზეა წარმოშობილი. მოვყვანოთ ზოგიერთი მათგანი.

იესე მდივნის ხელნაწერი

სულხან მდივნის ხელნაწერი

ამასალა  
აღამათისა ძესთ ელის კაცსა  
ბაზიერთ ხუცესი და შიგამდეგი  
ბაზიერთ ხუცისა და ყარაის  
მეყორულისა  
მოქელენი როგორც უნდა მოიქცეოდენ

ამასალათ  
აღამათი სძეს ელის ნოქარს  
ბაზიერთ ხუცისა და შიგამდეგი  
ბაზიერთ ხუცისა და ყარაის მეყორუ-  
ლის სარგო  
მოხელენი როგორ უნდა იქცეოდენ

ამასთანავე, ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ სარჩევში სათაურებზე სახელწოდების ჩამოთვლას ის ასო/აქვს წარმძღვარებული, რომლითაც იწყება თითოეული სახელწოდება. მაგალითად, გვერდის შუაზე დაწერილია „დ“ რომლის ქვეშაც ჩამოთვლილია: დუქნისა, დიდ ბადისა, დაკლული ცხვირისა და ა. შ.

ამგვარი წესით მხოლოდ ამ ორ ხელნაწერშია სარჩევი მოცემული.

აღნიშნულის მიუხედავად, მოყვანილი დასაბუთებანი მაინც არ არის ისეთი, რომლებიც სავსებით გამორიცხავდეს სხვა შესაძლებლობას: 1) შეიძლება ორივე ხელნაწერს ერთი საერთო წყარო ჰქონდათ, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ და რომლისგანაც მომდინარეობს ეს მსგავსება; 2) შეიძლება სულხან-სეული ხელნაწერის შემსწორებელმა კი არ გადმოიღო იესე მდივნის ხელნაწერისაგან მოყვანილი ადგილები, არამედ პირიქით მოხდა.

ყველაფერი ეს დასაშვებია, მაგრამ უფრო მართებულად ჩვენ მაინც ის მიგვაჩნია, რომ სულხანის ხელნაწერში ჩამატება-შესწორებანი იესე მდივნის ხელნაწერის შესრულების შემდეგ ახლო დროში უნდა იყოს გაკეთებული. ამასთანავე, თვითონ იესე ოსეს ძის ხელნაწერის დაზარალებაც თავისთავად ძნელი საკითხია. აღნიშნულის შესახებ ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი.

არც კვირნიშანი გვაძლევს სულხანის ხელნაწერის ზედმიწევნით დაზარალებების საშუალებას. ქალაქის კვირნიშანი სამ ნახევარმთვარეს უჩვენებს. ნ. პ. ლიხაჩევი ასეთი კვირნიშნის ქალაქს (სამი ნახევარმთვარით) XVI --

XVII საუკუნეებს მიაკუთვნება<sup>1</sup>. ასეთივე ფილიგრანით XVII—XVIII საუკუნეების ქალაქები მრავალი გვხვდება<sup>2</sup>. ქალაქები იტალიური (ვენეციური) წარმოშობისა იყო და ამზადდნენ ლევანტისათვის (აღმოსავლეთის და მათ შორის სირიის, ჰალესტინის, ლივანისა და სხვა ქვეყნებისათვის)<sup>3</sup>.

ამჟამად ჩვენთვის საყურადღებო ხელნაწერის დათარიღებისათვის ეს ცნობა არ გამოგვადგება. აღნიშნულზე მეტი ისედაც ვიცით. კერძოდ, ცნობილია, რომ ხელნაწერი XVIII საუკუნისაა. ჩვენ კი გვინდა უფრო ზუსტი განსაზღვრა.

თარიღის დადგენისათვის ერთგვარ დახმარებას გვიწევს ხელნაწერის ენა. სულხან მდივნისეული ხელნაწერის ენა ისეთივე სადა და ხალხურია, როგორც სულხან ორბელიანისა და დავით გურამიშვილისა. ხელნაწერს მართლწერის მხრივ სრულებით არ ეტყობა ანტონ I გავლენა<sup>4</sup>.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ანტონის სამი სტილის თეორია საბოლოოდ 70-იან წლებში განმტკიცდა<sup>5</sup> და სარწმუნოდ ჩათვლით ცნობას, რომ აღნიშნული თარიღის შემდეგ სულხან-საბასა და დ. გურამიშვილის სტილით დაწერილი თხზულებები აღარ გვხვდება<sup>6</sup>, მაშინ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის შედგენის საზღვრად 1771 წელი უნდა მივიჩნიოთ, რომლის შემდეგაც იგი შედგენილი არ უნდა იყოს.

ყავრიშვილისეული ხელნაწერის გარჩევასთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ეს უკანასკნელი და სულხანისეული ხელნაწერი ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. ისინი ან ერთი დედანიდან არის გადმოწერილი, ან ერთი-მეორიდან. ყავრიშვილისეული ხელნაწერი შესრულებული უნდა იყოს 1741—1766 წლებს შორის. თუ დავუშვებთ, რომ სულხან მდივნისეული ხელნაწერი ყავრიშვილისეულიდან არის გადაწერილი, სულხანისეული ხელნაწერის წარმოშობა შეიძლება ყავრიშვილისეული ხელნაწერის შესრულებიდან 1—2 წლის გავლის შემდეგ ვივარაუდოთ. ამრიგად, თუ ყავრიშვილისეული ხელნაწერი არ შეიძლება 1742—43 წლებზე ადრინდელად მივიჩნიოთ, მაშინ სულხანისეული ხელნაწერის შესრულების თარიღად 1743—1744 წლები უნდა ჩათვალოს. სავარაუდებელია ის გარემოებაც, რომ ორივე ხელნაწერს ერთი წყარო უდევს საფუძვლად. ამასთან, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ენის მხრივ, ყავრიშვილისა და სულხან მდივნისეული ხელნაწერი ძლიერ ახლოს დგას მირველ თუმანიშვილის 1729 წლის „დასტურლამალის“ ხელნაწერთან.

ჩვენ ვთქვით, რომ სულხანის ხელნაწერი 1737 წლის საბუთის სულხანას ხელს ემსგავსება. 1737 წლის საბუთის სულხანი შესაძლებელია ამ თარიღის 20—30 წლების წინ ან ამ წლების შიმდევაც მოღვაწეობდა. სულხან მდივანი, როგორც ვნახეთ XVIII საუკუნის ოციან, ოცდაათიან, ორმოციან, ორმოცდაათიან, სამოციანსა და ოთხმოციან წლების საბუთებში გვხვდება. ახლა საჭიროა იმის განსაზღვრა თუ რომელი სულხანი რამდენ ხანს ან როდის მოღვაწეობდა.

<sup>1</sup> Н. П. Лихачев, Палеографические значения бумажных водяных знаков, ч. II. 1899, стр. 316—317.

<sup>2</sup> „Палестинский сборник“, Академия наук СССР, выпуск 6(69), 1960, стр. 208.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ავაკი შანიძე, ქართული გრამატიკული საფუძვლები, 1953, გვ. 18—19; მისივე ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, 1964.

<sup>5</sup> ა. ნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 019—025).

<sup>6</sup> იქვე.

ერეკლე II დროის მდივანი სულხანი რომ სამოცდაათიანი წლების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისამდე მოღვაწეობდა, ეს ცხადია. უფრო ძნელდება წინანდელი სულხანების ცხოვრების მოღვაწეობის დროის დათარიღება. სავარაუდებელია, რომ მეწინავე სადროშოს 1721 წლის აღწერაში მოხსენებული მდივანი სულხანი ის სულხან მდივანია, რომელიც 1737 წლის საბუთებში გვხვდება. ჩვენ მოვიყვანეთ ისეთი საბუთები, რომლებშიც სულხან მდივნის ხელწერა იყო. ამას გარდა სულხან მდივანი XVIII საუკუნის სხვა წყაროებში არის მოხსენებული: 1) 1719 წლის სიგელში, („მდივანი სულხანი“)<sup>1</sup>, 2) 1728 წ. („მდივანი ბატონი სულხანი“)<sup>2</sup>. 3) 1728 წ. („მდივანი სულხანი“)<sup>3</sup>, 4) 1729 წ. („მდივანი სულხან“)<sup>4</sup>, 5) 1735 წ. („მდივანი სულხანი“)<sup>5</sup>, 6) 1735 წ. („მდივანი სულხანი“)<sup>6</sup>, 7) 1735 წ. („მდივანი სულხანი“)<sup>7</sup>, 8) 1736 წ. („მდივანმწიგნობარი სულხან თუმანიშვილი“)<sup>8</sup>, 9) 1736 წ. („მდივანი სულხანი“)<sup>9</sup>, 10)-1736 წ. („სულხან მდივანი“)<sup>10</sup>, 11) 1737 წ. („მდივანი სულხან“)<sup>11</sup>, 12) 1737 წ. („მდივანი სულხან“)<sup>12</sup>, 13) 1737 წ. („სულხან მდივანი“)<sup>13</sup>. როგორც „ანდერძიდან“ ჩანს, იესე ოსეს ძეს 1755 წელს სულხან მდივნის ჯალაბისაგან შეუძენია მამული. მამასადამე, ამ პერიოდისათვის ოცდაათ-ორმოციანი წლებს მოღვაწე სულხანი უკვე გარდაცვლილა<sup>14</sup>.

ამ საბუთების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1719—1737 წლებში მოხსენებული სულხანი ერთი და იგივე პირია, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისის საბუთებში მოხსენებული სულხანი კი სხვა უნდა ზეოს. სავარაუდებელია, რომ სულხანისეული ხელნაწერი გადაწერილია იმ სულხანის მიერ, რომელიც 1719—1737 წლის საბუთებში გვხვდება და ამ შემთხვევაში იას. ლორთქიფანიძის მოსაზრება, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, მართებული უნდა იყოს. შესაძლებელია, სულხან მდივნის ხელნაწერის შესრულება XVIII საუკუნის ოცდაათიანი ან ორმოციანი წლებით დაეთარიღოს.

დავუშვათ, რომ ხელნაწერი იმ სულხანის მიერ არის გადაწერილი, რომელიც 1737 წლის საბუთებშია მოხსენებული. ეს სულხანი კი, როგორც ვნახეთ 1755 წელს გარდაცვლილი ჩანს. მამასადამე, 1755 წლის შემდეგ აღნიშნული ხელნაწერის დათარიღება შეუძლებელია, მაგრამ თუ S. ხელნაწერს K ხელნაწერიდან გადაწერილად მივიჩნევთ, ხოლო ამ უკანასკნელს როგორც ქვევით დავინახავთ, 1741 წელზე უადრესად არ ჩათვლით, მაშინ უნდა ვრ-

1 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. 1940 წ., წ. I, ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 181.  
 2 იქვე, გვ. 226.  
 3 „საქართველოს სიძველენი“, II, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 347.  
 4 „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1940, გვ. 229.  
 5 იქვე, გვ. 241.      6 იქვე, გვ. 254.  
 7 „საქართველოს სიძველენი“, III, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 420.  
 8 იქვე, II, გვ. 387.  
 9 „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 252.  
 10 იქვე, გვ. 261.      11 იქვე, გვ. 267.  
 12 იქვე, გვ. 272.  
 13 „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, 1953, წ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 26—27.  
 14 „იესე ბარათაშვილის ცხოვრება—ანდერძი“, ავტ. იოსელიანის რედაქციით, 1950 წ. გვ. 17.

ვარაუდობთ, რომ S ხელნაწერი გადაწერილია 1741—1755 წლებში, უფრო კი ორმოცდაათიან წლებში.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მინაწერი „ეს წიგნი სულხან მდივნის არის“, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს იგი უსათუოდ სულხანის გადაწერილია, იგი შეიძლება სწორედ ერეკლე II დროინდელ სულხან მდივანს ეხებოდეს, და წას მიეძღვნას იგი დარჩილა ბებუთოვისათვის. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ხელნაწერი სრულებით სხვა პირის ან სხვა მდივნის მიერ ყოფილიყოს გადაწერილი (მაგალითად, არა თუმანიშვილის მიერ). მაგრამ, უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ იგი სულხან მდივნის თუმანიშვილის მიერ არის გადაწერილი.

სულხან მდივნისეული ხელნაწერის განხილვასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოს, რომ იგი ზუსტ მსგავსებას ამჟღავნებს ყავრიშვილისეულ ხელნაწერთან, რომელიც აგრეთვე XVIII საუკუნეშია შედგენილი. ამ მსგავსების საკითხს ჩვენ ვიხილავთ ყავრიშვილისეული ხელნაწერის გარჩევასთან დაკავშირებით. აქ კი დავსძენთ, რომ ორივე ხელნაწერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექსტის დადგენისათვის. საქმე იმაშია, რომ როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის სამი ხელნაწერი გვაქვს საგნობრივ სისტემაზე შედგენილი. ერთი მათგანი შედგენილია 1729 წელს (მირველ თუმანიშვილისა), ხოლო დანარჩენი ორიდან პირველი სულხან მდივანს ეკუთვნის, მეორე კი — ყავრიშვილს. ირკვევა, რომ საგნობრივ სისტემაზე შედგენილი ხელნაწერები შინაარსის მიხედვით ერთმანეთს მისდევენ, მაგრამ არა ყოველთვის. ამიტომ ზოგჯერ ტექსტის დადგენას ამ სამი ხელნაწერიდან საფუძვლად სულხანისეული და ყავრიშვილისეული ხელნაწერები უნდა დაედვას. „დასტურლამალის“ ტექსტის ცალკეულ ადგილებს 1729 წლის ხელნაწერში ვერ ვხვდებით, სამაგიეროდ ისინი შემონახული გვაქვს სულხანისა და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებში.

მოვიყვანოთ მაგალითები (ზოგიერთი ამ მაგალითთაგანი მითითებული გვქონდა M ხელნაწერის განხილვისას).

საგნობრივ სისტემაზე შედგენილ ხელნაწერებიდან სულხან მდივნისა (11v) და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებში (16r) არის თავი „აჯილის შიგამდეგის და ზინდრების“ შესახებ, რომელიც 1729 წლის ხელნაწერში შეტანილი არ არის.

ასევე ითქმის დებულების „დანისტრად სამსახურის“ შესახებ. მას ვხვდებით სულხანისა (24r და 24v) და ყავრიშვილისეულ (33r და 33v) ხელნაწერებში. ორივე მათგანში იგი ბოქაულთხუცესის შესახებ დებულების გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ 1729 წლის ხელნაწერში დებულება „დანისტრად სამსახურის“ შესახებ მოცემული არ არის. (ანბანურის წესით შედგენილ ხელნაწერებში ეს დებულება ბოქაულთხუცესის დებულებაშია შეტანილი).

„ერთი რიგი ელის“ დებულებიდან სულხანისა (45v) და ყავრიშვილისეულ (59r) ხელნაწერებში არის ისეთი ადგილი, რომელსაც 1729 წლის ხელნაწერის დებულებაში ვერ ვხვდებით.

დებულებიდან „სახლთხუცესის შესახებ“ სულხანისეულისა (67v) და ყავრიშვილისეულ (91r) ხელნაწერებში არის აგრეთვე ადგილი, რომელიც 1729 წლის ხელნაწერში გამორჩენილია.

მსგავსი შემთხვევები ცოტა როდია.

აქედან ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ სულხანისა და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებს ტექსტის დადგენისათვის.



დასკვნა:

1) სულხან მდივნიშვილი ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს XVIII საუკუნის ოცდაათიან, უფრო კი, ორმოციან წლებში;

2) ჩამატებების შეტანა სულხანის ხელნაწერში XVIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში უნდა მომხდარიყო.

### 8. ყავრიშვილისეული ხელნაწერი (K)

ყავრიშვილისეული ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—986). ხელნაწერის ზომაა 30,5×21,5 სანტ. დაწერილია იგი ქალაღზე, მხედრული ხელით და ჩასმულია ხის ყდაში, რომელსაც გადაკრული აქვს ტყავი. ხელნაწერი 104 ფურცლისაგან შედგება. ზემო ყდის შიდა მხარეს წერია: „ქ. დასტურლამა არის ესე“, ქვემო ყდის შიდა მხარეს კი — „ქ. ეს წიგნი დასტურლამა არის სხვა არაფერი არა არის რა“. იქვე ქვემო ნაწილზე გაკეთებულია მესამე წარწერა: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე“.

დაუწერელია: პირველი სამი ფურცელი, აგრეთვე: 102r, 103r, 103v, 104r, 104v. 102v-ზე ტექსტისაგან განსხვავებული ხელით ამოცანა არის მიწერილი, რომელსაც არაერთი ავშირი არა აქვს „დასტურლამალის“ ხელნაწერთან.

ტექსტი იწყება 4r-ზე შესავალით. 4r-ის ტექსტი მოთავსებულია ჩარჩოში და აქვს თავსამკაული.

ხელნაწერის ფურცლებს კიდები მეტნაკლებად შემოცვეთილი აქვს, აღნიშნულის მიუხედავად ტექსტი დაუზიანებელია. ერთი ფურცელი (10r და 10v) ამოვარდნილია. 10v-ზე მეოთხეთა სიის ბოლოს მიწერილია: „ხუთი გვაში აკლია“, იხ. უმიკაშვილის გამოცემა, გვ. 62, ე. თ. ეს ექვთიმე თაყაიშვილის მიწერილია. იქვე წითელი მელნით აღნიშნულია: „აქ—აკლია ბევრი“, ამის გასწვრივ 11r-ს აშიაზე გაგრძელებულია: „არ არის“ (მთლიანად ასე იკითხება: „აქ აკლია, ბევრი არ არის“). 76v თავისუფალია, 78v-ზე წერია: „ამ ფურცლების დედანი დახეული იყო“. 78r—80v-მდე (ჩათვლით) დაუწერელია.

83r-ზე იკითხება: „აქაც დედანი დახეულია“. დაუწერელია: 83r და 83v. 84r-ზე დაწერილია ბოლო ნაწილი (4 სტრიქონი). 84v-ზე დაუწერელია ნახევარზე მეტი, ხოლო ამ გვერდის თავზე წერია: „აქაც დახეული იყო დედანი“. დაუწერელია აგრეთვე 86v და 88r-ს დიდი ნაწილი. ფურცლები ხშირად დალაქავებულია.

ხელნაწერი აღწერილი აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელს ლ. ქუთათელაძეს. აღწერილობის დასაწყისში ვკითხულობთ: „ეხატანგ VI დასტურლამალი, XVIII“; აღწერილობის ამ ადგილის შემდეგ, რომელიც ხელნაწერის თავკაზმულობას ეხება, აღმწერს ჩაუწერია: „[XVIII ს.]. როგორც ჩანს, მას თავკაზმულობა იმის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად (თუ არა ერთადერთ ნიშნად, რადგანაც ლ. ქუთათელაძე ხელნაწერის სხვა მხარეზე ან სხვა ნიშანზე, რომლის მიხედვით ხელნაწერი XVIII საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს, არ უთითებს) მიუჩნევია, რომ ეს ძეგლი XVIII საუკუნის არის!.

1 „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, (H). ტ. II, შედგენილია და დასაბუჯდად დამზადებულია ლ. ქუთათელაძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით, 1951. გვ. 361.

ხელნაწერი რომ XVIII საუკუნისაა, ეს არ იწვევს ეჭვს. შეიძლება მხოლოდ უფრო ზუსტი დათარიღების შესახებ მოსაზრების გამოთქმა.

როგორც ვთქვით, ხელნაწერი ქალაღზეა შესრულებული. ქალაღის კვირნიშანი იკითხება ასე: „Ямаз“, რაც ნიშნავს: Ярославская мануфактура Алексея Затрапезнова. ს. ა. კლეპიკოვის ცნობით ა. ზატრაპეზნოვს 1741 წელს იაროსლავის ქალაღის ქარხანა მამისაგან მეძკვიდრეობით მიუღია, რომელიც 1764 წელს გაუყიღია. ს. კლეპიკოვი აღნიშნავს: „Последний печатный документ с филигранью Ямаз встречен был нами на указе Екатерины II от 13.XII.1766 г.“<sup>1</sup>.

უნდა ვითქვით, რომ ფილიგრანით „Ямаз“ ქალაღი 1741 წლიდან 1764 წლამდე გამოდიღდა. ს. კლეპიკოვის ცნობით, 1766 წლის შემდეგ ასეუ ქალაღზე დაწერილი, საბუთები აღარ ჩანს, ე. ი. გამოშვებული ქალაღები გათავებულა. მისი მარაგი ამოწურულა. როგორც ჩანს, ასეთ ქალაღზე იწერებოღა არა უგვიანეს 1766 და არა უადრეს 1742—43 წლებისა. საქმე იმაშია, რომ თუ ქალაღის გამოშვება 1741 წელს დაიწყეს, იგი საქართველოში 1743 წლამდე ვერ მოაღწევღა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ 1821 წლის ხელნაწერი (ალექსიძის) დაწერიღია 1819 წელს გამოშვებულ ქალაღზე. მაშასადამე, 1821 წელს საქართველოში წერღენნ ორი წლის წინათ გამოშვებულ ქალაღზე. უნღა ვივარაუდოთ, რომ რუსეთიდან საქართველოში ქალაღის ჩამოტანას გარკვეული დრო დასჭირებოღა. ცხადია, XIX საუკუნეში, როცა საქართველო რუსეთის ერთნართველობაში შედიღდა, იქ გამოშვებული ქალაღი ჩვენში უფრო ადრე გავრცელდებოღა, ვიდრე XVIII საუკუნეში. თუ 1821 წელს საქართველოში 1819 წელს გამოშვებულ ქალაღზე წერღენ, XVIII საუკუნეში ეს განსხვავებული დრო უფრო დიდი იქნებოღა.

შესაძლებელია ყავრიშილის ხელნაწერი მოსკოვის ქართულ კოლონიაში ან პეტერბურგშივეა შესრულებული. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ხელნაწერის თარიღი კიდევ უფრო მიუუახლოვოთ 1741 წელს. გარღა ამისა, უნღა ვიფიქროთ, რომ ხელნაწერი არ შეიძლება 1764 წლიდან ხანგრძლივი დროის შემდეგ შესრულებულიყო. ამის შესახებ ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ს. კლეპიკოვის ცნობა. აქედან ჩანს, რომ ქალაღის გამოშვება 1764 წელს უნღა შეწყვეტილიყო, რადგანაც ქარხანა ამ წელს დახურულა. ჩვეულებრივად, როგორც წესი, ამა თუ იმ ქარხნის ქალაღის ექსპლოატაცია წარმოებს გამოშვების ახლო ხანებში, იხარჯება იგი იმავე ან მომავალ წლებში, რასაკვირველია, შეიძლება ეინმემ შეინახოს ქალაღი წლების განმავლობაშიც და ათი წლის შემდეგაც გამოიყენოს, მაგრამ ეს ისეთი გამონაკლისია, რომელიც მხედველობაში არც არის მისაღები.

ამგვარად, ყავრიშილისეული ხელნაწერი 1741—1744 წლებზე ადრე და 1764—1766 წელზე გვიან არ შეიძლება გადაწერილიყო.

ხელნაწერი ნაკულია. მასში წარმოდგენიღია მხოლოდ „სამეფო დასტურღამალი“, რომელიც საგნობრივ სისტემაზეა შედგენიღი.

„დასტურღამალის“ ზოგიერთი ადგილი მხოლოდ სულხან მღიენისა და

<sup>1</sup> С. А. Клепиков, Филигранны и штампы, 1959, стр. 30.

მღღობას მოეახსენებთ ხელნაწერის ინსტიტუტის თანამშრომელს რამაზ პატარაიეს კვირნიშნის აკითხვაში დახმარების გაწევისათვის.

ყავრიშვილისეულ ხელნაწერებშია შემონახული. ამასთანავე, სულხან მდივ-  
ნიშეული ხელნაწერი, იმის გამო, რომ ცუდი ხელით არის შესრულებული და  
ანაც შემდეგში მასში შეტანილია შესწორებანი, ძნელი საკითხავია, პაშინ რო-  
დესაც, ყავრიშვილისეული ხელნაწერი კარგი ხელით არაა ნაწერი და გარკვე-  
ვით იკითხება. ყველა ამის გამო, ყავრიშვილისეული ხელნაწერი ერთ-ერთი  
ესეთი ხელნაწერია, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას ძეგლის გამოცემას.

ყავრიშვილისეული ხელნაწერის გადამწერის ვინაობა ცნობილი არ არის.  
ამიტომ მას შევარქვით ამ ხელნაწერის შემომწირველის სახელი (შემოწირუ-  
ლია იგი გიორგი იოსების ძე ყავრიშვილის მიერ) და ვიხსენიებთ გვარსახელს  
პირველი ასო „ყ“ს ლათინური „K“-თი.

ზემოთ გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს  
ტექსტის დადგენისათვის სულხან მდივნიშეულ ხელნაწერს. ამასთანავე, სულ-  
ხან მდივნი ხელნაწერში ხშირად ტექსტის ორი ვარიანტია მოცემული: პირვე-  
ლი ვარიანტი არის ძველი, მეორე კი პირველი ვარიანტის შემდეგდროინდელ  
შესწორებას წარმოადგენს. გაცილებით მნიშვნელოვანია I ვარიანტი, რადგან  
ანაც იგი უფრო ძველი წარმოშობისაა, სულხან მდივნიშეულ ხელნაწერზე აქ  
ამიტომ შეეჩერდით, რომ ყავრიშვილისეული ხელნაწერი იშვიათ მსგავსებას  
ამქლავნებს სულხანის პირველ ვარიანტთან. ეს მსგავსება იმდენად თვალსაჩი-  
ნია, რომ ბუნებრივად ისმება საკითხი: 1) ან ორივე ხელნაწერს ერთი წყარო  
აქვს; 2) ან ერთი მეორისაგან არის გადაწერილი.

მოვიყვანოთ ზოგიერთი მსგავსება.

1. პირველ თუმანიშვილის ხელნაწერში დებულება „უზბაშებისა და მე-  
თოფეების შესახებ“ გამოტოვებულია, ხოლო ყავრიშვილისა და სულხან მდივ-  
ნიშეულ ხელნაწერში ეს დებულება ერთნაირად არის წარმოდგენილი.

2. ორივე ხელნაწერში, „ქვემო ქარხნის ნაზირის თაბუნის გარიგების იასა-  
ულების სია“-ში ერთნაირად ორი ზედმეტი გვარსახელია მოცემული.

3. „ტოგუნის რიგის“ ბოლო აბზაცში პირველ თუმანიშვილის ხელნაწერი-  
საგან განსხვავებით ორივე ხელნაწერში ერთნაირად წერია: „ალყაფის ივ-  
ნის“-ა.

4. სხვა ხელნაწერებბსაგან. განსხვავებით ყავრიშვილისა და სულხან მდივ-  
ნის ხელნაწერებში დებულება „მეკოდისპურის შესახებ“ თითქმის ხელნაწე-  
რის ბოლოშია გადატანილი.

5. „ღვინის მოსავლის რიგს“, სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებით, ორი-  
ვე ხელნაწერში დამატებული აქვს ერთი აბზაცი „ქვეყრის მრეცხელის შესა-  
ხებ“. ამის შემდეგ ორივე ხელნაწერში „შეფარდის გამოსაღებზეა“ საუბარი  
და წინადადება ორივეგან დაუმთავრებელია (მთავრდება სიტყვით „ორი“, რო-  
დელსაც უნდა მოსდევდეს განმარტება: „ორი იმერხვეიდან, ორი კოშკადამ“  
და სხვ.).

6. ორივე ხელნაწერში „ბოქაულთუხუცესის დებულების“ გაგრძელება  
წარმოდგენს დებულება „დანისტრად სამსახურის შესახებ“ (პირველ თუმანი-  
შვილის ხელნაწერში ეს პარაგრაფი არ არის). სულხან მდივნიშეული და ყავრი-  
შვილისეული ხელნაწერებში აღნიშნული ადგილი ერთნაირად ყოფილა წარ-  
მოდგენილი, მაგრამ შემდეგ სულხან მდივნიშეული ხელნაწერი სხვა ხელნა-  
წერების მიხედვით გაუსწორებია და ეს ადგილიც გადაუხაზავთ.

7. „ხევისთავეების გარიგებაც“ ორივე ხელნაწერში ერთნაირად ყოფილა  
მოცემული, ხოლო სულხან მდივნიშეულ ხელნაწერში შემდეგ გაუსწორებიათ.

8. „ხილის ბაჟის“ დებულება ორივე ხელნაწერში ერთნაირადაა წარმოდგენილი. ხოლო სულხან მდივნისეულ ხელნაწერში სხვა მელნით შემდეგ მიუმატებიათ: „და ამისგან კათალიკოსსაც წილი აქვს“.

9. „ჩელიექის ბაჟის“ რიგი ორივე ხელნაწერში ერთნაირად ყოფილა. ხოლო სულხან მდივნისეულ ხელნაწერში შემდეგში შეუტანიათ შესწორება.

10. იმავე „ჩელიექის ბაჟის“ გარიგებაში ორივე ხელნაწერში შეტანილი ყოფილა სიტყვა „ბაზარში“, სულხანმდივნისეულ ხელნაწერში შემდეგში ესიტყვა გაუსწორებიათ სიტყვით „მიზანში“.

11. გვარსახელი „აზიზოლი ველია“ ამ ფორმით მხოლოდ S, K ხელნაწერებშია წარმოდგენილი.

12. „ბოლნისის გამოსაღების“ გარიგებაში ორივე ხელნაწერში სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებით ყოფილა „სამასი ლიტრა ქერი“ (სხვა ხელნაწერებში სამ-სამი ლიტრა ქერი). სულხანისეულ ხელნაწერში კი სხვა ფერის მელნით „სამასი“ „სამად“ არის გადაკეთებული.

შეიძლება სხვა მაგალითების მოტანაც, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისად ამის დასამტკიცებლად, რომ ხსენებული ხელნაწერები ერთმანეთს მისდევენ. აქედან ჩვენ ისიც უნდა დავსაყენათ, რომ თუ სულხან მდივნისეულ ხელნაწერს როგორც ზემოთ ვთქვით, დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის დადგენისათვის. ასეთივე მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ყვერშიშვილისეულ ხელნაწერსაც.

ტექსტი ორივე ხელნაწერში ერთი და იგივეა; განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ იგი შეიძლება წარმოშობილიყო გადაწერის დროს. მაგალითად, ტექსტის დასაწყისში, შესავლის პირველი წინადადება ორივე ხელნაწერში ასეთია: „ეპე დიდება შენდა მბაღო ყოველთაო, ყოველნი არსნი არსებად მოიყუანენ. ხარ და ეგები უკუნისამდე ეამთა და წელთა დაუბერაობითა და გადიდებენ ქმნილნი ქელთა შენთანი“. მხოლოდ სულხანისეულ ხელნაწერის II ვარიანტში „გადიდებენ“-ის წინ ჩაუმატებიათ სიტყვა „შენ“, „გადიდებენ“-ის შემდეგ კი სიტყვა „ყოველნი“. ორივე ხელნაწერში არის: „კარი პირველო. ყოვლის (სულხანისეულ ხელნაწერში: ყოველისა) ქელჯოხიანისა და მათი (სულხანისეულ ხელნაწერში მათის) სარგოსი“. „დაგვიდგენია ვჟაკალას ბაშეთ არაგვის ერისთავის შვილი ზურაბ ამილახვარის (სულხანისეულ ხელნაწერში: ამილახორის) შვილი რევაზ. ეს ორნი ამის საჭელონი იყუნენ“ (სულხანის ხელნაწერში: იყვნენ). ამის შემდეგ სულხანისეულ ხელნაწერში ტექსტისაგან განსხვავებული ხელით და მელნით ჩამატებულია: „ბოქაულთხუცესი ორბელიშვილის გორჯასპი“. ბოლოს კი ორივე ხელნაწერში მიწერილია: „არაგვის ერისთავის შვილი ნუგზარ“.

ყვერშიშვილისეულ ხელნაწერში ჩამოთვლილია სობათიასაულები, სულხანის ხელნაწერშიც იგივეა მოცემული, მხოლოდ სობათიასაულების სიის გასწვრივ დამატებულია ოთხი ალანდარი (S—4738, 3r). ასეთივე ჩამატებებია სხვა ადგილებშიც. რადგანაც სულხანისეული ხელნაწერის გარჩევისას მოვიყვანეთ ეს ჩამატებანი, აქ აღარ გავიმეორებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ტექსტი, ამ ჩამატების გარეშე, ორივე ხელნაწერში ერთი და იგივეა. (ის უმნიშვნელო განსხვავებანი, რომლებიც ამ ორ ხელნაწერშია, ტექსტის სქოლიოებზე გვაქვს ნაჩვენები).

ყვერშიშვილისეულ ხელნაწერში ერთ ადგილას დატოვებულია დაუწერელი მთელი ფურცელი (83r და 83v) და მომდევნო ფურცლის ერთი გვერდის ბოლოში მხოლოდ 4 სტრიქონია მიწერილი (84r. სამადლოელთა და ქვემო ბე-

ქენელთა საზღვრების შესახებ ცილობის გარიგების დასაწყისი). 83r-ს თავში წერია: „აქაც დედანი დახეულია“.

სულხან მდივნისეულ ხელნაწერში 61v-ს თავში ვკითხულობთ: „აქაც დედანი დახეულია“. შემდეგ II ვარიანტის გადამწერს მიუწერია: „დედანი ვი-პონეთ“ და მართლაც ეს გვერდი და მომდევნო გვერდის (62r) დიდი ნაწილი შეესებულა. შემდეგ მოდის „სამადლოელთა და ქვემო ბეშქენაშნელთა“ საზღვრების გარიგება. „სამადლოელთა და ქვემო ბეშქენაშნელთა“ საზღვრების გარიგების შემდეგ ორივე ხელნაწერში წერია: „აქაც დახეული იყო დედანი“. ყავრიშვილისეულ ხელნაწერში აქ ცარიელი ხდგილია დატოვებული, ხოლო სულხან მდივნისეულ ხელნაწერში ეს ადგილი შემდეგში არის შეესებული (სხვა მელნით).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სამადლოელთა და ქვემო ბეშქენაშნელთა გარიგება საზღვრების ცილობის შესახებ ორივე ხელნაწერში დაუბოლოვებელი სიტყვით „ბეშქენა“ (ბეშქენაშენელი)<sup>1</sup> მთავრდება. სულხანის ხელნაწერში შემდეგი დროის შემავსებელს ეს ადგილი შემდგენაირად აღუდგენია: „ბეშქენაშნელთ ქვა კაცს ზეით მეთრევეანას სამძღვრამდინ გორას გარდალმა“. აქ მთავრდება გვერდი (76v), ხოლო მომდევნო ფურცელი დაკარგულია<sup>2</sup>.

აღნიშნული მინაწერებით ორივე ხელნაწერის ურთიერთთან მსგავსება მკაფიოდ გამოდგება, მაგრამ ეს გარემოება ერთი მეორესაგან გადაწერის საბუთად არ გამოდგება, რადგანაც არც ერთ მათგანს რაიმე უპირატესობა არ გააჩნია.

ყავრიშვილისეულ ხელნაწერის 83 v-ს თავზე ვხვდებით შემდეგ მინაწერს: „აქაც დედანი დახეულია“. სულხან მდივნისეული ხელნაწერის ტექსტის იმავე ადგილას (62v-ზე) წერია: „აქაც დახეული იყო დედანი“. ყავრიშვილისეულ ხელნაწერში აღნიშნული წარწერის შემდეგ ერთი ფურცელი და ერთი გვერდის დიდი ნაწილი დაუწერელია (83r, 83v, 84r), უკანასკნელი გვერდის ბოლოს კი მხოლოდ 4 სტრიქონია მიწერილი.

ხანებულები წარწერა კიდევ უფრო ადასტურებს ამ ორი ხელნაწერის მსგავსებას. ეს გარემოება მიგვიბრუნებს, რომ ისინი ან ერთი მეორისაგანაა გადაწერილი, ან ორივეს ერთი სხვა რომელიმე წყარო უდევს საფუძვლად.

ახლა შევიჩინოთ ხელნაწერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარწერაზე. ყავრიშვილისეულ ხელნაწერში დებულება მეჯოგეთუხუცესის შესახებ შემდეგ წინადადებით მთავრდება: „არის და მეჯოგენი ან ძველნი, ან ახალნი, ვინცა ვინ არიან სახელდობრ სწერია. აჯილღა ვისაც აბარია დაწერილია“. ეს წინადადება მოთავსებულია 77v-ზე, რომელსაც მოსდევს სამი დაუწერელი ფურცელი—78r—80v. 78r-ზე თავში წერია: „ამ ფურცლების დედანი დახეული იყო“, ხოლო 81r-ზე იწყება ახალი დებულება: „სომხეთის მელიქის სარგო“.

სულხან მდივნისეულ ხელნაწერშიც დებულება მეჯოგეთუხუცესის შესახებ იმავე წინადადებით მთავრდება, რომელიც მოვიყვანეთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ძველნი“-ს მაგიერ სულხანისეულ ხელნაწერში „ძველი“ წერია. ამასთანავე, ეს წინადადება სულხანის ხელნაწერში გადახაზულია და 59v-ს თავშივე მთავრდება. სულხანისეულ ხელნაწერში აღნიშნულ წინადადებას მოსდევს ისევ გადახაზული შემდეგი წინადადება: „ამასთან გ ფურცელი ამიტომ ცარიელი, რომ დედანი დაძველებული იყო“. ამავე გვერდზე მას

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 986. 84r. S—4738, 62r

<sup>2</sup> იქვე, S—4738, 76v.

ბოსდევს შევსება-ჩამატება, რომელიც თავის დროზე ცარიელი იქნებოდა. მოხსენებული ადგილის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: სულხანისეული ხელნაწერის გადამწერი თითქოს გვეუბნება, რომ მას ისეთი ხელნაწერი ჰქონდა ხელთ, რომელშიაც ამ ადგილზე 3 ცარიელი ფურცელი იყო. ეს ფურცლები კი ცარიელი დედანის სიძველის გამო იყო.

მაშასადამე, სულხანისეული ხელნაწერის გადამწერიც იმას გადმოგვცემს, რაც ყავრიშვილისეულ ხელნაწერში რეალურად არის — სამი ცარიელი ფურცელი. გადამწერმა ამ შემთხვევაში სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოწერა ის, რაც ყავრიშვილისეულ ხელნაწერში ეწერა. არამედ წარწერის შინაარსი და ის განმარტება, რომელიც მას ცარიელი ფურცლების აღწერის გამო მისცა, აღწერილობით გადმოგვცა.

ყავრიშვილისეულ ხელნაწერში წერია: „დახეული იყო“, ხოლო სულხანისეულში „დახეულს“ ნაცვლად „დაძველებული“ იკითხება. რას ნიშნავს სიტყვების ეს განსხვავება? რა და რა შესაძლებლობას ვარაუდობს იგი?

1) შესაძლებელია სიტყვების ამ განსხვავებისაგან ის გამომდინარეობს, რომ ყავრიშვილისეული ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონდა ისეთი დედანი, რომელიც ამ ადგილას დახეული იყო, ხოლო სულხან მდივანს პირიქით — ისეთი ხელნაწერი, რომელიც დაუხეველი იყო, მაგრამ იმდენად დაძველებული, რომ ეს სამი ფურცელი არც იკითხებოდა;

2) შესაძლებელია ორივე ხელნაწერის გადამწერს ერთი და იგივე დახეული-დაძველებული ხელნაწერი ჰქონდა და ამ საერთო წყაროდან გადმოიწერეს.

3) დასაშვებია, რომ ცნება „დაძველებული“ და „დახეული“ ერთნაირად არის გაგებული, რადგანაც „დაძველებულისაგან“ ხელნაწერი შეიძლება კიდევ დაიხეს. ამიტომ, სავარაუდებელია, რომ სულხანისეული ხელნაწერის გადამწერი ყავრიშვილისეული ხელნაწერით სარგებლობდა. აღნიშნულს ის ვარაუდობაც გვაფიქრებინებს, რომ სულხანისეულ ხელნაწერში 3 ცარიელ ფურცელზეა საუბარი, ხოლო ყავრაშვილისეულ ხელნაწერში „სამი ცარიელი ფურცელი“ წარწერაში არ არის აღნიშნული. სინამდვილეში კი 3 ფურცელი მართლაც დაუწერლად არის დატოვებული.

დაეუშვათ, რომ ყავრიშვილისეული ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონდა სულხან მდივანისეული ხელნაწერი. ნახავდა ის სულხანის ხელნაწერის 59v-ს, რომელსაც აქვს შემომოყვანილი წარწერა. უკანასკნელი ოთხ სტრიქონზეა მოთავსებული, ხოლო გვერდის დანარჩენი ადგილი ცარიელია (შემდეგში კი ჩამატებულია ამ ადგილზე, მაგრამ პირველად ის ცარიელი იქნებოდა). როგორ გადმოიტანდა იგი ხსენებულ წარწერას თავის ხელნაწერში? ან სიტყვა-სიტყვით გადმოსწერდა; ან აღწერდა. ყავრიშვილისეულ ხელნაწერის ავტორმა სოველივე ამის მაგივრად მიაწერა: „ამ ფურცლების დედანი დახეული იყო“. ე. ი. ის ფურცლები, რომლებსაც მე დაუწერლად ვარდგენ მკითხველის წინაშე. დედანშიაც ასევე იყო. აქ ჩვენ თვალწინ წარმოისახება გადამწერის უშუალოდ. იგი თვლის დახეულ ფურცლებს და მკითხველს, რომ ზუსტი წარმოდგენა შეუქმნას, სწორედ სამ ფურცელს ცარიელს ტოვებს და შემდეგ განაგრძობს ტექსტს.

გადამწერის წინაშე ამ შემთხვევაში ერთი დაბრკოლება წარმოიშვა: ცარიელი ფურცლების წინა გვერდი ბოლომდე შევსებული არ იყო, როგორც ჩვეულებრივად სხვა შემთხვევაში არის გაკეთებული. უნდა დაწერილიყო კი-

ღვე თრი-სამი სტრიქონი. როდესაც ვუყვირდებით ამ ადგილს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ტექსტს რაღაც აკლია. სინამდვილეში კი, სულხან ბდიენის, მირველ თუმანიშვილისა და ყავრიშვილისეული ხელნაწერების ამ ადგილის შედარებით ირკვევა, რომ ტექსტი ნაკლული არ არის. ყავრიშვილისეულ ხელნაწერში ცარიელი ადგილი 77v-ზე განზრახ არის დატოვებული, რომ მკითხველისათვის გაადვილდეს ცარიელი 3 ფურცლის აღქმის შესაძლებლობა.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ სულხან მდიენისეული ხელნაწერის გადამწერს ხელთ ჰქონდა ყავრიშვილისეული ხელნაწერი. ნახა რა 3 ცარიელი ფურცელი განმარტა: „ამიტომ“ იყო ცარიელი, რომ „დედანი დაძველებული იყო“. აქაც დამწერის უშუალო შთაბეჭდილების გადმოცემასთან უნდა გვექონდეს საქმე.

შეიძლება გადამწერს ის ნუსხა ჰქონდა ხელთ, რომლიდანაც გადაწერილია ყავრიშვილისეული ხელნაწერი. გამორიცხული არ არის აგრეთვე, რომ მას ნასარგებლები ჰქონდეს სხვა ნუსხები.

ანგარიშგასაწევია მეორე გარემოებაც. როგორც ვიცით, სულხანმდიენისეული ხელნაწერის გადამწერს ცარიელი ადგილი ერთ გვერდზე ცოტა ნაკლები აქვს დატოვებული. შესაძლებელია ამიტომაც დასჭირდა მას განმარტება, რომ დედანში 3 ფურცელი ცარიელი იყო. თუ ჩავთვლით, რომ „დაძველებულ“ და „დახეულ“ ხელნაწერთა მიხედვით სხვადასხვა ცნებაა ნაგულისხმევი, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ორივე გადამწერს სხვადასხვა წყაროთი აქვს ნასარგებლები: ერთ მათგანში, 3 ფურცელი იყო დახეული, მეორეში კი სწორედ ეს ფურცელი იყო დაძველებული. ასეთი დამთხვევა იმდენად იშვიათია, რომ აღნიშნული დასკვნის გამოტანა გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. თუ ერთი მეორისაგან გადაწერილი არ არის, ორივე მათგანს ერთი წყარო მაინც უდევს საფუძვლად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სულხან მდიენისეულ ხელნაწერში მინაწერი და მის წინ წამძღვარებული ორი სტრიქონი (59v) შემდგომი ჩამატება-შესწორების მიზნით გადახაზულია. ეს ნაკლული ადგილი მირველ თუმანიშვილის ხელნაწერში მთლიანადაა მოცემული (გვ. გვ. 199 და 200).

მირველ თუმანიშვილის ხელნაწერში „ნალარახანის მოხელეების“ სიას შემდეგ მოდის შემდეგი თავები: „სარქარბაში და სარქრები“, „ქვემო ქარხნის ნაზირის თაბუნი“, „სახაბაზოს მოხელენი“, „სუფრაქეში“ (გვ. 21, 22, 23). სულხან მდიენისეულ ხელნაწერში ასეთი თანმიმდევრობა დარღვეულია და „ნალარახანის მოხელეების“ სიის შემდეგ მოცემულია დებულება „სუფრაქეშის“ შესახებ (9v და 10r).

ამასთანავე, დებულებანი: სარქარბაშის, ქვემო ქარხნის თაბუნისა და სახაბაზოს მოხელეების შესახებ, რომლებიც დაწერილია ერთ ფურცელზე. გადატანილია ხელნაწერის ბოლოსაკენ 74r და 74 v. თუ (74r და 74v. ერთი ფურცელი) ამ ფურცელს გადმოვიტანთ და მეცხრე ფურცლის შემდეგ მეთავე ფურცლად ჩავსვამთ. მაშინ ტექსტი ისევე იქნება გამართული, როგორც მირველ თუმანიშვილის ხელნაწერშია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ფურცელი (74r და 74v) ხელნაწერიდან ამოვარდნილია. ამის გამო პროფ. ვ. გაბაშვილი წერდა: „სულხან მდიენის „ხელნაწერის წიგნის ერთი ფურცელი თავდაპირველ ადგილიდან ამოვარდნილია... და შემთხვევით ის ხელნაწერს ბოლო ფურცლებ-

ში მოხვედრილა, რის გამოც, გასაგებია, შინაარსის თანმიმდევრობა დარღვეული აღმოჩნდა<sup>1</sup>. ეს მოსაზრება მცდარია.

სულხან მდივნისა და მირველ თუმანიშვილისეულ ხელნაწერებში აღნიშნული ადგილი ტექსტის სხვადასხვა ნაწილშია ჩართული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ თვით სულხანის ხელნაწერში იგი თავის ადგილზე არაა მოთავსებული. სულხანისა და მირველის ხელნაწერები ყოველთვის არ მისდევნებოდათ და ამჟერადც სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

74r და 74v სულხანის ხელნაწერის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ გვერდები, რომელზედაც მოთავსებულია აღნიშნული დებულებანი, განლაგების მხრივ თავის ადგილზეა. როგორც ვთქვით ხელნაწერის ფურცლები, რვეულუბადაა შეკრული, რომელშიაც ორ-ორი ფურცელი ერთმანეთთან არის შეერთებული. სულხან მდივნისეულ ხელნაწერის განხილვისას აღნიშნული გვაქვს, რომ თვითველ რვეულში 7-ჯერ 8 ფურცელია, ერთხელ—6, ერთხელ—ათ, სოლო უკანასკნელ შეკვირიდან გადაჩენილია მხოლოდ 5 ფურცელი. ამ ხუთიდან მარტო ორ ფურცელს შეუნარჩუნებია პირველადი სახე იმით, რომ ერთმანეთთან არის შეერთებული. დანარჩენი სამი ფურცელი ამოვარდნილია და ცალ-ცალკე არის შემონახული. აქედან ჩვენთვის საინტერესოა პირველი ფურცელი (74r და 74v), რომელიც თანამიმდევრობით აგრძელებს წინა ფურცლის ნუმერაციას (73r და 73v). აღნიშნული ფურცელით იხურება ხელნაწერი წიგნის ერთი რვეული და მომდევნო ფურცელზე უნდა დაიწყოს ახალი რვეული. ახალი შეკვრა სწორედ 74r და 74v ფურცლით იწყება. 74r-ზე თავში მიწერილია კიდევ „ი“, რაც მეთვრეტე რვეულს ნიშნავს: ამ რვეულის წინა შეკვრას კი აწერია „თ“ (66r). აქედან ცხადია, რომ 74r და 74v გვერდების შემცველი ფურცელი თავის ადგილზეა. სწორედ მეთვრეტე რვეულს აქვია 3 ფურცელი (თუ რვეულს შეკვრას 8 ფურცლად მივიჩნევთ).

ყავრიშვილისეულ ხელნაწერშიც ეს ფურცელი ამავე შინაარსისაა და სწორედ იმ ადგილზეა მოთავსებული, როგორც სულხანისეულ ხელნაწერში. („თ“ შეკვრა ორივე ხელნაწერში ერთნაირი სიტყვებით თავდება: „შაშხი მოიხმარონ“, სულხან მდივნის ხელნაწერი 73v, ყავრიშვილისეული ხელნაწერი 100v). სულხანის ხელნაწერში აღნიშნული დებულება თავიდან ბოლომდე გადახაზულია და ბოლოში მიწერილია: „მეორედ დაწერილია“ (73v): და მართლაც 61v-ზე შემესებლის მიერ იგი ჩამატებული ჩანს. ყავრიშვილისეულ ხელნაწერში დებულება ერთხელ არის დაწერილი. იქ სადაც სულხან მდივნის ხელნაწერში ეს დებულება ჩამატებულია, ყავრიშვილისეულ ხელნაწერში მის ნაცვლად ცარიელი ადგილია დატოვებული.

ამ საკითხზე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ პროფ. ვ. გაბაშვილის ვარაუდის ჰუმბარტებისთან შესატყვისობის შემთხვევაში (თითქოს 74r და 74v გვერდების შემცველი ფურცელი თავისი უწინდელი ადგილიდან შემთხვევით ამოვარდნილია), ყავრიშვილისეულისა და სულხანისეული ხელნაწერების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი გამორკვეული იქნებოდა.

ორივე ხელნაწერის ხსენებული ადგილის (სულხანის ხელნაწერი 74r და 74v გვერდები, ყავრიშვილისეულის 101r და 101v გვერდები) იგივეობის შემთხვევაში, სულხანის ხელნაწერა, დედანი უნდა ყოფილიყო მეორე ხელნაწერისათვის, ე. ი. ყავრიშვილისეული ხელნაწერი სულხან მდივნის ხელნაწერისაგან უნდა ყოფილიყო გადმოწერილი, რადგანაც, თუ სულხანის ხელნაწერში

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, დასტურლამალი, 1729 წ. ხელნაწერი, (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 95).



ჟურცელი შემთხვევით ამოვარდა, ყავრიშვილისეულ ჰელნაწერშიც იგივე ჟურცელი შემთხვევით არ ამოვარდებოდა.

ზოგიერთი ფაქტის ანალიზი ერთგვარ უპირატესობას ყავრიშვილის ხელნაწერს ანიჭებს. მოვიყვანოთ მაგალითები.

1) S-სა და K-ში სიები ჩვეულებრივად გვერდზე, ორ სვეტად არის მოცემული. მერიქიფეების სია K-ში პირველ სვეტშია და გვერდის ბოლოს მიწერილი აქვს: „მაგლობელი თუმანიშვილი თამაზა“. ამის შემდეგ მერიქიფეებას სია გრძელდება მეორე სვეტზე (K 12v), რომლის ბოლოს „მაგლობელი თუმანიშვილი თამაზა“-ს გასწვრივ, წერია: „თავილდარი“. მას წინ უსწრებს სინგურით მიწერილი სიტყვა „ყალიონყორჩები“. მაშასადამე, ეს „თავილდარი“ „ყალიონყორჩებს“ ეკუთვნის. რადგანაც K-ში „თავილდარი“ „მაგლობელი თუმანიშვილი თამაზა“-ს გასწვრივ წერია, ამიტომ S ნუსხის გადამწერს ისინი ერთად მოუტია: „მაგლობელი თუმანიშვილი თამაზა თავილდარი“ (8v). აქედან ჩანს, რომ S ნუსხა K-დან არის გადმოწერილი. ეს კია რომ S-ში „თამაზა თავილდარი“ უფრო შავად არის ჩაწერილი, თუმცა იგივე ხელი უნდა იყოს.

2) K-ში „გავაზის ბაზიერთა სია“ გვერდის პირველ სვეტზე იწყება და მეორე სვეტზე გადადის (11v). გავაზის ბაზიერებიდან მეორე სვეტზე გადატანილია ოთხი პირთენების გვარი და სახელი: „მისი განაყოფი ნასყიდა, არეშაშვილი დათუნა, ბოლნელი ოზბეგაშვილი, დიდმელი ბასილა“. ამ გვარების გასწვრივ პირველ გვერდზე მთავრდება „შავარდნის ბაზიერთა“ სია. თუ კარგად არ დავაკვირდით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ეს ოთხი პირი 11 სვეტზე „შავარდნის ბაზიერთა“ სიას ეკუთვნის. S ხელნაწერის ავტორი აღნიშნულში ვერ გარკვეულა და ხსენებული ოთხი პირის სია „შავარდნის ბაზიერთა“ სიაში მოუთავსებია (7v). აქედან დასკვნა: S ნუსხა K-დან უნდა იყოს გადმოწერილი, თუ არ დავუშვებთ, რომ S-სა და K-ს გადამწერთ ერთი წყაროდან აქვთ ნასარგებლელი. თუ ეს ასეა, მაშინ ექვს გარეშეა, რომ S გადამწერს არასწორად გადმოუწერია წყაროდან, ხოლო K-ს გადამწერს კი პირიქით.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ პირველ თუმანიშვილის 1729 წლის ხელნაწერში, როგორც ვთქვით, დებულებანი სარქარბაშისა, ქვემო ქარხნის თაბუნისა და სახაბაზოს მოხელეთა შესახებ, მოთავსებულია ნაღარახანის მოხელეთა დებულების შემდეგ, ე. ი. იქ, სადაც ჩვენი აზრით სინამდვილეში უნდა იყოს. ამავე დროს პირველ თუმანიშვილის ხელნაწერს ახლავს სარჩევი, რომელშიაც დებულება სარქარბაშის შესახებ ხელნაწერის ბოლოში, 56-ე კარშია გადატანილი (გვ. 4), მაშინ, როდესაც ტექსტის მიხედვით (გვ. 198—200) სარქარბაშზე აქ არაფერია ნათქვამი.

კონკრეტულ შემთხვევაში M-ის სარჩევი ეთანხმება S და K ხელნაწერებს, რადგანაც თეოდ სარქარბაშისა და მისი მომდევნო დებულებანიც M-ის სარჩევის მიხედვით ტექსტის ბოლოს, სახელდობრ S და K ხელნაწერების შესაბამის ადგილზეა მოთავსებული.

დასკვნა: 1) ყავრიშვილისეული ხელნაწერი შესრულებულია არა უადრეს 1742—43 და არა უგვიანეს 1764—1766 წლებისა;

2) სულხან მდივნისა და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებს ერთი წყარო უნდა ჰქონოდათ და აქედან გამომდინარეობს მათი მსგავსება (როდესაც ამ ხელნაწერების ერთ წყაროზე ვუთითებთ მხედველობაში გვაქვს S Ivar., რადგანაც S Ivar. შემდეგ არის გაკეთებული);

3) K-ს ზოგიერთი მონაცემებით უპირატესობა აქვს S-სთან.

#### 4. იესე მდივნის ხელნაწერი (J)

იესე მდივნის ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—4532).

ხელნაწერის ზომა 32×22 სანტიმეტრია. დაწერილია იგი ლამაზი მხედრულთ. სათაურები და სიტყვის პირველი ასოები შესრულებულია სინგურით. ხელნაწერი ჩამოულია ხის ყდაში, რომელსაც გადაკრული აქვს ტყავი (ამჟამად ხელნაწერი ყდიდან ამოვარდნილია). ხელნაწერს ფანქრით აქვს გვერდობლივი პაგინაცია და შეიცავს 234 გვერდს.

ხელნაწერი დეფექტურია: აკლია დასაწყისი და „სადედოფლო დასტურლამალი“. ნაკლულადაა წარმოდგენილი სარჩევიც.

ხელნაწერი აღწერილი აქვს აკად. ექ. თაყაიშვილს. მისი აზრით იგი გადაწერილია XVIII საუკუნის I ნახევარში. აქვე იგი განმარტავს, რომ ხსენებული ხელნაწერი შესაძლებელია უფრო ძველი წარმოშობისა იყოს, ვიდრე სულხან მდივნისეული ხელნაწერი<sup>1</sup>.

იესე მდივნის ხელნაწერი განხილული აქვს თავის შრომაში იასონ ლორთქიფანიძეს<sup>2</sup>.

ხელნაწერს ზემო ყდის შიგნით, საცავ ფურცელზე აწერია: „შემოწირულება არ. ქუთათელაძის“. ეს იმას ნიშნავს, რომ არ. ქუთათელაძეს შეუწირავს ხელნაწერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის.

ექ. თაყაიშვილს თავის აღწერილობაში, მართებულად აქვს აღნიშნული, რომ ქაღალდის ჰვირნიშანი გვირგვინს და გაურკვეველ ლათინურ დაწერლობას უჩვენებს. ხელნაწერს აკლია შესავალი და იწყება მუხლით: „არის სობათ იასაული“ (სინგურით). ეს დასაწყისი მოთავსებულია 1 გვერდზე, რომელსაც თავზე, ტექსტისაგან განსხვავებული მელნითა და ხელით მიწერილი აქვს: „დასტულამანი“. იქვე ფანქრით აღნიშნულია: „აკლია შესავალი“, რომელიც ექ. თაყაიშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

მუხლების ნუმერაცია ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში ყველგან შესრულებულია ქართული ასოებით. ასევეა იესე მდივნის ხელნაწერშიც. მასში ასო „ა“ დასმული აქვს შესავალს. მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერს შესავალი აკლია, იგი სარჩევში მაინც არის შეტანილი.

დასათაურებანი იესე მდივნისა და ანბანური წესით შესრულებულ სხვა ხელნაწერებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, იესე მდივნის ხელნაწერში ვხვდებით შემდეგ სათაურებს: „ალანდრები“, დავით რექტორისა და ანბანური წესით შედგენილ სხვა ხელნაწერებში: „ალანდრებისათვის“. იესე მდივნის ხელნაწერში: „ალაყაფის შუა სახლის რიგი“, დავით რექტორისა და ანბანური წესით შედგენილ სხვა ხელნაწერებში: „ალაყაფის შუა სახლის რიგისათვის“ და ა. შ. ამგვარად, იესე მდივნის ხელნაწერში დასათაურება გაკეთებულია სახელობით ბრუნვის მიხედვით, ხოლო ანბანური წესით შედგენილ სხვა ხელნაწერებში — ნათესაობითი ბრუნვის მიხედვით.

იესე მდივნის ხელნაწერში ასო „ე“-ს აღნიშვნით მოცემულია ასეთი დასათაურება: „აჯილის შიგამდეგი და სხვა ზინდრები“. დავით რექტორისა და ანბანური წესით შედგენილ სხვა ხელნაწერებში ხსენებული დასათაურება შემ-

<sup>1</sup> Е. Такайшвили. Описание рукописей..., т. II, 1906—1912, стр. 700.

<sup>2</sup> იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი. 1935 წ., 1—11, გვ. 8—9.

დებანიად არის წარმოდგენილი: „ე. ავილლის შიგამდგეისათვის“. აქედან წარმოსდგება უკვე ნუმერაციაში განსხვავება. შემდეგი სათაური „ალაყაფის შუა სახლის რიგი“ იესე მდივნისეულ ხელნაწერში დანომრილია „ე“- (6)-თი, ხოლო დავით რექტორისა და ანბანური წესით შედგენილ სხვა ხელნაწერებში — „ზ“- (7)-თი.

იესე მდივნის ხელნაწერს აკლია მე-9, მე-10 და მე-11 მუხლები. სახელდობრ: თ) ავილლის ქერი, ი) აბანოს იჯარა და ია) აჩაყხანისა და ქურჯლების იჯარა. სარჩევში კი ეს მუხლები მოცემულია. აკად. ექ. თაყაიშვილი თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ხელნაწერს 4 მუხლი (9—12) აკლია და თანაც დასძენს, რომ ხელნაწერის ბოლოში მოთავსებული სია მუსლიმანური სახელებითაა მოცემული და გაუგებარია თუ რომელ თავს უნდა ეკუთვნოდეს<sup>1</sup>.

მდგომარეობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: როგორც ვთქვით, იესე მდივნის ხელნაწერს მე-9—11 მუხლები აკლია. მე-8 მუხლი მოყვანილია სრულად, რომლითაც მთავრდება ხელნაწერის მე-4 გვერდი. მომდევნო გვერდი იწყება ასე: „ისმაილ ალა ყაზახი“. მას მოსდევს „იგ“, ე. ი. მე-13 მუხლი. ცხადია „ისმაილ ალა ყაზახი“ არის წინა, მე-12 მუხლის ნაწილი. მართლაც, როგორც ექ. თაყაიშვილი შენიშნავდა, ხელნაწერის ბოლოში მოთავსებულია სია (გვ. 221—222), რომელიც წარმოადგენს მე-12 მუხლს. დავით რექტორის ხელნაწერსა და ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში ეს მუხლი დანომრილია („იგ“-ით ე. ი. 13-ით, ნუმერაციის ასეთი გასწავლების შესახებ ზევიო გვერდზე საუბარი) და ასეთ სათაურს ატარებს: „ელის ნოქრის მოჯამაგირის ჰამასალაჰათის“. მუხლი შეიცავს სიას, რომელშიაც ჩამოთვლილია 50 კაცი. იესე მდივნის ხელნაწერის სარჩევში ვხვდებით ასეთ სათაურს: „არაჲ ელის ნოქარი მოჯამაგირე ჰამასალაჲ“, ხოლო თვით ტექსტში კი მოცემულია ამ თავში ჩამოთვლილი 36 კაცის სია (გვ. 221—222). გარდა ამისა, მე-5 გვერდის დასაწყისში არის დასახელებული ერთი კაცი. მაშასადამე, სულ იესე მდივნის სიაში მოცემულია 37 კაცი. დავით რექტორისა და ანბანური წესით შედგენილ სხვა ხელნაწერებთან შედარებით იესე მდივნის ხელნაწერს აკლია 13 კაცი. ამასთანავე გამოტოვებულია სათაურიც. რაც შეეხება სიის შემადგენლობას, უნდა ითქვას, რომ ის 37 სახელი, რომელიც იესე მდივნის ხელნაწერშია. იმგვარადვეა მოცემული სხვა ხელნაწერებშიც.

აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუხლს აკლია დასაწყისი და დასაწყისის მომდევნო 13 კაცის სია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გვერდზე 18 კაცის სია ეტევა, მაშინ ცხადი გახდება, რომ ხელნაწერს მე-4 გვერდის შემდეგ სულ ცოტა ერთი ფურცელი მაინც აკლია. (ერთ გვერდზე დაწერილი იქნებოდა მუხლის სათაური და 13 კაცის სია).

როგორც ვთქვით, ხელნაწერი უდიდან ამოვარდნილია. იგი რვა ფურცლიან რვეულებად არის დანაწილებული და კანაფის ძაფით შეკრული. ხელნაწერი სულ 15 რვეულად ყოფილა დაყოფილი. როგორც ჩანს, მე-16 რვეული არ იქნებოდა სრული. ამჟამად ხელნაწერში 3 ბოლო ფურცელია შემორჩენილი, რომელზედაც მოთავსებულია „სამეფო დასტურლამალის“ სარჩევის გაგრძელება. სარჩევი დასრულებული არ არის. უფრო ზუსტად: საძიებლბს ნახევარზე ცოტა მეტი 5 ფურცელზეა მოთავსებული, რომლის ბოლომდე დასრუ-

<sup>1</sup> Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей..., т. II, 1906—1912, стр. 700.

ლებას კიდევ ოთხი ფურცელი დასჭირდებოდა. აი სწორედ ეს ოთხი ფურცელი აკლია ხელნაწერს ბოლოში.

მაგრამ, ხელნაწერს, როგორც ვთქვით, დასაწყისიც აკლია. პირველი რვეულის 8 ფურცლიდან ამჟამად ხელნაწერში არის 3 ფურცელი დარჩენილი (გვ. 1, 2, 3, 4, 5 და 6). ამ რვეულიდან ორი ფურცელი ამოვარდნილია და ხელნაწერის ბოლოშია მოთავსებული (გვ. 221, 222, 223, 224). 221-ე და 222-ე გვერდებზე ჰია არის მოთავსებული, ხოლო 223-ე და 224-ე—დაუწერელია. ეს ორი ფურცელი ერთმანეთთან არის შეერთებული. მაშასადამე, პირველ რვეულიდან 5 ფურცელია შემორჩენილი, 3 თავში და 2 ბოლოში. ორ ფურცელს ოუ მე-4 გვერდის შემდეგ თავის ადგილას ჩაესვამთ, მდგომარეობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: მე-4 გვერდის შემდეგ უშუალოდ იქნებოდა ფურცელი, რომელზედაც დაწერილი უნდა ყოფილიყო შემდეგი დებულებანი — აკილდის ქერისათვის. აბანოს იჯარისათვის და არაყხანის იჯარისათვის. გარდა ამისა, ამავე ფურცელზე გვექნებოდა მე-12 მუხლის სათაური და 13 კაცის სია. ხელნაწერის დასაწყისში, ალბათ, რვეულის პირველი ფურცელი ცარიელი იყო. რის შემდეგაც იწყებოდა შესავალი, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი დაახლოებით ოთხ გვერდს ანუ ორ ფურცელს მოიცავდა. ამგვარად, შესავალსა და კამოტოვებულ მუხლებს საშუალოდ 6 გვერდამდე დასჭირდებოდა. ამას უნდა მივუმატოთ 6 გვერდი ხელნაწერის დასაწყისიდან და ოთხი გვერდი ხელნაწერის ბოლოდან, სულ 16 გვერდი ანუ 8 ფურცელი. აქედან ერთი ფურცელი დაუწერელი უნდა იყოს.

ამის შემდეგ სამი რვეული, ახლანდელ ნუმერაციით 7—54 გვერდები, სრულად არის წარმოდგენილი. მე-5 რვეულში კი ერთი ფურცელი ამოხეულია (66 გვერდის შემდეგ). ამასთანავე, როგორც ჩანს, ამოხეული თუ ამოჭრილი ყოფილა ცარიელი ფურცელი, ან კიდევ ამოხევა მომხდარა ტექსტის დაწერამდე, რადგანაც ტექსტი დამახინჯებული არ არის და სხვა ხელნაწერებთან მიხედვითაც გვერდიდან გვერდზე სწორად გადადის.

სრულია მე-6 და მე-7 რვეულები (გვ. 70—100). მე-8 რვეულში ერთი ფურცელი ამოჭრილია, (112 გვ. შემდეგ), მაგრამ ტექსტი აქაც არ არის და მახინჯებული. მე-9 რვეული სრულია. მე-10 რვეულში ერთი ფურცელი აკლია. ახლანდელი ნუმერაციის 144-ე გვერდის შემდეგ, ტექსტი დამახინჯებულია. გამოტოვებულია 19 კაცისაგან შემდგარი სამზარეულოს მოხელეთა სია (სამზარეულოს მოხელეთა სიაში დავით რექტორისეულ ხელნაწერში 25 კაცია, იესე მდივნისეულში კი 6). გამოტოვებულია აგრეთვე დებულება „სალეონის მოხელეთათვის“. ეს დებულება იესე მდივნის ხელნაწერის სარჩევში შემორჩენილია. თუ მხედველობაში მივიღებთ სალეონის მოხელეთა სიის რაოდენობას (18 კაცი) და ამას მივუმატებთ სამზარეულოს მოხელეთა სიიდან 19 კაცს, რომელიც იესე მდივნის ხელნაწერს აკლია, მაშინ მივიღებთ 37 კაცს. თუ სიის ამ რაოდენობას დებულების სათაურსაც მივუმატებთ, მაშინ იესე მდივნის ხელნაწერის მიხედვით საჭირო იქნებოდა სწორედ ის ერთი ფურცელი, რომელიც ხელნაწერს აკლია.

მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 რვეულები. სრულად არის წარმოდგენილი. სრულად არის შემონახული აგრეთვე მე-15 რვეული, თუ არ ჩავთვლით იმ ორ ფურცელს, რომელიც შეცდომით პირველი რვეულიდან არის მოხვედრილი. რაც შეეხება მე-16 რვეულიდან დარჩენილ ბოლო ფურცელს, მის შესახებ ზე-

ვით უკვე აღვნიშნეთ და ამჯერად აღარას ვიტყვით. ასეთია ხელნაწერის ვარკვანი აღწერა.

ხელნაწერში გვერდიდან გვერდზე გადასასვლელი საკუსტოსო ნიშანი ყოველთვის არ არის აღნიშნული და თუ არის, სხვადასხვაგვარადაა მოცემული: ზოგჯერ მთლიანი სიტყვა არის მომდევნო გვერდისა და ზოგჯერ კიდევ სიტყვების ნაწილი. როგორც წესი, თვითოეული ორი გვერდის შემდეგ ე. ი. ერთი ფურცლიდან მეორე ფურცელზე გადასვლის სანიშნებელად მოცემულია საკუსტოსო ნიშანი, მაგრამ აქაც გამონაკლისია. საკუსტოსო ნიშანი არ არის (უნდა იყოს კი) შემდეგ გვერდებზე: 4, 64, 68, 76, 80, 162, 190, 201, 207, 210. ზოგჯერ საკუსტოსო ნიშანი იმიტომ არ არის, რომ მომდევნო გვერდზე ტექსტი მიდევნებით არ მიყვება ერთმანეთს ე. ი. ტექსტისათვის თავისუფალი ადგილი არის დატოვებული, ზოგჯერ საკუსტოსო ნიშანი—იმიტომ არ არის, რომ ის გვერდი, რომელზედაც უნდა ყოფილიყო იგი, ცარიელია. არის შემთხვევები, როდესაც საკუსტოსო ნიშანი ფურცლის ორივე გვერდზეა მოცემული (გვ. 73 და 74).

დებულება „აღწერა ქართლისა“ მთავრდება მე-17 გვერდზე. ამ გვერდის ბოლოს ორი-სამი სტრიქონის ჩასატევი ცარიელი ადგილია დატოვებული, მაგრამ აქ რაიმე ტექსტის ჩაწერა არ არის გათვალისწინებული. სხვა ხელნაწერებთან შედარებით გამოირკვა, რომ მომდევნო ტექსტი მართებულად არის თავის ადგილზე მოთავსებული.

ხელნაწერში ზოგიერთი ადგილი შეუესებელია. მაგალითად, მე-7 გვერდზე არის ასეთი სათაური: „ატენის ნაცვლისა“ (სინგურით, რომელსაც მოსდევს ექვსი დაუწერელი სტრიქონი). ასევე შეუესებელია ეს ადგილი მირველ თუმანიშვილის (გვ. 166), სულხან მდივნისა (53V) და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებში (69 v). ხოლო ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებში (გარდა I-სა) იგი შეესებელია.

მე-13 გვერდზე, ყაიყულის გარიგების ბოლოს, ცალკე სტრიქონით არის წარმოდგენილი: „ხასადრის რიგი და სარგო“. ანბანური წესით შედგენილ ხელნაწერებშიც ასევეა, ხოლო მირველ თუმანიშვილის ხელნაწერში კი წერია: „ხასადრის რიგი და სარგო წიგნი უწერიათ“ (გვ. 177); სულხან მდივნის ხელნაწერში — „ხასადრის რიგი და სარგო. წიგნი აქსთ მოიტანონ“ (58 v). ასევე წერია ყავრიშვილისეულ ხელნაწერში (76r).

მე-19 გვერდზე წერია: „ახლის თევზისა“. ასევეა ეს დავით რექტორის ხელნაწერში (გვ. 12), Q-ში (გვ. 19), B-ში (14), a-ში (გვ. 14), L-ში (გვ. 19), ხოლო A-ში (გვ. 19) და სხვა ნუსხაში არ არის.

ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ დავით რექტორის ხელნაწერი ახლოა იესე მდივნის ხელნაწერთან, ხოლო Q, B, a და L—D-ს თან.

55-ე გვერდზე სიტყვა „ფუშთუქუნიდამ“-ის წინ დასმულია სქოლიოში ჩატანის სანიშნებელი, რომლის ქვეშ ქვემო აშიაზე წერია: „ფუშთუქუ არის ვილანსა შა (შინა, — ი. ს.) მაჰალი გინა მაზრა ერთი დავით“.

80-ე გვერდზე ერთ-ერთი მუხლის სათაურია: „იარალის საქმე და კეთება სალაროს ნაზირს“ (სინგურით), შინაარსი კი არ არის მოყვანილი, გვერდი ცარიელია.

87-ე გვერდზე, დაუწერლად დატოვებულ ადგილზე ტექსტისაგან განსხვავებული ხელით წერია: „ქ. წადი უსტ(ა) რო შიართვი ქ(ა)ლსა მზის მობრწყინვალესა“. ამის ქვეშ ტექსტის. მაგრამ სხვა ფერის მელნით მიწერილია:

„არა შე საძაგელო; რომელმაც ეს დასწერე კელი მოიწონე თუ ლექსი და რა კრჭიდა“. ამის ქვეშ ულამაზო ხელით მოყვანილი წინადადების პირველი სიტყვებია: „არა შე საძაგელო რ“.

მოლარეთუხუცესის გარიგებაში ერთ ადგილას სიტყვა „მოლარეთუხუცესისა“ თავზე დაწერილია სანიშნებლად „0“, და ამ სანიშნებელის ქვეშ მარცხენა აწიანზე მიწერილია: „სხვაში (ე. ი. სხვა ხელნაწერში, ი. ს.) ეს ორი შაუ-რი მუსტაფის ეწერა“ (გვ. 116).

117-ე გვერდზე „მუხრანის კოდის პურის“ გასწვრივ განსხვავებული ხელითა და მელნით მარჯვენა აწიანზე მიწერილია „აქამდინ“.

137-ე გვერდზე არის სათაური: „რუისს მალულოძე გივის შვილები“. ამის გასწვრივ ფრჩხილებში ფანქრით მიწერილია: „არ არის „ნაბეკდში“ ე. ი. პ. უმიკაშვილის რედაქციით გამოცემულ „დასტურლამალში“. ეს მინაწერი ექვ. თაყაიშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

211-ე გვერდზე დებულება „ხილის ბაყისა“ მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „რუსუმი აგრეე ამისას აიღებენ და კათალიკოზაც წილი აქვს“. დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ სიტყვები და „კათალიკოზაც წილი აქვს“ განსხვავებულა ხელით არის მიწერილი. მართლაც, ხელნაწერის გადაწერის იესე მდივანს უნახავს ეს მინაწერი და „და“-ს წინ დაუსვამს გამოყოფის ნიშანი, რაც მოწმობს, რომ ეს სიტყვები მისი ხელით არ არის დაწერილი. ამასთანავე, აქვე ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „ოსეს იესე ვსწერ ეს რომ მოუწერიათ ჩემი კელი არ არის, იცანით“. ამ მინაწერის მიხედვით გამოთქმული იყო მართებული მოსაზრება, რომ ხელნაწერი „გადაწერილი ყოფილა XVIII ს-ის ცნობილი მდივნის იესე ოსეს შვილის მიერ“<sup>1</sup>.

219-ე გვერდზე ფანქრით მიწერილია: „ნახე უმიკაშვილის გამოცემა გვ. 108. აკლია სადედოფლო დასტურლამალი ე. თ.“ ეს მინაწერიც ექვთიმე თაყაიშვილისაა.

პირველი საკითხი, რომელიც ხელნაწერის გარჩევასთან დაკავშირებით გვინტერესებს, ხელნაწერის თარიღია.

ჩვენ ვთქვით, რომ ხელნაწერი მინაწერის მიხედვით იესე მდივანს უნდა ეკუთვნოდეს. იესე მდივანი, ავტორი მემუარული ჟანრის ნაწარმოებისა „ცხოვრება-ანდერძი“, ცნობილი ისტორიული პიროვნებაა, ის დაიბადა 1728 წელს: XVIII საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან; აუ უფრო ადრე არა, მას მაინც შეეძლო გადაწერა.

უფრო საფიქრებელია, რომ ეს ხელნაწერი შესრულებული უნდა იყოს 1773 წლის წინა ახლო ხანებში.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გამოვარკვიოთ თუ რა დამოკიდებულება აქვს იესე მდივანის ხელნაწერს ე. წ. მელიქიშვილისეულ ხელნაწერთან.

სახელწოდება „მელიქიშვილის ხელნაწერი“ შერქმეული აქვს მას პ. უმიკაშვილის მიერ. პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ „დასტურლამალის“ დაბეჭდვის დროს მას ხელთ ჰქონდა იოველ ალექსიძისა და სულხან მდივნის ხელნა-

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, „დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954, გვ. 83).

<sup>2</sup> „იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“, ა. იოსელიანის რედაქციით, 1950, გვ. 2—3.

წერები. „დაბეჭდვის შემდეგ, — წერს პ. უმიკაშვილი, — მოვიპოვეთ მესამე დედანი თავად ალექსანდრე ივანეს ძის მელიქიშვილისაგან. ამ უკანასკნელის დედნისა სამეფო დასტურლამალი ძველი ნაწერია და სადედოფლოს შემდეგ, 1773 წელს დამატებულია იესე მდივნის სომხით მელიქიშვილისაგან, რომელიც წარწერაში ამბობს: გადავწერე, არ დაიკარგოსო; ერთის მეტი არ იყო საქარ-  
სველოშიო“<sup>1</sup>.

გავარჩიოთ პ. უმიკაშვილის ეს მოსაზრება.

პირველყოვლისა, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იესე მდივნის სიტყვებს პ. უმიკაშვილი ამ შემთხვევაში თავისი სიტყვებით და შემოკლებით გადმოგვცემს. სინამდვილეში კი იესე მდივანს საკმაოდ ვრცელი მინაწერი აქვს გაკეთებული.

ეს მინაწერი პ. უმიკაშვილის საქმეებში აღმოჩნდა და რვეულის ერთ გვერდს შეიცავს (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—1746-ა, ფ. 108). როგორც ჩანს, პ. უმიკაშვილს გადმოუწერია ეს მინაწერი. მოგვყავს პ. უმიკაშვილის ჩანაწერი: „შენიშვნა აქვს მელიქოვს ეგზეპლიარს“ (ეს სიტყვები სათაურით არის გამოტანილი — ი. ს.). შემდეგ წერია: „იესე მდივანმა ღამე გადავწერე ეს დასტურლამალი. დიდათაც მეზარებოდა მარა არ დაიკარგოს ერთის მეტი არ იყო საქართველოში. ვინც ამისგან ირგებდეთ, მეც მომიგონებდეთ. დიახ, ავი ქელია მარა რა ვქნა, დიად მეზარებოდა. ქრისტეშობის კ ღმერთშემოსილისა ქქს. უაა ოსეს ვეუბენ და არ დაწერა ვერც იოანემ მოიცალა. და მევე დავწერო. გამოსადეგია ქართლისათვის. გრწამდეს, არც არ მომიკლია, არც არა შემძინებია. თითო ოროლა იასაულები კი არ დავსწერე, რათ მინდოდა და რიგი და წესი დამიწერია“.

პ. უმიკაშვილს ორ ადგილას გაკეთებული აქვს სქოლიოში ჩამოტანის სანიშნებელი: სიტყვა „მარას“ თავზე<sup>2</sup> და „უაა“ თავზე<sup>3</sup>. ამ სანიშნებლების ქვეშ იმავე გვერდზე მოტანილია პ. უმიკაშვილის ახსნა-განმარტება (რომელიც ჩვენც სქოლიოში მოგვყავს). მინაწერი 1773 წელს არის შესრულებული.

ამ მინაწერიდან ირკვევა, რომ იგი ეკუთვნის იესე ოსეს ძე ბარათაშვილს, რომელიც „ცხოვრება-ანდერძის“ ავტორია. ოსე, რომლისთვისაც დაუვალდება გადაწერა იესეს, მაგრამ დავალება არ შეუსრულებია, იესეს შეილია, 1759 წელს დაბადებული<sup>4</sup>. ოსე მაშინ 14 წლის ყმაწვილი ყოფილა, გადაწერაში მამის მიერ სათანადოდ გაწვრთნილი, მაგრამ, როგორც ჩანს, დაზარებია გადასწერად დაჯდომა. იოანე, რომელმაც ვერ მოიცალა ამ საქმისათვის, იესე ოსეს ძის ძმა იყო. იგი ცნობილი მოღვაწეა, ერთხანს თბილისის სემინარიის რექტორის თანამდებობაც ეჭირა<sup>5</sup>.

როგორც ვთქვით, სადედოფლო დასტურლამალის“ ხელნაწერი შესრულებულია 1773 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ მოიპოვება სწორედ ამ წლის სა-

1 „დასტურლამალის“ პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გ. V.

2 აქ სიტყვებია „კარგიც ვიცო“ და მოხაზულია ეს ნიშნავს: ავი ხელით დავწერო. მართლა ეს გადაწერილი „სადედოფლო დასტურლამალს“ ეკუთვნის, რომელიც ცუდათ არის გადაწერილი, „სამეფო დასტურლამალი“ კი კარგად არის ნაწერი და წითლურები აქვს. სამეფო წინათ არის, სადედოფლო მერმე მიკერებულია. სხვადასხვა ხელით არის სამეფო და სადედოფლო. (დედანში „მარა“ იყო? ი. ს.)

3 1773.

4 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. ბ. ო. ს. ე. ლ. ი. ა. ნ. ს. რედაქციით 1960 წ. გვ. 27.

5 იქვე, გვ. VIII.

ბუთი. რომლის მიხედვით იესე ოსეს ძე უკვე თავადი ბარათაშვილია<sup>1</sup>. მანამდე კი იესე ოსეს ძე „სიონელი ხუციშვილი“, თბილელის ყმა იყო<sup>2</sup>. შეცდომად უნდა ჩაითვალოს პ. უმიკაშვილის მოსაზრება, რომ „სადედოფლო დასტურლამალი“ გადაწერილია „იესე მდივნის სომხით მელიქიშვილისაგან“-ო<sup>3</sup>.

საყურადღებოა აღინიშნოს ი. ლორთქიფანიძის ცნობა, რომ „მელიქიშვილის ვარიანტი ჩვენს წიგნთსაცავებში ჩვენ ვერ ვიპოვეთ“<sup>4</sup>.

ჩვენ მიერ შესწავლილია ყველა ხელნაწერი, რომელიც კი მოიპოვება თბილისსა, გორსა და ლენინგრადში—სულ 15. არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ისეთი, რომლის „სადედოფლო დასტურლამალს“ ჰქონდეს ის წარწერა, რომელიც ჩვენ პ. უმიკაშვილის არქივიდან მოვიტანეთ.

როგორც ვნახეთ, პ. უმიკაშვილმა შეცდომით იესე მდივან ბარათაშვილი იესე მდივან „სომხით მელიქიშვილად“ ჩათვალა. ამასთან დაკავშირებით დაიხსენიდა საკითხი: ხომ არ ჰქონდა პ. უმიკაშვილს ხელთ სწორედ იესე მდივნის ის ხელნაწერი, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტში S—4532-ით აღინიშნება? მდგომარეობას ართულებს ის, რომ ამ ხელნაწერის სადედოფლო ნაწილი, რომელზედაც წარწერა ყოფილა, ახლა ხელნაწერს არ ახლავს. მაგრამ, შესაძლებელია „სადედოფლო დასტურლამალი“ დაშორდა ამ ხელნაწერს, ან დაიკარგა, ან სხვაგან არის. ამჟამად კი საჭიროდ მიგვაჩნია შევეუდაროთ ჩვენი ხელნაწერის ე. ი. იესე მდივნის ხელნაწერი იმ ვარიანტს, რომელიც იოველ ალექსიძის ხელნაწერისაგან განსხვავებით მოყვანილი აქვს თავის შრომაში პ. უმიკაშვილს<sup>5</sup>.

#### მელიქიშვილის ხელნაწერი

#### იესე მდივნის ხელნაწერა

გვ. 4, სტრ. 7. ზინდრების სიაში არ არის მიქელისშვილი იოანე; აჯილდის და ზინდრების სია ერთად არის დასწერილი და ბოლოს აქვს ჯამი იდ.

გვ. 4. „დ“ და „ე“ (თავების ნუმერაცია) შეერთებულია: „აჯილდის შიგამდეგი და სხვა ზინდრები. აჯილდის შიგამდეგი აღუაშვილი.

გვ. 5. ბოქაულთუხუცესი.

გვ. 6. ხალიფად ინოლი აბდულა.

გვ. 8. სტრ. 19. ატენელს კაცს აძეს ბატონისა.

გვ. 9. სტრ. 6 ორი მრთელი სტრიქონი (6—7) არ არის.

გვ. 2—3.

ზუსტად იგივეა.

გვ. 2. იგივეა

გვ. 3. იგივე.

ეს თავი ნაკლულია.

გვ. 6. იგივეა.

გვ. 7. დატოვებულია ცარიელი ადგილი ე. ი. იგივეა.

<sup>1</sup> „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი“, ა. იოსელიანის რედაქციით, 1950 წ., გვ. XIX.

<sup>2</sup> იქვე, XVIII.

<sup>3</sup> „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გვ. V.

<sup>4</sup> იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, 1, II, 1935, გვ. 8.

<sup>5</sup> „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, გვ. 157—162.



- გვ. 9. 12. ბატონის ზვრების  
 გვ. 9. 19. ხანდელნი, თხილანრელნი  
 გვ. 12, 14 უიზილ ზიარათი  
 გვ. 13, 8. ზემო ქართლში  
 გვ. 13. 16. მუხრანს  
 გვ. 14. 4 კელი არა აქვს  
 გვ. 14. 10. ბოქაულთ ხუცესი  
 გვ. 14, 20 სიაში არ არის ორი სახელი: ზურაბიშვილი ბეჟან, ქავთარის შვილი იესე.  
 გვ. 14, 26. ბატონების ბაღებში უნდა  
 გვ. 15, 4. თავი მთავრდება სიტყვებით: „ასლანა აიღებს“.  
 გვ. 15, 9. ლ თავი ასეა წერ: „ახლის თევზისა“, მერე იქვე: „ბოქაულთ-ხუცესი და შიგამდევისა ქორის ბაზიერი. სიაში 10 სახელია.  
 გვ. 15, 24. ქათამს და სამ სამს კვერცხს.  
 გვ. 16,8. ბოქაულთხუცეების სარგო.  
 გვ. 18, 1. სააღდგომო სძეს ძროხა ერთი.  
 გვ. 18,1 სამს კომლზედ თოხლი ა  
 გვ. 19,2. ღალის პურის ხასადარი  
 გვ. 19,5. „იმის ნახევარიდა“ ამ სიტყვების შემდეგ ორი-სამი სიტყვის ადგილი. ცარიელია და შემდეგ წითლურით იწყება: „შავარდენს“.  
 გვ. 19,8. ბაზიერთხუცისა არას თუ დუშალიკი  
 გვ. 19, 16 არ არის სიაში: გიორგი შვილი იოსებ. სიაში თერთმეტი კაცია.  
 გვ. 20, 25. გორის მამასახლისის სარგო და გორის ნაცელის სარგო სათურებად არის გამოყოფილი.  
 გვ. 21, 12. ამათ სძეს იქივ ქარვასლის.  
 გვ. 24, 2. დაიკლოდეს მკერდი თუშმალს, კისერი მზარეულს.  
 გვ. 25. 6. თაბუნმა ისას თაბუნმა მუტათის ნაყმევმან შიხის თაბუნმან ასლანა ფარეშის თაბუნმა, ამათ უნდა გამოიღონ კომლზედ.  
 გვ. 28. 1. ხიალუ მერაბას თაბუნი კომლი ძუ ფალირი იმ დარჩა იბ
- გვ. 8. იგივეა.  
 გვ. 8. იგივეა.  
 გვ. 13. იგივეა.  
 გვ. 15. იგივეა  
 გვ. 16 იგივეა.  
 გვ. 17. იგივეა  
 გვ. 18. ბოქაულთხუცესი  
 გვ. 18. ქავთარის შვილი არ არის, ზურაბიშვილი ბეჟან არის  
 გვ. 19. იგივეა  
 გვ. 19. იგივეა  
 გვ. 19—20. წერ: „ახლის თევზისა“. შემდეგ: ბაზიერთხუცესი და შიგამდევისა. ქორის ბაზიერი. სიაში 10 სახელია.  
 გვ. 21 იგივეა  
 გვ. 22. იგივეა  
 გვ. 24. იგივეა  
 გვ. 26. იგივეა  
 გვ. 26—27. იგივეა.  
 გვ. 27 იგივეა.  
 გვ. 27. იგივეა.  
 გვ. 27—28. იგივეა.  
 გვ. 30. იგივეა.  
 გვ. 32. ამათ სძესთ იქივ ქარვასლის.  
 გვ. 37. იგივე  
 გვ. 38. განსხვავება: მუსტაფის“ ნაცვლად „მუსტოფის“.  
 „შიხის“ ნაცვლად, „შიხიას“, „თაბუნის“ ნაცვლად „თაბუნმან“.  
 გვ. 45 იგივეა.

- ამისი რკბ თარხანი მოლა გზირი  
ით მახტა ე ფალირი დარია ოზ.
- გვ. 29, დარჩა ნღ.
- გვ. 29. 13. ქალაგირი.
- გვ. 33, 15. წაიღებს ყურსქუ ექესს
- გვ. 36, 13. მობრუნდება და კლონეთის  
ბოლოს.
- გვ. 36. 28. მთილამ კაფნარი
- გვ. 38, 10. ჩამოვარდება იმის გამას-  
წორ ქციის პირს ქვა ჩაგვისმავს  
იმის სწორად კიდევე ქვა ჩაგვისვამს.  
გზის პირს ჩაგვისვამს. გზას ზეით.
- გვ. 38, 12. და არწევანს შუა ოთარ  
მღივანს.
- გვ. 41, 27. გარეობაში დლიური გ. თუნ-  
გი ღეინო
- გვ. 42, 11. თულაშვილი ლომკაცი.
- გვ. 44, 2. ერთი კათალიკოზის აზნაურ-  
შვილი თაზისშვილი უნდა იდგეს.  
ამ კონს რაც ქვის შევსება მოუნდე-  
ბა.
- გვ. 44, 15. ზარი ა. სამეჩინიბო ქათამი  
სამეჩინიბო სოფელზე ბატკანი ა. ეს  
კოდი პური და ბზე გორს უნდა ჩა-  
მოიტანონ სამეჩინიბო. კოდის პუ-  
რის...
- გვ. 45, 27. ზერის მუშას და მკა ხვნაში.
- გვ. 51, 5. თუმანზე შაური, ზარაფზედ  
თორმეტი.
- 51 და 52 გვერდებზე: პმ, პთ, უ, ყა,  
ყბ, ყგ და ყდ თავთა სიებში გვარები  
სხვა განაწილებით და არევიით არის.  
აქ მხოლოდ მოვიხსენებთ  
რიცხვს ჩამოთვლილ მოხელეთა:  
მკერვლები—4, მემანდრები—7,  
მებადური—6, მერიქიფე—9, მესა-  
კლავე—4, მეჩინიბუნი—19. (ამ უკა-  
ნასკენლს კი უწერია ჯამი „კა“)  
მეჯოგენი 8 (ჯამი უზის „თ“).
- გვ. 57, 23. ბძანდებოდეს, დედოფლის  
სახლოხუტეჰი იქ ახლდეს ჰბატონი  
და დივანბეგი იქ არ ბძანდებოდეს  
სადედოფლოს სახასომ ან.
- გვ. 60, 7. ამათ გამოილონ. ჩამოტანა  
ქალაქს სძესთ.
- გვ. 61, 3. არის კვიცი უკლებ...
- გვ. 45 იგივე.
- გვ. 48. იგივე.
- გვ. 48. ქოლაგირი.
- გვ. 57. იგივე.
- გვ. 63. იგივე.
- გვ. 64; იგივე.
- გვ. 67. იგივე.
- გვ. 67. იგივე.
- გვ. 76. იგივეა.
- გვ. 78. იგივეა.
- გვ. 81. იგივე.
- გვ. 83. იგივე.
- გვ. 86 იგივე.
- გვ. 99. თუმანზედ შაური ზარაფზე  
თორმეტი.
- გვ. 100—104: მკერვლები 4, მემან-  
დრები—7, მებადურები—6, მე-  
რიქიფე—9, მესაკლავე—4, მეჩი-  
ნიბუნი—20, (უკანასკნელს  
უწერია ჯამი კა). მეჯოგენი—9, ჯა-  
მი უწერია „თ“. ხსენებულ თა-  
ვებში გვარები სხვა განაწილებით  
არის, ვიდრე ალექსიძის ხელნა-  
წერში.
- გვ. 113. იგივე.
- გვ. 117. იგივე.
- გვ. 119. არის კვიცი უკლებლად.

- გვ. 61, 20. მეჯოგემ ზღოს თავნი და თუ სხვაგან შეამჩნიოს მეჯოგემ შეიდეულად თავისთვის. აზღვევის ამისი საზღვარი.
- გვ. 62. რია. თავში რიცხვი მოხელეთა ერთით ნაკლებია (გულია გოგის-შვილი).
- გვ. 64. რიე და რივ თავების მოხელეთა სია სხვა რიგათ არის დაყოფილი: რიე თავში არის 19, რივში 21 მოხელე.
- გვ. 68. სიები რკთ, რლ, რლა, და რლბ თავებისა არეულია ერთმანეთში და ზოგი აკლია.
- გვ. 68. რკთ თავში რიცხვი საზანდრების არის 3 და ბოლოს უწერია: „სხვა მოქალაქე და საზანდრები მისი (ალელი თამაზა დალაშვილის) თაბუნის არის“. მერმე რლ-თავში საფარემას მოხელეთა რიცხვი 40-ია.
- გვ. 69. ორი: შაური სარქარბაშს, ორი შაური სალაროს ნაზირს, ორი შაური სარქარს, ორი შაური თავილდარს, ორი შაური მუშობის; ერთ-ხელი ტანისამოსი.
- გვ. 69. რლბ თავში მოხელეთა რიცხვი.
- გვ. 69. რლდ თავის მოხელეთა რიცხვი 19.
- გვ. 70. რლზ თავის საღვინის მოხელეთა რიცხვი 15.
- გვ. 71, 16. თავი რმა ასეა: „სათეფშოსი: თავილდარი თუშმლისშვილი გიორგი, მოქალაქე ხეჩუა, ბოვნელი ხეჩუა, იქივ გზირიშვილი მეთეფშე. სამეხრეოლი ძამა, ეკლესიელი ლევა. სამი კიდევ იშოონ“.
- გვ. 71. რლთ, საშარბათოს მოხელენი 10, რმ, სააუშტროს მოხელენი 14, რპა, მეთეფშეთ სიაში აღნიშნულია რიცხვი 6 და მას უწერია „სამი კიდევ“. რმგ. საზინდროსი, რიცხვი მოხელეთა 5.
- გვ. 76. 11. ტყაის ბაჟიდამ.
- გვ. 120. მეჯოგემ ზღოს თავნი და თუ სხვაგან შეამჩნიოს მეჯოგე შეიდეულად თავისთვის აზღვევის ამისი საზღაური.
- გვ. 221. იგივეა ე. ი. სიას თავში აკლია „გულია გოგისშვილი“.
- გვ. 127—129. იგივეა. სია ალექსიდის ხელნაწერთან შედარებით სხვა. რიგით არის მოცემული. ერთ სიაში არის 19 კაცი დასახელებული. ბოლო მეორეში—21.
- გვ. 139—142—ასევეა.
- გვ. 139—141. იგივეა, მხოლოდ საფარემოს მოხელეთა რიცხვი 39-ია.
- გვ. 142. იგივეა, მხოლოდ ნაცვლად „თავილდარს“ არის თავილდარს“.
- გვ. 142. იგივეა.
- გვ. 143—144. იგივე.
- გვ. 144-ის შემდეგ უნდა იყოს, მაგრამ აქ ერთი ფურცელი აკლია.
- გვ. 146—147... თუშმლისშვილი . . . გზირის შვილი, . . . ლევა . . . იშოონ. სხვაგან იგივეა.
- გვ. 145—147. იგივეა.
- გვ. 155. იგივეა.

- გვ. 76. 12. დაბეჭდილში რომ ცარიელი ადგილი იქ არის: „თუ ამანი მოვა“.
- გვ. 81, 20. ხან ოც თუმნად ხან მეტ ნაკლებად.
- გვ. 83, 3. საბატონო ა.
- გვ. 85, 7. მარილი ლიტრა ი
- გვ. 88, 16. კელმწიფეს რომ დაუმარცხდეს.
- გვ. 90. რედ, ეალიონ ყორჩების მოხელენი—5 (აკლია პეტრე).
- გვ. 94, 1. ნაცვალს ვისაც ძროხა გამოუვიდოდეს—აბაზსა.
- გვ. 94 სბ თავში ყულარადასის მოხელეთ რიცხვი 14.
- გვ. 95. სგ თავის შავარდნის ბაზიერთ მოხელეთ რიცხვი 17, სდ შათიერების მოხელენი 8.
- გვ. 97, 25. ცხვარი ია.
- გვ. 101, 21. ტყვე ურუმისაგან ჩვენის ქვეყნის თათარმა.
- გვ. 104. 22. საპალნეზედ ფული, ბრინჯის საპალნეზედ ფული, თაფლზედ ორი ფული, ნალ-ლურსმისა და რკინის საპალნეზედ ორი ფული მატყლზე.
- გვ. 106, 22. საქმეში დაუჯერებდენ.
- გვ. 107. 1. სვეტი. დიდმელთ თუმანი—3, მინალთუნი—ე; გატეხილ კიდელთ თუმანი ე.  
11 სვეტი: „თელუს“ მაგიერ „თელუს“, „ყიზილ ყირათმა“-ს მაგიერ „ყიზი ზიარათმა“. 11 სვეტში არ არის პირველი ოთხი სოფელი. აგრეთვე 1 სვეტში არ არის: გომარეთი და ურცევანი. ეს ექვსი სოფელი ჩაწერილია 108 გვერდის სიაში და ბოლოს არის: „იქმნა ჯამი მარჩილი რუა, თუმანი ია, მინალთუნი—დ, აბაზი—გ.
- გვ. 155. იგივე.
- გვ. 164. იგივე.
- გვ. 166. იგივე.
- გვ. 170. იგივე.
- გვ. 177. იგივე.
- გვ. 180. იგივე.
- გვ. 188. იგივე.
- გვ. 189. იგივე.
- გვ. 190—191. იგივე.
- გვ. 195. იგივე.
- გვ. 209... თათარმან.
- გვ. 210. საპალნეზედ ფული. ბრინჯის საპალნეზედ ფული. ერბოსა და თაფლზე ორი ფული. ნალ-ლურსმისა და რკინის საპალნეზედ ორი ფული. მატყლზედ.
- გვ. 214. იგივე.
- გვ. 216—219. იგივე.

ამ შედარებიდან პირველი, რაც ჩვენს ყურადღებას იქცევს, ეს არის საოცარი მსგავსება, რომელსაც ე. წ. მელიქიშვილის ვარიანტი იჩენს იესე მდივნის ვარიანტთან. ორივე ვარიანტის სიებში ერთი და იგივე გვარსახელები აკლია. ორივე ვარიანტში ერთნაირად არის თავები გაერთიანებული, ორივე ვარიანტში ერთნაირად არის ცარიელი ადგილი დატოვებული. საქმე იქამდის მიდის. რომ ერთგან პ. უმიკაშვილი აღნიშნავს: „ორი-სამი სიტყვის ადგილი. ცარიელია“ და მართლაც იესე მდივნის ხელნაწერში ნაჩვენებ ადგილზე ასეთი რაო-

დენობის ცარიელი ადგილია დატოვებული. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ აქ შემთხვევითობასთან გვეკონდეს საქმე, ე. ი. იესე მდივნისა და ე. წ. მელიქიშვილის ხელნაწერებში ამ ადგილზე სწორედ ორი-სამი სიტყვის ადგილი იყოს შემთხვევით ერთნაირად დატოვებული. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ იესე მდივნის ამჟამად ჩვენთვის საკვლევი ხელნაწერი ხელთ ჰქონდა პ. უმიკაშვილს, რომელიც მან შეცდომით მელიქიშვილის ხელნაწერად მიიჩნია.

ახლა გავანალიზოთ ის განსხვავება, რომელიც შედარებაშია ნაჩვენები და ვნახოთ ხომ არ შეირყევა ჩვენი დასკვნა იგივეობის შესახებ.

პირველ ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ პ. უმიკაშვილი ვარიანტების სხვაობის მოყვანისას მკაცრ სიზუსტეს არ იჩენს და ზოგჯერ შეცდომასაც უშვებს.

პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ ალექსიძის ვარიანტის მეშვიდე პარაგრაფში წერია: „ბოქაულთ-უხუცესი“, ამისგან განსხვავებით, პ. უმიკაშვილის მიხედვით მელიქიშვილის ვარიანტში წერია: „ბოქაულთ ხუცესი“. პ. უმიკაშვილი შენიშნავს: „სხვაგან ყველგან უხუცესის მაგიერად არის ხუცესი“<sup>1</sup>. შემდეგ იესე მდივნის ხელნაწერში ეს სახელი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „ბოქაულთ ხუცესი“. მასასადამე „ხუცესი“ მართლაც 'ისევეა მოცემული, როგორცადაც უნდა იყოს იგი პ. უმიკაშვილის განმარტებით; მაგრამ „ბოქაულთ“-ის მაგიერ არის „ბოქოულთ“. პ. უმიკაშვილი უთითებს იმ ადგილზეც, სადა იესე მდივნის ტერმინიც, მაგრამ „ა“ რომ „ო“-დ გადაიქცა, ამას არ აქცევს ყურადღებას<sup>2</sup>.

პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ ბოქაულთხუცესისა და ემიკადასბაშის გარიგების სიაში არ არის ორი გვარსახელი: ქავთარისშვილი იესე და ზურაბისშვილი ბეჟან<sup>3</sup>. იესე მდივნის ხელნაწერში ქავთარისშვილი იესე მართლაც არ არის, მაგრამ არის ზურაბის შვილი ბეჟან. როგორც ჩანს პ. უმიკაშვილს ეს გამორჩენია.

ალექსიძის ჩანაწერში ბატონის ბალის წყლის გარიგებას მოსდევს თავი: „შიგამდეგისა და ქორის ბაზიერისათვის“. პ. უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ ალექსიძის ხელნაწერისაგან განსხვავებით მის მიერ მელიქიშვილისეულად მიჩნეულ ვარიანტში ბალის წყლის გარიგებას მოსდევს გარიგება „ახლის თევზისა“ და შემდეგ გარიგება ასეთი სახელწოდებით: „ბოქაულთ ხუცესი და შიგამდეგისა. ქორის ბაზიერი“<sup>4</sup>. სინამდვილეში „ახლის“ მაგიერ იესე მდივნის ხელნაწერში არის „ახლის“, ხოლო სახელის „ბოქაულთ ხუცესის“ ნაცვლად „ბაზიერთხუცესი“. სიტყვა „ახლისათვის“ პ. უმიკაშვილს შეცდომით ერთი ასო აქვს მიმატებული. ბაზიერთხუცესისა და ბოქაულთხუცესის სახელების შეცდომით შენაცვლება იქედან უნდა გამომდინარეობდეს, რომ ამის წინა განსხვავებაში პ. უმიკაშვილს ორჯერ ბოქაულთხუცესსზე აქვს საუბარი. ამასთანავე, შინაარსის მიხედვით დაუჭერებელია ამ მუხლში ბოქაულთხუცესი ყოფილიყოს, აქ სწორედ ბაზიერთხუცესის ადგილია.

პ. უმიკაშვილის „სძესთ“-ის მაგიერ მოყვანილი აქვს სიტყვა „სძეს“<sup>5</sup> (თითქოს ასე იყოს ე. წ. მელიქიშვილი ნუსხაში). პ. უმიკაშვილს აქვს „მუსტაფის“.

1 „დასტურლამალო“. პ. უმიკაშვილის რედაქციით. 1886, გვ. 158.

2 იქვე.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 158.

5 იქვე, გვ. 159.

იესე მდივნის ხელნაწერში არის—„მუსტაფი“. მაგრამ, პ. უმიკაშვილს ცალ-ცალკე კი არ აქვს ეს სიტყვები მოყვანილი, არამედ მრავალ სხვა სიტყვებთან ერთად. დანარჩენი სიტყვები ზუსტად შეესაბამება იესე მდივნის ხელნაწერს, მოყვანილი განსხვავება ასოებში კი უმნიშვნელოდ მიგვაჩნია. ასეთი განსხვავება გადაწერის დროს შეიძლებოდა მოსვლოდა „დასტურლამალის“ გამომცემელს, ან კიდევ, ასოთამწყობს (როგორც ვიცით, პ. უმიკაშვილს დაბეჭდვის დროს თვით ხელნაწერები მიჰქონდა სტამბაში).

ასევე უნებლიე შეცდომებად მიგვაჩნია:

1. პ. უმიკაშვილი წერს: „თუმანზე შაური ზარათზედ თორმეტი“.

იესე მდივნის ხელნაწერშია: „თუმანზედ შაური ზარათზე თორმეტი“<sup>1</sup>.

მაშასადამე, ერთგან სიტყვის ბოლოს „დ“ აკლია, მეორეგან იგივე ასო ზედმეტად არის.

2. პ. უმიკაშვილს ნაჩვენები აქვს: „მეჩინიბენი 19“, ჯამი კი უწერია კა (21)<sup>2</sup>, იესე მდივნის ხელნაწერში სიაში 20 კაცია, ჯამი კი იგივეა კა (21).

3. პ. უმიკაშვილს ნაჩვენები აქვს 8 მეჯოგე, ჯამი კი თ(9); იესე მდივნის ხელნაწერში სია 9 კაცს შეიცავს და ჯამიც „თ“ უწერია.

4. ალექსიდის ხელნაწერში წერია: „არის კაცი უკლებლად“. ამისაგან განსხვავებით იესე მდივნის ხელნაწერშია: „არის კვიცი უკლებლად“, პ. უმიკაშვილი კი უჩვენებს: „არის კვიცი უკლებლად“...<sup>3</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „უკლებლად“ პ. უმიკაშვილს ეკუთვნის, და ეს სიტყვა მას განსხვავების საჩვენებლად კი არ მოუყვანია, არამედ როგორც განსხვავებული სიტყვის მომდევნო სიტყვა (მომდევნო სიტყვა არის: „უკლებლად“), ისე როგორც მანვე მოიყვანა განსხვავებული სიტყვის წინა სიტყვა („არის“), განსხვავებული სიტყვა კი „კვიცი“-ა („კაცის“ მაგიერ).

5. სიაში 39 კაცის ნაცვლად პ. უმიკაშვილს მოყვანილი ყავს „40“<sup>4</sup>.

6. პ. უმიკაშვილს აქვს: „თუმლისშვილი“, უნდა იყოს თუმლის შვილი<sup>5</sup>.

7. „ „ „გზირიშვილი“<sup>6</sup>, უნდა იყოს გზირისშვილი“.

8. „ „ „ლევა“<sup>7</sup>, იესე მდივანს: „ლეუა“.

9. „ „ „იშოონ“<sup>8</sup>, „ „ „იშოვონ“

10. „ „ „თათარმა“<sup>9</sup> „ „ „თათარმან“.

11. „ „ „ნალ ლურსმის“<sup>10</sup>, „ „ „ნალ ლურსმრისა

12. „ „ „მატყლზედ“<sup>11</sup>, „ „ „მატყლზე“.

„თათლზედ“<sup>12</sup> „ „ „თათლზე“.

<sup>1</sup> „დასტურლამალი“ პ. უმიკაშვილის რედაქციით, გვ. 160.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>12</sup> იქვე.

შედარებით უფრო სერიოზული განსხვავებაა, მაგალითად, როცა პ. უმიკა-  
შვილი ხმარობს „საზღვარს“<sup>1</sup>, იესე მდივანს კი აქვს „საზღაური“, ან კიდევ:  
პ. უმიკაშვილს მოყვანილი აქვს წინადადება, რომელსაც იესე მდივანის ვარიან-  
ტისაგან განსხვავებით აკლია ერთი სიტყვა („ერბოსა“)<sup>2</sup>.

კიდევ უნდა შევჩერდეთ ერთ განსხვავებაზე. პ. უმიკაშვილი აღნიშნავს,  
რომ თითქოს ე. წ. მელიქიშვილის ხელნაწერში „ტყვის“ მაგიერ იყოს „ტყა-  
ვის“, ხოლო იესე მდივანს კი აქვს ამ სიტყვის ნაცვლად „ტყვის“<sup>3</sup>. მირველ თუ-  
მანიშვილის, სულხან მდივანისა და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებში არის  
„ტყვის“, დავით რექტორს კი აქვს „ტყავის“. ალექსიძის ხელნაწერშიც პირვე-  
ლად ყოფილა „ტყავის“ და შემდეგში ასო „ა“ ამოუფხეკიათ, ამოუშლიათ.  
დაბეჭდილ ტექსტში არის „ტყვის“. შეიძლება A—ნუსხაში გასწორება („ა“-ს  
ამოშლა) სულხან მდივანის ხელნაწერის მიხედვით თვით პ. უმიკაშვილმა შეიტა-  
ნა; თუ ეს ასეა, შესაძლებელია პ. უმიკაშვილს, როდესაც ის განსხვავებაზე  
უთითებს, მხედველობაში აქვს A ხელნაწერში ამ სიტყვის პირვანდელი დაწე-  
რილობა („ტყავის“) ე. ი. დაწერილობა „ა“-ს ამოვდება-ამოფხეკამდე და ამ  
პირვანდელ დაწერილობას შეცდომით მიიჩნევს J-ში ამ სიტყვის დაწერა-  
ლობად.

ყველა ის განსხვავება, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, შეიძლება გამოწვეუ-  
ლი ყოფილიყო გადაწერის პროცესში დაშვებული შეცდომით: ამიტომ მოყვა-  
ნილი სხვაობა ვერ არყევს ჩვენს შეხედულებას, რომ ე. წ. მელიქიშვილისეული  
ხელნაწერი სინამდვილეში იესე მდივანის ხელნაწერია. ზემოთ მოვიყვანეთ  
მსგავსება, რომელიც ე. წ. მელიქიშვილისეულ ვარიანტსა და იესე მდივანის  
ვარიანტს შორის არსებობს. ეს მსგავსება იმდენად ნიშანდობლივია, რომ ვინც  
ჩვენ მიერ ზემომოყვანილ შედარება-ამონაწერებს გულდასმით გაეცნობა, შე-  
უძლებელია დაეჭვდეს ამ ამონაწერების ერთსა და იმავე ხელნაწერისადმი  
კუთვნილობაში.

ამგვარად, პ. უმიკაშვილს ხელთ ჰქონია იესე მდივანის ხელნაწერი, რომე-  
ლიც ამჟამად ჩვენი განხილვის საგანია და იგი მიუჩნევია მას მელიქიშვილი-  
სეულად. ამასთანავე, პ. უმიკაშვილის დროს ეს ხელნაწერი (ხელნაწერთა ინს-  
ტიტუტი, S—4532) ყოფილა სრული. შემდეგ მას მოგლეჯია თავი (დაახლოე-  
ბით 3 ფურცელი), დაკარგულა შიგნითა რამდენიმე ფურცელი, ორ ფურცელს  
ადგილი გამოუცვლია. დაკარგულა აგრეთვე ხელნაწერის მეორე ნაწილი, „სა-  
დედოფლო დასტურლამალი“ და ამასთან ერთად „სამეფო დასტურლამალის“  
ბოლო ფურცლები, სახელდობრ „სამეფო დასტურლამალის“ სარჩევის ნაწილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას შემდეგი: ყველა ხელნაწერ-  
ში, რომელშიაც სამეფო და სადედოფლო დასტურლამალია მოცემული, და ასე-  
თია ანბანური წესით შედგენილი „დასტურლამალის“ ხელნაწერები, სარჩევი  
სამეფო და სადედოფლო დასტურლამალისა მოცემულია ხელნაწერის ბოლოს.  
იესე მდივანის ხელნაწერში, როგორც ჩანს, „სამეფო დასტურლამალის“ სარ-  
ჩევი ტექსტის ბოლოს ყოფილა მოთავსებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ „სა-  
დედოფლო დასტურლამალის“ სარჩევიც ტექსტის ბოლოს იქნებოდა მოთავსე-  
ბული. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ იესე მდივანის ხელნაწერ-  
ში შემონახულია „სამეფო დასტურლამალის“ სარჩევის ნაწილი. ამ ფაქტის ახ-  
სნა მოცემული აქვს პ. უმიკაშვილს ჩვენს მიერ მოყვანილ ამონაწერში. იგა

<sup>1</sup> „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, გვ. 160.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 104.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 76.

წერს, რომ „სამეფო დასტურლამალი“ წინათ არის შესრულებული, ხოლო „სადედოფლო მერმე მიკერებული“<sup>1</sup>-აო. ეს კიდევ ერთი საბუთია იმის ნათელსაყოფად, რომ პ. უმიკაშვილის მელიქიშვილისეულად მიჩნეული ხელნაწერი სინამდვილეში იესე მდივნის ხელნაწერია.

სწორედ ეს „მიკერებული“ ნაწილი მოსცილებია ხელნაწერს და აღარ ჩანს. ამ ნაწილის ბოლოს ყოფილა იესე მდივნის ის წარწერა, რომელიც პ. უმიკაშვილის მიერ ამოწერილია და მის არქივში ინახება. ეს ამონაწერი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

პ. უმიკაშვილის განმარტების მიხედვით „სადედოფლო დასტურლამალი“ ცუდი ხელით არის ნაწერი. იგი წერს: „კარგიც ვიცი მოხაზულია. ეს ნიშნავს: ავი ხელით გადაწერეთ. მართლა ეს გადაწერილი სადედოფლო დასტურლამალს ეკუთვნის, რომელიც ცუდად არის გადაწერილი. სამეფო დასტურლამალი კი კარგად არის ნაწერი და წითლურები აქვს. სამეფო წინათ არის, სადედოფლო მერმე მიკერებულია. სხვადასხვა ხელით არის სამეფო და სადედოფლო“<sup>2</sup>.

ცხადია, პ. უმიკაშვილის მოსაზრება, რომ სამეფო და სადედოფლო დასტურლამალი „სხვადასხვა ხელით არის“ შესრულებული, არ გამორიცხავს ერთისა და იმავე პირის დაწერილობას. თვით იესეც აღნიშნავს, რომ ეს ცუდი ხელით არის ნაწერი და უკეთესი ხელით შემოძლია წერაო. მართლაც „სამეფო დასტურლამალი“ კარგი ხელით არის შესრულებული.

ეს სხვაობა პ. უმიკაშვილმა იმავე გადამწერის თუ სხვადასხვა გადამწერის ხელად მიიჩნია, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. (როგორც ჩანს, პ. უმიკაშვილს სამეფოსა და სადედოფლოს გადამწერები სხვადასხვა პირი ჰგონია).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ იესე მდივნის ხელნაწერში არსებული მინაწერები, რომლებიც თვით იესეს უნდა ეკუთვნოდეს, იმდენად განსხვავდებიან ტექსტის ხელისაგან, რომ თუ არა შინაარსის მიხედვით, ისე შეუძლებელია მათი ავტორისეულად მიჩნევა. მაგალითად, გვ. 116-ე გვერდის მარცხენა აშიაზე არის ასეთი მინაწერი: „სხვაში ეს ორი შაური მუსტოფისა ეწერა“. ტექსტისაგან განსხვავებული ხელით არის აგრეთვე ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მინაწერი: „ოსეს იესე ვსწერ, ეს რომ მიუწერიათ ჩემი კელი არ არის. იცანით“. (გვ. 211). რომ არ ეთქვა „ოსეს იესე ვსწერო“, ისე ამ წარწერას ტექსტის გადამწერის ხელად ვერ შევიცნობდით. ტექსტისაგან განსხვავებულ ხელით არის შესრულებული 87-ე გვერდზე მინაწერი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ და რომლის ერთი ნაწილი იესე მდივნისა უნდა იყოს („არა შე საძაგელო“... და სხვა). ამგვარად, პ. უმიკაშვილის მოწმობა სამეფო და სადედოფლო დასტურლამალის სხვადასხვა ხელით გადაწერის შესახებ, არ გამორიცხავს ორივე ნაწილის გადამწერად იესე მდივნის მიჩნევას.

მინაწერის მიხედვით, იესე მდივანს „დიდად ეზარებოდა“ გადაწერა. შეილსაც სთხოვა ამ საქმის შესრულება, მაგრამ ვერ დაითანხმდა, „დიდაც მეზარებოდა“, იმეორებს იესე, მაგრამ სხვა გზა რომ არ იყო, ისევ მე „იესე მდივანმა ღამე გადაწერე ეს დასტურლამალი“.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი A, 1746—ა ფურცელი 108.

<sup>2</sup> იქვე.



ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, იესე ჩქარობდა და ცუდი ხელით წერდა. რაც შეეხება „სამეფო დასტურლამალს“, ის კი ძლიერ დაკვირვებით, დინჯად და კარგად არის გადაწერილი. ამიტომაც არის განსხვავებული სამეფო დასადედოფლო დასტურლამალის გადამწერის ხელი.

მინაწერის მიხედვით, იესე მდივანი არსად არ ამბობს, რომ მან მხოლოდ „სადედოფლო დასტურლამალი“ გადაწერა. მისი სიტყვები: „გადავწერე დასტურლამალი“, „ერთის მეტი არ იყო საქართველოში“, იგი „გამოსადეგია ქართლისათვისო“, მთლიანად აღებულ „დასტურლამალს“ უფრო შეჰყვების, ვიდრე მის სადედოფლო ნაწილს. მაგრამ, გადაწერის თარიღის შესახებ ამ სიტყვებს არა აქვთ გადამჭრელი მნიშვნელობა. შესაძლებელია იესეს „სამეფო დასტურლამალი“ და „სადედოფლო დასტურლამალი“ სხვადასხვა დროს შეესრულებინოს. ეს ასეც უნდა იყოს. სადედოფლო დასტურლამალი“ გადაწერილია 1773 წელს (ეს თარიღი მოცემული ყოფილა თვით წარწერაში), ხოლო „სამეფო დასტურლამალი“ გადაწერილი იქნებოდა უფრო ადრე, მაგრამ სახელდობრ როდის, ეს ძნელი სათქმელია. ზემომოყვანილი ერთი მინაწერის მიხედვით („ოსეს იესე ვსწერ“... და სხვა), ჩანს, რომ იესე მდივანს მის მიერ გადაწერილი „დასტურლამალი“, ყოველთვის საკუთარ მფლობელობაში არ ჰქონია, თორემ ასეთ ჩამატებებს მასში ვერ შეიტანდნენ. შემდეგში კი, როგორც ჩანს, ხელნაწერი ისევ იესეს ხელშია.

ყოველ შემთხვევაში, სწორედ იმ ხანებში, ე. ი. 1773 წელს, როცა იესემ „სადედოფლო დასტურლამალის“ გადაწერა დაასრულა, „სამეფო დასტურლამალი“ არ უნდა ყოფილიყო გადაწერილი. თუ კი იესე ასე დატვირთული იყო, იგი „სამეფო დასტურლამალისათვის“ ვერ მოიცილდა და ეს იქონიებდა გავლენას „სამეფო დასტურლამალის“ ხელზე, რომელიც ასე დინჯი და ლამაზია. შესაძლებელია, „სამეფო დასტურლამალი“ 1773 წ. რამდენადმე ადრე იყოს შესრულებული. ყოველ შემთხვევაში, მისი გადაწერა XVIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებზე ადრე შეუძლებელია, რადგანაც იესე 1728 წელს არის დაბადებული.

მისაღებია მხედველობაში შემდეგი გარემოება: მირველ თუმანიშვილის საგნობრივი სისტემის მიხედვით შედგენილი „სამეფო დასტურლამალი“ („სადედოფლო დასტურლამალი“ მას არ ახლავს) შესრულებულია 1729 წელს. სულხან მდიენისა და ყავრიშვილისეული ხელნაწერი კი ცოტა უფრო გვიან არის შესრულებული, მაგრამ არა უგვიანეს 1766 წლისა (ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი). სულხან მდიენისა და ყავრიშვილისეულ ხელნაწერებში. ისე როგორც მირველ თუმანიშვილისაში, ტექსტი შინაარსის მიხედვით არის გამართული და არც ერთს „სადედოფლო დასტურლამალი“ არ ახლავს. შემდეგში ამ ხელნაწერების, ან მათი დედნების საფუძველზე შესაძლებელია შედგენილი იქნა პირველი ანბანურ სისტემაზე გამართული, „სამეფო დასტურლამალი“, რომელიც იესე მდივანს ეკუთვნოდა და თავდაპირველად, ალბად, არც „სადედოფლო დასტურლამალი“ ახლდა. როგორც ჩანს, „სადედოფლო დასტურლამალი“ არასოდეს ანბანური წესით არ დაულაგებიათ.

თუ იესე მდიენის „სამეფო დასტურლამალი“ პირველი ანბანური წესით გამართული „დასტურლამალია“, უფრო სავარაუდებელია, რომ იგი შედგენილი იყოს 1760 წლის შემდეგ, ხოლო „სადედოფლო დასტურლამალი“, მიკვრებული უნდა იყოს 1773 წ.

იესე მდივნის ხელნაწერი ერთ-ერთი ძირითადი ხელნაწერია, რომელიც ტექსტის მეცნიერულ გამართვას საფუძვლად უნდა დაედვას.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ენის მიხედვით იესე მდივნის ხელნაწერი დიდ მსგავსებას აქვდავენებს მირველ თუმანიშვილის 1729 წლის ხელნაწერთან. ამასთანავე, რიგი ადგილებისა ორივე ხელნაწერში ერთნაირად არის წარმოდგენილი. ეს მსგავსება, იმდენად ზუსტია, რომ უეჭველს ხდის ორივე ხელნაწერის ერთი წყაროდან მომდინარეობას.

ქ-ში მეძალეთუხუცესის შესახებ არსებულ პარაგრაფში (რიდ) სიტყვების „რამდენი მეძებარი ებაროს თვითოს პურის მგრგვალე ორი, მწეეარს მადაური სამი“-ს შემდეგ, ერთი სიტყვისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული (გვ. 124). ამ ადგილზე S და K-ში წერია: „სამსუნს“, ხოლო M-ში (გვ. 154)—„სამსონს“. როგორც ჩანს, ქ-ს გადამწერს ან ისეთი ხელნაწერი ჰქონდა. რომელშიაც ეს სიტყვა არ იყო, ან კიდევ ამ სიტყვის შინაარსის ბუნდოვანობისათვის არ გადაიწერა იგი. შემდგომ ნუსხებში ეს სიტყვა არ არის.

შესაძლებელია დროის მიხედვით ქ-ს მომდევნო ნუსხები სწორედ ქ-დან მომდინარეობდეს.

ქ-ში (§ რლ) „გოხოლაშვილი“ (გვ. 140)—საფარეშოს მოხელეების სიაში წერია, M, S, K-ში — გოჩაშვილი, ქ-ის მომდევნო ნუსხებში ისეა, როგორც ქ-ში.

ქ-ში სახაბაზოს მოხელეთა სიაში (მუხ. როდ. გვ. 143) მოხსენებულია მექვებისშვილი ბეჟუა. ასევეა ქ-ის მომდევნო ნუსხებში, ხოლო M, S, K-ში „ბეჟუა-ს“ ნაცვლად წერია „ბერუა“.

#### ნ. დავით რექტორის ხელნაწერი (D).

დავით რექტორის მიერ გადაწერილი „დასტურლამალის“ ხელნაწერი, რომელიც აღნიშნული გვაქვს სახელის „დავითის“ პირველი ასოს მიხედვით ლათინური D-თ, ეკუთვნის პროფ. ს. კაკაბაძეს<sup>1</sup>. იგი პროფ. ს. კაკაბაძეს 1918-სა თუ 1919 წლებში შეუქმნია ბუკინისტების მალაზიაში. ხელნაწერის ზომაა  $20\frac{1}{2} \times 16\frac{1}{2}$  სანტიმეტრი, გადაკრული აქვს ტყავის ყდა. ფურცელი ორივე გვერდზე დანომრილია. ამ ნუმერაციით „დასტურლამალის“ ხელნაწერი 100 გვერდს შეიცავს. ე. ი. 50 ფურცლისაგან შედგება, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ხელნაწერის ნუმერაცია 85 გვერდამდე სწორია, მხოლოდ 85 გვერდის შემდეგ ნაცვლად 86-სა, წერია 59 და ასე გრძელდება ბოლომდე. ამგვარად, 59-დან 85-მდე ნუმერაცია განმეორებულია<sup>2</sup>.

ხელნაწერი სინამდვილეში 127 გვერდს ანუ  $63\frac{1}{2}$  ფურცელს შეიცავს (128 გვერდიდან ფშავ-ხევისურეთში მოგზაურობის აღწერა იწყება). ნუმერაცია გაკეთებულია ტექსტის ხელითა და მელნით. ხელნაწერი შესრულებულია მხედრულით, ლამაზი ხელით. სასვენ ნიშნებად ნახმარია ორი წერტილი, წერტილი და მძიმე, როგორც წესი, სათაურისა და გვარსახელის შემდეგ სიაში დასმულია ორი წერტილი. მუხლი ან აბზაცი უმრავლეს შემთხვევაში ორი წერ-

<sup>1</sup> დიად დაგვაჯალა აწ განსვენებულმა პროფ. ს. კაკაბაძემ, რომელმაც თავაზიანად მოგვაცოლა ხელნაწერი და საშუალება მოგვცა წლების განმავლობაში ხელთ გვექონოდა სარგებლობისათვის ეს ძვირფასი ნუსხა.

<sup>2</sup> ამჟამად ეს ნუსხა ხელნაწერთა ინსტიტუტს ეკუთვნის (Q—1334).

<sup>3</sup> შიტითებების დროს განმეორებულ ციფრს თავზე ვუსვამთ არაბულს „1“.

ტილით მთავრდება. წერტილი ზოგჯერ მართებულად იხმარება და ზოგჯერ უმართებულოდ, მძიმე იშვიათად გვხვდება.

მუხლების სათაურები სინგურით არის შესრულებული, ხოლო ნუმერაცია — ქართული ასოებით. დანომრილ ფურცლებს წინ ახლავს 3 დაუნომრავი და დაუწერელი ფურცელი. პირველ გვერდზე შესავალი ასე იწყება: „ქ ეჰა შენ ყოველთა მბადო დიდება შენდა რომელ“. მოყვანილი სიტყვები ცალკე სტრიქონზე სინგურით არის შესრულებული, მხოლოდ ასო „ქ“ შავი მელნით არის დაწერილი. 76-ე გვერდის მარცხენა აშიაზე „ქალაქის სატყვეოს ხარჯისათვის“ გასწვრივ ტექსტისაგან განსხვავებული ხელითა და მელნით მიწერილია გაურკვეველი სიტყვა. ასევე გაურკვეველია 104-ე გვერდის მარჯვენა აშიაზე მწევანე ფანქრით მიწერილი სიტყვა და ასოები.

ხელნაწერში „დასტურლამალის“ სარჩევის ბოლოს მე-100 გვერდზე (სინამდვილეში 127-ე გვერდზე) წერია: „დავით ალექსის ძემან გარდავწერე ეს დასტურლამალი სამეფო თუ სადედოფლო. დიდად მეზარებოდა. მაგრამ არ დაიკარგოს ერთი ორის მეტი არ იყო საქართველოში. ვინც ამისგან ირგებდეთ, მეც მომიგონებდეთ. დიად გამოსადეგია ქართლისათვის. გრწამდესთ არც არა მომიკლია, არც-რა შემიძინებია. აღიწერა სეკდემბერს კვ წელსა ჩღბთ, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ზედა უოზ.

დავით.

გამართული და ჩაკითხულია“.

ამას მოსდევს 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ფურცელი დაუნომრავი.

მე-100 (127-ეს) მომდევნო გვერდზე დავით რექტორი წერს, რომ დავით ბატონიშვილთან ერთად იმოგზაურა ფშავს-ხევსურეთში და მოყავს სოფლების სია. ამის შემდეგ, დავითი წერს ხილის შესახებ, რომელიც სოფ. ლიკოქში სტუმრებს მიაართვეს. ფშავ-ხევსურეთის სოფლების სიას და დავითის ხსენებულ მინაწერებს ორი გვერდი და მესამე გვერდის 6 სტრიქონი უჭირავს. ამ მესამე გვერდზე, 6 სტრიქონის გარდა, სხვა არაფერი წერია. მომდევნო ორ გვერდზე მოცემულია ბაეის გარიგება, ხოლო უკანასკნელი ფურცლის ორივე გვერდი ცარიელია.

დავუბრუნდეთ დავით რექტორის მიერ „დასტურლამალის“ ხელნაწერის ბოლოს გაკეთებულ მინაწერს, რომელიც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ („დავით ალექსის ძემან გარდავწერე“... და სხვ.).

იესე მდივნისა და დავით რექტორის ხელნაწერებს მრავალი საერთო აქვთ. მაგრამ, ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მინაწერი. ერთი ამ მინაწერთაგანი იესე მდივნის ხელნაწერს ახლავს, ხოლო მეორე — დავით რექტორისას. იესე მდივნის ხელნაწერის ეს მინაწერი სრულად მოყვანილი გვაქვს იესე მდივნის ხელნაწერის გარჩევასთან დაკავშირებით. სრულად მოყვანილი გვაქვს აგრეთვე ზემოთ დავით რექტორის მიერ ხელნაწერის ბოლოში გაკეთებული მინაწერი. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს იესე მდივნისა და დავით რექტორის მინაწერების შედარება. მოვიყვანთ ამ მინაწერებიდან მსგავს ადგილებს.

იესე მდივნის მინაწერი

იესე მდივანმა ღამე გარდავწერე ეს დასტურლამალი. დიდად მეზარებოდა მარა არა დაიკარგოს ერთის მეტი არ

დავით რექტორის მინაწერი

დავით ალექსის ძემან გარდავწერე ეს დასტურლამალი სამეფო თუ სადედოფლო. დიდად მეზარებოდა მაგ-

იყო საქართველოში. ვინც ამისგან ირ-  
გებდეთ მეც მომიგონებდეთ... გამოსა-  
დევნა ქართლისათვის.

გრწამდეს არც არა მომაკლია. არც  
არა შემიძინებია.

რამ არ დაიკარგოს ერთი ორის მეტი  
არ იყო საქართველოში. ვინც ამის-  
გან ირგებდეთ მეც მომიგონებდეთ.  
ღიაზ გამოსადევნა ქართლისათვის.

გრწამდესთ არც არა მომიკლია, არც  
არა შემიძინებია.

მინაწერების შედარება იმ მხრივ იქცევს ყურადღებას, რომ ისინი ძლიერ  
ემსგავსებიან ერთმანეთს: 1) ორივეს (იესე ოსეს ძეს და დავით რექტორს) „დი-  
დად ეზარებოდათ“. „დასტურლამალის“ გადაწერა; 2) იესე ოსეს ძე წერს: „მა-  
რა არ დაიკარგოს ერთის მეტი არ იყო საქართველოში“, დავით რექტორიც დას-  
ძენს: „მაგრამ არ დაიკარგოს ერთი ორის მეტი არ იყო საქართველოში“; 3) იესე  
ოსეს ძე ამბობს: „ვინც ამისაგან ირგებდეთ, მეც მომიგონებდეთ“, დავითიც ამას  
იპყობებს; 4) იესე ოსეს ძე ამბობს: „გამოსადევნა ქართლისათვის“; დავით რექ-  
ტორიც ამბობს: „დიდად, გამოსადევნა ქართლისათვის“; 5) იესე ოსეს ძე გან-  
მარტავს: „გრწამდეს, არცა არა მომიკლია, არცა არა შემიძინებია“, დავით  
რექტორიც იუწყება: „გრწამდეს არც არა მომიკლია, არც არა შემიძინებია“.  
დეტალებში ასეთი მსგავსება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ დავით რექ-  
ტორს სწორედ იესე ოსეს ძის ხელნაწერი ჰქონდა ხელთ გადაწერის დროს. ამ  
გარემოებას ამტკიცებს აგრეთვე ხელნაწერების ორივე ტექსტის შედარება.

მოვიყვანთ იესე მდივნის, დავით რექტორისა და ალექსიშვილის ხელნაწე-  
რების განსხვავებას.

ვადგენთ ამ განსხვავებათა ცხრილს. რადგანაც J—ნაკლულია, ხოლო პ. უმი-  
კაშვილს ხელთ ჰქონდა J-ს სრული ტექსტი, რომლის განსხვავება მის მიერ გა-  
მოქვეყნებულ „დასტურლამალში“ მოყავს (გვ. 157—162) სახელწოდებით:  
-განსხვავებანი სომხითის მელიქიშვილების დედნიდამ“ (გვ. 157), ჩვენ შესა-  
დარებლად ავიღეთ J-სათვის პ. უმიკაშვილის მიერ მოცემული განსხვავება,  
რასაკვირველია, ხელნაწერთან შეჯერებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ვუჩვენებთ 1886 წელს გამოქვეყნებული „დას-  
ტურლამალის“ გვერდებს და სტრიქონებს (სტრიქონები ნაჩვენებია გვერდის  
ზემოდან ქვემოთ დათვლით). ნაბეჭდ „დასტურლამალში“ მითითებული ად-  
გილის მიკვლევის შემდეგ, სათანადო მუხლის მიხედვით ეს ადგილი ადვილად  
მოსაძებნია სამივე ხელნაწერში (J, D, A).

1886 წელს დაბეჭდილი ტექსტი	J	D
1. ცათაშინა სულ-ბრწყინ- ვალედ მნათობელის (გვ. 3, სტრ. 7).	ცათაშინა სულ ბრწყინ- ვალედ მნათობელის	ცათაშინა ბრწყინტალედ მნათობელის (გვ. 1).
2. ოდეს ვიგულის-მოდგი- ნეთ (გვ. 3, სტრ. 15)	ოდეს ვიგულეთ და ვიგუ- სილსმოდგინეთ	ოდეს ვიგულეთ და ვი- გულის—მოდგინეთ
3. და შემსგავსებითა იქ- ცეოდენ, რომელთაცა არს გონიერება უკეთუ მსჯუ- ლის დებასა საკელმწი- ფოთასა ეგნენ უცუალე- ბელად და ნურავინმცა მკადრე (გვ. 3, სტრ. 19)	და შემსგავსებითა იქცეო- დენ და ნურავინმცა მკა- დრე	და შემსგავსებითა იქცეო- დენ, რომელთაცა არს გო- ნიერება უკეთუ მსჯულის დებასა საკელმწიფოთასა ეგნენ უცვალებელად და ნურავინმცა მკადრე

1886 წელს დაბეჭდილი ტექსტი	J	D
4. ვითარცა გვეშვენეს. რამეთუ უეჭველად და დაუცადებლად (გვ. 3. სტ. 23).	ვითარცა გვემცნენს რამეთუ უეჭველად და უცადებლად	ვითარცა გვემცნენს. რამეთუ უეჭველად და უცადებლად
5. წიგნითა ამით, რათა იცნობდნენ (გვ. 4. სტრ. 4).	წიგნითა ამით იცნობდნენ	წიგნითა ამით იცნობდნენ
6. ბოქოულთ-ხუცესი (გვ. 5. სტრ. 3)	ბოქაულთ ხუცესი	ბოქოულთ-ხუცესი
7. ხალიფად ინოლლი აბდულა ბ (გვ. 6, სტრ. 21, 5 იგ)	ხალიფად ინოლლი აბდულა აკ	ხალიფად ინოლლი აბდულა ბ
8. ატენელს კაცზედ ბატონის დებულეებისათვის (გვ. 8, სტრ. 19)	ატენელს კაცს აქეს ბატონისა	ატენელს კაცზედ ბატონის დებულეებისათვის
9. ატენის მოურავისა დებულეებისათვის (გვ. 8. სტრ. 23)	ატენის მოურავისა სძეს	ატენის მოურავის დებულეებისათვის
10. ხანდელნი თხილარენი (გვ. 9, სტრ. 19)	ხანდელნი. თხილნარენი	ხანდელნი. თხილნარენი
11. ყიზილ ყიარათი (გვ. 12, სტრ. 14)	ყიზილ ზიარათი	ყიზილ ყიარათი
12. ზემო ქართლის (გვ. 13, სტრ. 8)	ზემო ქართლში	ზემო-ქართლში
13. მუხნარის (გვ. 13. სტრ. 17)	მუხნარის	მუხნარის
14. ანჩისხატის დეკანოზი. მხატვარი გრიგოლ და მისი მამა იოსებ შემოგვეხეწა. გარეთ-უბანს თავის ბატონის ბალისათვის წყლის ბოძებას, და ამასაც წყალს მისცემდეთ. როდესაც გარეთუბნის ბაღები მოიარწყოდეს, ჩუშნი მომხსენებელი და აზნაურშვილია, ამისათვისაც პატივ-გვცია წყლის ბოძებით (გვ. 15, სტრ. 4—8). სარგოსათვის (გვ. 16,	არ არის	არ არის
15. ბოქოულთ ხუცების (სტრ. 8)	ბოქაულთხუცების სარგოსათვის.	ბოქაულთხუცების სარგოსათვის.

1686 წელს დაბეჭდილი ტექსტა	J	D
16. სააღდგომო ზროხა ერთი (გვ. 18, სტრ. 1)	სააღდგომო სძეს ძროხა ერთი	სააღდგომო სძეს ძროხ. ერთი
17. ღალის ხასადარი (გვ. 19, სტრ. 2)	ღალის პურის ხასადარი	ღალის პურის ხასადარ
18. იმიხი ნახევარი, და შავარდენს (გვ. 19, სტრ. 5)	იმიხი ნახევარი და, შავარდენს (წითლურით პირველი ასო)	იმის ნახევარი და შავარდენს („შ“ სინგურით)
19. ბაზიერთხუციას არის და ნახევარი (გვ. 19, სტრ. 8)	ბაზიერთხუციას არის თუ ღუშალიკი	ბაზიერთხუციას არის თუ ღუშალიკი
20. დაიკლოდეს თუშმალს კისერი, მზარეულს გულღვიძლი (გვ. 24, სტრ. 2)	დაიკლოდეს მკერდი თუშმალს კისერი მზარეულსა	დაიკლოდეს მკერდი თუშმალს კისერი მზარეულს
21. თაბუნმა ამით უნდა გამოიღონს კომლზედ (გვ. 25, სტრ. 6)	თაბუნმა, ისას თაბუნმა, მუსტოფის ნაყმევმან, შიხიას თაბუნმან, ისლანა ფარეშის თაბუნმა, ამით უნდა გამოიღონ კომლზედ	თაბუნმა ამით უნდა გამოიღონ კომლზედ
22. კომლი აზ (გვ. 28, სტრ. 1)	კომლი აზ	კომლი აზ
23. ფადირი დარჩა ოზ (გვ. 28, სტრ. 4)	ფადირი იშ. დარჩა ოზ გმიხი რკბ. თარხანი მოლა გზირ ით ჰახტაე. ფადირი დარჩა ოზ	ფადირი დარჩა ოზ
24. ქოლაგირი (გვ. 29, სტრ. 13)	ქოლაგირი	ქოლაგირი
25. წაიღებს ყურსსა ექქეს (გვ. 33, სტრ. 15)	წაიღებს ყურსქუ ექქეს	წაიღებს ყურსს ექქეს
26. ჩამობრუნდება დკლონეთის ბოლოს (გვ. 36, სტრ. 13)	ჩამობრუნდება და კლონეთის ბოლოს	ჩამობრუნდება და კლონეთის ბოლოს
27. მთიდან ფაფნარი (გვ. 36, სტრ. 28)	მთიდან კაფნარი	მთიდან ფაფნარი
28. ჩამოვარდება იმის გასწორ ქციის-პირს ქვა ჩაგვისვამს, გზის პირს ჩაგვისვამს, გზას ზეით (გვ. 38, სტრ. 10)	ჩამოვარდება, იმის გამოსწორ ქციის პირ ქვა ჩაგვისვამ, იმის სწორად კიდევ ქვა ჩაგვისვამს, გზის პირს ჩაგვისვამს გზას ზეით	ჩამოვარდება იმის გამოსწორ ქციის პირს ქვა ჩაგვისვამს იმის სწორად კიდევ ქვა ჩაგვისვამს გზის პირს ჩაგვისვამს გზას ზეით.

1886 წელს დაბეჭდილი ტექსტი	J	D
29. და არწევანს შუა ოთარ მდივანს. (გვ. 38, სტ. 12).	და არწევანს შუა ოთარი მდივანს	და არწევანს შუა ოთარი მდივანს
30. გარეობაში გ თუნგი ღვინო (გვ. 41, სტრ. 27)	გარეობაში დღიურ გ თუნგი ღვინო	გარეობაში გ თუნგი ღვინო
31. თულას შვილი კაცი (გვ. 42, სტრ. 11)	თულაშვილი ლომკაცი	თულას შვილი ლომკაცი.
32. ერთი კათალიკოზის აზნაურშვილი თაზის შვილი, ან ანჩისხატის ღვკანოზის შვილი მესხის-შვილი, ამ ორში ერთ-ერთი იდგეს. ამ კონს რაც ქვთ შეესება მოუნდება (გვ. 44, სტრ. 2)	ერთი კათალიკოზის აზნაურშვილი თაზისშვილი უნდა იდგეს. ამ კონს რაც ქვის შეესება მოუნდება	ერთი კათალიკოზის აზნაურშვილი თამაზის-შვილი ან ანჩისხატის ღვკანოზისშვილი მესხის-შვილი, ამ ორში ერთ-ერთი იდგეს. ამ კონს რაც ქვით შეესება მოუნდება.
33. ზარი ა. სამეჭინიბო (გვ. 44, სტრ. 15)	ზარი ა. სამეჭინიბო ქათამი ერთი სამეჭინიბო სოფელზე ბატკანი ე, ეს კოდის პური და ბზე გორს უნდა ჩამოიტანონ სამეჭინიბო კოდის პურის	ზარი ა. სამეჭინიბო
34. ზურის მუშას ხენაში (გვ. 45, სტრ. 27)	ზურის მუშას და მკა ხენაში	ზურის მუშას და მკა ხენაში
35. თუმანზედ შაური ჯარაფზედ თორმეტი (გვ. 51, სტრ. 5)	თუმანზე შაური, ზარაფზედ თორმეტი	თუმანზედ შაური ზარაფზედ თორმეტი
36. ბრძანდებოდეს სადღელოფლოს სახასომ ან (გვ. 57, სტრ. 23)	ბძანდებოდეს, დედოფლოს სახასომ ან ახლდეს, ბატონი და მდივანბეგი იქ არ ბძანდებოდეს სადღელოფლოს სახასომ ან	ბრძანდებოდეს დედოფლის სალთხუცესი იქ ახლდეს ბატონი და მდივანბეგი იქ არ ბრძანდებოდეს სადღელოფლოს სახასომ ან
37. ამათ გამოილონ (გვ. 60, სტრ. 7)	ამათ გამოილონ ჩამოტანა ქალაქს სძესთ	ამათ გამოილონ ჩამოტანა ქალაქს სძესთ
38. არის კაცი უკლებლად (გვ. 61, სტრ. 3)	არის კაცი უკლებლად	არის კაცი უკლებლად
39. მეჯოგემ შეიდეულად აღზევეინოს და ამისი საზღაური (გვ. 61, სტრ. 25)	მეჯოგემ ზღოს თავნი და თუ სხეავან შეაჩნიოს, მეჯოგემ შეიდეულად თავისთვის აზღვევინოს ამისი საზღაური	მეჯოგემ ზღოს თავნი და თუ სხეავან შეაჩნიოს მეჯოგემ შეიდეულად თავისთვის აზღვევინოს ამისი საზღაური

1886 წლის დაბეჭდილი ტექსტი	J	D
41. გვ. 76. სტრ. 12. ცარი- (გვ. 76. სტრ. 11)	ტყვის ბაეიღამ	ტყავის ბაეიღამ
41. გვ. 76. სტრ. 12. ცარი ელი ადგილი	თუმანი მოვა	თუმანი მოვა
42. მარილის საპალნეზედ ფული. თაფლზედ ორი ფული, მატყლზედ ერ- თი ფული (გვ. 104, სტრ. 22)	მარილის საპალნეზედ ფული... თაფლზე ორი ფული, ნალ ლუსმრი- სა და რკინის საპალნე- ზედ ორი ფული. მატყ- ლზედ	მარილის საპალნეზედ ფუ- ლი.. თაფლზედ ოთხ ფული, ნალღურსმისა და რკინის საპალნეზედ ორი ფული მატყლზედ
43. დიღმელთ თუმანი ვ. მინალთუნი 3 (გვ. 107. სტრ. 16)	დიღმელთა თუმანი ვ, მინალთუნი ე	დიღმელთ თუმანი ვ, მი- ნალთუნი ე
44. თელუს (გვ. 107, სტრ. 12)	თელუს	თელუს
45. ყიზილ ყირათმა (გვ. 107. სტრ. 15)	ყიზილ ზიარათმა	ყიზილ ზიარათმა
46. დადალოს სალთხუცის (გვ. 115, სტრ. 6)	დადალოს დაღი სალთხუ- ცის	დადალოს დაღი სალთხუ- ცის
47. ასზედ ერთი საკლა- ვია ის სუფრაჯისა (გვ. 115. სტრ. 8)	ასზედ ერთი შიშლივი მობლახისა და კიდევ ასზედ ერთი ჭაკლავია ის სუფრაჯისა	ასზედ ერთი შიშლივი მო- ბლახისა და კიდევ ას- ზედ ერთი საკლავია ის სუფრაჯისა.
48. საშობაო ცხვარი ორი (გვ. 116. სტრ. 11)	საშობაო ცხვარი ა	საშობაო ცხვარი ბ
49. ბატონს, ერბო ვბო- ანზედ (გვ. 117, სტრ. 23)	ბატონს. ფურის ერბო ხბოიანზე	ბატონს, ფურის ერბო ხბოიანზედ
50. სააღდგომოთაჲ ს. ბის- ტი ხუთი სხუა არის, სანთელი ლიტრა ბ0 (გვ. 117, სტრ. 27)	სააღდგომოთაჲ ს. ბატი ხუთი, სკა არის, სანთე- ლი ლიტრა ბ0.	სააღდგომოთაჲ ს ბისტო ხუთი: სკა არის სანთე- ლი ლიტრა ბ0
51. ერთობით ფაღვენის- შვილის (გვ. 125, სტრ. 18)	ერთობით ფაღვენისშვი- ლის	ერთობით ფაღვენის შვი- ლის.
52. ულუფა დღიურ მუ- რასო ორი (გვ. 127. სტრ. 8)	ულუფა დღიური მურასა ორი	ულუფა დღიურ მურასა ორი
53. დღიურ თვითოს თუნ- გი (გვ. 127, სტრ. 14)	დღიურ თვითოს	დღიურ თვითოს.
54. ალი სულობითა (გვ. 130. სტრ. 10)	ოსიურის სულობით. ახალ- დაბა. იმერეთი.	ალი სულობითა



ეს შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: 1) იესე მდივნისა და დავით რექტორის ვარიანტებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა. შეიძლება ეს განსხვავება აიხსნას გადამწერის შეცდომით ან თვით გადამწერის სურვილით. თუ დავით რექტორს იესე მდივნის ხელნაწერი არა ჰქონდა ხელთ. მაშინ ორივე (დავით რექტორისა და იესე მდივნის) ხელნაწერი გადამწერილი უნდა იყოს საერთო დედნიდან. ამჩივად, დავით რექტორის ხელნაწერი, რომელიც 1789 წელს არის შესრულებული, იესე მდივნის ხელნაწერიდან მომდინარეობს. დავით რექტორის ხელნაწერი იესე მდივნის ხელნაწერს მისდევს და ხან კიდევ ალექსიძის ხელნაწერთან ამეღვენებს მსგავსებას. საქმი იმაშია, რომ ალექსიძის ხელნაწერი, რომელიც 1821 წელს არის გადამწერილი, და საერთოდ XIX საუკუნის ანბანური წესით შედგენილი „დასტურლამალის“ ხელნაწერები დავით რექტორის ხელნაწერიდან მომდინარეობენ. ამ შემთხვევაში დავით რექტორის ხელნაწერის მნიშვნელობა განუზომელია. ამდენად, დავით რექტორის ხელნაწერი XVIII საუკუნის ერთ-ერთი ძირითადი ხელნაწერია, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს „დასტურლამალის“ ტექსტის მეცნიერული დადგენა.

დავით რექტორისა, იესე მდივნისა და ალექსიძის ხელნაწერების შედარება, როგორც ვთქვით, პ. უმიკაშვილის გამოქვეყნებული „დასტურლამალის“ მიხედვით მოვიყვანეთ. ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ ამჟამად იესე მდივნის ხელნაწერი არ არის ისე სრული, როგორც ეს პ. უმიკაშვილის დროს იყო. ამ ნაკლები ადგილის გათვალისწინება, როგორც ვნახეთ, შესაძლებელია დავით რექტორის ხელნაწერის მიხედვით. ამასთანავე, იესე მდივნის ხელნაწერს აკლია „სადედოფლო დასტურლამალი“. პ. უმიკაშვილის მიერ ე. წ. მელიქიშვილისეული ვარიანტის განსხვავების მოყვანიდან ირკვევა, რომ იესე მდივნის (პ. უმიკაშვილის მიხედვით იესე მელიქიშვილის) ხელნაწერის „სადედოფლო დასტურლამალი“ თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა (იხ. ზემოთ შედარება) იოველ ალექსიძის ხელნაწერის „სადედოფლო დასტურლამალს“, ხოლო იოველ ალექსიძის ნუსხა დავით რექტორის ნუსხიდან მომდინარეობს. ამ შემთხვევაში, დავით რექტორის ხელნაწერი საშუალებას გვაძლევს იესე მდივნის, „სადედოფლო დასტურლამალის“ ვარიანტი გავითვალისწინოთ. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ იესე მდივნის „სადედოფლო დასტურლამალი“ ყველაზე ძველია. ამით კიდევ უფრო იზრდება დავით რექტორის ხელნაწერის მნიშვნელობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დავით რექტორის „დასტურლამალის“ ხელნაწერი გამოყენებული აქვს პროფ ს. კაკაბაძეს თავის შრომაში: „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში“<sup>1</sup>.

ამავე ხელნაწერზე მითითებული აქვს პროფ. შ. მესხიას ს. კაკაბაძის ხსენებული შრომის მიხედვით<sup>2</sup>.

D ხელნაწერის 128-ე, 129-ე და 130-ე გვერდებზე მოცემულია ფშავ-ხევსურეთის სოფლების სია, რომელსაც წინ უძღვის წინასიტყვაობა. მოგვყავს ეს ადგილი: „მე ალექსის ძე დავით მისს უგანათლებულესობას ჩემს კელმწი-

<sup>1</sup> უფრ. „მნათობი, 1924, № 2. გვ. 228, შენ. 4. გვ. 229, შენ. 2.

<sup>2</sup> შ. მესხია, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1954, XXX, გვ. 71—81).

ფეს და კელმწიფის ძეს ბატონიშვილს დავითს ფშავსა და ჳევსურეთს ვახლ-  
 დი. დიდად შეუალი და საჭირო გზა ყოფილა კაცთათჳს სავალად. მომაგონდა იგი  
 სიტყვა რომელი ჰსწერს კვნტოს კურციოს ალექსანდრე დიდის ცხოვრებასა  
 შინა ალექსანდრე მაკედონელისათვის: „ვღ შევდიოდით ჩრდილოთ კერძო  
 კლდეთა ფრიად იწროთა და მიუალთა კაცთაგან და დავიფარვოდით ნაპრალთა  
 და დანახეთქთა კლდისათა და შოგვეგებოდით კაცნი ფრიად ველურ ქმნილ-  
 ნი“. მუნ ყოფასა ჩემსა, რაოდენიცა ფშავსა ანუ სრულად ჳევსურეთსა შინა სო-  
 ფელნი თვალითა ჩემითა ვიხილე, მათ სოფელთა სახელნი თვთოეულად ამის  
 უკუშ დასტურლამისა ბოლოს აღვსწერე. ვინც ნახოთ მეც მომიგონეთ: საქარ-  
 თველოს თავადთა და აზნაურთათვის მართებულია რომ იცოდენ ფშავსა ან  
 ჳევსურს რამდენი სოფელია და ან სახელი რა ეწოდება. სრულად ეს არის.

ქ. ფშავის ჳევის სოფელნი ეს არიან:

- |                |               |
|----------------|---------------|
| ქ. უკანა ფშავი | ქ. მათურა     |
| ქ. ახალი       | ქ. გოგოლაურთი |
| ქ. წითელაურთა  | ქ. ცაბაურთა   |
| ქ. ხოშარა      | ქ. უძილაურთა  |
| ქ. წიჩო        | ქ. შუაფხო     |
| ქ. მუქუ        |               |

ქ. აგრევე ფშავსა და ჳევსურს შუა არის სოფელი, ფშავნი და ჳევსურნი  
 ორნიც ცილობენ: არა ჩვენია, არა ჩვენიაო, სახელად ეწოდების—ქ. აკუშო.

ქ. ჳევსურეთის სოფელნი ესენი არიან

- |               |               |
|---------------|---------------|
| ქ. უკანა ხალუ | ქ. გუდანი     |
| ქ. წინ ხალე   | ქ. ჳორმეშიონი |
| ქ. ზაისტეჩო   | ქ. ხახმატი    |
| ქ. ხიტალე     | ქ. ღული       |
| ქ. ბაცალიგო   | ქ. ღიქოცი     |
| ქ. ატაბე      | ქ. ოხერხევი   |
| ქ. ბლო        | ქ. უკანახო    |
| ქ. ჳორნაულთა  | ქ. წინახო     |
| ქ. როშკა      | ქ. გველეთი    |
| ქ. ქმოსტი     | ქ. დათვისი    |
|               | ქ. მოწმოლო    |

სადედოფლო სოფლები

- |                      |                     |
|----------------------|---------------------|
| ქ. კისტანი სადედოფლო | ქ. ხახაბო სადედოფლო |
| ქ. გურო სადედოფლო    | ქ. არდოტი სადედოფლო |
| ქ. შატილი სადედოფლო  | ქ. მიცუ სადედოფლო   |

ქ. არხოტიონის სოფლები

- |           |          |
|-----------|----------|
| ქ. ამლა   | ქ. ჳიმა. |
| ქ. ახიელი |          |

იგივე ტექსტი ცოტაოდენი ცვლილებით, დავითს დაურთავს 1813 წელს გადაწერილ ვახუშტი ბაგრატიონის შრომისათვის, რომლის სახელწოდებაც „ისტორია საქართველოსი“. ის დანართი იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მოყვანილი ტექსტისაგან განსხვავებით იგი კონკრეტულად მიგვითითებს, რომ დავითი ფშავ-ხევსურეთში ახლდა დავით გიორგის ძეს 1780 წელს. ამასთანავე, დანართი ზოგიერთ სხვა წერილმან სხვაობასაც შეიცავს. აი ეს დანართი: „ქეთილშობილი ალექსის ძე რექტორი დავით მისს უგანათლებულესობას, საქართველოს მეფის გიორგის ძეს ბატონის შვილს დავითს ფშავსა და ხევსურეთს კახლდი, წელსა<sup>1</sup> ამა რიცხუისა შ<sup>ა</sup>. დიდად შეუვალი დასაჭირო გ<sup>ა</sup> ყოფილა კათათვის სავალად. მომაგონდა იგი სიტყუა, რომელი ჰსწერს კვტოს კურციოს ალექსანდრე დიდის ისტორიასა შინა ალექსანდრე მაკედონელისათ<sup>ს</sup>: ე<sup>დ</sup> „შევიდოდით ჩრდილოთ კერძო კლდეთა ფრიად იწროთა და მიუალთა კაცთაგან და დავითფაროდით ნაპრალთა და დანახეთთა კლდისათა და მოგვეგებოდინ კაცნი ფრიად ველურ-ქმნილნი“<sup>2</sup>. მუნ ყოფასა ჩემსა რაოდენა<sup>ცა</sup> ფშავსა ანუ სრულიად ქვესურეთსა შინა სოფელნი თვალითა ჩემითა ვიხილე. მათსოფელთა სახელი თვითოეულად ამის უკუ<sup>მ</sup> ქართლის ისტორიისა ბოლოს აღვსწერე, რადგან ამ ქართლის ცხოვრების აღწერასა შინა ქართლსა და კახეთში რაც სოფელია, შენი თუ უშენი, ყოველივე ეწერა და ფშავ ქვესურისა კი არ ეწერა. მე დავსწერე. ვინც ნახოთ მეც მომიგონეთ.

საქართველოს თავადთა და აზნაურთა და ერთათ<sup>ს</sup> მართებულთა, რომ ოლოდენ ფშავსა ან ქვესურეთს რამდენი სოფელია და ან სახელი რა ეწოდება, სრულად ეს არის“<sup>3</sup>.

შემდეგ დანართში მოცემულია სოფლების სია. მოვიყვანთ მხოლოდ განსხვავებას: „დასტურლამალის“ ხელნაწერში არის შუაფხო, დანართში კი — ჟუაფხო<sup>4</sup>, „დასტურლამალის“ ხელნაწერში არის შატილი, დანართში — ყატილი<sup>5</sup>.

ქვემოთ ჩვენ საუბარი გვექნება ქობულაშვილისეულ ხელნაწერზე (Q). რომელიც დავით რექტორის ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილი XIX საუკუნის დასაწყისში. ამ ხელნაწერში მოყვანილია იგივე ტექსტი, მაგრამ სიის სათაურების სახელწოდებაში განსხვავება არის. ეს განსხვავება იმ მხრივაა საყურადღებო, რომ ქობულაშვილი თითქოს ეკამათება დავით რექტორს (უკანასკნელს არ ასახელებს), სოფლები კახეთს ეკუთვნის და არა ქართლსაო. მოვიყვანოთ ეს სათაურები:

1 მარჯვენა აწიანზე სწერია: ქ<sup>ს</sup> უოშ, ე. ი. 1780 წელს.

2 ბრჭყალებში ჩასმის ნიშნად დასმული აქვს ლათინური ასო g-ს მსგავსი ნიშანი, ოლოდენ ნაქცეული. „დასტურლამალის“ ხელნაწერში კი დავითს ბრჭყალებში ჩასმის ნიშნად ო<sup>რ</sup>-ო<sup>რ</sup> მოკლე და პერპენდიკულარული ხაზები აქვს ნახპარი. „დასტურლამალის“ ხელნაწერში ბრჭყალებს ჩასმის ნიშანი იწყება „მაკედონელისათვის“ შემდეგ, ე. ი. „ე<sup>დ</sup>“ (ეთარმედ) ბრჭყალებშია მოცემული, ხოლო 1813 წლის დანართში ბრჭყალები „ეთარმედ“-ის შემდეგ იწყება.

3 საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—934, გვ. 767; დავითის ამ დანართის ერთი ადგილი (ალექსანდრე მაკედონელის შესახებ) მოყვანილი აქვს თავის შრომაში ტრ. რუხაძეს (ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიიდან, 1960, გვ. 225).

4 საქ. სსრ მეცნ. აკად., ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—934, გვ. 767.

5 იქვე, გვ. 768.

ქ. ფშავის ხევის სოფელნი ეს არიან

ქ. ფშავის კევის სოფელნი ეს არიან  
მაგრამ კახეთისა არის და არა ქართ-  
ლისა.

ქ. ხევსურეთის სოფელნი ესენი არიან

ქ. ხევსურეთის სოფელნი ესენი არიან  
ესეც კახეთისაა<sup>1</sup>

სხვა მხრივ სიებში არავითარი განსხვავება არ არის. ამასთანავე, ქობულაშვილის ხელნაწერს დავით რექტორის დანართი ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის შესახებ არ ახლავს.

ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობის აღწერასა და სოფლების სიას დავით რექტორის ხელნაწერში მოსდევს შემდეგი ადგილი: „ქ. ხევსურეთის სოფელს ლიქოკში ვნახე აგვსტოს თთვესა მოიტანეს ხილი, რომელსაც უწოდდნენ შელშავს, კვინჩხის მსგავსია ფერით, მაგრამ კვინჩხზედ მცირედ რამ პატარა არის, მთის ხილია. მე საქართველოში არსად მინახავს არც მთასა და არც ბარში. უცხო კარგი გემო აქვს. მცირედ რამ მომჟავე არის. ორის მტკავლის ოდენი გაისდება მისი ხე, ხე ბალახას რომ ეძახიან იმასა ჰგავს. თითონ ფერად შავი არის და გემო ზირიშკს უგავს. უფრო კარგიც არის გემოთი ზირიშკისაგან“.

ხელნაწერის უკანასკნელ ფურცელზე (გვ. 131—132) მოცემულია ბაჟის განაწესი. იმავე განაწესს ვხვდებით აგრეთვე ქობულაშვილის ხელნაწერშიც. ქობულაშვილისეული ხელნაწერის ბაჟის განაწესს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. შოთა მესხიამ, რომელმაც აღნიშნა განაწესის დიდი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. პროფ. შ. მესხიამ მოახდინა ტროსტომ მეფის 1639 წლის განაწესის, „დასტურლამალისა“ და ქობულაშვილის ხელნაწერის დანართი განაწესის შედარება, მიუთითა იმ ცვლილებებზე, რომელსაც ბაჟის განაწესი დროთა განმავლობაში განიცდიდა<sup>2</sup>.

პროფ. შ. მესხიას მოჰყავს დავით ბაგრატიონის ცნობა, რომ ქალაქებში ბაჟს ყოველწლიურად აწესებდა სახელმწიფო ხელისუფლებამ<sup>3</sup>. ამასთანავე, თავის მხრივ, შ. მესხია დასძენს, რომ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილება ხშირად იწვევდა ბაჟების შეცვლას<sup>4</sup>.

პროფ. ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ 1736 წელს საბაჟო განაწესი, რომელშიაც გათვალისწინებულია „სპარსეთიდან შემოსატან საქონელზე დადებულ საბაჟო გადასახადის შემცირება“, გაკეთებული უნდა იყოს „სპარსეთის მთავრობის სურვილისა“ და „საფიქრებელია, დირექტივების თანახმად“, ეს იყო განაგრძობს პროფ. ს. კაკაბაძე, სპარსეთთან ეკონომიური კავშირის აღდგენის ცდა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა განყოფილება, იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 153.

<sup>2</sup> შოთა მესხია, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954, გვ. 71—81).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 77—78.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 78.

<sup>5</sup> ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში (ეურ. „მნათობი“, 1924, № 2, გვ. 236).

ბაეების განაწესი გათვალისწინებული იყო როგორც თბილისისათვის, ისე საქართველოს სხვა მრავალი გეოგრაფიული ერთეულისათვის.

ბაეების განაწესი სხვადასხვა გარემოებათა გამო ძალიან ხშირად იცვლებოდა. სავარაუდებელია, რომ 1736 წლის საბაეო განაწესი შემოღებული იყო საქართველოდან ოსმალების განდევნასთან დაკავშირებით. ცხადია, ოსმალებს თავისი ინტერესებისათვის შესაფერისი ბაეების გარიგება ექნებოდა საქართველოში და ოსმალების საოკუპაციო რეჟიმის სპარსეთის საოკუპაციო რეჟიმით შეცვლამ გამოიწვია თბილისის საბაეოს განაწესის შეცვლაც.

მამასადამე, საბაეო განაწესი შეიძლება შეცვლილიყო საგარეო ვითარებასთან დაკავშირებით, ფულის ღირებულების შეცვლის გამო და სხვა. ბაეი დაწესებული იყო საქართველოს მრავალ ადგილას, კერძოდ ქართლშიც. იგი მოქმედებდა თბილისში, გორში, შულავერში და სხვა. საბაეო განაწესი არსებობდა კახეთშიც და სხვა სამეფო-სამთავროებში.

სისტემატური ცვლილებები შეჰქონდათ როგორც თბილისის, ისე სხვა ადგილების საბაეოების განაწესებში. ხელისუფლება შეისწავლიდა საბაეოების ძველ წესს და ამის საფუძველზე ადგენდა ახალ საბაეო გარიგებას. ხშირად საბაეო განაწესი და საერთოდ გადასახადები ერთ განაწესში იყო გათვალისწინებული. ცენტრალური ხელისუფლება თავადური თვითნებობის ასალაგმავად ცდილობდა თვითონვე მოეწესრიგებია გადასახადებისა და საბაეოების საკითხი.

ამ მხრივ საყურადღებოა ერეკლე II 1750—1760 წლის „კახეთის ბაეების გარიგება“, რომელშიაც მოცემულია როგორც ბაეები, ისე სხვადასხვა გადასახადები. ამ განაწესის განმარტებაში შეფე ერეკლე II წერს: „ქ. ჩვენ მეფემან კახეთისამან ირაკლიმ, ძემან ღთივ ცხებულის საქართველოს მეფის თეიმურაზისამან, ესე განაჩენი გავარიგეთ, ოდეს ვიგულისქმეთ, რაც ძველთაგან დავთრები ან წიგნები იყო კახეთისა ყველა გავსინჯეთ, რაც ჩვენი სამეფო, სახასო ან სადედოფლო სოფლები იყო და ან ელებისა, ასე გავაჩინეთ და გავარიგეთ, რომ რაც ზოგისა მოსაკლებელი იყო, მოუკელით, და ზოგი, როგორც ძველთაგან ყოფილიყო, ავრეთვე გავარიგეთ“. ამის შემდეგ სოფლების გადასახადების გარდა, განაწესში საუბარია ქიზიყისა და სხვა ადგილების ბაეზე. განაწესის მიხედვით ბაეის აკრეფა იჯარით ხდებოდა. ბაეის შემოსავლის ორი წილი მეფისა იყო და ზოგჯერ ამ ბაეიდან მოურავს წილი ერგებოდა<sup>1</sup>.

მოვიყვანოთ დავით რექტორისა და ქობულაშვილის ხელნაწერებში მოცემული ბაეის განაწესი.

#### დავით რექტორის

#### თამაზ ქობულაშვილის

ქ ფარჩის ჩეჭლიეჟი. სახელი ჩეჭლიეჟია, მაგრამ თუმანზედ ერთი აბაზია ბაეი.

ქ. ფარჩის ჩელიეჟი. სახელი ჩელიეჟია, მაგრამ თუმანზედ ერთი აბაზია ბაეი.

ქ ბაგრასტზედ ადლზედ მ<sup>2</sup>

ქ. ბაგრასტზედ ადლზედ მ.

ქ ლანდრა ფასტაიზედ უ<sup>3</sup>

ქ. ლანდრა<sup>0</sup> ფისტაზედ უ

1 „საქართველოს სიძველენი“. ე. თაყაიშვილის რედაქციით, III. 1910. გვ. 133--134.

2 მ—ორი ბისტი

• პროფ. შ. მესხიას: ლანდარა

3 უ—ორი აბაზი

- ქ მაულზედ ფასტაი — ფ<sup>1</sup>  
 ქ შალი და ფარფათიონი ფასტაი-ზედ — ს<sup>2</sup>
- ქ ბეწვეულის საპალნეზედ — ც<sup>3</sup>  
 ქ აბრეშუმის მიზანი გამსყიდველები მისცემს—სნ<sup>4</sup> და ვინც იყიდის მისცემს — რნ<sup>5</sup>
- ქ ბანბა ცხენის საპალნე, აქლემისა. ჯორისა და კარისა—ფ, ვირისაზედ—სნ.
- ქ კმელის თევზისა და ურემზედ — ფ<sup>6</sup>, საპალნეზედ — ტ<sup>7</sup>
- ქ გელაქნური საპალნეზედ — იბ<sup>8</sup>  
 ქ ორაგული და ზუთხი საპალნეზედ აბ<sup>9</sup>
- ქ ბრინჯი კარის საპალნეზედ — რნ, ვირისაზედ — ნკ<sup>10</sup>
- ქ სამხალათი ცხენისა და ჯორისაზე—ცს<sup>11</sup>, აქლემის საპალნეზე—ცყ<sup>12</sup>, ვირისა—ჩრ<sup>13</sup>
- ქ ერბო, თაფლი, ქონი, რკინა შაბი, ცხენისა, ჯორისა, კარისა, საპალნეზედ — რნ
- ქ ნალი ცხენისა და ჯორის საპალნეზედ—სნ, ვირისაზე—რკე<sup>14</sup>
- ქ რაც მოქალაქემ განჭიდან აბრეშუმი ქ მოიტანოს და არზრუმისაკენ წაი-
- ქ მაულზედ ფასტი—ფ.  
 ქ შალი და ფარფათიონი ფისტაზედ—ს
- ქ ბეწვეულის საპალნეზედ—ც  
 ქ აბრეშუმის მიზანი გამსყიდველები მისცემს—სნ, და ვინც იყიდის მისცემს—რნ
- ჯორისა და ხარისა — ფ, ვირისა — ჯორისა და ხარისა — ფ, ვირისა—სნ
- ქ კმელის\* თევზისა ურემზედ შ, საპალნეზედ — ტ
- ქ გელაქნური საპალნეზედ იბ  
 ქ ორაგული და ზუთხი საპალნეზედ აბ
- ქ ბრინჯი კარის საპალნეზედ რნ, ვირისაზედ—ნკე
- ქ სამალათი\*\* ცხენისა და ჯორისაზე—ცნ, აქლემის საპალნეზედ—ცყ, ვირისა—ჩრ
- ქ ერბო, თაფლი, ქონი, რკინა, შაბი, ცხენისა, ჯორისა, კარისა საპალნეზედ—რნ
- ქ ნალი ცხენისა და ჯორის საპალნეზედ—სნ, ვირისაზედ—რკე.
- ქ რაც მოქალაქემ განჭიდან აბრეშუმი მოიტანოს(ს) და არზრუმისაკენ

1 ფ—ათი შაური

2 ს—ერთი აბაზი

3 ც—ორი მინალთუნი

4 სნ—ხუთი შაური

5 რნ—სამი შაური

6 შ—თვრამეტი შაური

7 ტ—ექვსი შაური

8 იბ—12

9 აბ—11/2

10 ნკე—7 1/2 კაბ. (1 შაური, 1 ბისტი და 1 ფული)

11 ცს—2 მინალთუნი 1 აბაზი

12 ცყ—2 მინალთუნი და 4 აბაზი

13 ჩრ—1 მინალთუნი და 2 შაური

14 რკე (ორი შაური, 1 ბისტი, 1 ფული)

\* პროფ. შ. მესხიას კმელის

\*\* პროფ. შ. მესხიას „ხამ(ხა)ლათი“

- ღოს აქლემისა, თუ ცხენისა, თუ ჯორისა საპალნეზედ—ც.
- ქ საყათი წურილმანი თუ სახტიანი ცხენისა ჯორისა და კარისა საპალნეზედ—ჩტნ<sup>1</sup>, აქლემზედ—ცკე<sup>2</sup>.
- ქ ხუშკაბარი და ზეითუნის საპალნე ცხენისა, ჯორისა და კარისა საპალნეზედა<sup>3</sup> —ლიტრა, ვირისაზედ — 0<sup>4</sup> ლირა.
- ქ ალვანს აბრეშუმზედ დასტაზედ ლე<sup>5</sup>.
- ქ ლილა თავრეზის ლიტრაზედ—ნ<sup>6</sup>.
- ქ გუნდა და სპილენძი ცხენისა, ჯორისა, კარისა საპალნეზე—ფ. ვირისაზე—სნ
- ქ ენდრო და მატყლი ცხენისა, ჯორისა, კარისა, საპალნეზედ—სნ, ვირისაზედ—რკე.
- ქ მარილი საპალნეზედ—ნ, გორისა—ნ
- ქ ზეთი ცხენისა, კარისა საპალნეზედ—ტ<sup>7</sup>
- ქ ნესვი და საზამთრო საპალნეზედ—გ<sup>8</sup>
- ქ კიტრი ცხენისა, ჯორისა, კარისა საპალნეზედ—იბ<sup>9</sup>, ვირისაზედ—ვ<sup>10</sup>.
- ქ ბაზირგნის აბრეშუმში აქლემისაზედ —უ, ცხენისაზედ —ს
- ქ თამბაქო აქლემისა თუ ცხენისა საპალნეზედ—ა ლიტრა
- ქ არყის საპონი ცხენის საპალნეზედ—ფ.
- ქ კმელი ტყავი ცხენისა, ჯორისა საპალნეზედ—სნ, ვირისაზე—რკე.
- წაიღოს აქლემისა თუ ცხენისა თუ ჯორია საპალნეზედ—ც.
- ქ საყათი წურილმანი თუ სახტიანი, ცხენისა, ჯორისა და კარისა საპალნეზედ—ჩტნ, აქლემზედ—ცკე.
- ქ ხუშკაბანი და ზეითუნის საპალნე ცხენისა, ჯორისა და კარის საპალნეზედ—ა ლიტრა, ვირისაზედ—0 ლიტრა.
- ქ ალვანს აბრეშუმზედ დასტაზედ ლე<sup>0</sup>
- ქ ლილა თავრეზის ლიტრაზედ ნ,
- ქ გუნდა და სპილენძი ცხენისა, ჯორისა, კარის საპალნეზედ—ფ, ვირისაზედ — სნ
- ქ ენდრო და მატყლი ცხენისა, ჯორისა, კარისა საპალნეზედ—სნ, ვირისაზედ—რკე.
- ქ მარილი საპალნეზედ—ნ, გორისა—ნ.
- ქ ზეთი ცხენისა, კარისა, საპალნეზედ—ტ.
- ქ ნესვი და საზამთრო საპალნეზედ—გ,
- ქ კიტრი ცხენისა, ჯორისა, კარისა საპალნეზედ —იბ, ვირისაზედ—ვ
- ქ ბაზირგნის\* აბრეშუმში აქლემისაზედ — უ, ცხენისაზედ — ს.
- ქ თამბაქო აქლემისა თუ ცხენისა საპალნეზედ—ა ლიტრა.
- ქ არყის საპონი ცხენის საპალნეზედ — ფ.
- ქ კმელი ტყავი ცხენისა, ჯორისა, საპალნეზედ—სნ, ვირისაზედ—რკე

1 ჩტნ—1 მინალთუნი, 7 შაური  
 2 ცკე—2 მინალთუნი, 1 ბისტი, 1 ფული  
 3 ა—1  
 4 0—1/2  
 5 ლე0—შვიდ ფულ ნახევარი.  
 7 ტ—6 შაური. \* პროფ. ვ. მესხიას: ბაზირგნის  
 8 გ—3  
 9 იბ—12  
 10 ვ—6

ქ. ყაფანდარმა უნდა აიღოს:

- ქ ხორბალი თუ თქვილი თუ ქერი თუ ფეტვი მძიმე თავზედ—კ<sup>1</sup>, მსუბუქს თავზედ —ი<sup>2</sup>
- ქ ბანბა საპალნეზედ—რ, ბრინჯზედ და შაბზედ საპალნეზედ—კ.
- ქ მატყლის საპალნეზედ—ნ<sup>3</sup>
- ქ ცხენი და ჯორი რომ გაისყიდოს—ს, აქლემზედ—ლ, ვირზედ და ძროხაზედ—ხ.
- ქ რკინა და სპილენძი —კ
- ქ ენდროს საპალნეზედ—ნ, ზეითუნზედ—ნ
- ქ კმელის ტყავის საპალნეზედ—კე<sup>4</sup>
- ქ ერბო, თაფლი, ქონი, ას ლიტრაზედ —რ<sup>5</sup>
- ქ ხუშკაბარზედ ცხენის, ჯორის საპალნე — ნ.

დავით რექტორის

ქ ციხის კარზედ:

- ქ თუ შემოსულისა თუ გასაელისა ბაზირგნის საქონელი თუ თამბალითი თუ საპალნე—კე
- ქ აბრეშუმზედ—ნ
- ქ მარილი და ბრინჯი საპალნეზედ—ი.
- ქ ნესვი და საზამთრო საპალნეზედ—ი.
- ქ ერბო, თაფლი, ქონი, ტყავი, ხუშკაბარი საპალნეზედ—კე.
- ქ შაბი საპალნეზე—ი.
- ქ კმელი თევზი ურემზედ—ნ, საპალნეზედ—კ
- ქ გელაქნური საპალნეზედ—ლ<sup>6</sup>
- ქ ორაგული და ზუთხი საპალნეზედ—კ
- ქ კიტრი საპალნეზედ—ლ

ქ. ყაფანდარმა უნდა აიღოს:

- ქ ხორბალი თუ ფქვილი თუ ქერი თუ ფეტვი მძიმე თავზედ—კ, მსუბუქ თავზედ—ი.
- ქ ბანბა საპალნეზედ რ, ბრინჯზედ და შაბზედ საპალნეზედ—კ.
- ქ მატყლის საპალნეზედ—ნ
- ქ ცხენი და ჯორი რომ გაისყიდოს ს, აქლემზედ—ლ, ვირზე და ძროხაზედ—ნ.
- ქ. რკინა და სპილენძი —კ
- ქ. ენდროს საპალნეზედ—კე და<sup>6</sup>—ნ, ზეითუნზედ—ნ
- ქ კმელის ტყავის საპალნეზედ —კე.
- ქ ერბო, თაფლი, ქონი ას ლიტრაზედ—რ
- ქ ხუშკაბარზედ ცხენისა, ჯორისა საპალნე—ნ

თამაზ ქობულაშვილის

ქ ციხის კარზედ:

- ქ თუ შემოსულისა თუ გასაელისა ბაზირგნის საქონელი თუ თამბალითი თუ საპალნე—კე.
- ქ აბრეშუმზედ—ნ.
- ქ მარილი და ბრინჯი საპალნეზედ —ი.
- ქ ნესვი და საზამთრო საპალნეზედ —ი.
- ქ ერბო, თაფლი, ქონი, ტყავი, ხუშკაბარი საპალნეზედ—კე.
- ქ შაბი საპალნეზედ—ი.
- ქ კმელი თევზი ურემზედ—ნ, საპალნეზედ—კ.
- ქ გელაქნური საპალნეზედ—ლ
- ქ ორაგული და ზუთხი საპალნეზედ —კ
- ქ კიტრი საპალნეზედ—ლ

1 კ—1 ბისტი

2 ი—ორი ფული \* „და“ ტექსტში არ არის, მაგრამ რაღაც ნიშანი (წ-ის მსგავსი) არის.

3 წ—1 შაური

4 კე—1 ბისტი 1 ფული

5 რ—2 შაური

6 ლ—4



ქ ხილი ურემზედ—ნ. საპალნედ—კ.

ქ ხილი ურემზედ—ნ. საპალნეზედ  
—კ.

ქ ქალაქის ბაჟისა, ქ. ყაფნისა.  
ქ და ციხის-კარისა შართლამა  
ქ-კს უკლ

ქ ქალაქის ბაჟისა: ქ. ყაფნისა,  
ქ და ციხის კარისა შართლამა\* ქ-კს  
უკლ\*\*  
გამართულია თამაზ

აღნიშნული ხელნაწერების მიხედვით ბაჟის განაწესში არსებული განსხვავება თითქმის უმნიშვნელოა. მოვიყვანოთ იგი:

დავით რექტორის ვარიანტით  
ჩეჭლიეკი  
ფასტაიზედ  
აქლემისა  
ქარისა  
საშხალათი  
მოიტანოს  
წერილმანი  
ქ ენდროს საპალნეზედ—ნ

ქობულაშვილის ვარიანტით  
ჩელიეკი  
ფისტაზედ  
აქლემის  
ხარისა  
სამალათი  
მოიტანო  
წერილმანო  
ენდროს საპალნეზედ კე და ნ

ყველა განსხვავება, გარდა ერთისა, უმნიშვნელოა, შესაძლებელია ასეთი განსხვავება გადამწერს მოსელოდა, უკანასკნელი განსხვავება კი უფრო მნიშვნელოვანია: სახელდობრ, ენდროს საპალნეზედ დავით რექტორის ხელნაწერის ბოლოს დართული განაწესის მიხედვით ბაჟი 1 შაურია, ხოლო ქობულაშვილის ხელნაწერის დანართით— $1\frac{1}{2}$  და 1 შაური. მირველ თუმანიშვილის, სულხან მდივანის, ყავრიშვილისეულის, იესე მდივნის, დავით რექტორის, ქობულაშვილისა და სხვა ხელნაწერების მიხედვითაც, თვით „დასტურლამალის“ ტექსტში არის ასეთი მუხლი: „ყაფნის რიგი“ ანუ „ყაფნის რიგისათვის“, რომელშიაც გათვალისწინებულია „ენდროს ცალზე ნახევარი შაური“. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საპალნეს ორთ ცალი აქვს, აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საპალნეზედ უნდა იყოს ერთი შაური. დავით რექტორის ხელნაწერში მოთავსებულ 1736 წლის ბაჟის განაწესში ცალზე კი არ არის საუბარა. არამედ საპალნეზედ, საპალნეს კი, როგორც ვთქვით, მართლაც, 1 შაური მოუწევდა. როგორც ჩანს, ამით არის გამოწვეული, რომ ქობულაშვილის ხელნაწერში ორივე ციფრია მოცემული:  $1\frac{1}{2}$  და 1 შაურიც (ცალისათვის  $1\frac{1}{2}$  და საპალნისათვის 1 შაური).

ქ. თბილისის ციხის საბაჟო განაწესი შედგენილი იყო როსტომ მეფის დროს, 1639 წელს.

შესადარებლად მოვიყვანოთ ეს განაწესი და ვუჩვენოთ ის განსხვავება. რომელიც 1639 წლის დასტურლამალისა და 1736 წლის ციხის უფროსისათვის გათვალისწინებული ბაჟის განაწესებს შორის არსებობდა. ამასთანავე აღვნიშნოთ ის განსხვავება, რომელიც „დასტურლამალისა“ და 1736 წლის ქალაქის ბაჟის განაწესებს შორის შეინიშნება.

როსტომ მეფის 1639 წ. ბრძანებაში თბილისის ციხის კარზე ბაჟის აღების წესის შესახებ წერია:

\* ხელნაწერში არის „ციხის“—„ციხის“ მაგიერ.  
\*\* 1736 წელი (განაწესის შედგენის თარიღი).

„ქ. ნებიტა ღწოთისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ, ესე ყანუნლამა და ციხის კარის ფულისსა საქმე ასრე გავარიგეთ და გავაჩინეთ ბედნიერის ყენის რაყმის საქმიტა. ვითაც შაჰ-მირ მინბაშის დროს ცუდიპადი კაცი ვინც მოხუდებოდა ყაფი(ს) ფულზედ, უდიერს საქმეს იქმოლეს და ნიადგ მოქალაქე და უცხო მგზავრი კაცი ირჯებოდა. აწი ამისი კელმწიფის ბძანებით ასრე გავარიგეთ:

უნდა აიღებოდეს ყაფი(ს) ფულად აბრეშუმის საპალნეზედა შაური ერთი. ფართლის საპალნეზედ ნახევარი შაური, ბამბის საპალნეზედ ბისტი ერთი, საყათის საპალნეზედ ფული ორი, თუთუნის საპალნეზედ ნახევარ შაური, მარილის საპალნეზედ ფული ერთი, ბრინჯის საპალნეზედ ფული ერთი, ერბოსა და თაფლის საპალნეზედ ოროლი ფული, ნალ-ლუსმრისა და რკინის საპალნეზედ ორი ფული, მატყლის საპალნეზედ ერთი ფული, თევზის საპალნეზედ ერთი ბისტი. ვინც გასასყიდლად ცხუარი გამოატაროს, ასზედ შაური ორი. თუ დიდმა პირმა ცხუარმან გაი(ა)როს საძოვარზედა, ერთი ცხუარი აიყუანონ და თუ ცოტამ პირმან გაიაროს, ერთი ბატკანი აიყუანონ და ყუელის საპალნეზედ აიღონ ფული ერთი. ეს ასრე გარიგდა და რაც მინბაში ან დღეს იჯდეს ციხეშია და ან მასუკან სხუა მოვიდოდეს, ამ საქმეს ნურავინ გარდავა და ნურც მანშინ. ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკზ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუმა-ნიშვილის ბირთველისათა. როსტომ“<sup>1</sup>.

როსტომის 1639 განაწესი (ციხის კარის)	„დასტურლამალი“	1736 წლის ბაეის განაწესი (ციხის კარის)
1. აბრეშუმის საპალნეზედ—შაური ერთი	აბრეშუმის საპალნეზედ—შაური	აბრეშუმზედ 5 (შაური).
2. ფართლის საპალნეზედ—ნახევარ შაური	ფართლის საპალნეზედ—ნახევარ შაური	თუ შემოსულისა თუ გასავლისა ბაზირგნის საქონელი თუ თამბალით: თუ საპალნე—კე (ნახევარ შაური).
3. საყათის საპალნეზედ ფული ორი	საყათზედ ფული ორი	
4. თუთუნის საპალნეზედ—ნახევარ შაური	თამბაქოზედ-ნახევარ შაური	მარილი და ბრინჯი საპალნეზედ—ი (ორი ფული)
5. მარილის საპალნეზედ—ფული ერთი, ბრინჯის საპალნეზედ—ფული ერთი	მარილის საპალნეზედ—ფული	
6. ერბოსა და თაფლის საპალნეზედ—ორი ფული	თაფლზედ—ორი ფული	ერბო, თაფლი, ქონი, ტყავი, ხუშკაბარი საპალნეზედ კე (ნახევარი შაური)
7. ნალ-ლუსმრისა და რკინის საპალნეზედ ორი ფული	—	—
8. თევზის საპალნეზედ ერთი ბისტი.	თევზის საპალნეზედ ბისტი <sup>2</sup>	ცმელი თევზი ურემზე 4 (შაური), საპალნეზედ 1 (ბისტი)

<sup>1</sup> ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუტურაძემ, 1955, გვ. 148—149.

<sup>2</sup> „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886, § 104, § 216.

1. თავრიზის ფარჩაზედ—თუმანზედ ხუთი შაური<sup>1</sup>
2. საყათის აქლემის საპალნეზედ—ოც-და შვიდი შაური, ცხენის — თვრამეტი შაური.
3. ურდვარის ფარჩისა აქლემით არის თუ ცხენით, საპალნეზედ თერთმეტი აბასი.
4. აბრეშუმში თუ აქ მიზანში ასწონეს ბათმანზედ—ერთი აბასი და თუ საპალნეობით გავა, აქლემის საპალნეზედ—ცხრა მინალთუნია.
5. ბანბის საპალნე აქლემს ჰყილია თუ ულაყსა საპალნეზედ ორი აბასი, შაური მუშრიბანა არის.
6. ენდროს საპალნეზედ ორი აბასი არის, აქლემისაზედ და ცხენისაზედ ერთი აბასი.
7. ერბო ან თაფლი ეყიდოს აქლემზედ ორი აბასი და ცხენზედ ერთი აბასი ბაჟი.
8. წინდის საპალნეზედ აქლემზე — 10 შაური, ცხენზედ—ხუთი შაური.
9. მატყლზედ აქლემზედ—ორი აბასი, ცხენზედ—ერთი აბასი.
10. ბრინჯი, რკინა ან შაბი რომ ეყიდოს აქლემზედ—სამი შაური და ცხენზედ ორი შაური.
11. მარილის საპალნეზედ—ერთი შაური.
12. ქიშმიშის აქლემის საპალნეზედ—ლიტრა ნახევარი, ცხენის საპალნეზედ ერთი ლიტრა.

ფარჩის ჩელიეჟი... თუმანზედ ერთი აბასი.

საყათი წურილმანი თუ სახტიანი ცხენისა, ჯორისა და კარისა, საპალნეზედ—ჩტნ (27 შაური), აქლემზედ—ცკე (2 მინალთუნი და 1/2 შაური. ე. ი. 40 1/2 შაური).

აბრეშუმის მიზანი გამყიდველები მისცემს სნ (ხუთ შაურს), და ვინც იყიდის მისცემს რნ (3 შაურს).

ბანბა ცხენის საპალნე, აქლემისა ჯორისა და კარისა ფ (10 შაური), ვირისაზედ—სნ (5 შაური).

ენდრო და მატყლი ცხენისა, ჯორისა კარისა საპალნეზედ—სნ (5 შაური), ვირისაზედ — რკე (2 1/2 შაური).

ერბო, თაფლი, ქონი, რკინა, შაბი ცხენისა, ჯორისა, კარისა, საპალნეზედ—რნ (3 შაური).

ენდრო და მატყლი ცხენისა, ჯორისა. კარისა საპალნეზედ—სნ [5 შაური]. ვირისაზედ რკე [2 1/2 შაური].

ბრინჯი კარის საპალნეზედ — რნ. ვირისაზედ — ნკე

მარილი საპალნეზედ—ნ (შაური).

<sup>1</sup> დავით რექტორისა და იოველ ალექსიძის ხელნაწერებში აგრეთვე 1886 წ. დაბეჭდილ „დასტურლამალში“ აღნიშნულია „ათი შაური“; მირველ თუმანიშვილისა, სულხან მდიუნისა, ევარიშვილისეულისა და იესე მდიუნის ხელნაწერებში, ე. ი. უძველეს ხელნაწერებში— „ხუთი შაური“. ეს ციფრი 1736 წლის განაწესის მიხედვით უფრო შეეფერება სინამდიულს.

- |  |  |
|--|--|
| <p>13. თამბაქოს საპალნეზედ აქლემზედ —ლიტრა ნახევარი, ცხენზედა ერთი ლიტრა.</p> <p>14. ზეთის საპალნეზედ—ერთი ჰბასი და შუშობინა—ნახევარ შაური.</p> <p>15. ორაგულის საპალნეზედ ორს მთელს აიღებენ.</p> <p>16. გელაქნურის საპალნეზედ თორმეტი აიღების.</p> <p>17. ხმელის თევზის ურემზედ—თვრამეტი შაური აიღების.</p> | <p>თამბაქოს აქლემისა თუ ცხენისა საპალნეზედ ა ლიტრა.</p> <p>ზეთი ცხენისა, კარისა საპალნეზედ—ტ (6 შაური).</p> <p>ორაგული და ზუთხი საპალნეზედ ამ (1<sup>1</sup>/<sub>2</sub>)</p> <p>გელაქნური საპალნეზედ იბ (12).</p> <p>კმელის თევზისა ურემზედ—შ (18 შაური), საპალნეზედ—ტ (6 შაური)</p> |
|--|--|

პირველ ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ როსტომ მეფის, „დასტურლამალისა“ და 1736 წელს საბაჟო განაწესები შედგენილია იმ პერიოდში, როცა ქართლის სამეფო სპარსეთის ვასალი იყო, როცა თბილისის ციხეში სპარსეთის ციხის უფროსი იჯდა: ამიტომ, ორივე განაწესი ძლიერ ახლო დგას ერთმანეთთან.

განსხვავების თვალსაზრისით შეიძლება შემდეგი აღვნიშნოთ: ოსმალეთის ქართლიდან განდევნის შემდეგ, სპარსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებასთან დაკავშირებით შედგენილი საბაჟო განაწესი კიდევ უფრო ხელსაყრელია სპარსეთისათვის, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი ორი წინანდელი განაწესი (1639 წლისა და „დასტურლამალისა“). ეს იმაში გამოიხატება, რომ 1736 წლის საბაჟო განაწესით სპარსეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟი ცოტათი დაკლებულია. ამასთანავე, თბილისის ციხის უფროსისათვის (სპარსეთის მოხელე) გათვალისწინებული ბაჟი ცოტათი გადიდებულია. სხვა მხრივ ამ განაწესებში დიდი განსხვავება არ შეინიშნება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ სხვადასხვა დროის შედგენილ საბაჟო განაწესებში გათვალისწინებული დასაბეგრავი ერთეული დროთა განმავლობაში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ამ ერთეულების ერთმანეთთან შედარებით ზუსტი მსგავსებისა და განსხვავების დადგენა ძნელდება, რაც ართულებს შესადარებელი მასალის ანალიზს.

პროფ. შ. მესხიას მოსაზრებით ვახტანგ VI-ის „დასტურლამალს“ ჩვეულებრივ ურთავდნენ 1736 წ. შედგენილ „ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამას“, როგორც ჩანს, განაგრძობს იგი 1736 წ. შედგენილი „ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა“ „დასტურლამალის“ ნუსხებს ხშირ შემთხვევაში დაერთვოდა<sup>1</sup>. პროფ. შ. მესხიას ასეთი დასკვნა იმას ემყარება, რომ 1736 წლის განაწესი დართული აქვს ქობულაშვილის ხელნაწერს და, მისივე სიტყვით, დართული ჰქონია კიდევ დავით რეპტორის ხელნაწერს. „დართვაში“ ამ შემთხვევაში პროფ. შ. მესხია, ალბათ, „დასტურლამალის“ დამატებას, როგორც კანონის შევსებას, გულისხმობს. ეს მოსაზრება არ არის მართებული.

პირველყოვლისა, 1736 წლის საბაჟო განაწესი, თავისი გამოცემის დიდიდან უკვე სცვლის „დასტურლამალის“ სათანადო ადგილს. ამ შემთხვევაში იგი „შევსებულია“ და სხვა დამატება-შევსებას აღარ საჭიროებს. ვინ და როგორ

<sup>1</sup> შ. მესხია. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის „მასალები საქართველოს და კავკასიის ეკონომიური ისტორიისათვის“ ნაკვ. 30, 1954 წ., გვ. 74, 80.

შეინახავს ამ განაწესს, ან სად მიაწერს მას, ამ გარემოებას 1736 წლის საბაჟო განაწესისათვის არ აქვს მნიშვნელობა. ხელისუფლებამ იგი გამოსცა როგორც სავალდებულო განაწესი და უნდა შესრულდეს.

ჩვენ ამჟამად ვიცნობთ „დასტურლამალის“ 15 ხელნაწერს. ამ ხელნაწერების ავტორებიდან 1736 წლის საბაჟო განაწესი „დასტურლამალის“ ხელნაწერისათვის პირველად დაურთავს დავით რექტორს, რომლიდანაც გადმოუწერა თამაზ ქობულაშვილს (ამ დროს ქართლ-კახეთის სამეფო აღარ იყო). სხვა ხელნაწერებზე ასეთი დანართი არ არის. ამასთანავე, დავით რექტორს, როგორც ზემოთ ვნახეთ, „დასტურლამალის“ ხელნაწერისათვის დაურთავს აგრეთვე თავისი ფშავ-ხევსურეთში მოგზაურობა და იმ იშვიათ ხილის აღწერილობა, რომელიც ხევსურეთში უნახავს. „დასტურლამალის“ ხელნაწერისათვის კველა ეს დანართი ერთნაირად უცხოა. როგორც დავით რექტორის ხილის აღწერილობა არ შეიძლება „დასტურლამალის“ შევსება-დამატებად მივიღოთ, ასევე არ შეიძლება 1736 წლის საბაჟოს განაწესის „დასტურლამალის“ შევსებად მიჩნევა. აღნიშნულს დავითის ხელნაწერისათვის შემთხვევითი ხასიათი აქვს და ამ შემთხვევის განზოგადება არ იქნებოდა მართებული.

დავით რექტორის ხელნაწერი იესე მდივნის ხელნაწერიდან მომდინარეობს. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ასეთი ფაქტი: იესე მდივნის ხელნაწერში, როგორც ამის შესახებ ზემოთაც ვთქვით, „ტყავის“ შესახებ განაწესში (იესეს ხელნაწერი, გვ. 164), იმ ადგილის შემდეგ, სადაც წერია: „აღდგომილამ ამაღლებამდინ ბატონის ტყავი“, რამდენიმე სიტყვისათვის თავისუფალი ადგილია დატოვებული. ზუსტად ასევეა დავით რექტორის ხელნაწერშიც (გვ. 72).

D ნუსხა დროის მიხედვით საფუძველია მისი მომდევნო ხელნაწერებისათვის. რიგი სიტყვებისა, გვარსახელებისა და ცალკეული ადგილებისა D-დან მოდის, ე. ი. D-ს წინანდელ ხელნაწერებში არ არის, მაგრამ D-ს მომდევნოში არის.

ამასთანავე, ზოგიერთი ადგილი ან სიტყვა M, S, K-ში არის, მაგრამ არ არის D-ში და D-ს შემდეგი დროის ხელნაწერებში.

ხშირად M, S, K ნუსხებში მოცემულ გვარსახელს D-ში მიმატებული აქვს ს-ანი და ასე მოდის შემდეგ ნუსხებში. მაგალითად, ნაზარასშვილი, ნაზარაშვილის მაგიერ, ფოლადასშვილი ფოლადაშვილის მაგიერ და ასე შემდეგ. D-დან მოდის ზოგიერთი არამართებული წაკითხვაც. მაგალითად, D-ში არის „საკომლოზედ“—„საკომლო ბზე“-ს ნაცვლად. დაწერილებით-ამის შესახებ გამართული ტექსტის სქოლიოებში არის საუბარი.

## 6. ქობულაშვილის ხელნაწერი (Q)

ქობულაშვილის ხელნაწერი ჩვენს მიერ აღნიშნულია ლათინური Q-თი, გადამწერის გვარსახელის პირველი ასოს მიხედვით. ნუსხა ინახება ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში (იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 153).

ხელნაწერთა განყოფილების კატალოგში აჟამად ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი შემდეგნაირად არის აღწერილი:

„Собрание ц. Иоанна, № 153, Вахтанга VI Дастурламали (Тбилиси), переписч. Кобулашвили Тамази, XVIII в. 77 п. 1x17. Заглавие—киповарью, переплет кожаный. Инструкция по управлению царской собственностью“.

პირველყოვლისა, შევრჩერდეთ ხელნაწერის თარიღზე. მისი პირველი 23 ფურცელი შესრულებულია ქალაღზე, რომლის კვირნიშანი უჩვენებს 1793 წელს. ხელნაწერის დანარჩენი ფურცლები დაწყებული 24-ე ფურცლიდან ბოლომდე, დაწერილია სხვა ქალაღზე. იგი მოლურჯო ფერისაა, სწორედ ისეთი, რომელზედაც შესრულებულია იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“, უკანასკნელის ხელნაწერი კი, როგორც ვიცით, დათარიღებულია 1799 წლით.

მეორე წყება ქალაღის კვირნიშანი ასე იკითხება: 1804... ანუ იაროსლავის ფაბრიკა (ქალაღის)!<sup>1</sup>. მაშასადამე, ხელნაწერის ქალაღის ერთი წყება 1793 წლით არის დათარიღებული, ე. ი. ამ წელს აქვს ის ქალაღის ფაბრიკას გამოშვებული, ხოლო მეორე წყება ქალაღისა ქარხნის მიერ გამოშვებულია 1804 წელს. 1804 წელი არის ის ზღვარი, რომლის უწინ ხელნაწერი არ შეიძლება შესრულებულიყო. ხელნაწერი შესრულებულია 1804 წლის შემდეგ, ამ დროის უახლოეს პერიოდში.

ხელნაწერი ტყავის ყდაშია ჩასმული. პირველი ფურცელი დაუნომრავია და მის 1-ზე წერია: „მდივნის ქობულოვის წიგნებიდან“. ტექსტი დაწერილია 76 ფურცელზე, გაკრული ხელით, მხედრულით.

77 1-ზე წერია: „ქ აღიწერა კელითა თავადის ქობულოვის თამაზის მიერ და თუ რამ შეცთომილი ან უკანონოთ ნაწერი ნახოთ, ვინაცა იკითხოთ, მოტყუებას ვითხოვ, რომ ამის მეტი წიგნი არ გარდამეწერვა ჯერეთ“. შემდეგ მხატვრული გაფორმებით წერია: „თამაზ“ („თ“-ს ზემოთ გადასკვნილი აქვს „ა“, რომელიც ჩაწერილია „მ“-ს ზემო ნაწილში, ხოლო „მ“-ს მიბმული აქვს „ზ“). 11v-ზე მიწერილია: „В этой рукописи семьдесят семь (77) листов „Биб. И. Бычков“.

სასვენ ნიშნებად იხმარება: წერტილი (.), ორი წერტილი (:), და სამი წერტილი (::). წერტილის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის მხოლოდ ზოგჯერ არის თავის ადგილზე რაც შეეხება ორსა და სამ წერტილს ისინი არაფრას მაჩვენებელი არ არის.

მუხლის სათაურები სინგურით არის შესრულებული, მაგრამ სათაურის პირველი ასო შავი მელნითაა დაწერილი. აბზაცის დასაწყისი სიტყვის პირველი ასოც სინგურით არის შესრულებული.

ტექსტი იწყება შესავლით „ქ ეჰა შენ ყოველთა მბაღო დიდება შენდა რომელი“. ეს სიტყვები სინგურით არის დაწერილი (გარდა პირველი ასო „ქ“-სი). ხელნაწერით „დასტურლამალი“ ანბანურ რიგზეა დალაგებული.

ხელნაწერის სათაური არა აქვს, მაგრამ ყოველი ფურცლის v-ზე წერია „დასტურლამალი“, ხოლო ფურცლის 1-ზე—„მეფის ვახტანგისა“.

გადამწერს ხშირად გამორჩენილი აქვს სიტყვები და წინადადებები, რომლებიც შემდეგ აღუდგენია ჩამატების სახით სტრიქონის ზემოთ, ან სტრიქო-

<sup>1</sup> С. А. Клепиков, Филигрны и штемпели, 1959 стр. 30; В. В. Кукушкина, Филигрны на бумаге русских фабрик XVIII — начала XIX вв. (Исторический очерк и обзор фондов рукописей библиотеки Академии наук СССР. Вып. II, М.-Л., Ак. Наук СССР, 1958, стр. 301).

ნებს შორის (სადაც ამის შესაძლებლობა იყო); ჩამატებული სიტყვების ადგილის სანიშნებელად გადამწერს მრავალწერტილი აქვს გამოყენებული (წერტილები ხაზივით არის გაყოლებული), ან კიდევ — ჯვარი (+).

ზედმეტი სიტყვა ტექსტში წერტილებით ან ხაზით არის შემოვლებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა ამოსაგდებაა. „დასტურლამალის“ ტექსტი მთავრდება 68r-ზე სიტყვებით: — დასრულდა დიდება ღმერთსა“. 68v ცარიელია. ხოლო 69r-თი იწყება „დასტურლამალის“ საძიებელი, რომელიც მთავრდება 74r-ზე სიტყვებით: „დასრულდა სადედოფლო დასტურლამალისა საძიებელი“.

74v-ზე იწყება სოფლების სია:

„ქ. ფშავის კევის სოფელნი ეს არიან, მაგრამ კახეთისა არის და არა ქართლისა“.

ქ უკანა ფშავი  
ქ ახალი  
ქ წითელაურთა  
ქ ხოშარა  
ქ წიჩო  
ქ მუქუ  
ქ მათურა  
ქ გოგოლაურთი

ქ ცაბაურთა  
ქ უძილაურთა  
ქ შუაფხო  
ქ აგრევე ფშავსა და ხევსურს შუა არის სოფელი. ფშავნი და ხევსურნი ორნი ცილობენ, არა ჩვენია არა ჩვენიო, სახელად ეწოდების  
ქ აკუშო

ხევსურეთის სოფელნი ესენი არიან

ესეც კახეთისაა

ქ უკან ხადუ  
ქ წინ ხადუ  
ქ ხარის ტეჩო  
ქ ხიტალე  
ქ ბაცალიგო  
ქ ატაბე  
ქ ბლო  
ქ ხორნაულთა  
ქ როშკა  
ქ ქმოსტი  
ქ გუდანი  
ქ ქორმეშიონი  
ქ ხახმატი

ქ ლული  
ქ ლიქოკი  
ქ ოხერ ხევი  
ქ უკანახო  
ქ წინახო  
ქ გველეთი  
ქ დათვისი  
ქ მოწმოო

ქ სადედოფლო სოფლები

ქ კისტანი სადედოფლო  
ქ გურო სადედოფლო  
ქ შატილი სადედოფლო  
ქ ხახაში სადედოფლო  
არდოტი სადედოფლო

ქ მოწმოო („ქ მოწმოო“ შემდეგ არის მიმატებული უფრო მკრთალი მელნით).  
ქ ამლა  
ქ ახიელი  
ქ ჭიმა

თ. ქობულაშვილის ხელნაწერში ამის შემდეგ არის ბაჟის განაწესი, რომელიც მოყვანილი გვაქვს სრულად ზემოთ დავით რეპტორის ხელნაწერის გან-

1 თ. ქობულაშვილის ხელნაწერის სიის შედარება დ. რეპტორის ხელნაწერის სიასთან მოცემულია დ. რეპტორის ხელნაწერის განხილვასთან დაკავშირებით.

ხილვასთან დაკავშირებით (შედარებული გვაქვს დავით რექტორის ხელნაწერ-სათვის დართული განაწესი ქობულაშვილის ხელნაწერის ასეთსავე განაწესთან).

ქობულაშვილის, დავით რექტორისა და ალექსიძის ხელნაწერი თითქმის სტყუასიტყვით ერთმანეთს მისდევს. შეინიშნება ორთოგრაფიული სხვაობა. მაგალითად, დავით რექტორისა და ალექსიძის ხელნაწერებში უ, მ, ვ, ჯ, უფრო ხშირად იხმარება ვიდრე ქობულაშვილის ხელნაწერში. დაწერილებით ამ განსხვავებათა შესახებ საუბარი გვაქვს ა ნუსხის განხილვისას.

დოკუმენტში თამაზი ასეა მოხსენებული: „Сын князя Семёна Кобулова Тамаз“<sup>1</sup>.

თამაზი ამ დროს ახალგაზრდაა. 1802 წლის დაკითხვისას სიმონი უჩვენებს, რომ იგი 42 წლისაა<sup>2</sup>, ხოლო თამაზი თავის თავზე ამბობს, რომ 20 წლისა ვარო<sup>3</sup>. ამ დროს სიმონის ერთი შვილი ალექსანდრე ბაგრატიონთან არის გაქცეულ<sup>4</sup>, ხოლო სიმონი და თამაზი კახეთში არიან და იულონის გამეფებისათვის იბრძვიან. გენ. პ. ციციანოვის 1805 წლის პატაქის მიხედვით სიმონი სხვა თავადებთან ერთად 1804 წელს ალექსანდრე ბაგრატიონთან გაქცეულა<sup>5</sup>. სიმონ ქობულაშვილი თავის შვილებთან ერთად 1804 წლის აჯანყების დროს ფარნაოზ უფლისწულის მხარეზე გადასულა, ამ დროს სიმონი თელავის სამაზრო სასამართლოს წევრი ყოფილა<sup>6</sup>.

ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სიმონ ქობულაშვილი 1804 წლის 13 სექტემბერს თავისი ოთხი შვილით—გოგით, იოსებით, თამაზითა და ევგენით ფარნაოზ უფლისწულის მხარეზე გადავიდა<sup>7</sup>. მეორე დოკუმენტის მიხედვით ფარნაოზის მხარეზე გადასულთა შორის მოხსენებულია სიმონი და მისი შვილები თამაზის გამოკლებით<sup>8</sup>.

ასეთ ვითარებაში თამაზი 1804 წელს ვერც მოიცილიდა ზელნაწერის გადასწერად. ეს არც არის მოსალოდნელი ქალაქის ჰვირნიშნის მიხედვითაც (ჰვირნიშანი უჩვენებს 1804 წელს), 1804 წელს ქალაქი რუსეთში გამოვიდა, თამაზი კი ამ დროს საქართველოშია და 1804 წლის აჯანყებაში დებულობს მონაწილეობას, რომელიც შემოდგომამდე გაგრძელდა. აჯანყების აქტიური მონაწილენი რუსეთს გადასახლეს. ამის ე. ი. 1804 წლის შემდეგ, მაგრამ 1804 წლის ახლო ხანებში უნდა გადაეწერა ხელნაწერი თამაზ ქობულაშვილის. იგი რომ 1804 წელს ახალგაზრდა იყო ნათლად მოწმობს მისივე მინაწერი: „...ამის მეტი წიგნი არ გადამეწერა ჯერეთ“-ო.

აჯანყების შემდეგ ახლო ხანებში თამაზ ქობულაშვილი მუშაობას იწყებს კანცელარიის მოხელედ. საფიქრებელია, რომ „ამის მეტი წიგნი არ გადამეწერა“, ის იტყოდა ადრევე, მოხელის თანამდებობის დაკავებამდე, 1804 წლის ახლო დროს, არა უგვიანეს 1805—1806 წლებისა. უფრო ახლო ვიქნებით ქვეშარიტებასთან თუ ვიტყვით, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1805 წელს.

<sup>1</sup> АКАК I, გვ. 566, № 480.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 370, № 483.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 372—373, № 483.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 385, № 495.

<sup>5</sup> იქვე, ტ. II, გვ. 169, № 315.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 141—142, № 296.

<sup>7</sup> მტვე, გვ. 148, № 246.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 136, № 226.



Q-ს აკლია: მუხ. რაგ-ის დიდი ნაწილი. 45-ე გვერდზე მოცემულია ამ მუხლის ერთი აბზაცი სიტყვამდე „შეეფერებოდეს“, მუხლი აქ წყდება (მოცულობით ეს მუხლი დიდია). ამის შემდეგ არ არის: მუხ. რად, რაე, ხოლო მუხ. რაგ-ის დაბლოება არის მოცემული სიტყვებიდან: „სამეფო კაცს საღოფლოდ“ და სხვა.

## 7. ხელნაწერი იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან (B)

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება „დასტურლამალის“ ხელნაწერი. იგი აღრიცხულია № 170-ით. ეს ხელნაწერი იოანე ბაგრატიონის კოლექციას ეკუთვნის. ჩვენ ის აღნიშნული გვაქვს ლათინური B-თი, გვარსახელი „ბაგრატიონი“-ს პირველი ასოს მიხედვით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ხელნაწერი ცნობილია. პროფ. ვ. გაბაშვილი წერს, რომ ამ ხელნაწერის „ზოგადი აღწერილობა მოგვაწოდა გ. იმედაშვილმა“<sup>1</sup>.

პროფ. შ. მესხია თვითონვე გასცნობია ხელნაწერს ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას და გადმოგვცემს, რომ იგი მოთავსებულია კრებულში, რომელშიაც სხვადასხვაგვარი მასალა არის თავმოყრილი. ეს მასალა, პროფ. შ. მესხიას აზრით, „როგორც ჩანს, თავის დროზე იოანე ბატონიშვილის მიერ შეკრებილი და ცალკე წიგნად აკინძული“ ყოფილა. „დასტურლამალის“ ხელნაწერი, პროფ. შ. მესხიას აზრით, გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის დამდეგს<sup>2</sup>.

კრებული, რომელშიაც „დასტურლამალის“ ხელნაწერია მოთავსებული, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირის დაწერილი წერილებისა თუ შრომებისაგან შედგება. ამასთანავე, ეს სხვადასხვა წერილები თუ შრომები ზოგჯერ არ არის დასრულებული. კრებულის პირველი სამი ფურცელი დაუწერელია. ამის შემდეგ მოთავსებულია წერილი, რომელსაც დასაწყისი აკლია. წერილში საუბარია იმის შესახებ, რომ სქოლასტიკოსების აზრით „გარეშე გონიერებისა ცხოვრება არ არს“ (2r). წერილის ავტორი განაგრძობს ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობას და სათანადო აზრების გამოთქმისას აშიებზე აწერს: „ოქროპირის“, „ეფრემ ასურის“, „გრიგორი დ-თის მეტყუელის“. ერთ ადგილას წერია: „მოწყალეო კელმწიფეო“. მეორე ადგილას: „...ვრაცხე ცხოვრება გონიერად რ-ლსა უბრწყინვალესობა მოწყალეებისა თქვენისა მიბრძანებდა“ (2r). წერილი ასე მთავრდება: „ამით უკუშ მოვიპოვე სახე ესე ვითარი. ვინათგან (გარეშე გონიერებისა ცხოვრება არა არს) და ვინადგან თვით შენ მეძიებელისასა და ვამორჩილენ თანა შრომისადმი მიდრეკადა ესეჲ ვრაცხე ცხოვრება გონიერად და მივეც თავი ჩ-ი გამოუთქმელსა შვებასა და შ(ე)ნთანა მორჩილებისა შეკვრასა. უერთგულესსა მსახურებასა შ-ა შ-სნა სამარადისოდ მყოფი. კედურ წერილობა“ (2v).

ამის შემდეგ წერია: „პაატას გიძლუან აღუქსიძემან დავით კმა და სამსახეობა“ (2v). წერილს მიწერილი აქვს კიდურწერილობა, რომლის პირველი

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1929 წ. ხელნაწერი („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954).

<sup>2</sup> შ. მესხია, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის („მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954).

სიტყვების პირველი ასოები შეადგენს სიტყვას — „პაატას“, ხოლო უკანასკნელი ხუთი სიტყვის პირველი ასოებისაგან გამოდის სიტყვა — „დავით“ (3r).

ყველაფერი ეს დავით რექტორის მიერ უნდა იყოს შესრულებული, მხოლოდ სხვის მიერ გადაწერილი. პაატა, რომელსაც ასე მოწიწებით მიმართავს დავითი, შესაძლებელია პაატა ბატონიშვილი იყოს (ვახტანგის ძე). დავითის წერილის შემდეგ მოთავსებულია იმავე ხელით გადაწერილი წერილი, რომლის ავტორი არ არის დასახელებული, ხოლო იქ, სადაც ავტორის ხელის მოწერა უნდა იყოს. თავისუფალი ადგილია დატოვებული. 3r-ზე წერილი ასე იწყება: „მის ბრწყინვალეობას ანდრონიკოვს ანუ ბროვინციანთა ვოივოდას ძეს ფელდციელ მისტარს. თქვენის ბრწყინ[...]. მოწყალეს კელმწიფეს“ (3r). წერილი რუსეთიდან უნდა იყოს გამოგზავნილი. შესაძლებელია, ანტონ I მიერ.

შემდეგ მოთავსებულია ანტონ I სამძიმრის წერილი ანახანუმ დედოფლისადმი თიმიორაზ II გარდაცვალების გამო. მას ასეთი სათაური აქვს: „რუსეთით ანახანუმ დედოფალთან მიწერილი სამძიმარი. მეფის თეიმურაზისა“ (4r).

კრებულში მოთავსებულია იმავე ანტონ I წერილი. იოანე ორბილიანთან (მდივანზიგთან) მოწერილი („იოანე მდივანზიგთან მოწერილი ვლადიმირიდან“, 6r). ამის შემდეგ დაუწერია ერთი ფურცელი და შემდეგ იწყება „დასტურლამალოს“ რეკლამა (ამის შესახებ ჩვემთ გვეჩვენება საუბარი). „დასტურლამალოს“ ხელნაწერს მოსდის საქართველოს მოკლე ისტორია სათაურით: „საქართველოს მეფეთა შთამომავლობისათვის“, რომელიც ყიზლარის კომენდარტის თხოვნით დაუწერია ანტონ I. ეს მოკლე ისტორია რომ ანტონ I მიერ არის დაწერილი, ჩანს შემდეგიდან: როცა ავტორი ეხება XVIII საუკუნის დასაწყისს. აოწირს იესე ლიანის ძის ტახტზე ასვლას და გადმოაჯივებს: „იყო იესე მამა მი უნდოდა“ (43r). შრომა დაუმთავრებელია: „მიუღო მეფობად ბაქარს მითომანე სპარსთამან და მისია მიფისა...“ იგი 17 ფურცლისა და ერთს გვერდს შეიცავს (26r—43r-მდე). შრომაში შიგა და შიგ არის მინაწერები:

1) ყოვლად დიდებულო მამაო წმიდაო ანტონ. მომიხსინე მე რომელი მონა შენი მედრებელი და პატივისმცემელი შენი მ. საბინინი. 1881 წელი“ (26r):

2) რეკლამაში სიტყვა „ვოივოდას“ აქვს დასმული ვარსკოვოვი, სქოლიოში ჩატანის სანიშნობად და ამ სანიშნობლის ჩვეს სქოლიოში წერია: „ვოივოდა რუსული ენა არის. ქართულად მოუარავი ანუ მოუარნე ეწოდების: დავით“ (27r):

3) თამარის მეფობის აღწერისას, ანტონ I წერს, რომ თამარმა დაიპყრო „ოვსეთი და ყაბარდა... ქისტეთიკა და ჭიქეთი ეგრეთე. თარაა ჟამამდე თამარისა არა იყო მეფეთა საქართველოსათა“. ამ ადგილზე მიწერილია: „არა მართალია. ვახტანგ გურგასლანმა. დაიმორჩილა და შდაცა“ (და შემდგომაცა, — ი. ს., 33v):

4) ანტონი ეხება ალექსანდრე დიდის მეფობას და მოგვითხრობს. რომ ალექსანდრემ მოუწოდა თავის შვილებს „და გაუყო სამეფო“, ამის გასწვრივ მარცხენა ამაზე მიწერილია: „ესეცა არა მართალია“ (38v);

5) ანტონი ალექსანდრე დიდის მეფობის პერიოდის აღწერისას წერს: „ჟამსა მეთობისა მისისა იქმნა კრება ფლორენციას და ჟა დასასრულსა მეფობისა მისისასა აღიღეს კონსტანტინოპოლი თურქთა“. აქვე სხვა ხელით მიწერილია: „არა მართალი“. (39r).

მოყვანილი შენიშვნები (გარდა საბინინისა) ერთი ხელით არის შესრულებული. ერთ-ერთ შენიშვნაზე მიწერილია „დავით“. ეს ნიშნავს რომ იგი დავითის მიერ არის შესრულებული. შესაძლებელია, რომ შენიშვნების ავტორი დავით რექტორი იყო, რომელსაც, ალბათ, ერთ დროს კრებულში შემავალი წერილები და შრომებიც ეკუთვნოდა. ანტონის ისტორია 15 ნაწილად არის დაყოფილი (მე-15-ზე წყდება) და თვითოეული ნაწილი „სიტყუად“ იწოდება: „სიტყუა მეათსამეტე“, „სიტყუა მეათხუთმეტე“ და სხვა.

ანტონ I ისტორიის შემდეგ მოთავსებულია ასეთი ცნობა: „წელსა 1803 აგვისტოსა 26 დღესა კვირასა — ვიხილე დროგი ერთი „ფრიად საკვრველი“, რომელიც გაკეთებული იყო ციმბირელი გლეხის სახელად გიორგის მიერ. მასში ერთი ცხენი იყო შებმული. „დროგი“ უჩვენებდა გავლილ მანძილს. მაგალითად, რამდენიმე „ვერსტის“ გასვლის შემდეგ დარეკდა ზარი და აღნიშნებოდა გავლილი მანძილის რაოდენობა. მოსკოვის მცხოვრებნი განცვიფრებულნი იყვნენ ამ სანახაობითო, გადმოგვცემს ავტორი (43v).

შემდეგ იწყება „Переводические упражнения с российского на грузинский язык с дек. 1804-го года по июля 1806-го года“ (45r).

ამას მოსდევს პატარ-პატარა ტექსტები ბიბლიიდან: აბელის, აბრაამის, ისაკის, იაკობისა და სხვათა შესახებ (45r--55v).

ხსენებული ტექსტის შემდეგ მოთავსებულია სამი წერილი, ორი დაწერილია ქართულად, ერთი კი რუსულად. ქართული წერილების დამწერი მადლობას უძღვნის მეგობარსა და „კეთილმოქმედს“, თანაც აცნობებს, რომ მასწავლებლების დახასიათებით მას აქვს მიღწევები მეცნიერების შესწავლაში. მესამე რუსული წერილი წარმოადგენს პასუხს პირველი ორი წერილისა. ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის ძლიერ სასიამოვნო იყო მოხსენებული წერილების მიღება, რომ მას სხვა ბედნიერება არა აქვს, თუ არ ბედნიერება მისი მეგობრისა და უსურვებს წარმატებებს (55v, 56r, 56v). ამას მოსდევს ტექსტები ჯერ ქართულად დაწერილი და შემდეგ რუსულად ნათარგმნი, წინ უძღვის წარწერა: „с груз. на российский“ (57r). შინაარსით ტექსტები წარმოადგენენ მეფის შესხმას, მის მოსკოვში ჩამოსვლას, მეფეთ კურთხევას, მაგრამ მათში თვით მეფის სახელი არ არის მოხსენებული, აღნიშნულია მეფის დედა მარიამ თედორეს ასული (67v). რუსეთის სამეფო დინასტიის ისტორიაში სამი მარიამ თედორეს ასული იყო. ერთი მათგანი — იოანე IV-ეს მეშვიდე ცოლი იყო, მეორე — პავლე I მეუღლე და მესამე — ალექსანდრე III მეუღლე.

შესხმა უნდა ეკუთვნოდეს ალექსანდრე I. ერთ ადგილზე მიწერილია „по ноябрь 1805-го года“ (68v). როგორც ჩანს, ამ პერიოდში არის ტექსტი გადაწერილი, ან თარგმნილი. თარგმანი (ქართულიდან რუსულზე) გაკეთებულია პეტრე პობედონოსცევის მიერ (69r). პეტრე პობედონოსცევი დიდის მოწიწებით მიმართავს მის „მაღალკეთილშობილებას“, ქართული შესხმის ავტორს, რომ მან კეთილად მიიღოს მისა „მცირე“ ნამუშევარი (თარგმანი, 69r. 69v). ალბათ, შესხმის ავტორი ქართული სამეფო სახლის რომელიმე წევრ-თაგანია. ხსენებული შესხმანი მოთავსებულია 57r—70r-ზე.

კრებულის შემდეგ ნაწილს შეადგენს მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორი ერთგულება და თავგანწირვა გამოიჩინა სპარსეთის ერთ-ერთი გენერ-

ლის ქალმა თავისი მამისადმი. ამ ქალიშვილის გმირობა და თავგანწირვა დამადასტურებელია იმისა რომ ქალებსაც, ისე როგორც მამაკაცებს, შეუძლიათ გმირობა, დიადი საქმეების გაკეთება (70v). მოთხრობა შეიცავს 13 გვერდს (70v—76v) და შესრულებულია რუსულ ენაზე. იგივე ამბავი მოთხრობილია ქართულადაც (77v—81v). ქართულ მოთხრობას ბოლოში უწერია: „по сентябрь 1805-го года“ (81v).

ამის შემდეგ იწყება რუსეთის მოკლე ისტორია სახალხო სკოლებისათვის („в пользу народных училищ, 8 r“). შედგენილია იგი 1799 წელს. ტექსტი მოცემულია ჯერ რუსულად (ნახევარ გვერდზე), ხოლო მისი მეორე ნახევარი ქართულ თარგმანს უჭირავს. რუსეთის მოკლე ისტორია იწყება რიურის მთავრობით და თავდება მსტისლავ იზიასლავის ძის მთავრობით (82r—125v). უკანასკნელ გვერდის ქვემო აშიაზე (125v) მიწერილია: „საბინინი 1881“. როგორც ჩანს, საბინინს ხელთ ჰქონია ხელნაწერი.

ხელნაწერის მომდევნო გვერდები უჭირავს ანტონ II საქართველოდან რუსეთში გამგზავრების აღწერას. ანტონ II მოზდოკში ჩასულა 1810 წლის 1 დეკემბერს, ხოლო თებერვლის დასაწყისს იგი მოსკოვშია, აქედენ ანტონი პეტერბურგს გამგზავრებულა, ხოლო 1811 წლის 25 მარტს იგი ალექსანდრე I-ს მიუღია (126r). ალექსანდრე I დაუჭილდობია ანტონი ანდრია პირველ მოციქულის ორდენით, გაუხდია სინოდის წევრად, დაუნიშნავს მისთვის წლიურად 10.000 მანეთი და მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებს შორის საპატრიო ადგილი მიუნიჭებია. თუ აქამდე, —სწერს ალექსანდრე ანტონს; —იყო 4 ასეთი იერარქი, ამიერიდან მეხუთე იქნებით თქვენ (172r). ამასთანავე, ალექსანდრე I ანტონ II-სათვის დაუტოვებია ძველი წოდებულებანი.

ამას მოსდევს ალექსანდრე I 1812 წლის 13 ივნისის რესკრიპტი ნაპოლეონთან ომის დაწყების შესახებ და აღნიშნულთან დაკავშირებით საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ერთგულების წერილები ალექსანდრე I-სადმი (128r—132v). ხელნაწერში შემდეგი 3 გვერდი დაუწერელი და დაუნომრავია.

133r-ზე წერია: „... არამედ მეფემან თამარ ჰმატა სარწმუნობასა...“

ამავე გვერდის შუა ადგილზე კი იკითხება: „отрывок из истории, 30 тетрадей“. 133v-ზე წერია: „სადმართო ისტორია, მოკლითა კითხუა მოგებითა შეთხზული“. შუა გვერდს აწერია: „მოსკოვის სასინოდო ტაოგრაფიასა შა. 1805 წელსა“. შემდეგ გვერდებზე მოკლედ მოთხრობილია ქვეყნის გაჩენის, ქრისტეს დაბადების, მისი ჯვარცმისა და რუსეთ-საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ამბები. ეს ისტორია მთავრდება ქრისტიანობის მიმართ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დეაწლის აღნიშვნით (134r—150r).

შემდეგ მოცემულია „წესი მირონის მოღულებისა“ (151r—160v). 159v-ზე წერია: „ითარგმნა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორასა შა. 24-ს ოქტომბერსა, 1815 წელსა“. ამას მოსდევს ზოგიერთი სიტყვების განმარტება (161r) და „სამადლობელი და სავედრებელი გალობანი“ (162r—171v). ბოლოში ნათქვამია: „ითარგმნა საქართველო-იმერეთის უწმინდესი მართებლის სინოდის კანტორასა შა, დეკემბრის 4 დღესა, 1816 წელს“ (171v).

ამის შემდეგ იწყება ფილოსოფიური ნაშრომი „მცირე დიალექტიკა სიმეონ ჭულფელისა“ (172r). დასაწყისში პირველი გვერდი ამ ნაშრომისა არ იყო

თება (172r). შემდეგ კი მოთხრობილია არსის, არსების, ქვემდებარეობის. სახის, ლექსისა და სხვა შესახებ. 182v-ზე წერია: „ალიწერა დეკემბრის 17 ქკს უნა“ (დეკემბრის 8, 1763 წ.): აქ მთავრდება სიმეონ „ჯულფელის“ ნაშრომის I ნაწილის გადმოცემა თუ თარგმანი. 183r-დან იწყება ნაშრომის II ნაწილი; რომელიც 206v-ზე მთავრდება.

შემდეგ მოდის „სწავლა ოცდამეერთე“ (207r—209r). 209v-ზე წერია: „1810 года куплены мною“ და გადმოცემულია წიგნების სია სხვადასხვა ენებზე. სია მთავრდება 214v-ზე.

215r—227r-ზე მოცემულია „ქართული წიგნების სახელები ივერიის შინა მღებარისა“. ეს სია ივერიის მონასტრის ბერს ილარიონს, ეროვნებით ქართველს შეუდგენია 1836 წელს (ჩყლვ ივლის თ“, 1836 წლის 9 ივლისი, 227r). ამით მთავრდება კრებული.

როგორც ვხედავთ, კრებულის შემადგენლობაში შესული ზოგიერთი ნაწილი (ნაშრომი, წერილი თუ დოკუმენტი) დათარიღებულია. თარიღები ასეთია: 1881 წ. (26r), 1803 წელი (43r), 1805 წ. (68 v), 1805 4. (81v). 1881 წ. (125v), 1810 წ., 1811 წ. (126r), 1812 წ. (126v—132r), 1805 წ. (133v), 1815 წ. (159v), 1816 წ. (171v), 1763 წ. (182v), 1810 წ. (209v) და 1836 წელი (227r). ამ თარიღების მიხედვით შეიძლება ასეთი დასკვნის გამოტანა:

1) კრებული ქრონოლოგიურად არ არის დალაგებული. მისი ნაწილები არეულია. მაგალითად, „სადმართო ისტორია“ (133v) დათარიღებულია 1805 წლით, ხოლო მის წინ მოცემულია 1810—1811 წლების ამბების აღწერილობა (126r) და 1812 წლის დოკუმენტები და წერილები (126v—132r).

1815 (159v) და 1816 (171v) წლებით დათარიღებული „წესი მირონის მოღულებისა“ და „სამადლობელი და სავედრებელი გალობის“ აღწერის თარგმანის შემდეგ მოცემულია 1763 წლით (182 v) დათარიღებული სიმეონ ჯულფელის ნაშრომის ერთი ნაწილის გადმოცემა, ხოლო ბოლოში დართულია 1810 წელს შექმნილი წიგნების სია (209v).

2) ანტონ I „საქართველოს მოკლე ისტორიას“ ერთ ადგილას, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აქვს მ. საბინინის ასეთი წარწერა: „ყოვლად დიდებულო მამაო... ანტონ მომიხსენე“ და სხვა. წარწერა დათარიღებულია 1881 წლით (26r), მას მოსდევს 1803 და 1805 წლების თარიღები. რუსეთის მოკლე ისტორიის ბოლოს მიწერილია: „საბინინ 1881 წელი“. (125v). აქვეა 1810 და 1811 წლებით დათარიღებული საბუთები. სავარაუდებელია, რომ მ. საბინინის მინაწერები გაკეთებულია კრებულის ერთ წიგნად შეკვრის შემდეგ და ამდენად მათ კრებულის ან მისი რომელიმე ნაწილის დათარიღებისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

3) კრებულში მოთავსებულია 1836 წელს შედგენილი ივერიის მონასტრის წიგნების სია. საფიქრებელია, რომ კრებული ერთ წიგნად 1936 წლის მომდევნო ახლო ხანებში უნდა იყოს შეკრული. 1836 წლის ახლო ხანებს იმიტომ ვსდებთ, რომ კრებული იოანე ბაგრატიონის კოლექციიდან არის, ე. ი. იგი ერთ დროს იოანე ბაგრატიონის მფლობელობაში ყოფილა. იოანე გარდაიცვალა 1830 წელს. როგორც ჩანს, ამ დროს კრებული არ იყო შეკრული. რადგანაც ამის შემდეგაც იგი გაზრდილა. სავარაუდებელია, რომ იოანე ბაგრატიონის ხელში და შეიძლება მანამდისაც, ე. ი. დავით რექტორის ხელშიც. კრებულის შემადგენელი ნაწილები დალაგებული იყო ერთი კრებულის სახით (იყო ის შეკრული ერთ წიგნად თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა).

ამ სახით კი, როგორცაც მას ვხედავთ დღეს, იგი გაკეთებული უნდა იყოს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში.

კრებულში არის ანტონ I წერილების ასლი ანახანუმ დედოფლისადმი (თეიმურაზის გარდაცვალების გამო), რომლებიც რუსეთიდანაა მოწერილი XVIII საუკუნის სამოციან წლებში. ამასათანავე კრებულში მოთავსებულია „მცირე დიალექტიკა“ სიმონ ჯულფელისა“ 1763 წლით დათარიღებული. როგორც ჩანს, ესაა ანტონ I შეკვეთით ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ სომხურიდან ქართულად გადმოთარგმნილი ნაშრომი სიმონ ჯულფელისა<sup>1</sup>. მაგრამ კრებულში თარგმანის ასლია შეტანილი.

5) როგორც ირკვევა კრებულის დასაწყისი ნაწილები ერთ დროს ანტონ I ეკუთვნოდა, შემდეგ ის გადავიდა დავით რექტორის ხელში, ხოლო უკანასკნელი მისი მფლობელი არის იოანე ბაგრატიონი, რომლის ხელიდან ის გადავიდა ლენინგრადის ბიბლიოთეკაში.

6) კრებულის ერთ წიგნად შეკვრის თარიღი არ გამოდგება „დასტურლამალის“ ხელნაწერის გადაწერის დროის გამოსარკვევად. აგრეთვე კრებულში შემავალი ნაშრომებისა თუ საბუთების თარიღებიც ვერ მოგვეცემს ხელნაწერის შედგენის ზუსტი თარიღის დადგენის შესაძლებლობას.

7) კრებულის მიხედვით „დასტურლამალის“ ხელნაწერის თარიღის შესახებ შეიძლება შემდეგის თქმა: კრებულში აღნიშნული XVIII საუკუნის სამოციან წლებსა და საბინინის მიერ დასმულ თარიღებსაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. 1763 წელს გადათარგმნილი სიმეონ ჯულფელის მცირე დიალექტიკა შეიძლება XIX საუკუნის დასაწყისშიც ყოფილიყო გადაწერილი. ყოველ შემთხვევაში, კრებული თარიღების მიხედვით იმ მხრივ იქცევა ყურადღებას, რომ მასში შესული ძირითადი ძეგლები 1803, 1805, 1811, 1815 და 1816 წლებით არის დათარიღებული (1816 წლის შემდეგ მხოლოდ ერთი თარიღია მოცემული—1836 წელი). ზემოთ მოყვანილი დავით რექტორის კიდურწერილობა მოსდევს XVIII საუკუნის 60-იან წლებით დათარიღებულ ანტონ I წერილებს. დავითის კიდურწერილობაც XVIII საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული. ანტონის წერილების შემდეგ იწყება „დასტურლამალის“ ხელნაწერი, მას მიყვება საქართველოს მოკლე ისტორია ანტონ I მიერ შესრულებული, 1803 წლის ამბების აღწერილობა მოსკოვში და ა. შ. ამგვარად, კრებულში B ხელნაწერი XVIII საუკუნეში შესრულებულ ძეგლებშია მოთავსებული. შეიძლება ეს გარემოება შემთხვევითობის შედეგი იყოს. ყოველ შემთხვევაში კრებულის შემდგენელი B ხელნაწერს დროის მიხედვით ადრინდელ ძეგლად თვლის. მხოლოდ ძნელია იმის თქმა თვით B ხელნაწერი აქვს მას მხედველობაში, თუ ააერთოდ „დასტურლამალი“, როგორც XVIII საუკუნის ძეგლი.

8) ხელის მიხედვით, კრებულის დასაწყისში მოთავსებული ფილოსოფიური შინაარსის მსჯელობა (2r 2v), კიდურწერილობა (3r) და ანტონ I წერილები ანდრონიკაშვილთან და ანახანუმ დედოფალთან. (3r—7v) ერთი ხელით არის შესრულებული. აგრეთვე ერთი ხელით უნდა იყოს შესრულებული ხელნაწერისა (8r—24r) და სიმეონ ჯულფელის მცირე დიალექტიკის I ნაწილიც ((172v—181v). ჩამოთვლილი ნაშრომების ხელი ერთმანეთს ძლიერ ჰგავს. რაც შეეხება B ხელნაწერისა და სიმეონ ჯულფელის მცირე დიალექტიკის II ნაწილს, ისინი დავით რექტორის მიერ უნდა იყოს გადაწერილი.

<sup>1</sup> ჯ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია I, 1951, გვ. 339—340.

9) ხელნაწერი ორთოგრაფიულად ახლო არის L-თან.

10) B ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის პირველ ათეულში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 1815—1819 წლებისა. ხელნაწერის აღნაგობა ისეთივეა, როგორც საერთოდ ანბანური წესით შედგენილი „დასტურლამალის“ ხელნაწერებისა. ვუჩვენებთ ზოგიერთ სხვაობას.

ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერში იე პარაგრაფის სათაური „აღეკის ბატონის გამოსაღებისათვის“ არ არის (10v). დასაწყისი სიტყვა „სამი“ წარმოდგენილია პირველი ასო „ს“ გარეშე („ამი“). როგორც ჩანს, გადამწერს წითელი მელნით დასაწერი შემდეგისათვის მოუტოვებია შესავსებათ (ამ შემთხვევაში დავით რექტორის ხელნაწერში წითელი მელნით არის შესრულებული სათაური და „ხამის“ პირველი ასო), შემდეგში კი დაეიწყებია შევსება.

დავით რექტორის ხელნაწერისაგან განსხვავებით B-ში ნ მუხლის სათაური ასეთია: „დურნუკის ელისათვის“ (გვ. 20r). D-სა (გვ. 21) და A-ში (გვ. 35) კი ასეთი სათაურია: „დურნუკის საბატონოს გასაღებისათვის“.

სხვა განსხვავებათაგან აღსანიშნავია:

კრებულის ხელნაწერში	D—ეკლისიის გამოსაღებისათვის (გვ. 26)
ნვ ეკლესიის გამოსაღებისათვის (22v)	A—ეკლესიის გამოსაღებისათვის (გვ. 42)
სათაური არ არის. ტექსტის პირველ სიტყვას „ზარაფხანის“ აკლია პირველი ასო (24r)	D—ზარაფხანის რიგისათვის (გვ. 28) A—ზარაფხანის რიგისათვის (გვ. 45)

კრებულში შეტანილი „დასტურლამალის“ ხელნაწერი მთავრდება ზარაფხანის დებულებით, რომელიც დაუმთავრებელია. ხსენებული დებულება წყდება შემდეგი წინადადებით: „ახლა ეს ერთი მისხალი რომ ნამეტნავია ამისი ანგარი (D ხელნაწერში: ჰანგარი, A-ში ანგარი), წაიღებს ერთ შაურსა, თარაზდარი“ (სიტყვის „ერთი შაურსა“-ს წინ გამოტოვებულია სიტყვა „ყათალი“).

ხელნაწერის სხვაობას ვუჩვენებთ დადგენილ ტექსტის სქოლიოში დანერგვით და აგრეთვე a-ს განხილვასთან დაკავშირებით შედგენილ ცხრილში. აქ კი აღვნიშნავთ, რომ კრებულის ხელნაწერის გადამწერს, როგორც ჩანს. დავით რექტორის ხელნაწერის ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი გაუსწორებია, მხედველობაში გვაქვს სათაურში „ეკლესიის გამოსაღებისათვის“, და არა „ეკლისიის გამოსაღებისათვის“. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ხელნაწერში, მაგალითად L-ში, დავით რექტორის ხელნაწერში მოყვანილი სიტყვა „ეკლისიის“ — ზუსტად განმეორებულია.

იოველ ალექსიძის ხელნაწერი 1821 წლით არის დათარიღებული და, როგორც შემდგომ ვნახავთ, მისგან მომდინარე ხელნაწერები (მაისურაძისა, ნაზარაშვილისა და ტაბიძისა) ბოქაულთუხუცესის სარგოსთან დაკავშირებით ტექსტსა და სქოლიოში შეიცავენ ბაგრატ ბაგრატიონის შენიშვნას სახელის — „შაჰყულიხანის“ შესახებ. ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერს, რომელშიაც არის ბოქაულთუხუცესის სარგო (გვ. 15r, 15v და 16r), ტექსტსა და სქოლიოში ასეთი შენიშვნა არა აქვს, ეს გარემოება კი იმის მაჩვენებელია, რომ B ხელნაწერი ალექსიძის (A) ხელნაწერის უწინ არის შედგენილი.

ამასთანავე, ამ ხელნაწერში ბატონის ბალის წყლის გარიგებაში, ანჩისხატის დეკანოზის მხატვარ გრიგოლის შესახებ დამატება ისეა შეტანილი (გვ. 14v), როგორც A-შია (გვ. 19) მოცემული. მაშასადამე, A-ზე უწინ ასეთი დამატება აშკარად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერში და a-ში უკვე იყო.

### 8. ალექსიძისეული ხელნაწერი (a)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება „დასტურლამალის“ ხელნაწერი S—5037. იგი აღნიშნული გვაქვს ლათინური a-თი, გვარსახელი „ალექსიძი“-ს პირველი ასოს მიხედვით. ამ ხელნაწერის შესახებ ხელნაწერთა ინსტიტუტის აღწერილობის წიგნში (S კოლექცია, წიგნი III) წერია: „ვახტანგ VI, დასტურლამალი, მხედრული, XVIII ს.. თავნაკლული“. სამეცნიერო ლიტერატურაში, ეს ხელნაწერი არ არის ცნობილი.

ხელნაწერის ზომაა 22×18 სანტ., უყლოა. დასაწყისში აკლია შესავალი და 6 მუხლი (იწყება მე-3 გვერდიდან მუხლით „ალაყაფის შუა სახლისათვის“). ექვ მუხლის ბოლოს აკლია ერთი აბზაცი, დაწყებული სიტყვიდან „თუ“—მუხლის ბოლომდე.

ხელნაწერი დალაგებულია ანბანური წესით, მასში მოცემულია როგორც სამეფო, ისე სადედოფლო დასტურლამალი.

ხელნაწერი რვა-რვა ფურცლად აკინძულ რვეულებისაგან შედგება. სულ არის 10 რვეული. პირველ რვეულს აკლია 1 ფურცელი, უქანასკნელს — ორი.

რვეულები თავის მხრივ დანობილია: მე-16 გვერდის ქვემო აშიაზე წერია 1, ხოლო მომდევნო მე-17 გვერდის აშიაზე ასომთავრული ბ, მე-16 გვერდზე პირველი რვეული მთავრდება და, ალბათ, ამიტომ აწერია 1, ხოლო მე-17 გვერდიდან იწყება მეორე რვეული და ბ-ც აქვს მიწერილი.

32-ე გვერდით მთავრდება მეორე რვეული და ამ გვერდის ქვემო აშიაზე წერია 2, ხოლო მომდევნო გვერდის ბოლო აშიაზე ასომთავრული გ, რომელიც სამის აღმნიშვნელია. მართლაც, ამ გვერდიდან იწყება მესამე რვეული.

48-ე გვერდზე მთავრდება მესამე რვეული და ქვემო აშიაზე წერია 3. 49-ე გვერდიდან იწყება მეოთხე რვეული და ამ გვერდის ქვემო აშიაზე წერია ასომთავრული დ. 64-ე გვერდით მთავრდება მეოთხე რვეული და ქვემო აშიაზე წერია 4, ხოლო მომდევნო გვერდის ბოლო აშიაზე წერია ასომთავრული ე, რაც მეხუთე რვეულის დასაწყისის აღმნიშვნავია, 80-ე გვერდზე მთავრდება მეხუთე რვეული და ქვემო აშიაზე აწერია 5, ხოლო მომდევნო გვერდის ქვემო აშიაზე მეექვსე რვეულის დასაწყისის აღსანიშნავად წერია ასომთავრული ვ. 96-ე გვერდის ქვემო აშიაზე მეექვსე რვეულის აღსანიშნავად წერია 6, ხოლო მომდევნო გვერდის ქვემო აშიაზე მეშვიდე რვეულის აღსანიშნავად — ასომთავრული ზ. 112-ე გვერდის ქვემო აშიაზე მეშვიდე რვეულის დასასრულის აღსანიშნავად წერია 7, ხოლო მომდევნო გვერდის ქვემო აშიაზე, მერვე რვეულის აღსანიშნავად გამოყვანილია ასომთავრული მ; 128-ე გვერდის ქვემო აშიაზე, მერვე რვეულის დასასრულის აღსანიშნავად წერია არაბული 8, ხოლო მომდევნო გვერდის ქვემო აშიაზე, მეცხრე რვეულის დასაწყისის აღსანიშნავად წერია არაბული 9 (სხვა შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, გადამწერი ასომთავრული ასოებს სვამდა, აქ კი არაბული ციფრი დაუწერია). 144-ე გვერდის ქვემო აშიაზე გადამწერს მეცხრე რვეულის დასასრულის აღსანიშნავად უწე-



რია ასომთავრული თ. მომდევნო გვერდის ქვემო აშიაზე მეთათე რვეულის დასაწყისის აღსანიშნავად, ნაცელად ასომთავრულისა, წერია არაბული 10.

ხელნაწერს გაკეთებული აქვს გვერდობლივი პაგინაცია ტექსტიკული ხელითა და მელნით. მე-15 და მე-16 გვერდების შემცველი ფურცელი მოხეულია. მოხეულია აგრეთვე მე-15 გვერდის მარჯვენა და მე-16 გვერდის მარცხენა აშიები გვერდების დასაწყისში ცოტაოდენი ტექსტით. ალბათ, ამ წახეულ ადგილზე იქნებოდა გვერდების აღმნიშვნელი ნუმერაცია. ამიტომაც ხელმეორედ დასმული გვერდის აღმნიშვნელი „15“ და „16“ ტექსტისაგან განსხვავებული ფერის მელნით.

94-ე გვერდზე გვერდის აღმნიშვნელი ციფრი გამოტოვებულია. მაგრამ ამით ნუმერაცია არ ირღვევა, მომდევნო გვერდს აწერია „95“.

128-ე გვერდის მომდევნო 129-ე გვერდი დაუნომრავია. დაუნომრავი გვერდის მომდევნო გვერდს მართებულად აწერია — 130.

146-ე გვერდის შემდეგ გვერდის აღმნიშვნელი ციფრი გამორჩენილი ყოფილა და შემდეგში ტექსტისაგან განსხვავებული ფერის მელნით აწერია— „147“. მომდევნო გვერდზე დაწერილი ყოფილა „147“ და უკანასკნელი ციფრი „7“ ლურჯი ფერის მელნით გადაუსწორებიათ „8“-თ. ასევე შემდეგი გვერდი აღნიშნული ყოფილა ციფრით „148“, რომლის უკანასკნელი ციფრი „8“ გადაკეთებულია „9“-ად. ამ გვერდით მთავრდება „სადედოფლო დასტურლამალის“ სარჩევი. შემდეგ გვერდზე აწერია ფანქრით 150 და ცარიელია. ფანქრით არის დანომრილი აგრეთვე შემდეგი სამი ცარიელი ფურცელი (გვ. გვ. 151, 152, 153, 154, 155, 156).

მაშასადამე, სულ ხელნაწერი შეიცავს 156 გვერდს. აქედან ცარიელია უკანასკნელი 3 ფურცელი და ერთი გვერდი. დაწერილი ტექსტი მთავრდება 149 გვერდზე. პირველსა (გვ. 3) და უკანასკნელ (156) გვერდებზე გამოსახულია ბეჭედი შემდეგი წარწერით: „ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავი“. ასეთივე ბეჭედი დასმული 89-ე გვერდზე. მუხლების ანუ პარაგრაფების დანომრისათვის ციფრის გამოძხატველ ნიშნად გამოყენებულია ქართული ასოები.

საკუსტოსო ნიშნად ნახმარია მომდევნო პირველი სიტყვა, ან სიტყვის ნაწილი. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი: 23 გვერდი მთავრდება საოაურით — „დაბაღანის იჯარისთვს“. მომდევნო გვერდის პირველი სიტყვებია: „დაბაღანის იჯარა“. 23-ედან 42-ე გვერდამდე საკუსტოსო ნიშანი არ არის. საკუსტოსო ნიშანი არ შეინიშნება აგრეთვე 112-ე გვერდზე, რომლითაც მთავრდება „სამეფო დასტურლამალი“, საკუსტოსო ნიშანი გამოტოვებულია აგრეთვე 135-ე გვერდზე, სადაც მთავრდება „სადედოფლო დასტურლამალი“. მომდევნო 136-ე გვერდი ცარიელია, შემდეგ კი იწყება საძიებელი. 146-ე გვერდზე მთავრდება „სამეფო დასტურლამალის“ საძიებელი და საკუსტო ნიშანი ამ გვერდზე არ არის. მომდევნო გვერდზე იწყება „სადედოფლო დასტურლამალი“

ხელნაწერი ძაფით არის შეკრული. 3 ფურცელი ამოვარდნილია. გვ. 15 და 16 ამოვარდნილიცაა და, როგორც ვთქვით, დახეულიც. მე-16 გვერდზე ქვემო აშია ფანქრით არის გადახაზული. ამოვარდნილია: 83, 84, 145, 146, 147 და 148 გვერდები. მე-13 გვერდზე მარჯვენა აშიის კიდეზე ორი „ი“-ს მსგავსი ასოა გამოყვანილი. დასერილია მელნით 32, 34, 43, 52, 56, 58, 63 და 84 გვერდები.

„სამეფო დასტურლამალი“ 112-ე გვერდზე მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „დასრულდა მისის უმაღლესობის ს-დ ზემოხსა საქართუჭლოსა მპყრობელის მეფის ვახტანგ ბაგრატიონის დასტურლამალი: რომლის ჰქსენება საუკუნოდ იყავნ მარადის. დიდება ღ-თსა მომცემსა ყოვლისა კეთილისასა“. ზუსტად იმავე სიტყვებსა და ცალკეული მათგანის იმგვარსავე დაწერილობას ვხვდებით D-ში.

„სადედოფლო დასტურლამალი“ მთავრდება სიტყვებით: „დასრულდა დიდება ღ-თსა“ (გვ. 135). ასევეა D-სა (გვ. 68). A-სა (გვ. 175) და L-ში (გვ. 169). საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიტყვა „დასრულდა“-ს პირველი ასო „დ“ ხელნაწერებში ასომთავრულით არის წარმოდგენილი. 146-ე გვერდზე „სამეფო დასტურლამალის“ საძიებლის ბოლოს წერია: „დასრულდა სამეფოს დასტურლამალის საძიებელი“. ასევეა D-სა (გვ. 98) და L-ში (გვ. 201), ხოლო A-ში „დასრულდა საძიებელი სამეფო დასტურლამალისა“ (გვ. 186).

148-ე გვერდზე „სადედოფლო დასტურლამალის“ სარჩევის ბოლოს წერია: „დასრულდა სადედოფლოს დასტურლამალის საძიებელი“. ასევეა D-სა (გვ. 100) და L-ში (გვ. 203), ხოლო A-ში წერია: „დასრულდა საძიებელი სადედოფლო დასტურლამალისა“ (გვ. 188).

ხელნაწერის ხელის შესახებ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ხელნაწერი დაწერილია საკმაოდ ლამაზი, გარკვეული მხედრული ხელით. უნდა ითქვას, რომ ასოების მოყვანილობით, მათი გადბამითა და სხვ., ხელნაწერის ხელი ძლიერ ემსგავსება D-სა და, განსაკუთრებით L-ს. შესაძლებელია L და ამჟამად ჩვენთვის საკვლევი ხელნაწერი ერთი და იგივე პირის მიერ იყოს გადაწერილი. დასაშვებია, რომ გადაწერი ალექსიძეების ოჯახის ერთ ერთი წარმომადგენელი იყოს. QL და D ხელნაწერებზე, ხელისა და ორთოგრაფიის მიხედვით ერთმანეთთან ძლიერ ახლო დგანან სამივე ეს ხელნაწერი ამ მხრივ მსგავსებას ამჟღავნებენ A ხელნაწერთანაც. თუმცა უკანასკნელის ხელი რამდენადმე მაინც დაშორებულია სამივესაგან. D-სა და A-ს ბოლოში ანდერძი აქვს დართული. L-ს, როგორც ამის შესახებ გვექნება საუბარი, ანდერძის ადგილი მოჭრილი აქვს, ხოლო ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერს კი ანდერძი არ ახლავს.

ხელნაწერი დაწერილი უნდა იყოს რუსეთში. შესრულებულია ცისფერ ქაღალდზე, რომელიც XIX საუკუნის პირველ ოცეულში იყო გავრცელებული. ქაღალდის ჰვირნიშანი ზოგიერთ ფურცელზე გარკვევით იკითხება: 1814 წელი<sup>1</sup>. იგი ერთნაირ ქაღალდზეა დაწერილი. მაშასადამე, ხელნაწერი არ შეიძლება 1814 წელზე ადრე იყოს შესრულებული. დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ იგი გადაწერილია 1815—1816 წლებში.

რასაკვირველია, ამ ხელნაწერში არ შეიძლება ყოფილიყო ბაგრატიონის მინაწერი სახელ შაჰ-ყულიხანის შესახებ და მართლაც არც არას (გვ. 15). ამასთანავე, საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ანჩისხატის დეკანოზის, მხატვარ გრიგოლის სასარგებლო მიწერილი ტექსტი წყლია გარიგების შესახებ. რომელიც არ არის D-ში, მაგრამ არის L-სა და A-ში, წარმოდგენილია აგრეთვე ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერში (გვ. 14).

როგორც D-სა და L-ში, ისე ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერში, რდ-სა (გვ. 61) და რე (რე. 62) მუხლების სათაურებია მოცემული, მაგრამ არ

<sup>1</sup> ქაღალდის ჰვირნიშანზე მიმოითვა რამაზ პატარიძემ, რისთვისაც მადლობას მოეახსენებ.

არის ამ სათაურების გასწვრივ ვერტიკალურად მიწერილი: „არ არას დაწერილი დედაწი“, როგორც ეს A-შია (გვ. 84). აღნიშნული გარემოება იმის დამადასტურებელია, რომ ასეთი წარწერა პირველად ჩნდება A ხელნაწერში. ხოლო A-დან ვრცელდება შემდეგ გადაწერილ ხელნაწერებში.

მოლარედუხუცესის დებულებაში ზოგიერთი სიტყვა J-ში მარცხენა არ-შიაზეა გატანილი, ხოლო D-სა (გვ. 53), A-სა (გვ. 83) და ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერში, ტექსტშია მოცემული (გვ. 61). საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ მუხლის აღმნიშვნელ ასოებში დაშვებულია შეცდომა: „რბ“-ს ნაცვლად არის „რზ“ (გვ. 60).

ხელნაწერები Q, B, a, A,—D-ს შემდეგ არის გადაწერილი. ამ ხელნაწერების შექცერების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვასოთ ცხრილი შინაარსის დასათაურების შესადარებლად. ამ ხელნაწერებში B და a ნაკლულია. B-ში არის დასაწყისი და მომდევნო მუხლები, არ ვხვდებით მასში ზარაფხანის გარიგებისა და მის მომდევნო მუხლებს. გამოტოვებულია „სადედოფლო დასტურლამალიც“. a-ს აკლია დასაწყისი. ორთავე ხელნაწერი ანბანური წესით არის შედგენილი.

შინაარსის დასათაურების განსხვავების გარდა, ცხრილში ვუჩვენებთ აგრეთვე ზოგიერთს, ჩვენის აზრით, დათარიღებისათვის მნიშვნელოვან განსხვავებასაც. ამასთანავე, დასათაურებათა და ცხრილში ნაჩვენები სხვა განსხვავებანი იმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ ხელნაწერთა შორის ორთოგრაფიული მსგავსება-განსხვავებანი გავითვალისწინოთ (რაც საჭიროა ხელნაწერების დათარიღებისათვის).

ცალკეული სიტყვების განსხვავებანი მოცემული იქნება დასათაურების შემდეგ, ხოლო დასათაურების შემდეგ მოყვანილი სიტყვები, ახალ დასათაურებამდე, ეკუთვნის იმ მუხლს, რომლის სათაურის ქვეშაც არის ესა თუ ის სიტყვა მოთავსებული.

წინამდებარე ცხრილით ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს დავით რექტორის (D), ქობულაშვილის (Q), იოანე ბაგრატიონის კოლექციის (B), იასონ ლორთქიფანიძის (L) და იოველ ალექსიძის 1821 წლის (A) ხელნაწერები. ამ შედარებიდან გამოირკვა, რომ ანბანური წესით შედგენილი ყველა ეს ხელნაწერი ერთმანეთს მისდევს. მათი დასათაურება ზუსტად ერთი და იგივეა. ტექსტის მხრივ შემდეგი განსხვავებაა: ბატონის ბალის წყლის გარიგებაში (§ 29), ანჩისხატის დეკანოზის, მხატვარ გრიგოლის შესახებ დამატება შეტანილი არ არის მხოლოდ დავით რექტორის ხელნაწერში, დანარჩენში კი არის. როგორც ჩანს ეს დამატება პირველად ქობულაშვილის ხელნაწერში წარმოიშვა, ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩვენი ვარაუდი მართალია, ქობულაშვილის ხელნაწერი უფრო უწინდელია, ვიდრე B, a, L და A. ყოველ შემთხვევაში ეს დამატება იოველ ალექსიძის ხელნაწერამდე არის გაკეთებული, რადგანაც A-ზე უფრო ადრე დაწერილი უნდა იყოს Ba და L.

გარდა ამისა, 34-ე მუხლში სახელი შაჰ-ყულიხანისათვის ბაგრატ ბატონიშვილის მიერ მოცემული განმარტება (სქოლიოში) მხოლოდ იოველ ალექსიძის ხელნაწერშია.

D	Q	B
<p style="text-align: center;">ა</p> <p>1. შესავალი ეპა შენ... ზარ (გვ. 1)</p>	<p style="text-align: center;">ა</p> <p>1. ეპა შენ... ..ზარ, (გვ. 1r)</p>	<p style="text-align: center;">ა</p> <p>1. — შენ... ზარ (გვ. 1) (გვ. 1)</p>
<p style="text-align: center;">ბ</p> <p>2. სოიბათ იასაულისათ-ს (გვ. 2)</p>	<p style="text-align: center;">ბ</p> <p>2. სოიბათ იასაულეებისათ- ვს (გვ. 2)</p>	<p style="text-align: center;">ბ</p> <p>2. სოიბათ იასაულისათვს (გვ. 8)</p>
<p style="text-align: center;">ბ</p> <p>3. ალანდრებისათვს (გვ. 2)</p>	<p style="text-align: center;">ბ</p> <p>3. ალანდრებისათვს (გვ. 2r)</p>	<p style="text-align: center;">ბ</p> <p>3. ალანდრებისათვს (გვ. 8)</p>
<p style="text-align: center;">დ</p> <p>4. აბდრებისათვს (გვ. 2)</p>	<p style="text-align: center;">დ</p> <p>4. აბდრებისათვს (გვ. 2r)</p>	<p style="text-align: center;">დ</p> <p>4. აბდრებისათვს (გვ. 8)</p>
<p style="text-align: center;">ე</p> <p>5. აცილლის შიგამდეგისა- დ-ს (გვ. 2)</p>	<p style="text-align: center;">ე</p> <p>5. აცილლის შიგამდეგისა- თვს (გვ. 2r)</p>	<p style="text-align: center;">ე</p> <p>5. აცილლის შიგამდეგისა- თვს (გვ. 8)</p>
<p style="text-align: center;">ვ</p> <p>6. ზინდრებისათვს (გვ. 2)</p>	<p style="text-align: center;">ვ</p> <p>6. ზინდრებისათვს (გვ. 2v)</p>	<p style="text-align: center;">ვ</p> <p>6. ზინდრებისათვს (გვ. 8)</p>
<sup>1</sup> Q ხელნაწერში აქ ერთი ფურცელი აკლია (46r, 46v). ამ პარაგრაფის მხოლოდ ნაწი შეეფერებოდას. ხელნაწერში პარაგრაფები: რ6დ, რ6ე, რ6ვ არ არის.



ა	L	A
<p>რნზ 157. სამს წელიწადში ელის აღწერისათვის (გვ. 77)</p>	<p>რნზ 157. სამს წელიწადში ელის აღწერისათვის (გვ. 109)</p>	<p>რნზ 157. სამს წელიწადში ელის აღწერისათვის (გვ. 103)</p>
<p>რნშ 158. სამშვილდე კრწანისის ხერგეშებისა მზარეულებისა და ფარეშებისათვის (გვ. 77)</p>	<p>რნშ 158. სამშვილდე კრწანის ხერგეშების მზარეულებისა და ფარეშებისათვის (გვ. 109)</p>	<p>რნშ 158. სამშვილდე კრწანის ხერგეშებისა მზარეულებისა და ფარეშებისათვის (გვ. 104)</p>
<p>რნთ 159. სახლთხუცის სარგოსათვის (გვ. 78)</p>	<p>რნთ 159. სახლთხუცის სარგოსათვის (გვ. 110)</p>	<p>რნთ 159. სალთხუცის სარგოსათვის (გვ. 104)</p>
<p>რა 160. სომხითის ტარული-სათვის (გვ. 79)</p>	<p>რა 160. სომხითის ტარული-სათვის (გვ. 112)</p>	<p>რა 160. სომხითის ტარული-სათვის (გვ. 105)</p>
<p>რამ 161. სომხითის მელიქისათვის (გვ. 79)</p>	<p>რამ 161. სომხითის მელიქისათვის (გვ. 112)</p>	<p>რამ 161. სომხითის მელიქისათვის (გვ. 106)</p>
<p>რამ 162. საფერისცვალებო თევზისათვის (გვ. 79)</p>	<p>რამ 162. საფერისცვალებო თევზისათვის (გვ. 112)</p>	<p>რამ 162. საფერისცვალებო თევზისათვის (გვ. 106)</p>
<p>რამ 163. სასახლეების რიგისათვის (გვ. 79)</p>	<p>რამ 163. სასახლეების რიგისათვის (გვ. 112)</p>	<p>რამ 163. სასახლეების რიგისათვის (გვ. 106)</p>
<p>რამ 164. სალაროს მუშრების სარგოსათვის (გვ. 82)</p>	<p>რამ 164. სალაროს მუშრების (სარგოსათვის) (გვ. 116)</p>	<p>რამ 164. სალაროს მუშრების სარგოსათვის (გვ. 110)</p>
<p>რამ 165. სალაროს თავიღრის სარგოსათვის (გვ. 83)</p>	<p>რამ 165. სალაროს თავიღრის სარგოსათვის (გვ. 116)</p>	<p>რამ 165. სალაროს თავიღრის სარგოსათვის (გვ. 110)</p>
<p>რამ 166. სამეფოს კაცის საღდოფლოდ არ მუშაობისათვის (გვ. 83)</p>	<p>რამ 166. სამეფოს კაცის საღდოფლოდ არ მუშაობისათვის (გვ. 117)</p>	<p>რამ 166. სამეფოს კაცის საღდოფლოდ არ მუშაობისათვის (გვ. 110)</p>
<p>რამ 167. ტოგუნის რიგისათვის (გვ. 83)</p>	<p>რამ 167. ტოგუნის რიგისათვის (გვ. 117)</p>	<p>რამ 167. ტოგუნის რიგისათვის (გვ. 110)</p>

...ლია მოცემული. იგი მთავრდება სიტყვებით: „იქითმან იქით უნჯნოს თავის ადგილი როგორც უკანასკნელი პარაგრაფის სათაური არ არის, ტექსტი არის.

D	Q	B
<p>რაჭ 168. ტყავისათვის (გვ. 72)</p>	<p>რაჭ 168. ტყავისათვის (გვ. 45v)</p>	<p>—</p>
<p>ცარიელი ადგილია დატო- ვებული ტექსტში სიტ- ყვების „ბატკნის ტყა- ვის“ შემდეგ (გვ. 72).</p>	<p>ცარიელი ადგილია ტექს- ტში სიტყვების „ბატკ- ნის ტყავის“ შემდეგ (გვ. 45v)</p>	<p>—</p>
<p>ცხვრისა (გვ. 72)</p>	<p>ცხვრისა (გვ. 45v)</p>	<p>—</p>
<p>აქვსთ (გვ. 73)</p>	<p>აქვსთ (გვ. 45v)</p>	<p>—</p>
<p>რაძი 169. ტყვის ბაეისათვის (გვ. 73)</p>	<p>რაძი 169. ტყვის ბაეისათვის (გვ. 46v)</p>	<p>—</p>
<p>რო 170. ტყვის ბაეისათვის (გვ. 78)</p>	<p>რო 170. ტყვის ბაეისათვის (გვ. 47r)</p>	<p>—</p>
<p>როა 171. ტეთხუჩისათვის (გვ. 73)</p>	<p>როა 171. ტეთხუჩისათვის (გვ. 47r)</p>	<p>—</p>
<p>როზ 172. ტაშირზედ აიღარ- ბეგის ჭეობის რიგისა- თვის (გვ. 73)</p>	<p>როზ 172. ტაშირზედ აიღარ- ბეგის ჭელობის (გვ. 47r)</p>	<p>—</p>
<p>როზ 173. ტაშირის მოურავისა- თვის (გვ. 74)</p>	<p>როზ 173. ტაშირის მოურავისა- თვის (გვ. 47r)</p>	<p>—</p>
<p>როდ 174. ურბნისის რუს გა- მომღებთათვის (გვ. 74)</p>	<p>როდ 174. ურბნისის რუს გა- მომღებთათვის (გვ. 47v)</p>	<p>—</p>
<p>როე 175. უმისა და მოხარშუ- ლის ძროხისათვის (გვ. 74)</p>	<p>როე 175. უმისა და მოხარშუ- ლის ძროხისათვის (გვ. 47v)</p>	<p>—</p>
<p>როვ 176. მოხარშულისათვის (გვ. 74)</p>	<p>როვ 176. მოხარშულისათვის (გვ. 47v)</p>	<p>—</p>

<sup>1</sup> L-ში „ტყვის“ შავიერ არის „ყვის“.

a	L	A
<p style="text-align: center;"><b>რაშ</b></p> <p>168. ტყავისათვის (გვ. 83)</p> <p>ცარიელი ადგილია დატოვებული სიტყვების „ბატკნის ტყავი“-ს შემდეგ (გვ. 84)</p> <p>ცხერისა (გვ. 84)</p> <p>აქვს (გვ. 84)</p>	<p style="text-align: center;"><b>რაშ</b></p> <p>168. ტყავისათვის (გვ. 118)</p> <p>ცარიელი ადგილია დატოვებული სიტყვების „ბატკნის ტყავის“ შემდეგ (გვ. 118)</p> <p>ცხერის (გვ. 118)</p> <p>აქვს (გვ. 118)</p>	<p style="text-align: center;"><b>რაშ</b></p> <p>168. ტყავისათვის (გვ. 111)</p> <p>ცარიელი ადგილია დატოვებული სიტყვების „ბატკნის ტყავი“-ს შემდეგ (გვ. 111)</p> <p>ცხერისა (გვ. 111)</p> <p>აქვს (გვ. 111)</p>
<p style="text-align: center;"><b>რაშ</b></p> <p>169. ტვიინ ბაჟისათვის (გვ. 84)</p>	<p style="text-align: center;"><b>რაშ</b></p> <p>169. ტვიის ბაჟისათვის (გვ. 118)</p>	<p style="text-align: center;"><b>რაშ</b></p> <p>169. ტვიის ბაჟისათვის (გვ. 111)</p>
<p style="text-align: center;"><b>რო</b></p> <p>170. ტყვის ბაჟისათვის (გვ. 84)</p>	<p style="text-align: center;"><b>რო</b></p> <p>170. ყვის ბაჟისათვის (გვ. 119)</p>	<p style="text-align: center;"><b>რო</b></p> <p>170. ტყვის ბაჟისათვის (გვ. 119)</p>
<p style="text-align: center;"><b>როა</b></p> <p>171. ტუთხუჩისათვის (გვ. 85)</p>	<p style="text-align: center;"><b>როა</b></p> <p>171. ტუთხუჩისათვის (გვ. 119)</p>	<p style="text-align: center;"><b>როა</b></p> <p>171. ტუთხუჩისათვის (გვ. 112)</p>
<p style="text-align: center;"><b>რობ</b></p> <p>172. ტაშირზედ აიღარბეგის ჯეობის რივისათვის (გვ. 85)</p>	<p style="text-align: center;"><b>რობ</b></p> <p>172. ტაშირზედ აიღარბეგის ხეობის რივისათვის (გვ. 120)</p>	<p style="text-align: center;"><b>რობ</b></p> <p>172. ტაშირზედ აიღარბეგის ჯეობის რივისათვის (გვ. 112)</p>
<p style="text-align: center;"><b>რობ</b></p> <p>173. ტაშირის მოურავისათვის (გვ. 85)</p>	<p style="text-align: center;"><b>რობ</b></p> <p>173. ტაშირის მოურავისათვის (გვ. 120)</p>	<p style="text-align: center;"><b>რობ</b></p> <p>173. ტაშირის მოურავისათვის (გვ. 113)</p>
<p style="text-align: center;"><b>როდ</b></p> <p>174. ურბნისის რუს გამომღებთათვის (გვ. 85)</p>	<p style="text-align: center;"><b>როდ</b></p> <p>174. ურბნისის რუს გამომღებთათვის (გვ. 121)</p>	<p style="text-align: center;"><b>როდ</b></p> <p>174. ურბნისის რუს გამომღებთათვის (გვ. 114)</p>
<p style="text-align: center;"><b>როე</b></p> <p>175. უმისა და მოხარშულის ძროხისათვის (გვ. 86)</p>	<p style="text-align: center;"><b>როე</b></p> <p>175. უმისა და მოხარშულის ძროხისათვის (გვ. 121)</p>	<p style="text-align: center;"><b>როე</b></p> <p>175. უმისა და მოხარშულის ზროხისათვის (გვ. 114)</p>
<p style="text-align: center;"><b>როვ</b></p> <p>176. მოხარშულისათვის (გვ. 85)</p>	<p style="text-align: center;"><b>როვ</b></p> <p>176. მოხარშულისათვის (გვ. 121)</p>	<p style="text-align: center;"><b>როვ</b></p> <p>176. მოხარშულისათვის (გვ. 114)</p>

D	Q	B
როზ 177. ფუტკარის რიგისათვის (გვ. 74)	როზ 177. ფუტკარის რიგისათვის (გვ. 47v)	—
როჭ 178. ფეშქაშის მოჭელეთათვის (გვ. 75)	როჭ 178. ფეშქაშის მოჭელეთათვის (გვ. 48r)	—
როთი 179. ფეშქაშნივისისათვის (გვ. 75)	როთი 179. ფეშქაშნივისისათვის (გვ. 48r)	—
რპ 180. ქსნის ერისთვის მამულისათვის (გვ. 75)	რპ 180. ქსნის ერისთვის მამულისათვის (გვ. 48r)	—
რპპ 181. ქალაქის ბაღის გარეგებისათვის (გვ. 75)	რპპ 181. ქალაქის ბაღის გარეგებისათვის (გვ. 48v)	—
რპბ 182. ქალაქის სატყვეოს ხარჯისათვის (გვ. 76)	რპბ 182. ქალაქის სატყვეო ხარჯისათვის (გვ. 48v)	—
რპვ 183. ქალაქის აღწერისათვის (გვ. 76)	რპვ 183. ქალაქის აღწერისათვის (გვ. 48v)	—
რპდ 184. ქოდავის რიგისათვის (გვ. 76)	რპდ 184. ქოდავის რიგისათვის (გვ. 48v)	—
რპე 185. ქვიტიკრის ლილოს დებულებისათვის (გვ. 77)	რპე 185. ქვიტიკრის ლილოს დებულებისათვის (გვ. 49r)	—
რპვ 186. სომხითის რომელსაც ალაგს არის ქორის ბუღისათვის (გვ. 77)	რპვ 186. სომხითის რომელსაც ალაგს არის ქორის ბუღისათვის (გვ. 49r)	—
რპზ 187. ღვინის მოსავლის რიგისათვის (გვ. 77)	რპზ 187. ღვინის მოსავლის რიგისათვის (გვ. 49v)	—
რპშ 188. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისათვის (გვ. 78)	რპშ 188. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისათვის (გვ. 49r)	—

a	L	A
<p>როზ 177. ფუტკრის რიგისათვის (გვ. 87)</p>	<p>როზ 177. ფუტკრის რიგისათვის (გვ. 122)</p>	<p>როზ 177. ფუტკრის რიგისათვის (გვ. 114)</p>
<p>როშ 178. ფეშქაშის მოჭელეთათვის (გვ. 87)</p>	<p>როშ 178. ფეშქაშის მოჭელეთათვის (გვ. 122)</p>	<p>როშ 178. ფეშქაშის მოჭელეთათვის (გვ. 115)</p>
<p>როთ 179. ფეშქაშნივისისათვის (გვ. 87)</p>	<p>როთ 179. ფეშქაშნივისისათვის (გვ. 122)</p>	<p>როთ 179. ფეშქაშნივისისათვის (გვ. 115)</p>
<p>რჯ 180. ქსნის ერისთვის მამულისათვის (გვ. 87)</p>	<p>რჯ 180. ქსნის ერისთვის მამულისათვის (გვ. 123)</p>	<p>რჯ 180. ქსნის ერისთვის მამულისათვის (გვ. 115)</p>
<p>რპა 181. ქალაქის ბაღის გარბეებისათვის (გვ. 88)</p>	<p>რპა 181. ქალაქის ბაღის გარბეებისათვის (გვ. 123)</p>	<p>რპა 181. ქალაქის ბაღის გარბეებისათვის (გვ. 116)</p>
<p>რპბ 182. ქალაქის სატყვეოს ხარჯისათვის (გვ. 88)</p>	<p>რპბ 182. ქალაქის სატყვეოს ხარჯისათვის (გვ. 124)</p>	<p>რპბ 182. ქალაქის სატყვეოს ხარჯისათვის (გვ. 116)</p>
<p>რპგ 183. ქალაქის აღწერისათვის (გვ. 89)</p>	<p>რპგ 183. ქალაქის აღწერისათვის (გვ. 124)</p>	<p>რპგ 183. ქალაქის აღწერისათვის (გვ. 117)</p>
<p>რპდ 184. ქოდავის რიგისათვის (გვ. 89)</p>	<p>რპდ 184. ქოდავის რიგისათვის (გვ. 125)</p>	<p>რპდ 184. ქოდავის რიგისათვის (გვ. 117)</p>
<p>რპე 185. ქვიტიკრის ლილოს დებულეებისათვის (გვ. 90)</p>	<p>რპე 185. ქვიტიკრის ლილოს დებულეებისათვის (გვ. 126)</p>	<p>რპე 185. ქვიტიკრის ლილოს დებულეებისათვის (გვ. 118)</p>
<p>რპვ 186. სომხითის რომელსაც ალაგს არის ქორის ბუღისათვის (გვ. 90)</p>	<p>რპვ 186. სომხითის რომელსაც ალაგს არის ქორის ბუღისათვის (გვ. 126)</p>	<p>რპვ 186. სომხითის რომელსაც ალაგს არის ქორის ბუღისათვის (გვ. 119)</p>
<p>რპზ 187. ღვინის მოსაველისათვის (გვ. 96)</p>	<p>რპზ 187. ღვინის მოსაველის რიგისათვის (გვ. 127)</p>	<p>რპზ 187. ღვინის მოსაველის რიგისათვის (გვ. 119)</p>
<p>რპშ 188. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისათვის (გვ. 91)</p>	<p>რპშ 188. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისათვის (გვ. 128)</p>	<p>რპშ 188. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისათვის (გვ. 120)</p>

D	Q	B
რპთ 189. უორიასაულისათუს (გვ. 79)	რპთ 189. უორიასაულისათუს (გვ. 50r)	—
რშ 190. ყაფიჩებისათუს (გვ. 79)	რშ 190. ყაფიჩებისათუს (გვ. 50r) <sup>1</sup>	—
რშა 191. ყორჩიბაშისათუს (გვ. 79)	რშა 191. ყორჩიბაშისათუს (გვ. 50r) <sup>2</sup>	—
რშბ 192. ყალიონ ყორჩებისა- თუს (გვ. 79)	რშბ 192. ყალიონ ყორჩებისა- თუს (50r)	—
რშვ 193. ყაეჩებისათუს (გვ. 79)	რშვ 193. ყაეჩებისათუს (გვ. 50v)	—
რშლ 194. ყველისათუს (გვ. 80)	რშლ 194. ყველისათუს (გვ. 50v)	—
რშმ 195. ყაბების რიგისათუს (გვ. 80)	რშმ 195. ყაბების რიგისათუს (გვ. 50v)	—
რშნ 196. ყაფნის რიგისათუს (გვ. 81)	რშნ 196. ყაფნის რიგისათუს (გვ. 51r)	—
რშჟ 197. ყასაბხანის იჯარისა- თუს (გვ. 81)	რშჟ 197. ყასაბხანის იჯარისა- თუს (გვ. 51v)	—
რშტ 198. ელის კაცისაგან ყა- რაიის ჭერგისათუს (გვ. 81)	რშტ 198. ელის კაცისაგან ყა- რაიის ჭერგისათუს (გვ. 51v)	—
რშთ 199. ყარაიის კონისათუს (გვ. 81)	რშთ 199. ყარაიის კონისათუს (გვ. 5v)	—

<sup>1</sup> Q-ში 189-ე პარაგრაფის შემდეგ აღნიშნულია „რჟა“ (191). პარაგრაფის სათაურია რაგრაფი არ არის თავის

ა	L	A
<p>რპთ 189. ყორიასაულისათუს (გვ. 92)</p>	<p>რპთ 189. ყორიასაულისათვის (გვ. 129)</p>	<p>რპთ 189. ყორიასაულისათუს (გვ. 121)</p>
<p>რშ 190. ყაფიჩებისათუს (გვ. 92)</p>	<p>რშ 190. ყაფიჩებისათვის (გვ. 129)</p>	<p>რშ 190. ყაფიჩებისათუს (გვ. 121)</p>
<p>რშა 191. ყორჩიბაშისათუს (გვ. 92)</p>	<p>რშა 191. ყორჩიბაშისათვის (გვ. 129)</p>	<p>რშა 191. ყორჩიბაშისათუს (გვ. 121)</p>
<p>რშბ 192. ყალიონ ყორჩებისათუს (გვ. 93)</p>	<p>რშბ 192. ყალიონ ყორჩებისათვის (გვ. 130)</p>	<p>რშბ 192. ყალიონ ყორჩებისათუს (გვ. 122)</p>
<p>რშვ 193. ყავაჩებისათუს (გვ. 93)</p>	<p>რშვ 193. ყავაჩებისათვის (გვ. 130)</p>	<p>რშვ 193. ყავაჩებისათუს (გვ. 122)</p>
<p>რშდ 194. ყველისათუს (გვ. 93)</p>	<p>რშდ 194. ყველისათვის (გვ. 130)</p>	<p>რშდ 194. ყველისათუს (გვ. 122)</p>
<p>რშე 195. ყაბების რიგისათუს (გვ. 93)</p>	<p>რშე 195. ყაბების რიგისათუს (გვ. 131)</p>	<p>რშე 195. ყაბების რიგისათუს (გვ. 122)</p>
<p>რშვ 196. ყაფნის რიგისათუს (გვ. 94)</p>	<p>რშვ 196. ყაფნის რიგისათვის (გვ. 132)</p>	<p>რშვ 196. ყაფნის რიგისათუს (გვ. 124)</p>
<p>რშზ 197. ყასაბხანის იჯარისათუს (გვ. 95)</p>	<p>რშზ 197. ყასაბხანის იჯარისათვის (გვ. 133)</p>	<p>რშზ 197. ყასაბხანის იჯარისათუს (გვ. 125)</p>
<p>რშწ 198. ელის კაცისაგან ყარაიის ჭერგისათუს (გვ. 95)</p>	<p>რშწ 198. ელის კაცისაგან ყარაიის ჭერგისათვის (გვ. 133)</p>	<p>რშწ 198. ელის კაცისაგან ყარაიის ჭერგისათუს (გვ. 125)</p>
<p>რშთ 199. ყარაიის კონისათუს (გვ. 95)</p>	<p>რშთ 199. ყარაიის კონისათვის (გვ. 134)</p>	<p>რშთ 199. ყარაიის კონისათუს (გვ. 125)</p>

„ყორჩიბაშისათვის“, მაშასადამე, Q-ში ვერ 191-ე პარაგრაფია და შემდეგ 190-ე. \* Q-ში ეს პადგილზე (იხ. წინა შენიშვნა)

D	Q	B
<p style="text-align: center;">ს</p> <p>200. ყაიყულს რამდენი სოფელი აშენებულია, ან რამდენი ნასოფლარი ან რომელი რომელის სამოურაო არის მისთვის (გვ. 81)</p>	<p style="text-align: center;">ს</p> <p>200. ყაიყულს რამდენი სოფელი აშენებულია ან რამდენი ნასოფლარი ან რომელი რომელის სამოურაო არის მისთვის (გვ. 51v)</p>	
<p style="text-align: center;">სა</p> <p>201. ყაიყულის სამოურაო-ოსი მეფის გიორგისა-გან გარიგებისათვის (გვ. 82)</p>	<p style="text-align: center;">სა</p> <p>201. ყაიყულის სამოურაო-ოსი მეფის გიორგისა-გან გარიგებისათვის (გვ. 52r)</p>	—
<p style="text-align: center;">სბ</p> <p>202. ყულარალასისა გარიგებისათვის (გვ. 83)</p>	<p style="text-align: center;">სბ</p> <p>202. ყულარალასისა გარიგებისათვის (გვ. 25v)</p>	—
<p style="text-align: center;">სგ</p> <p>203. შავარდნის ბაზიერისათვის (გვ. 83)</p>	<p style="text-align: center;">სგ</p> <p>203. შავარდნის ბაზიერისათვის (გვ. 52v)</p>	—
<p style="text-align: center;">სდ</p> <p>204. შათირებისათვის (გვ. 84)</p>	<p style="text-align: center;">სდ</p> <p>204. შათირებისათვის (გვ. 53r)</p>	—
<p style="text-align: center;">სე</p> <p>205. შანიშინის ღვეანხანის რიგისათვის (გვ. 84)</p>	<p style="text-align: center;">სე</p> <p>205. შანიშინის ღვეანხანის რიგისათვის (გვ. 53r)</p>	—
<p style="text-align: center;">სვ</p> <p>206. შპეტის გარიგებისათვის (გვ. 84)</p>	<p style="text-align: center;">სვ</p> <p>206. შპეტის გარიგებისათვის (გვ. 53r)</p>	—
<p style="text-align: center;">სზ</p> <p>207. შაქრისათვის (გვ. 84)</p>	<p style="text-align: center;">სზ</p> <p>207. შაქრისათვის (გვ. 53r)</p>	—
<p style="text-align: center;">სწ</p> <p>208. შავარდნის ბუღეებისათვის (გვ. 85)</p>	<p style="text-align: center;">სწ</p> <p>208. შავარდნის ბუღეებისათვის (გვ. 53v)</p>	—
<p style="text-align: center;">სთ</p> <p>209. შულაერისა და თეთრ სოფლის ბატონისა და მოკელეთ გამოსაღების საკომლოსათვის (გვ. 591)<sup>1</sup></p>	<p style="text-align: center;">სთ</p> <p>209. შულაერისა და თეთრ სოფლის ბატონისა და მოკელეთ გამოსაღების საკომლოსათვის (გვ. 54r)</p>	—

<sup>1</sup> D-ში ამ გვერდიდან იწყება განმეორებული გვერდობლივი ნუმერაცია, განმეორების



a	L	A
<p style="text-align: center;">ს</p> <p>200. ყაიყულს რამდენი სოფელი აშენებულა ან რამდენი ნასოფლარი ან რომელი რომლის სამოურაო არის მისთვის (გვ. 96).</p>	<p style="text-align: center;">ს</p> <p>200. ყაიყულს რამდენი სოფელი აშენებულა ან რამდენი ნასოფლარი ან რომელი რომლის სამოურაო არის მისთვის (გვ. 134)</p>	<p style="text-align: center;">ს</p> <p>200. ყაიყულს რამდენი სოფელი აშენებულა ან რამდენი ნასოფლარი ან რომელი რომლის სამოურაო არის მისთვის (გვ. 125).</p>
<p style="text-align: center;">სა</p> <p>201. ყაიყულის სამოურაოსი მეფის გიორგისაგან გარიგებისათვის (გვ. 96)</p>	<p style="text-align: center;">სა</p> <p>201. ყაიყულის სამოურაოსი მეფის გიორგისაგან გარიგებისათვის (გვ. 135)</p>	<p style="text-align: center;">სა</p> <p>201. ყაიყულის სამოურაოსი მეფის გიორგისაგან გარიგებისათვის (გვ. 126)</p>
<p style="text-align: center;">სბ</p> <p>202. ყულარაღასისა გარიგებისათვის (გვ. 97)</p>	<p style="text-align: center;">სბ</p> <p>202. ყულარაღასისა გარიგებისათვის (გვ. 137)</p>	<p style="text-align: center;">სბ</p> <p>202. ყულარაღასისა გარიგებისათვის (გვ. 128)</p>
<p style="text-align: center;">სბ</p> <p>203. შავარდნის ბაზიერისათვის (გვ. 98)</p>	<p style="text-align: center;">სბ</p> <p>203. შავარდნის ბაზიერისათვის (გვ. 137)</p>	<p style="text-align: center;">სბ</p> <p>203. შავარდნის ბაზიერისათვის (გვ. 123)</p>
<p style="text-align: center;">სდ</p> <p>204. შათირებისათვის (გვ. 98)</p>	<p style="text-align: center;">სდ</p> <p>204. შათირებისათვის (გვ. 138)</p>	<p style="text-align: center;">სდ</p> <p>204. შათირებისათვის (გვ. 128)</p>
<p style="text-align: center;">სე</p> <p>205. შანიშინის დევანხანის რიგისათვის (გვ. 98)</p>	<p style="text-align: center;">სე</p> <p>205. შანიშინის დევანხანის რიგისათვის (გვ. 138)</p>	<p style="text-align: center;">სე</p> <p>205. შანიშინის დევანხანის რიგისათვის (გვ. 129)</p>
<p style="text-align: center;">სვ</p> <p>206. შპეტის გარიგებისათვის (გვ. 99)</p>	<p style="text-align: center;">სვ</p> <p>206. შპეტის გარიგებისათვის (გვ. 139)</p>	<p style="text-align: center;">სვ</p> <p>206. შპეტის გარიგებისათვის (გვ. 129)</p>
<p style="text-align: center;">სზ</p> <p>207. შაქრისათვის (გვ. 99)</p>	<p style="text-align: center;">სზ</p> <p>207. შაქრისათვის (გვ. 139)</p>	<p style="text-align: center;">სზ</p> <p>207. შაქრისათვის (გვ. 129)</p>
<p style="text-align: center;">სწ</p> <p>208. შავარდნის ბუდეებისათვის (გვ. 99)</p>	<p style="text-align: center;">სწ</p> <p>208. შავარდნის ბუდეებისათვის (გვ. 139)</p>	<p style="text-align: center;">სწ</p> <p>208. შავარდნის ბუდეებისათვის (გვ. 130)</p>
<p style="text-align: center;">სთ</p> <p>209. შულავრისა და თეთრ სოფლის ბატონისა და მოქელეთ გამოსაღების საკომლოსათვის (გვ. 102)</p>	<p style="text-align: center;">სთ</p> <p>209. შულავრისა და თეთრ სოფლის ბატონისა და მოქელეთ გამოსაღების საკომლოსათვის (გვ. 141)</p>	<p style="text-align: center;">სთ</p> <p>209. შულავრისა და თეთრ სოფლის ბატონისა და მოქელეთ გამოსაღების საკომლოსათვის (გვ. 131)</p>

მანიშნებლად ციფრს („1“) ეუსვამთ (გვერდების განმეორების შესახებ იხ. გამოკვლევა D-ს შესახებ).

D	Q	B
<p>სი 210. ჩეშლიეჭის ბა- ვის რიგისათვის (გვ. 61<sup>1</sup>)</p>	<p>სი 210. ჩელიეჭის ბავის რი- გისათვის (გვ. 55r)</p>	—
<p>სია 211. ჩარფა ნაზირისათვის (გვ. 62<sup>1</sup>)</p>	<p>სია 211. ჩარფა ნაზირისათვის (გვ. 55v)</p>	—
<p>სიზ 212. ცხერის შემოსავლი- სათვის რომელ არს სა- ბალახე (გვ. 63<sup>1</sup>)</p>	<p>სიზ 212. ცხერის შემოსავლი- სათვის რომელ არს სა- ბალახე (გვ. 55v)</p>	—
<p>სიზ 213. ციხის ბალისათვის (გვ. 63<sup>1</sup>)</p>	<p>სიზ 213. ციხის ბალისათვის (გვ. 56r)</p>	—
<p>სიდ 214. ძმრისათვის (გვ. 64<sup>1</sup>)</p>	<p>სიდ 214. ძმრისათვის (გვ. 56r)</p>	—
<p>სიე 215. კამის ღვინისათვის (გვ. 64<sup>1</sup>)</p>	<p>სიე 215. კამის ღვინისათვის (გვ. 56v)</p>	—
<p>სივ 216. კალის მწვანეილისა- თვის (გვ. 64<sup>1</sup>)<sup>1</sup> ძველიღვან... (გვ. 65<sup>1</sup>)</p>	<p>სივ 216. კალის მწვანეილისა- თვის (გვ. 56v) ძველიღვან... (გვ. 57r)</p>	—
<p>სიზ 217. ხილისათვის (გვ. 65<sup>1</sup>)</p>	<p>სიზ 217. ხილისათვის (გვ. 57r)</p>	—
<p>სიშ 218. ხილის ბაყისათვის (გვ. 65<sup>1</sup>)</p>	<p>სიშ 218. ხილის ბაყისათვის (გვ. 57r)</p>	—
<p>სით<sup>2</sup> 219. ქმელის თევზისათვის (გვ. 65<sup>1</sup>)</p>	<p>სით 219. ქმელის თევზისათვის (გვ. 57r)</p>	—
<p>სბ 220. წვევის თავების რიგი- სათვის (გვ. 66<sup>1</sup>)</p>	<p>სბ 220. წვევის თავების რიგი- სათვის (გვ. 57r)</p>	—
<p>სბა 221. წარჩებისათვის (გვ. 66<sup>1</sup>)</p>	<p>სბა 221. წარჩებისათვის (გვ. 57v)</p>	—
<p>სბზ 222. ქელმწიფის ტყვის ხარჯისათვის (გვ. 67<sup>1</sup>)</p>	<p>სბზ 222. ქელმწიფის ტყვის ხარჯისათვის (გვ. 58r)</p>	—

<sup>1</sup> ყველა ხელნაწერის ამ მუხლში „მინბაშის“ გარიგება არის დამატებული და იწყება სიტყვით D-ში პარაგრაფის აღმნიშვნელი

a	L	A
<p>სი 210. ჩეჭლიეკის ბაჟის რიგისათვის (გვ. 104)</p>	<p>სი 210. ჩეღლეკის ბაჟის რიგისათვის (გვ. 145)</p>	<p>სი 210. ჩეღლეკის ბაჟის რიგისათვის (გვ. 135)</p>
<p>სიბ 211. ჩარფა ნაზირისათვის (გვ. 105)</p>	<p>სიბ 211. ჩარფა ნაზირისათვის (გვ. 148)</p>	<p>სიბ 211. ჩარფა ნაზირისათვის (გვ. 137)</p>
<p>სიბ 212. ცხერის შემოსავლისათვის რ-ლ არს საბალახე (გვ. 105)</p>	<p>სიბ 212. ცხერის შემოსავლისათვის რომელ არს საბალახე (გვ. 148)</p>	<p>სიბ 212. ცხერის შემოსავლისათვის რომელ არს საბალახე (გვ. 137)</p>
<p>სიბ 213. ციხის ბაღისათვის (გვ. 106)</p>	<p>სიბ 213. ციხის ბაღებისათვის (გვ. 148)</p>	<p>სიბ 213. ციხის ბაღებისათვის (გვ. 139)</p>
<p>სიღ 214. ძმარისათვის (გვ. 107)</p>	<p>სიღ 214. ძმარისათვის (გვ. 150)</p>	<p>სიღ 214. ძმარისათვის (გვ. 139)</p>
<p>სიე 215. კამის ღვინისათვის (გვ. 107)</p>	<p>სიე 215. კამის ღვინისათვის (გვ. 150)</p>	<p>სიე 215. კამის ღვინისათვის (გვ. 139)</p>
<p>სივ 216. კალის მწვანევილისათვის ძველიდგან... (გვ. 103)</p>	<p>სივ 216. კალის მწვანევილისათვის (გვ. 150) ძველიდგან (გვ. 152)</p>	<p>სივ 216. კალის მწვანევილისათვის (გვ. 139) ძველიდგან (გვ. 141)<sup>1</sup></p>
<p>სიზ 217. ხილისათვის (გვ. 108)</p>	<p>სიზ 217. ხილისათვის (გვ. 152)</p>	<p>სიზ 217. ხილისათვის (გვ. 141)</p>
<p>სიშ 218. ხილის ბაჟისათვის (გვ. 109)</p>	<p>სიშ 218. ხილის ბაჟისათვის (გვ. 152)</p>	<p>სიშ 218 ხილის ბაჟისათვის (გვ. 142)</p>
<p>სით 219. ჯმელის თევზისათვის (გვ. 109)</p>	<p>სით 219. ჯმელის თევზისათვის (გვ. 53)</p>	<p>სით 219. ჯმელის თევზისათვის (გვ. 142)</p>
<p>სბ 220. ჯევის თავების რიგისათვის (გვ. 109)</p>	<p>სბ 220. ჯევის თავების რიგისათვის (გვ. 153)</p>	<p>სბ 220. ჯევის თავების რიგისათვის (გვ. 142)</p>
<p>სბა 221. ჯარჩებისათვის (გვ. 110)</p>	<p>სბა 221. ჯარჩებისათვის (გვ. 154)</p>	<p>სბა 221. ჯარჩებისათვის (გვ. 143)</p>
<p>სბბ 222. ჯელმწიფის ტყვის ხარჯისათვის (გვ. 110)</p>	<p>სბბ 222. ჯელმწიფის ტყვის ხარჯისათვის (გვ. 155)</p>	<p>სბბ 222. ჯელმწიფის ტყვის ხარჯისათვის (გვ. 144)</p>

ბით: „ძველიდან გარიგებული რომ არის და მინბაშს ქალაქის კარზედ ასე აუღიათ“. ქართული ასოები „სით“ აკლია.

ნუსხების მსგავსება — განსხვავების შესახებ, აღნიშნულის გარდა, შეიძლება ითქვას შემდეგი: ხმარებიდან გამოსული ასოები ნაკლებად გვხვდება B-სა და L-ში, რითაც ეს ხელნაწერები ერთმანეთს უახლოვდებიან. იგივე ასოები ყველაზე უფრო სისტემატურად და ხშირად გვხვდება A-ში.

მოყვანილი ცხრილი ადასტურებს ნუსხების იმ სხვაობას, რომლის შესახებ საუბარი გვაქვს ჩვენი შრომის „შესავლის“ მეორე თავის პირველ პარაგრაფში („ნუსხების გარეგნული აღწერა“).

### 9. ლორთქიფანიძისეული ხელნაწერი (L)

იასონ ლორთქიფანიძისეული „დასტურლამალის“ ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q—342). ხელნაწერი აღნიშნული გვაქვს ლათინური L-ით. გვარსახელი „ლორთქიფანიძის“ პირველი ასოს მიხედვით. მისი ზომაა 21,5 × 16 სანტ. დაწერილია მოლურჯო ქალაღზე. იგი შეიცავს 206 გვერდს და ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში. ხელნაწერში გამოყენებულია შემდეგი სასვენი ნიშნები: ორი წერტილი, მძიმე, სამი წერტილი და წერტილი. სივრცეში თვითოეული გვარსახელის შემდეგ ორი წერტილია დასმული. ორი წერტილია დასმული აგრეთვე სათაურის შემდეგ: მუხლისა ან აბზაცის ბოლოს ხან ორი წერტილია გამოყენებული და ხან კიდევ სამი.

მძიმე და წერტილი ზოგჯერ სწორედ არის დასმული. ზოგჯერ უადგილოდ.

ზოგჯერ საკუსტოსო ნიშნად აღებულია მომდევნო გვერდის პირველი სიტყვის ნაწილი, ან კიდევ პირველი სიტყვის პირველი ასო (გვ. 19, ასო ბ, გვ. 94-ს, გვ. 106-ს, გვ. 177—ქ). ზოგჯერ საკუსტოსო ნიშანი გამოტოვებულია (გვ. 11, 83), ზოგჯერ მას ვერ ვხვდებით ტექსტის ნაწილის დამთავრების გამო (გვ. 157, 188, 189).

ხელნაწერი წყალტუბოდან ჩამოუტანია იასონ ლორთქიფანიძეს 1936 წელს.

ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნებულია<sup>1</sup>.

ტექსტში სათაურები და მუხლის დასაწყისის პირველი სიტყვის პირველი ასო სინგურით არის შესრულებული.

ორ-ორ გვერდზე, დაწყებული მე-3 გვერდიდან, გვერდების თავში წერია: „დასტურლამალი მეფის ვახტანგისა“.

ხელნაწერი გვერდობლივად არის დანომრილი.

ზემო ყდას ახლავს ორი საფარი ფურცელი. პირველი საფარი ფურცელი თავისუფალია. მეორე საფარ ფურცლის პირველ გვერდზე ტექსტისაგან განსხვავებული ხელით ფანქრით შესრულებულია წარწერა, რომელიც იკითხება: „действие, правило“ და „დასტურ ამაღ“.

ხელნაწერში მრავალი მინაწერი და სხვა ნიშნებია გაკეთებული ფანქრით. მე-5 გვერდზე ხაზგასმულია სიტყვები: „სახლბუცისა, ვეზირისა მდივნებისა“. მე-6 გვერდის ზემო აშიაზე წერია: „რუსუმი — пошлина“. იმავე გვერდზე გარიგებას „ელის ნოქრის

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით, 1957 წ., გვ. 366—367.

მოქამაგიროს ამალისათვის“ თავზე აწერია: „მსახური“; მე-8 გვერდზე „ალე-  
კის გარიგების გასწვრივ“ მარცხენა აშიაზე ორი ასოა გამოყვანილი: „ალ“.  
მე-14 გვერდზე მარცხენა აშიაზე გამოტანილია სიტყვა „თოჯი“ და მიწერილი  
აქვს „раскладка“. მე-15 გვერდზე მრავალი სიტყვა ხაზგასმულია. ამავე  
გვერდზე „ქართლის აღწერის“ გარიგების გასწვრივ მარცხენა აშიაზე გა-  
მოსახულია ციფრი „1“. ეს გარიგება („ქართლის აღწერისათვის“) გრძელდე-  
ბა მე-16 გვერდზე, სადაც მარცხენა აშიაზე „ზემო ქართლის ხეობის“ გასწ-  
ვრივ არის ციფრი „2“, „საციციანოს“ გასწვრივ — „3“, ხოლო მუხნარის გას-  
წვრივ — „4“. ამავე გვერდზე მრავალი სიტყვა ხაზგასმულია. 22-ე და 23-ე  
გვერდებზე სიტყვები ხაზგასმულია, ამასთანავე, 23-ე გვერდის მარჯვენა  
აშიაზე არის გამრავლების ნიშანი. 25-ე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვა  
„მალი“. 26-ე გვერდის მარცხენა აშიაზე დასმულია ჭვარი. 27-ე გვერდზე  
ხაზგასმულია რამდენიმე სოფლის სახელი. 28-ე გვერდზე მარ-  
ცხენა აშიაზე გამოტანილია სიტყვა „ნაგები“ და გვერდზე მრავალი სიტყვა  
ხაზგასმულია. მრავალი სიტყვაა ხაზგასმული აგრეთვე 29-ე და 30-ე გვერ-  
დებზე. ამასთანავე, 30-ე და 31-ე გვერდების აშიაზე არაბული ციფრებით მო-  
ცემულია გაანგარიშება, რომელიც შეესატყვისება ამ ციფრების გასწვრივ  
მოთავსებულ მუხლებს შინაარსს. 32-ე გვერდზე ხაზგასმულია რამდენიმე სი-  
ტყვა, ასევეა 34-ე გვერდზე. 33-ე გვერდის მარცხენა აშიაზე არის ჭვარის  
ნიშანი (მელნით შესრულებული), ხოლო 34-ე გვერდის მარცხენა აშიაზე —  
გამრავლების ნიშანი; 35-ე გვერდზე ტექსტში არის „რგ“, მის გასწვრივ  
მარჯვენა აშიაზე — 103. ამავე გვერდზე წერია აგრეთვე „იშ“, რომელიც მარ-  
ჯვენა აშიაზე გადაყვანილია არაბულ ციფრებზე და დასმულია „18“. 36-ე  
გვერდზე დასმულია გამრავლების ნიშანი; 37-ე გვერდზე ხაზგასმულია სოფ-  
ლები: თრიალეთი, ყაიყული და ტაშირი. 42-ე გვერდის მარცხენა აშიაზე  
არის გამრავლების ნიშანი და ხაზგასმულია სიტყვები: „საბალახე“, „ნახირის  
თავი“. 44-ე გვერდის მარცხენა აშიაზე არის გამრავლების ნიშანი და მის  
გასწვრივ ხაზგასმულია სიტყვები: „საბალახე“, „პირისთავი“. 48-ე გვერდზე  
„თარხნების რიგის“ დებულებაში გვხვდება სიტყვა „რუსუმი“, მის გასწვ-  
რივ მარცხენა აშიაზე მიწერილია: „რუსუმი — не итого ли?“

50-ე გვერდზე ხაზგასმულია: „საბეჭდავი“ და „ბარეთი“. 61-ე გვერდზე  
მრავალი სიტყვაა ხაზგასმული; ტექსტში გვხვდება სიტყვა „ჩებიჩი“, რომლის  
გასწვრივ მარჯვენა აშიაზე მიწერილია: „ჩეფიჩი თხა ერთი წლისა“. 71-ე  
გვერდზე ხაზგასმულია სიტყვა „ქოდავი“, 76-ე გვერდზე — სიტყვა „ნის-  
პათი“.

79-ე გვერდზე ტექსტში არის ასეთი წინადადება: „კოდის პური ერთი  
საკვამლო ოთხი კოდი პური არის (ეს სიტყვები ხაზგასმულია ი. ს.) ამიტომ  
რომ ქერი რვა ლიტრა ჩავა კოდშია და პური ათი ლიტრა ჩავა“. ამ წინადა-  
დების გასწვრივ მარჯვენა აშიაზე მოთავსებულია გამრავლების ნიშანი და  
ქვეშ აქვს ასეთი მინაწერი: „2 კოდი პური და 21/2 კოდი ქერი“.

85-ე გვერდის მარცხენა აშიაზე მელნით გამოყვანილია ჭვარი. ასევეა  
87-ე გვერდის მარცხენა აშიაზე

94-ე გვერდზე სიტყვა „გამოზამთრულის“ გასწვრივ მარცხენა აშიაზე  
დასმულია გამრავლების ნიშანი და ქვეშ წერია: „გამოზამთრული კვებუ-

ლა“. 96-ე გვერდზე მრავალი გვარსახელი ხაზგასმულია. 97-ე გვერდზე მარჯვენა აშიაზე ორ ადგილას დასმულია გამრავლების ნიშანი. -

104-ე გვერდზე მარცხენა აშიაზე სამჯერ არის დასმული გამრავლების ნიშანი და ხაზგასმულია სიტყვები: „ენკენისთვის გასვლამდე“.

105-ე გვერდზე გარიგებაში „სუფრის პურისათვის“ სიტყვების „სამეჯლისო ლავაში“-ს შემდეგ ამოფხეკილია რომელიღაც სიტყვა. ამავე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვა „მარჩილი“, ხოლო ამ სიტყვის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე ვერტიკალური მოკლე ხაზია ჩამოსმული.

106-ე გვერდზე „საბალახოს ალებისათვის“ გარიგების გასწვრივ მარცხენა აშიაზე დასმულია გამრავლების ნიშანი, ხოლო ამავე გვერდზე, მუხლის „სამასპინძლოს შეწერისათვის“ გასწვრივ ხაზია ჩამოსმული ზემოდან ქვევით.

107-ე გვერდზე მუხლებში რიცხვის აღმნიშვნელი ქართული ასოები გადაყვანილია არაბულ ციფრებზე. ამ გვერდზე იწყება კოდის პურის გარიგება, რომელიც ეხება საამილახვაროს, საბარათაშვილოს, საციციანოს, და სომხითს. საციციანოს გარიგების ნაწილი გრძელდება 108-ე გვერდზე. აქვეა მოთავსებული სომხითის კოდის პურის გარიგება. მინაწერების ავტორს ნაჩვენებია აქვს, რომ „კოდის პურისათვის“ გამოტანილ უნდა იქნეს საერთო სათაურად, ხოლო „საამილახვაროს“ უნდა დაესვას „1“, საბარათაშვილოს — „2“, საციციანოს — „3“ და სომხითს — „4“. შინაარსის მიხედვით ასეთი დაყოფა მართებულია.

ამასთანავე, ამავე მუხლებში მოყვანილი ციფრების ქართული ასოები გადაყვანილია არაბულ ციფრებზე და 107-ე გვერდზე დასმულია ორი გამრავლების ნიშანი, ხოლო 108-ზე — ერთი.

108-ე გვერდზე სიტყვები — „ამათ საკომლოზედ და ღორის საბალახე არა სძესთ“ ხაზგასმულია.

109-ე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვები: „საბალახე, ნახირისთავი, პირისთავი“ და ამ სიტყვების გასწვრივ მარჯვენა აშიაზე დასმულია გამრავლების ნიშანი.

118-ე გვერდზე მელნით დასმულია მიმატების ნიშანი.

119-ე გვერდზე მუხლის „ტუთხურისათვის“ გასწვრივ მარჯვენა აშიაზე დასმულია გამრავლების ნიშანი. ამ მუხლის სათაურის გასწვრივ, ცოტათი ზემოთ თავისუფალ ადგილზე კი წერია: „ტუთხო (სომხურათ) საბალახე“.

123-ე გვერდზე მარჯვენა აშიაზე დასმულია გამრავლების ნიშანი და ამასთანავე მარჯვენა აშიაზე და თვით ტექსტშიც ორ ადგილას მოთავსებულია არაბული ციფრები, რომლებიც ტექსტში ნაჩვენებ ციფრების აღმნიშვნელ ქართულ ასოებს შეესაბამება.

126-ე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვები „მართებული საბალახე, პირისთავი“ და ამ სიტყვების გასწვრივ დასმულია გამრავლების ნიშანი.

127-ე გვერდზე ტექსტში მოთავსებულ სიტყვის „თოჯის“ გასწვრივ მარჯვენა აშიაზე წერია: თოუჯი— раскладка“ (ისევე, როგორც მე-14 გვერდზე).

134-ე გვერდზე სათაურის პირველი სიტყვა „ყაიყულს“ ხაზგასმულია.

136-ე გვერდზე სიტყვები „ფურზედ ერბო სტილი“ ხაზგასმულია.

142-ე გვერდზე სიტყვები „ნახირისთავი — ქარი, საბალახე“ ხაზგასმულია, ხოლო ამ სიტყვების გასწვრივ დასმულია გამრავლების ნიშანი. ამავე გვერდ-

ზე ხაზგასმულია მრავალი სიტყვა და ერთ ადგილას, მარცხენა აშიაზე ხაზგასმული ზოგიერთი სიტყვის გასწვრივ ჩამოსმულია ვერტიკალური ხაზი.

148-ე გვერდზე „სიბ“ მუხლის გასწვრივ დასმულია გამრავლების ნიშანი და ამასთანავე იქვე, გამრავლების ნიშანთან შედარებით პატარა მოცულობის მიმატების ნიშანია მელნით დასმული.

169-ე გვერდის ზემო აშიაზე მიწერილია: „161 გვ. იხ. ოთხი ფურცლის იქით“ მართლაც ამ ადგილზე უნდა იყოს 161-ე გვერდი და არა 169-ე, რადგანაც წინა გვერდი 160-ია.

176-ე გვერდის ზემო აშიაზე წერია: „177 იხ. ოთხი ფ. იქით“. მართლაც იქ, სადაც უნდა იყოს 177-ე, არის 161-ე და იწყება „ყაფიჩის გარიგებით“. ამასთანავე, ანბანური წესით შედგენილ „დასტურლამალის“ ხელნაწერებში ემიკალასბაშის შესახებ გარიგებას ყაფიჩის განაწესი მოსდევს.

ამრიგად, დაწერილი ფურცლები შეკერის დროს არეულად არის დაწყობილი, რასაც გამოუწვევია ასეთი შენიშვნები. ფურცლების არევა იწყება, როგორც ვნახეთ, 160-ე გვერდის შემდეგ (მანამდე სწორად არის დაწყობილიც და შეკრულიც).

170-ე გვერდზე ოფრეთის გარიგების გასწვრივ დასმულია გამრავლების ნიშანი. 174-ე გვერდზე ორჯერ არის დასმული გამრავლების ნიშანი.

176-ე გვერდზე დასმულია გამრავლების ნიშანი.

167-ე გვერდზე წინწყაროს გარიგებაში მრავალი სიტყვაა ხაზგასმული.

168-ე გვერდზე სიტყვები „პირისთავი“ და „ნახირისთავი“ ხაზგასმულია, ხოლო ამ სიტყვების გასწვრივ მარცხენა აშიაზე დასმულია გამრავლების ნიშანი.

178-ე გვერდზე ხაზგასმულია სიტყვები: „საბალახე, პირისთავი, ნახირისთავი“, ხოლო ამ სიტყვების გასწვრივ დასმულია გამრავლების ნიშანი. იგივე ნიშანი, მაგრამ მელნით და უფრო პატარა მოცულობის, დასმულია გვერდის დასაწყისში სიტყვა „ქრცხინვალელთ“-ის პირდაპირ.

179-ე გვერდზე სიტყვები: „საბალახე, ნახირისთავი, პირისთავი საქერო“ ხაზგასმულია და ამ სიტყვების გასწვრივ მარჯვენა აშიაზე დასმულია გამრავლების ნიშანი.

157-ე გვერდზე მთავრდება „სამეფო დასტურლამალი“ და ბოლოში მიწერილი აქვს: „დასრულდა მისის უმაღლესობის სრულიად ზემოესა საქართველოს მპყრობელის მეფის ვახტანგ (ტექსტში: ვახტან ი. ს.) ბაგრატიონის დასტურლამალი, რომლისა ჰხსენება საუკუნოდ იყავნ მარადის. დიდება ღმერთსა მომცემსა ყოვლისა კეთილისა“.

„სადედოფლო დასტურლამალი“ მთავრდება 189-ე გვერდზე სიტყვებით: „დასრულდა, დიდება ღმერთსა“.

191-ე გვერდზე იწყება საძიებელი „სამეფოს დასტურლამალისა“ და მთავრდება 201-ე გვერდზე; საძიებელს მარცხენა აშიებზე ხშირად ახლავს არაბული ციფრები, ხოლო მარჯვენა აშიებზე ზოგჯერ ვხვდებით რომაულს. უმეტეს შემთხვევაში სათაურები განაზულია, ხოლო აქა-იქ განაზულის გასწვრივ არის სანიშნებლად ნახმარი გამრავლების ნიშანი.

195-ე გვერდზე, იქ, სადაც მოთავსებულია სათაური „მეჯოგეთათვის“, ცარიელ ადგილზე წერია (ფანქრით): „ჯოგი ცხენისა, ვირისა, ირმისა, ფარა ცხერისა, ღორისა, ნახირი საქონლისა, ფაბუნი, სურო მშელისა“.

მე-200 გვერდზე სათაურის „ყაფნის რიგისათვის“ გასწვრივ მარცხენა აშიაზე წერია: „სასწორი“. ამავე გვერდზე სათაურის „ელის კაცისაგან ყარაიის ჯერგისათვის“ გასწვრივ მარცხენა აშიაზე მიწერილია: „ჯერგი — მხარე“.

201-ე გვერდზე სათაურების „ყაფნისათვის“ და „ისაულეებისათვის“ გასწვრივ — მარჯვენა აშიაზე მიწერილია: „ყაფ. (ისაული) ჯარები“.

ქვემო ყდის საფარი ფურცლის I გვერდზე მოთავსებულია ქართული ასოების ფულადი მნიშვნელობის შემდეგი ცხრილი.

ლ — ექვსი ფული	ჩ — ერთი მანეთი
მ — ორი ბისტი	ჭ — ერთი თუმანი
ძ — სამი ბისტი	შ — თვრამეტი შაური 90 ... (18 შაური)
თ — თოთხმეტი ფული	ც — ორი მანეთი
პ — ოთხი ბისტი	ძ — სამი მანეთი
ჟ — თერთმეტი ფული	წ — 4 „
ტ — ექვსი შაური	ჭ — 5 „
უ — ორი აბაზი	ხ — 6 „
ვ — ათი შაური	კ — 7 „
ქ — სამი აბაზი	ჯ — 8 „
ღ — თოთხმეტი შაური	ჰ — 9 „
ყ — ოთხი, აბაზი	ჭ — 10 „
ფ — ერთი ფული	[ა — ერთი თუმანი
ბ — ორი გროში	[ბ — ორი „
ქ — ერთი ბისტი	[ე — ხუთი [ჩ ათასი
ნ — ერთი შაური	[ი — ათი [ჭ ათი ათასი
რ — ორი შაური	[რ — ასი
ს — ერთი აბაზი	

ყველა ეს მინაწერი გაკეთებულია ფანქრით (ორი სამი შემთხვევის გარდა, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი), ამასთანავე რამოდენიმე ადგილზე სანიშნებლად მელნით დასმულია მიმატების ნიშანი. ყველა ეს მინაწერი ერთი ხელით უნდა იყოს შესრულებული. ექვს იწვევს მხოლოდ 169-ე, 176-ე და 168-ე გვერდების ზემო აშიებზე მიწერილი: „იხ. ოთხი ფურცლის იქით“ და ა. შ. შეიძლება ეს მინაწერი სხვა ხელით იყოს შესრულებული.

რამდენადმე ექვს იწვევს აგრეთვე ქვემო ყდის საფარზე გაკეთებული ქართული ასოების ფულადი მნიშვნელობის ცხრილის ხელიც.

ტექსტში გაკეთებული სხვა მინაწერები და ნიშნები ერთ ხელს ეკუთვნის. ჩანს, ეს ხელნაწერი ხანგრძლივი მუშაობის ობიექტი იყო. მინაწერების ავტორს დაკვირვებით შეუსწავლია ხელნაწერი, საჭირო ადგილებისათვის ხაზი გაუსვამს, გაუყეთებია სანიშნებელი (უმთავრეს შემთხვევაში გამრავლების ნიშანი, მრავალი სიტყვისათვის ხაზი გაუსვამს, მრავალი მათგანი აშიებზე განუმარტავს და სხვა).

ხელის მიხედვით სავარაუდებელია, რომ ეს ხელნაწერი ხელთ ჰქონდა მ. ბროსეს. რომელმაც თავისი მუშაობის კვალი დააჩნია ზემომოყვანილი მინაწერებისა და სხვა ნიშნების სახით.

ხელნაწერში ჩადებულია რვეულის ფურცლის პატარა ნაგლეჯი, რომელზედაც ფანქრით დაწერილია: „უქანასკნელ ფურცლებში სანთელთან რომ



გახედავ, რალაც გაურჩეველი ასოები და ციფრებია“. ხელნაწერთა აღწერილობაში ამის შესახებ წერია: „ეს შენიშვნა მოწმობს, რომ ამის დამწერს (პ. უმიკაშვილს?) შეუმჩნევია ჭვირნიშანი „1819“ (იხ. 205—206 და სხვ. ფ. ფ.)“<sup>1</sup>.

მართლაც უკანასკნელ ფურცლებზე ჭვირნიშანი 1819 წელია, მაგრამ სხვა ფურცლებზე იგი 1816 წელს უჩვენებს<sup>2</sup>.

ხელნაწერი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 206 გვერდს შეიცავს და რვა ფურცლიანი რვეულებისაგან შედგება. გარდა უკანასკნელისა, დანარჩენი რვეულები ერთნაირ ქაღალდს წარმოადგენს, რომელთა ჭვირნიშანი უჩვენებს: В Ф С Р, 1816. ასოები ნიშნავს: „Вякаты фабрика содержателя Рязанцева, 1816“<sup>3</sup>. ხელნაწერის 12 რვეულში ასეთი ჭვირნიშანია, ხოლო მე-13 რვეულის უკანასკნელი ფურცლების (გვერდები: 205, 206 და უკანასკნელი დაუნომრავი ფურცელი, რომელიც ჩვენ ქვემო ყდის საფარ ფურცლად ჩავთვალეთ, და რომელზედაც მოთავსებულია ქართული ასოების ფულადი მაჩვენებლის ცხრილი) ჭვირნიშანი გეიჩვენებს 1816 წელს. უკანასკნელი რვეულებიდან ერთ ფურცელზე (გვ. 191—192) დაწყებულია „სამეფო დასტურლამალის“ სარჩევი, რომელიც გრძელდება უკანასკნელი რვეულის დანარჩენ ფურცლებზე, 201 გვერდიდან კი იწყება „სადედოფლო დასტურლამალის“ სარჩევი. მამასადამე, გადამწერს ტექსტი უწერია 1816 წელს გამოშვებულ ქაღალდზე, ამავე ქაღალდზე დაუმთავრებია და „სამეფო დასტურლამალის“ სარჩევსაც შესდგომია, რომელიც 1819 წელს გამოშვებულ ქაღალდზე დაუმთავრებია.

აქედან ცხადია, რომ ხელნაწერის გადაწერა დამთავრებულია 1819 წლის შემდეგ.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ იოველ აღექსიძის 1821 წლის მარტის თვით დათარიღებული ხელნაწერი, გადაწერილია 1819 წელს გამოშვებულ ქაღალდზე<sup>4</sup>. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამჟამად ჩვენთვის საკვლევი ხელნაწერიც ამავე ხანებშია შესრულებული, შესაძლებელია რამდენიმე თვით ადრე, ან გვიან. რადგანაც უმთავრესად 1816 წლის ქაღალდია გამოყენებული, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ხელნაწერის ერთი ნაწილი ადრეა შესრულებული, ხოლო მეორე კი ცოტა მოგვიანებით. უფრო საფიქრებელია, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1820 ბოლოს, ანდა 1821 წლის დასაწყისში.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი იშვიათ მსგავსებას ამჟღავნებს დავით რექტორის ხელნაწერთან. ტექსტის დასაწყისში, შესავლის წინ, ორთავე ხელნაწერში დასმულია „ქ“, მაგრამ ეს ასო გამოსახულია საკმაოდ თავისებურად. „ქ“-ს დასურათება აბსოლუტურად ერთი და იგივეა ორივე ხელნაწერში. ამასთანავე ხელნაწერი ზუსტად მისდევს დავით რექტორის ტექსტს, და ხელიც ძლიერ მსგავსია. ამგვარად, შესაძლებელია,

<sup>1</sup> „ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. 1, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, 1957, გვ. 377. პ. უმიკაშვილი არ ახსენებს ამ ხელნაწერს, ამიტომ არც არის სავარაუდებელი, რომ პ. უმიკაშვილი ამ ნუსხას იცნობდა.

<sup>2</sup> ჭვირნიშნის ამოკითხვაში დახმარება გაავიწია ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა რ. პატარიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ.

<sup>3</sup> С. А. Клепиков, Филигранны и Штемпелл, 1959, стр. 44.

<sup>4</sup> საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1507.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი დავით რექტორს ეკუთვნოდეს. მართალია, ერთი შეხედვით, მთლიანად აღებული ორივე ხელნაწერი არ გვეგონება ერთი და იგივე პიროვნების მიერ შესრულებული, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას სხვადასხვანაირად შეუძლია წერა (იესე მდივნის მიერ გადაწერილი სამიფო და სადედოფლო „დასტურლამალი“ პ. უმიკაშვილის ცნობით სხვადასხვანაირი ხელით იყო შესრულებული, თუმცა ორივე ნაწილი იესე მდივანს ეკუთვნოდა), ამიტომ, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ეს ხელნაწერიც დავით რექტორის იყოს.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ შიგადაშიგ ასოების მოყვანილობაც ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. საყურადღებოა, რომ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის ის ადგილი, სადაც დავით რექტორის ხელნაწერში გადამწერის ანდერძია მოთავსებული, მოკრილია (გვ. 203—204). დავითის ხელნაწერში „სადედოფლო დასტურლამალის“ სარჩევის ბოლოს წერია: „დასრულდა სადედოფლო დასტურლამის საძიებელი“ (გვ. 100). ამის შემდეგ მოთავსებულია დავით რექტორის ანდერძი, რომ „დავით ალექსის ძემან გარდავსწერეო“ და სხვა. (ეს ანდერძი მოყვანილი გვაქვს დავით რექტორის ხელნაწერის განხილვასთან დაკავშირებით). დავით რექტორისა და ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერებს შორის განსხვავება ძლიერ უმნიშვნელოა. მოვყვანოთ ზოგიერთი მათგანი:

#### L ხელნაწერი

#### დავით რექტორის ხელნაწერი

ელის ნოქრის მოჯამაგირის ამასალისათვის<sup>1</sup> (გვ. 6)  
 კახეთისა და ქართლის სამძღუროსათვის<sup>2</sup> (გვ. 62)  
 მეითრისათვის<sup>3</sup> (გვ. 88)  
 შანიშინის დევანხანის რიგისათვის (გვ. 138).  
 ატენის ბატონის ზვრებისათვის მუშაობისა (გვ. 10)<sup>4</sup>.

ელის ნოქრის მოჯამაგირის პამალისათ<sup>5</sup> (გვ. 4).  
 კახეთისა და ქართლის სამძღუროსათვის (გვ. 39).  
 მეითრისათვის (გვ. 54).  
 შანიშინის დევანხანის რიგისათვის (გვ. 84).  
 ატენის ბატონის ზვრების მუშაობისათ<sup>6</sup> (გვ. 7)

როგორც ვხედავთ, განსხვავება მართლაც მცირეა. ზოგჯერ L ხელნაწერის ტექსტში მოცემული სათაური და ხელნაწერისათვის დართული სარჩევის დასათაურება ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს.

ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ L ხელნაწერი ნაკლები ყურადღებით არის შესრულებული, ვიდრე დავით რექტორისა.

გარდა ამისა, დავით რექტორის ხელნაწერში ასოები უფრო პატარაა, ვიდრე ამჟამად ჩვენთვის შესასწავლ ხელნაწერში.

ცალკეული ასოების მოყვანილობის მხრივ ყურადღებას იქცევს ის რომ L-ში, მაგალითად, „ო“—უმრავლეს შემთხვევაში ბექდურის მსგავსია, დავით რექტორის ხელნაწერში კი ბექდური „ო“ იშვიათ შემთხვევაშია მოცემული.

1 სარჩევში: „ამპალისათვის“ (გვ. 191).

2 სარჩევში „სამძღუროებისათვის“ (გვ. 194)

3 სარჩევში: „მეითრებისათვის“ (გვ. 195)

4 სარჩევში: ატენს ბატონის ზვრების, მუშაობისათვის (გვ. 192)

უმრავლეს შემთხვევაში დავით რექტორის ხელნაწერში „ო“ ხელნაწერის სახით არის მოცემული, ე. ი. პერპენდიკულარული და პარალელური ხაზი ერთმანეთს კვეთს. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როცა დავით რექტორის ხელნაწერში ბეჭდური „ო“ არის წარმოდგენილი, მაშინ იგი მოყვანილობით ზუსტად ემთხვევა იმ „ო“-ს, რომელიც L-შია. ორივე ხელნაწერში ასო „ო“-ს დაბოლოებას ერთნაირად აქვს ფეხი გაგრძელებული.

ასოების მოყვანილობისა და გადაბმის მხრივ ორივე ხელნაწერი იშვიათად გვანან ერთმანეთს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოები: რ, ს, ე. ხელნაწერების ხელის გარკვევის მიზნით, ჩვენ შევისწავლეთ დავით რექტორის სხვა ავტოგრაფიც, მაგალითად, მის მიერ 1821 წელს გადაწერილი დიდი კრებული, რომელიც ორ წიგნადაა გაყოფილი და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში<sup>1</sup>. კრებულის ორივე წიგნი 709 ფურცელს შეიცავს. ამგვარად, შესადარებელი მასალა საკმაოდ დიდია. ხელნაწერთა შესწავლა-შედარებიდან გამოიჩნება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კრებულში წარმოდგენილი ასოების მოყვანილობა განსხვავდება დავით რექტორის მიერ 1789 წელს გადაწერილ „დასტურლამალის“ ხელნაწერში წარმოდგენილი ასოებისაგან. ზოგჯერ კრებულის ხელი უფრო მეტ მსგავსებას იჩენს L ხელნაწერთან. ეს მსგავსება განსაკუთრებით შესამჩნევია ხელნაწერების საერთო, ზოგადი შედარებით. ჩვენი ვარაუდი, რომ L ხელნაწერი დავით რექტორის მიერ არის გადაწერილი კიდევ უფრო განმტკიცდა, როდესაც მის მიერ გადაწერილი კრებულის ხელი შევისწავლეთ, მაგრამ ვარაუდი, დამტკიცებულ დებულებად არ გადაქცეულა. საქმე იმაშია, რომ დავით რექტორის ხელისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ასოების თავისებურ გადაბმას ვხვდებით 1789 წლის „დასტურლამალის“ ხელნაწერსა და 1821 წლის კრებულში, მაგრამ მას ვერ ვხვდებით L-ში. მაგალითად, ასოები ჯ, შ, ჭ და სხვა, ზოგიერთ შემთხვევაში ერთნაირად არის წარმოდგენილი ზემომოყვანილ ხელნაწერებში, მაგრამ სწორედ ეს ასოები უმრავლეს შემთხვევაში განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი L-ში. თუმცა აღნიშნული განსხვავება არ არის დიდი, მაგრამ იგი მაინც გამორიცხავს იდენტურობას და გვაფიქრებინებს, რომ ეს ასოები სხვადასხვა ხელით არის დაწერილი. ამასთანავე, D-ში ხშირად გვხვდება „ვ“. მაგალითად, „დებულისათვის“. L-ში „ვ“-ს მაგიერ ხშირად მოცემულია „ვი“.

ალექსიძე-მესხიშვილების ოჯახი ცნობილი რყო „ხუცური და მხედრული“ წერით: „მხედრულსა- წერას შინა ჭერეთცა არც ძველად, და არც ახლად არეინ თქმულან უკეთეს ამათსა (ალექსიძის შვილები: გიორგი, სოლომონი და დავით, ი. ს.) და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა“<sup>2</sup>. ამრიგად, ალექსიძეები ცნობილი ყოფილან როგორც კალიგრაფები. შესაძლებელია ალექსიძეების რომელიმე ოჯახის ახალგაზრდა წევრმა დაამსგავსა კიდევ დავით რექტორის ხელს თავისი ხელი, მით უმეტეს გადასაწერად სწორედ დავით რექტორის 1789 წლის ხელნაწერი ჰქონდა ხელთ.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ იოველ ალექსიძის „დასტურლამალის“ ხელნაწერი, ხელის მიხედვით, ჰგავს კიდევ დავით რექტორის ხელს.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი. S—151, S—1512; „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, II, 1961, გვ. 251—295.

<sup>2</sup> „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ („ძველი საქართველო“, ტ. 1, განყ. III, 1909, გვ. 41).

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ L ხელნაწერის დასაწყისი ასო „ქ“ D ხელნაწერიდან იშვიათი სიზუსტით არის გადახატული. ასეთი სიზუსტით გადახატვა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამწერს ხელთ ექნებოდა 1789 წლის ხელნაწერი.

საყურადღებოა, რომ L ხელნაწერი დეტალებშიაც იმეორებს დავით რექტორის ხელნაწერს. მაგალითად, ტყავის ბაჟის შესახებ განწესებაში ორივე ხელნაწერში წინადადების — „აღდგომიდან ამალღებამდინ ბატკნის ტყავის“ შემდეგ. რამდენიმე სიტყვისათვის ადგილია დაუწერლად დატოვებული.

ქვემოთ გვექნება საუბარი იმის შესახებ, რომ იოველ ალექსიძის ხელნაწერში ბოქაულთუხუცესის გარიგებაში სახელს შაჰყულიხანს გაკეთებული აქვს სქოლიოში ჩატანის ნიშანი, რომლის ქვეშ ქვედა აშიაზე წერია: „ეს სახელი მეფე ვახტანგ ნ-ს ერქვა ოდეს იყო თათრად“. ეს მინაწერი ბაგრატ ბატონიშვილს ეკუთვნის, რომელმაც ხელნაწერი იოველ ალექსიძისაგან იყიდა 1821 წელს; ცხადია ამ წარწერასაც მანამდე ვერ გააკეთებდა. ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერში ასეთ შენიშვნას ვერ ვხვდებით (გვ. 20), მაშინ როდესაც იოველ ალექსიძის ხელნაწერის მომდევნო ხელნაწერებში იგი წარმოდგენილია. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი ალექსიძის 1821 წლის ხელნაწერზე ადრე არის გადაწერილი.

ბატონის ბალის წყლის გარიგებაში ანჩისხატის დეკანოზის, მხატვარ გრიგოლისა და მისი მამის იოსების შესახებ დამატება, წყლის სარგებლობის თაობაზე ლორთქიფანიძისეულ ხელნაწერში (გვ. 18—19) მოცემულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ B ხელნაწერის მსგავსად, ეს დამატება L-ში ალექსიძის (A) ხელნაწერამდე გაჩნდა. L-ში „მუშის რუსულისათვის“ და „მოლარეებისათვის“ მარტო სათაურებია მოყვანილი (გვ. 87), ისე როგორც სხვა ხელნაწერებში, კერძოდ — D-ში. A-ში კი ამ სათაურების გასწვრივ ვერტიკალურად წერია: „არ არიან დაწერილ დედანში“ (გვ. 84). ამ წარწერას ალექსიძის ხელნაწერიდან მომდინარე ხელნაწერებშიც ვხვდებით. ის გარემოება, რომ L-ში, ისე როგორც D-ში, არ არის ასეთი წარწერა, იმის მაჩვენებელია, რომ L ხელნაწერი A-ს წინ უსწრებს.

## 10. იოველ ალექსიძისეული ხელნაწერი (A)

იოველ ალექსიძის ხელნაწერი (ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში S—1507) ჩვენ მიერ აღნიშნულია ლათინური !A-თი, გვარსახელის „ალექსიძის“ პირველი ასოს მიხედვით. იოველ ალექსიძის ხელნაწერი საფუძვლად დაედვა პ. უმიკაშვილის მიერ გამოქვეყნებულ „დასტურლამალს“ და პირველადაც პ. უმიკაშვილს აქვს აღწერილი<sup>1</sup>.

აღწერილი აქვს იგი აგრეთვე ექ. თაყაიშვილს<sup>2</sup>. ამ ხელნაწერს ეხება თავის შრომაში აკად. ივ. ჯავახიშვილი<sup>3</sup>, იას. ლორთქიფანიძე<sup>4</sup>, და ვ. გაბაშ-

<sup>1</sup> „დასტურლამალი“ პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1886 წ., გვ. V—VI.

<sup>2</sup> E. Такайшвили. Описание рукописей..., т. II, 1906—1912, стр. 697—698.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, 1928 წ., გვ. 73—81.

<sup>4</sup> იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, 1, II, 1935. გვ. 7—12.

ვილი<sup>1</sup>. უკანასკნელად იგი აღწერილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ<sup>2</sup>.

ხელნაწერის ზომაა 21×17 სანტ. შესრულებულია ქალაღზე და ჩასმულია კოლენკორგადაკრულ მუყაოს ყდაში (ე. თაყაიშვილის და ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მოწმობით, ხელნაწერი უწინ ყდიდან ამოვარდნილი ყოფილა, რის შედეგადაც ყდა დახეულა, ამოვარდნილი ყოფილა აგრეთვე ზოგიერთი ფურცელი)<sup>3</sup>. ხელნაწერი შესრულებულია მხედრული ხელით, სათაურები სინგურით არის წარმოდგენილი.

ხელნაწერი შეიცავს 189 გვერდს.

პირველი ორი ფურცელი დაუწერელია და დანომრილია რომელიღაც ციფრებით.

ამის შემდეგ იწყება ხელნაწერის გვერდობლივი ნუმერაცია არაბული ციფრებით. 189-ე გვერდზე მთავრდება ტექსტი და მოთავსებულია აგრეთვე სხვადასხვა მინაწერები. ამის მომდევნო 190-ე გვერდი დაუწერელია. დაუწერელია აგრეთვე 191-ე და 192-ე გვერდები. 192-ე გვერდის შემდეგი ფურცელი ამოჭრილია. ზემო და ქვემო ყდას ახლავს თითო-თითო საფარი ფურცელი. ჰვირნიშანი — 1819 წელს უჩვენებს (ფ. II; გვ. 1, 33, 71, 73, 87, 103, 121, 153, 161; 175 და 177).

საკუსტოსო ნიშნად ნახმარია მომდევნო გვერდის პირველი სიტყვა ან სიტყვის ნაწილი.

ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს იოველ ალექსიძის მიერ, რადგანაც 189-ე გვერდზე წერია: „აღიწერა ქალაქსა შინა ტფილისს, წელსა განხორციელებიდან სიტყუსა უ-თისა 1821-სა, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ფთ-სა, მარტსა თუჭსა 10-ს“. ამავე გვერდზე მოთავსებულია ბაგრატ ბატონიშვილის წარწერა (წარწერის შესახებ ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი), რომ ეს ხელნაწერი მან იყიდა იოველ ალექსიძისაგან. იოველ ალექსიძე იყო ანჩისხატის დეკანოზის სოლომონის შვილი და დავით რექტორის ძმის შვილი.

ალექსიძეთა წინაპარი პეტრე მესხიშვილი, პ. უმიკაშვილის ცნობით, სამცხიდან ქართლში გადმოყოლია ანჩის ხატს.

1674 წელს კათალიკოსმა დომენტიმ მისცა პეტრეს ანჩისხატის კანდელაკის ადგილი<sup>4</sup>. პეტრეს შვილი იოსები ანჩისხატის დეკანოზად იყო 1681—1711 წლებში, ხოლო მისი შვილი გრიგოლი დეკანოზობდა 1711—1724 წლებში. იგი იყო „ხელოვანი, სამეფო კარის მხატვარი, მგალობელი და მწიგნობარი“<sup>5</sup>. გრიგოლი მონაწილეობდა ვახტანგ VI სასტამბო მოღვაწეობაში, შემდეგ რუსეთშიც გაყვა მას.

იოსები და გრიგოლი სასახლეში მიღებული პირები არიან. მეფე მათ პა-

1 ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 36, 1954, გვ. 83—99).

2 „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“. შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, 1961, წ., გვ. 244—245.

3 Е. Такашвили, Описание рукописей..., т. II, გვ. 697; „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, 1961, გვ. 244.

4 „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“, პ. კარბელაშვილი, 1902, გვ. 17, 43.

5 იქვე, 1. 43.

ტივს სცემს. დავით რექტორის „დასტურლამალის“ ხელნაწერში აღნიშნულია, რომ მეფემ უბოძა მათ უფლება გარეუბანში ბაღის მოსარწყავად წყლით სარგებლობისა. დავით რექტორის ხელნაწერიდან ეს ცნობა შეტანილია დავითის შემდეგი დროის ყველა ხელნაწერში და იოველ ალექსიძის ხელნაწერშიც, რომელიც საფუძვლად დაედვა პ. უმიკაშვილის 1886 წლის გამოცემას.

დავით იოსების ძე ყოფილა ვახტანგ VI შვილების აღმზრდელი და მეფეს მისთვის 1721 წელს სოლოლაკის ბაღი უწყალობებია<sup>1</sup>.

ალექსი გრიგოლის ძე (1739—1756 წ.) იყო ანჩისხატის დეკანოზი, როგორც მწერალ-მწიგნობარი, იგი დაახლოვებული პირი იყო თეიმურაზისა, დედოფალ თამარისა და ანახანუმისა (თამარი ვახტანგ VI ქალი, თეიმურაზის პირველი მეუღლე იყო, თამარის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზმა შეირთო ანახანუმი). ალექსი მოღვაწეობდა ანტონ I ერთად და მასთანაც ძლიერ დაახლოვებული იყო<sup>2</sup>.

ლადო მესხიშვილის „მამის სარდიონ სარდიონის ძის გადმოცემით, მესხიშვილებს გვარსახელში ალექსიძეობა“ ანუ ალექსიშვილობა ალექსი გრიგოლის ძის სახელისაგან მიემატათ<sup>3</sup>. ალექსი გარდაიცვალა 1766 წელს<sup>4</sup>. ალექსის შვილები იყვნენ: ნიკოლოზი, გიორგი, დავითი, ზაქარია, იოსები და სოლომონი.

სოლომონ ალექსის ძე ანჩისხატის დეკანოზი, მწიგნობარი, მხატვარი და მგალობელი, გარდაიცვალა 1808 წელს<sup>5</sup>.

ავტორი ნაშრომისა, „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ აღნიშნავს, რომ ანჩისხატის დეკანოზმა ალექსიმ, რომელიც იყო მეცნიერი, „მწერალი ხუცურისა და მხედრულისა“, რომლის ნაწერები ღირსია ქებისა, „კეთილად აღზარდნა შვილნი თვისნი: გიორგი, სოლომონ და დავით“. ალექსიმ შვილებს ასწავლა: „სამეცნიერო წერილნი“, გალობა, ხუცური და მხედრული. „მხედრულსა წერასა შინა ჯერეთაც არც ძველად და არც ახლად არვინ ზქმულან, უკეთეს ამათსა და მეტადრე სოლომონ დეკანოზისა“. დავით ალექსის ძე, მმა სოლომონისა, იყო ცნობილი მოღვაწე, სემინარიის რექტორი. სოლომონის შვილები იყვნენ: დიმიტრი, ტარასი, იოველი. „მგალობლობასა შინა სრული იოველ“ და საერთოდ კი მისი ძმები „კეთილადაც სწავლულნი“ იყვნენო, გადმოგვცემს სსენებული ნაშრომის ავტორი<sup>6</sup>.

იოველი, მისი ძმის ტარასის ცნობით, 1825 წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა 45 წლის ასაკში, ხოლო დავით რექტორი 1824 წელს, 75 წლის ასაკში<sup>7</sup>.

1 „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“, პ. კარბელაშვილისა, 1902 გვ. 44.

2 იქვე, გვ. 45.

3 აკაკი ფალავა, ლადო მესხიშვილი, 1938, გვ. 15.

4 „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“, პ. კარბელაშვილისა, 1902, გვ. 45.

5 „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში“, პ. კარბელაშვილისა, 1902, გვ. 46; პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 260.

6 „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, „ძველი საქართველო“, ტ. 1, 1904 წ. გვ. III, გვ. 41.

7 ხელნაწერთა ინსტიტუტი, A — 1448, გვ. 95; — გვი მიქაძე, მასალები დავით რექტორის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ლიტერატურული ძეგანი, XIII, 1961, გვ. 219).

ხელნაწერი, როგორც ვნახეთ, დათარიღებულია 1821 წლით, მაგრამ გადამწერის ვინაობა ამ თარიღთან ერთად მოხსენებული არ არის. მაშ რატომ ვფიქრობთ რომ იგი იოველ ალექსიძეს ეკუთვნის? ზემოთ ჩვენ ვახსენეთ ბაგრატი ბატონიშვილის წარწერა (189-ე გვერდზე), რომლის მიხედვით ბაგრატი ეს ხელნაწერი უყიდა იოველ ალექსიძისაგან.

ილ. შუა-ბოლნისის გარიგებისა თვს  
 ით. საქტრიო (ტ)  
 კ. ხენა (ტ)  
 თვთო (ტ)  
 კოჯას (ტ)  
 საქტრიო (ტ)  
 საქტრიოზედ (ტ)  
 ლბ. ქუზაჯანის (ტ)  
 ლგ. ცხვარზედ (ტ)  
 ლზ. დილომში რაც სადედოფლო  
 გლეხი არის. დიდმიდამ მეჭი-  
 ნიბედ მარიამულები არიან.  
 შხარეულად მამუჩისშვილი სულხა-  
 ნა გიორგი და ბერი. მესაკლავედ  
 დათუნა მამუჩისშვილი (ტ)  
 ლშ ბეგთაბეგა (ტ)  
 აქესთ (ტ)  
 ექეს ექესი (ტ)  
 თვთოს (ტ)

ლთ. აბაშის შვილი დაეით მისის აზ-  
 ნაურ (ტ), (პ. უმიკაშვილის გადმოცე-  
 მაში დამატებულია: „აზნაურიშვი-  
 ლით“).

შა. რუისი სულობითა (ტ)  
 მბ. სადედოფლო რომელთაც მარ-  
 ხუაში სამარხო უნდა მოიტანონ  
 მათთვის.

ილ. შუა ბოლნისის გარიგებისა თვს  
 ით. საქტრიო (ტ)  
 კ. ხენა (ტ)  
 თვთო (ტ)  
 სოჯას (ტ)  
 საქტრიო (ტ)  
 საქტრიოზედ (ტ)  
 ლბ. ქუზაჯანის (ტ)  
 ლგ. ცხვარზედ (ტ)  
 ლზ. დილომში რაც სადედოფლო გლე-  
 ხი არის. შხარეულად მამუჩის-  
 შვილი სულხანა, გიორგი და ბერი  
 დიდმიდამ მეჭინიბედ მარიამულები  
 არიან. მესაკლავედ დათუნა მამუჩის  
 შვილი (ტ)  
 ლშ. ბეგთაბეგ(ტ)  
 აქესთ (ტ)  
 ექეს ექესი (ტ)  
 თვითოს (ტ)

ლთ. აბაშის შვილი დაეით მისის აზ-  
 ნაურ (ტ)<sup>1</sup>

შა. რუისი სილობითა (ტ)  
 მბ. სადედოფლო რომელთაც მარხვა-  
 ში სამარხო უნდა მოიტანონ  
 მათთვის<sup>2</sup>.

იოველ ალექსიძის ხელნაწერს აწერია: „ეს დასტურლამა ვიყიდე ალექ-  
 სის ძის იოველისაგან მე მეფის ძემ ბაგრატიან, 1821, თვესა ივლისის 8 სპგ“  
 (გადაწერილია იგი ამავე წლის მარტში). ეს წარწერა ბაგრატი ბატონიშვილს  
 ეკუთვნის. ამ ხელნაწერის ბოქაულთუხუცესის გარიგებაში (ხელნაწერის 21-ე  
 გვერდი) სახელს „შაჰყულიხან“-ს დასმული აქვს „ც“ სქოლიოში ჩატანის  
 მანიშნებლად, ამ ნიშნის ქვეშ ზუსტად იმავე ხელით და იმავე ფერის მელ-  
 ნით. ე. ი. ბაგრატი ბატონიშვილის მიერ გაკეთებულია ასეთი შენიშვნა: „ეს სა-  
 ხელი (შაჰყულიხანი ი. ს.) ვახტანგს — 6-ს ერქვა ოდეს იყო თათრად“.

მაისურაძის ხელნაწერში, რომელიც ბროსეს ეკუთვნოდა და რომელზე-  
 დაც ბროსეს მრავალი მინაწერებია გაკეთებული, ბოქაულთუხუცესის სარგოს  
 ამავე ადგილას სახელს „შაჰყულიხან“-ს დასმული აქვს ვარსკვლავისებური სა-

1 ამის შემდეგ ორივე ხელნაწერში მოყვანილია ხუთი გვარსახელი და მიმატებულია  
 „მისის“, ხოლო პ. უმიკაშვილს სიტყვა „აზნაურიშვილით“ ფრჩხილებში აქვს მოთავსებული. (იხ.  
 „დასტურლამალი“, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1936, გვ. 129).  
 2. ორივე ხელნაწერი მთავრდება სიტყვებით: „დასრულდა დიდება დ-თსა“.  
 ამის შემდეგ ორივე ხელნაწერში მოცემულია ჯერ სამეფო „დასტურლამალის“ საძიებ-  
 ლი და შემდეგ სადედოფლოსი.

ნიშნებელი (\*), რომლის ქვეშაც სქოლიოში წერია: „ეს საკელი მეფე ვახტანგს 6-ს ერქვა, ოდეს იყო თათრად“. აღნიშნული სიტყვები დაწერილია ტექსტის ხელითა და მეღნიით. მოყვანილ სიტყვების შემდეგ ფანქრით მიწერილია: „ესე იგი არს ლევან, ვახტანგის მამას, ერქვა ესრეთ“ (გვ. 26). როგორც ჩანს, აკად. მ. ბროსეს გაუსწორებია (ფანქრით) ბაგრატის შეცდომა იმის შესახებ, რომ ვახტანგ VI ერქვა შაჰყულიხანო, რადგანაც ამ სახელს ვახტანგ VI მამა ატარებდა გამუსლიმანების შემდეგ.

იმ ხელნაწერზე, რომელსაც არც თარიღი აქვს, არც გადაწერის გვარსახელი და ხელის მიხედვით სიმონ ტაბიძის გადაწერილად მიგვაჩნია (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2190), ამ ადგილზე ასე წერია: „ეს სახელი მეფე ვახტანგ 6-ს ერქვა, ოდეს იყო თათრად. ესე იგი არს ლევან ვახტანგის მამას ერქვა ესრეთ. უ. ბროსესე“. გადაწერს მართებულად მიუმატებია „უ. ბროსესე“, მაგრამ როგორც ვნახეთ, მ. ბროსეს ეს მთელი მინაწერი კი არ ეკუთვნის, არამედ მხოლოდ ის, რაც მაისურაძის ხელნაწერში ფანქრით არის მიმატებული. ს. ტაბიძის დანარჩენ ორივე ხელნაწერში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2192, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, S—23) იგივე მინაწერია გაკეთებული, მხოლოდ არ არის მიმატებული „უ. ბროსესე“. მ. ბროსეს მიერ ბაგრატის შენიშვნაზე ფანქრით მიწერილ განმარტებაზე მ. ბროსეს არ მიუწერია თავისი გვარსახელი. მაგრამ, ს. ტაბიძემ, რომელმაც მ. ბროსესაგან ითხოვა მაისურაძისეული ხელნაწერი, იცოდა მინაწერის ავტორის ვინაობა და კიდევ აღნიშნა ეს მის მიერ გადაწერილ ხელნაწერში. სამაგიეროდ არა ჩანს, იცოდა თუ არა ს. ტაბიძემ, ე. ი. 1-ს ხელნაწერის გადაწერმა, რომ მ. ბროსეს სქოლიოში მოთავსებული შენიშვნის მხოლოდ იმ ნაწილის ავტორია, რომელიც ფანქრით არის შესრულებული. „უ. ბროსესე“-ს მიწერით ისე გამოდის, რომ 1-ს გადაწერი მ. ბროსეს მთლიანი შენიშვნის ავტორად თვლის.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბაგრატის შენიშვნა და მ. ბროსეს მიერ ფანქრით მიწერილი განმარტება, ენობრივად ერთმანეთთან უმართებულად არის დაკავშირებული. დასაკავშირებლად მ. ბროსეს თავის განმარტება „ესე იგი“-თ დაუწყია, რაც არ უდგება წინა წინადადებას. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მ. ბროსეს მორიდებია ბაგრატ ბაგრატიონის პირდაპირ კრიტიკას და მოუხდომებია თავისი განმარტება ბაგრატის შენიშვნის გაგრძელებად გამოეყვანა, რათა წამკითხველს აღნიშნული მინაწერი და განმარტება ერთი ავტორის ერთ შენიშვნად მიეღო. ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ ბაგრატი შენიშვნას ხელს არ აწერდა და მ. ბროსესაც შენიშვნის გაგრძელებისათვის ხელი არ მოუწერია:

ამასთანავე, არის პირდაპირი ჩვენება იმის შესახებ, რომ ბროსეს კოლექციის „დასტურლამალის“ მაისურაძისეული ხელნაწერი გადაწერილია იოველ ალექსიდის 1821 წლის ხელნაწერიდან. მაისურაძის 1841 წლის ხელ-

1 პროფ. ვ. გაბაშვილს განხილული აქვს ხელნაწერი H—2190 და ამ მინაწერის შესახებ წერს: „ხელნაწერში „საინტერესოა მხოლოდ ხელნაწერის აშიაზე გაკეთებული მ. ბროსეს შენიშვნა: „ეს სახელი (შაჰყულიხან, ვ. გ) მეფე ვახტანგ მე-6-ერქვა ოდეს იყო თათრად: ესე იგი არს ლევან ვახტანგის მამას ერქვა ესრეთ. უ. ბროსესე“. საფიქრებელია, რომ ეს ხელნაწერი ბროსეს დავალებით ყოფილიყო გადაწერილი“. (ვ. გაბაშვილი, დასტურლამალი, 1729 წ. ხელნაწერი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, გვ. 84). როგორც ვნახეთ, შენიშვნის მხოლოდ ნაწილი ეკუთვნის მ. ბროსეს.



ნაწერს აქვს ბროსეს შემდეგი ფრანგული მინაწერი: „დასტურლამალი“ ანუ წიგნი სასახლის შემოსავლისა ვახტანგ VI კანონების მიხედვით... გადაწერილია განსვენებული ბაგრატი ბატონიშვილის ეგზემპლარიდან. გიორგი მაისურაძის მიერ, 1841“.

იოველ ალექსიძის 1821 წლის ხელნაწერიდან უნდა იყოს გადაწერილი ნაზარაშვილის ხელნაწერიც (ხელნაწერთა ინსტიტუტი, S — 3684). ამ ხელნაწერში ბაგრატის სქოლიოში მინაწერი შაჰყულიხანის შესახებ ტექსტშივეა ბრჭყალებში მოთავსებული. ტექსტი ასე იკითხება: „ჩუშნ, სრულიად ერანის მდივან-ბეგმან და საქართველოს ჩანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან, „ეს სახელი მეფე ვახტანგ 6-ს ერქუა ოღეს იყო თათრად“ „ჩუშნის კარის ეშვიკალასბაშის, ბოქოულთხუცისა და ყაფიჩის აასაულის სარგო ან ყოფა ამ გუარად გავარიგეთ“ (გვ. 15). როგორც ვხედავთ, სქოლიოში ჩასატანი ტექსტშივეა შეტანილი და ამიტომ სრულიად უადგილოდ გამოიყურება.

ნაზარიშვილის ხელნაწერი შეიძლება მაისურაძის ხელნაწერიდან იყოს გადაწერილი. თუ მაისურაძის ხელნაწერიდან არის გადმოწერილი, იგი მანამდე იქნებოდა შესრულებული, სანამ მ. ბროსე მაისურაძის ხელნაწერში ბაგრატის შენიშვნას, თავის მხრივ, ფანქრით თავის შენიშვნას გაუკეთებდა, რადგანაც ნაზარიშვილის ხელნაწერში მ. ბროსეს შენიშვნა არ არის.

\* \* \*

გიორგი მაისურაძის ხელნაწერი ხელთ ჰქონდა მ. ბროსეს, რომელმაც გააკეთა ფრანგული თარგმანი ამ ხელნაწერიდან. ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა. ამ ხელნაწერის აღწერილობას ვიძლევიტ გ. მაისურაძის ხელნაწერთან დაკავშირებით.

მ. ბროსეს ფრანგული თარგმანის ხელნაწერი ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში, ხელნაწერთა განყოფილება, E — 203. (ძველი 136 (137). გარეკანზე დაკრულია პატარა ქაღალდი, რომელზედაც აწერია (მანქანაზე დაბეჭდილი): Traduction française du: Dastoulamal, par le prince-royal Wakhtang, 1855, 4°, Ba, n°, 98, p. 166, 2. Французский перевод Дастурламала Вахтанга VI, 1855 г.

ხელნაწერი შედგება 83 ფურცლისაგან, დაწერილია ორივე გვერდზე, გარდა 77 და 82 ფურცლებისა, რომლების V — დაუწერელია.

ამასთანავე, ხელნაწერს ბოლოში ახლავს 7 დაუწერელი და დაუნომრავი ფურცელი.

სამეფო და სადედოფლო დასტურლამალის ფრანგული თარგმანი მთავრდება 77r-ზე.

ტექსტის დამთავრებისას მიწერილია: „fini le 25 mars“.

გადაწერა დამთავრებულია 1857 წლის 25 მარტს.

77-ე ფურცლის შემდეგ ხელნაწერში ჩადებულია 6 ფურცელი სხვა ქაღალდისა. ამ 6 ფურცლიდან ორი (77 და 78) თავის მხრივ განსხვავდება დანარჩენი 4 ფურცლისაგან (80, 81, 82, 83) და ცალ-ცალკე არის ჩადებული ხელნაწერში. დანარჩენი 4 ფურცელი ერთმანეთთან შეერთებული რვეულის ორ-ორი ფურცლისაგან შედგება. ეს ექვსი ფურცელი წარმოადგენს „დასტურლამალის“ ლექსიკონს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვიტ, რომ ეს

არის ერთგვარი ჩანაწერები ანუ შენიშვნები „დასტურლამალის“ ამა თუ იმ სიტყვის ახსნა-განმარტების შესახებ.

„დასტურლამალის“ ფრანგული თარგმანის ხელნაწერს ახლავს მთარგმნელის მრავალი მინაწერი. ყოველი გვერდის დაახლოებით მესამედი ნაწილი, მარცხენა აშიის სახით, მ. ბროსეს წინასწარ დაუტოვებია შენიშვნებისათვის და უმრავლეს შემთხვევაში ეს ადგილები გამოუყენებია კიდევ. შენიშვნები, ახსნა-განმარტებები აშეიბზე მოცემულია ფრანგულად. ასე, მაგალითად, ხელნაწერის პირველ გვერდზე „დასტურლამალის“ შესავლის იმ ადგილის გასწვრივ, სადაც ვახტანგ ბაგრატიონზეა საუბარი, მ. ბროსეს ასეთი შენიშვნა აქვს გაკეთებული: ვახტანგი იყო საქართველოს მმართველი თავისი ბიძის გიორგი XI მაგიერ 1703 და შემდეგ წლებში, სახელდობრ მაშინ, როცა შედგენილ იქნა ეს წიგნი.

თარგმანის ხელნაწერის მომდევნო გვერდებზე, უმრავლეს შემთხვევაში აშეიბზე, მ. ბროსეს გამოაქვს „დასტურლამალის“ რომელიმე ტერმინი და ცდილობს ამ ტერმინის ეტიმოლოგიის დადგენას. ამისათვის მ. ბროსე პირველ ყოვლისა, სიტყვას წერს ქართულად და იმის მიხედვით, თუ რომელი ენიდან წარმოშობილად მიაჩნია ის, გვერდზე უწერს არაბულს, სპარსულს ან თურქულ შესატყვისს. ამასთანავე, უმრავლეს შემთხვევაში, მ. ბროსე აღნიშნავს არაბულ სიტყვას A-თი, სპარსულს P-თი და თურქულს T-თი.

„დასტურლამალის“ შესავლის ბოლოს, უკანასკნელი აბზაცის წინა წინადადების გასწვრივ, სადაც საუბარია მოხელეების შესახებ, მ. ბროსეს აშეიბზე მიუწერია ფრანგულად: „ყველაფერი ეს გაუგებარია და ფრაზები გრამატიკულად დაუკავშირებელი“ (sans liaison).

წინადადებები მართლაც არ არის გამართულად მოცემული „დასტურლამალის“ ამ ადგილზე, მაგრამ აზრი მაინც გასაგებია. მოვიყვანოთ ისეთი ადგილი, რომელზედაც მ. ბროსეს მიუწერია გაუგებარიაო: „აწ ვიწყოთ და ამით ყოველთა ჰსცნან და დაიმარხონ“. ეს ნიშნავს: ახლა დავიწყებთ მოხელეების შესახებ დებულების გადმოცემას და ყველამ იცოდეს, ყველასათვის სავალდებულოა ეს დებულება.

მ. ბროსე აშეიბზე მიწერილ შენიშვნებში გვაძლევს განმარტებას იმისას, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის ტერმინი.

ბოქაული, მ. ბროსეს განმარტებით, არის პოლიციის მოხელე, ზინდარი — ცხენის შემკაზმავი, ნოქარი — მოსამსახურე ან ჯარისკაცი და სხვა.

ზოგიერთი ადგილი მ. ბროსეს ბუნდოვანად მიუჩნევია და მიახლოებით გადაუთარგმნია ან კიდევ თარგმანი არ დაუსრულებია. მაგალითად, „ახალის მოსულის კაცის შესახებ“ დებულების (მუხ. კდ.) ის ადგილი, რომელიც ზეთის გამოხდას ეხება და 27-ე მუხლის ის ადგილი, სადაც საციციანოს აღწერაზეა საუბარი („მდივანი წარჰყვება, მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი“), არ არის სრულიად გადათარგმნილი. ამ ადგილებზე თარგმანის დაუსრულებლობის აღსანიშნავად მრავალწერტილია დასმული.

ასეთი ადგილები თარგმანის ხელნაწერში მრავალია. გზადაგზა მ. ბროსე იძლევა ტერმინების განმარტებას და მოყავს ის წყაროები, რომელსაც მისი განმარტება ეყრდნობა. მაგალითად, ბოქაულის განმარტებისას მ. ბროსე იმოწმებს სულხანს, ვახუშტის, ბერეზინს (მაგალითად, მ. ბროსე წერს: „იხ. Березин, Ханские ярлыки, II, გვ. 29“). მ. ბროსე „დასტურლა-

„მლში“ მოცემულ ტერმინების შესატყვისს უცხო ენაზე ეძებს. მაგალითად, იასაუ-ლის შესატყვისს რუსულ ტერმინად მას მიაჩნია „расквашенный“ და ა. შ.

ხშირად ამა თუ იმ მუხლის ესა თუ ის ადგილი მ. ბროსესათვის საექვოა, გაურკვეველია. იმ მუხლის გასწვრივ, სადაც ღურნუჯის მოურავის შესახებაა საუბარი (მუხ. ნა), აშიაზე მ. ბროსეს ასეთი შენიშვნა აქვს გაცე-ოიებული: „არ ვიცი ამ ლაკონურ ფორმაში როგორი სარგოა ნაცვლისათვის. გათვალისწინებული“ და სხვა. ამ მუხლის მიხედვით მ. ბროსეს აზრით სა-ჩექმე (3 აბაზი) მოურავის გარდა ნაცვალსაც ეკუთვნის. სინამდვილეში კი როგორც ეს ჩვენს მიერ დადგენილ ტექსტიდან ჩანს, ასე არ უნდა იყოს.

მიუთითებთ ზოგიერთ მუხლებზე, რომლის ესა თუ ის ადგილი ბროსე-სათვის გაუგებარია: 50, 51, 56, 57, 58, 59, 60 და სხვა. თარგმანში თითქმის არ მოიპოვება ისეთი მუხლი, რომლის შინაარსის ფრანგულად გადმოცემის დროს მ. ბროსეს საექვო ადგილები ე. ი. გაურკვეველი ადგილები არ ეგულე-ბოდეს.

მ. ბროსეს ფრანგული ხელნაწერის 94-ე გვერდზე, იქ სადაც მოცემულია „დასტურლამალის“ მე-14 მუხლის (ჩვენი გამოცემის) თარგმანი, ჩადებუ-ლია ორი ფურცელი. პირველ ფურცელზე ანუ 94-ე გვერდზე მოცემულია 34-ე მუხლის თარგმანი, რომლის ადგილი იქ არ არის, ხოლო შემდეგ მოცე-მულია 44-ე და 56-ე მუხლების (ჩვენი გამოცემის) თარგმანის ვარიანტები. შემდეგ 97-ე გვერდი დაუწერელია, ხოლო 98-ე გვერდზე გრძელდება „დასტურლამალის“ მე-14 მუხლის თარგმანი<sup>1</sup>.

## 12. ნაზარიშვილის ნუსხა (N)

იოსებ ნაზარიშვილის ხელნაწერი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერება-თა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—3684). იგი აღნიშნული გვაქვს ლათინური N-ით, გვარსახელი „ნაზარიშვილის“ პირველი ასოს „ნ“-ის მი-ხედვით.

ხელნაწერის ზომა 22X17,5 სანტ., ჩასმულია მუყაოს ყდაში, დაწერილია ქაღალდზე, საკმაოდ გარკვეული მხედრული ხელით. ხელნაწერი გადაწერი-ლია 1842 წელს „იოსებ ნაზაროვის“ მიერ, რაც აღნიშნულია ხელნაწერის ბოლოს.

ხელნაწერი შეიცავს 177 გვერდს.

ტექსტი იწყება მე-3 გვერდზე. გვერდის დასაწყისში ეხვდებით სამკაულს (ისეთს, როგორც ახლავს ალექსიძის ხელნაწერს), რომლის შიგნით წერია: „დასტურლამალი. შესავალი წიგნისა ამის“. შესავლის პირველი სიტყვები, სინგურით დაწერილი, სათაურის სახით არის გამოყოფილი: „ეჰა შენ ყო-ველთა მბადო დიდება შენდა“. ამის შემდეგ სიტყვის „რომელმან“ პირველი ასო (რ) სინგურით არის წარმოდგენილი. სინგურითვეა დაწერილი მე-2 გვერდზე სათაურები: „სობათიასაულისათჲს“, „აბდრებისათჲს“, „ზინდრე-ბისათჲს“, „აჯილღის შიგამდეგისათჲს“ და „ალანდრებისათჲს“. შემდეგი მუხ-ლების ტექსტის პირველი სიტყვის პირველი ასოები აგრეთვე სინგურითაა წარმოდგენილი (გვ. 3—4). მეოთხე გვერდის მუხლის სათაურის („ალამა-

<sup>1</sup> ანბანური წესით შედგენილ ნუსხებში 14-ე პარაგრაფის ნომერია 163, 44-ისა 148, 56-ისა 149.

• თის კაცზედ დებულებისათს“) პირველი ასო და ტექსტის პირველი სიტყვის პირველი ასოც სინგურითაა დაწერილი და ამის შემდეგ ტექსტში სინგურით დაწერილი სიტყვა ან ასო სრულებით არ გვხვდება.

პაგინაცია ორგვარია: ერთი ტექსტის ფერის მელნით, რომელიც იწყება პირველი დაწერილი ფურცლის პირველი გვერდიდან და გრძელდება ბოლომდე (მთავრდება 177 გვერდით).

მეორე პაგინაცია გაკეთებულია ფანქრით. პირველი პაგინაცია არის გვერდობლივი, მეორე კი ფურცლების მიხედვით. მეორე პაგინაცია იწყება პირველივე ფურცლიდან (ხელნაწერის პირველი და მეორე ფურცელი დაუწერელია და იგი გვერდობლივ პაგინაციის გარეშეა). ფანქრით პაგინაცია მთავრდება 92-ე ფურცლით, რომელიც დაუწერელია.

ხელნაწერიდან ამოვარდნილია და შიგ დევს ოთხი ფურცელი: გვ. 17, 18, 19, 20.

ხელნაწერის აშიებზე მრავალი შენიშვნაა. ხელნაწერი მოკლედ აღწერილი აქვს აკად. ე. თაყაიშვილს, იგი ამ მინაწერების შესახებ განმარტავს: „на полях рукописи много заметок, большей частью заключающих в себе объяснения слов, писанных рукою профессора Д. Чубинидзе“<sup>1</sup>.

მინაწერები ერთი ხელით არის შესრულებული და უნდა ითქვას, რომ მის ავტორს ხელნაწერზე დიდი შრომა აქვს გაწეული.

როგორც წესი, მინაწერების ავტორს, მისი აზრით, ესა თუ ის მნიშვნელოვანი ტერმინი ქართულად გამოაქვს აშიაზე სახელობით ბრუნვაში. უმეტეს შემთხვევაში ასეთ სიტყვას მიწერილი აქვს ამ სიტყვის რუსული განმარტება, თუ მინაწერების ავტორს ტერმინი სპარსულიდან მომდინარედ მიაჩნია, მაშინ ქართულის შემდეგ ამ სიტყვას სპარსულად და შემდეგ რუსულად წერს. მინაწერები იმდენად ბევრია, რომ ზოგიერთი გვერდის აშიებზე ვერც კი მოთავსებულა და სხვა გვერდის აშიაზე არის გადატანილი. განსაკუთრებით ეს ითქმის ხელნაწერის დასაწყის გვერდებზე. მინაწერები არა აქვს შემდეგ გვერდებს: 32, 35, 52, 75, 76, 115, 147, 148, 175 და 177.

დ. ჩუბინაშვილი თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში, რომელიც 1887 წელს აქვს გამოცემული, სიტყვების განმარტებისას ხშირად „დასტურლამალზე“ უთითებს და ამ სიტყვების ისეთივე განმარტებას გვაძლევს რუსულად, როგორც ხელნაწერის აშიაზეა გაკეთებული. ზი მაგალითები:

1) დასტურლამალი, инструкция. მითითებულია ჩვენი ხელნაწერის 40-ე გვერდზე („ზარაფხანის რიგისათვისა“).

2) ლექსიკონში სიტყვა მდივანბეგობა განმარტებულია როგორც მდივანბეგის ხარისხი, звание судьи და მითითებულია ამჟამად ჩვენთვის საკვლევ ხელნაწერის 74 გვერდზე, მუხ. რ. მითითებულ გვერდზე მართლაც არის სიტყვა მდივანბეგობა.

3) ლექსიკონში ნაზირის განმარტებისას მითითებულია ჩვენი ხელნაწერის 26-ე გვერდზე და ამ გვერდზე მართლაც ორჯერ ნახსენებია ტერმინი ნაზირი (55 მე, მზ).

4. „საჩექმე“-ს განმარტებისას მითითებულია ჩვენი ხელნაწერის 28-ე გვერდზე. ამ გვერდზე მართლაც არის ეს სიტყვა, რომელიც მინაწერის ავ-

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Описание рукописей..., т. II, 1906—1912, стр. 698.

ტორს აშიაზე აქვს გამოტანილი და იმგვარადვე განმარტებული, როგორც ლექსიკონშია.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სიტყვა „საქვრიოს“ განმარტებისად ღ. ჩუბინაშვილი ვახტანგის სამართლის წიგნზე უთითებს (თუმცა „დასტურ-ლამალში“ ხშირად იხმარება ეს ტერმინი), რადგანაც ეს წიგნი მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მაშინ ქართულად, ხოლო „დასტურლამალი“ გამო-ცემული არ იყო. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ღ. ჩუბინაშვილი „დას-ტურლამალის“ ხელნაწერზე მხოლოდ მაშინ უთითებს, როცა ეს სიტყვა მას სხვა ძეგლში არ ეგულება. პ. უშიკაშვილმა „დასტურლამალი“ 1886 წელს გა-მოაქვეყნა. ლექსიკონი კი 1887 წელს გამოვიდა; ასე, რომ, ლექსიკონის და-მუშავების პროცესში ღ. ჩუბინაშვილს გამოქვეყნებული ტექსტი არ შეიძლე-ბოდა ხელთ ჰქონოდა. რაც შეეხება „დასტურლამალის“ გამოქვეყნებულ ნაწყვეტებს ეურნ. „მნათობში“, ამას ღ. ჩუბინაშვილისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნაწყვეტებად იყო და მეორეც, ლექ-სიკოგრაფს. როგორც მეცნიერს, ერჩია ხელნაწერი ჰქონოდა ხელთ, ვიდ-რე ისეთი ტექსტი, რომელსაც არ ახლდა სათანადო გამოკვლევა დასად-გენი ტექსტის შესახებ.

5. ლექსიკონში მოცემულია სიტყვა „ეშიკალასი“ და „ეშიკალაბაში“ და მითითებულია „დასტურლამალის“ მე-3, მე-12 და მე-15 გვერდებზე. ჩვენი ხელნაწერის აღნიშნულ გვერდებზე მართლაც არის ეშიკალასი და ეშიკალა-ბაში მოცემული.

6. ლექსიკოგრაფი სიტყვების „დანისტრად“ და „უდანისტროდ“ განმარ-ტებისას უთითებს „დასტურლამალის“ მე-15 გვერდზე. ჩვენი ხელნაწერის ამ გვერდზე მართლაც არის ორივე სიტყვა (მუხ. ლდ), რომლებიც ავტო-რის მიერ გატანილია აშიაზე და განმარტების სახით რუსულად მიწერილი აქვს: „с ведома“ („დანისტრად“-ის განსამარტავად) და „без позволения“ („უდანისტროს“ განსამარტავად). ლექსიკონში ამგვარადვეა ეს სიტყვები განმარტებული.

7. ლექსიკონში მოყვანილია სიტყვა „დანიმი“ და მითითებულია „დას-ტურლამალის“ 79-ე, 86-ე და 88-ე გვერდები. ჩვენი ხელნაწერის სათანა-დო გვერდებზე მართლაც არის ეს სიტყვა (რბ, რიდ, რიშ) აშიაზე გა-მოტანილი.

შეიძლებოდა კიდევ მეტი მაგალითების მოყვანა, მაგრამ მოტანილიც სავსებით საკმარისად მიგვაჩნია იმის დასადასტურებლად, რომ ღ. ჩუბინა-შვილს „დასტურლამალი“ დამუშავებული ჰქონდა N ხელნაწერის მი-ხედვით და თავის ლექსიკონში, როცა იგი „დასტურლამალზე“ უთითებს, სწო-რედ ეს ხელნაწერი აქვს მხედველობაში. ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშ-ნოთ, რომ „დასტურლამალის“ არც ერთი ხელნაწერი (15-დან) ერთმანეთს გვერდობლივად არ მისდევს.

დავით ჩუბინაშვილს ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით N ხელნაწერის აშიე-ბიდან გადააქვს თავის ლექსიკონში ამა თუ იმ სიტყვის განმარტება.

ხელნაწერს სარჩევი არ ახლავს.

მოვიყვანოთ ზოგიერთი განსხვავება ალექსიძის ხელნაწერთან შედარებით:

30. ქართული სამართლის ძეგლები

- |                                  |                                   |
|----------------------------------|-----------------------------------|
| 1. ჰსენება (გვ. 3)               | 1. ხსენებად (გვ. 2)               |
| 2. რისხვისა (გვ. 3)              | 2. რიგის (გვ. 2)                  |
| 3. აბანოთ იჯარათათუს (გვ. 6)     | 3. აბანოს იჯარისათუს (გვ. 3)      |
| 4. არაყ-ხანის იჯარათათუს (გვ. 6) | 4. არაყხანის იჯარისათუს (გვ. 3).  |
| 5. მეითრისა თუს (გვ. 85)         | 5. მეითრისა—თუს (გვ. 81)          |
| 6. მერიქიფეთხუცისთუს (გვ. 85)    | 6. მერიქიფეთხუცისა — თუს (გვ. 81) |
| 7. მეძალღეთხუცისა თუს (გვ. 88)   | 7. მეძალღედ-ხუცისა — თუს (გვ. 84) |

სათაურებში ალექსიძის ხელნაწერისაგან განსხვავებით ნაზარიშვილის ხელნაწერში არის ნახმარი ხაზი, მაგალითად, A-ში „მწუჭანვილისა თუს“ (გვ. 88), ხოლო N-ში — „მწუჭანვილისა-თუს“ (გვ. 83); A-ში „ქარხნის მუშრისა თუს“ (გვ. 88), N-ში „ქარხნის მუშრისა-თუს“ (გვ. 84); A-ში „მუსტაფის რუსუმისა თუს“ (გვ. 89), N-ში „მუსტაფის რუსუმისა-თუს“ (გვ. 85) და ა. შ. მაგრამ, ჩვენ აღო ვაგრძელებთ ასეთი მაგალითების მოყვანას, რადგანაც დადგენილი ტექსტის სქოლიოებში მნიშვნელოვანი განსხვავებანი ნაჩვენები იქნება.

მუხლებად დაყოფის ნუმერაცია A-სა და N-ში ერთი და იგივეა, მხოლოდ „სადედოფლო დასტურლამალის“ ბოლო მუხლის ნუმერაცია განსხვავებულად არის წარმოდგენილი N-ში. საქმე იმაშია, რომ სადედოფლო „დასტურლამალის“ უკანასკნელი მუხლის აღმნიშვნელი მზ N-ში გამოტოვებულია, ტექსტი კი იგივეა.

„სამეფო დასტურლამალის“ ბოლო ზუსტად ისევეა, როგორც A-ში. N-ში წერია: „დასრულდა მისის უმაღლესობის, სრულიად ზემოჰსა საქართველოს მპყრობელის მეფის ვახტანგ ბაგრატიონის დასტურლამალი, რომლისა ქსენება იყავნ საუკუნოდ. დიდება ღმერთა მომცემსა ყოვლისა კეთილისასა“. (გვ. 148).

„სადედოფლო დასტურლამალის“ ბოლოს მიწერილია: „დასრულდა დიდება ღმერთსა 1842. იოსებ ნაზაროვისაგან — მარიანობისთვის 15“ (გვ. 177). აქედან ვგებულობთ, რომ ხელნაწერი გადაწერილია იოსებ ნაზაროვის მიერ.

ორთოგრაფიულად A და N ხელნაწერებს შორის განსხვავება თითქმის არ არის. „თითქმის“ იმიტომ ვამბობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უმნიშვნელო განსხვავებას მაინც ვხვდებით. მაგალითად: A-ში კარ (გვ. 1), N-ში ხარ (გვ. 1); მაგრამ ხ-სა და კ-ს ხმარების საწინააღმდეგო შემთხვევაც არის: A-ში — „ხსენება“ (გვ. 146), N-ში — „ქსენება“ (გვ. 77); A-ში „სასაკლის“ (გვ. 5), N-ში „სასახლის“ (გვ. 4). A-ში „წაიყუანონ“ (გვ. 14), N-ში „წაიყვანონ“ (გვ. 8). ძირითადად კი სიტყვები ერთგვარი დაწერილობით არის წარმოდგენილი ორივე ხელნაწერში. მაგალითად:

N

- |                       |                      |
|-----------------------|----------------------|
| ნაცუალი (გვ. 14)      | ნაცუალი (გვ. 8)      |
| სხჭა (გვ. 14)         | სხჭა (გვ. 8)         |
| ქუჭყანა (გვ. 14)      | ქუჭყანა (გვ. 8)      |
| ქართუჭლი (გვ. 14)     | ქართუჭლი (გვ. 8)     |
| ქასადარი (გვ. 14)     | ქასადარი (გვ. 8)     |
| ექჭისი (გვ. 14)       | ექჭისი (გვ. 8)       |
| შეგუატყობინა (გვ. 14) | შეგუატყობინა (გვ. 8) |

კქმნას (გვ. 14)

კქმნას (გვ. 8)

სიკუდილი (გვ. 15)

სიკუდილი (გვ. 9)

კეობა (გვ. 15)

კეობა (გვ. 9)

სოფლებისათვის (გვ. 15)

სოფლებისათვის (გვ. 9)

ამასთანავე, ხშირად ერთი და იგივე სიტყვა ერთნაირად არ იწერება. მაგალითად: ძღვენი (A — გვ. 14, N — გვ. 8), ძღუჭნი (A — გვ. 42, N — გვ. 36). აგრეთვე: ნაცუალი, ნაცვალი და ნაცუალი გვხვდება როგორც A-ში (გვ. 14, 134), ისე N-ში (გვ. 8). ასეთი შემთხვევები სხვადასხვა არის.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ბატონის წყლის გარიგებაში ანჩისხატის დეკანოზის შესახებ დამატება, როგორცაა A-ში (გვ. 19), ისევეა N-შიც (გვ. 13).

N-ში ტყავის გარიგებაში სიტყვების „ბატონის ტყავი“-ს შემდეგ დატოვებულია ცარიელი ადგილი, რომელზედაც ერთი ან ორი სიტყვა დაეტივა (გვ. 110). ეს ცარიელი ადგილი ასევეა დატოვებული A-შიც (გვ. 111).

სახლთხუცესის გარიგების მიხედვით N-ი მისდევს A-ს. სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებით A-ში არ არის სიტყვები „თუმანი მოვა“ (გვ. 104), ასევეა N-ში (გვ. 102).

A-სა და N-ში, რდ (მუშის რუსუმი) და რე (მოლარეებისა) მუხლებითავე ცარიელი ადგილებია დატოვებული, ხოლო ამ სათაურების გასწვრივ ვერტიკალურად წერია: „არ არიან დაწერილი დედანში“ (A—გვ. 84, N — გვ. 80), განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ A-ში „დაწერილი“-ს ნაცვლად წერია „დაწერილ“.

როგორც ზემოთ ვთქვით, A ხელნაწერს ბოქალთუხუცესის სარგოში სახელს „შაჰ-ყულიხანს“ დასმული აქვს სქოლიოში ჩატანის ნიშანი და ამ ნიშნის ქვეშ ბაგრატ ბატონიშვილის მიერ მიწერილია: „ეს სახელი მეფე ვახტანგ 6-ს ერქუ, ოდეს იყო თათრად“ (გვ. 21). N-ში, ეს მინაწერი თვით ტექსტშია მოთავსებული, მხოლოდ ბრჭყალებშია ჩასმული. ტექსტი მინაწერის შიგ მოთავსებით ასე იკითხება: „ჩუჭნი სრულიად ერანის მდივან-ბეგმან და საქართუჭლოს ჯანიშინმან პატრონმან შაჰყულიხან „ეს სახელი მეფე ვახტანგ 6-ს ერქუა ოდეს იყო თათრად“. ჩუჭნის კარის ეშოკალას-ბაშის ბოქალთ ხუცისა და ყაფიჩისა იასაულის სარგო და ან ყოფა ამ გუარად გავარიგეთ“... (N; გვ. 15). სქოლიოს სიტყვების ტექსტში შეტანით წინადადება სავსებით უაზროთ გამოიყურება. საკმარისია ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები ამოვიღოთ, რომ გამართული წინადადება მივიღოთ. ამ მინაწერის შესახებ დაწერილებით საუბარი გვაქვს მაისურაძის ხელნაწერთან დაკავშირებით.

ყველა მინაწერის მიხედვით, ნაზარიშვილის ხელნაწერი A-საგან მომდინარეობს. იმ შემთხვევაში, თუ ნაზარიშვილის ხელნაწერი მაისურაძის 1841 წლის ხელნაწერიდან არის გადმოწერილი, მაშინ ნაზარიშვილს მაისურაძის ხელნაწერიდან ეს ნუსხა მანამდის აქვს გადმოწერილი, სანამ მ. ბროსე სქოლიოში შესწორებას შეიტანდა, რადგან ნაზარიშვილის ხელნაწერში მ. ბროსეს ეს შესწორება არ არის გათვალისწინებული, ხოლო უფრო გვიანდელ ხელნაწერებში გათვალისწინებულია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ხელნაწერი H — 2192. ჩვენს მიერ აღნიშნული იგი ლათინური T-თი, გვარსახელის „ტაბიძის“ პირველი ასოს „ტ“-ს მიხედვით. ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნებულია ნაშრომში შემდეგი სათაურით: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ხელნაწერთა აღწერილობა, V, 1949, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ, ა. ბარამიძის რედაქციით“.

ხელნაწერის ზომაა 22,5×17,4, სანტ. ჩასმულია ყდაში, დაწერილია ქალღალღზე, მხედრულთ.

ზედა და ქვედა ყდის შიგნით გამოკრულია ლურჯი ქალღალღი. ასეთივე ლურჯი ქალღალღის საფარი ფურცელი არის ხელნაწერის დასაწყისსა და დასასრულში. ხელნაწერი თარიღიანია. გადაწერილია იგი 1869 წლის იანვარ-თებერვალში, შედგება 131 ფურცლისაგან, უკანასკნელი 3 ფურცელი დაუწერელია.

ხელნაწერს აქვს გვერდობლივი ნუმერაცია. ზედა ყდის საფარი ლურჯი ფურცლის შემდეგ არის ფურცელი, რომელსაც r-ზე აწერია „1“. ამავე ფურცლის v-ზე გვერდის ნომერი არ არის და გვერდიც ცარიელია. ამ ფურცლის r-ზე არის მოცემული ხელნაწერის სათაური: „დასტულამალი“. ამავე გვერდის თავზე დასმულია ხელნაწერის ძველი №№ 127 და 74 (ციფრები გადახაზულია). ეს ნომრები ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის უნდა იყოს, ხელნაწერი იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან არის. ამავე გვერდზე გადახაზულია ციფრები 49 და 12. გადახაზულ 127-სა და 74-ეს ქვეშ წერია: „დასტულამალი ქართლისა“. ამავე გვერდზე მოცემულია ხელნაწერის ახლანდელი №—2192.

ტექსტი იწყება მომდევნო ფურცლიდან, რომლის r-ზე გვერდის აღმნიშვნელი ნომერი არ არის, v-ზე კი არის გამოყვანილი „2“, მაშასადამე, გვერდობლივი ნუმერაცია ტექსტიდან ხელახლა იწყება. ტექსტი მთავრდება 256-ე გვერდზე. მას მისდევს 3 თავისუფალი ფურცელი, I ცარიელი ფურცლის r-ზე სწერია 257, v-ზე გვერდის აღმნიშვნელი ნომერი არ არის. მომდევნო ფურცლის r-ზე წერია 258 და ამით წყდება ნუმერაცია, ე. ი. 258v-ზე არ არის გვერდის აღმნიშვნელი ნომერი. დაუნომრავია აგრეთვე მომდევნო ცარიელი ფურცელი. გამორჩენილია გვერდის აღმნიშვნელი ნომერი „240“. ხელნაწერის თითოეული ფურცლის v-ზე გამოყვანილია: „დასტულამალი“, ხოლო r-ზე — „მეფის ვახტანგისა“.

ხელნაწერში საკუსტოსო ნიშნად ნახმარია მომდევნო გვერდის პირველი სიტყვა ან მისი ნაწილი. საკუსტოსო ნიშანი არ არის დასმული მე-4 გვერდზე, ალბათ იმიტომ, რომ მოხელეთა სია არის მოცემული, მე-8 გვერდზე საკუსტოსო ნიშნად შეცდომით წერია „აზ“ (მომდევნო გვერდზე იგი არ არის). 48-ე გვერდზე საკუსტოსო ნიშანი გამოტოვებულია, 78-ე გვერდზე სოფლების სიის შემდეგ არ არის საკუსტოსო ნიშანი. 161-ე გვერდზე საკუსტოსო ნიშნად „ქოდავის“ ნაცვლად წერია „ქოდაგი“, 202-ე გვერდზე მთავრდება „სამეფო დასტულამალი“ და ალბათ, ამიტომ საკუსტოსო ნიშანი არ არის დასმული, 239-ე გვერდზე არ არის დასმული საკუსტოსო ნიშანი, რადგანაც მომდევნო 240-ე გვერდი დაუწერელია.



27-ე გვერდზე ბოქაულთუხუცესების გარიგების ტექსტში სახელ „შაჰ-ყულიხან“-ს გაკეთებული აქვს სანიშნებლად ჯვარი და ამ სანიშნებლის ქვეშ აშიაზე წერია: „ესე სახელი მეფე ვახტანგ 6-ს ერქვა ოდეს იყო თავრად (უნდა იყოს „თათრად“ — ი. ს.). ესე იგი არს ლევან ვახტანგის მამას ერქვა ეს-რეთ“. ალექსიძის (A) ხელნაწერიდან მომდინარე ეს მიხაწერი პირველად ვრცლად მოცემულია მაისურაძის (გ) ხელნაწერში, და იგი მაისურაძის ხელნაწერთან დაკავშირებით განვიხილეთ.

78-ე გვერდზე თრიალეთის სახასო სოფლების სიაში სახელს „ზემო ოლ-გსიც“-ს დასმული აქვს სანიშნებლად X და ამ სანიშნებლის ქვეშ ქვემო აშიაზე წერია: „ოლთისი“ (§ 43).

118-ე გვერდზე მუხლების რდ-სა და რე-ს გასწვრივ ვერტიკალურად წე-რია: „არ არიან დაწერილ დედანში“.

მუხლების ანუ პარაგრაფების ნუმერაცია მოცემულია ქართული ასოებით. „სამეფო დასტულამალი“ შედგება 222 მუხლისაგან, „სადედოფლო დას-ტურლამალი“ კი 52 მუხლისაგან, მხოლოდ უკანასკნელი სათვალავი ნომერი „მბ“ გამოჩენილია. ხელნაწერს ბოლოში ახლავს საძიებლები: „საძიებელი სა-მეფო დასტულამალისა“ გვ. 241—254, საძიებელი „სადედოფლოს დასტუ-ლამალისა“ გვ. 254—256.

სამეფო დასტურლამალის ბოლოს წერია: „დასრულდა მისის უმაღლე-სობის სრულიად ზემოხსა საქართველოს მპყრობელის მეფის ვახტანგ ბაგრა-ტოვანის დასტულამალი, რომლისა ხსენება იყავნ საუკუნოდ. დიდება ღმრთსა ზომცემსა ყოვლისა კეთილისასა“. (გვ. 202).

„სადედოფლო დასტურლამალის“ დასასრულს (გვ. 239) წერია: „დას-რულდა, დიდება ღმერთსა“.

„სამეფო დასტურლამალის“ საძიებლის ბოლოს წერია: „დასრულდა სა-ძიებელი სამეფოს დასტულამალისა“ (გვ. 253). „სადედოფლო დასტურლა-მალის“ საძიებლის ბოლოს წერია: „დასრულდა საძიებელი სადედოფლოს დასტულამალისა. აღიწერ სანკტებეტერბურლს შინა, წელსა 1869, თ. თებერ-ვალსა“ (გვ. 256).

უკანასკნელი თავისუფალი ფურცლის V-ს ბოლოში სწერია ფანქრით: „В этой рукописи сто двадцать девять (129) листов 1900II/8“. ეს მინაწერი გაკეთებულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საქარო ბიბლიოთე-კაში. ფურცლების რაოდენობა ზუსტად არ არის ნაჩვენები.

როგორც ვთქვით, ხელნაწერი შედგება 131 ფურცლისაგან. მინაწერის ავ-ტორი, ჩანს ეყრდნობა იმას, რომ ხელნაწერში შეცდომით, ე. ი. გვერდების გამოტოვების შედეგად, გვერდის აღმნიშვნელი უკანასკნელი ციფრი არის 258, ამის ნახევარი კი მართლაც 129 ფურცელი იქნება.

სასვენ ნიშნებად ნახმარია წერტილი, წერტილ-მძიმე, მაგრამ სასვენო ნიშნები ხშირად თავის ადგილზე არ არის.

#### 14. ს. ტაბიძის 1869 წლის მარტ-აპრილის ნუსხა (t)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, H—2190-ით ინახება ხელნაწერი, რომელიც ჩვენს შრომაში აღნიშნულია ლათინური „t“-ით გვარსახელის „ტაბიძის“ პირველი ასოს „ტ“-ს მიხედვით.

ხელნაწერის ზომა 21×16,8 სანტ., ჩასმულია მუყაოს ყდაში, რომელსაც გადაკრული აქვს მატერია. ზედა ყდის შიგნით გამოკრულია ყვითელი ქაღალდი. ასეთივე ფერის ქაღალდის ერთი ფურცელი (პირველი) არის საფარის სახით ხელნაწერის დასაწყისში. ხელნაწერს ბოლოსაც დართული აქვს ასეთივე ფერის ერთი საფარი ფურცელი და ქვედა ყდის შიგნითაც გამოკრულია ამ ქაღალდის ფურცელი.

ხელნაწერი გადაწერილია საკმაოდ გარკვეული მხედრული ხელით. მისი მოკლე აღწერილობა მოცემული აქვს ლ. მეფარიშვილს. ამ აღწერილობაში ნათქვამია, რომ ხელნაწერი შედგენილია XIX საუკუნეში და რომ იგი მომდინარეობს იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან<sup>1</sup>.

ხელნაწერს მოკლედ ეხება თავის შრომაში პროფ. ვ. გაბაშვილიც. იგი აღნიშნავს: 1) ხელნაწერი გადაწერილია XIX ს. პირველ ნახევარში, და „მთლიანი ასლია იოველ ალექსიძის 1821 წლის ხელნაწერისა არა მარტო სიტყვისიტყვით, არამედ თავფურცელზედ გაკეთებული სამკაულითაც (ოთხკუთხედად ჩახაზული ჯვრიანი სვეტები)“; 2) მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ხელნაწერის აშიაზე გაკეთებულია მ. ბროსეს შენიშვნა სახელის შაპყულისხანის შესახებ; 3) ეს ხელნაწერი პროფ. ვ. გაბაშვილის აზრით ვარიანტულ სხვაობათა დასადგენად არ გამოდგება<sup>2</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის ყველა ხელნაწერი დავით რექტორის ხელნაწერიდან მომდინარეობს. ამ ხელნაწერებში შედის როგორც ალექსიძის, ისე ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერიც. ამიტომაც, შეიძლება ვთქვათ, რომ საერთოდ ეს ხელნაწერიც იოველ ალექსიძის ხელნაწერის მსგავსია და, მაშასადამე, პროფ. ვ. გაბაშვილის ასეთი მოსაზრება სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება.

თავფურცელზე გაკეთებული სამკაული ძლიერ ჰგავს იოველ ალექსიძის ხელნაწერის სამკაულს, მაგრამ სწორედ ოთხკუთხედად ჩახატული ჯვრიანი სვეტების ბოლოებითა და თავზე დახატული ჯვრის დასაყრდენის მოხატულობით მისგან განსხვავდება. ამ დეტალებში *t* ხელნაწერი ზუსტ მსგავსებას ამჟღავნებს *g* ხელნაწერის თავფურცლის მოხატულობასთან და *t* ხელნაწერიც სწორედ *g*-საგან არის გადაწერილი.

სახელი შაპყულისხანის შესახებ მინაწერი, როგორც ამის შესახებ იოველ ალექსიძის ხელნაწერის გარჩევის დროს გვქონდა საუბარი, ბაგრატ ბატონიშვილს ეკუთვნის, ხოლო მ. ბროსემ, მაისურაძის ხელნაწერის ამ შენიშვნაში თავის მხრივ შესწორება შეიტანა.

*t* ხელნაწერი შეიცავს 268 გვერდს. ნუმერაცია გაკეთებულია გვერდობლივად. უკანასკნელი ნომერი არის „267“. 268 გვერდი დაუწერელია, დაუწერელია აგრეთვე ამის მომდევნო 5 ფურცელი. ქვედა ყდის შიგნით გადაკრულ ყვითელი ფერის ქაღალდზე რუსულად აწერია: „В этоѣ рукописи стотридцать четыре (134) листа, 1900. 1.29“.

1 „ხელნაწერთა აღწერილობა“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), ტომი V, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებულია ლუბა მეფარიშვილის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით, 1949 წ., გვ. 134—135.

2 ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 84—85).

ხელნაწერის პირველი გვერდის აღმნიშვნელი „1“ არ არის მოცემული, ალბათ იმიტომ, რომ იქ თავფურცლის სამკაულია დახატული. 215-ე გვერდის შემდეგ შეცდომით წერია 116 გვერდი. 216—217 და 218-ის ნაცვლად 117 და 118, ხოლო მომდევნო გვერდის აღმნიშვნელი ციფრი სწორად არის „219“.

ხელნაწერს სათაური „დასტურლამალი“ არ ახლავს. თავფურცელზე სამკაულის ქვეშ ცალკე გამოტანილია ძეგლის შესავლის პირველი სიტყვები: „ეჰა შენ ყოველთა მბაღო, დიდება შენდა“.

მე-2 გვერდზე თავში წერია: „დასტურლამალი“, ხოლო მომდევნო გვერდზე — „მეფის ვახტანგისა“. გვერდების ასეთი დასათაურება მოცემულია ხელნაწერის ბოლომდე.

ძეგლის პირველი სიტყვა „ეჰა“-ს პირველი ასო დაწერილია სინგურით. ამის შემდეგ სიტყვა „რომელმან“-ის პირველი ასო აგრეთვე სინგურით არის დაწერილი. სინგურითვეა შესრულებული შესავალ აბზაცების — „აწ ვიწყოთ“-ისა და „პირველი ჭერ-არს“-ის პირველი ასოები (გვ. 3 და 4). ხელნაწერის სხვა ადგილას სინგურით დაწერილი სიტყვა ან ასო არ გვხვდება.

საკუსტოსო ნიშნად იხმარება მომდევნო გვერდის პირველი სიტყვა, ხოლო თუ მომდევნო გვერდზე წინა გვერდიდან სიტყვაა გადატანილი, მაშინ საკუსტოსო ნიშნად მოყვანილია გადატანილი სიტყვის ეს ნაწილი და მომდევნო სიტყვა ან სიტყვის ნაწილი. საკუსტოსო ნიშანი არ არის მე-4, მე-7 და 21-ე გვერდებზე, ალბათ იმიტომ, რომ ამ გვერდებზე მოცემულია სიები (გვ. 4, მოხელეთა სია, გვ. 7 — სოფლების სია, გვ. 21 — აიღარბეგის ხეობის სოფლების სია).

საკუსტოსო ნიშანი არ არის აგრეთვე 211-ე გვერდზე, რადგანაც აქ მთავრდება „სამეფო დასტურლამალი“. 37-ე გვერდზე საკუსტოსო ნიშნად შეცდომით წერია „გორგის“, მომდევნო გვერდის პირველი სიტყვა კი არის „გორის“. 29-ე გვერდზე, ბოქაულთხუცების სარგოს პარაგრაფში (5 ლდ) სიტყვა „შაპყულისხანის“ შემდეგ დასმულია სანიშნებლად X და ამ სანიშნებლით სქოლიოში წერია: „ეს სახელი მეფე ვახტანგს 6-ს ერქვა, ოდეს იყო თათრად. ესე იგი არს ლევან, ვაცხანგის მამას ერქვა ესრეთ“. ასეთი მინაწერები გაცემებულია სხვა ხელნაწერებშიც და მათ შესახებ საუბარი გვექონდა A ხელნაწერის განხილვასთან დაკავშირებით.

30-ე გვერდის მარცხენა აშიაზე მიწერილია: „ჩიენ“, ხოლო ასო „ჩ“-ს მოკლე ვერტიკალური ხაზი აქვს დასმული. მის გასწვრივ სტრაქონში მსგავსი სიტყვა არის „ჩვენ“. შესაძლებელია გადაშწერს ხელთ ჰქონდა ხელნაწერი, რომელშიაც ამ ადგილზე „ჩვენ“-ი სხვაგვარი დაწერილობით იყო წარმოდგენილი: ჩუჰნ, ჩუნენ, ან კიდევ შეცდომით ისე ეწერა, როგორც ეს ხელნაწერის აშიაზეა წარმოდგენილი.

122-ე გვერდზე, როგორც ალექსიძის და მაისურაძის ხელნაწერებშია მოცემული, ისე აქაც, რდ („მუშისა რუსუმის“) და რე („მოლარეებისა“) მუხლების მართო სათაურებია მოცემული, რომელთა გასწვრივაც ვერტიკალურად წერია: „არ არიან დაწერილ დედანში“.

„სამეფო დასტურლამალის“ დასასრულს წერია: „დასრულდა მისი უმაღლესობის, სრულიდ ზემოდასა საქართველოს მპყრობელის მეფის ვახტანგ ბაგრატიონის დასტურლამალი, რომლისა ქსენება იყავნ საუკუნოდ. დიდება ღმრთა მომცემსა ყოვლისა კეთილისასა“ (გვ. 211).

„სადედოფლო დასტურლამალის“ ბოლოში წერია: „დასრულდა დიდება ლ-თსა“ (გვ. 250). შემდეგ მოდის „სამეფო დასტურლამალის“ საძიებელი, რომლის დასასრულს წერია: „დასრულდა საძიებელი სამეფოს დასტურლამისა“ (გვ. 264). მას მოსდევს „სადედოფლო დასტურლამალის“ საძიებელი, რომლის დამთავრების შემდეგ მიწერილია: „დასრულდა საძიებელი დედოფლის დასტურლამისა“. (გვ. 267). ეკვლი მუხლებისა ანუ პარაგრაფებისაგან შედგება. მუხლების ნუმერაცია გაკეთებულია ქართული ასოებით „სამეფო დასტურლამალი“ შედგება 222 მუხლისაგან და უკანასკნელს მუხლს აწერია: „სკბ“. „სადედოფლო დასტურლამალი“ შედგება 42 მუხლისაგან. უკანასკნელი მუხლის ნომრის აღმნიშვნელი ქართული ასოები არ არის, სარჩევში კი არის (მბ).

ორიოდე სიტყვა t-ს თარიღის შესახებ.

მაისურაძის ხელნაწერზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის წარწერა იმის შესახებ, რომ სიმონ ტაბიძემ ითხოვა მ. ბროსესაგან მაისურაძისეული ხელნაწერი გადასაწერად. ეს წარწერა ჩვენ მოვიყვანეთ მაისურაძის ხელნაწერის განხილვასთან დაკავშირებით. მ. ბროსესაგან სიმონ ტაბიძეს გ ხელნაწერი 1869 წლის 22 იანვარს უთხოვია (წარწერა რუსულ ენაზეა). სიმონ ტაბიძე, როგორც ამ წარწერიდან ჩანს, მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა.

„დასტურლამალის“ T ხელნაწერის დასასრულს, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (H—2192), წერია: „ალიწერა სანკტპეტერბურღს შინა წელსა, 1869, თ. თებერვალსა“. „დასტურლამალის“ ხელნაწერის ბოლოს, რომელიც თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება (S—23) წერია: „ალიწერა სანკტპეტერბურღსა უღირსისა გურულის სვიმონ ტაბიძისათა. მათის უგანათლებულესობისათვის ბატონიშვილის ბაგრატის ძის დავითისათჳს. წელსა 1869. მაისსა 20“ („გვ. 287). ორივე ხელნაწერი ერთი ხელით არის დაწერილი: მაშასადამე, სიმონ ტაბიძეს აკად. მ. ბროსესაგან უთხოვია „დასტურლამალი“ და ერთხელ მისი გადაწერა დაუმთავრებია თებერვალში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2192), მეორეთ — მაისში (თბილისი, საჯარო ბიბლიოთეკა, S—23). იმავე ხელით გადაწერილია ამჟამად ჩვენი საკვლევი ხელნაწერი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H, 2190), რომელსაც არც გადამწერის გვარსახელი ახლავს და არც გადაწერის თარიღი, ხელის მიხედვით კი გადაწერილი უნდა იყოს სიმონ ტაბიძის მიერ.

ამჟამად საკვლევი ხელნაწერი (t), ჩვენი ვარაუდით, ს. ტაბიძეს გადაწერილი უნდა ჰქონდეს 1869 წლის თებერვალ-მარტ-აპრილში. რას ემყარება ჩვენი მოსაზრება? თუ კი t. ს. ტაბიძის მიერ არის შესრულებული, რატომ არ შეიძლებოდა, რომ მას ეს ხელნაწერი გადაეწერა მაისის შემდეგ თვეებში, ან კიდევ 1869 წლის მომდევნო წლებში?

პირველ ყოვლისა, თარიღი, რომლის უწინ არ შეიძლებოდა ის გადაწერილიყო, ვიცით. ეს არის 1869 წლის 22 იანვარი, როცა ს. ტაბიძემ მიიღო მაისურაძისეული ხელნაწერი გადასაწერად. ამის შემდეგ არის გადაწერილი ს. ტაბიძისეული ყველა ხელნაწერი.

t-ს 1869 წლის მარტ-აპრილით დათარიღების სასარგებლოთ შეიძლება შემდეგი საბუთების მოყვანა:

1) მ. ბროსემ ს. ტაბიძეს ათხოვია ხელნაწერი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელნაწერი განსაზღვრული ვადით მიიღო ტაბიძემ, მერე კი მაისურაძისეული

ხელნაწერი ისევ მ. ბროსეს უნდა დაბრუნებოდა. მაისურაძისეული ხელნაწერი მ. ბროსეს სამუშაო ეგზემპლარი იყო, მის აწიებზე მ. ბროსეს აუარე-  
ზელი მინაწერია. ამ ეგზემპლარიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, აწარმოებდა  
მ. ბროსე „დასტურლამალის“ ქართულიდან ფრანგულზე თარგმნას. ამიტო-  
მაც მ. ბროსე ვერ გასცემდა მაისურაძისეულ ხელნაწერს სამუდამოთ ან ხან-  
გრძლივი დროით, მით უმეტეს რომ ფრანგული თარგმანი მას გამოცემული  
არ ჰქონდა.

ამის გამო, 1869 წლის 20 მაისს, როცა ს. ტაბიძემ დაასრულა 1' გადა-  
წერა, ახალი ეგზემპლარის გადაწერას კი აღარ შეუდგებოდა, არამედ ხელნა-  
წერს დაუბრუნებდა პატრონს.

2) სიმონ ტაბიძემ ითხოვა მ. ბროსედან ხელნაწერი 1869 წლის 22 იან-  
ვარს და უკანასკნელი ეგზემპლარის გადაწერა დაასრულა 1869 წლის 20 მაისს.  
მაშასადამე, გადამწერმა 22 იანვრიდან 20 მაისამდე სამი ეგზემპლარი გადა-  
წერა. პირველი ეგზემპლარი მას თებერვალში დაუსრულებია („1869 თ. თე-  
ბერვალსა“); სხვა შემთხვევაში ს. ტაბიძე ციფრს არაბული ნიშნით გადმოსცემს  
(მაგალითად, 1' მან დაასრულა „20“ მაისს); გარდა ამისა, „თ“-ს წერტილი  
უზის. ამიტომ ხომ არ ნიშნავს (აქ „თ“. შემოკლებული „თვესა“? თუკი „თ“  
„9“-ს უდრის მაშინ ს. ტაბიძეს I დაუსრულებია 9 თებერვალს. 1-ს გადა-  
წერას იგი შეუდგებოდა 1869 წლის თებერვალშივე, და ალბათ, დაასრულებ-  
და 1869 წლის მარტსა ან აპრილში, ხოლო 1'-ს გადაწერას ს. ტაბიძე დაიწყებ-  
და აპრილშივე და დაამთავრა როგორც ვიცით 1869 წლის 20 მაისს. ასეთია  
ჩვენი ვარაუდი.

მაშასადამე, 1 გადაწერილია 1869 წლის თებერვალ-მარტ-აპრილში.

### 15. 1869 წ. მაისის ტაბიძისეული ხელნაწერი (1')

თბილისის კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბ-  
ლიკურ ბიბლიოთეკაში ინახება „დასტურლამალის“ ხელნაწერი S—23, რო-  
მელიც ჩვენს მიერ აღნიშნულია ლათინური „1“-ით, გვარსახელ „ტაბიძის“  
პირველი ასო „ტ“-ს მიხედვით.

ხელნაწერის მოკლე აღწერილობა მოცემულია ხელნაწერის განყოფილე  
ბის თანამშრომლის ციალა ჩიკვაშვილის მიერ (არაა გამოქვეყნებული).

ხელნაწერის ზომაა 22,1 X 17,2 სანტ. ჩასმულია იგი მუყაოს ყდაში, რომელ-  
საც აქვს ტყავის ყუა. დაწერილია ქალაღზე, მხედრული, გარკვეული ხელით.

ზედა და ქვედა ყდის შიგნით გადაკრულია თეთრი ქალაღი. პირველი  
ორი ფურცელი ცარიელია და დაუნომრავი. ქვედა ყდასაც წინ აქვს საფარად  
ერთი დაუწერელი ფურცელი. ხელნაწერს ახლავს მელნითა და ფანქრით შეს-  
რულებული გვერდობლივი ნუმერაცია.

ხელნაწერი 144 ფურცლისაგან შედგება: გვერდის ნუმერაცია მთავრდე-  
ბა ციფრით „287“, და შომდევნო გვერდი — 144v დაუნომრავია.

189-ე გვერდის აღმნიშვნელი ციფრის შემდეგ, ნაცვლად 190-სა, შეცდო-  
მით წერია 181. მომდევნო გვერდები თანმიმდევრობით მიყვება ბოლომდე.  
ეს შეცდომა გაუსწორებიათ. მელნით შეცდომით დაწერილი ციფრები ფანქ-  
რით გადაუხაზავთ და გადახაზულის ზემოთ დაუწერიათ გვერდების სწორად  
აღმნიშვნელი არაბული ციფრები: 181 ნაცვლად 190, 182 ნაცვლად 191 და  
ასე ხელნაწერის ბოლომდე.

ხელნაწერი შედგება ორი ნაწილისაგან: სამეფო და სადედოფლო „დასტურლამალისაგან“. ზედა ყდის შიგნით ფანქრით აწერია: „დასტურლამალი“, იგივე წერია პირველ საფარ ფურცელზე. მეორე ცარიელსა და დაუნომრავ ფურცელზე ფანქრით გამოყვანილია: „НАЧАЛО“.

ხელნაწერის ყოველი ფურცლის v-ზე წერია — „დასტურლამალი“, ხოლო r-ზე — „მეფის ვახტანგისა“.

გვერდიდან გვერდზე გადასვლის საკუსტოსო ნიშნად ნახმარია მომდევნო გვერდის პირველი სიტყვა, ან სიტყვის ნაწილი. აქედან გამოჩანის წარმოადგენს მე-6 გვერდი (§ ი, სოფლების ჩამოთვლა), მე-8 გვერდი (§ იგ, ნოქრების სია), მე-20 გვერდი (§ კე, სოფლების სია), 226-ე გვერდი. მათ საკუსტოსო ნიშანი არ გააჩნიათ. 226-ე გვერდით მთავრდება „სამეფო დასტურლამალი“, ხოლო 270-ე გვერდით — „სადედოფლო დასტურლამალი“.

„დასტურლამალის“ მუხლებისა ანუ პარაგრაფების ნუმერაციისათვის ნახმარია ქართული ასოები.

„სამეფო დასტურლამალი“ შედგება 222 (სკბ) მუხლისაგან, „სადედოფლო დასტურლამალი“ — 52 მუხლისაგან, მაგრამ უკანასკნელი პარაგრაფის აღმნიშვნელი ციფრი „მბ“ არ არის.

„დასტურლამალს“ ახლავს საძიებელი: „სამეფო დასტურლამალისა“ (გვ. 271—284) და „სადედოფლო დასტურლამალისა“ (გვ. 284—287).

სასვენ ნიშნებად ნახმარია: მძიმე, წერტილი, ორი წერტილი და მრავალწერტილი.

28-ე გვერდზე, ბოქულოთუხუცესების სარგოს ტექსტში სახელს „შაჰყულიხანს“ დასმული აქვს სანიშნებლად ვარსკვლავი (\*) და ამ ნიშნის ქვეშ ქვემო აშიაზე წერია: „ეს საკელი მეფე ვახტანგს 6-ს ერქვა, ოდეს იყო თავრად: ესე იგი არს ლევან, ვახტანგის მამას ერქვა ესრეთ“.

224-ე გვერდზე, სკბ მუხლის სათაურად „ქელმწიფის ტყვის ხარჯის“ ნაცვლად წერია: „ქელმწიფის ტყვის ჯარისათჳს“.

226-ე გვერდზე, „სამეფო დასტურლამალის“ დასასრულს წერია: „დასრულდა მისის უმაღლესობის ს-დ ზემოჲსა საქართველოს მპყრობელის მეფის ვახტანგ ბაგრატიონის დასტურლამალი, რომლისა ხსენება იყავნ საუკუნოდ. დიდებ ღმთა მომცემსა ყოვლისა კეთილისაჲსა“.

270-ე გვერდზე „სადედოფლო დასტურლამალის“ დასასრულს წერია: „დასრულდა, დიდება ღმერთსა“.

284-ე გვერდზე „სამეფო დასტურლამალის“ საძიებლის ბოლოს წერია: „დასრულდა საძიებელი სამეფოს დასტურლამალისა“.

287-ე გვერდზე „სადედოფლო დასტურლამალის“ საძიებლის დასასრულს წერია: „დასრულდა საძიებელი „სადედოფლო დასტურლამალისა“. ამავე გვერდის ბოლოს წერია, რომ ს. ტაბიძემ ეს ხელნაწერი შეასრულა დავით ბაგრატიის ძე ბაგრატიონისათვის 1869 წლის მაისში.

უკანასკნელი ფურცლის r-ზე წერია: „ამ ხელნაწერში ორას ოთხმოცდაშვიდი (287) დაწერილი გვერდია“. ეს გაკეთებულია საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში ხელნაწერის შემოსვლის შემდეგ.

ქვედა ყდის საფარი ფურცლის v-ზე წერია: „100 მ“, ალბათ ას მანეთად არის შეძენილი ეს ხელნაწერი საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის მიერ კერძო პირისაგან.

ქ ნუსხა თარიღიანია. მისი გადაწერა დასრულებულია 1869 წლის 20 მაისს.

# დასტურლამალის ტექსტი

## შესავალი

[M 5; S 2r; K 4r] ეპა დიდება შენდა მბაღო ყოველთაო<sup>1</sup>, რომელმან ყოველნი არსნი და არა არსნი<sup>2</sup> არსებად მოიყუანენ<sup>3</sup>. იყავ, ხარ და ეგები უკუნისამდე, ეამთა და წელთა დაუბერაობითა<sup>4</sup> და შენ გადიდებენ ყოველნი ქმნილია<sup>5</sup> ჳელთა შენთან. დიდება გამოუთქმელსა და მიუწოდომელსა ძალსა ღმრთაებისა<sup>6</sup> შენისასა და აღურაცხელსა კაცთმოყუარებასა<sup>1</sup> შენსა. ჩვენ, შენ<sup>8</sup> მიერ პირველთაგანვე<sup>3</sup> ზეცით საქართველს მეფედ განკუთვნილისა<sup>4</sup> და აწ სასუფეველ<sup>5</sup> ცათა შინა სულ-ბრწყინვალედ<sup>6</sup> მნათობელისა<sup>7</sup>, პირველ ვახტანგ<sup>8</sup> ხმობილისა და შემდგომად სპარსთა ენითა<sup>9</sup> შაჰნავაზ<sup>10</sup> წოდებულის<sup>10</sup>, ძის მისის ქართველთა მეფისა და სრულიად ერანელთა სპასალარისა და სპასპეტად დადგინებულისა, ყანდაარისა<sup>11</sup> და ქირმანისა ბეგლარ-ბეგისა, გირიშკის და ჰაილათისა<sup>12</sup> მჭირავისა, პირველი გიორგი ხმობილისა და შემდგომად მეორე შაჰნავაზ<sup>13\*\*</sup> [K 4r] წოდებულის მაგიერად მყოფმან, ძმის წულმან მისმან და ძემან ერანის მდივანბეგის შაჰყულიხანისამან<sup>14</sup>, საქართველოს ჯანიშინმან ბატონისშვილმან პატრონმან ვახტანგ, ოდეს<sup>15</sup> 15 ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ<sup>16</sup> წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა, და განუჩინეთ და განუწესეთ<sup>17</sup> წიგნითა ამით, რათა ყოველნი ხელისუფალნი და

<sup>1</sup> ეპა დიდება შენდა მბაღო ყოველთაო MSK; ეპა შენ ყოველთა მბაღო დიდება შენ-  
და cet.  
<sup>2</sup> ყოველნი არსნი და არა არსნი MSKDBL; ყოველნი არა არსნი cet.  
<sup>3</sup> მოიყუანენ მოიყანენ S. <sup>4</sup> დაუბერაობითა MSKDL; დაუბერაეობითა cet.  
<sup>5</sup> ქმნილი AgNTit'.  
<sup>6</sup> ღმრთაებისა DQI'; ღთაებისა S; მღთებისა M; მღრთაებისა cet.  
<sup>7</sup> კაცთმოყუარებას S. <sup>8</sup> შენ MSK;—cet.  
<sup>9</sup> პირველთაგანვე M; პირველითაგანვე DQL; პირველიდანვე cet.  
<sup>10</sup> განკუთვნილისა MDQL; განკუთვნილისა cet.  
<sup>11</sup> სასუფეველ სასუფეველ M.  
<sup>12</sup> სულ ბრწყინვალედ სულ ბრწყინვალად M.  
<sup>13</sup> მნათობელისა MSK; მნათობელის cet.  
<sup>14</sup> ენითა ენათა SK.  
<sup>15</sup> შაჰნავაზ ჩვენი კონიექტურა; შაჰნავაზ M; შანავაზ cet.  
<sup>16</sup> წოდებულის წოდებულისა SK.  
<sup>17</sup> ყანდაარისა ყანდარისა MS.  
<sup>18</sup> ჰაილათისა M; აილათისა S; ჰილათის K; აჰილათის cet.,  
<sup>19</sup> მეორე შაჰნავაზ KN; მეორე შაჰნავაზ M; მეორე შანავაზ SDQBLA; მეორე ნავაზ გTt  
მეორედ ნავაზ I'.  
<sup>20</sup> შაჰყულიხანისამან შაჰყულიხანისამა M. <sup>21</sup> ოდეს ოდენს M.  
<sup>22</sup> ვიგულეთ და ვიგულის მოდგინეთ MS; ვიგულს მოდგინეთ cet.  
<sup>23</sup> განუწესეთ SKDQLB; განუწესთ M; განუწესთ cet.  
\* ვახტანგი—ქართლის მეფე, მუხრანის ბაგრატიონთა პირველი წარმომადგენელი. გამაჰმად-  
ღანების შემდეგ მას შაჰნავაზი ეწოდებოდა.  
\*\* ვახტანგის შვილი გიორგი XI, — ქართლის მეფე, გამაჰმადიანების შემდეგ შაჰნავაზ-  
დაც იწოდებოდა.

მოქმედნი დარბაზი<sup>1</sup> M<sup>1</sup> ის<sup>1</sup> რიგისანი ესრეთ იქცეოდნენ და განაგებდნენ თვის-  
 თვისნი<sup>1</sup> მოქმედნი საჯელოთა თვისთა, და წესითა შემსგავსებითა იქცეოდენ,<sup>4</sup>  
 რომელთაცა არს გონიერება, უკეთუ სჯულისდებასა საჯელმწიფოთასა ეგნენ  
 უცვალბებლად და ნურავინმცა<sup>2</sup> მკადრე იქნებიან<sup>3</sup> ბრძანებულისა და განჩინებუ-  
 5 ლისა რიგისა ამის შეცვალვებით სვლასა, არამედ კეთილად და ესრეთ ჰყონ,  
 ვითარცა გვემცნეს<sup>4</sup>, რამეთუ<sup>4</sup> უეჭველად და დაუცადებლად არს მივლინება ბო-  
 როტი უწესოდ მქცეველთა<sup>5</sup> ზედან, ხოლო [S 3v] პატივი და დიდება არა მედ-  
 გარსა მონასა, არამედ მორჩილად განმგესა და მართებით მქცევსა\*.

აწ ვიწყით და ამით ყოველთა სცნან<sup>6</sup> და დაიმარხონ წესი და რიგი ესე,  
 10 თუ რომელი სამსახურის მოქმედი<sup>7</sup> და მოხელენი დაგვიდგენიან<sup>8</sup> სახელოთა თვისთა<sup>9</sup>  
 ზედან<sup>10</sup> ეგნენ; და ესრეთ<sup>11</sup> თვითოეულად<sup>12</sup> აღ[K 5v]წერილის წიგნითა ამით  
 იცნობენ<sup>13</sup> და ნუმცავინ დაკლებულ იქნების<sup>14</sup> ნახევარი ერთხანს<sup>15</sup> \*\*, და ნახე-  
 ვარი მეორე ხანს<sup>16</sup>. ცვალვებითა და რიგითა სამსახურსა ჩვენსა, რაჟამს რომლი-  
 15 სა<sup>17</sup> რიგი აღესრულოს, კვალად სხვა<sup>18</sup> კარისაგან განუყრელად იქნებოდენ<sup>18</sup> თვის-  
 თა უხუცესთა დასტურითა და შეკითხვითა.

პირველ ჯერ არს ხსენება<sup>19</sup> და აღწერა, რამეთუ ამათ მიერ არს რიგი<sup>19</sup>  
 პურობისა წყალობისა და რისხვისა<sup>20</sup>.

<sup>1</sup> დარბაზისა MSK; დარბაზის cet.

<sup>1</sup> თვის თვისნი] თავის თვისნი M.

<sup>2</sup> იქცეოდენ რომელთაცა არს გონიერება უკეთუ სჯულის-დებასა საჯელმწიფოთასა ეგნენ  
 უცვალბებლად და ნურავინმცა (სიტყვა სჯულისდება ერთნაირად არ არის წარმოდგენილი ყველა  
 ხელნაწერში: „სჯულის დებასა“ QB; „სსჯულისდებასა“ DA გლ; სჯულის დებათა N; D-ში დაწვე-  
 ბული სიტყვიდან „რომელთაცა“ და დამთავრებული სიტყვით „უცვალბებლად“, გადაფხეკილია და  
 ნაწვალბებია ამოშლის მიზნით, მაგრამ სიტყვები კარგად იკითხება); იქცეოდენ და ნურავინმცა MS;  
 იქცეოდენ და ნურავინმცა K.

<sup>3</sup> იქნებიან S; იქნებიან cet.

<sup>4</sup> გვემცნეს MSK; გვემცნეს DQBL; გუშემცნეს A; გვემცნეს N; გუშემცნეს გლ;  
 გუშემცნეს T. <sup>4</sup> რ M.

<sup>5</sup> მქცეველთა M; მქცევთა cet.

<sup>6</sup> სცნან AgNTtt'

<sup>7</sup> მოქმედნი S.

<sup>8</sup> დაგვიდგენია M; დაგვიდგინებია cet.

<sup>9</sup> თვისთა M.

<sup>10</sup> ზედან MSK; ზა NT; ზედა cet.

<sup>11</sup> ესრეთ] ესრე QBL.

<sup>12</sup> თვითოეულად MSK; თვითოეულად DQBLANT; თვითოეულად gtt'.

<sup>13</sup> იცნობენ SKQBLD; იცნობენ M; რათა იცნობდნენ AgNTtt'.

<sup>14</sup> იქნების S; იქმნების cet.

<sup>15</sup> ერთხანს S (უანასყენელი ასო „ს“ სხვა მელნით არის ჩამატებული); ერთხან MK  
 ერთხანად cet.

<sup>16</sup> მეორე ხანს MKS (S-ში „მეორე“-ს შემდეგ „დ“ გადახაზულია); მეორედ ხანს cet.

<sup>17</sup> რომელსა SK.

<sup>18</sup> სხვა MSDQBL; სხვა NT; სხვა cet.

<sup>18</sup> იქნებოდენ M; იქმნების K; იქმნებოდენ cet.

<sup>18</sup> ხსენება MSKT; ხსენებად N; ჰსენება, cet.

<sup>19</sup> იგი M. <sup>20</sup> რიგის N.

\* M-ში სიტყვა „მქცევსა“-ში ასოების „მქც“-ს შემდეგ დაწერილია „ი“. რომელიც გარკ-  
 ვვით არ იკითხება და იმავე ფერის მელნით დიდ წერტილად არის გადაქცეული.

\*\* ტექსტში S-ის მიხედვით დავტოვეთ „ერთხანს“, რადგანაც MK-ში ვაქვს „მეორეხანს“.

ე. ი. დაბოლოებამ „ს“ არის მოცემული.



კარი<sup>1</sup> 1. ყოველის ხელჯობიანისა და მათის თაბუნისა\*

1. [კო\*\* M 7] ყოველის ხელჯობიანისა და მათი ხარგოსი<sup>2</sup>

დაგვიყენებია<sup>3</sup> ეშიაკლასბაშად<sup>4</sup> არაგვის ერისთვის შვილი ზურაბ, ამი-  
ლახვარის შვილი რევაზ. ეს ორნი ამ საჯელოში<sup>5</sup> იყვნენ.

იქნა 2<sup>6</sup>

ბოქაულთ-უბუცესი ორბელიშვილი გორჯასპი<sup>7</sup>

არაგვის ერისთვის შვილი ნუგზარ

ამილახვარის შვილი ბეჟან

ავალიშვილი<sup>8</sup> ზაზა

[K 5 v.] ციციშვილი<sup>9</sup> სეხნია

ფალავანდიშვილი<sup>10</sup> შიოშ

ჩხეიძე თეიმურაზ

იარალიშვილი ვახტანგ<sup>11</sup>

ციციშვილი<sup>12</sup> ლევან

შალიკაშვილი<sup>13</sup> იბაშერ

სამისშვილი<sup>14</sup> ქაიხოსრო

გურჯი რევაზისშვილი\*\*\* რევაზ

ციციშვილი<sup>15</sup> ლიპარიტ

შალიკაშვილი<sup>16</sup> ზურაბ

[M 8] ნარიმანა<sup>17</sup>

ზურაბიშვილი<sup>18</sup> ბეჟან

<sup>1</sup> კარი o M;—cet.

<sup>2</sup> კარი პირველი. ყოველის კელჯობიანისა და მათი ხარგოსი M (M-ს სარჩევში „მათი სარგოსი“-ს ნაცვლად არის „მათის თაბუნისა“); კარი პირველი ყოველისა კელჯობიანისა და მათის ხარგოსი S; კარი პირველი ყოველის კელჯობიანისა და მათი ხარგოსი K; ბოქაულთუბუცესი და ეშიაკლას ბაშები J; ბოქაულთუბუცესისა და ეშიაკლასბაშებისათჳს DQBL; ბოქაულთუბუცესთა(T-ში: ბოქაულთუბუცესთა)და ეშიაკლასბაშებისათჳს AgNT; ბოქაულთუბუცესთა და ეშიაკლასბაშებისათჳს t'.

<sup>3</sup> დაგვიდგენია SK.

<sup>4</sup> ეშიაკლასბაშად M; ეშიაკლასბაშთ gTt';—t (t-ში არ არის: „დაგვიყენებია ეშიაკლასბაშად არაგვის ერისთვის შვილი“); ეშიაკლას ბაშთ cet.

<sup>5</sup> საჯელოში M; საჯელონი SK; კელობაში. \* იქნა ბ M;—cet.

<sup>7</sup> ბოქაულთუბუცესი ორბელისშვილი გორჯასპი SJDQBLAgNTt', (J-ში ორბელიშვილი; t'-ში ბოქაულთუბუცესი). ბოქაულთუბუცესად ორბელიშვილი გორჯასპი M;—K.

<sup>8</sup> ავალიშვილი MSK; ავალის შვილი cet.

<sup>9</sup> ციციშვილი MSK; ციცის შვილი cet.

<sup>10</sup> ფალავანდიშვილი M; ფალავანდის შვილი cet.

<sup>11</sup> იარალი შვილი ვახტანგ M;—cet.

<sup>12</sup> ციციშვილი-MSK; ციცის შვილი cet

<sup>13</sup> შალიკაშვილი MSKJ; შალიკას შვილი cet.

<sup>14</sup> სამი შვილი M; სამის შვილი SK; სამის შვილი cet.

<sup>15</sup> ციციშვილი MSKJ; ციცისშვილი cet.

<sup>16</sup> შალიკა შვილი MSKJ; შალიკასშვილი cet.

<sup>17</sup> ნარიმა LAgNTt'.

<sup>18</sup> ზურაბი შვილი M; ზურაბისშვილი cet.

Zu den höheren Beamten gehörten gleich nach dem Mourawi zwei Beamte aus der Kaufmannschaft (der «Meliki» und der «Mamasachlissi»), die zusammen mit dem Mourawi für die administrativen, finanziellen und gerichtlichen Angelegenheiten der Stadt zuständig waren.

Zur Teilnahme an der Stadtverwaltung, der Rechtsprechung, der Festlegung der Warenpreise u. s. w. wurden auch angesehene Vertreter der wohlhabenden Städter — die sog. «Stadtväter» — herangezogen. In der Stadt gab es untere, kleine Polizeibeamte, denen exekutive Pflichten oblagen. Sie begleiteten den Mourawi, spürten Verbrecher auf und erstatteten dem Mourawi darüber Bericht\*.

Besondere Erwähnung verdient, daß nur im Dasturlamali außerordentlich wertvolles Material zum Studium der wirtschaftlichen Lage und des Verwaltungssystems der «Eli» (turkmenischer Nomadenvölker, die laut dem Dasturlamali dem König «gehörten») zu finden ist. Im Dasturlamali sind die von ihnen zu entrichtenden Abgaben, die Beamten, in deren Händen die Ver-

---

\* I. Surguladse, «Zur Staats- u. Rechtsgesch. Georgiens» 1952, S. 514—444; Sch. Meßchia, Städte u. städtische Verfassung des feud. Georgiens 1959, S. 244—313.

waltung lag, u. s. w. aufgezählt (Art. 88—106). Im Dasturlamali ist ein spezieller Artikel der Festlegung der Grenze zwischen Kartli und Kachetien gewidmet (Art. 42).

Im Denkmal ist die Durchführung systematischer (einmal in drei Jahren) Volkszählungen vorgesehen und die Ordnung dieser Volkszählungen festgelegt. Ein spezieller Artikel enthält die Vorschriften über das Zeremoniell bei der Bestattung des Königs (Art. 203).

Im Dasturlamali der Königin wird der zur Bedienung der Königin bestimmte Beamtenapparat beschrieben; gleich dem König besaß auch die Königin ihre Sachltuchuzessis, ihren Polizeiparat u. s. w. Sie besaß aber keinen Mdiwanbegi: die Gerichtsfunktionen übte ihr Sachltuchuzessi aus.

Im Dasturlamali der Königin werden die Besitzungen der letzteren und die von den Bauern zugunsten der Königin zu entrichtenden Abgaben ausführlich aufgezählt.

Dasselbst sind auch die Beamten aufgezählt, denen die Verwaltung der Besitzungen der Königin oblag.

Unter den Untersuchungen, die dem Dasturlamali gewidmet sind, sind vor allem die Arbeiten von M. Brossé zu nennen. Er hat den gekürzten Inhalt einiger Artikel des Dasturlamali ins Französische übersetzt<sup>1</sup>. Er hat später auch das ganze Denkmal — mit Ausnahme einiger Artikel — ins Französische übersetzt. Die Handschrift befindet sich in Leningrad (Institut der Völker Asiens bei der Akad. d. Wissensch. d. UdSSR, Manuskripte — Abt. E.—203). Bei der Herausgabe des Dasturlamali in französischer Sprache wird die Arbeit von Brossé eine äußerst wesentliche Hilfsquelle darstellen.

Es sei hier auch bemerkt, daß die an der Bibliothek d. Akad. d. Wissenschaften d. USSR als Wissenschaftler tätige E. A. Lappa-Starschenezkaja den französischen Text von Brossé ins Russische übersetzt hat (zu Unterrichtszwecken, im Auftrage des Leningrader Instituts für Jurisprudenz). Die Übersetzung zeichnet sich durch sorgfältige Bearbeitung des Textes und äußerst treffende Wahl der entsprechenden russischen Terminologie aus der Staats- und Rechtsgeschichte Rußlands aus. Diese Arbeit wird für den Herausgeber des Dasturlamali in russischer Sprache von großen Nutzen sein.

I. Dschawachischwili betrachtete den Dasturlamali als Quelle des georgischen Feudalrechts und als Denkmal, das äußerst wertvolles Material zu den verschiedenen Gebieten der Geschichte Georgiens enthält<sup>2</sup>.

In seinem der Staatsordnung Kartlis gewidmeten Werk geht Lordkipanidse speziell auf den Dasturlamali als wichtiges Denkmal der Geschichte Georgiens ein<sup>3</sup>. Eine spezielle Untersuchung hat Prof. Sch. Meßchia zwei Handschriften des Dasturlamali (der Handschrift von Kobulaschwili und der Handschrift aus der Sammlung von J. Bagrationi) gewidmet<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Histoire de la Géorgie, Introduction et Tables des matières, 1858, (c. III—c. IX).

<sup>2</sup> I. Dschawachischwili «Geschichte d. Georg. Rechts» B. II, 1928, S. 73—81. und (ebenfalls von ihm) «Wirtschaftsgeschichte Georgiens», B. I. 1930, S. 51—52 (beide Bücher in georg. Spr.)

<sup>3</sup> «das Untere Kartli», I, II, 1935, S. 7—12. (in georg. Spr.)

<sup>4</sup> Sch. Meßchia, u «Materialien zur Geschichte Georgiens und des Kaukasus» 1954, 36, Aufl. in georg. Spr.

Im J. 1943 hat W. Minorski in England ein Denkmal in persischer Sprache herausgegeben, das vom Britischen Museum (1924) erworben wurde.

Das persische Denkmal trägt die Überschrift «Tadhkirat al-muluk» und enthält die Beschreibung der Staatsordnung Irans während der Sasaniden-Dynastie. W. Minorski hat zugleich mit dem persischen Text eine englische Übersetzung desselben nebst ausführlichen Kommentaren herausgegeben<sup>1</sup>. Das Denkmal datiert ungefähr aus dem J. 1725. In Iran wurden aber ähnliche Denkmäler auch früher herausgegeben.

W. Minorski entnahm dem georgischen Dasturlamali einzelne Fragmente, die für ihn speziell ins Englische übersetzt wurden, verglich sie mit dem persischen Denkmal und gelangte zur Schlußfolgerung, daß das georgische Denkmal dem Inhalt nach mit dem persischen «identisch» sei.

Somit wurde die Originalität des georgischen Denkmals in Zweifel gestellt.

Indes geht aus dem Dargelegten mit voller Deutlichkeit hervor, daß der Dasturlamali gerade dem Inhalt nach ein originelles georgisches Denkmal ist. Im Dasturlamali wird eine Menge von Benennungen georgischer Dörfer, georgischer Ämter (Mourawi, Nazwali, Mamassachlissi u. s. w.), bürgerlicher Pflichtleistungen, die es nur in Georgien gab und die von nirgends übernommen werden könnten, angeführt. Nicht um Identität, sondern lediglich um den Einfluß der Staatsordnung Irans auf diejenige des Kartlischen Reiches kann es sich handeln. Auf diesen Einfluß wurde seinerzeit von Wachushti hingewiesen<sup>2</sup>.

I. Dschawachischwili schreibt: «Es genügt in den Artikel des Dasturlamali über die Münzstätte (Art. 69) Einsicht zu nehmen, um sich von dem starken Einfluß Irans auf diesem Gebiet zu überzeugen. Der Einfluß Irans macht sich — wenn auch in geringerem Maße — auch in den anderen Einrichtungen Ostgeorgiens geltend<sup>3</sup>.

Dieser Einfluß hat vor allem in der Hausordnung des Kartlischen Königshofes, in den Benennungen der Ämter, in den Organen der Zentralverwaltung seine Widerspiegelung gefunden. Die persisch-türkischen Termini, die sich in der Staatsordnung Georgiens eingebürgert haben, sind jedoch in der Regel ihrem Inhalt nach georgischen Ursprungs.

Prof. W. Gabaschwili, der dem Vergleich des von W. Minorski veröffentlichten persischen Textes mit dem georgischen Text eine spezielle Untersuchung gewidmet hat, gelangte zu folgendem Schluß: der Dasturlamali ist ein georgisches originelles juristisches Denkmal, das auf der Basis der geor-

<sup>1</sup> Tadhkirat al-muluk, a manuel of Sasanid administration, Persian text in facsimile with Translation and Commentary by V. Minorski, London, 1943.

<sup>2</sup> Wachushti, Geographie Georgiens, Einleitung, Übersetzung und Kommentare von M. G. Dschaschischwili, 1904 («Publikationen der Kaukasischen Abt. der Kaiserlichen Russisch-Georg. Gesellsch. B. XXIV. N. Aufl. S. 17—19.

<sup>3</sup> I. Dschawachischwili, Geogr. Numismatik und Metrologie, 1925, S. 45.

W. Gabaschwili, Der persische Dasturlamali (Publikationen der Staatl. Univ. Tbil XXXV, 1949, S. 191—270 (in georg. Spr.).

gischen feudalen sozialwirtschaftlichen Formation entstanden ist und die Gesellschafts- und Staatsordnung des spätf feudalen Georgiens widerspiegelt. Zugleich weist aber der Verfasser auch auf den Einfluß der Staatsordnung Irans auf das damals von diesem Lande beherrschte Georgien hin<sup>1</sup>. Lediglich in bezug auf den Artikel, der sich auf die Münzstätte bezieht, gibt Gabaschwili die Möglichkeit zu, daß dieser Punkt nach dem Muster des persischen Dasturlamali verfaßt ist, da in Tbilissi in der Periode des Dasturlamali persisches Geld gemünzt wurde<sup>1</sup>.

Prof. I. Dolidse, der den georgischen Dasturlamali nach der Handschrift von 1729 herausgab, geht in der dem Denkmal gewidmeten Untersuchung ebenfalls auf die betreffende Frage ein und gelangt zur Schlußfolgerung: der Vergleich des persischen Dasturlamali mit dem georgischen läßt keinen Zweifel daran aufkommen, daß der georgische Dasturlamali ein originelles Denkmal des georgischen Rechts darstellt<sup>2</sup>. Schließlich sei noch bemerkt, daß es noch ein Denkmal (in georgischer Sprache) unter dem Titel «Dasturlama» gibt<sup>3</sup>. Es wurde im J. 1818 für das Fürstentum Megrelien vom N. Dadiani, einer populären Persönlichkeit des öffentlichen Lebens, verfaßt, und zwar als Bericht für den regierenden Fürsten von Megrelien, Lewan. Dem Wesen nach stellte dieser «Dasturlama» betitelte Bericht einen Entwurf der Staatsordnung des Fürstentums Megrelien dar. Diesem Entwurf zufolge steht an der Spitze des Fürstentums der regierende Fürst, der den Staat mit Hilfe eines Beamtenapparates regiert. Die Titel der im Projekt angeführten Hauptbeamten (Sachltuchuzessi, Mdiwanbegi etc.) fallen mit denen des Dasturlamali Kartlis zusammen.

N. Dadiani war mit dem Gesetzbuch Wachtangs und dessen Dasturlamali vertraut, doch das von ihm verfaßte Projekt widerspiegelt die Gesellschafts- und Staatsordnung Megreliens, und wenn der Bericht Dadianis auch eine gewisse Ähnlichkeit mit dem Kartlischen Dasturlamali aufweist, so läßt sich das durch die Ähnlichkeit der Staatsordnung Megreliens mit derjenigen Kartlis erklären. Dadianis Projekt fand infolge des Anschlusses Megreliens an Rußland keine Verwirklichung.

---

<sup>1</sup> W. Gabaschwili, Der persische Dasturlamali (Publik. des Staatl. Univ. Tbil. XXXV, 1949, S. 213, in georg. Spr.).

<sup>2</sup> «Denkmäler des georgischen Rechts» II. Texte, Kommentare, Verzeichnisse von Prof. I. Dolidse, 1965, S. 630, (in georg. Spr.).

<sup>3</sup> Dasturlama, verfaßt von N. Dadiani, 1897.



## ლექსიკონისათვის

„დასტურლამალის“ ლექსიკონი გავყავით ორ ნაწილად:

1) ტერმინთა და 2) გეოგრაფიულ სახელთა ახსნა-განმარტებანი.

გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონის შედგენისას განსაკუთრებულ სიძნელეებს წავეწყდით ელის მოსახლეობის გეოგრაფიული პუნქტების სახელების დაზუსტების დროს. ელის მოსახლეობა უმთავრესად მეცხოველეობას მისდევდა და ამასთან დაკავშირებით ადვილად იცვლიდა ადგილს. ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებასთან ერთად ელის მოსახლეობაში გვარონული წყობილების გადმონაშთებიც იყო შემონახული. ამ გარემოებამ იმაში იჩინა თავი, რომ ელის მოსახლეობის დასახლების გეოგრაფიული პუნქტები ერთგვარად თითქოს ტომის ხელმძღვანელის გვარ-სახელს ატარებდა; მაგრამ ეს „ხელმძღვანელი“ ამ დროისათვის უკვე ფეოდალია, რომელიც ფეოდალური წესების მიხედვით ექსპლოატაციას ეწევა იმ სოფლის მოსახლეობის, რომელიც მის სახელს ატარებს. რადგანაც ელის დასახლების ადგილები ხშირად გვარ-სახელებით არის მოხსენიებული, ამიტომ თითოეულ გეოგრაფიულ სახელს ყოველმხრივი შესწავლა ესაჭიროება, რომ ასეთი სახელის შინაარსი ზუსტად იქნეს განსაზღვრული, როგორც გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი.

ტერმინების განმარტების დროს ვცდილობდით დასტურლამალის ტექსტის შინაარსი გამოგვეყენებინა და ხშირად მოგვეყავს კიდევ ტექსტის სათანადო ადგილი. მივმართავდით აგრეთვე სხვადასხვა ლექსიკონებს, რუკებს და მკვლევარების შრომებს. გამოყენებული მასალა ნაჩვენებია ცალკეული სიტყვის განმარტებისას.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ძეგლი — „ქელმწიფის კარის გარიგება“ და „დასტურლამალი“ — ლექსიკური მასალის მიხედვით განსაკუთრებით რთული და ენობრივად ძნელად დასაძლევია. „ქელმწიფის კარის გარიგების“ მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ძეგლის ავტორი მეტად ძუნწად, სიტყვების რაც შეიძლება ნაკლები მარაგის საშუალებით ცდილობს გადმოგვეცეს თავისი მოსაზრებანი, ამასთანავე ძეგლის შემცველი ერთადერთი ხელნაწერი ნაკლულია, რაც აძნელებს ძეგლის ამა თუ იმ ადგილის შინაარსის დადგენას.

„დასტურლამალში“ ძლიერ მოჭარბებულად არის მოცემული უცხო ენების ტერმინები, განსაკუთრებული სიპრაველით გამოირჩევა სპარსული ან არაბულ-სპარსული წარმოშობის ტერმინები, ძეგლში გვხვდება აგრეთვე თურქული, ბერძნული და სხვა ენებიდან მომდინარე სიტყვებიც. ლექსიკონის შედგენა თხოულობდა ამ სიძნელების გადალახვას.

„ქელმწიფის კარის გარიგებაში“ ნახმარი სიტყვების შინაარსის დადგენა. გაადვილებული იყო იმ მხრივ, რომ ძეგლის ლექსიკონი შედგენილი ჰქონდა ექ. თაყაიშვილს, მასვე ჰქონდა მოცემული ძეგლის რუსული თარგმანი. ამასთანავე ძეგლზე, როგორც ზემოთ ვთქვით, ნ. მარსაყ აქვს ნამუშევარი, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ.

„დასტურლამალის“ ტექსტის დამუშავებაში უფრო ნაკლებად გვქონდა გაკაფული გზა, მაგრამ თუკი რაიმე იყო ამ ძეგლის შესახებ გამოქვეყნებული, ყველაფერი გამოვიყენეთ. ამასთანავე მივმართავდით სათანადო სპეციალისტებს კონსულტაციისათვის.

დიდი დახმარება გაგვიწია ორთავე ძეგლის ცალკეული სიტყვის განმარტებაში აკად. გ. წერეთელმა.

თურქული ენის თვალსაზრისით „დასტურლამალის“ ლექსიკონს გაეცნო აკად. ს. ჯიქია და ფრიად მნიშვნელოვანი შენიშვნებიც მოგვაწოდა.

პროფ. ჯ. გიუნაშვილმა „დასტურლამალის“ ლექსიკონი ერთხელ ჩემთან ერთად წაიკითხა, შემდეგ ის კიდევ გაეცნო მას, ბოლოს, წაიკითხა ის კორექტურაშიც და არაერთი საგულისხმო შესწორება შეიტანა ცალკეული სიტყვის განმარტებაში. აგრეთვე მრავალ სიტყვას მოუნახა წარმომავლობა.

„დასტურლამალის“ ლექსიკონი წაიკითხა და თავისი საყურადღებო შენიშვნები მოგვცა პროფ. დ. კობიძემ.

ზოგიერთი სიტყვის განმარტება მივიღეთ აკად. შანიძისა და აკად. ს. ყაუხჩიშვილისაგან. ჩვენზე დამოკიდებული ყოველგვარი ზომების მიღების მიუხედავად, მაინც ლექსიკონის ზოგიერთი სიტყვის შინაარსი დაუდგენელი დარჩა: ასე მაგალითად, სიტყვა „სიკისტრონის“ შინაარსის გარკვევა არ მოხერხდა. როგორც ჩანს, ეს სიტყვა „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ დამახინჯებული ფორმით არის მოცემული. ასეთი სიტყვა სხვაც არის.

ტერმინთა შინაარსის დადგენის დროს ჩვენ ვცდილობდით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი და ხსენებულ მეცნიერთა განმარტებანი ძეგლების სათანადო ადგილებისათვის შეგვეჭერებინა და საბოლოოდ ამის მიხედვით გადაგვეწყვიტა ესა თუ ის საკითხი. ხშირად ტერმინის შინაარსის დადგენა ცალკე გამოკვლევის ხასიათს ღებულობდა. რამდენადაც ჩვენ იძულებული ვიყავით ასეთი სპეციალური მუშაობა ჩაგვეტარებინა მრავალ სიტყვაზე, შეგვესწავლა ცალკეული ტერმინის შინაარსი სხვადასხვა პერიოდის და სხვადასხვა ძეგლების მიხედვით, ასეთი ნამუშევარი ამა თუ იმ სიტყვის შესახებ ლექსიკონშიც შევიტანეთ. ამით ლექსიკონი რამდენიმედ გამოვიდა „ქელმწიფის კარის გარიგებისა“ თუ „დასტურლამალის“ (უფრო ხშირად ასეთი შემთხვევები „დასტურლამალის“ ლექსიკონში გვაქვს) ფარგლებიდან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამას ამა თუ იმ ტერმინისა თუ ინსტიტუტის შესწავლისათვის მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ამასთანავე, როდესაც ამა თუ იმ სიტყვის განმარტება შეგვქონდა ლექსიკონში, ყოველთვის მხედველობაში გვქონდა ის გარემოება, რომ ტერმინის ასეთ გამოკვლევას რაც შეიძლება მეტი სინათლე შეეტანა საკვლევი ძეგლის შინაარსის დადგენაში.

ორგანიზაციულ, ტექნიკურ და კორექტურულ მუშაობაში დახმარება გაგვიწიეს: „საბჭოთა საქართველოს“ გამომცემლობიდან: ო. კასრაძემ, გ. ზურაბიანმა, გ. რუსაძემ, თ. სახურიათ, ო. ცინცაძემ და ი. ზუციშვილმა. საქართველოს სსრ აკადემიის გამომცემლობიდან და სტამბიდან: შ. შენგელიამ, რ. გრი-

გოლიამ და ა. შონაძემ. საქართველოს სსრ აკადემიის კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან ე. ბარნაველმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრიდან მ. კეკელიამ, ვ. გეწაძემ და ვ. მეტრეველმა. დიდი მადრი დასდო ჩემს წიგნს გამოცდილმა ასოთამწყობმა ა. თოდუამ. ზემოხსენებულ პირებს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

### შემოკლებანი

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი — ს. ო.

დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი — დ. ჩ.

ქართული განმარტებითი ლექსიკონი — ქ. გ. ლ.

პეტრე უმიკაშვილის რედაქციით 1886 წელს გამოქვეყნებული „დასტურ-ლამალი“-სათვის დართული ლექსიკონი — პ. უ.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქც., — ვახ., აღწ. სამ. საქ.

იას. ლორთქიფანიძის „ქვემო ქართლი“ — ი. ლ., ქვ. ქ.

„სქ“ ნიშნავს სქოლიოს, ე. ი. სიტყვა დადგენილ ტექსტში კი არ არის, არამედ სქოლიოში.

ნაშრომს ერთვის პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა და ტერმინთა საძიებლები.

## ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

### ა) ტერმინები

- აბდარი (სპარ. აბდარ) 494<sub>11</sub>; 495<sub>18</sub>; 496<sub>9,21</sub>; 497<sub>10</sub>; 498<sub>3,15</sub>; 499<sub>12</sub>; 634<sub>4</sub>; 657<sub>7, 10</sub>; სიტყვასიტყვით „წყლის მქონებელი“; აბდარი მეფეს, დიდკაცს წყალს მიართმევდა. ხელით ატარებდა მეფისა ან დიდკაცი-სათვის საჭირო წამოსასხამს, სამზეურს და სხვა (პ. უ.); სურსათ-სანო-ვაგისა და სასმელების გამგე; მებუფეტე (ივ. სურგულაძე, საქართვე-ლოს სახ. და სამართლის ისტორიისათვის (გვ. 202—203).
- აბდარბაში 494<sub>10, 11</sub>; 497<sub>10</sub>; 498<sub>15</sub>; 499<sub>11</sub>; 657<sub>8</sub>; აბდრების უფროსი.
- აგვაცობა აქ დანაშაულს ნიშნავს: „აგვაცობის ჯარიმა“. 709<sub>16</sub>; 713<sub>16</sub>; 715<sub>22</sub>.
- აზნაური, აზნაურიშვილი 489<sub>17, 9</sub>; 646<sub>8</sub>; 697<sub>4</sub>; 698<sub>2</sub>; 710<sub>2</sub>; 720<sub>2, 4, 6, 7, 8, 720<sub>9, 10, 11, 12, 13, 14</sub></sub>; მემამულე, პრივილეგიური წოდების წარმომადგე-ნელი, თავადზე დაბლა მდგომი (ქ. გ. ლ.). ვახტანგის სამართლის წიგ-ნის მიხედვით სამი კატეგორიის აზნაური იყო (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. მუხ. 29, 30, 31).
- ათისთავი 527<sub>3,9</sub>; 538<sub>7</sub>; 549<sub>1</sub>; 551<sub>6</sub>; 553<sub>9</sub>; 567<sub>8</sub>; 571<sub>9</sub>; 574<sub>8</sub>; 575<sub>3,7</sub>; 587<sub>1,12</sub>; 597<sub>8</sub>; 617<sub>2</sub>; 638<sub>13</sub>; 639<sub>7</sub>; 643<sub>5,7</sub>; 646<sub>10</sub>; 697<sub>6</sub>; 698<sub>8</sub>; 703<sub>9</sub>; 715<sub>14,18</sub>; 717<sub>4</sub>. ძეგლში მეათედის მნიშვნელობით იხმარება: „დალის ათისთავი რაც ავიდეს, სამი წილი მოურავსა და ხასადარსა და მეოთხედი სალ-თხუცესსა და მდივნებს“.
- აიარი 535<sub>2</sub> არაბ. სინჯი (იხ. თამამაიარი).
- ალანდარი, ალამდარი — 483<sub>9</sub>; 486<sub>1, 3</sub>; 487<sub>1, 2</sub>; „ალამდარი (არაბ.-სპარ. ალამ-დარ) მედროშე“ (ქ. გ. ლ.).
- ალაყაფი თურქ. 498<sub>1, 2, 8, 9</sub>; ეზოს დიდი კარი (ქ. გ. ლ.).
- ალაჩუხი 578<sub>11</sub>; ალაყოჩი, თურქ. დროებით გამართული სადგომი (ნაბდისა, კარავი (ქ. გ. ლ.).
- ამალა 533<sub>11</sub>; („არაბ“. უმშლ „მართველები“, წარჩინებული პირები). მალა-ლი თანამდებობის პირთა მხლებლები“ (ქ. გ. ლ.); პ. უ.: „კრება, დასტა-ერთის ხელობის კაცთა ანუ ხლებულთა“.
- ამალი 706<sub>1</sub>; „თუშმლისა და სამზარეულოს ამალისათვის“, სამზარეულოს მომ-სახურეთათვის გათვალისწინებულ გამოსაღებს ნიშნავს; amele არაბ. გადასახადის ამეფი (Л. Будагов, сравнительный словарь турско-татарских наречий, 1869).

ამანათი 6463 (არაბ. ამნათ), ამ ტერმინს მრავალი მნიშვნელობა აქვს: მიბარებულის, მძევლის, მიწით სარგებლობის ერთ-ერთი სახის, გასაგზავნად გამზადებული რაიმე ნივთის და სხვა.

ტერმინი გვხვდება „დასტურლამალში“. §-ი, რომელშიაც ეს ტერმინია მოცემული, მიძღვნილია სახლთუხუცესის სარგოსადმი. სახლთუხუცესს, ისე როგორც სხვა მოხელეს, თანამდებობისათვის ეკუთვნოდა სამეფოს შემოსავლის წილი; ზარაფხანიდან, მალისაგან, კოდისპურისაგან, სხვადასხვა სახის იჯარისაგან და ა. შ. (6463). სახლთუხუცესის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროს შესახებ „დასტურლამალში“ ვკითხულობთ: „ბრინჯი ასრე არის: თუ რუებს ხასადარი ადგია, იმისის მოსავლის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი არის (სახლთუხუცესისა, — ი. ს.) და თუ ხასადარი არ ადგია და იჯარით ან ამანათად მიბარებული არის, იმისი თერთმეტის თავის ნახევარი არის“ (სახლთუხუცესის, — ი. ს.). ჩვენი მიზანია ამ შემთხვევაში ტერმინ „ამანათ“-ის შინაარსის დადგენა.

„დასტურლამალში“ არის სპეციალური §-ი, რომელშიაც გათვალისწინებულია ელის მოსახლეობის გადასახდელეები, რომლებსაც ისინი იხდიდნენ სამეფო მიწებით სარგებლობისათვის. ბრინჯის შემოსავლის შესახებ წერია: „რაც ბატონის რუებიდან ბრინჯი მოვა, ან რასაც ალაგიდამ ბრინჯის იჯარა არის, იმის ათის-თავი სალთუხუცესისა და მდივნების არის, სხვას კაცს ხელი არა აქვს. და თუ იჯარად არ არის, ვინც ხასადარი იქნების, ათის-თავის ნახევარი ხასადრის არის და ნახევარი სალთუხუცესისა და მდივნებისა“ (5678-10). ორივე მუხლიდან მოყვანილი ციტატა ერთსა და იმავე საკითხს ეხება, მაგრამ მეორე ციტატაში (§ 91) არ არის ტერმინი „ამანათი“. პირველი ციტატის მიხედვით ამანათი და იჯარა ერთმანეთისაგან განსხვავებული ჩანს. მეორე ციტატაში ერთმანეთისაგან თითქოს განსხვავებულია ბრინჯის იჯარის შემოსავალი საერთოდ ბრინჯის შემოსავლისაგან, ე. ი. ბრინჯი, რომელიც მოჰყავდათ მეფის მიწებზე, და ბრინჯი, რომელიც მოჰყავდათ მეფის მიწებზე იჯარით. შემდეგ 91-ე §-ში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ ამა თუ იმ არხზე (რუ) სად რამდენი ბრინჯი ითესება, ან რამდენი კომლია დამმუშავებელი და გადამხდელი. ბრინჯის გარდა, ამავე §-ში საუბარია აბრეშუმის მოსავალზე.

91-ე პარაგრაფში საუბარია აგრეთვე ლანჩპარზე (იხ.), რომელიც მიწას ამუშავებს. ლანჩპარი მიწის იჯარით ან ამანათად ამღებია. საქმე გვაქვს შემდეგი სახის მიწით მოსარგებლესთან:

ა) იჯარადართან, ბ) ლანჩპართან, გ) საერთოდ მიწის მოსარგებლესთან. რომელიც არც იჯარადართან, არც ლანჩპართან, მაგრამ მიწის რენტას კი იხდის. ამ მესამეს თითქოს უფრო უნდა შეეფერებოდეს ამანათად მიმბარებელი.

91-ე პარაგრაფის ის ადგილი, რომელიც მოვიყვანეთ, საერთოდ მეფის სახასო მიწების ბრინჯის შემოსავალს ეხება. ამ საერთო დებულების შემდეგ ჩამოთვლილხა, თუ რუებზე სად რამდენი ბრინჯი ითესება. ამას მოსდევს ჩამოთვლა იმისა, თუ რომელ ადგილზე ვისი და რამდენი კომლია. ამ ჩამოთვლაში (შეიდი დასახელებათა) ორჯერ ლანჩპარია მოხსენებული: 1) ლანჩპარი შაჰველდისი, 2) ფათას თაბუნი

ლანჩპარი; ამის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლანჩპარს 5 შემთხვევაში იგულისხმება არა ლანჩპარი, არამედ ამანათად ან სხვა სახით მოსარგებლე. მაგრამ ამის საწინააღმდეგოა ამავე პარაგრაფის მომდევნო ადგილი, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, ე. ი., საერთოდ, მიწის დამუშავების წესს ეხება. აი ეს ადგილი: „ერთი ლანჩპარი დას-თესავს ერთს თლარს (სამი კოდის საწყაოს, — ი. ს.) ჩალთუქს (მოუცეხველ ბრინჯს, — ი. ს.). ამისგან რაც გამოვა, ჯერ ერთს თლარს შუა-დამ ისევ, თესლად აიღებენ. ამის გარდა რაც დარჩება, ხუთისაგან ერთი ლალა არის. დარჩების ოთხი წილი: ამისგან ნახევარი პატრონისა არის (პატრონი ამ შემთხვევაში ლანჩპარია, — ი. ს.) და ნახევარი საბატონო არის“ (საბატონო ამ შემთხვევაში მეფის სახასოს ნიშნავს). თუ ეს საერთო დებულებაა და ამ ზოგადში საუბარია მხოლოდ ლანჩპარზე, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სხვა მიწითმოსარგებლე აქ აღარც იგულისხმება.

ამასვე გვაფიქრებინებს ბრინჯის შესახებ „დასტურლამალის“ სპეციალური პარაგრაფი: „აუშტარი ლანჩპარებს წესი არის და აეს ბრინჯს ნუ გამოართმევენ“ (§ 54). ამ §-შიც ბრინჯის შემოსავალთან დაკავშირებით მხოლოდ ლანჩპარია წარმოდგენილი.

ვინ არის ლანჩპარი? ამავე ძუხლის ისევ ზოგად ნაწილში წერია: „ვისაც რუ აბარია, ლანჩპარი კომლზედ თვითოს აბაზს ყონახლულს მისცემენ“, ე. ი. ვისაც რუ აბარია, იმას ლანჩპარი კომლის მიხედვით უხდის გადასახდელს. მაშასადამე, ლანჩპარი არის მიწის ამლები მესაკუთრისაგან და ის იხდის გადასახდელს.

ამის შემდეგ პარაგრაფში საუბარია მოსავლის ამლებზე. ბრინჯის მოსავლის ამლები, ე. ი. მომკელი თლარზე ერთ აბაზს იხდის: „თუ უცხო მუშა მომკის, თერთმეტის თავს ძნას აიღებს მუშა და ერთს აბაზს ტარულას მისცემს, და თუ თვითონ ლანჩპარი მომკის, აგრევე ძნას ის აიღებს და აბაზსაც ის მისცემს“, აქაც მიწის მოსარგებლე ერთს აბაზს ტარულას მისცემს, და თუ თვითონ ლანჩპარი მომკის, აგრევე ძნას ის აიღებს და აბაზსაც ის მისცემს. აქაც მიწის მოსარგებლედ ლანჩპარი ჩანს.

ამავე 91-ე პარაგრაფით, ლანჩპარის გარეშე ბოსტნის დათესვა შეეძლო „გარეშე კაცს“. ამის შემდეგ ისევ ლანჩპარზეა საუბარი. „ლანჩპარზე რომ ბატონის ბრინჯი დარჩეს, თუ ახლის ბრინჯის მოსვლამდინ მოიტანა, ხომ ის არის, თუ არა და ვერ მოიტანა და ახლმან ბრინჯმან მოუსწრო, ძვირად იყოს თუ იაფად, ბატონის ლიტრზედ შაური უნდა მოართვას“. რატომ არის საუბარი მხოლოდ ლანჩპარზე? ზად არის იჯარადარი, ან სხვა სახის ბრინჯის მოსაყვანად მიწით მოსარგებლე? ალბათ, იმიტომ არ არის სხვა სახის მოსარგებლე დასახელებული, რომ სინამდვილეში მხოლოდ ლანჩპარი იყო ამ შემთხვევაში მიწით მოსარგებლე, ის იყო იჯარადარიც და ამანათად მიწის ამლებიც.

იჯარა არაბული სიტყვაა და ნიშნავს უძრავი ქონების დროებით დაქირავებას სათანადო ხელშეკრულების დადებით; — არენდას. იჯარა გადასახდელსაც ნიშნავს საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით. „დასტურლამალში“ ხშირად გვხვდება იჯარა და იჯარადარი: დაბახანის

იჯარა (§ 79), ყასაბხანის იჯარა (§ 80), ბრინჯის იჯარა (§ 91), ყაფნის იჯარა (§ 137), ნავროზნას იჯარა (§ 139), თამბაქოს იჯარა (§ 90), ტყვის ბაჟის იჯარადარი (§ 82), სოფლებიდან ასაკრები გადასახდლების იჯარადარი (§ 32, დ.); ამ იჯარათა შინაარსი სხვადასხვაა: როცა დაბახანას ან ყასაბხანას იჯარით გასცემდნენ, იჯარადარი პატრონს, ამ შემთხვევაში მეფეს, განსაზღვრული რაოდენობის თანხას აძლევდა: ასევე ხდებოდა ყაფნის და აბანოს იჯარით (§ 135) გაცემა. გადასახადების აკრეფა და ბაჟიც ასევე იჯარით იცემოდა; ყველა ჩამოთვლილი იჯარადარი გადაკვეთით ფულს იხდიდა. §-ის მიხედვით თამბაქოს იჯარადარი, აგრეთვე ერთიან, გადაკვეთილ თანხას იხდიდა. ბრინჯის იჯარადარი კი, როგორც ჩანს, იღებდა მიწას ბრინჯის დასათესად და იხდიდა შემოსავლის გარკვეულ წილს. ასეთივე იქნებოდა ბამბის იჯარა. ელს მოსახლეობის ძირითადი იჯარადარი ლანჩპარი იყო, რომელსაც ან სულ არ ჰქონდა მიწა ან ძლიერ ცოტა.

ტექსტში, როგორც ვნახეთ, წერია: „იჯარით ან ამანათად მიბარებული“ (§ 135). რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ ტექსტის პირდაპირი მოცემულობიდან. ამ მოცემულობით ტექსტში იჯარა და ამანათი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ჩანს. ამანათი იჯარის ერთ-ერთ სახედ რომ მივიჩნიოთ, მაშინ იჯარის და ამანათის წინააღმდეგობა ერთგვარად მოხსნილიც არის. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მაშინაც ტექსტის ამ მონაცემს მოველებოდა. საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება ტექსტის მხოლოდ გრამატიკულ ახსნა-განმარტებას დავეყრდნოთ: უნდა მოვიშველიოთ სისტემატური და ისტორიულ-პოლიტიკური ახსნა-განმარტება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, თუ როგორ დგას ტექსტში მოცემული საკითხი საერთოდ ამ ძეგლში, ან ამ პერიოდის კანონმდებლობაში, როგორი არის კანონმდებლის ნება. ძეგლის საერთო მიმართულების შესწავლით, მისი ამ საკითხზე, ან მსგავს საკითხებზე ყველა ადგილების გთვალისწინებით, მათი ერთმანეთთან შეპირისპირებით შესაძლებელია გამოირკვეს ტექსტის ესა თუ ის კონკრეტული ადგილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „დასტურლამალის“ მრავალი ადგილი ბუნდოვანია, ზოგიერთი ადგილი კი განსაკუთრებით ბუნდოვანი.

აქვე უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ძველ ქართულში „ან“-ი უდრის ახლანდელი ქართულის როგორც „ან“-ს, ისე „ანუ“-ს; სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით „ან“-ი „ანუ“-თია განმარტებული. ის გარემოება, რომ მაიგივებული და მაცალკეებელი კავშირის აღსანიშნავად ძველ ქართულში ერთი და იგივე „ან“-ი იხმარებოდა, გვავალებს ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლას და ამის მიხედვით ამ კონკრეტული ადგილის შინაარსის დადგენას.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, იჯარა ამანათს არ უპირისპირდება. აქ საქმე სინონიმურ პარალელებთან უნდა გვექონდეს.

3. უმიკაშვილს „დასტურლამალისადმი“ დართულ ლექსიკონში ტერმინი „ამანათი“ არა აქვს, მაგრამ აქვს სიტყვა „ამანი“ შემდეგი განმარტებით: „ამანი — საიჯარადროს რისამე მიპარება დროებით სანდო კაცის ხელში (სანამ ახლად იჯარით გაიცემოდეს) იმ განზრახვით, რომ

საიჯარადროს ნამდვილი შემოსავალი ცნობილი იქნას“. საიდან აიღო პ. უმიკაშვილმა ასეთი განმარტება, ძნელი სათქმელია (წყაროზე ის არ უთითებს).

მაგრამ ორ რამეში პ. უმიკაშვილის განმარტება მართებულია: „ამანს“ „ამანათთან“ აქვს კავშირი, ხოლო „ამანათი“ შეიძლება იჯარასთან იყოს დაკავშირებული.

ამანათი არაბული სიტყვაა და მას შემდეგი შინაარსი აქვს: 1) საიმედოება, ერთგულება, პატიოსნება, 2) ნივთი, მიბარებული შესანახად, 3) გირაო, საწინდარი, 4) სამდივნო.

„ამანათი“-ს შინაარსი კი ასეთია: 1) უშიშროება, სიმშვიდე, 2) შეწყალება, დანდობა (X. K. Баранов, Арабско-русский словарь, 1957). აკად. გ. წერეთლის განმარტებით „ამანათსა“ და „ამანს“ ის აქვთ საერთო, რომ ორივენი ერთი ძირისაგან წარმოდგება („ამანს“ ნიშნავს იყო ერთგული, პატიოსანი, საიმედო, დარწმუნებული; ამანს-ი ნიშნავს უშიშარყოფას, გარანტირებას, მინდობას და სხვა).

ტაჯიკურად ამანათი ნიშნავს ნივთის დროებით სარგებლობაში მიცემას, ნივთის მიბარებას (Таджикско - русский словарь, 1954). ტაჯიკური განმარტება ამ შემთხვევაში იმით არის საყურადღებო, რომ ის ერთი მხრივ (დროებით სარგებლობა) უახლოვდება „დასტურლამალის“ ამანათს.

აკად. გ. წერეთლის დასკვნით, არაბ. სიტყვა ამანათი არაბულ ქვეყნებსა და მათ მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც სპეციალური ტექნიკური ტერმინი (ფინანსური, მიწათმფლობელური და სხვა); მეცნიერის აზრით, ამ ტერმინის შინაარსი სხვადასხვა ქვეყნებში არ არის სათანადოდ დადგენილი.

სპარსულად ამანათს შემდეგი მნიშვნელობა აქვს: 1) ნივთი, მიცემული შესანახად, 2) შენახვა, 3) მინდობილება, 4) ნდობა, რწმენა, 5) გასაგზავნი ნივთი. ხოლო ამენი სპარსულად ნიშნავს: 1) უზრუნველყოფას, მშვიდობას, 2) შეწყალებას (B. B. Миллер, Персидско-русский словарь, 1953).

სიტყვა ამანათი განმარტებული აქვს დალს, უშაკოვს, დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას, გრანატისა და ბოკგაუზ-ფერონის ენციკლოპედიებს. ყველაზე მოკლედ ამანათი განმარტებულია გრანატის ენციკლოპედიაში: ამ ენციკლოპედიით ამანათი არაბული სიტყვაა და ნიშნავს მძევალს. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც ასევეა ეს სიტყვა განმარტებული, ოღონდ მიმატებულია, რომ ამანათი ძველ რუსეთშიც იხმარებოდა. ყველაზე ფართოდ ამანათი განმარტებულია ბოკგაუზისა და ფერონის ენციკლოპედიაში. იქ წერია: სიტყვა ამანათი ნასესხები ძველ რუსეთში აღმოსავლეთიდან და ნიშნავს მძევალს. უძველეს პერიოდსა და საშუალო საუკუნეებში ხელშეკრულების ზუსტი შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვეულებად იყო მძევლის აყვანა. ამანათს იყვანდნენ უპირატესად ომის დროს დადებულ პირობათა შესასრულებლად. უფრო გვიან მძევლის მაგიერ მამულს, სამფლობელოს ნაწილს აძლევდნენ. ამანათის ასეთი გაგება იმ მხრივ არის საყურად-



ღებო და მართებულად, რომ აქცენტს აკეთებს ომზე, საგარეო ურთიერთობაზე, რადგანაც ამანათი მიღებული იყო უპირატესად საგარეო ურთიერთობაში. მაგრამ განმარტებას სისრულე აკლია: 1) ამანათი მხოლოდ საგარეო ურთიერთობაში მიღებულ ინსტიტუტად არის მიჩნეული, 2) განმარტებაში მძევლობის გარდა სხვა არაფერია აღნიშნული.

დალისა და უშაკოვის ლექსიკონებში ამანათის განსამარტებლად სიტყვა „მძველის“ გარდა „გირაოც“ არის ნახმარი. დალის ლექსიკონში ვკითხულობთ: ამანათი — მძვეალი; ადამიანი აყვანილი გირაოდ რისამე უზრუნველსაყოფად, ტომის ან ხალხის ერთგულებისათვის, დაპყრობილთა დასამორჩილებლად (В. И. Даль, Тольковый словарь, 1955). უშაკოვის ლექსიკონშიც წერია: ამანათი—არაბ. გირაო, მძვეალი, Тольковый словарь русского языка под ред. Д. Н. Ушакова, т. I, 1935). თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკონში, რომელიც 1948 წელს არის გამოცემული, ამანათი ჰქვია ახსნილი: ამანათი (მოძველებული) მძვეალი; და საილუსტრაციო მასალად მითითებულია ლ. ტოლსტოის „ჰაჭი მურატი“ (Словарь современного русского языка, Академия наук СССР, Институт русского языка, 1948). ხოლო 1960 წელს გამოცემულ ოჯეგოვის რუსული ენის ლექსიკონში აღარ არის ეს სიტყვა (С. Ю. Ожегов, Словарь русского языка, 1960).

უცხო ენათა რუსულ ლექსიკონში გვხვდება ეს სიტყვა: „ამანათი არაბ. მძვეალი, რომელსაც აძლევდნენ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად (ძველ რუსეთსა და ზოგიერთი აღმოსავლეთის ქვეყნებში; Словарь и построение слов, под ред. И. В. Лехина и пр сф. Ф. Н. Петрова, 1949).

საკვირველია, სიტყვა ამანათი არ არის ისლამის ენციკლოპედიაში, რომელიც გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გამოდის. სიტყვა ამანათი არ არის გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ლექსიკონებში.

ტერმინი ამანათი გვხვდება არაბეთში, სპარსეთში, ტაჯიკეთში, რუსეთსა და საქართველოში. სავარაუდებელია ამ ტერმინის არსებობა აღმოსავლეთის სხვა ხალხებშიც. XV—XVII საუკუნეების ყაზახისტანში გვხვდება ტერმინი ამანათ-მალ, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე. ამანათ-მალის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: მდიდარი მეჯოგე თავის ღარიბ ნათესავს აძლევდა მოზარდეულს (საქონელს); ადათით ღარიბი ნათესავი, ამ შემთხვევაში დებიტორი, ვალდებული იყო ერთწლიანი პირუტყვის მაგიერ, რომელიც სესხად მიიღო, ერთი წლის შემდეგ დაებრუნებინა ორწლიანი საქონელი, სამი წლის შემდეგ—სამწლიანი პირუტყვი და ასე შემდეგ (История государства и права СССР, под ред. К. А. Софроненко, 1967, стр. 492—493).

გირაო, წინდი (ორივე ერთისა და იმავე მნიშვნელობით), მძველობა და თავდებობა ქართული სამართლის მიხედვით მტკიცედ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მძველობა უძველესი ფორმა უნდა იყოს წინდისა ანუ გირავნობისა. თვით ტერმინი „თავდებობა“, ე. ი. თავის დადება, უჩვენებს ამ ინსტიტუტის მძველობისაგან წარმომავლობას (იხ. ჩვენი „თავდებობის ინსტიტუტის შესახებ ქართულ ფეოდალურ სამართალში“. თბილისის სახ. უნ. შრომები, ტ. 51, 1953).

გირავნობა ანუ წინდი, მძველობა და თავდებობა საგარანტიო შინაარსის ინსტიტუტებია. ამ ინსტიტუტებმა განვლეს ერთპიროვნული, სოლიდარული და სუბსიდიარული პასუხისმგებლობის საფეხურები (იქვე).

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს წინდის მნიშვნელობა, როგორც მძველისა (წინდს კიდევ სხვა მნიშვნელობაც აქვს, ის სასიძოს მიერ საპატარძლოსათვის მიტანილ ნიშანს ნიშნავს). წყაროებში ხშირად გვხვდება წინდი, როგორც მძვეალი.

ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ მეფემ და კეისარმა „განაგეს საქმე წინდობისა“, ე. ი. მძველობის საკითხი მოაწესრიგესო (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1955, გვ. 177). გიორგი ათონელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ვითარცა წინდი რაიმე, მომავალთა საქმეთათვის“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 192); აქ წინდი მომავალ საქმეთა შესრულების გარანტიას, საწინდარს, თავდებს ნიშნავს.

ფეოდალურ საქართველოში მძველობის პრაქტიკას ადგილი აქვს უპირატესად საგარეო ურთიერთობაში. ლეონტი მროველის გადმოცემით, კონსტანტინე მეფე „დაეზავა მირიანს და აღიყვანა შვილი მირიანისა მძველად, რომელსა ერქვა ბაქარი“ (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1955, გვ. 70). ლ. მროველი სხვა ადგილას იმეორებს, რომ კონსტანტინე მეფეს „ჰყვა მძვეალი ძე მირიანისა, რომელსა ერქვა ბაქარი“ (იქვე, გვ. 128).

„ვისრამიანმა“ იცის „მძვეალი“; რამინი სწერს ვისის: „გული ჩემი მძველად... შენს წინაშე დამეგდოო“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1949, გვ. 180). „ძველი ერისთავთა“-ში გვხვდება ტერმინი „მძველები“. ამ ძველის მიხედვით, გამარჯვებულებს დამარცხებულებმა მძველები მიუყვანეს ერთგულების საწინდრად (ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1966, გვ. 113).

მეფე ქაიხოსროს სპარსეთში ყოფნის დროს ქართველებმა ავღანელებს მისცეს „სეხნია ციციშვილი მძველად“ (ის მოითხოვეს ავღანელებმა): პირობა, რისთვისაც სეხნია მძველად იყო წაყვანილი, არ იქნა შესრულებული და სეხნია ციციშვილი მოკლეს (ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1954, გვ. 75). მეფე ერეკლე II „მძველად ყაზახისა და ბორჩალოს ქეთხუდები ცოლმვილით მოაყვანინა“ თბილისს. ამ დროს ერეკლე მეზობელ სახანოებთან ბრძოლას აწარმოებდა და ყაზახის და ბორჩალოს მუსლიმანური მონახლეობისაგან ერთგულების საწინდარი ესაჭიროებოდა. ამ შემთხვევაში

მეფე ომთან დაკავშირებით მძევლებს თავის სამფლობელოში შემავალ მუსლიმანური მოსახლეობისაგან ითხოვს.

ჰაპუნა ორბელიანის ცნობით, ერეკლე II ჰარელებს მძევლები მოსთხოვა (იქვე, გვ. 429). მძევლების მიცემა ამიერკავკასიის სამეფო-სახანოების ურთიერთობის პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო (საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, 1910, გვ. 109).

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ნახმარია ტერმინი „მძევალი“; „მძევლობა“. ძველი ინსტიტუტია, ის სამართლის განვითარების დაბალ დონეს შეეფერება და უპირატესად სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში გამოიყენებოდა. შემდეგში, ე. ი. სამართლის განვითარების უფრო მაღალ დონეზე, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ხასიათის სანქციები იქნა შემოღებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონმა არ იცის სიტყვა „ამანათი“. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით ამანათი „ბერძნულად საწინდარია“. რუსულად მშვეალი, „ქართულად ანაბარი, ე. ი. ნიეთი მიბარებული ან გაგზავნილი ვისთანმე“ (ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961); დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონში ასეთი განმარტებაა ამ სიტყვისა: ამანათი (არაბ.) საწინდარი; მშვეალი; ანაბარი, ნიეთი მიბარებული ან გაგზავნილი ვისთანმე.

ქართული განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ამანათი არაბული სიტყვაა, (ამანათ). მისი მნიშვნელობაა: 1) შეკრულ-შეფუთული ნიეთი, რომელიც სადმე იგზავნება; 2) ძვ. მძევალი; 3) მიბარებული, მინდობილი რამ. ამასთანავე ლექსიკონში მოყვანილია სათანადო ილუსტრაციები ივ. მაჩაბლს თარგმანიდან, ეკ. გაბაშვილისა და ვ. ბარნოვის ნაწარმოებებიდან, რომლიდანაც ჩანს, რომ ამანათი ეწოდებოდა მძევალ ადამიანს; მაგალითად, ვ. ბარნოვის ნაწარმოებიდან მოყვანილია ასეთი ადგილი: „უფრო გულდაწყენარებული იქნები. როდესაც ლეკთა წარჩინებულნი ამანათებით გეყოლებიან ხელში“; ივ. მაჩაბლის თარგმანიდან მოტანილია შემდეგი სიტყვები: „ან ვის გზავნიან ვოლსკთა შორის რომს ამანათად“. ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებიდან: „ჩემი შვილი შენი ამანათი იყო და სად დამიკარგეო“. აქედან ცხადია, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვა ამანათით „მძევალი“ გადმოიციმოდა.

ტერმინი „ამანათი“ მაშინაც კი, როცა ის მძევლის მნიშვნელობით არის ნახმარი, მიბარებულობას არ გამოირიცხავს. ეს კარგად ჩანს ეკ. გაბაშვილის ნაწარმოების მოტანილი სიტყვებიდან: ჰართლაც მძევალი ხელშეკრულების შესრულების გარანტიაა, ამისათვის ჰყავთ აყვანილი ის და ვისაც აყვანილი ჰყავს, მას მძევალი აბარია, აკისრია პასუხისმგებლობა მიუთვის და სხვა.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ხევსურულ ანდრეზში წინდი, მძევლობა და თავდებობა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული (რ. ხარაძე, ხევსურული ანდრეზი — ხალხური სამართლის წყარო, „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 394).

როგორც ითქვა, ტერმინი ამანათი XIX—XX საუკუნეების ქართულ ენაში მძველის მნიშვნელობით იხმარებოდა. საკითხავია, როდის შემოვიდა ქართულში ტერმინი ამანათი.

XI საუკუნიდან (ლეონტი მროველი) XVIII საუკუნემდე გვხვდება ტერმინი მძვეალი, აგრეთვე წინდი.

ტერმინი ამანათი გვხვდება პირველად ალბულას სამართლის წიგნში.

ბიბლიის ქართული თარგმანის დამოწმებით აკად. ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ ძველად ქართულში მიბარებულის, შესანახავის გადმოსაცემად იხმარებოდა ტერმინი „ვედრი“, რომელიც ალბულას სამართლის წიგნში შეცვლილია არაბული ტერმინით „ამანათი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. II, 1929, გვ. 467).

ალბულას სამართლის წიგნში ამანათზე საუბარია ანაბრის მნიშვნელობით. (ქართული სამართლის ძეგლები, I, დოლიძის რედ., მუხ. 87, 88).

ტერმინი ამანათი იცის აგრეთვე ვახტანგის წიგნთა კრებულის ბერძნულმა სამართალმა (იქვე, მუხ. 259) და საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნმა (იქვე, მუხ. 149). ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის აღნიშნულ მუხლებში განსაზღვრულია მიბარებულის სამართლებრივი რეჟიმი, მიმბარებელ-მენაბრის უფლება-მოვალეობა, ამანათი ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მიბარებას (ქონების, ნივთის) გულისხმობს.

„მეფეთა სალარო“-ში, რომელიც XVII საუკუნეში უნდა იყოს ქართულად გადმოთარგმნილი სპარსულიდან, ერთ-ერთ თავს ასეთი სათაური აქვს; „ამანათისა და დიანათისათვის“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1949, გვ. 272—273). ამის მიხედვით „ამანათი“ მიბარებულს ნიშნავს, ამ სიტყვის ფართო გაგებით. ხსენებული თავი ასე იწყება: „ბრძენთა და ყოველთა ჰკუის მქონეთა თქუეს, ვითარ: ამანათი შენახვასა ჰრქუიან, რა გინდა რა იყოს. და პირველად სჯული ამანათზე ჰკიდიან და ღვთის შერიათიცა იმისგან გამაგრდების. რაც რომ კაცშიგ არის, რასაცა იქს, ანუ ზედანს, ანუ თუ ყურით გაიგონებს, შენახვაზედ და მუხანათობაზეც ჰკიდიან. თუცა კაცმან კაცთ მიბარებული არ შეინახა, გინახიტყუა იყოს, გინა თუ სხვა მისაბარებელი, ანუ გამეღავნა და ანუ გაუცა, მუხანათობა არის“ (იქვე, გვ. 272). მოტანილი ციტატის მიხედვით ამანათი ფართო შინაარსით არის წარმოდგენილი: ის სიტყვაც არის და ნივთიც. სამეფოც, სახელოც და სხვ.

თქმულის მიხედვით შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. 1) ამანათი არაბული სიტყვაა და მას ისტორიის სხვადასხვა პერიოდში არაბეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ის ნიშნავდა: ერთგულებას, პატიოსნებას, მიბარებულ ნივთს, საიმედოებას, დაგირავებას, საწინდარს, სამდივნოს, მძვეალს და სხვა.

ამანათის ერთ-ერთი მნიშვნელობა, რომელიც მას დღესაც აქვს სა-

ქართველოში: ამანათი არის გზავნილი, ჩვეულებრივად ფოსტით გასაგზავნად გამზადებული ნივთი; ამანათი ნიშნავდა კიდევ მძევალს.

ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა მას არაბეთში, მის მოსახლერე მუსლიმანურ ქვეყნებში, რუსეთსა და საქართველოში, უკანასკნელის რუსეთთან შეერთების შემდეგ. რუსულ ენაზე ამანათს მხოლოდ მძევლის მნიშვნელობა ჰქონდა და ეს სიტყვა თანამედროვე რუსულ სალიტერატურო ენაში აღარ იხმარება. საქართველოში ამანათი XIII—XIV საუკუნეებიდან ჩანს შემოსული.

ქართულ წყაროებში ამანათი და მძევალი პარალელურად ვერ ვიპოვეთ. ფეოდალური საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე რუსეთთან შეერთებამდის წყაროებში იხმარება ტერმინი მძევალი. მძევალი ადამიანია, რომელიც მიჰყავს მხარეს, ან მხარეებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად: უპირატესად ეს ინსტიტუტი გამოყენებულია საგარეო ურთიერთობაში.

ტერმინი ამანათი მძევლობის მნიშვნელობით დამოწმებულია ახალ ქართულ ლიტერატურაში (ვასილ ბარნოვი, ივ. მაჩაბელი, ეკატერინე გაბაშვილი). ლ. ტოლსტოიამ ტერმინი ამანათი ნახმარი აქვს მოთხრობაში, რომელიც კავკასიის ხალხების ცხოვრებას ასახავს („პაჭიმურატი“).

XIX საუკუნეში, რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ, ამანათობის ინსტიტუტი მძევლობის მნიშვნელობით კავკასიაში მოქმედებაში იყო. ამიტომაც სავარაუდებელია, რომ ტერმინი ამანათი მძევლის მნიშვნელობით საქართველოში XIX საუკუნეში შემოვიდა რუსული ენის მეშვეობით.

გარდა ამისა, საქართველოში „დასტურლამალის“ მიხედვით „ამანათს“ კიდევ სხვა მნიშვნელობაც მისცემია: ზოგიერთი პურეულის მოყვანა, მაგალითად ბრინჯის, განსაკუთრებულ პირობებს თხოვლობდა შორწყვის მხრივ, ამიტომ მეფის სახასო მიწებზე გაყვანილი იყო არხები ბრინჯისა და სხვა ნათესებისათვის. ამ არხების სანაპიროები გაცემული იყო ელის, თურქმანების მოსახლეობაზე იჯარად, ე. ი. მიწა მიბარებული იყო დასამუშავებლად, იმ პირობით, რომ მესაკუთრეს, ამ შემთხვევაში მეფეს, მიეღო შემოსავლის ნაწილი.

როგორც ვთქვით, „ამანათთან“ მჭიდროდ არის დაკავშირებული „ამანი“.

„ამანათთან“ დაკავშირებით საყურადღებოა მოვიყვანოთ XIX საუკუნის დასაწყისის ამავე სახელწოდების გადასახდელი.

1826/7 წლის ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც მოყვანილი აქვს თავის შრომაში ი. პ. პეტრუშევსკის, ერევნის ხანი მომთაბარე ტომებს აძლევდა საკუთარ ჯოგს სამწყესად იაეთი პირობებით, რომელიც მომთაბარეებს ხანის ჯოგების შწყემსებად გადააქცევდა. ამ დოკუმენტის მიხედვით ცნობილია გადასახდელთა, ორი ფორმა:

1) დიშბედიში, როცა ხანი მომთაბარეთა თემს აძლევდა განსაზღვრული რაოდენობის ცხვრებს საბალახოდ. ყოველწლიურად თითოეულ ცხვარზე ხანი იღებდა  $\frac{1}{2}$  ბათმან ერბოსა და ყველს და თითო სტილ მატყლს, ხოლო ნამატი იყო მომთაბარეებისა.

2) ამანი, როდესაც მთელი ნამატი და მატყლი ხანის სასარგებლოდ მიდიოდა. გარდა ამისა, ხანი ლებულობდა ყოველწლიურად თითოეულ ცხვარზე 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> სტილ ერბოს, თითოეულ ფურ კამეჩზე — ბათმანს და თითოეულ ძროხაზე 4 ბათმანს ერბოს. გარდა ამისა, მომთაბარეები აძლევდნენ ხანს გადასაზიდად გამწვევ ძალას. ამასთანავე, ხანის მიერ მომთაბარეებისათვის თავის ჯოგის ასეთი პირობებით მიბარება მომთაბარეთა ვალდებულებას წარმოადგენდა (И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армен и в XVI—начале XIX вв., 1948, стр. 313—314).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ პირუტყვის და ფრინველის მოსავლელად მიბარება ცნობილია „დასტურლამალისათვის“: „დასტურლამალის“ მიხედვით თრიალეთზე სოფლებს უნდა „მიბარონ“ საქონელი შემდეგი წესით: „ფური უკუდავი იყოს. წელიწადზე ფურის თავს სამს ლიტრას ერბოს ჩვენს ქარხანაში მიბარებენ“ (§ 51). აგრეთვე სოფლებზე „მიბარებდნენ“ მეფის ბატს და ქათამს, თითო ბატზე წელიწადში სამი ბატის წიწილი, ხოლო თითო ქათამზე სამი ქათამი და სამი კვერცხი ბატონის იყო (§ 52).

მაშასადამე, ერევნის სახანოში ხმარებული ტერმინი „ამანი“-ს ქართული შესატყვისი „მიბარებაა“. მიბარება ქართული სოფლებისათვის, ისე როგორც ერევნის სახანოში, საქონლისათვის (და საქართველოში ფრინველისათვისაც) ყოფილა გათვალისწინებული და არა მიწისათვის.

ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომთაბარე ელის ტომებს საქართველოშიც მიუყენეს ტერმინი „ამანი“ „მიბარების“ ნაცვლად. ამ ტომებისათვის ტერმინი „ამანი“-ს შინაარსი უფრო გასაგები იქნებოდა, ვიდრე „მიბარება“, ამასთანავე „დასტურლამალმა“ ამ ტერმინის შინაარსი გააფართოვა იმ მხრივ, რომ ტერმინი მიწის დასამუშავებლად გაცემის გადმოსაცემად გამოიყენა.

მაგრამ ასახსნელია ის, თუ რატომ არის „დასტურლამალში“ ნახმარი ამანათი და არა „ამანი“. საქმე იმაშია, რომ ტერმინი „ამანათი“ მიბარების მნიშვნელობით ცნობილი იყო ქართულ წყაროებში და მათ შორის საქანონმდებლო ძეგლებში. ამიტომაც ქართველმა კანონმდებელმა „დასტურლამალში“ „მიბარების“ გადმოსაცემად გამოიყენა „ამანის“ ნაცვლად „ამანათი“.

იურიდიული რეჟიმის მხრივ სავარაუდებელია, რომ „დასტურლამალი“-თ ამანათად მიწის მიმღები დროებითი მოსარგებლე იყო და მიწის მესაკუთრეს ყოველთვის შეეძლო მისთვის მიწის ჩამორთმევა.

ელში ასეთი მიწის დროებითი მფლობელები ძირითადად ლანჩბარები უნდა ყოფილიყვნენ.

დასკვნა: ამანათი არის: 1) შეკრულ-შეფუთული ნივთი, რომელიც სადმე იგზავნება, 2) ძვ. მძევალი საშუალო საუკუნეების ზოგიერთ აღმოსავლეთ ქვეყნებსა და რუსეთში. ეს ინსტიტუტი უპირატესად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში გამოიყენებოდა, 3) მიბარებული, მინდობილი რამ, 4) გვიანფეოდალურ საქართველოში ელის მოსახლეობისათვის გათვალისწინებული მიწით სარგებლობის წესი,

რომლის მიხედვით მეფის სახასო მიწით დროებით მოსარგებლე უბ-  
ლიდა მესაქუთრეს შემოსავლის გარკვეულ წილს.

**ამასალა** 519<sub>9</sub>; (امهه اس): 1) ყოველწლიურად, ყოველ წელს, მთელ წელიწადს,  
2) ყოველწლიური (Персидско-русский словарь, составили проф.  
Б. В. Миллер, 1953), „ვინცა-ვინც მეკოლისპურენი ამასალად მქონებულნი,  
თუ ესრე ერთის წლითა მჭირაენი... კოდისპირის გამოსაგზავნად რომ წა-  
ვიდოდნენ... ბეჯითი მოსაქმენი იყუნენ“-ო (გვ. 519—520).

**ამბარდანი** ამბარდარი (სპარ. ამბარდარ), 520<sub>5</sub>, 6, 10; 673<sub>12</sub>; 706<sub>17</sub>, 18; მნე  
(დ. ჩ.); იხ. ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართ-  
ლის ისტორიისათვის, 1952. გვ. 207.

**ამბრა** 548<sub>7</sub>; „ყოველს პარასკევს დღეს წყალმა ციხის ამბრისათვის უნდა იდი-  
ნოს“. ამბრი (არაბ.) — амбра (დ. ჩ.); ამბრაჲი ფინიკის გერკი; ხურამის  
გერკი, ამბრაჲი არს ცერცი, მარცვალი ჩირი, და ეგვიეთანი (ს. ო.).  
Толковый словарь русского языка, под ред. Д. Н. Ушакова, т. I-  
1935: „Амбра (арабское amber). 1) смолистое вещество, испуска,  
емое кошалотами, употр. в парфюмерии (спец. 2). Аромат, благо-  
воние (книжн.).“

ს. ო. და უშაკოვის განმარტებანი ტექსტს არ უდგება. ტექსტის მიხედ-  
ვით ამბრა ციხეში („ციხის ამბრა“) მოსარწყავი ადგილია, ალბათ, პა-  
ტარა ბაღი. მხვა წყაროებში, გარდა „დასტურლავალისა“, ეს სიტყვა  
არ შეგვხვდარი.

**ამილახორი**, ამილახვარი, 484<sub>5</sub>; 516<sub>1</sub>; 551<sub>6</sub> (არაბ.-სპ. ამირ-ახურ) 637<sub>18</sub>; 638<sub>4</sub>;  
678<sub>7</sub>, 698<sub>4</sub>, 5; 701<sub>12</sub>; გვიანფეოდალურ საქართველოში ქართლის ერთ-  
ერთი დიდებული (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 35). ამილახორის  
შესახებ იხ. „წელმწიფის კარის გარიგების“ ლექსიკონი.

**ამწერი** 537<sub>1</sub>, 2; 575<sub>9</sub>; მოსახლეობის ამწერი, მწერალი.

**ანეული** 711<sub>10</sub>; 714<sub>7</sub>; ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად  
(ქ. გ. ლ.).

**არაგვის ერისთავი** 701<sub>14</sub>, 718<sub>24</sub>; ქართლის სამეფოს ერთ-ერთი დიდებული  
(ვახტ., სამ. წ., მუხ. 35).

**არაყხანა** (სპ. არაყხანა) 539<sub>9</sub>; 644<sub>10</sub>; 647<sub>2</sub>; 687<sub>6</sub>; პ. უ. (ლექსიკონი): „არყის გა-  
მოსახდელი ქარხანა“.

**ასამწერლო** 517<sub>2</sub>; 537<sub>3</sub>; 576<sub>4</sub>, აღწერის გადასახდელი.

**ასლანუ** 535<sub>4</sub>: თურქ. „ასლანუც ოთხასი მარჩილი ერთს ყურასად ჩავა ცეცხლ-  
ში“; ასლანი ორმოც ფარიანი თეთრი, монета (დ. ჩ.); პ. უ.: „ასლა-  
ნუ-? (ასლანლუ — სპარსეთში შემნახველია და დამკვრელი ბეჭდისა  
ანუ შტემპელისა, რომელზედაც გამოსახულია ლომი, ასლანი)“.

**ასნაფი** (არაბ. ასნაფ.), 500<sub>8</sub>, 13; 643<sub>10</sub>; 651<sub>3</sub>; 655<sub>1</sub>; 666<sub>3</sub>; „რასაც ასნაფ მოხე-  
ლეს“... (500<sub>8</sub>); „ქარხნის ნაზირის ასნაფი“ 643<sub>10</sub>; ნაზირი სალაროსი და  
მისის ასნაფებისა“ (651<sub>3</sub>); „სალაროს ნაზირი და მისი ასნაფებისა“  
(655<sub>1</sub>); „ქარხნის ნაზირისა და მისის ასნაფებისა“ (666<sub>3</sub>); ამ შემთხვე-  
ვებში ასნაფი ნიშნავს ერთი ხელობის, ერთი დარგის მოხელეებს.

**აუშტარი** 501<sub>15</sub>; 503<sub>7</sub>, 8; 505<sub>6</sub>, 10; 506<sub>6</sub>; 525<sub>4</sub>, 6, 7, 9, 11; 613<sub>10</sub>; 672<sub>2</sub>; 706<sub>8</sub>;

აუშტარი — ოსტიგანი (დ. ჩ.), ოსტიგანი სასმელ-საჭმელთ მნე (ს. ო.).

**აუშხანა** (თურქ.-სპ. აუშხანა), აშ თურქულია, ხანა სპარსული.

507<sub>13</sub>; 508<sub>7</sub>; „ადგილი დასაცავად საკმელ-სასმელთა“ (დ. ჩ), „რაც ჩვენს აუშხანაში ყველი დაიხარჯებოდეს... ნაზირმან დაურიგოს“ (507<sub>13</sub>). „ქმელი თევზი ასრეა: ბაუზედ რვა თუმნისა, როგორც მართებელია მეთევზემ აუშხანაში მოაბაროს“ (508<sub>7</sub>); სამზარეულო.

ალალარა 554<sub>4, 6, 7</sub>; 557<sub>1</sub>; 560<sub>30</sub>; 576<sub>3</sub>; 717<sub>7</sub>, (თურქ. ალა — „ბატონი“ ალალარ. მრავლობითში „ბატონები“), მიმამულე. ამა თუ იმ მხარის ბატონ-პატრონი, ფეოდალი (მაჰმადიანებში, ქ. გ. ლ.).

ალამათი 574<sub>3, 4</sub>; 575<sub>11</sub>; 641<sub>1</sub>; 647<sub>12</sub>; პ. უ.: „აყამათ — ჯდომა, ყოფნა დროებით“.

ალაპი 702<sub>3</sub>, ბერძნ. ლოცვა და პურის ჭამა მიცვალებულის მოსახსენებლად, — ქელები (ქ. გ. ლ.).

ალეზის ღამე 703<sub>14</sub>, 719<sub>1</sub>, მარხვის დაწყების წინაღამე (ქ. გ. ლ.).

ალსაყულუ (თურქ. აღსაყალ), აღსაყალი, 561<sub>4</sub>; 574<sub>12</sub>, უფროსი, საპატიო პირი; თურქ. aksakal, თეთრწვერა, მოხუცი.

აყრილი კაცი 515<sub>13</sub>, ხიზანი, თავის სამკვიდრო ადგილიდან მოცილებული.

აში (თურქ. აშ.) 496<sub>4, 16</sub>; 497<sub>6, 17</sub>; 498<sub>11</sub>; 499<sub>7, 19</sub>; 504<sub>8</sub>, საკმელი, „აშითა და ბორნითა“, ფაფეული საკმელი.

აჟილა 586<sub>6</sub>; 675<sub>6, 7</sub>; 678<sub>1, 2, 3, 11, 12</sub>; 680<sub>6</sub>; 684<sub>1</sub>; 710<sub>16</sub>; 712<sub>1</sub>; დაუკოდავი ულაყი ცხენი (ქ. გ. ლ.).

აჟილის ქერი 586<sub>6-7</sub>, აჟილისათვის საჭირო ქერი გადასახდელის სახით მოსახლეობაზე იყო გაწერილი.

აჰანგარი (სპ. აჰანგარ) 534<sub>19</sub>, ძირითადი მნიშვნელობა — მკედელი. ოქროს ან ვერცხლის ჩამომყალიბებელ- (იხ. ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურ-ლამალი, თბ. სახ. უნ. შრომები, XX XVB, 1949, გვ. 215).

აჰვიათ, ჰავიათ, უნებართვოდ. ხელშეკრულების გარეშე (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 320); 571<sub>3</sub>; „ვინც აჰვიათ ბატონის მამულში შეჰკრავს (აბრეშუმს, — ი. ს.), იმისი ნახევარი შემკვრელის არის“.

## ბ

ბაღია (სპ. ბაღია) 504<sub>15</sub>; 505<sub>3</sub>, დიდი საწვნე ჯამი (დ. ჩ). ქუსლიანი დიდი ჯამი (ქ. გ. ლ.), „შეჰამადად ბაღიაზე ლიტრა ერონახევარი“ (504<sub>15</sub>).

ბაზიერი (სპ. ბაზარ) 559<sub>9</sub>; 586<sub>6</sub>; 593<sub>1</sub>; 688<sub>2, 3, 4</sub>; 690<sub>7</sub>; 695<sub>2, 3, 4</sub>, ქორ-შე-ვარდენტა სანადიროდ დამგეშველ-მწვრთნელი და ყურისმგდებელი (ქ. გ. ლ.).

ბაზიერთხუცესი 687<sub>9, 10, 11</sub>; 688<sub>2, 3, 4</sub>; 690<sub>7, 8</sub>; ბაზიერთა უფროსი.

ბათმანი (თურქ. ბათმან) 541, მარცვლეულის საწყაო ერთეული; დაახლოებით ნახევარ ფუთამდე (ქ. გ. ლ.).

ბაჟი (სპ. ბაჯ) 538<sub>10, 11</sub>; 539<sub>5, 6</sub>; 540<sub>11, 12</sub>; 544<sub>9</sub>; 545<sub>1, 2</sub>; 546<sub>1, 2</sub>; 552<sub>1, 61910, 6448, 64812, 6504, 11, 6872-3, 71322, 24; 71417, 20; 7159, 11, 21</sub>; გადასახდელი სავაჭროსი (დ. ჩ.). „ტვირთის ხარკი“ (ს. ო.). 1) გადასახადი სახელმწიფოში შეტანილ და სახელმწიფოდან გატანილ საქონელზე. 2) გადასახადი ამა თუ იმ საქონლის დამზადებაზე (ქ. გ. ლ.). აქ ბაჟი ნიშნავს რაიმე გასასყიდელზე დადებულ გადასახდელს.

ბარათი 646<sub>4</sub>, 698<sub>18</sub>, ქ. გ. ლ.: 1) წერილი, 2) გადატ. ხელწერილი.



ბარგის ზიღვა 596ს; აქ გადასახდელი ბეგარა.

ბარდანი 681<sub>4</sub> (სპარს. ბნრდნ) დიდი ტომარა, ჩვეულებრივ მატყლისა. ბამბისა, ბზისა და მისთანათა ჩასაღებ-გადასაზიდად (ქ. გ. ლ.). „ბარდანი და იარაღი სალაროს ნაზირმა გაურიგოს“ (681<sub>4</sub>).

ბარხანა (ს.) 648<sub>8</sub>, 687<sub>7</sub>, „ფუშუქუნის ბარხანის წილი აქეს“ 646<sub>6</sub>, გადასახდელი, ყოველწლიური მისამრთვეელი ირანში, რომელსაც ახალი ბილისა თუ საგნების სახით მიართმევდნენ შაჰს, ხანს და სხვა. ამია შესახებ იხილეთ ვ. გაბაშვილის „სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალური საქართველოში“ („მიმომხილველი“, III, 1951, გვ. 160—161); მისივე, სპარსული დასტურლამალი (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXV B, 1949, გვ. 218).

ბატის ბარება 618<sub>8</sub>, გადასახდელი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხი ვალდებული იყო, მისდამი ჩაბარებული ბატისათვის მოეცლო და ბატონისათვის თავის დროზე ჩაებარებია ნამატო.

ბატონი 480<sub>3</sub>, 7, 13, 483<sub>5</sub>, 6; 484<sub>1</sub>, 2, 489<sub>16</sub>, 493<sub>7</sub>, 5, 494<sub>6</sub>, 7, 14; 495<sub>3</sub>; 9; 21; 496<sub>8</sub>, 14, 18, 500<sub>4</sub>, 501<sub>7</sub>, 502<sub>2</sub>, 9, 503<sub>13</sub>, 516<sub>7</sub>, 8, 11, 518<sub>4</sub>, 8, 522<sub>11</sub>, 14, 527<sub>6</sub>, 529<sub>9</sub>, 536<sub>13</sub>, 537<sub>3</sub>, 574<sub>3</sub>, 577<sub>6</sub>, 13, 579<sub>9</sub>, 595<sub>1</sub>, 10, 614<sub>9</sub>, 615<sub>4</sub>, 8, 7, 619<sub>1</sub>, 630<sub>6</sub>.

ყველა მოყვანილ მუხლში ბატონი ქართლის მეფის ნიშნავს. ქ. გ. ლ.:

- 1) ბატონყმობის დროის შემამული; 2) მპყრობელი, მმართველი, მბრძანებელი, მეფე; 3) გიბატონებული წრის წარმომადგენელი კაპიტალისტურ საზოგადოებაში; 4) თავაზიანი მიმართვა ან ხსენება ვისიმე.

ბატონის კაცი 696<sub>8</sub>; აქ ქართლის მეფის კაცი, მისი მოხელე.

ბატონისშვილი, ბატონიშვილი 475<sub>15</sub>, 612; მეფის შვილი, უფლისწული.

ბაშმალი 629<sub>18</sub>, 647<sub>4</sub>, 649<sub>3</sub>; გადასახადი. იხ. ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში XVIII საუკუნის დასაწყისში (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1952).

ბეგარა 589<sub>8</sub>; 605<sub>3</sub>; 714<sub>1</sub>; 715<sub>27</sub>; სპარ. გამოითქმის „ბიგარ“ (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XI—XII საუკუნეებში, 1958, გვ. 231).

ამ სიტყვის ეტიმოლოგია არ არის გამორკვეული, ტერმინი სასანიდების სახელმწიფოს არსებობის უკანასკნელი საუკუნეებიდან მომდინარეობს (И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв., 1949, გვ. 284). ბეგარა ეწოდება გლეხის ვალდებულებას უსასყიდლოდ იმუშაოს სახელმწიფოსა ან ბატონის სასარგებლოდ. ამავე დროს ბეგარა არა მარტო უსასყიდლო მუშაობა იყო; ყმა ბატონისა ან სახელმწიფოს სასარგებლოდ თავისი ხარჯით მუშაობდა.

ბეგარა აზერბაიჯანსა და სომხეთში გვიანფეოდალურ პერიოდში გათვალისწინებული იყო სახელმწიფოს ან ბატონის სასარგებლოდ. სახელმწიფო ბეგარაში შედიოდა: გზების გაყვანა, სააშენებლო მასალის მიწოდება, ციხეებსა და სასახლეებზე მუშაობა, სარწყავი არხების გაყვანა, სახნავ-სათეს მიწებზე მუშაობა და სხვა (ი. პ. პეტრუშევსკის ზე-

მით დასახელებული შრომა); ბეგრად იწოდებოდა აგრეთვე ბატონის პირად მეურნეობაში უფასო მუშაობა (იქვე, გვ. 287). ასევე იყო საქართველოშიც, იმ განსხვავებით, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში XVI—XVIII საუკუნეებში მომთაბარეობასთან დაკავშირებით სახნავ-სათეს მეურნეობას შეღარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა (იქვე, გვ. 283—284), ვიდრე საქართველოში. ამდენად საბატონო ბეგარა „დასტურლამალით“ უფრო გავრცელებული და ძირითადი ვალდებულება იყო გლეხის (იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 203—210).

**ბეგლარბეგი** 475<sub>12</sub>; (თურქ. ბეგლარბეგი „ბეგთა ბეგი“), თურქული სამოხელეო ტერმინი; ძველ ოსმალეთში რუმელიისა, ანატოლიისა და სირიის უმაღლესი ხელისუფალი; შემდეგში უბრალოდ საპატიო სახელწოდება (ქ. გ. ლ.); სპარსეთში პროვინციის გამგებელი: გიორგი XI იყო ყანდაარის და ქირმანის ბეგლარბეგი (ს. ჭიქია, აღმოსავლეთის წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, III, 1960, გვ. 5—6).

**ბედმუშვი**, 674<sub>7</sub>, გამოსახდელი სასმელი; „ვარდის წყალი, ბედმუშვი, ლილიფარი, იის შარბათი [და] სხვა არაყები სოფლიდან გაარიგონ და გამოხდიდენ“.

**ბედნიერი** დღე 719<sub>1</sub>, ამ შემთხვევაში საეკლესიო დღესასწაული.

**ბეთალმანი** 646<sub>9</sub>; ამოვარდნილი, უძეოდ გადასულის ქონება, უპატრონო.

ქ. გ. ლ.: ბეთალმანი (არაბ. ბაჰთალ-მანლ) 1) „ხაზინა“, 2) „უპატრონო ქონება“; ოხერი; ტიალი.

**ბელბაასი** 570<sub>5</sub>; „ლანჩპარს ბელბაასი ერთს წელიწადს ერთ ლანჩპარს მიეცემის ერთი აბაზი, მეორეს წელიწადს ვასაქეთებლად ორი შაური“. „რანჩპარს მეურნეობის მოსაწყობად და ვასამართავად „ბელბაასი“ ეძლეოდა“ (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 320).

**ბზის თეთრი**, 707<sub>16</sub>; ბზის გადასახდელი.

**ბზობა** 713<sub>20</sub>, საეკლესიო დღესასწაული, აღდგომის წინა კვირა.

**ბისტი** (სპ. ბისტოი) 534<sub>6, 10</sub>; 537<sub>13</sub>; 538<sub>3, 4</sub>; 539<sub>13</sub>; 544<sub>4</sub>; 547<sub>2</sub>; 548<sub>1</sub>; 552<sub>4</sub>; 677<sub>7</sub>; 711<sub>3</sub>; სპილენძის ფული, წვრილი შავი ფული, უდრიდა 4 ფულს (2 კაბიკს).

**ბიქრი** 635<sub>10</sub>; არაბ.-სპ. ბექრ ქალწულობა; ძველში — ქალწულობის წართმევა.

**ბოგანო** 517<sub>1, 4, 5</sub>; 518<sub>5, 11</sub>; 528<sub>5</sub>; 699<sub>5</sub>; გლეხის ერთ-ერთი კატეგორიაა, იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963 წ., გვ. 132—134.

**ბოვენელი** 678<sub>10</sub>, ბოლნისის ეპისკოპოსი.

**ბოზობა** 611<sub>9</sub>, დანაშაულის ერთ-ერთი სახე. ს. ო.: ბოზი — მეძავი; ბოზობა განიყოფების ორად: სიძვად და მრუშებად. სიძვა არის უმეუღლეს მიერ ქმნილი, ხოლო მრუშობა მეუღლიანის მიერ ქმნილი ბოზობა. ვახტ. სამ. წ., მუხ. 9, 42, 63, 67, 68, 87.

**ბორანი** 496<sub>5, 17</sub>; 497<sub>6, 17</sub>; 498<sub>11</sub>; 499<sub>7, 19</sub>; 504<sub>7</sub>; „აშითა და ბორნითა“.

ქ. გ. ლ.: ბორანი 1) მაწონგადასხმული მხალეული, 2) მწვანე ლობით ვარიით, 3) ძირითადად ბორანი მდინარეზე გადასასვლელ ნავს ნიშნავს.

მაგრამ „დასტურლამალი“ ნაეის მნიშვნელობით ეს სიტყვა არ გვხვდება.

ბოქაულთუხუცესი 495<sub>4</sub>; 495<sub>15</sub>; 496<sub>7, 20</sub>; 497<sub>8</sub>; 498<sub>3, 14</sub>; 499<sub>10</sub>; 500<sub>4</sub>; 640<sub>8</sub>. საპოლიციო აპარატის უფროსის (ეშიკადასბაშის) მოადგილე. (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 265—270).

ბოშყაბი (აზერბ. ბოშყაბ) 500<sub>5</sub>; 501<sub>11, 12, 14, 16</sub>; 505<sub>5, 6</sub>; 665<sub>6</sub>; 719<sub>12, 14</sub>; თეფში (დ. ჩ.).

ბრძანება „მბრძანებელი“, „ბრძანებული“. 476, 516<sub>8</sub>, 521<sub>16</sub>, 548<sub>3</sub>, 623<sub>12</sub>, 639<sub>3</sub>, განკარგულება.

ბქობა, ღიღი ბქობა, 538<sub>7</sub>; ბქე — მოსამართლე, ბქობა — მოსამართლეობა. ღიღი ბქობა — ღიღი სიბხლისა ან სამოქალაქო საქმის გარჩევა (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 303—361).

### გ

გადაწყვეტილება 625<sub>9</sub>, დასკვნა, დადგენილება.

გავაზი 692<sub>4</sub>, მტაცებელი ფრინველი შავარდნების ოჯახისა (ქ. გ. ლ.).

გალადარი (სპ. გალადარ) 572<sub>1, 35</sub>; ამ შემთხვევაში მოხელე, რომელსაც ცხვრის ფარა აბარია. ცხვრის მწყემსების უფროსი (პ. უ.); „გალადარს რაც ცხვარი ჰყავდეს... დასწეროს“, 571<sub>14</sub>; თუ „გალადარი წაიღეს სადმე და იმისი ცხვარი დარჩეს, მუთაჯირი იმის ქოდავს... აიღებდეს“. (572<sub>1-2</sub>). „გალადარის ნარევი“ ცხვარი (572<sub>3</sub>). „...ქოდავს გალადარს უკლებრივ გამოართმევდნენ“ (572 4-5).

გალავანი 718<sub>22</sub>, შუა კედელი, „გალავანი არს არა ზღუდე, არამედ კედელი მაგარი გრძლად ნაგები“ (ს. თ.); ქალაქის, ციხე-სიმაგრის ან რაიმე ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი (ქ. გ. ლ.).

გალაქუ 534<sub>2</sub>, ზოგიერთ ნუსხაში არის „გალაქუ“ — (S), ან „გილაქუ“ — (K); სპარსეთის ზარათუბანაში ერთ-ერთ სახელოსნოს „ქაქალაქუ“ ეწოდებოდა, ამ სახელოსნოში ოქროსა და ვერცხლის „გუნდა ნაქრები ბრტყელდებოდა აბაზიანებად და ხუთშაურიანებად“ (ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XX XV B, გვ. 215).

534<sub>3</sub>: „გალაქუ წაიღებს ათას მისხალზე ხუთს შაურს, თავგარი — ათას მისხალზე, ერთს ბისტს“, წ-ის შინაარსის მიხედვით, გალაქუსაფვის, როგორც ხელოსნისათვის, გათვალისწინებულია სარგო.

გამომღები 526<sub>5, 6</sub>; 528<sub>5, 6, 11, 12</sub>; 529<sub>9, 12, 13</sub>; 530<sub>5, 12</sub>; 531<sub>1, 8</sub>; 554<sub>3</sub>; 590<sub>7, 8</sub>; გადასახდელის გადამხდელი.

გამოსადები 513<sub>4</sub>, 528<sub>8, 13</sub>, 529<sub>9</sub>, 530 1-2; 550<sub>4, 5, 6</sub>; 553<sub>13</sub>; 579<sub>7, 8</sub>, 554<sub>3</sub>, 570<sub>7, 8</sub>; 585<sub>4</sub>, 589<sub>2, 3</sub>, 594<sub>6, 7</sub>, 598<sub>4, 5, 7</sub>, 600<sub>1</sub>, 108<sub>1</sub>, 612<sub>8</sub>, 617<sub>14</sub>; გადასახდელი.

განაჩენი 610<sub>16</sub>; 625<sub>6</sub>; 641<sub>2</sub>; 687<sub>5</sub>, სასამართლოს გადაწყვეტილება (დამოუკიდებლად იმისა, სისხლის სამართლის იყო საქმე თუ სამოქალაქოსი).

განაწესი 665<sub>1</sub>, 698<sub>19, 20</sub>; 701<sub>7, 8</sub>. დებულება, გარიგება.

განმგე 476<sub>8</sub>, მმართველი, გამგებელი.

განჩინება 475<sub>17</sub>, დადგენილება, განწესება.

განჩინებული 476<sub>4-5</sub>, დადგენილი.

განწესება 707<sub>1</sub>, დებულება, გარიგება.

გარიგება 525<sup>1-2</sup>, 531<sup>1, 7</sup>, 532<sup>1</sup>; 548<sup>4, 5</sup>, 552<sup>13</sup>, 603<sup>3</sup>, 634<sup>8</sup>, 642<sup>10</sup>, 709<sup>23</sup>, 710<sup>14</sup>, 711<sup>9</sup>, 713<sup>5, 77</sup>, 714<sup>1, 11, 4</sup>, 715<sup>1, 24</sup>, 716<sup>6</sup>, ქ. გ. ლ.: 1) რიგზე გაწეობა. 2) ორ პირს შუა ქორწინების საქმის მოგვარება. 3) მოქმედება, მიმართული სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის დამყარების, შეცვლის ან მოსპობისაკენ.

გასამყრელო 587<sup>2, 13</sup>, 588<sup>2</sup>, 591<sup>7</sup>, 593<sup>9</sup>, 597<sup>3, 12</sup>, 599<sup>9</sup>, 600<sup>5</sup>, 601<sup>12</sup>, 603<sup>21</sup>, 610<sup>5</sup>, 616<sup>5</sup>, 619<sup>16</sup>, 620<sup>3, 20</sup>, 630<sup>5</sup>, 638<sup>8</sup>, 709<sup>9, 16, 21</sup>, 711<sup>5, 7</sup>, 712<sup>6, 10</sup>, 713<sup>28</sup>, 715<sup>21</sup>; ძმების გაყრის შემთხვევაში გათვალისწინებული გადასახადი მეფთსა ან ბატონის სასარგებლოდ (იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 211—213).

გაცემულ-გაუცემელი 551<sup>9</sup>; გაცემული უნდა ნიშნავდეს გაცემულ ყმას, ე. ი. ისეთ ყმას, რომელიც მეფეს უბოძებია ვისმესთვის, გაუცია, ადგილიდან აუყრელად; ასეთი ყმა მეფეს სასარგებლოდაც იხდის გარკვეული სახის გადასახდლებს და იმის სასარგებლოდაც, ვისაც ის უბოძეს. ამგვარად „დასტურლამალის“ მიხედვით ზოგიერთ სოფლებში გადასახდელი განაწილებულია „გაცემულ-გაუცემელზე“. იხ. აგრეთვე ი. ლ., ქვ. ქ., III—IV, 1938, გვ. 365—366.

გაცემული 587<sup>7</sup>, 598<sup>9</sup>, 603<sup>8</sup>; იხ. გაცემულ-გაუცემელი.

გერაქიარალი (თურქ.) 489<sup>14</sup>, 650<sup>3</sup>, 651<sup>8</sup>, 653<sup>4, 5</sup>, 654<sup>6, 7, 10</sup>, 655<sup>5</sup>, 674<sup>4</sup>; სამეურნეო ფუნქციების მქონე მოხელე (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 208—209).

გერანბაუი, გერანბაუი, 538<sup>3</sup>; გერანბაუი — საპალნეზე ბისტი. გერან თურქ. გადასვლელი რაიმე საზღვრის.

3. უ.: „გერანბაუი — ნამდვილ გერან-ბაუი (გერან-წასავალი) საქონლის წამლები, როდესაც ერთს ადგილს ბაუს გადაიხდინდა, ბარათს მიიღებდა, ამ ბარათის ძალით დანიშნულ ადგილამდე სხვა საბაუოზე აღარ გახსნიდა ცალებს და გაივლიდა. მცირე გადასახადი (გერან-ბაუი) მაინც ერთმეოდა. ამ გერანბაუის ადგილებში ყარაულები იდგნენ გზების ან გამავლელთ მცველად ან გამცილებლად“.

გზირი 554<sup>2</sup>, 555<sup>2</sup>, 556<sup>2, 7</sup>, 557<sup>2, 5</sup>, 558<sup>8</sup>, 559<sup>6, 8</sup>, 560<sup>5, 8</sup>, 561<sup>4, 9</sup>, საპოლიციო დარგის მოხელე (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 411—413).

გლეხი 525<sup>4</sup>, 573<sup>11</sup>, 574<sup>1</sup>, 619<sup>2</sup>, 646<sup>8, 11</sup>, 648<sup>2</sup>, 697<sup>4, 5</sup>, მიწის მუშა. ამ შემთხვევაში ყმა (გლეხის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1, გვ. 71—78; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 167).

გოდორი 713<sup>19</sup>, წნელისაგან მოწნული მაღალი, მოგრძო კალათი (ქ. გ. ლ.).

გოხი 624<sup>7</sup>; „მთისაკენ გოხია“, დიდი ქვა, დიდი კლდის ნატეხი. მაგარი ჭიშის ქვა (ქ. გ. ლ.).

გული აბრეშუმი 571<sup>5</sup>; ერთი გორგალი აბრეშუმი; „...ტარულისა არის ქუმზედ ერთი გული აბრეშუმი“, 571<sup>5</sup>.

## დ

დაბალი (გლეხი) 630<sup>5</sup>. დაბალ საფეხურზე მდგომი, ღარიბი გლეხი. „კაის გლეხის გასამყრელო ძროხა, დაბალზედ — ცხვარი“.

დაბალი 540<sub>9</sub>; (არაბ. დაბალი), ტყავის გამოყვანი, ტყავის დამმუშავებელი (ქ. გ. ლ.).

დაბახანა 540<sub>1, 2</sub>, 650<sub>3</sub>, 687<sub>4</sub>; (არაბ.-სპარ. დაბბლზნა), ტყავის დასამუშავებელი ქარხანა (ქ. გ. ლ.).

დაბექდვა 646<sub>14</sub>, ამ შემთხვევაში სიგელზე ბექდის დასმას ნიშნავს. „რაც მამული და სახელო გაიკეს, უწინ სალთხუცესმა უნდა დაბექდოს, მერმე ბატონს მიართვას“ (646<sub>14</sub>).

დადაღვა 522<sub>6</sub>, 708<sub>8</sub>, სპ. დნლ, დაღის დაკრა.

დავთარი 515<sub>8</sub>, 516<sub>2, 11, 12</sub>, 520<sub>4</sub>, 523<sub>3</sub>, 524<sub>11</sub>, 536<sub>2</sub>, 553<sub>15</sub>, 573<sub>11</sub>, 574<sub>11</sub>, 615<sub>2</sub>, 690<sub>5, 6</sub>; შემოსავალ-გასავლის წიგნი. დაფთარი არაბულია, არაბულს ის ბერძნულიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული.

დავთარხანა (სპ. დაფთარხანა) 501<sub>16</sub>, 505<sub>5</sub>, 506<sub>1</sub>, 634<sub>2</sub>, 643<sub>8, 9</sub>, კანცელარია. საბუღალტრო განყოფილება, დაფთების და სხვა საბუთების შესანახი ადგილი.

დალაქი (არაბ. დალქ) 564<sub>2</sub>, თიხა და წვევრას გამკრეკი და გამპარსავი, აგრეთვე „სისხლით გამოშვები“ (ს. ო.).

დამდამი „...ფიშკარს აბაზი ერთი, დამდამს აბაზი ერთი“ (533<sub>8</sub>). დროებით დაქირავებული ხელოსანი (პ. უ.).

დანაშაული 643<sub>13</sub>; კანონის საწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედება.

დანიში (სპ. დაჰნიმ) მეათედის ნახევარი. „გერაქიარალის დანიშედ თუმანზედ ორი შაური“ (650<sub>3</sub>). სალაროს ნაზირს — „დანიშედ თუმანზედ შაური ორი“ (650<sub>10</sub>); „დანიშისა არის: თუმანზედ ათი შაური ავა, ხუთი შაური გერაქიარალისა არის, ორი შაური ნაზირისა არის, ერთი შაური მუშრიბისა არის“ (678<sub>4, 5</sub>); სალაროს მუშრიბს — „დანიშედ შაური ერთი“ (653<sub>16</sub>); „დანიში თავის თომრისა ხუთი შაური გერაქიარალისა, ორი შაური ნაზირისა, ორი შაური მუსტოფისა, ერთი შაური მუშრიბისა არის“ (654<sub>9, 10, 11</sub>).

დანისტარი (დანისტარად სპ. დანისტ?) 634<sub>7</sub>, 640<sub>9</sub>, 641<sub>10, 11</sub>, გამოსაძიებლად, გამოძიებით (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 241—254).

დარბაზი 475<sub>16</sub>, 476<sub>1</sub> (სპ. დარვანზე); ამ შემთხვევაში მეფის სასახლე.

დარბაზობა 475<sub>16</sub>. სასახლეში მიღება — წვეულება.

დარბაისელი 494<sub>1, 3</sub>, 496<sub>3</sub>; 500<sub>19</sub>; 646<sub>8</sub>, 494<sub>1, 3</sub>, ამ შემთხვევაში მსხვილი ფეოდალი.

დასტური (სპ. დასთურ) 476<sub>15</sub>; ნებართვა, თანხმობა.

დასტურლამა 535<sub>3</sub>; 635<sub>5</sub>. იხ. დასტურლამალი.

დასტურლამალი 471<sub>1</sub>, სპარ.-არაბ. სახელმძღვანელო, ინსტრუქცია (ქ. გ. ლ.).

„ქელმწიფის კარის გარიგებისა“ და „დასტურლამალის“ მსგავსი ძეგლები დგებოდა როგორც აღმოსავლეთ ქვეყნების (იხ. ზემოთ, გამოკვლევა), ისე დასავლეთ ქვეყნების სახელმწიფოებში. ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლებთან ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ინგლისური ხელმწიფის კარის წესდება („Constitutio Domus Regis“). რომელიც შედგენილი უნდა იყოს ჰენრი I გარდაცვალების (1135 წ.)

შემდეგ, ამ გარდაცვალებიდან ახლო დროში. ამ ძეგლში ძირითადად გათვალისწინებულია სასახლის მოხელეთა გასამრჯელო და ულუფა. „დასტურლამალისა“ და „ქელმწიფის კარის გარიგებისაგან“ განსხვავებით ინგლისურ ძეგლში უმთავრესად მოხელეების ულუფა-გასამრჯელოზეა საუბარი. ძეგლში მოიპოვება ზოგიერთი საყურადღებო ცნობა დიდი მოხელეების ფუნქციების შესახებაც.

სასახლის პირველ მოხელედ ინგლისურ ძეგლში კანცლერია მოხსენებული, რომელიც მეფის მთავარი მდივანია; მას ეკითხებოდა სამდივნო და სასამართლო საქმეები და ამ მხრივ ის მწიგნობართუხუცეს-კუონდიდლის თანამდებობას ემსგავსება.

საყურადღებოა სამეფო დარბაზის მთავარი გამგებელი, რომელსაც ჩემბერლენი ეწოდება. ის დარბაზის უხუცესად ითვლებოდა.

სასახლის მარშალი ინგლისში სასახლის ცერემონიებს განაგებდა და ამ მხრივ ის მანდატურთუხუცესის სახელოს ემსგავსებოდა.

ხაზინადარი ინგლისის კარის ერთ-ერთ მთავარ მოხელედ ითვლებოდა და ქართულ მეჭურჭლეთუხუცესივით სამეურნეო ფუნქციების მატარებელი იყო.

ხსენებულ ძეგლში წარმოდგენილია სასახლის სამეურნეო უწყებანი და ამ უწყებათა მოხელეები: პროდუქტების საწყობი და მისი მოხელეები, სუფრის მსახურნი, საღვინის საწყობი და მისი მოხელეები, მებურეები, მეკარეები და სხვა. იხ. გრ. ჩხარტიშვილი, „ხელმწიფის კარის კონსტიტუცია“, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1969, გვ. 213—228.

**დაფაათი** 573<sub>4</sub>; დაფაათი არაბ. **دافا** მრავლობითი რიცხვია სიტყვისა **دفا** — ჯერ, ვადა, ჯერი, წყება: თუ ვინმე „გაკოტრებული არს“, ცეცხლის, წყლისა, მტრისა ან ქურდის მიერ, „მაშინ თანა-აქს მოვალეთა-დაცვად და დაფაათთა მიცემინებად ვალისა“, „სამართალი ბატონი-შვილის დაეთისა“, გამოცემა დავით ფურცელაძის, 1964, გვ. 177, მუხ. 9. „ეს ბატონის ქოდავი სამ დაფაათად იქნებოდეს“.

**დალი** (სპ. დალი) 522<sub>6</sub>; ნიშანი.

**დებულემა**, განაწესი, რიგი, 487<sub>4</sub>; 550<sub>6</sub>; 552<sub>13</sub>; 574<sub>3</sub>; 579<sub>2</sub>, 5; 582<sub>2</sub>; 601<sub>2</sub>; 602<sub>11</sub>; გარიგება. ქ. გ. ლ.: 1) ოფიც. წესების კრებული, წესდება, 2) ფორმულირებული აზრი; მეცნიერული საფუძველი, 3) მსჯელობა, რომელსაც ასაბუთებენ, — თეზისი, 4) ოდიოვე გამომუშავებული და ხალხში სავალდებულოდ მიღებული წესი.

**დედოფალი** 516<sub>2</sub>, 4; 517<sub>13</sub>; 518<sub>9</sub>; 544<sub>3</sub>; 637<sub>6</sub>; 642<sub>8</sub>, მეფის მეუღლე (ქერივი დედოფალიც ამ სახელწოდებას ატარებდა).

**დეჯანოზი** ბერძ. 549<sub>3</sub>; 702<sub>10</sub>. ქ. გ. ლ.: 1) ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი. 2) ეკლესიის მთავარი, მღვდელთა და მგალობელთა უფროსი, 3) ხატის მსახური.

**დიდება** 507<sub>12</sub>, 509<sub>13</sub>, 712<sub>14</sub>, 15. ბადე, სათხეველი.

**დიდი საქმე** 617<sub>10</sub>; ამ შემთხვევაში სისხლისა ან სამოქალაქო სამართლის დიდი საქმე.

დროშა 5167; 6386; „დროშის კაცი“, 6987; 70113; „დროშა მწყობრი ნიშანი ფერად ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელი“ (ს. ო.); ქ. გ. ლ.: სახელმწიფოს პოლიტიკური პარტიის, პროფკავშირის, ჯარის ნაწილის, სპორტული და სხვა ორგანიზაციის ნიშანი, ემბლემა; გარკვეული ფერის ქსოვილია, ტარზე დამაგრებულ.

დუათაში 53913; მეორედ გამოხდილი არაყი.

დუშალიკი თურქ. 6529, 13; 65317; 66211, 14; 6639; 6765; 68111; 6883; 70425; „მეძღუნის ნიჭი“ (ს. ო.). „დუშალიკი რასაც ბატონი გასცემს სტუმარს უნდა მიუტანონ მოლარეებთან და მემანდარი გაუძღვეს, მიართვან და რაც სტუმარს ენამუსებოდეს, — თუ მოლარეს ცალკე გამოუვიდეს მემანდარს მოლარეებთან ხელი არა აქვს. და თუ ორთავესათვის გამოვიდეს, მემანდართან შუა გაიყონ“ (6529-12); „სალაროს მუშრებს „დუშალიკის მერვედი“ (65815-16); სალაროს თავილდარს „დუშალიკის მერვედი“ (6544); „დუშალიკის ნახევარი მეითრისა არის“ (66211-12); ფეშქაშნივისი „რასაც ქარხანაში ხარჯს დასწერს, იმის განაცემი დუშალიკისა, რაც თავილდარს ერგების, იმის მონახევრეა“ (6639); „დუშალიკი ნახევარი მეჯოგეთუხუცესს, ნახევარი მეჯოგეებს“ (6766); „ცხენის საქმე ქარხნის ნაზირსაც უნდა ეკითხებოდეს, იარაღის საქმე და კეთება სალაროს ნაზირის სარგებელი არის. დუშალიკისაც ასრე გაიყოფდნენ“ (6819, 10, 11); „დუშალიკის ნახევარი მეჩინიბეთუხუცესისა არის“ (6823).

## ე

ეთაში 5756; 5788; 6473; ელის ფულადი გადასახდელი (იხ. ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952).

ეკლესია 5941; (ბერძ. ekklesia შესაკრებელი) 1) საერთო სამლოცველო, საყდარი, ტაძარი, 2) ქრისტიანული ორგანიზაცია, შექმნილი ერთიანი რელიგიური დოგმატების საფუძველზე (ქ. გ. ლ.).

ელი 4871, 2; 48917; 5147; 55313, 14; 5643; 5768, 9; 5781, 2-3, 4, 8, 10; 6352; 6473; 6501; 7171, 2.

ელი თურქ. el ტომი, ხალხი; ქვეყანა, მხარე. თურქთა მომთაბარე ტომები.

ელის ცნება აზერბაიჯანში უპირისპირდება მკვიდრი მიწათმოქმედის, ამ შემთხვევაში რაიათის ცნებას, როგორც მომთაბარე-მეჯოგე, რომლის ექსპლოატაცია სახელმწიფოსა ანუ სატომო წარჩინებულთა მიერ პატრიარქალურ ჩვეულებათა ფორმაში იყო გახვეული: „ილიათ“-ი, „ელიათ“-ი მრავლობითი რიცხვია თურქული სიტყვის „ილი“. აზერბაიჯანული „ელი“ — ტომი, ხალხი (И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв., 1949, стр. 249).

„ელეები მრავლად იყვნენ აზერბაიჯანსა და სომხეთში“ (აზერბაიჯანისა და ქურთის ტომები, იქვე, გვ. 249). „დასტურლამალის“ „ელი“-ც საქართველოში ჩამოსახლებულ მომთაბარე თურქმანი ტომების აღსანიშნავად იხმარებოდა. „ელის სოციალური ორგანიზაცია საქართვე-

ლოში ყიზილბაშური ტომების სოციალური ორგანიზაციის ზუსტ გამეორებას წარმოადგენდა“ (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 310). ელი თაბუნებად იყო დაყოფილი, თაბუნი ან მეფის მოხელეს ემორჩილებოდა, ან ტომის მეთაურს (იქვე, გვ. 211).

მომთაბარე ტომები იყოფოდა ოიმახებად და ობებად (იქვე, გვ. 311).

1792 წლის ერთ სიგელში, გიორგი ერეკლეს ძე (უფლისწული, შემდეგში მეფე) წერს: „წყალობითა ღმრთისათა ჩვენ მემკვიდრემან გიორგიმ გიბოძეთ ჩვენს რძალს წერეთლის ასულს ქეთევანს ელი ყაიყოლჯული ბორჩალოში თავის ყიშლაღითა, ახლა რომ ლანბა ქეშელნი დგანან ის ადგილი და ლორეს ციხეს გადაღმა ყაიყაოლჯალი რომ დგას ის ადგილი შენტვის პირის სანახავად მოგვირთმევია“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ჰელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, საბუთი № 14759 (საბუთი მომწოდა პროფ. ვ. ნადარეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ). ეს ელი და მისი ადგილი „დასტურლამალში“ არ არის მოხსენებული.

ირანი ქართველი ხალხის გადაშენების მიზნით საქართველოში ასახლებდა თურქმანებს, ხოლო ქართველებს საქართველოდან ირანში ერეკებოდა. ასე მოიქცა, მაგ., შაჰ-აბაზ I კახეთის აოხრების დროს, კახეთიდან გადასახლებული ქართველები ახლაც არიან ფერეიდანში. ვახუშტის, ბერდუჯის ხეობის აღწერასთან დაკავშირებით, ნათქვამი აქვს: შაჰ-აბაზმა „მოიყვანა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა. და ამით ეწოდა ბორჩალუ“, ვახ., აღ. სამ. საქ., გვ. 34. ვახუშტისავე ცნობით „ნახიდურს ქვეით“, ქციის ორთავე ნაპირას „სახლობენ ელნი მოჰმადიანნი“, რომელნიც „დასხნა შასფემ ალაგარს“, იქვე, გვ. 45; როგორც ჩანს, შაჰ-აბაზის შემდეგ მის მომდევნო შაჰსაც გაუგრძელებია საქართველოში მომთაბარე თურქული ტომების ჩამოსახლება. მომთაბარე ტომების ჩამოსახლება ნიშნავდა ინტენსიური მეურნეობის წინააღმდეგ ბრძოლას.

„დასტურლამალის“ მიხედვით სხვადასხვა სახელწოდების (4854) ელი გაერთიანებული იყო 76 თაბუნში. ყველა თაბუნის მოსახლეობის ადგილის მიჩენა წყაროების მიხედვით არ ხერხდება. იას. ლორთქიფანიძე ამ 76 თაბუნიდან 28 თაბუნის მოსახლეობის ადგილს უჩვენებს. დანარჩენის ადგილი არ არის ცნობილი. ვახუშტის მიერ ნაჩვენები თავდაპირველი დასახლების ადგილები დროთა განმავლობაში ელის თაბუნებს გადაუღალხავათ, „განსაკუთრებით ისინი გაწეულან ჩრდილოეთისაკენ ქციის ხეობაში და ალგეთში და აღმოსავლეთისაკენ“, აგრეთვე „გადასულან სომხითში, მისულან შულავერამდე“, გასულან დმანისის ხეობაში, მტკერის გაღმა, ყარაიაში და სხვა (ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 247—249), საერთოდ კი ელის მოსახლეობა ძირითადად განლაგებული იყო ვახუშტის მიერ მითითებულ ადგილებსა და მათ ახლოს.

ელიადასი თურქ. 635<sub>12</sub>, 15, 17, 651<sub>2</sub>, ელის უფროსი.

ენდრო 538<sub>1</sub>, 541<sub>8</sub>; მრავალწლოვანი მცენარე, მისი ფესვი იხმარება წითელი საღებავის მოსაპოვებლად (ქ. გ. ლ.).

ეპისკოპოსი 646<sub>8</sub>, 678<sub>6</sub>, 720<sub>2</sub>, 721<sub>15</sub>, მღვდელმთავარი, ეპარქიის უფროსი.



ერბოს მკრეფელი 5257, ერბოს გადასახდელის ამკრეფი მოხელე.  
ერისთავი 4773, 7, 51610; პროვინციის, საერისთავოს გამგებელი, გვიანფეოდა-  
ლურ საქართველოში საერისთავო საფეოდალოდ გადაიქცა. ქართლის სა-  
მეფოში ორი ერისთავი იყო: ქსნისა და არაგვის.

ერისთვის შვილი (იხ. ერისთავი).

ეშიკალაბაში (თურქ. ეშიკ. „ზღურბლი“, ალა „ბატონი“, ბაშ. „თავი“), 4903, 49310,  
4942, 4966, 4999-10, 5004, 10, 64012, 6414, 5, 11, 13, 18, 6421, 12, 15, 7031, 12,  
70914, 7102, 71115, 71828. საპოლიციო აპარატის უფროსი გვიანფეოდა-  
ლურ საქართველოში (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფო-  
სა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 246—265).

ეხთიბრიანი 6137-8, არაბ.-სპ. ე'თიბნ-ი اعتبر 1) „კრედიტი. 2) პატივისცე-  
მა, ავტორიტეტი, გავლენა, ნდობა, იმედი. აქედან არის „ეხთიბრიანი  
კაცი“, ე. ი. სანდო, საიმედო კაცი. ეს სიტყვა სხვა ფორმით გვხვდებ-  
და ქართულში. ერთი ბარი, ეთიბარი, ესთიბარ (ვახტანგის სამარ-  
თლის წიგნი, მუხ. 147, თ. ენუქიძის რედ.: საქართველოს ჩვეულებითი  
სჯელი, მუხ. 3, ი. დოლიძის რედ.), ესთიბარი (ქართული სამართლის  
ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., გვ. 567), იხთიბარი, იხთიორი და სხვა.  
დასტურლამალის 14 ნუსხაში ერთნაირად არის „ერთიბრიანი“, მხო-  
ლოდ N-ში არის: ეხთიბრიანი, ამ სიტყვის გასწვრივ N-ის ხელნაწერ-  
ში დავით ჩუბინაშვილს მოუწერია: „ეხთიბრიანი, ЕРНННН, НАДЕЖННН.  
გვ. 613: „ერბო ფურზედ ზუთი სტილი გამოიღონ. ამ წესით ერთი ეხთი-  
ბრიანი კაცი წავიდოდეს, ფურს დასთვლიდენ, სოფელსა და სოფელს  
რაც ფური დადგეს, თავ-თავის სოფლის მამასახლისებს დააწერდენ“.

### 3

ვეზირი 5388, 5394, 15, 5736, 6489, 10, 11, (სპ. ვაზირ), ვეზირი „დასტურლამა-  
ლის“ მიხედვით ირანის მოხელეა ქართლის სამეფო კარზე. იხ. ივ. სურ-  
გულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ისტორიისა-  
თვის, 1952, გვ. 361—379. ვ. გაბაშვილი, სახელმწიფო წყობილების სა-  
კითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში (საქართველოს მეცნ. აკა-  
დემიის „მიმოხილველი“, II, 195); კ. კუცია, სეფიანთა ირანის საქალა-  
ქო წყობილება „თაზქირათ ალ-მულუქის მიხედვით“ (ნარკვევები მახ-  
ლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან. 1966, გვ. 111—115).

ვექილი 5088, არაბ. „ვექილ-ხარჯს“ ბარათი მისცენ“ (5088); ვექილი (არაბ. ვა-  
ქილ); მაგიერი, წარმომადგენელი (იხ. ივ. სურგულაძე, ვექილობის ინ-  
სტიტუტის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, უფრ. „საბჭოთა სამართალი“,  
1966, № 5); პ. უ.: „ვექილ-ხარჯი — შემოსავალ-გასავლის მოსაქმე“.

ვეჭუბი არაბ.-სპ. ვეჯებ; 5362-7, „ამისი ვეჭუბი დასტურლამა უწინ ყოფილა  
ორიათას მისხალზედ ექესი მინალთუნი და ახლა ვართმევთ ზუთ მი-  
ნალთუნს ასლანუც ოთხასი მარჩილი ერთს უფრსად ჩავა ცეცხლში.  
ცეცხლიდამ გამოვა ვერცხლით ათას შვიდას ორმოცდაათი მისხალი.  
ამისი ვეჭუბიც ორიათას მისხალზედ უნდა აიღონ ექესი მინალთუნი“.

(იხ. ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისის სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტის შრომები, XXXVB, 1949, გვ. 213). „ვეჭუბი ეწო-  
დება ზარაფხანაში გამონადნობი ოქროს ან ვერცხლის იმ ნაწილს, რო-

მელსაც შაჰის ან სახელმწიფოს „დივანის“ სასარგებლოდ იღებდნენ“. ხოლო „ვეჭები დასტურლამა“ ნიშნავს ასაღების წესს, ინსტრუქციას“ (იქვე გვ. 213, 215).

## ზ

- ზარაფი 533<sub>11</sub>, 648<sub>5</sub>, 687<sub>4</sub>, საფასურით ფულს დამხურდავებელი (ქ. გ. ლ.). არაბ. Sarraf ზარაფი — ბანკირი (ს. ჯიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტ. შრომები, ტ. III, 1960).
- ზარაფხანა 489<sub>13</sub>, 533<sub>4, 6, 7</sub>, 535<sub>11</sub>, 644<sub>7</sub>, 646<sub>19</sub>, (არაბ.-სპარს. სწარა ხან სახლი, სადაც ზარაფები ფულს ახურდავებდენ (ქ. გ. ლ.). სახლი, სადაც ფულს სჭრიდნენ, монетный двор (დ. ჩ.).
- ზარგარი (სპარ. ზარგარ) 556<sub>3</sub>; ოქრომკედელი.
- ზედამადგომელი 490<sub>5</sub>, მოსამსახურე, თავზემდგომელი.
- ზინდარი 679<sub>14</sub>, 680<sub>10, 16</sub>, 683<sub>12</sub>; 684<sub>1</sub>, 707<sub>19</sub>, სპარ. ზინდარ; ცხენის შემკაზმელი მსახური (ქ. გ. ლ.).
- ზინხანა სპ. ზინხან خانچه; სახლის ქვედა სართული, ქვედა სახლი 680<sub>2</sub>; „სპ. ქვემო სახლი, სარდაფი“ (პ. უ.); „ამ თავლის ცხენის და ჯორის ზინხანის ბზის თუ რასაც ფერის ამ ქარხნის თავილდრად ურქმაზაშვილი პაპუა დაგვიყენებია“ (680<sub>2</sub>).
- ზირანდაზი (სპ. ზირანდაზ) 494<sub>5</sub>, „ზირანდაზი გაშალოს შიგაქედემა“, ნოხი ან კილოფი.

## თ

- თაბუნი თაბი'უნ „მიმდევარი“, დასი, ჯგუფი; 477<sub>1</sub>, 479<sub>15</sub>, 487<sub>7</sub>, 488<sub>1, 12</sub>, 489<sub>1, 2-7, 12</sub>, 490<sub>7</sub>, 554<sub>1, 4</sub>, 555<sub>1, 3, 4</sub>, 556<sub>1, 3, 5, 6</sub>, 557<sub>1, 3, 4, 5</sub>, 558<sub>1, 3, 6, 7</sub>, 560<sub>7</sub>, 561<sub>1, 3</sub>, 562<sub>1</sub>, 567<sub>5</sub>, 568<sub>11</sub>; 576<sub>9, 11</sub>; 578<sub>4, 5, 6</sub>, 651<sub>4</sub>, 655<sub>3</sub>, 686<sub>6</sub>.
- თავადი 636<sub>10</sub>, დიდგვარიანთ ფეოდალური წრის, უმაღლესი წოდების წარმომადგენელი (ქ. გ. ლ.). თავადი იყო სამი კატეგორიის: 1. დიდებული თავადი, 2. შუა თავადი, 3. „მესამე თავადი“ (ვახტ. სამ. წ., მუხ. 26, 27, 28). თავადი — მსხვილი ფეოდალი, მემამულე. გვიანფეოდალური საქართველო სათავადოებად იყო დაყოფილი. სათავადო ერთგვარ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომლის სათავეში იდგა თავადი. თავადს თავის სათავადოში ჰქონდა ამა თუ იმ მოცულობის ადმინისტრაციული, საფინანსო და სასამართლო ფუნქცია. სათავადოს შეურნეობა საერთო, სათავადო მიწისმფლობელობაზე იყო დამყარებული და სათავადოთი სათავისო საკუთრება, ე. ი. საკუთრების პროგრესული ფორმა შებოქილი იყო, ნაკლებად განვითარებული, რაც აფერხებდა საწარმოო ძალთა განვითარებას.
- თავადისშვილი 489<sub>3</sub>, იხ. თავადი.
- თავგარი 534<sub>3</sub>, დ. ჩ.: დამადნობელი მეტალი.
- თავილად 537<sub>10</sub>, 675<sub>6</sub>; „ეს თეთრი ბატონის წინ ზანთლისათვის მესანთლეს თავილად ეძღვეის“ (537<sub>10</sub>); „ჯოგი რაც არის თავილად ჯოგის თავილდარს აწერია“ (675<sub>6</sub>). თავილად — სრულიად, უმეტესაქლებოდ, полная (დ. ჩ.).
- თავილდარი (სპ. თავილდარ) 503<sub>1, 4</sub>, 534<sub>5</sub>, 548<sub>5</sub>, 641<sub>15, 17, 18</sub>, 642<sub>4</sub>, 643<sub>10</sub>, 651<sub>6</sub>, 652<sub>14</sub>, 653<sub>2, 3, 11</sub>, 654<sub>3, 4</sub>, 657<sub>9, 18</sub>, 658<sub>21</sub>, 662<sub>3, 14</sub>, 663<sub>2, 9</sub>, 670<sub>3, 11</sub>, 672<sub>2</sub>,

- 675<sub>7</sub>, 677<sub>2</sub>, 680<sub>3, 15, 18</sub>, 681<sub>3, 8</sub>, 682<sub>2</sub>, 683<sub>10, 12</sub>, 689<sub>6</sub>, 704<sub>26</sub>, 705<sub>4</sub>, 707<sub>3, 6</sub>,  
საანგარიშო დარგის მოხელე (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელ-  
მწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 193—194).
- თავის გასამტებლო 587<sub>2</sub>, 589<sub>13</sub>, 591<sub>6</sub>, 593<sub>9</sub>, 597<sub>3, 13</sub>, 599<sub>10</sub>, 601<sub>11</sub>, 603<sub>2</sub>, 607<sub>2</sub>,  
611<sub>8</sub>, 619<sub>15</sub>, 620<sub>3</sub>, 630<sub>5</sub>, 709<sub>9</sub>, 711<sub>5</sub>, 713<sub>16, 27</sub>, 715<sub>19</sub>; გამოსაღები, რომელ-  
საც იხდიდა დამნაშავე თავის დაზიანებისათვის.
- თავლა 679<sub>9, 10, 11</sub>, 680<sub>4</sub>, 681<sub>1</sub>, 682<sub>8, 9, 10</sub> თურქ.-სპ. tavla (<არაბ. tavila),  
გრძელი ბაგა, რომელზედაც ცხენს აბამდნენ, აბორი. ცხენის (ჯორას და  
მისთ.) სადგომი შენობა (ქ. გ. ლ.).
- თალიში 501<sub>1</sub>, საპოლიციო აპარატის დაბალი მოხელე აღმასრულებელი ფუნქ-  
ციით (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის  
ისტორიისათვის, 1952, გვ. 246, 282—284).
- თამაშიარი არაბ. tamamayar, წმინდა ვერცხლი (დ. ჩ.).
- თანბა (არაბ.-სპ. თანბიკ) 512<sub>1</sub>, დასჯა (დ. ჩ.); „თუ უხელობით ხასადარმა და  
მოხელემ არ მოიყვანა, თანბა უნდა“.
- თარაზდარი (სპ. თარაზუდარ) 534<sub>8</sub>, თეთრის მომჭრელი (დ. ჩ.). მესასწორე  
(პ. უ.).
- თარხანი 513<sub>1, 2</sub>, 521<sub>7</sub>, 526<sub>5, 6</sub>, 528<sub>5, 6, 12</sub>, 529<sub>8</sub>, 530<sub>5, 12</sub>, 558<sub>8</sub>, 583<sub>2, 13</sub>, 596<sub>5</sub>,  
602<sub>3</sub>, 613<sub>13</sub>, 708<sub>17, 18</sub>, 709<sub>9</sub>, 712<sub>15</sub>, 716<sub>26</sub>, 717<sub>13</sub>, 718<sub>21</sub>. თავისუფალი  
გლეხის კატეგორია (ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელ-  
მწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 135, 142).
- თაფაუთი 533<sub>12</sub>, პ. უ.: განსხვავება, მეტ-ნაკლებობა; (დ. ჩ.): სხვაობა. ქ. გ. ლ.:  
თაფაუთი იხ. თაბაუთი, თაბაუთი (არაბ. თაფაუთ „განსხვავება“; „მან-  
ძილი“). 1) განსხვავება, 2) ანგარიში, ვარაუდი, მოსაზრება, 3) წესი.
- თალარი (სპ. თოლარ) 567<sub>13</sub>, 568<sub>1, 3, 5, 6, 7</sub>, 569<sub>1, 2, 5, 10</sub>, სამკოდინი საწყაო  
(დ. ჩ.): „თალარი—ყაზახ-ბორჩალოსკენ ჩვენს ქაშში ჩვა ფუთი პური  
ან სხვა მოსავლის მარცვალი, ბრინჯი, ქერი და სხვა“ (პ. უ.); ქ. გ. ლ.:  
დიდი ზომის პირფართო თიხის ჭურჭელი, საწნახლიდან ტკბილის ჩა-  
სასხმელად; ნ. ჩ.: სამი კოდის საწყაო.
- თახშქუნი 534<sub>4</sub>, ზარაფხანის ერთ-ერთი სახელოსნო; „თახშქუნი — აქ ნაკლულ  
(ქამ) აბაზიანებს თვალთ ზომავენ (ბამიზან-ი ნაზარ), განზე სდებენ და  
ხელახლა აღნობენ“ (ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბ. სახ.  
უნ. შრომები, XX XV B, 1949, გვ. 215). ამ სახელოსნოს ხელოსანი.
- თბილელი, თფილელი 548<sub>9</sub>, 599<sub>8</sub>, 720<sub>2</sub>, თბილისის ეპისკოპოსი.
- თეთრი 537<sub>9</sub>, 539<sub>6</sub>, 604<sub>13</sub>, 707<sub>5, 16</sub>, 713<sub>6</sub>, 716<sub>28</sub>, 718<sub>3</sub>, ვერცხლის ფული (დ. ჩ.);  
საერთოდ ფული (პ. უ.); ვერცხლის ფული, ან ფული საერთოდ.
- თემი 581<sub>9</sub>, 698<sub>6</sub>, 710<sub>5</sub>, 716<sub>6</sub>, 1) პირველყოფილი თემური წყობილების დროს —  
ძირითადი სოციალური ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად ფლობდა სა-  
წარმოო საშუალებებს; 2) მხარე, კუთხე, გაერთიანებული გეოგრა-  
ფიულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით (ქ. გ. ლ.). აქ თემი კუთხეს, სოფელს,  
მხარეს ნიშნავს.

- თერთმეტისთავი, თერთმეტის თავის ნახევარი, თერთმეტის თავის ნახევრის მეოთხელი; 513<sub>15</sub>, 631<sub>2</sub>, 644<sub>12</sub>, 645<sub>5, 9</sub>, 646<sub>4, 7</sub>, 648<sub>7</sub>, შემოსავლის ნაწილი, რომელიც ამა თუ იმ მოხელეს ეკუთვნოდა.
- თვალის გაგდებიანება 635<sub>10</sub>, დანაშაულის ერთ-ერთი სახე, რომელიც თვალის დაზიანებაში მდგომარეობდა.
- თიმენჯი 540<sub>4</sub>. გაკეთებული, გამოყვანილი ტყავი (პ. უ.). „იჯარადარი ძროხის ტყავზედ — ორს შაურს, ქოსალაზედ შაურს, თიმენჯზედ, მეშზედ, თნის ტყავზედ — თვითო ფულს აიღებს“.
- თმოგველი 721<sub>20</sub>; თმოგვის ეპისკოპოსი.
- თოვჯი თოჯი, ოსმ. „გაწერა გამოსაღებისა“ (დ. ჩ.); 521<sub>8</sub>: „...თუ სხვა შენაწერი ღვინო რაც სოფელს შევარდეს თოვჯი რომ ქნან, ჯადაც კი ვენახი იყოს“... 617<sub>6</sub>: „მამასახლისები ღვინის თოვჯს ნუ იქმენ“.
- თომარი 659<sub>9</sub>; „დანიმი თავის თომრისა ხუთი შაური“. დ. ჩ.: ჯილა. ქ. გ. ლ.: სპარ. თომარ „გრაგნილი, რომელსაც ჯილასთან ირჭობოდნენ. ძვ. ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ქულზე სატარებელი ფრთა.“
- თოხლი 577<sub>10</sub>; ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე (ქ. გ. ლ.). „ერთი თოხლი და ერთი ჩებიჩი“.
- თუთუნჯაკი თურქ. 580<sub>12</sub>, შესანახი, თავშესაფარი (პ. უ.).
- თუშმალი (სპარ. თუშმალ) 495<sub>1, 17</sub>, 496<sub>8, 21</sub>, 497<sub>11</sub>, 498<sub>4</sub>, 499<sub>1, 11</sub>, 501<sub>2</sub>; 503<sub>609</sub>, 505<sub>4, 5, 10</sub>, 506<sub>1, 5</sub>, 507<sub>2, 3</sub>, 509<sub>2</sub>, 669<sub>2</sub>, 706<sub>1, 2, 4, 5</sub>, 709<sub>15</sub>. სამზარეულოს მუშაკი (იხ. ივ. სურგულაძის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 195—196).

## ი

- იათალი 576<sub>7</sub>, 577<sub>2</sub> (თურქ. ათაყ „ბუნაგი“); ცხვრის ფარები, რომელსაც ზამთარში აჭირავებდნენ. „იათალში რაც ცხვარი დადგების“, 577<sub>2-3</sub>.
- იანი 505<sub>3</sub>; თართისა და ტარადანის თხელფერი, მუცლის ზედა ნაწილი (ქ. გ. ლ.). ტარადანის თევზის ხმელი ზურგიელი (პ. უ.). გვერდი, გარკვეული თევზის გვერდებიდან აჭრილი ნაწილი. „ბოლღამასათვის ერთს ბადას იანი ლიტრა ერთნახევარი“ (505<sub>2-3</sub>).
- იასაული (თუქ. მასაულ) 482<sub>1</sub>, 483<sub>4</sub>, 490<sub>1</sub>, 500<sub>8</sub>, 506<sub>2</sub>. 510<sub>5, 8</sub>, 525<sub>5</sub>, 614<sub>2</sub>, 638<sub>3</sub>, 640<sub>7, 10</sub>, 643<sub>1</sub>: 2: 13, 15, 662<sub>4</sub>, 666<sub>4</sub>, 703<sub>29</sub>, 704<sub>2, 3</sub>; საპოლიციო აპარატის დაბალი მოხელე (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 283—287).
- იასაულობა 643<sub>13</sub>, 703<sub>16</sub>. იხ. იასაული.
- იახინი იახნი 504<sub>7</sub>, ხორცის წვენი (დ. ჩ.). იახნა წვენი, წვნიანი ხორცი (პ. უ.). „იახინის ყაბი საესე და მართებულად მოვიდოდეს“. ქ. გ. ლ.: იახნი (თურქ. აახნი); ხორცის წვენი.
- ივნითობა (?) 496<sub>3</sub>: ივნითინ, „თუ ბატონმა დიდი სახლის მეჯლისი ბრძანოს“. მაშინ უნდა გაკეთდეს ბრინჯი ყაბი სამოცი, მაგრამ „თუ დარბაისელნი ივნითონ, რომ არ იქნებოდენ და არ აივსებოდეს, ორმოცდაათი ყაბი გააკეთონ“. აქ ივნითონ დარბაზის შევეუსებლობას, დარბაისელთა დაკლებას, არმოსვლას უნდა ნიშნავდეს.
- ინაში (არაბ.-სპ. ანამ) 687<sub>2</sub>; თეთრით დაჯილდოება (დ. ჩ.); საჩუქარი, საბოძვარი, წყალობა (პ. უ.).

იჯარა 5077-8, 10, 5386, 14, 5391, 2, 10, 11, 5401-2, 5678, 6449, 10, 11, 6453, 6484, 12, 6491, 65011. გარკვეული დროის და გარკვეული ფასით რაიმეს აღება, მაგალითად, გადასახადების აკრეფა (იჯარით), სამღებროების გაცემა (იჯარით) და სხვა.

იჯარადარი (სპ. ევარედარი) 5403, 6, 7, 8, 5453, 71626, იჯარის ამღები.

### კ

კაბიწი 58311, 60612, საწყაო, „სამი კოდი, ღინა სამი გრივი. სადამე ათს კოდს კაბიწად იტყვიან“ (ს. ო.).

კათალიკოსი 50913-14, 5143, 5, 5466, 7, 5528, 6785; ამ შემთხვევაში ქართული ეკლესიის მეთაური, უმაღლესი სასულიერო პირი.

კაი გლეხი 6305, შედარებით შეძლებული გლეხი. საპირისპიროდ „დაბალი“ ან „საშუალო“ გლეხისა.

კაპოეტი 5093, მტკნარი წყლის ერთგვარი თევზი (კობრისებრი რიგისა, ქ. გ. ლ.). „თევზისა ჩაჩხსაც ის შეინახავდეს კაპოეტისასა თუ სხვისა“.

კარკნალი 624, „კარკალი — დიდი ქვეყნარი“ (ს. ო.). „კარკარი — წყლუტე კლდე“ (ს. ო.). „კარკარი, კარკაროვანი — სალი ქარაფიანი“ (დ. ჩ.). „ორსავე ჭიტებს შუა კარკნალი ჩამოსდევს“ (6241).

კარი 48910, 52315, კარი ქალაქის 61710; „სამართალი კარზე უნდა იქნას“ 6362. 6428, 6986, 70510. 1) მეფის კარი, მეფის სასახლე, 2) სახლის ანუ ოთახის კარი. კარის აბანო 64410, 6491, მეფის სასახლის აბანო. კარის გამრიგე 5197, 6813, მეფის სასახლის მოხელე. კარის ყაფიჩი 5011. მეფის სასახლის ყაფიჩი (იხ. ყაფიჩი); კარის წინამძღვარი 7027, მეფის სასახლის მოძღვარი.

კბილის ჩაგდებინება 6118, 63510; დანაშაული. რომელიც კბილის ჩაგდებას ან დაზიანებაში მდგომარეობდა.

კერძი 60411; წილი ულუფა, „იმათ კერძს“.

კოდი 5207, 5981, 2, 6054, 6901, 6201. 6311, მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომისა ქვემო ქართლში—ოთხი ფუთი, ან რვა ჩანახი, ზემო ქართლში—ხუთი ფუთი და ათი ჩანახი და ა. შ. (ქ. გ. ლ.).

კოდისპური 5203, 16, 20, 5261, 2, 3, 11, 5284, 9, 15, 5297, 11. 5303, 11, 60213, 6072, 6186, 6455, 6478, 6657, სახელმწიფო გადასახადი. ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში (ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1952).

კოდისპურის მკრეფელი 6657; სახელმწიფო გადასახადი — კოდისპურის ამკრეფი მოხელე.

კონი 5138, 9, 10, 5144, 6, კონის ქვის ჩაყრა 5958; 5969; „კონი — თევზის საპყრობი“ (ს. ო.). „ორაგულთ სანადირო ფაცერი, მდინარეზედ გაბმული, რომელშიც ჩადგვიან პირ-შექცეულსა გოდრება“ (დ. ჩ.).

კოწახურა 5995; „კოწახურის საპალნე 1“, ეკლოვანი ბუჩქი, ნაყოფი, აქვს მკავე გემო, იჭმება (ქ. გ. ლ.).

კულუხი (თურქ. kulluk) 5217, 5799, 5805, 58510, 5925, 5954, 5967, 5992-3, 6009, 60213, 6457, 64710, 7104, 71310. 71527, 71813, 16, გადასახადი ღვინით, (ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 191—193).

ლანდრა 619<sub>10</sub>; სქელი მაუდი (ქ. გ. ლ.). „აბრეშუმისა და ლანდრის საპალნე“ (619<sub>10</sub>).

ლანჩპარი, ლანჩფარი, ლანჩბარი, რანჩპარი (სპ. რანჯბარ-მშრომელი) 525; 561<sub>5</sub>, 7, 8, 9; 567<sub>2</sub>; 569<sub>1</sub>, 8; 570<sub>5</sub>, 7; 571<sub>1</sub>, დ. ჩ.: „ლანჩარი, ლანჩპარი (ოსმალ)... ბრინჯის შემმუშავებელი გლეხი“.

პ. უ.: „ლანჩპარი, რანჩპარი (სპ.)... მამულის პატრონისაგან სახნავ-სათესათ ადგილის ამღები გლეხი და ქირის გადამხდელი ფულად ან მოსავლის ნაწილით. მოლაღე, სხვის მამულზე მხვენელ-მთესველი“.

„ლანჩბარი... სახნავ-სათესი ადგილის ქირით ამღები“ (იასონ ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი, III—IV, 1938, გვ. 397, იხ. აგრეთვე მისივე, ქვემო ქართლი, I—II, გვ. გვ. 247—249, 322, 455).

„რანჩბარი“ გლეხთა ერთ-ერთი კატეგორიაა აზერბაიჯანში: რანჯბარი სიტყვასიტყვით ნიშნავს: „მშრომელს“, „ტვირთის მზიდველს“ (несущий бремя); რანჯბარი მიმაგრებულ იყო ფეოდალზე (История Азербайджана, т. I, 1958, გვ. 355), რაიათებისაგან, ე. ი. გლეხთა ძირითადი კატეგორიისაგან განსხვავებით, „რანჯბარი“ ფეოდალთან პირად დამოკიდებულებაში იყო: რანჯბართა უმრავლესობას არ ჰქონდა საკუთარი მეურნეობა, საკუთარი ინვენტარი და ისინი მუშაობდნენ ბატონის მეურნეობაში (История государства и права Азербайджанской ССР, 1964, გვ. 16).

ლანჩპარი ანუ რანჩბარი ბატონის მეურნეობაში ხვნა-თესვას მისდევდა, ან მებარეშუმეობას, ან მებამბეობას, ან მოჰყავდა ბრინჯი და სხვა. ხანები ლანჩპარებით ასაჩუქრებდნენ თავიანთ მოხელეებს. ლანჩპარობის ინსტიტუტის წარმოშობა აზერბაიჯანში იყო შედეგი გლეხობის შემდგომი გალატაკებისა (История Азербайджана, I, 1958, გვ. 355).

ლანჩპარი თავდაპირველად მოიჯარე გლეხი იყო. აღმოსავლეთის ქვეყნებში უმიწაწყოლო გლეხობა იჯარით იღებდა მიწას მესაკუთრისაგან. „რანჯბარი“ აზერბაიჯანში ნიშნავდა არა მხოლოდ მოიჯარეს, არამედ იმასაც, ვინც ფეოდალის მეურნეობაში მუშაობდა (ე. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 223—224).

მასასაღამე, ლანჩპარი ანუ რანჩბარი აზერბაიჯანში XVII—XVIII საუკუნეებში ორი კატეგორიისაა: მოიჯარე და ბატონის მეურნეობაში მომუშავე. მოიჯარე „რანჯბარი“ XVIII საუკუნის აზერბაიჯანში გამრავლდა, იმიტომ, რომ დაეცა საირიგაციო საქმე ხშირი ომების შედეგად; მოიჯარადრე რანჯბარები მძიმე პირობებში მუშაობდნენ: მიწის-მფლობელს აძლევდნენ შემოსავლის ნახევარს, ორ მესამედს და სხვა (И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI— начале XIX вв., 1949, стр. 309—310).

მეორე რიგის „რანჯბარები“ ყმა გლეხის კატეგორია იყო მემკვიდრეობით; გარდა ამისა, „რანჯბართა“ ჯგუფის შევსების ერთ-ერთი წყარო იყო ტყვე; აგრეთვე ხანს ბრძანებით შეეძლო რაიათი „რანჯბარად“ გადაექცია. რაიათებისაგან განსხვავებით, „რანჯბარები“ არ შედიოდნენ

სასოფლო თემებში, ამიტომ „რანჯბარის“ გადასახლება ადვილად შეეძლო ფეოდალს. „რანჯბარს“ ზოგჯერ ათავისუფლებდნენ ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან, რომ მთლიანად თავისი ბატონის სასარგებლოდ ემუშავა (იქვე, გვ. 316—318). „რანჯბარები“, რომლებიც უწინ მოიჯარეები იყვნენ, XVIII საუკუნის ბოლოს ყმებად გადაიქცნენ (იქვე, გვ. 319); „რანჯბარობის“ ინსტიტუტი აზერბაიჯანისათვის არის დამახასიათებელი (იქვე, გვ. 321). „დასტურლამალის“ ელის დებულების მიხედვით ლანჩპარის შრომა საქართველოში ძირითადად ბრინჯისა და აბრეშუმის მეურნეობაში გამოიყენებოდა. საქართველოში ლანჩპართა ძირითადი მასა უმიწაწყლოა, ან თუ აქვს მიწა, ძლიერ ცოტა (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII საუკუნეებში, 1958, გვ. 225, 318—321).

„დასტურლამალის“ მიხედვით ლანჩპარი მხოლოდ ელის დებულებაშია გათვალისწინებული, საქართველოს სხვა ნაწილებისათვის ეს ინსტიტუტი უცხოა. ის აზერბაიჯანიდან არის შემოსული და გვხვდება მხოლოდ საქართველოში ჩამოსახლებულ თურქმანულ ტომებში. „დასტურლამალით“ ლანჩპარი უმიწაწყლო ან ძლიერ ცოტას მქონე გლეხია, რომელიც ამუშავებს მეფის მიწას, მოჰყავს ბრინჯი, აბრეშუმი, ბამბა, პური, ქერი, ფეტვი; მაგრამ ძირითადად, როგორც „დასტურლამალიდან“ ჩანს, ლანჩპარის შრომა ბრინჯის ნათესებზე გამოიყენებოდა.

ლანჩპარი „დასტურლამალით“ მიწას ამუშავებს იჯარით, ან ამანათად (იხ.). ლანჩპართან დაკავშირებით უნდა შევეხოთ იმ პარაგრაფს (91), რომლის სათაურია „ინდოს ლანჩპარისათვის“. 91-ე §-ის სათაური პირობითია. ეს პირობითობა ამ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ სათაურას ქვეშ არ არის გაერთიანებული ერთიანი შინაარსის მქონე თხრობა. ძველი ხელნაწერებიც ამ §-ის მიმართ ერთგვარ მერყეობას ამჟღავნებენ: M-ში სრულებით არ არის სათაური, SKJ-ში, მართალია, სათაური სინგურით არის გამოყოფილი. მაგრამ ამავე სათაურის სიტყვებით იწყება აგრეთვე ტექსტიც. დედანთან უფრო ახლო ამ შემთხვევაში M უნდა იყოს, რომელშიაც პარაგრაფის შემცველი აბზაცები ქანწილით არის გამოყოფილი. მართლაც ამ ქანწილით გამოყოფილი აბზაცები უმრავლეს შემთხვევაში დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია. პირველ აბზაცში ინდოს ლანჩპარზეა საუბარი. ინდოს ლანჩპარი იხდის კომლზე მახტას, ქოდაეს, სანავრაზოს და სამასპინძლოს.

მეორე აბზაცში იოლჩიშვილების თაბუნის გადასახდლებია ჩამოთვლილი. შემდეგ აბზაცში მოცემულია ბრინჯის არხებზე დათესვის საერთო წესი. ამას მოსდევს ჩამოთვლა იძისა, თუ სად რამდენი ითესება. ამის შემდეგ ისევ ზოგადი ხასიათის წესებია მოცემული. სახელდობრ, რამდენს იხდის დალას მიწით მოსარგებლე, როგორ წარმოებს ნათესის მომკა, ბოსტნის მოშენება. შემდეგ მოცემულია ბამბის, პურის, ქერის და ფეტვის მოსავლის განაწესი და ბოლოს დაწვრილებით არის საუბარი აბრეშუმის მოსავლის განაწესზე. პარაგრაფს აერთიანებს მეფის სახასო მამულებზე ნათესების მოსავლის გადასახდელის (შემოსავლის წილის სახით) განსაზღვრა. პარაგრაფში მოცემული თხრობა შეიძლება დაიყოს, შემოსავლის ობიექტების მიხედვით, — ბრინჯის, პუ-

რის, ქერის აბრეშუმის და სხვა; მაგრამ ბამბის, პურის, ქერის და ფეტვის განაწესი მოცემულია ერთ წინადადებაში. პარაგრაფის დიდი ნაწილი ბრინჯის და ბამბის განაწესს უჭირავს. აგრეთვე, პარაგრაფში საკმაოდ ვრცლად არის საუბარი საერთოდ ნათესის განაწილებაზე, არხებზე, ე. ი. დასათესი ადგილის დასახლებაზე და ზოგად დებულებებზე გადასახადების განაწესის შესახებ. შეიძლებოდა პარაგრაფი ამ ადგილების მიხედვით დაგვეყო: ცალკე გამოგვეყო ბრინჯის შესახებ თხრობა, ბამბის შესახებ თხრობა და სხვა. შემდეგ შეიძლებოდა ცალკე პარაგრაფი გავგვეკეთებინა პურეულის ნათესების შესახებ. მაგრამ გავვიჭირდებოდა ზოგადი ნაწილების გამოყოფა, ან ნათესების ადგილების დასახლება, რადგანაც ნათესების ადგილების დასახლებაში არ არის მითითებული, თუ რომელ კულტურაზეა საუბარი (ბრინჯზე, ბამბაზე, ქერზე და სხვა); ამიტომაც ეტყობათ გადამწერთ ერთგვარი ორჭოფობა დასათაურებაში. დედანში ეს უფრო გარკვეული იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა: დღევანდელი სათაური („ინდოს ლანჩპარი“) მხოლოდ და მხოლოდ პირობითია. მთლიანად აღებული პარაგრაფისთვის სათაური კერძობითი მოვლენაა. ის საერთო პარაგრაფის ერთ პატარა ნაწილს ასახავს და სათაურად თუ არის გამოტანილი, ალბათ, იმიტომ, რომ ის პირველ აბზაცს წარმოადგენს. პარაგრაფი ამ აბზაცით იწყება.

ზემოთ ვთქვით, რომ პარაგრაფს აერთიანებს მიწით სარგებლობის წესის აღწერა. იმ შემთხვევაშიც, რომ ამ პარაგრაფში მხოლოდ იმ მიწათმოსარგებლის წესზე იყოს საუბარი, რომელსაც ლანჩპარი ასახავს, მაშინაც სათაური მთლიანი პარაგრაფის მიმართ გაუმართლებელია, რადგანაც სათაური მხოლოდ ინდოს (სახელი) ლანჩპარს ეხება და არა საერთოდ ლანჩპარს.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ „რანჩპარი“ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაც არის. ბოლნისში იმირასანის სასოფლო საბჭოში, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე სახნავ-სათეს მიწებს „რანჩპარი“ ეწოდება, ამჟამად იმ ადგილზე არავინ ცხოვრობს. სავარაუდოა, რომ იქ ელის: დასახლება იყო.

**ლილიფარი, ლილაფარა;** 6747. ლილიფარა 1) იგივეა რაც მზესუმზირა, 2) კუთხ. (ქიზ.) იგივეა, რაც აბილილი (ქ. გ. ლ.). აბილილი — ერთწლოვანი ხვიარა დეკორატიული მცენარე, ყვავილი ძაბრისებრი აქვს. (იქვე).

**ლიტრა** 503<sub>3, 15, 15</sub>, 520<sub>9</sub>, 524<sub>4</sub>, 540<sub>7</sub>, 542<sub>8</sub>, 568<sub>12</sub>, 574<sub>8</sub>, 580<sub>8</sub>, 584<sub>3, 3, 8</sub>, 600<sub>8</sub>, 618<sub>1, 8</sub>, 619<sub>4</sub>, 647<sub>3</sub>, 663<sub>7</sub>, 665<sub>4, 13</sub>, 689<sub>3, 5, 8</sub>, 703<sub>1, 12, 14, 18</sub>, 704<sub>22</sub>, 705<sub>8, 8</sub>, 706<sub>2, 18</sub>, 708<sub>8, 23</sub>, 710<sub>8, 9, 18</sub>, 711<sub>3, 13, 17</sub>, 712<sub>2, 22, 23</sub>, ლიტრა (ღვინო 718<sub>27</sub>), 1) წყლის ჭურჭელი; 714<sub>14</sub>, 715<sub>5</sub>, 717<sub>18, 20, 22, 24</sub>, 719<sub>3, 8, 8, 18</sub>. 2) წონის ერთეული (ქ. გ. ლ.); ლიტრიანი — ცხრა გირვანქიანი (დ. ჩ.).

## მ

**მადაური** 487<sub>9</sub>; 502<sub>8</sub>; 689<sub>4</sub>; 705<sub>2, 7, 8</sub>; 706<sub>3, 23</sub>, „პური ბრტყელი და მგრგული“ ლი (ს. ო.); „პური ფართო და განიერი“ (დ. ჩ.).



- მპირი (არაბ. მჰპირ) 535<sub>2</sub>; „დახელოვნებული ოსტატი“ პ. უ; ზარაფხანის მთავარი გამგებელი (ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისის უნ. შრომები, XXV, გვ. 199).
- მალთო მალთი 599<sub>7</sub>; „ფიკვის ზეთი“ (ს. ო.); „თბილელისა და წინამძღვრის ყმას აქლემის მალთი“ (597<sub>7</sub>); დ. ჩ.: „მალთო ნ. მალო, მალო ფიკვის ზეთი; მალთი აქლემისა (არაბ.) გამოსაღები თითოს აქლემზედ. податъ с вернлюда“ და მიუთითებს „დასტურლამალზე“.
- მალი (არაბ.) 536<sub>1, 2, 9, 10</sub>; 550<sub>9</sub>; 586<sub>2</sub>; 589<sub>4</sub>; 595<sub>2</sub>; 596<sub>6</sub>; 597<sub>5, 7</sub>; 606<sub>1</sub>; 613<sub>4</sub>; 615<sub>1</sub>; 630<sub>8, 9</sub>; 644<sub>13</sub>; 645<sub>1, 2, 3</sub>; 708<sub>21</sub>; 709<sub>24</sub>; 710<sub>14</sub>; 714<sub>2, 14</sub>; 716<sub>18, 21</sub>; სახელმწიფო გადასახადი ფულით (იხ. ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952).
- მალის ძღვენი 597; ზასადარს მალის გადასახადის აკრეფისათვის სოფლიდან (მაგალითად დილომიდან) ეკუთვნოდა ძღვენი. ზასადარს — „მალის ძღვენი“ 597<sub>8</sub>).
- მამასახლისი 511<sub>8</sub>, 536<sub>6</sub>, 538<sub>12</sub>, 553<sub>3, 6, 7</sub>, 583<sub>8</sub>, 584<sub>3</sub>, 588<sub>1, 9</sub>, 591<sub>11</sub>, 594<sub>1</sub>, 597<sub>10</sub>, 602<sub>12</sub>, 613<sub>10</sub>, 614—615<sub>12</sub>, 616<sub>2</sub>, 617<sub>4</sub>, 618<sub>5</sub>, 619<sub>1</sub>, 620<sub>6</sub>, 709<sub>8, 16, 20, 22</sub>, 711<sub>7</sub>, 712<sub>10</sub>, 713<sub>2, 30</sub>, 714<sub>6, 9, 11, 21</sub>, 718<sub>7, 10</sub>, 1) მამასახლისს ქალაქის მართვის ყოველგვარი საქმეები ეკითხებოდა, 2) სოფლის მოხელე (ი. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. გვ. 409—411; 439—442).
- მამული 516<sub>10</sub>, 528<sub>10</sub>, 532<sub>6</sub>, 571<sub>3</sub>, 577<sub>2</sub>, 587<sub>5</sub>, 599<sub>10</sub>, 611<sub>11</sub>, 682<sub>12</sub>, 683<sub>3</sub>, 707<sub>18</sub>, 716<sub>14</sub>, 718<sub>1</sub>, 721<sub>2</sub>, 1) სამშობლო, 2) სამკვდროდ მიღებული ადგილ-მამული, მიწა.
- მანგლელი 678<sub>8</sub>, 694<sub>4</sub>, მანგლისის ეპისკოპოსი.
- მანჯანიკი (არაბ. მანჯანიყ-მანჯანა) 582<sub>6</sub>, 1) აბრეშუმის ამოსახვევი ჯარა 2) მანქანა, რომლითაც ზარბაზნის გამოგონებამდე ციხეს მძიმე ქვებს უშენდნენ, 3) წყლის კიდან ამოსაღები მანქანა. აქ აბრეშუმის ამოსახვევ ჯარხს ნიშნავს.
- მარქაფი (არაბ. მარგაბ) 689<sub>9</sub>, სათაღაროგო, შემცველი (ქ. გ. ლ.).
- მარჩილი 518<sub>5</sub>, 520<sub>18</sub>, 543<sub>3-4</sub>, 587<sub>7, 13</sub>, 597<sub>12</sub>, 620<sub>6</sub>, 636<sub>17</sub>, 638<sub>8</sub>, 646<sub>11</sub>, 648<sub>2</sub>, 686<sub>9, 11</sub>, 688<sub>3</sub>, 699<sub>3</sub>, 700<sub>16, 17, 18, 19, 20</sub>, 701<sub>4</sub>, 708<sub>23</sub>, 709<sub>10</sub>, 710<sub>6</sub>; 711<sub>5, 6, 12</sub>, 712<sub>6, 7</sub>, 713<sub>18, 22, 24, 28, 30</sub>, 714<sub>2, 6, 13, 23</sub>, ვერცხლის ფული, უდრიდა სამ აბაზს (ქ. გ. ლ.).
- მარხვა 510<sub>9</sub>, 583<sub>2</sub>, 717<sub>15, 17</sub>; რელიგიური წესი, რომელიც კრძალავს ხორცისა და რძის პროდუქტების ჭამას (ზოგჯერ თევზისასაც).
- მასალა (არაბ; მასალეჰ) 674<sub>3</sub>; სხვადასხვა საგნები, ნივთები და სხვა, რაც საჭიროა რისამე დასამზადებლად, ასაშენებლად, საწარმოებლად (ქ. გ. ლ.). „საკმლის მასალის იარაღი“ (674<sub>3</sub>).
- მაშია 500<sub>19</sub>, წულა, ქოში (დ. ჩ.); „ფერხით საცემლია“ (ს. ო.); ქოშის მსგავსი ფეხსაცემლი (ქ. გ. ლ.).
- მახტა 567<sub>3</sub>, 576<sub>9, 11</sub>, 578<sub>7</sub>, სახელმწიფო გადასახადი (იხ. ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1952).
- მალობელი 664<sub>8</sub>; მომღერალი.

მდაბალი 610<sub>6</sub>, იხ. დაბალი.

მღივანბეგი 475<sub>14</sub>, 527<sub>9</sub>, 10, 553<sub>1,16</sub>, 578<sub>5</sub>, 621<sub>2</sub>, 634<sub>7, 9</sub>, 635<sub>6, 11, 5</sub>, 636<sub>2, 5, 6</sub>, 636<sub>11, 12, 13, 16, 17</sub>, 637<sub>3, 5</sub>, 638<sub>2, 9, 11, 13, 14, 18</sub>, 639<sub>1</sub>, 641<sub>2, 10</sub>, 642<sub>2, 4</sub>, 648<sub>4</sub>, მოსამართლე, მსაჯული (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 313—339); divan-არაბ. beg თურქული, მღივანბეგ — არაბ.-თურქ. „სასამართლოს ბატონი“ (ს. ჩიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, III, 1960).

მღივანი 495<sub>20</sub>, 501<sub>6</sub>, 506 სქ; 515<sub>17, 18</sub>, 516<sub>2-5, 8, 12, 13</sub>, 517<sub>2, 6, 8, 11, 7, 5</sub>, 521<sub>21</sub>, 522<sub>15</sub>, 526<sub>3</sub>, 527<sub>4</sub>, 535<sub>10</sub>, 536<sub>7</sub>, 538<sub>8, 9</sub>, 539<sub>4, 15</sub>, 551<sub>2</sub>, 573<sub>3</sub>, 574<sub>8</sub>, 575<sub>4, 8</sub>, 577<sub>3</sub>, 578<sub>12</sub>, 580<sub>2</sub>, 595<sub>3</sub>, 613<sub>6</sub>, 617<sub>2</sub>, 620<sub>2</sub>, 630<sub>11</sub>, 636<sub>18</sub>, 638<sub>3, 9, 10</sub>, 642<sub>5</sub>, 644<sub>3</sub>, 646<sub>7-18</sub>, 647<sub>2</sub>, 681<sub>12</sub>, 698<sub>14, 16</sub>, 707<sub>5</sub>, 708<sub>12</sub>, 709<sub>13</sub>, 710<sub>11</sub>, 711<sub>1</sub>, 717<sub>4</sub>, 718<sub>28, 29</sub>, მწერალი, მოხელე (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 229—239); divan არაბ., ს. ჩიქია, აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, III, 1966.

მღივნის კაცი 708<sub>12</sub>; მღივნის ნდობით აღჭურვილი, მისი დამხმარე.

მებადური, 510<sub>2</sub>; ამ შემთხვევაში ბადით თევზის დამკერი:

მებალახე 522<sub>10, 13, 16</sub>, 523<sub>1</sub>, 527<sub>3</sub>, 616<sub>6</sub>, 703<sub>9</sub>, 708<sub>3</sub> (ზოგჯერ წერია „მობა-ლახე“), სახელმწიფოს გადასახადის — საბალახეს ამკრეფი მოხელე.

მებაჟე 544<sub>4-5</sub>, 545<sub>3</sub>, 715<sub>12</sub>, 716<sub>25</sub>, ბაჟის ამკრეფი მოხელე.

მეგოლრე 498<sub>17</sub>; სუფრაზე გამომცხვარი პურის მომტანი (პ. უ.). სამეურნეო შინაარსის მოხელე. იხ. „ქელმწიფის კარის გარიგების“ ლექსიკონი.

მეგოლრეთუხუცესი, მეგოლრეების უფროსი 494<sub>16</sub>, 497<sub>11</sub>, 499<sub>11, 12</sub>, 667<sub>7, 8</sub>, 705<sub>12, 13, 16, 19</sub>.

მეზურე 592<sub>1</sub>, 643<sub>11</sub>, 716<sub>2, 13</sub>, ვენახის მომვლელი მოხელე.

მეზინჯე 661<sub>20, 21</sub>; ზინჯის მცემელი, დამკერელი (პ. უ.). პ. უ. ასე განმარტავს სიტყვა სინჯს: „სპ. სინჯ. თეფშის მსგავსი საკრავი თითბრისა, გარს ეყენებიანი, რომელსაც ერთმანეთს სცემენ ზმის გამოსაცემად“. ეს განმარტება წ-ის შინაარსს უდგება. „ნალარახანის მოქელენი დაგვიყენებია... მესინჯე — გოგინა, მესინჯე — არუთინა“ 661<sub>20-21</sub>.

მეზურნე 661<sub>14, 15</sub>; ზურნის მკერელი (დ. ჩ.).

მეთევზეთ უფროსი 716<sub>28</sub>; თევზის დამკერთა უფროსი:

მეთევზე 506<sub>6</sub>, 706<sub>12-16</sub>; მსახური, რომელსაც თევში აბარია.

მეთოფე (თურქ. top. 483<sub>10</sub>, 487<sub>4, 5</sub>, 490<sub>1, 5, 6, 13</sub>, 500<sub>7, 13</sub>, 650<sub>4</sub>, ციხის მეთოფე; თოფით აღჭურვილი (დ. ჩ.). შემდეგი პერიოდის ჯარისკაცი; მეფის დამცველი რაზმის წევრი.

მეითარღ (სპ. მეპთარ?) 578<sub>4</sub>, 662<sub>2, 3, 10, 12</sub>; სასახლის ხელშინაური მოხელე (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 203—204).

მეკარვე 660<sub>14</sub>, კარვის მნე (დ. ჩ.).

მეკოდისპურე 510<sub>3, 9</sub>, 520<sub>12, 13, 16, 17</sub>, 705<sub>16</sub>, 708<sub>3, 4</sub>, სახელმწიფო გადასახადის — კოდისპურის ამკრეფი მოხელე (იხ. კოდისპურის მკრეფელი).

მეკონე 513<sub>14</sub>; კონის მნე, იხ. კონი.

მეკულუხე 600<sub>6</sub>; გადასახდელის კულუხის (იხ.) ამკრეფი.

- მელიქი (არაბ. მელიქ.) 536<sub>5</sub>, 538<sub>12</sub>, 583<sub>10</sub>, 606<sub>9, 10, 11</sub>, 1) ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა საქმეების გამგებელი, ჰქონდა სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციები, 2) სომხითის მელიქი, ქართლის სამეფოს ერთერთი მსხვილი ფეოდალი (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 433—439; მელიქისა და მამასაბლისის სახელობის შესახებ იხ. Ш. Месхиа, Города и городскои строй феодальной Грузии, 1959, стр. 262—276).
- მემაღე 584<sub>6</sub>, 588<sub>4</sub>, 630<sub>11</sub>, 716<sub>21</sub>, მალის ამკრეფი მოხელე (იხ. მალი).
- მემანდარბაში (სპ.-თურქ. მეჰმანდარბაში) 479<sub>5</sub>; მემანდართუფროსი (იხ. მემანდარი).
- მემანდარი (სპ. მეჰმანდარ) 479<sub>3, 6</sub>, 523<sub>15</sub>, 652<sub>10-12</sub>, მეჰმანდარი, სტუმრების მიმღები მოხელე (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 275—279).
- მემაშიე 500<sub>19</sub>; მაშიის ჩამომრთმევი (იხ. მაშია).
- მენავტიკე 712<sub>16</sub>; ნავტიკის მკონე (დ. ჩ.).
- მენაფირე არაბ. ნაფირ نفر აქედან მენაფირე. 661<sub>2, 12, 13</sub>; ბუკის, ნაფირის დამკვრელი (პ. უ.).
- მენაღარე (სპ. ნაყარა) 661<sub>15, 18, 20</sub>; ნაღარს მკვრელი (დ. ჩ.).
- მეპირისთავე 523<sub>3</sub>, 527<sub>9</sub>; „მპირისთავე“, გადასახადის პირისათვის ამკრეფი მოხელე.
- მერიქიფე 662<sub>8, 10</sub>, 664<sub>1</sub>, 705<sub>10</sub>, 707<sub>10</sub>; ღვინის მიმწოდებელი.
- მესაკლავე 506<sub>7</sub>, 522<sub>7, 8</sub>, 524<sub>15</sub>, 573<sub>4, 5</sub>, 706<sub>10, 12</sub>, 708<sub>8, 9</sub>, ყასაბი.
- მესაუბრე 516<sub>5</sub>, 518<sub>6</sub>; გადასახადის საურის ამკრეფი მოხელე (იხ. საური).
- მესთვლე 521<sub>3</sub>, 582<sub>11</sub>, 600<sub>9</sub>, 603<sub>17</sub>, 708<sub>7</sub>; ყურძნის მომკრეფი და დამწურავი.
- მესტუმრე 711<sub>2</sub>; სტუმრის მიმღები მოხელე.
- მეტიკისპირე 705<sub>10</sub>; ღვინის ჩამომსხმელი ტიკიდან (პ. უ.).
- მეულუფე 502<sub>14</sub>, 517<sub>3</sub>, 522<sub>9</sub>; დ. ჩ.: „ვისაც ულუფა აქვს, ან დამრიგებელი ულუფისა, სარჩოსი და საზრდელისა“. პ. უ.: „ვისაც ულუფის მიღების უფლება აქვს“ (იხ. ულუფა).
- მეფანჯიაქე (ფანჯაქ) 698<sub>8, 9</sub>; ფანჯიაქი—დავლის მეხუთელი; მეფანჯიაქე — ამ მეხუთედის ამღები.
- მეფე 475<sub>8</sub>, 493<sub>5</sub>, 526<sub>1</sub>, 638<sub>16</sub>, 642<sub>5</sub>, 698<sub>14</sub>, 701<sub>7</sub>, 716<sub>4</sub>, 718<sub>15</sub>, სახელმწიფოს მეთაური მონარქიული წყობილების დროს. „ქართველთა მეფის“ ტიტული, მეფობის აღდგენის შემდეგ, პირველად მიიღო ადარნასე II, IX—X საუკუნეთა მიჯნაზე (შ. ბაღრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, 113, 1965).
- მექანარე 661<sub>15-9</sub>; ქანარის დამკვრელი.
- მეღალე 590<sub>2</sub>, 643<sub>11</sub>, 709<sub>22</sub>, 712<sub>12</sub>; გადასახადის ღალის ამკრეფი (იხ. ღალი).
- მეღვინე 496<sub>6</sub>, 495<sub>19</sub>, 496<sub>10</sub>, 497<sub>2, 13</sub>, 498<sub>5</sub>, 499<sub>2, 12</sub>, 670<sub>9</sub>, 705<sub>5, 6</sub>; მეღვინეთა უფროსი.
- მეყორულე (кочик თურქ.) 687<sub>9, 10</sub>, 688<sub>5</sub>, „ვისაც ყორულათ აქვს აღებული რამე“ (დ. ჩ.). პ. უ.: თათრ. ყორულ-დაცული ადგილი. მეყორულე „მცველი საძოვრის ადგილისა“.
- მეშარბათე 494<sub>17</sub>, 495<sub>18</sub>, 497<sub>11, 12</sub>, 498<sub>4</sub>, 499<sub>1</sub>, 643<sub>12</sub>, 674<sub>16</sub>, „შარბათის შემნახავი“ (დ. ჩ.).
- მეშეშე 501<sub>15</sub>, 505; აქ შეშის მიმწოდებელი მეფის სამზარეულოში.

მეტყვერე 505<sub>11</sub>, 522<sub>2, 4, 5, 19</sub>, 614<sub>6</sub>, 673<sub>8</sub>; ცხერის მწყემსი.

მეძალღე 506<sub>7</sub>; ძალღის მომღღელი.

მეძალღეთუბუცესი 688<sub>8, 9</sub>; მეძალღეთა უფროსი.

მეხრე 592<sub>2</sub>, 594<sub>4</sub>, 600<sub>12</sub>, 643<sub>11</sub>, 708<sub>15</sub>, ხარის გამრეკი (ქ. გ. ლ.).

მეჯინიბე 505<sub>9</sub>, 679<sub>14</sub>, 680<sub>11-14, 18</sub>, 682<sub>4, 5, 6</sub>, 684<sub>17, 18</sub>, 707<sub>18</sub>, 708<sub>1</sub>, 710<sub>2</sub>, 718<sub>6</sub>;  
საჯინიბოში მომღღევე. ცხენის მომღღელი (ქ. გ. ლ.).

მეჯინიბეთუბუცესი 520<sub>21</sub>, 679<sub>12</sub>, 680<sub>8, 17</sub>, 681<sub>8, 13, 14</sub>, 682<sub>2, 3</sub>, 707<sub>9, 14, 15, 17</sub>;  
მეჯინიბეების უფროსი.

მეჯღისი, მეჯღიში (არაბ მაჯღის) 480<sub>3, 6</sub>, 484<sub>4</sub>, 489<sub>12</sub>, 493<sub>7</sub>, 495<sub>15, 21</sub>, 496<sub>13</sub>,  
497<sub>8, 15</sub>, 498<sub>2, 3, 13</sub>, 499<sub>5, 7, 17</sub>, 502<sub>4, 9, 10, 15</sub>, 525<sub>10</sub>; წვეუღება, ნაღიმი.

მეჯოღე 675<sub>1-3, 11-13</sub>, 676<sub>5, 10, 11, 12</sub>, 677<sub>1, 2, 3</sub>, 679<sub>14</sub>; ჯოღის მწყემსი (ქ. გ. ლ.).

მეჯოღეთუბუცესი 675<sub>1-4</sub>, 676<sub>1, 4, 5, 7, 12</sub>, 682<sub>2, 3</sub>; მეჯოღეების უფროსი.

მეჯორე 505<sub>9</sub>, 706<sub>6</sub>; ჯორების მწყემსი.

მჯარეული 506<sub>2, 5</sub>, 507<sub>5</sub>, 643<sub>11</sub>, 706<sub>4, 5, 7</sub>, 718<sub>7, 10</sub>; ხეღობით საჯმღის მკეთე-  
ბელი (ქ. გ. ლ.).

მთავარეძღესკოპოსი 678<sub>6</sub>; საეკღესიო იერარქიის მაღალი თანამღებობის პირი  
(ქ. გ. ლ.).

მიზანი 541<sub>3-4</sub>; „არაბ სასწვრის ენა, სასწორი საბაჟოზე აბრეშუმის, ლღღის და სა-  
ნეღებელთათვის“ (პ. უ.). „აბრეშუმი თუ აქ მიზანში ასწონეს, ბათმან-  
ზეღ ერთი აბაზია“.

მინალთუნი (აზერბ. მინალთუნ) „მინ“ აზერბ — „ათასი“. „ალთ“ აზერბ. „ოქ-  
რო“. 487<sub>8</sub>, 532<sub>9</sub>, 535<sub>8, 7, 13</sub>, 536<sub>8, 16</sub>, 544<sub>8, 8</sub>, 545<sub>8, 9</sub>, 548<sub>1</sub>, 550<sub>3</sub>,  
552<sub>2, 3</sub>, 562<sub>4, 15</sub>, 563<sub>2, 3, 4, 7</sub>, 611<sub>9</sub>, 615<sub>10</sub>, 616<sub>4</sub>, 639<sub>8</sub>, 648<sub>11</sub>, 649<sub>4</sub>,  
651<sub>2</sub>, 654<sub>8</sub>, 687<sub>1, 3, 4</sub>, 699<sub>5, 7, 8, 10</sub>, 700<sub>8, 10, 12, 13</sub>, 701<sub>1-5</sub>, 702<sub>7</sub>, 703<sub>2, 8</sub>,  
703<sub>14</sub>, 704<sub>2, 4</sub>, 705<sub>3, 7, 8, 15</sub>, 706<sub>8, 9, 14, 18</sub>, 707<sub>3, 4, 8, 11, 18, 20</sub>, 708<sub>22</sub>, 709<sub>24</sub>,  
710<sub>14</sub>, 716<sub>14</sub>, 719<sub>2, 8, 17</sub>, ერთი მანეთი.

მინბაში 547<sub>10</sub>; „მინ“ აზერბ. — ათასი, „ბაში“ თურქ. უფროსი; ათასეღღის უფ-  
როსი ათასისთავი.

მკერღა, მკერღი 487<sub>14</sub>; 488<sub>7</sub>; 505<sub>10</sub>; 506<sub>6</sub>, პ. უმიკაშვიღს ეს სიტყვა არ აქეს  
შეტანიღი „ღასტურღამაღისათვის“ ღართულ ლექსიკონში. დავით ჩუ-  
ბინაშვიღს აქეს ეს სიტყვა თავის ლექსიკონში, მაგრამ ჳითხვითი ნიშ-  
ნით, განმარტების გარეშე. მარი ბროსეს აზრით, „მკერღა“ და „მკერ-  
ღი“ ნიშნავს — „გრუღინკა“-ს (Грудинка — „сорт мяса из грудной  
части туши; жаркое — приготовленное из этого мяса“, Толковый  
словарь русского языка, под редакцией проф. Д. Н. Ушакова).

„ღასტურღამაღში“ ეს სიტყვა გვხვღება ორი ფორმით — „მკერღა“  
(§ 12) და „მკერღი“ (§ 27, 28).

მე-12 §-ის სათაურია „მეთოღეთა ღებუღება“. §-ში საუბარია იმის  
შესახებ, თუ რა სარგო აქეს განკუთვნიღი მეთოღეების უფროსებ-  
სა და თვით მეთოღეებს — ფუღითა თუ პროღუქტების სახით. მეთო-  
ღეთა უფროსა, სხვათა შორის, ეღღევა: „...სამარხო კვირაში ნახეღარ  
ღიტრა მისის ნიგვზით. მარიღი კვირაში ჩარეკი ერთი. ქრისტეშობის  
მარხვაში, ოთხშაბათ-პარასკევეს გარღაისად, ღღიურ თვითო მკერღა“,  
ხოლო მეთოღეებს ეღღევათ: „...ქრისტეშობის მარხვაში — ორშაბათს,

ოთხშაბათს და პარასკევს — დღეში ხიზილალა ლიტრა ერთი, იმ სხვა დღეებში დღიურ მკერდა წყვილი ოთხი“. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით „ქრისტეშობის“ მარხვა (იხ.) შედარებით უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე „აღდგომის“ წინახანებისა და აგვისტოს თვისა. კვირის დღეებიდან კი ოთხშაბათი და პარასკევი უფრო სამარხვო დღეები იყო, ვიდრე სხვა დღეები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეთოფეთა უფროსისათვის ოთხშაბათსა და პარასკევს გარდა, ხოლო მეთოფეთათვის ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევს გარდა — სხვა დღეებში — სახსნილო საჭმელი, ამ შემთხვევაში „მკერდა“, ე. ი. საკლავის მკერდის ნაჭერი იყო გათვალისწინებული. ამასვე გვაფიქრებინებს 27-ე და 28-ე პარაგრაფები, რომლებშიაც ჩამოთვლილია საკლავის ნაწილების სახელწოდებანი და მათ შორის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო სახელი — „მკერდის“ ფორმით. 27-ე §-ის სათაურია: „უმისა და მოხარშულის ძროხის საწესოს მიცემა“. §-ში წერია: „ძროხა რამდენიც დაიკლას: თავები — მეჩინებებისა, კისერი მეჯორისა, მკერდი თუშმლისა არის; საპარავი მზარეულებისა, თირკმელი აუშტრისა, გულ-ღვიძლი საკლავის მეცხვარისა“; ამავე §-ში საუბარია მოხარშული ძროხის „საკაჭკაჭეზე“ და „კანჭზე“. 28-ე §-ში ჩამოთვლილია „დაკლული ცხვრის“ ნაწილები: „...მკერდი — თუშმალს, კისერი — მზარეულს“ და სხვა. ამავე §-ში ნათქვამია: „ერთი მთელი ცხვარი“ 6 ნაწილისაგან შედგება: ორი მხარი, გვერდები, „ორი ბარკლები“, „ერთი... ზურგის ძვალი“, ერთი — „მკერდ-კისერი“.

მართებულად მიგვაჩნია მ. ბროსე. „მკერდა“ და „მკერდი“ ერთი და იგივეა და „საკლავის მკერდს“, მკერდის ნაწილს ნიშნავს.

მკერვალი 657<sub>1</sub>, 2, მკერავი.

მკვლელობა 617<sub>10</sub>, 635<sub>0</sub>, დანაშაული, რომელიც მდგომარეობს ადამიანის სიცოცხლის მოსპობაში.

მოლა (არაბ. მაულ „ბატონი“), 554<sub>4-5</sub>, 555<sub>1, 4, 5</sub>, 556<sub>2, 7</sub>, 557<sub>2, 5</sub>, 558<sub>1, 4, 7, 8</sub>, 559<sub>1, 3, 5, 7</sub>, 560<sub>1, 3, 5, 7</sub>, 561<sub>3-4, 5, 7, 8</sub>, 562<sub>1</sub>, 576<sub>3</sub>, მუსულმანთა მღვდელი (ქ. გ. ლ.).

მოლარე 651<sub>9, 11, 15</sub>, 653<sub>2</sub>, 655<sub>6</sub>, 704<sub>27</sub>, 705<sub>4</sub>, სალაროს მომუშავე.

მოლარეთუხუცესი 652<sub>7, 8, 13, 16</sub>, 653<sub>1, 6, 8, 11, 12</sub>, 704<sub>21, 22, 25</sub>, მოლარეების უფროსი.

მონასტერი 521<sub>4</sub>, მონაზონთა სავანე, დედათა მონასტერი.

მოპარვა 615<sub>5</sub>; დანაშაული, რაც გამოიხატება მალულად სხვისი ნიეთის მითვისებაში.

მოსავალი 717<sub>6</sub> დ.; ამ შემთხვევაში შემოსავალი.

მოსამსახურე 500<sub>2</sub>; რაიმე სამსახურში მყოფი პირი (ქ. გ. ლ.), იხ. იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“, 1957 წ., ლექსიკონი, სიტყვა „მსახური“.

მოსაქმე 519<sub>5, 6</sub>, 617<sub>9</sub>, 642<sub>1</sub>, დაბალი მოხელე (ივ. სურგულაძე, საქართველოს საბელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 156—169).

მოურავი 538<sub>12</sub>, 542<sub>6, 13</sub>, 543<sub>2, 4, 7</sub>, 544<sub>4</sub>, 570<sub>3, 4</sub>, 578<sub>4</sub>, 580<sub>2-3</sub>, 581<sub>5, 11, 14</sub>, 582<sub>1</sub>, 586<sub>11</sub>, 589<sub>6</sub>, 590<sub>1, 3, 4</sub>, 591<sub>4</sub>, 595<sub>2</sub>, 597<sub>1</sub>, 599<sub>9</sub>, 603<sub>1, 3, 5, 8, 16</sub>, 606<sub>9, 13</sub>,

610<sub>2</sub>, 4, 5, 612<sub>1-3</sub>, 615<sub>4</sub>, 616<sub>1</sub>, 617<sub>1, 4</sub>, 619<sub>14</sub>, 620<sub>1</sub>, 630<sub>4</sub>, 709<sub>3</sub>, 713<sub>15</sub>, 24, 27, 714<sub>6</sub>, 7, 9, 19, 23, 715<sub>14</sub>, 17, 18, 19, 22, 716<sub>1</sub>, 1) ქალაქის მმართველი — მოხელე, 2) სოფლის გამგებელი (იხ. ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 394—407; გვ. 424—433; იხ. „ქელმწიფის კარის გარიგების“ ლექსიკონი).

მოურავი, საურავი, ურვა ერთი ძირის სიტყვებია. უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება „ურვა“, „ურვება“ შეწუხების მნიშვნელობით (ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი, 1948 — 1949).

ტერმინი „საურავი“ საზრუნავის მნიშვნელობით აქვს გიორგი მერჩულეს (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 192), ზოლო „ურვა“ ზრუნვის, გარჯის მნიშვნელობით იმავე ავტორს (იქვე, გვ. 115), ბასილი ზარზმელს (იქვე, გვ. 95); „სიბრძნე ბალავარის“-ში არის სიტყვა „იურვოდა“ (იქვე, გვ. 284).

„ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმეს“-ში გვხვდება სიტყვები „მოურანე“ და „ეურვოდა“ (იქვე, გვ. 188).

„ურვა“ ზრუნვის, გარჯის, წუხილის მნიშვნელობით არის ჟუანშერის ნაშრომში („ქართლის ცხოვრება“, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., გვ. 221), „მატიანე ქართლისა“-ში (იქვე, გვ. 305); ლეონტი მროველს აქვს „ეურვებოდა“ (იქვე, გვ. 133), ზოლო ჟუანშერს „იურვოდა“ (იქვე, გვ. 146). სიტყვა საურავი საზრუნავის მნიშვნელობით გვხვდება ლეონტი მროველთან (იქვე, გვ. 31) და „მატიანე ქართლისაში“ (იქვე, გვ. 298, 300).

საყურადღებოა XIII საუკ. ერთი სიგელი, რომლითაც მეფე ათავისუფლებს გადასახადებისაგან მღვიმის სოფელ აგარას. მეფე ასე მიმართავს მოხელეებს: „აჲ ვინცა ჰნაბოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი საგამგეოსისა ჩუენისა მოურავთა, მუხრანის ციხისთავთა, მეზროხეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა დაამტკიცეთ და ნუმცა ვის ხელგეწიფების შლად და ქცევად ბრძანებისა ამის ჩუენისად“ (თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრის..., 1896, გვ. 14). თ. ჟორდანი სიგელს ათარილებს 1082 წლით, ს. კაკაბაძე სიგელს მიაკუთვნებს გიორგი ლაშას (ს. კაკაბაძე, შიო მღვიმეს სამი სიგელი, 1912); ი. დოლიძე სიგელს გიორგი ლაშასეულად თვლის (1222 წ.), ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 594. ამ კონტექსტში მოურავი მოხელე უნდა იყოს; სავარაუდებელია, რომ ამ შემთხვევაში მოურავი მეფის „საგამგეოს“ მოხელეა, მეფის „საგამგეო“-ში მეფის სახასო მამულებიც შეიძლება ვიგულისხმობთ. მაშასადამე, მოურავი მეფის სახასო სოფლის, ან სოფლების, ან კუთხის გამგებელი იქნებოდა.

ჟუანშერის გადმოცემით ქართლის დედოფალი სთხოვს მამას „მოურავ ექმნეს“ თავის (დედოფლის) შვილს (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 144). ამ შემთხვევაში ტერმინი მოურავი მზრუნველს ნიშნავს. დავით კურაპალატი, „მატიანე ქართლისა“-ს მიხედვით ეუბნება ქართლის აზნაურებს ბაგრატ გურგენის ძის შესახებ: „ეს არს მკვიდრი ტაოსი... შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოუ-

რავი მისი და თანაშემწე“ (იქვე, გვ. 274). აქაც მოურავი მზრუნველს, მეურვეს ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, საურავი, ურვა, ურვება ცნობილია ქართულ წყაროებში საქართველოს გაერთიანებამდე, ხოლო XI—XIV საუკუნეების ძეგლებში გვხვდება ტერმინი მოურავი მზრუნველის მნიშვნელობით. ამასთანავე, ჭუანჭერის შრომაში ნახსენები „მოურავი“ საქართველოს V საუკუნის ისტორიის თბრობაში არის მოცემული, ხოლო „მატიანე ქართლისაჲში“ ნახსენები ტერმინი მოურავი დავით კურაპალატის პერიოდის მოვლენების აღწერაშია ჩართული. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ტერმინი მოურავი დამკვიდრებულია ქართულ წყაროებში საქართველოს გაერთიანებამდე; მართალია, იმ წყაროებში, რომელშიაც მოხსენებულია მოურავი (ჭუანჭერი, „მატიანე ქართლისაჲ“), ეს ტერმინი მზრუნველს ნიშნავს საერთოდ და არა მოხელეს, მაგრამ თვითონ ტერმინის არსებობა არ გამორიცხავს იმას, რომ ამ ტერმინით კონკრეტული თანამდებობაც გადმოეცათ. გარდა ამისა, მოურავი შეზღვევნიაც, მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში, თანამდებობის აღმნიშვნელიც იყო და მზრუნველისაღ. თვითონ თანამდებობაც — მოურავობა თავისი შინაარსით მზრუნველობას შეიცავდა. ამის გარდა, ამ სიტყვის ძირის სხვა სიტყვების (ურვა, საურავი და სხვ.) გავრცელებულობა თითქოს ადასტურებს იმას, რომ მოურავი ერთ-ერთი უძველესი თანამდებობაა საქართველოში და ეს სახელო არსებობდა, ალბათ, სახელმწიფოს გაჩენის დროიდანვე. ყოველ შემთხვევაში ფეოდალური საქართველოს გაერთიანებამდე ამ სახელოს არსებობა სავსებით შესაძლებელია (Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодалной Грузии, 1959, გვ. 79). მართლაც, როგორც წარმოვიდგინოთ, რომ სამეფოსა თუ საფეოდალოებში არ ყოფილიყოს ისეთი სამეურნეო შინაარსის მოხელე, როგორიც მოურავია. მოურავი სახელწოდებითაც ქართულია და ის ციხისთავთან ერთად უძველესი სახელო უნდა იყოს. გიორგი ლაშას სიგელში, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, მინიშნებულია კიდევ მოურავისა და ციხისთავის ერთდროულად არსებობა და ორთავე, როგორც ჩანს, ადგილობრივი მმართველების თანამდებობა იყო. მოურავი ძველად ქალაქის ამ კუთხის გამგებელი უნდა ყოფილიყო.

ტერმინი მოურავი არის გრიგოლ სურამელის სიგელში (1245—1250 წწ.); გრიგოლი ჭჭორავს შიომღვიმის მონასტერს გავაზის სოფელს; სიგელში საუბარია მონასტრის შეუვალობაზე სასამართლოს ხაზით. გრიგოლი წერს: თუ ჩვენსა და მღვიმის კაცს შორის, ე. ი. ყმებს შორის, სასამართლო საქმე, ან რაიმე სასაურვო იყოს, ასეთი საქმეები ჩვენმა, ე. ი. გრიგოლ სურამელის მამასახლისმა და მონასტრის ხელისუფალმა გაარიგონ, ხოლო თუ მღვიმის გლეხს გარეშე ვინემ აწყინოს, ამისი სამართალი გრიგოლის მამასახლისმა მისცესო (ქართული სამართლის ძეგლები, 11, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 37—38). სხვაგვარი კი, წერს გრიგოლ სურამელი, „ნუ მამასახლისი, ნუ ხელისუფალი, ნუ ციხისთავი, ნუ გზირი, ნუ მსახური, და ნუ რაი

გვერდი კაცი ნუ იკადრებს“ მონასტრის საქმეებში ჩარევას (იქვე, გვ. 38).

შიო მღვიმის მონასტერმა, არსენის სიტყვით, ასეთი შეუველობის სიგლისათვის გრიგოლს მიართვა ძღვენი და ფულიც. გარდა ამისა, წერს არსენი, „ოცი ღუკატი მისთა ყმათა მოურავისადა მიმიცემია მათ გაეაზელთა საქმისათვის, რომელ სამართლისა ნახევარსა აიღებდეს“ (იქვე, გვ. 43).

გრიგოლ სურამელი შეუველობას ანიჭებს მონასტერს, მონასტერი ამისათვის ძვირფას სასყიდელს აძლევს სურამელს. გრიგოლ სურამელი აღნიშნავს, რომ სამოსამართლო საქმე მღვიმის გლეხებთან დაკავშირებით სურამელის მამასახლისის კომპენტენციაში შედიოდა და ამ მხრივაც სურამელმა მონასტერს შეზღუდული შეუველობა მისცა. სამაგიეროდ, მონასტრის ხელისუფალი აღნიშნავს, რომ გრიგოლ სურამელის მოურავს სასამართლო საქმეებზე ხელის აღებისათვის მისცა 20 ღუკატი. საყურადღებო აქ ის არის, რომ გრიგოლ სურამელი სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით ახსენებს თავის მოხელეს — მამასახლისს და არა მოურავს. გრიგოლი კიდევ ჩამოთვლის თავის მოხელეებს — მამასახლისს, ციხისთავს, გზირს და სხვა, მაგრამ მოურავი ამ ჩამოთვლაშიც არ ჰყავს მოხსენებული. მონასტრის ხელისუფალი — არსენი კი ასახელებს გრიგოლის იმ მოხელეს, რომელსაც სასამართლო ფუნქცია აქვს, და ამ მოხელეს მამასახლისს კი არ უწოდებს, არამედ მოურავს. მამასადამე, სიგლის არსენისეულ ნაწილში „მამასახლისის“ ადგილზე ჩასმულია „მოურავი“. როგორი ახსნა უნდა მოენახოს ამას? მამასახლისი და მოურავი არ შეიძლება პარალელური სახელები იყოს. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოურავი საერთოდ მოხელის ზოგადი სახელია, ამ მოხელის საქმიანობის, მზრუნველობის თვალსაზრისით. ამდენად შესაძლებელია, სიტყვა მოურავი ყოველგვარ მოხელეს მიეყენოს. აქედან ჩვენ ვასკვნით, რომ ხსენებულ სიგელში მოურავი არ უნდა იყოს ერთი რომელიმე კონკრეტული სახელი. ამასთან დაკავშირებით აქ კიდევ უნდა გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი XI თუ XIII საუკუნის სიგელი გიორგი მეფისა, რომელშიაც საუბარია „მოურავთა, მუხრანის ციხისთავთა, მეზროხეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა“ შესახებ. მართალია, ამ შემთხვევაში უფრო არის მინიშნებული მოურავებზე, როგორც კონკრეტულ მოხელეებზე, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ტერმინს აქაც ზოგადი შინაარსი ჰქონდეს.

ორთავე სიგლის მიხედვით ერთი კი ცხადია: თუ მოურავი კონკრეტული მოხელეა, მაშინ ის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს თანამდებობაა.

რკონის 1259 წლის სიგელში წერია: „თუ ვეზირთა და დარბაზის კარსა მოურავთა ჰნახონ...“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 61). შეიძლება ამ შემთხვევაში ვივარაუდოთ, რომ სიგლის გამცემს მხედველობაში აქვს მოურავი ზოგადი მნიშვნელობით.

ძაგან აბულეთის ძის 1260 წლის სიგელში ვკითხულობთ: „და მღუიშისა მამათა წმიდათა და მოურავთა და ჩემთუის გაჩენილმან მწირველ-



მან თუ ესე ჩემთვის გაჩენილი ალაპი და სალოცავი ღააკლონ... პასუხსა იგი მისცემს ღმერთსა“ (გვ. 71). აქაც მოურავი უფრო ზოგადი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი, როგორც მზრუნველი, ან საერთოდ მონასტრის მოხელე.

„ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით ავთანდილი ვეზირს უგზავნის მეფე როსტომს, რომ უკანასკნელმა ნება დართოს ავთანდილს წავიდეს ტარიელის მოსაძებნად. ვეზირი უარყოფით: პასუხით ბრუნდება ავთანდილთან. პოეტი ასე აგვიწერს ვეზირის ავთანდილთან შეხვედრას: „ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ იწურვებს — მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შეიურვებს! — „ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმღურვებს, თქმულა. „ქრთამი საურავსა ჯოჯობეთსა დაიურვებს“ (სტრ. 764). „მოურავს“ ამ შემთხვევაში მზრუნველის შინაარსი აქვს.

„ცხოვრებაჲ პეტრე იბერიელისა“-ში წერია: „...ღედღაღალმან იცნა მურვანოს და იოანე, და მოურავ და მოღვაწე ექმნა მათ“ (ძველი/ ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 260). აქაც მოურავი არ არის მოხელე, არამედ მზრუნველია. „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ გვხვდება ტერმინი „მოურავი“ (§ 20). ამასთანავე, ამავე ძეგლში არის ტერმინი „ამირანი“. ამირანი რომ საქალაქო მმართველობის მოხელეა, ეს ეჭვს არ იწვევს, ძეგლში პირდაპირ არის ნათქვამი: „ქალაქის ამირანი“ (§ 17). რაც შეეხება მოურავს, სავარაუდებელია, ის „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვითაც მოხელის ზოგადი სახელწოდება იყოს (ამის შესახებაც დაწვრილებით იხ. ამავე ნაშრომში ჩვენი შენიშვნები „ქელმწიფის კარის გარიგების“ 20-ე §-ის შესახებ).

თუ „ქელმწიფის კარის გარიგების“ მოურავი მოხელის ზოგადი სახელწოდება არაა, ე. ი. თუ მოურავი კონკრეტული სახელოა, მაშინ როგორ უნდა შევეუთანხმოთ ერთმანეთს ერთსა და იმავე ძეგლში „მოურავნი“ და „ამირანი“? უფრო გვიანდელი ძეგლების მიხედვით (XV საუკუნიდან დაწყებული) მოურავი ქალაქის ან რომელიმე კუთხის, სოფლის თუ სოფლების გამგებელია. „ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „მოურავნი“ ვეზირების შემდეგ არის მოხსენებული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მოურავი კარია მოხელეა. თუ მოურავი თბილისის გამგებლად მივიჩნით, მაშინ ის შეიძლება იურიდიულად თუ არა, ფაქტიურად ჩავთვალოთ კარის მოხელედ, რამდენადაც თბილისი სატახტო ქალაქი იყო. მაგრამ მოურავი მრავლობით რიცხვშია მოცემული; მაშასადამე, თუ მოურავი ქალაქის მოხელეა, მაშინ აქ საქმე ქალაქების გამგებლებთან გვექონია, ხოლო ქალაქების გამგებლები კარის მოხელეები ვერ იქნებოდნენ ვერც ფაქტიურად და ვერც იურიდიულად. გარდა ამისა, თუ მოურავი ქალაქის მოხელეა, მაშინ ის პარალელური სახელი ყოფილა ქალაქის ამირასი. კონტექსტი კი ასეთ გაგებას არ უწყობს ხელს. საქმე იმაშია, რომ ამირას შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ის ქალაქისაა და მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარება, ხოლო მოურავი კარის მოხელეებთან არის მოხსენებული. ძეგლის კონტექსტის მიხედვით თუ მოურავი კონკრეტული თანამდებობაა, მაშინ ის მეფის სახასო მამულების გამგებელი უნდა იყოს.

მაგრამ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ასეთი გაგებაც ნაძალადევი და უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ მოუტრავს ამ შემთხვევაში კარის მოხელეების ზოგად სახელად მივიჩნევდით.

ქალაქ თბილისის გამგებელს თავდაპირველად ამირა ეწოდებოდა, როგორც არაბობის, ისე ქართველობის დროს, მაგალითად, გიორგი III დროს; XII საუკუნიდანვე, თამარის მეფობიდან, თბილისის ამირას თბილისის ამირთამირა ეწოდა. თამარის მეფობიდან დაწყებული XVII საუკუნემდე თბილისის გამგებელს თბილისის ამირთამირა ეწოდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამირთამირობა მხოლოდ თბილისის გამგებლის სახელწოდებაა, ხოლო სხვა ქალაქების გამგებელს ამირა ეწოდებოდა (დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. 204); თამარ ძეგის ისტორიკოსი ქოვეციხისძე, რომ თამარმა ივანე ახალციხელს უბოძა კარის „ამირთა-ამირაობა“ (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყუხჩიშვილის რედ., 1959, გვ. 92). დ. მუსხელიშვილის აზრით, ეს გარემოება, ე. ი. ივანე ახალციხელის კარის ამირთამირობა, ვერ დაარღვევს დებულებას, რომ საქართველოში მხოლოდ ერთი — თბილისის ამირთამირა იყო (დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966 გვ. 204); „საქმე ისაა, — ფანაგორძის მკვლევარი, — რომ ივანე ახალციხელისათვის კარის ამირთამირობის ბოძება, შესაძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო თვით ივანეს პირადი ღირსების პატივსაცემად“ — თ. და რომ ეს ასე იყო, იქიდანაც ჩანს რომ რუსულდანის დროს კარის გამგებელს ისევ ამირა ეწოდებოდა (იქვე). ეს საბუთი არ გამოდგება იმისათვის, რომ ამირთამირა მხოლოდ ერთი იყო. ფაქტი ფაქტად რჩება: ივანე ახალციხელი იყო კარის ამირთამირა. რისთვის მიიღო ივანემ ეს სახელო, ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. თუ თამარმა ივანე ახალციხელს მისი ღირსების დასაფასებლად უბოძა კარის ამირთამირობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამირთამირობა პატივით უფრო მაღალი სახელო იყო, ვიდრე ამირობა. ამასთანავე, ამირთამირობა როგორც ამირობის უფრო მაღალი პატივის სახელო, შეეფერებოდა სატახტო ქალაქს (ისეთს როგორც თბილისი იყო), ან, საერთოდ, მნიშვნელოვან ქალაქს. მაგრამ ამირთამირას ამირები არ ემორჩილებოდნენ, როგორც ამას დ. მუსხელიშვილი ფიქრობს (ამის შესახებ იხ. ამავე წიგნში „ამირა“ — „ქელმწიფის კარის გარიგების“ ლექსიკონში). აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ თბილისის ამირთამირას სხვა ქალაქები მხოლოდ მაშინ ემორჩილებოდა, თუ ამირთამირა იმავე დროს ქართლის ამირთამირაც იყო. როგორც ქართლის გამგებელს, ალბათ, მასვე ემორჩილებოდა ქართლის ქალაქები საერთოდ. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჭავჭავაძის სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამიჯნულიყო კომპენტენციები ქართლის. ერისთავთერისთავსა და ქართლის ამირთამირას შორის, თუ ეს სახელოები ერთს პიროვნებას არ ჰქონდა ჩაბარებული (ივ. ჭავჭავაძის, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1, 1928, გვ. 215).

მაშასადამე, ამირთამირასა და ამირას შორის რაიმე პრინციპული განსხვავება არ იყო, არ არსებობდა მათ შორის იერარქიული ქვემდებარეობა, გარდა იმ გამონაკლისისა, რომლის შესახებ ახლა გვქონდა საუბარი. ჩვეულებრივად, ამირთამირა ამირასთან შედარებით აღმატებული პატივის მაჩვენებელი იყო და ამ სახელს ატარებდა თბილისისა ან სხვა მნიშვნელოვანი ქალაქის გამგებელი. შეიძლებოდა შედარებით უმნიშვნელო ქალაქის გამგებელსაც დარქმეოდა ამირთამირა, თუ ასეთი გამგებელი დიდი პატივით სარგებლობდა.

წყაროებში ერთისა და იმავე ქალაქის მმართველს ამირაც ეწოდებოდა და ამირთამირაც: თბილისის ამირა, თბილისის ამირთამირა, გორის ამირა, გორის ამირთამირა, კარის ამირა, კარის ამირთამირა, ქუთაისის ამირა, ქუთაისის ამირთამირა და სხვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამირა და ამირთამირა ერთსა და იმავე შინაარსით იხმარებოდა და ქალაქის მმართველს ნიშნავდა.

„ქელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მექურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა: „ძველნი ქალაქნი, ვაჭარნი, საეპრო... ლარი და ქურქელი... საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მექურჭლენი ქალაქისანი...“ (§ 17). „ძველნი ქალაქნი“ უნდა გავიგოთ ისეთ ქალაქებად, რომლებიც მეფეს ეკუთვნოდნენ. რადგანაც ერთი მხრივ საუბარია იმაზე, რომ მექურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა „ძველნი ქალაქნი“, ხოლო იქვე ამ ვეზირისადმი დაქვემდებარებულ მოხელეებში მოხსენებულია „ქალაქის ამირანი“, ამიტომ სავარაუდებელია, რომ ძეგლის ამ ადგილის მიხედვით, ძეგლის ავტორს „ძველი ქალაქები“-ს ამირები ჰყავს მხედველობაში, ე. ი. ამირები აქ სამეფო ქალაქებისათვის არის გათვალისწინებული. ეს ისეთი ქალაქებია, რომლებიც მეფეს ეკუთვნოდა სამართლის საჯარო საწყისებზე.

1398 წლის ერთ საბუთში გორის გამგებელი ამირთამირად იწოდება (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 325).

XV საუკუნის ერთ სიგელში მოხსენებულია სამცხის ამირთამირა (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 232). 1529 წლის ერთ სიგელში დამოწმებულია ქუთაისის ამირთამირა (დასავლეთ საქართველოს საბუთები, გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, წ. 1, 1921, გვ. 11).

როგორც ვხედავთ, ამირთამირობა არ არის მარტო თბილისის კუთვნილება. ეს კია, რომ დ. მუსხელიშვილი ცოტათი არბილებს თავის შეხედულებას, როცა წერს: თბილისის ამირთამირობა „საქართველოს სამეფოში ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი იყო“ (დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1965, გვ. 204). მაგრამ, როგორც ვნახეთ, ასეთი თანამდებობა მრავალ ადგილას იყო და ყველა ამას გამოთქმე „არაჩვეულებრივი“ აღარ მიუღგება. რასაკვირველია, თბილისე ყოველთვის გამოირჩეოდა საქართველოს სხვა ქალაქებისაგან და ამ ქალაქში საუკუნეების განმავლობაში (XII—XVII სს.) ამირთამირობის თანამდებობის არსებობა აიხსნება, ერთი მხრივ, ქალაქის განსაკუთრებული მნიშვნელობით და, მეორე მხრივ, იმითაც, რომ ქალაქ თბილისის ამირთამირა ქართლის ამირთამირაც იყო და ამ მხრივ კი, როგორც ზემოთ

ვთქვით, თბილისის ამირთამირობა თავისი შინაარსითაც აღემატებოდა სხვა ქალაქების ამირებსა თუ ამირთამირებს. დამახასიათებელია, რომ XVII ს. დასაწყისში თბილისის ქალაქის ამირთამირა და დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ფაქტიურად ქართლის სამეფოში მეფის შემდეგ პირველი პირი იყო. ერთ დროს კი თბილისის გამგებელსაც ამირა ეწოდებოდა. ვიმეორებ, ამირთამირასა და ამირას შორის განსხვავება ქალაქების მნიშვნელობის განსხვავებით აიხსნება და არა კომპენტენციით ან ქვემდებარეობით.

არაბული წარმოშობის ამირა და ამირთამირა შინაარსით ქართული სახელოებია. როგორც ვთქვით (იხ. „ამირა“ „კელმწიფის კარის გარიგების“ ლექსიკონში), როდესაც ქართლის ამირას თბილისიც დაუქვემდებარდა, ალბათ, მაშინ გაჩნდა საჭიროება ქართლის და თბილისის ამირთამირის სახელწოდების შემოღებისა. ცხადია, თბილისი, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქი, ამ აღმატებულობის მაჩვენებელ სახელს (ამირთამირას) უფრო დაიმკვიდრებდა, ვიდრე სხვა რომელიმე ქალაქი. ქართლის და თბილისის ამირთამირას ფართო საგამგეო ასპარეზიც ჰქონდა და ამდენად აღმატებულობის ხარისხი რეალურ შინაარსსაც გამოხატავდა; ამიტომ ქართლისა და თბილისის ამირთამირა თავისი საგამგეოს მოცულობით, მნიშვნელობით განსხვავდებოდა კარისა, გორისა, ახალციხისა და სხვა ამირთამირებისა და ამირებისაგან.

ქალაქების განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში, მაგრამ სავალდებულო არაა, რომ ამ განვითარებას რაიმე გამოსახულება ებოვა სამოხელეო სახელწოდებებში; ამდენად არ უნდა იყოს მართებული დ. მუსხელიშვილის მოსაზრება, თითქოს ამირთამირობის ინსტიტუტის შექმნა „უნდა გამოეწვია საქალაქო ცხოვრების განვითარებას“, ხოლო როცა „გვიანი საუკუნეების საქართველოში, შუაფეოდალურ ხანასთან შედარებით, საქალაქო ცხოვრება მნიშვნელოვნად დაეცა“, ამირთამირობის ნაცვლად „ქალაქის მოურავის“ სახელწოდება დამკვიდრდა (დ. მუსხელიშვილი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. გვ. 204, 219). მეფის ტიტულს დავით აღმაშენებელიც ატარებდა და თბილისში ირანის ჯარით მოსული სვიმონ ხანიც, გიორგი III-ც მეფეთ მეფე იყო და ირაკლი I-იც. ამგვარადვე, ამირა და ამირთამირა თბილისის გამგებლის მიმართაც იხმარებოდა და კარისა, გორისა და ახალციხისათვისაც. ამასთანავე, მოურავი ქართული სახელო იყო და ქართული ინსტიტუტებისა და მათი სახელწოდებების აღსადგენად, როგორც ცნობილია, სათანადო ღონისძიებას ატარებდნენ ვახტანგ VI, თეიმურაზ II და ერეკლე II. ამ ღონისძიების შედეგია ერეკლე II დროს შედგენილი მოურავის დებულება (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 424—426).

როგორც ვთქვით, თბილისის ამირთამირა ქართლის ამირთამირაც იყო. ე. ი. თბილისის ამირთამირა, როგორც ქართლის ამირთამირა, თბილისის სანაბებსაც განაგებდა, რამდენადაც ეს სანაბები ქართლში შედის და ასეთი მდგომარეობა, როგორც ჩანს, მართო თბილისის ამირთამირასათვის არ იყო დამახასიათებელი. XIII საუკუნის მიწურულის

ერთ დოკუმენტში ქინვანის ამირა ამ ქალაქის სანახებსაც განაგებდა (სა-ისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 141—142).

◀ დროთა განმავლობაში არაბული წარმოშობის ამირა და ამირთამირა ქართულმა მოურავმა შეცვალა. ეს შეცვლის პროცესი XV საუკუნეიდან მომდინარეობს.

გიორგი V 1338 წლის ერთ სიგელში მოხსენებულია ერისთავთ-ერისთავები, თბილისის ამირთამირა და მოურავი (ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედ., 1965, გვ. 97). ამ დოკუმენტის მიხედვით მეფე თორელ-ჯავახიშვილს უბოძებს „კოჟრის ძირისა მონასტერს ათანაგუნეს“ სამკვიდროდ. მეფე წერს: „აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი [შემდგომად] ჩუენსა; მეფეთა ანუ დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა], თფილისისა ამირათ-ამირათა, კოჟრისა დაბისა]... და მოურავთა, ყოველთა დაუმტყციეთ“ (იქვე). იმ შემთხვევაშიც რომ მოურავი „კოჟორს“ დაუეკავშიროთ („კოჟრის მოურავი“), მაინც ძნელია დაბეჭითებით იმის თქმა, რომ აქ კონკრეტული სახელო გვაქვს, უფრო სავარაუდებელია, რომ „მოურავს“ დოკუმენტის მიხედვით ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდეს: მეფე ჩამოთვლის კონკრეტულ მოხელეებს — ერისთავთერისთავს, ამირთამირას და ჩამოთვლას ამთავრებს საერთოდ მოხელეებით, დოკუმენტის შინაარსის მიხედვით — ადგილობრივი მოხელეებით, ე. ი. იმ მოხელეების ზოგადი აღნიშვნით, რომლებიც კი საგულვებელია „კოჟრის“ სანახებში.

XV საუკუნეიდან მოურავი კონკრეტული სახელოა და ტერმინი მოურავი ამ შინაარსით ცალკეც გვხვდება და პარალელურად „ამირთამირისა“ ან „ამირისა“. 1412 წლის საბუთში დამოწმებულია ატენის მოურავი (ს. კვაბაძე, ისტორიული საბუთები, III, 1913, გვ. 91); 1413 წლის ერთ დოკუმენტში გვხვდება გორისა და ატენის მოურავი (თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 220); 1430 წლის ერთ საბუთში მოხსენებულია გორის მოურავობა (ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965, გვ. 122); 1438 წლის საბუთში მოხსენებულია ამირთამირები და მოურავები (იქვე, გვ. 125); აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1338 წლის ერთ საბუთში გორის გამგებელი ამირთამირად (თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 225), ხოლო იგივე თანამდებობა 1426 წლის საბუთში, ე. ი. 28 წლის შემდეგ მხოლოდ მოურავად იწოდება (იქვე, გვ. 229). ამ შემთხვევაში უცხოური წარმოშობის ამირთამირა შეცვლილია ქართული ტერმინით. მაგრამ საერთოდ ასეთი შეცვლა ერთბაშად არ მოხდა. XVII საუკუნის დასაწყისშიც თბილისის გამგებელი პარალელურად ორ სახელს ატარებდა: ამირთამირას და მოურავს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში კი საბოლოოდ მკვიდრდება ამირთამირას ნაცვლად მოურავი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1) მოურავი უძველესი სახელი უნდა იყოს; თუმცა წყაროებში ტერმინი მოურავი XI საუკუნემდე არ გვხვდება, მაგრამ მისი არსებობა უწინაც არის სავარაუდებელი.

2) ტერმინი მოურავი XI—XIV საუკუნეების ძეგლებში საერთოდ მოხელეს ნიშნავს მზრუნველის მნიშვნელობით.

3) არაბების ბატონობის პერიოდში ქალაქის ან ქვეყნის მმართველს საქართველოში ამირა ეწოდებოდა; ქალაქთბილისს განაგებდა ამირა. ამავე ხანაში ქართველი მოხელეც ამ არაბულ სამოხელეო სახელს ატარებდა: მაგალითად, ქართლის ამირა.

თბილისის საამიროს მოსპობის შემდეგაც თბილისის მმართველს ამირა და შემდეგ XII საუკუნის უკანასკნელი ხანებიდან ამირთამირა ეწოდებოდა.

4) XV საუკუნიდან დაიწყო არაბული სახელის ამირას ან ამირთამირას ქართული მოურავით შეცვლა. ერთხანს პარალელურად იხმარებოდა ეს ორი ტერმინი და XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საბოლოოდ განდევნა „მოურავმა“ „ამირა“ ან — „ამირთამირა“, მოურავი ადგილობრივი მოხელეა. ის ეწოდება, ერთი მხრივ, ქალაქის გამგებელს, მეორე მხრივ, პროვინციის, ან რომელიმე კუთხის ან სოფლის გამგებელს.

ტერმინი „მოურავი“ სისტემატურად გვხვდება ქართულ წყაროებში XI საუკუნიდან, მაგრამ XI—XIV საუკუნეებში მოურავი მოხელის სახელწოდებაა საერთოდ (ყარის ან ადგილობრივი მმართველობის მოხელე). ამ მხრივ გიორგი ლაშას სიველი და „„ქელმწიფის კარის გარიგება“ იწვევენ ერთგვარ ეჭვს, რომ ზომ არ არის ამ ძეგლებში მოცემული მოურავი, როგორც კონკრეტული თანამდებობა; მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, XI—XIV საუკუნეების ძეგლების განხილვა, ამ ძეგლების სათანადო ადგილების შესწავლა არ გვაძლევს იმის ეჭვმიუტანელ დასაბუთებას, რომ ამ ძეგლებში უსათუოდ მოურავის კონკრეტული თანამდებობა იყოს მოცემული.

მოურავის კონკრეტული თანამდებობა XV საუკუნიდან იკიდებს მტკიცედ ფეხს. XV საუკუნის დამლეცსა და XVI საუკუნის დასაწყისში კახეთში ჩატარებულ იქნა უდიდესი მნიშვნელობის რეფორმები სახელმწიფოებრივ წყობილებაში, რომლის არსი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და მსხვილი ფეოდალების ალაგმვა იყო; ეს რეფორმა კი იმაში გამოიხატა, რომ საერისთავოები გაუქმდა და მის ნაცვლად სამოურავოები დაწესდა. ამას საგანგებოდ აღნიშნავს ვახუშტი („ქართლის ცხოვრება“, დ. ჩუბინაშვილის რედ., II ნაწ., გვ. 103).

XVII—XVIII საუკუნეებში, განსაკუთრებით ერეკლე II დროს, მიმდინარეობდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ენერგიული ბრძოლა საფეოდალოების ნაცვლად სამეფოს სამოურავოებად დასაყოფად. მოურავების სახელოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVI—XVIII საუკუნეების საქართველოში.

როგორც ვთქვით, მოურავი იყო ქალაქის, კუთხის ან სოფლის. თბილისის მოურავი ფრიად მნიშვნელოვანი სახელო იყო; მნიშვნელოვანი იყო ყაზახის მოურავიც. ქართლში გიორგი XII დროს 33 მოურავი, ხოლო კახეთში — 38 იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მოურავი სავსებით გარკვეული კონკრეტული თანამდებობაა, ამ ტერმინს მეორე ზოგადი მნიშვნელობა მაინც არ დაუყარავს: იოანე ბაგრატიონის განმარტებით „მოურავობა მეურავობას ანუ მომეღელს ნიშნავს“ (იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, კ. კეკელიძის და აღ. ბარამიძის რედ., ტ. I, 1936, გვ. 89).

მოურავი ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელე იყო. ადგილზე ასრულებდა მეფის განკარგულებას (თუ ის სამეფო იყო), კრეფდა გადასახადებს, ახორციელებდა სამართალს თავის კომპეტენციის ფარგლებში, უძღვებოდა მეურნეობას, ეწეოდა მოსახლეობაზე ადმინისტრაციულ მეთვალყურეობას და სხვა. სამეფო მოურავები მეფის სახლთუხუცესს ემორჩილებოდნენ. მაგრამ მოურავები ჰყავდა ეკლესიებს და ფეოდალებს. ეკლესიისა და ფეოდალების მოურავებიც იმავე ფუნქციებს ასრულებდნენ, რასაც სამეფო მოურავები, მაგრამ უშუალოდ თავის ბატონს ემორჩილებოდნენ.

ქალაქ თბილისის მოურავს ევალებოდა ქალაქის მართვა, მას ემორჩილებოდნენ ქალაქის მოხელეები, ქალაქის სავაჭრო და სახელოსნო ორგანიზაციები. მოურავს ჰქონდა სასამართლო ფუნქცია, ევალებოდა ქალაქში წესრიგის დაცვა, გადასახადების გაწერა და აკრეფა, საქონელზე ნიხრის დადება და სხვა. ასეთივე მოვალეობა ჰქონდა სხვა ქალაქების მოურავებსაც.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ XVI—XVIII საუკუნეებში მოურავის პარალელურად გვხვდება აგრეთვე სპარსული ტარულა, რომელიც შინაარსით სწორედ მოურავს შეესაბამება. ეს სახელწოდება არ გვხვდება თბილისის მოურავის მიმართ, და საერთოდ ტერმინი „ტარულა“ „მოურავთან“ გავრცელებულობის თვალსაზრისით ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც იხმარება. საყურადღებოა ამ მხრივ ის გარემოება, რომ ქართველ მეფეებს, მაგალითად ერეკლე I, მის შვილს, კონსტანტინეს, ისპაჰანის ტარულობა ჰქონდათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტარულა „დასტურალმალით“, მოურავების გარდა, ფარეშხანის გამგებელსაც ერქვა; „დასტურალმალის“ მე-14 §-ში ვკითხულობთ: დიდი მეჯლისი დროს სუფრის გაწყობისას „ბატონის სუფრა ფარეშხანის ტარულას ეჭიროსო“. მაშასადამე, ფარეშხანის ტარულა თანამდებობაც ყოფილა (ტარულას შესახებ იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 430—433; მოურავის შესახებ იხ. იმავე ნაშრომი, ვვ. 394—407, გვ. 424—433).

**მოფიცარი** 625<sub>7</sub>; მოფიცარი ეწოდებოდა იმ პირს, რომელიც ბრალდებულს ან მოპასუხეს დაუდასტურებდა ჩვენებას და დაიფიცებდა კიდევ მასთან ერთად (იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 78—82).

**მოქალაქე** 543<sub>5</sub>, 546<sub>6</sub>, 636<sub>1, 2, 3, 4, 7</sub>, 639<sub>7</sub>, 646<sub>8</sub>, 668<sub>6, 11</sub>, 672<sub>18</sub>, 673<sub>16, 17</sub>, 686<sub>4</sub>, 693<sub>10</sub>, 706<sub>18</sub>, „ქალაქში მყოფი“ (ს. ო.); ქალაქის მცხოვრები. ტექსტში მსხვილ ვაჭარს, ვაჭართა ზედა ფენის წარმომადგენელს ნიშნავს. 586<sub>12</sub>, 597<sub>7</sub>, 600<sub>5</sub>.

**მოყალნე** 602<sub>3</sub>, 714<sub>8</sub>, 715<sub>27</sub>, 718<sub>8-10, 12, 15</sub>, მებეგრე (ს. ო.).

**მოხელე** 476<sub>2</sub>, 495<sub>8</sub>, 500<sub>1, 2, 8</sub>, 502<sub>3</sub>, 511<sub>4, 5, 7</sub>, 512<sub>1</sub>, 513<sub>3, 8, 7</sub>, 521<sub>4, 11, 18</sub>, 522<sub>11</sub>, 523<sub>15</sub>, 528<sub>3</sub>, 537<sub>4</sub>, 556<sub>7</sub>, 579<sub>8, 7, 11</sub>, 585<sub>3</sub>, 586<sub>3</sub>, 589<sub>1</sub>, 590<sub>8</sub>, 592<sub>3</sub>, 594<sub>5</sub>, 598<sub>4</sub>, 602<sub>1, 10</sub>, 606<sub>2</sub>, 607<sub>3</sub>, 608<sub>1</sub>, 617<sub>12</sub>, 620<sub>15</sub>, 630<sub>1</sub>, 652<sub>7</sub>, 656<sub>10</sub>, 658<sub>10, 17</sub>, 661<sub>1</sub>, 668<sub>1</sub>, 667<sub>8</sub>, 669<sub>1</sub>, 675<sub>10</sub>, 676<sub>4</sub>, 707<sub>14</sub>, 708<sub>4</sub>, 718<sub>23</sub>, თანამდებობის პირი (დაწერილობით იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 156—169).

- მოჯამაგირე 564<sub>3</sub>; დაქირავებული მსახური (ქ. გ. ლ.). 90-ე წ-ის სათაურია: „ელის ნოქარი მოჯამაგირე“ (იხ. ნოქარი).
- მროველი 721<sub>12</sub> დ., რუისის ეპისკოპოსი.
- მსახური 487<sub>7</sub>, 596<sub>6</sub>, 618<sub>5</sub>, 619<sub>2</sub>, 643<sub>4</sub>, 720<sub>2</sub>, 1) სასახლის მსახური, მაღალი წრიდან, პაეი, 2) სასახლის მოსამსახურე, მოახლე, 3) მომვლელი, მოსამსახურე, 4) მხლებელი.
- მსახურობა 605<sub>5-6</sub> იხ. მსახური.
- მუზდი, მიზდი (სპ. მოზდ.) 533<sub>7</sub>; „საბაქის მუზდი“, „ასაღები რამ სარგო, ქირა“ (ს. ო.). ასაღები, კუთვნილი.
- მუთანჯი 504<sub>1</sub>; „მუთანჯა ფლავი, ფლავი ხილით, ე. ო. ქიშიშითა, ნუშითა, თაფლითა და სხვა“ (დ. ჩ.). „მუთანჯის ყაბს ბრინჯი და ერბო“ (504).
- მუთაჯირი 572<sub>1</sub>, 9, იჯარადარი (დ. ჩ.); პ. უ.: „მუთაჯირი, არაბ. მუთაჯირ — იჯარით ამღები“, იჯარადარი.
- მუნში 649 სქ.; მოანგარიში.
- მურასა (არაბ.); მორთული, შემკული, ძვირფასი ქვებით მოოქვილი 718<sub>26</sub>. ამ შემთხვევაში პურს ნიშნავს: „თონეული თეთრი, წმინდა პური“ კუთხ. იმერული (ქ. გ. ლ.) 502<sub>2</sub>; „ბატონის სუფრის პური ლიტრაზე — ლავაში ორი, მურასა ლიტრაზე ერთი“, 718<sub>26</sub>; „სალთხუცის ულუფა დღიურ მურასა — ორი“, მდივნებს — „პური მურასა თვითოს თვითო“, ხოჯას — „პური მურასა“.
- მურდალი, მორდარი, სპ. მუპრ არის ბეჭედი, აქედან — მუპრდარი, ქართულში: მურდარი, მორდარი, ასიმილაციით მორდალი (აყაყი შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, გვ. 328); 686<sub>7</sub>, 8, 9, 719<sub>4</sub>, ბეჭედის მცველი (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის, 1852, გვ. 241—245).
- მუსტოფი, 649<sub>7</sub>, 8, 9, 650<sub>2</sub>, 654<sub>10</sub>, 676<sub>7</sub>, 10, მუსტოფი ირანის მოხელეა ქართლის სამეფო კარზე (იხ. ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 379—383); „ერანულ-ყიზილბაშურ სამოხელეო ორგანიზაციაში ვეზირი და მუსტოფი განუყარელ წყვილია“ (ვ. გაბაშვილი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში (საქართველოს მეცნ. აკადემიის „მიმომხილველი“, II, 1952, გვ. 138). მუსტოფი ირანში ქალაქის ყველა სახის შემოსავლის კონტროლიორია. კ. კუცია, სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება, თიჭირა ალ მულუქის მიხედვით, („ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, 1966, გვ. 119—120).
- მუფასა 687<sub>1</sub>; مفوض მოფავაზ, მუფავაზ, მინდობილი, მობარებული, დავალებული (Персидско-русский словарь, составил проф. Б. В. Миллер, 1953). ეს სიტყვა გვხვდება შემდეგ კონტექსტებში: მურდარს ერგება „გოლანს წამსვლელზედ სამი მინალთუნი, მუფასაზედ ექვსი მინალთუნი, თათრის ჯამაგირზედ თუმანზედ შაური“ (687<sub>1-2</sub>).
- 1638 წლის მურდარის განწესებაში წერია: „ვისაც ანგარიში გამოართვან და მუფარა დაუწერონ, თუმნის თავს თუთო ფული“ მურდარს ერგებო (საქართველოს სიძველენი, III, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 544). ეს ადგილი შემდეგნაირად აქვს მოცემული ვლ. ფუთურიძის:



„ვისაც ანგარიში გამოართვან და მუფასა დაუწერონ — თუნანის თავს თუითო ფული“ მურდარს ერგება (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუ-თურიძემ, 1955. გვ. 143).

ამ შემთხვევაში მუფასა რწმუნებას, წყალობას უნდა ნიშნავდეს.

მუქამალი 665; „ცხენის იარაღი ერთი“, 681<sub>14</sub>; „ცხენის მუქამალი იარაღი.

პ. უ.: „არაბ. მთლად, უკლებლად“.

მულარარი 708<sub>2</sub>, პ. უ.: „არაბ. განსაზღვრული, დანიშნული. დ. ჩ.: მუქთი.

„მულარარი დღეში ერთი ცხვარი (708).

მუშა 138 სქ.; 493<sub>14</sub>, 506<sub>3</sub>, 511<sub>4</sub>, 514<sub>8</sub>, 569<sub>11</sub>, 585<sub>1-2</sub>, 588<sub>10-11</sub>, 590<sub>5</sub>, 592<sub>1</sub>,

600<sub>11</sub>, 601<sub>12</sub>, 602<sub>6</sub>, 631<sub>6</sub>, 712<sub>6</sub>, 716<sub>5</sub>. ს. ო.: „ქუეყანის მოქმედი“; დ. ჩ.:

„მუშა, მუშაკი, მრეწავი, მოსაქმე, მიწის მოქმედი“.

„დასტურლამალში“ მრავალჯერ არის მუშა ნახსენები და უმრავლესისაგან უმრავლეს შემთხვევაში მიწის მუშას ნიშნავს. მოგვეყვას პარაგრაფები, რომლებშიაც ტერმინი მუშა გვხვდება:

9: „მუშის ათისთავს იასაულები აიღებენ, არც ყოფილა და ნურც აიღებენ“.

27: „მოხარული ძროხიღამ ერთი საკაქკაქე სუფრავს, ერთი ნაქერი დავთარხანაში, თუითო ნაქერი თუშმლებს, ერთი ნაქერი... მზარეულს, ერთი ნაქერი იასაულებს, თუითო კანკი ქვაბის ამწეც მუშას“.

37: ხენისა და სამეხრეოს გარიგებაში წერია:

„მოწყლენი მის დროს მის მუშას და წესს გაურიგებდენ“.

41: „ყარაის მუშაზედ პური კოდი 36“.

91: „თუ უტბო მუშა მოქის (ბრინჯს — ი. ს.) თერთმეტის თავს ძნას აიღებს მუშა და ერთს აბაზს ტარულას მისცემს“.

108: შულავრის და თეთრი სოფლის გარიგებაში წერია:

„მუშას ხენაში, მკაში, ლეწვაში პური კოდი 43“.

109: ბოლნისის გარიგება: „მუშას კოდი 21“.

110: „ალეკის მუშაზე პური კოდი 11“.

111: „ეკლესიის (სოფლის სახელია — ი. ს.) მუშაზედ პური კოდი 97“.

ამ შემთხვევაში მეფის სახასო მამულზე (სახნავ-სათესი, ვენახი) მომუშავეებზეა საუბარი, რომელთა შესანახად უნდა მიეცა სოფ. ეკლესიას 97 კოდი პური.

112: დურნუკსაც შეწერილი ჰქონდა მუშის შესანახად პური.

114: „კავთისხევის ზვრის მუშას... პური კოდი 45... ღვინო კოკა 36“.

აქაც პურისა და ღვინის გადასახადი გათვალისწინებულია მეფის სახასო ვენახზე მომუშავე მუშებისათვის.

115: სააკას ლილოს შეწერილი ჰქონდა მეფის სახასო ვენახის

„მუშაზედ პური კოდი 12“.

116: ავლაბრის დებულებაში ვკითხულობთ: „თორმეტი კოდი პურის ულუფა მუშას სოფლებიღამ აქვს გარიგებული“.

128: აიდარბეგის ხეობის სოფლებს გაწერილი აქვთ მუშის სასარგებლოდ სხვადასხვა რაოდენობით პური.

23 დ.: ნახიდურს დაქირავებული „მუშა მოვა და ზვარს იმით იმუშავებენ“.

30 დ: ატენში დედოფლის ზვრებს ამუშავენ „მუშა — ფავლენიში-ლის მამულიდამ, ოქრომქედლიმვილისა და გოგორიშვილის მამულიდამ“. მოყვანილ შემთხვევებში „მუშა“ სოფლის მეურნეობაში მომუშავეს ნიშნავს (ხენაში, მკაში, ვენახში), რომელიც ძირითადად დაქირავებულია; ნიშნავს აგრეთვე შავი სამუშაოს შემსრულებელს ფეოდალის ოჯახში“ („ქვების ამწევი“ მუშა).

მუშრიბანა 5417: „ბანბის სააალნე, აქლემს ჰკილია თუ ცხენსა, სააალნეზედ ორი აბაზი არის. თუ ღარიბი კაცი მოიტანს, ერთი შაური მუშრიბანა არის“. „ზეთის სააალნეზედ ერთი აბაზი არის და ნახევარ-შაური მუშრიბანა“ (54210-11). მარტო ამ მუხლში გვხვდება ეს სიტყვა, სხვა წყაროებში არ შეგვინიშნავს.

მუშრიბი 50115, 5035, 50710, 5417, 54211, 5436, 6517, 65214, 65315, 15, 16, 65411; 6554, 6651, 11, 12, 6968, 69710, 11, 12, 6981, 8197, „არაბ. მწერალი, ანგარიშის დამწერი“ (დ. ჩ.).

მუხრანის ბატონი 51610, 7018, მუხრანის მემამულე, დიდებული.

მუჯირი 64311; 67313; სამეურნეო ხასიათის ფუნქციების მქონე მოხელე (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 208).

მფლობელი 4935, აქ მესაკუთრე (იხ. ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები, 1949, XXXVB, XXXVII).

მღებართუხუცესი 7096, 71514-15, 71618, 25, 71713, მღებრების უფროსი.

მღვდელი 70210; ხუცესი, მწირველი, მწყემსი სულიერი (დ. ჩ.).

მხატვარი 70622, 23; მხატვრობის სპეციალისტი (ქ. გ. ლ.); ს. ო.: „მხატვარი — ხატვის მოქმედი“.

## 6

ნაბიჭვარი 7044; ბუში, ქორწინების გარეშე შეძენილი შვილი.

ნავროზანა (სპ. ნოურუზანა) 66511, 7178; სალაროს ნაზირს ერგება „ნავროზანა, იჯარის თავს თვითო ფლური“ (65011); „ქოლაგირს ნაკიდურს ზილფა ნავროზანას რომ მოიტანებენ, იმათ ჭალათები მიეცემათ“ (7178); საახალწლო გადასახდელი.

ნავროზი (სპ. ნოურუზ) 5536, 60510, 7173; ახალი წელიწადი (იხ. ქ. კუცია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. 1966, გვ. 98).

ნავტიკი 50712, 5107, 8. „მცირე ტივი ან ლასტი ქვეშედან მოკრული გაბერილის გულებით“ (დ. ჩ.); ქ. გ. ლ.: „ნავტიკი... ტიკებზე, რუმბებზე გამართული მცირე ტივი“.

ნაზირი (არაბ. ნაზირ) 49513, 49611, 5006, 5012, 50214, 5034, 5045, 50715, 5104, 8, 12, 51111, 5184, 5197, 5223, 52510, 5741, 64310, 14, 6507, 8, 9; 6513, 4, 6535, 65410, 6551, 2, 3, 6651-3, 8, 9, 6663, 6744, 16, 6767, 6819, 6906; სამეურნეო ფუნქციების მქონე მოხელე (დაწვრილებით იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 181—188).

ნასოფლარი 61010, 6233, 6281, დაცარიელებული სოფლის ადგილი“ (დ. ჩ.).

ნალარხანა 6611, 23; ნალარა (არაბ.-სპარს. ნალარა) ლითონის საცემელი საკრავი მრგვალიძირიანი ქვების მოყვანილობისა, პირზე ტყავგადაკრული (ქ. გ. ლ.). „ნალარხანა — სახლი ყოველგვარი მოსაკრავეთა“ (პ. უ.).

ნაცვალის „კარის ნაცვალი“, „მოურავის ნაცვალი“ 553<sub>1, 9</sub>, 584<sub>3</sub>, 591<sub>10</sub>, 594<sub>1</sub>, 597<sub>12</sub>, 600<sub>6</sub>, 601<sub>12</sub>, 610<sub>4</sub>, 614, 616<sub>1, 15</sub>, 620<sub>3</sub>, 630<sub>7</sub>, 709<sub>20, 21</sub>, 711<sub>8</sub>; 712<sub>10, 12</sub>, 713<sub>3, 29</sub>, 714<sub>6, 9, 21, 22</sub>, 715<sub>17, 19, 21</sub>, 716<sub>3; 27</sub>, შავიერი, მოურავის მოადგილე; 1) ქალაქში მოურავის მოადგილე, რომელსაც საპოლიციო ხასიათის ფუნქციები ჰქონდა. 2) ზოგიერთ სოფლებში ნაცვლები მოურავის თანაშემწეებად იყვნენ (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 407—409; გვ. 442—444).

ნახირისთავი 523<sub>6</sub>, 527<sub>11, 12</sub>, 580<sub>2</sub>, 586<sub>5</sub>, 593<sub>4</sub>, 596<sub>4</sub>, 599<sub>4</sub>, 601<sub>12</sub>, 605<sub>5</sub>, 606<sub>1</sub>, 619<sub>5</sub>, 645<sub>6</sub>, 649<sub>9</sub>, 686<sub>12</sub>, 709<sub>4</sub>, 710<sub>10, 14</sub>, 713<sub>1, 12, 23</sub>, 714<sub>2</sub>, 715<sub>8, 29</sub>, 718<sub>19</sub>; გადასახდელი ნახირზე (ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახდლები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1952).

ნისპათი 500<sub>3</sub> (არაბ. ნისპათ); წილი, ხვედრი (პ. უ.). 500<sub>2-3</sub>: „ქაშის მოხელემან და მოსამსახურემან თავის სამსახური გაათავოს და იქ ღვომის ნისპათი აღარ ჰქონდეს, კარში გავიდეს და იქ იღვებოდეს“. დ. ჩ.: ნისპატი (არაბ.) წესი, ჯერი.

ნისრი (სპ. ნერხ) 716<sub>29</sub>; საქონელზე დაწესებული ფასები, გადასახადისა თუ სხვა საზღაურის ნორმები, — ტარიფი, განაკვეთი (ქ. გ. ლ.).

ნოქარი (სპ. ნოქარ) 564<sub>2</sub>, 574<sub>13</sub>; „მოსამსახურე“, მსახური.

აზერბაიჯანში გლეხობა შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფოდა: რაიათებად, რანჯბარებად და ნოქრებად. რაიათი იყო აზერბაიჯანში გლეხთა ძირითადი კატეგორია. „დასტურლამალში“ რაიათის ნაცვლად არის გლეხი, ხოლო ტერმინები რანჯბარი და ნოქარი დამოწმებულია „დასტურლამალსა“ და სხვა წყაროებში. „საქართველოში ჩამომსხდარ ტომებს ბევრი საერთო რამ ჰქონდათ აზერბაიჯანის ყიზილბაშურ ტომებთან“ (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 313).

ამასთანავე, აღნიშნავს მკვლევარი, აზერბაიჯანის „ფეოდალურ ურთიერთობას ბევრი მსგავსება ჰქონდა ირანის ფეოდალურ ურთიერთობასთან. ამიტომ, გასაგებია, რომ საქართველოს ელის ორგანიზაციაში და ფეოდალური ექსპლოატაციის წესებში მკვეთრ გამოხატულებას პოულობენ ყიზილბაშური ირანის დამახასიათებელი ფეოდალური ურთიერთობანი“ (იქვე).

აზერბაიჯანის „ნუკერს“ დასტურლამალში „ნოქარი“ ეწოდება (იქვე, გვ. 226—227, 311).

აზერბაიჯანში ნოქარი გლეხობის ყველაზე დაბეჭვებული ნაწილი იყო. ამასთანავე ნოქარი გლეხობის ყველა ფენაზე უფრო ძლიერად იყო მიჯკვეული ფეოდალთან. ნოქარი აზერბაიჯანში იყო ნივთი, რომელსაც ფეოდალი თავისი სურვილის მიხედვით განაგებდა: ნოქარი იტყოდა ხოლმე: „ბატონმა ცოლი შემერთო“ და ეს გამოთქმა მართებულად ასახავდა რეალურ ვითარებას, რამდენადაც ნოქარის პირადი ცხოვრება, ამ შემთხვევაში ცოლის შერთვა, ბატონის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული (Гасанов И. П., К вопросу о владельческих нукерах в Азербайджане в первой половине XIX века. Известия АН Азербайджанской ССР, № 4, 1952, стр. 86).

ნოქარი აზერბაიჯანში ბატონის ხელზე მოსამსახურედ ითვლებოდა, ის გლეხთა საზოგადოებაზე იყო მიწერილი, მაგრამ მიწა არ ჰქონდა. შენახვის გასაადვილებლად ზოგჯერ ბატონი ნოქარს აძლევდა შესაძლებლობას პატარა ბაღსა ან ბოსტნის გაშენებისა. ნოქრებად ხდებოდნენ გამოქცეული გლეხები; ბატონს შეეძლო ნოქრად გაეხადა რანჩპარი ან რაიათი (იქვე, გვ. 85).

გლეხები იბრძოდნენ იმისათვის, რომ ნოქრებად არ გაეხადათ. ამ მხრივ დამახასიათებელია ნახიჩევანის გლეხების პრიეტესტი ხანის მიმართ, რომელმაც გლეხი ნოქარი გახადა. გლეხები აცხადებენ: „არასოდეს არ ყოფილა, რომ ჩვენ მონები ვყოფილიყოთ“ (История Азербайджана, том I, 1958, გვ. 357). გლეხი ნოქრობას მართებულად მონობას უწოდებს და ფაქტიურად ეს ასეც იყო.

ნოქრები ფეოდალების მემკვიდრეობით კუთვნილებას წარმოადგენდნენ (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 222—227). „ნუკერი“ ეწოდებოდა მონღოლი წარჩინებულის (ნოინის, ხანის) რაზმელს (XI—XIII საუკუნეებში). ნუკერთა რაზმის ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნოინთა ბატონობის გასამტკიცებლად. ნუკერები, როგორც ნოინთა სამხედრო მსახურები, გამოსული იყვნენ ძირითადად რიგითი მომთაბარეებიდან, აგრეთვე თვით ნოინთა წრიდან. XIII საუკუნიდან ნუკერებისაგან შეიქმნა მონღოლთა ხანის პირადი გვარდია (დიდი ჯაბჭოთა ენციკლოპედია, სიტყვა ნუკერი და მონღოლეთის ისტორიული მიმოხილვა). ივ. ჯავახიშვილის აზრით, მონღოლური ნოქარი სპარსულიდან XVII—XVIII საუკუნეებში ქართულშიც ჩნდება: „ჯერ ვითარცა ერანის სამხედრო ძალის გარკვეული ნაწილის სახელი, შემდეგში“, როგორც სავაჭრო დაწესებულებების უფროსის, ვაჭრის თანამემწის გამომბატველი ტერმინი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, XIII—XIV სს., 1941, გვ. 32).

ტერმინი ნოქარი ხშირად გვხვდება XVIII საუკუნის ძეგლებში და ყველგან სამხედრო შინაარსის ფუნქციონერს ნიშნავს. ნოქარი დაქირავებული მოლაშქრე იყო. მოსახლეობას გააწერდნენ ნოქრის გამოყვანას, ან „ნოქრის თეთრს“, რომლითაც ნოქარს დაიქირავებდნენ (კორნ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—7981, 1738 წ.; Hd—3561, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი; Hd—1460, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი; ცსსა, ფ. 226, № 3474, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი; Hd—561, 1744—1762 წწ.).

ზოგიერთ ძეგლში აღნიშნულია, რომ სოფელი ნოქრის გამოყვანისაგან თავისუფალია (ცსსა, ფ. 226, № 1142, 1746 წ.); ძეგლების მიხედვით ნოქარი წერს თავის შესახებ, რომ ნოქრად ვემსახურები მეფესო (კორნ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd—1138, 1745 წ.; დოკუმენტები, II, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 60, 1765 წ.; დოკუმენტები, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 324, 1745 წ.). ქართლ-კახეთისაგან ირანი თხოულობდა ნოქრებს, როცა ქართლ-კახეთი ირანის ვასალი იყო (დოკუმენტები, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, გვ. 339, 1749 წ.; საქ. სიძველენი, II, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 536, 1793—1795 წწ.; ტ. III, გვ. 449, 1738 წ.). ძეგლებში გვხვდება:

ნოქრად წასვლა (დოკუმენტები, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 351, 1756 წ., იქვე, გვ. 339, 1749 წ.); ნოქარი გვთხოვეს, ნოქარის ხარჯი (დოკუმენტები, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 284, 1738 წ.); კახი ნოქარი (დოკუმენტები, II, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 85, 1783 წ.); ციხეში ნოქრების დაყენება (დოკუმენტები, II, ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 62, 1766 წ.); ნოქარი არის მოწამე (საქ. სიძველენი, II, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 394, 1738 წ.); ძეგლებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ნოქარი და ჯარისკაცი (კორნ. კეკელიძის სახელ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd—3723, 1772 წ.); დავით გურამიშვილი წერს, რომ სპარსეთის შაჰმა ყულ-ნოქარი გაამრავლაო („ჩვენი საუნჯე“, 5, 1960, გვ. 282).

დოკუმენტებთან ანალიზის საფუძველზე შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ XVIII საუკუნეში ნოქარი დაქირავებული მოლაშქრეა. ერეკლე II მიერ მორიგე ჯარის დაწესების შემდეგ ნოქარი აღარ არის, მავრამ XVIII საუკუნის ძეგლებიდან, რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ, არ ჩანს, რომ ნოქარს მალაზიის დაქირავებული პირის, გამყიდველის, შინაარსი ჰქონდეს. ასეთი შინაარსი მას, როგორც ჩანს, XIX საუკუნეში მიუღია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი დოკუმენტებიდან ყველაზე უადრესი 1738 წლით არის დათარიღებული, ხოლო ყველაზე უგვიანესი — 1795 წლით.

**ნუსხა** (არაბ.) 634<sub>3</sub>; სია; „კოჟორზედ მარნის რეცხვის ნუსხა-აქეს მემარნეს“. ქ. გ. ლ.: „იგივეა რაც სია“. ს. ო.: „ჩქარად აღწერილი“. დ. ჩ.: „სია, აღწერა ნივთთა; წერილის პირი“.

**ნულლი** 674<sub>3</sub>; პ. უ.: „შაქართ გაკეთებული ფქვილ ნარევი კამფეტი“. დ. ჩ.: „ნულლი, ნუსლი (არაბ.). ნუშის გული დაშაქრული“.

### მ

**ობა** 571, (თურქ.), თურქულ ენებში „ობა“ ნიშნავს ქეჩისაგან გაკეთებულ სახლს, კარავს, რომელშიაც მომთაბარე ოჯახი ცხოვრობს; (Л. Будогов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, 1869, т. I; Д. Магазинник, Турецко-русский словарь, 1945).

„ულუსთ სადგომი“ (ს. ო.); „თურქ. ულუსის სადგომი, ბანაკი“ (დ. ჩ.), „ელის ნაწილი ერთი გვარეულობისა, გვაროვნდბისა“ (პ. უ.). „იხ. „ელი“. ვ. გაბაშვილი: „მომთაბარეთა ჩვეულებრივი დაყოფა: „ოიმახი“ და „ობა“ („მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები“, 1968, გვ. 21).

**ოდუნახა** თურქ. ოდუნ — შეშა, ახჩა — ფული, 567<sub>4</sub>; 6; 573<sub>10</sub>; 11; 578<sub>8</sub>; 645<sub>9</sub>; 717<sub>3</sub>; ელისათვის გათვალისწინებული გადასახდელი — კომლზე აბაზი.

**ოიმახი** 553<sub>15</sub>; ჩალატაურად ნიშნავს ტომს, გვარს; „ნაწილი ხალხისა ანუ სოფლისა ერთი გვარეულობისა“ (პ. უ.); თურქ. ტომი, გვარეულობა ოიმახებად იყოფოდა; დ. ჩ.: „ასე უწოდებენ გლეხთა შამშადილელთა“. იხ. „ელი“.

**ოლქა** 608<sub>1</sub>; „სომხეთს აძეს ოლქა ტარულისა სოფელზედ ბატკანი“. თურქ. გარკვეული ერთეული (ადმინისტრაციული). ქ. გ. ლ.: „ოლქი... (თურქ. ულქან „ქვეყანა, მხარე“) — ქვეყნის ნაწილი, სახელმწიფო, სამფლობელო (В. Радлов, Опыт словаря тюрских наречий, I).

ოსტატი სპ. ოსთად, ან 505, „ხელოსანი უფროსი“ (ს. ო.).

ოქმი (არბ. პოქმ.) 648<sub>4</sub>; ბრძანება, სიგელი, საბუთი. მდივანს ერგებო „იჯარებზედ საწიგნო ოქმისა“ (648<sub>4</sub>).

პ

პატრონი (ლათ. patronus, მფარველი) 475<sub>15</sub>, 579<sub>9</sub>, 585<sub>5</sub>, 602<sub>13</sub>, 615<sub>5</sub>, 619<sub>8</sub>.

635<sub>1-2</sub>, 640<sub>5-6</sub>, 697<sub>4</sub>; „ლალა სარწყავში ოთხი პატრონს და მეხუთე ბატონს“. პატრონი ამ შემთხვევაში მიწის მოიჯარეა, შეიძლება გლეხობა ბატონი კი — შესაკუთრე, მფლობელი, ამ შემთხვევაში ქართლის მეფე.

პენტელა 657<sub>4</sub>; „ხელოსანი მპენტავი ბამბისა, მატყლისა“ (დ. ჩ.).

პირეული 575<sub>2</sub>; „პირეულზედ გამორჩეული ცხვარი“. იხ. პირისთავი.

პირი 678<sub>11</sub>; „პირზედ ცხვარი“, 580<sub>14</sub>, 591<sub>8</sub>, იხ. პირისთავი.

პირისთავი 519<sub>1</sub>, 523<sub>1, 2</sub>, 526<sub>1</sub>, 527<sub>7, 8</sub>, 580<sub>2</sub>, 586<sub>5</sub>, 593<sub>4</sub>, 596<sub>3</sub>, 599<sub>4</sub>, 602<sub>13</sub>, 605<sub>5</sub>, 606<sub>1</sub>, 619<sub>5</sub>, 645<sub>6</sub>, 648<sub>9</sub>, 703<sub>8</sub>, 708<sub>13</sub>, 709<sub>4</sub>, 710<sub>10, 14</sub>, 713<sub>1, 12, 22</sub>, 714<sub>2</sub>, 715<sub>8, 23</sub>, 718<sub>19</sub>; გადასახდელი წვრილფეხა საქონელზე. ამ შემთხვევაში „პირი“ ერთგვარი საზომია: „ერთი პირი“ ცხვარი — ასზე ერთი ცხვარი (ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952).

პირის მელვინე 490<sub>5</sub>, 496<sub>10</sub>, 497<sub>1, 12</sub>, 498<sub>5</sub>, 499<sub>2, 13</sub>; ღვინის მიმწოდებელი.

პურობა 476<sub>17</sub>; ნადიმი.

რ

რასათი სპ. რასათ-ი უნდა იყოს. راسا — სწორი, მართალი, კეშმარიტი. 550<sub>1</sub>, ჩერი, რაგა, „წყალს რასათით გაიყოფდნენ“ 550<sub>1</sub>.

რიგი 493<sub>4</sub>, 501<sub>11</sub>, 512<sub>3</sub>, 516<sub>12</sub>, 519<sub>6</sub>, 530<sub>14</sub>, 531<sub>2</sub>, 538<sub>11, 12</sub>, 550<sub>4, 5, 6</sub>, 553<sub>13</sub>, 612<sub>11</sub>, 617<sub>12, 14</sub>, 629<sub>16</sub>, 704<sub>21, 22</sub>, წესი, განაწესი, განრიგი.

რიგის პური 597<sub>3-4</sub>; იხ. რიგი. დიდმის მოურავის სარგო: „რიგის პური მართებულად“ 597<sub>3-4</sub>.

რისხვა 476<sub>17</sub>; ძლიერი წყრომა (ქ. გ. ლ.).

რუმბი 511<sub>13</sub>; „ტყავი რუმბად აქციონ“. დ. ჩ.: „დიდი ტიკი ძროხის ან კამეჩისა“.

რუსი 493<sub>8</sub>, 495<sub>14, 22</sub>, 496<sub>5, 12</sub>, ფიცრის ასაწევ-დასაწევი ფანჯრები (პ. უ.). „თუ რუსი ჩამოშვებული იყოს“... „თუ რუსი აწეული იყოს“.

რუსუმი სარჩო, სარგო (პ. უ.); „გარდასახადი“ (დ. რ.); „მუშის რუსუმი“; 513<sub>3-4</sub>; „რაც ან ქართველს ან თათარი ჩვენგან თარხანი არის, იმის გამოსაღებს ჩვენი მოხელენი ჩვენზედ ნუ იანგარიშებენ და ისე რუსუმს ნუ აიღებენ“, 535<sub>10</sub>: „ამის რუსუმი — სალთხუცესსა და მდივნებს“. 535<sub>10</sub>, 538<sub>7, 14</sub>, 539<sub>8, 14</sub>, 540<sub>5</sub>, 574<sub>1</sub>, 649<sub>8, 9</sub>, 650<sub>6</sub>, 654<sub>5</sub>, რუსუმი არაბ. მრავლობითი რიცხვი, „რამს“—იდან, სიტყვასიტყვით „ჩვეულება“, წესი“: აქედან ჩვეულებით დაწესებული ჯამაგირი მოხელეების. გამოსაღები ფულადი ან პროდუქტის სახით, რომელსაც ირანში გლეხები იხდიდნენ მოხელეების სასარგებლოდ.

- სამბარდანო 673; ამბარდანთათვის განკუთვნილი, იხ. ამბარდანი.
- სააუშტრო 672; აუშტართათვის (იხ.) განკუთვნილი.
- სააღდგომო (ძღვენი) 583<sub>2</sub>, 586<sub>1</sub>, 589<sub>8</sub>, 590<sub>9</sub>, 592<sub>6</sub>, 595<sub>6</sub>, 600<sub>8</sub>, 602<sub>14</sub>, 605<sub>5</sub>, 606<sub>4</sub>, 618<sub>7</sub>, 630<sub>1</sub>, 645<sub>10</sub>, 705<sub>13</sub>, 712<sub>22</sub>, 713<sub>11</sub>, 713<sub>21</sub>, 714<sub>4</sub>, 715<sub>13</sub>, 28, 716<sub>9</sub>, 718<sub>18</sub>, 719<sub>1</sub>, გადასახადი, რომელსაც სააღდგომო ძღვნის სახით გლეხი უხდიდა ბატონს (იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 193).
- საახალწლო 600<sub>1</sub>; ახალწლისათვის გლეხს ბატონისათვის უნდა მიერთმია ძღვენი (ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 194).
- საბაზიერო 596<sub>1</sub>; გადასახდელი ბაზიერის სასარგებლოდ.
- საბაღალახე 519<sub>1</sub>, 522<sub>1, 4, 12</sub>, 526<sub>1</sub>, 527<sub>1, 2, 3, 6</sub>, 530<sub>12</sub>, 590<sub>13</sub>, 593<sub>4</sub>, 601<sub>6</sub>, 602<sub>5, 13</sub>, 605<sub>5</sub>, 606<sub>1</sub>, 614<sub>5</sub>, 619<sub>5</sub>, 645<sub>6</sub>, 647<sub>9</sub>, 686<sub>12</sub>, 708<sub>11</sub>, 709<sub>9, 10, 14</sub>, 713<sub>1, 12, 23</sub>, 714<sub>42</sub>, 715<sub>4, 29</sub>, სახელმწიფო გადასახადი, რომელსაც საქონლის პატრონი უხდიდა მეფეს. (იხ. ივ. სურგულაძე, „სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში“, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952).
- საბატიო 484<sub>2</sub>, 488<sub>1</sub>, 495<sub>12</sub>, 697<sub>3</sub>, 707<sub>10</sub>; პატრიცეპული, ჩინებული (დ. ჩ.).
- საბატონიშვილო 509<sub>14</sub>; ბატონიშვილისათვის (იხ.) განკუთვნილი.
- საბატონო 509<sub>13</sub>, 513<sub>11</sub>, 537<sub>6</sub>, 539<sub>7</sub>, 549<sub>1</sub>, 569<sub>4</sub>, 573<sub>1</sub>, 577<sub>3</sub>, 581<sub>2</sub>, 594<sub>7</sub>, 601<sub>3</sub>, 617<sub>14</sub>; ბატონისათვის (იხ.) განკუთვნილი.
- საბაქი 533<sub>3</sub>; სპარსული „დასტურამალის“ მიხედვით სახელოსნო, სადაც დაუმუშავებელ ოქროსა და ვერცხლს ხალასად გადააქცევენ (ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურამალი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები XX XV B, 1945, გვ. 214); საბაქა — ფულის ჩამოსასხმელი (დ. ჩ.). 533-ე გვერდზე საუბარია საბაქზე, როგორც ზარაფხანის ამ დარგის ხელოსანზე და მის სარგოზე.
- საბოქაულთუხუცესო 649<sub>16</sub>; ბოქაულთუხუცესისათვის (იხ.) განკუთვნილი.
- სადედოფლო 517<sub>15</sub>, 637<sub>4, 7, 8, 9, 13</sub>, 638<sub>9, 12</sub>, 642<sub>5, 6, 7</sub>, 698<sub>14</sub>, 706<sub>19</sub>, 707<sub>12, 15</sub>, 718<sub>5, 15</sub>, დედოფლისათვის (იხ.) განკუთვნილი.
- სადიასახლისო 645<sub>7</sub>, 647<sub>11</sub>, 714<sub>10</sub>; სადიასახლისო ერბო, 645<sub>7</sub>, 703<sub>10</sub>, გადასახდელი. გლეხს ბატონი მიაბარებდა ძროხას, ნამატი გლეხის იყო, ხოლო ძროხისათვის დაახლოებით სამ ლიტრა ერბოს წელიწადში გლეხი უხდიდა ბატონს (ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 196—197, იხ. ზემოთ „ამანათი“).
- საეპისკოპოსო 720<sub>2</sub>; ეპისკოპოსის (იხ.) განსაგებელი, მისი სამრევლო.
- საერო 665<sub>13</sub>; „საერო-ერისგანათავს“ (ს. ო.); ამ შემთხვევაში თეთრი პურის საწინააღმდეგოდ სხვა ფერის პურს უნდა ნიშნავდეს. ქარხნის მუშობებს ერგება „თვითო თეთრი პური და საერო შვიდი“ (665<sub>12-13</sub>).
- საეშიკალასბაშო 643<sub>16</sub>; ეშიკალასბაშისათვის (იხ. განკუთვნილი).
- საჯანდარბაში 693<sub>7</sub>; საჯანდარბის უფროსი (იხ. საჯანდარი).
- საჯანდარი 693<sub>5, 6</sub>; 1) საზის საკრავის დამკვრელი; 2) ჩვეულებრივ მრავლო-

ბითში დასი, რომელიც შედგება საზის, ჰიანურის, ჰიანურის დამკვრელისა და დაირის დამკვრელ-მომღერლისაგან; 3) უხმარიათ მესტვირის მნიშვნელობითაც (ქ. გ. ლ.).

საზინდრო 683<sub>10</sub>; ზინდარისათვის განკუთვნილი (სადგომი, ზინდართა დაწესებულება). იხ. ზინდარი.

საზლაური 503<sub>7</sub>, 8, 697<sub>2</sub>; სანაცვლო, ასანაზლაურებელი; ამ შემთხვევაში საზლაური ნიშნავს დანაშაულისათვის გათვალისწინებულ გადახდევინებას, სასჯელს. ატენში „რომელიც სახასო კაცში ერთმანეთში სასამართლო მოხდებოდეს, მისი საზლაური რაც გამოვიდოდეს, სულ მოურავისა ყოფილა და ახლაც გვიბოძები“ (603<sub>7,8</sub>). ხევისთავები „სოფელში ქურდს ჩაუდგენ... გაეცალონ საზლაური რომ აზღვევინონ“ (697<sub>2</sub>).

სათარი 587<sub>14-15</sub>; ნაცვალს — „კომლზედ თვითო ძღვენი და თვითო სათარი შეშა“. ს. ო.: „შეშა მოთრეული“. ხე ან შეშა, რომელსაც უღელი ხარით მოათრევენ (ქ. გ. ლ.).

სათხოვარი 521<sub>7</sub>; სოფელში რაც „თარხნის სათხოვარი“ იყო; 521<sub>7</sub>. ამ შემთხვევაში გადასახდელს, გამოსაღებს ნიშნავს.

საიასაულო 483<sub>3</sub>, 7, 490<sub>2</sub>, 553<sub>2</sub>, 603<sub>9</sub>, 638<sub>1,3</sub>, 640<sub>12</sub>, 641<sub>13, 16</sub>, 643<sub>1, 7, 15</sub>, 688<sub>1</sub>, 703<sub>19</sub>, 714<sub>22</sub>, იასაულისათვის (იხ.) განკუთვნილი.

საკაცე 701<sub>16</sub>; „მკუდრის წასადები“ (ს. ო.).

საკაქკაქე 506<sub>1</sub>; „მონარშული ძროხიდან ერთი საკაქკაქე სუფრაქს“. დ. ჩ.: „საკაქკაქე-კუდუსუნი, კუჩაბა, ხერხემლის ძვალი, конец хребтовой кости“.

საკომლო 699<sub>1</sub>; საკომლო გადასახადი, მაგალითად, კოდისპური, 708<sub>5</sub>, ბზის გადასახდელი. „წინწყაროელთ საკომლო 97“ 698<sub>22</sub>. მეჩინიბეთუხუცეების „მამული ბზის თეთრის თრახანია“ 707<sub>16-17</sub>; „საკომლოზედ ბზისთეთრი-ორი შაური“ (718<sub>3</sub>).

სალარო 574<sub>1</sub>, 650<sub>7</sub>, 8, 9, 651<sub>3,4</sub>, 5, 6, 652<sub>7</sub>, 653<sub>8</sub>, 15, 16, 654<sub>3</sub>, 4, 655<sub>1-5</sub>, 674<sub>4</sub>, 681<sub>4</sub>, 10, 690<sub>6</sub>; ლართ საუნჯე (ს. ო.). (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 181—182).

სალაროს თავილდარი 654<sub>3,4</sub>; 655<sub>5</sub>; იხ. თავილდარი.

სალაროს მუშრიბი 658<sub>14</sub>, 704<sub>26</sub>, 705<sub>1</sub>, იხ. მუშრიბი.

სალაროს ნაზირი 574<sub>1</sub>, 650<sub>6</sub>, 7, 651<sub>3</sub>, 4, 655<sub>1</sub>, 2, 3, 681<sub>4</sub>, სალაროს უფროსი მონელე (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 171—183).

სალბაში 539 Sal (სალ) თურქ. ტივი, bas (ბაშ) თურქ. თავი, სალბაშ — ტივის უფროსი, მეტივეთა უფროსი, მეთაური. „თათრულად, плата за рубку дров“ (დ. ჩ.). ტივის ბაჟი. 533<sub>6</sub>: „სალბაშს ეძახიან, რაც ტივი მოვა ერთ უკეთეს ხეს საბატონოდ აიღებენ“.

სალთხუცესი, სახლთხუცესი 495<sub>19</sub>, 496<sub>11</sub>, 500<sub>4</sub>, 10, 501<sub>2</sub>, 505<sub>7</sub>, 516<sub>4</sub>, 5, 518<sub>2</sub>, 518<sub>8</sub>, 9, 14, 15, 519<sub>8</sub>, 7, 520<sub>20</sub>, 522<sub>8</sub>, 13, 526<sub>12</sub>, 527<sub>4</sub>, 535<sub>10</sub>, 11, 536<sub>1</sub>, 538<sub>7</sub>, 539<sub>2</sub>, 567<sub>8</sub>, 571<sub>8</sub>, 11, 573<sub>2</sub>, 574<sub>8</sub>, 575<sub>4</sub>, 9, 577<sub>4</sub>, 578<sub>12</sub>, 584<sub>10</sub>, 590<sub>2</sub>, 595<sub>2</sub>, 3, 613<sub>6</sub>, 617<sub>2</sub>, 620<sub>2</sub>, 631<sub>2</sub>, 637<sub>2</sub>, 639<sub>1</sub>, 644<sub>3</sub>, 646<sub>9</sub>, 703<sub>9</sub>, 707<sub>5</sub>, 708<sub>7</sub>, 12, 710<sub>10</sub>, 21, 711<sub>15</sub>, 712<sub>22</sub>, 717<sub>4</sub>, 718<sub>24</sub>, 28, 28, 719<sub>18</sub>; სალთხუცესი დედოფლის 637<sub>1</sub>, 4, 6, 9, 10, გვიანფეოდალურ საქართველო-



ში დიდი მოხელე, რომელსაც ძირითადად სამეურნეო-ადმინისტრაციული შინაარსის ფუნქციები ჰქონდა (ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 173—181).

**სამამულე** 623<sub>1</sub>; ამ შემთხვევაში „სამამულე“ ნიშნავს მიწის სარგებლობას, მის დამუშავებას, გაშენებას და სხვა. გორას, „გარდმოღმა სამამულეთ ხელი არა აქვს და საძოვრად ნუ დაუჭერენ“ (623<sub>1</sub>).

**სამანი** თურქ. 622<sub>8</sub>; მიჯნის ნიშანი — მიწაში ჩასობილი სარი ან ქვა. 622<sub>8</sub>: „კლონეთის ბოლოს სათიბში სამანი ზის, იმას ქვევით, საბეჭდავს დარჩა“, „სათიბში სამანი ჩაგვისვამს“ სოფლების საზღვრის სანიშნებლად 624<sub>3-4</sub>; საზღვრად „დიდი ჯვარიანი ქვა ზის საბატის თავისაკენ. გიორგი მეფის ეამში ჩასმული ქვა მოეგლიჯათ, ისევე ჩაესვათ. იმ სამნიდან მელას ტამალიას სწორად დიდი გოხია, იმის სწორად გამოგვისაზღვრავს“ 24<sub>5-7</sub>.

„ჯვარიანს ქვას და ტბის პირს ამბობდნენ სამძღვრათა უწყლოვებლნი და ქვებიცი ისხდა“ 624<sub>9-10</sub>. „გზას ქვევით წყლის პირს სამანი ზის წყალს გაღმა თხრილი ჩამოვარდება: ბოლოს ქვა ჩაგვისვამს“ საზღვრად 624<sub>3-14</sub>.

„ქციის გაღმა სამანი ვიპოვეთ, წყლის პირსაც იმის სწორად ქვა ჩავსვით“ 626<sub>9-10</sub>. „გზას ზეით გველფარებელთ სანამდის სამანი აქვს, ანდრაპელთ ხელი არა აქვთ“ 627<sub>1-2</sub>. „გორის გამოსწორ ტამალიისაკენ კუთხეთ ქვა ჩაგვისვამს, იმ ქვის შესწორ მინდორში დიდი ქვა-სამანი არის. იმ ქვის შესწორ ჭიტების სამძღვრად ის არის“ 627<sub>8-9</sub>. საზღვრად „ყველგან ქვა აგვიმართავს“ 628<sub>13</sub>. სათიბში „სამანი ვიპოვეთ“ საზღვრის ნიშნად 629<sub>2</sub> და სხვა.

**სამართალი** 497<sub>9</sub>, 501<sub>7</sub>, 591<sub>9</sub>, 639<sub>1</sub>; ერთობლიობა ნორმებისა, რომელთაც აწესებდნენ ან სანქციას უკეთებდნენ სახელმწიფო ხელისუფლება. 629<sub>2</sub>. ...„ხევისთავმა როგორც უნდა ისამართლოს, იმის სამართლის წიგნს მივსცემთ“ 680<sub>1</sub>: „სამართლიანი“, სამართლის შესაბამისი 603<sub>4</sub>, „მოურავს უსამართლებია“, — მოურავს სამართალი უწარმოებია, მიუცია. 522<sub>17</sub>: „უსამართლო“, სამართლის საწინააღმდეგო.

**სამარხო** 487<sub>12, 14</sub>, 488<sub>4</sub>, 689<sub>6</sub>, 714<sub>4</sub>, 715<sub>13</sub>, 716<sub>16</sub>; მარხვისათვის განკუთვნილი. ამ შემთხვევაში მარხვისათვის გათვალისწინებული გადასახდელი ბატონის სასარგებლოდ.

**სამასპინძლო** 518<sub>2</sub>, 526<sub>1</sub>, 528<sub>11, 3</sub>, 577<sub>11</sub>, 578<sub>8</sub>, 587<sub>6</sub>, 595<sub>11</sub>, 599<sub>7, 11</sub>, 619<sub>8</sub>, 644<sub>1</sub>, 645<sub>10</sub>, 718<sub>8</sub>; გადასახდელი, რაც გამოიხატებოდა ბატონის გამასპინძლებაში. ზოგჯერ ამ გადასახადს ფულადი ხასიათი ჰქონდა (ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 195).

**სამღივანბეგო** 553<sub>1</sub>, 637<sub>15-17</sub>, 638<sub>2, 14</sub>, 639<sub>7</sub>, 641<sub>16</sub>, 642<sub>4</sub>, 648<sub>1</sub>, მღივანბეგის ასაღები.

**სამემანდრო** 576<sub>1</sub>; მემანდრისათვის (იხ.) განკუთვნილი.

**სამეფო** 493<sub>5</sub>, 517<sub>14</sub>, 552<sub>8</sub>, 716<sub>28</sub>, სახელმწიფო.

**სამეხრეთ** 507<sub>9</sub>, 510<sub>14, 16</sub>, 585<sub>6</sub>, 588<sub>6</sub>, 590<sub>12</sub>, 593<sub>3</sub>, 598<sub>8</sub>, 601<sub>3</sub>, 713<sub>7</sub>, 715<sub>25</sub>, 716<sub>3</sub>; მეხრისათვის განკუთვნილი, გადასახდელი, მეხრის შესანახავად.

**სამეჩინიბო** 526<sub>10</sub>, 680<sub>15</sub>; მეჩინიბისათვის (იხ.) განკუთვნილი.

სამზარეულო 669<sub>1</sub>; „სახლი სანოვაგედ სახარშავი“ (დ. ჩ.), საქმელების გა-  
საკეთებელი ადგილი,  
სამოურაო 608<sub>2</sub>, 610<sub>12</sub>, 12, 612<sub>8</sub>, 10, 622<sub>8</sub>, 631<sub>5</sub>, 12, 686<sub>10</sub>, 709<sub>12</sub>, 14; მოურავისათ-  
ვის განკუთვნილი, მოურავის განსაგებელი.  
სამოხელეო 617<sub>15</sub>; მოხელისათვის (იხ.) განკუთვნილი.  
სამსახური 480<sub>4</sub>, 500<sub>2</sub>, 520<sub>12</sub>, 612<sub>6</sub>, 642<sub>10</sub>, 11, ის რაც თანამდებობის პირმა, მო-  
სამსახურემ უნდა შეასრულოს, იხ. მსახური.  
სამსახურის მოქმედი 476<sub>9</sub>; მოხელე აღმასრულებელი ფუნქციებით, იხ. სამსა-  
ხური, მოსაქმე.  
სამსუნი 689<sub>3-5</sub>; მეძალეებს „რამდენი მეძებარი ებაროს, თვითოს ორი მრგვალი  
პური, მწვევარს მადაური — 3, სამსუნს — 4, მარხვაში ქონი“. ძალის  
ჯიშსა ან სადაურობაზე უნდა იყოს საუბარი, მუხლში არის მეძებარი,  
მწვევარი და სამსუნი... „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ გვხვდება „ბერ-  
ძული ძალი“.  
სამურდრო 639<sub>12</sub>; მურდარისათვის (იხ.) განკუთვნილი.  
სამუშაო 716<sub>15</sub>, 716<sub>25</sub>; საკეთებელი, საშრომი, საქმე (ქ. გ. ლ.).  
სამღებრო 714<sub>17</sub>, 717<sub>10</sub>, 11, 12; სახელოსნო, სადაც ღებავენ რასმე.  
სამძღვარი 622<sub>3</sub>, მიჯნა, ზღვარი.  
სანავროზო 567<sub>3</sub>, 6, 578<sub>7</sub>, 651<sub>1</sub>, გადასახდელი ელის მოსახლეობისა, რომელსაც  
იხდიდნენ სანავროზოდ. ელიდან რაც „სანვაროზო ფლური მოვა“...  
651<sub>1</sub>, იხ. ნავროზი.  
საპარავი 706<sub>3</sub>; „საპარავი მზარეულს“ 706<sub>3</sub>; ქ. გ. ლ.: მსხვილფეხა საქონლის  
მუცლის ზორცი 477<sub>2</sub>, 489<sub>16</sub>, 517<sub>14</sub>, 17, 523<sub>11</sub>, 553<sub>3</sub> 14.  
სარგო 477<sub>3</sub>, 489<sub>18</sub>, 517<sub>14</sub>, 523<sub>11</sub>, 533<sub>3</sub>, 4, 579<sub>4</sub>, 581<sub>8</sub>, 583<sub>10</sub>, 13, 587<sub>12</sub>, 588<sub>1</sub>, 4<sub>8</sub>,  
597<sub>1</sub>, 599<sub>9</sub>, 609<sub>10</sub>, 613<sub>12</sub>, 617<sub>11</sub>, 639<sub>2</sub>, 640<sub>4</sub>, 7, 641<sub>14</sub>, 643<sub>4</sub>, 644<sub>5</sub>, 646<sub>1</sub>,  
646<sub>13</sub>, 14, 648<sub>9</sub>, 1, 11, 649<sub>3</sub>, 7, 650<sub>7</sub>, 8, 9, 652<sub>7</sub>, 8, 18, 653<sub>15</sub>, 654<sub>3</sub>, 5, 665<sub>8</sub>,  
565<sub>3</sub>, 11, 681<sub>12</sub>, 686<sub>7</sub>, 9, 687<sub>11</sub>, კუთვნილი განაწესი, ის რაც ეკუთვნის  
(მოხელეს).  
სარდალი (სპ. სარდარ) 480<sub>12</sub>, 516<sub>1</sub>, 13, 517<sub>2</sub>, 6, 7, 9, 10, 621<sub>3</sub>, 636<sub>17</sub>, 638<sub>5</sub>, 7, 8,  
710<sub>22</sub>, სადროშის უფროსი, ქართლის სამეფოში ოთხი სარდალი იყო  
(ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორი-  
ისათვის, 1952, გვ. 388—394).  
სარქარბაში 662<sub>1</sub>, 2; სარქრების (იხ.) უფროსი.  
სარქარი (სპ. სარქარ) 513<sub>12</sub>, 662<sub>1</sub>; სამეურნეო დარგის მოხელე (იხ. ივ. სურგუ-  
ლაძე, საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისათვის, 1952,  
გვ. 209—211).  
სარხათი 646<sub>15</sub>, 648<sub>8</sub>, 649<sub>5</sub>; „სარხათზედ დასაბეჭდავად თუმანზე აბაზი“ 649<sub>10</sub>,  
663<sub>6</sub>, 665<sub>12</sub>, 698<sub>18</sub>; ჯამაგირის გარიგების წიგნი.  
სასალთუხუცესო 709<sub>12</sub>; სახლთუხუცესისათვის (იხ.) განკუთვნილი.  
სასამართლო 603<sub>6</sub>, 698<sub>10</sub>; სახელმწიფო დაწესებულება, სადაც არჩევდნენ სის-  
ხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს.  
სასარდლო 698<sub>6</sub>, 12, 701<sub>12</sub>; სარდლის (იხ.) განსაგებელი.  
სასახლე 498<sub>12</sub>, 551<sub>10</sub>, ამ შემთხვევაში მეფის საცხოვრებელი შენობა.  
სასახლის მუშაობა 596<sub>4</sub>; ბეგარა, რომელსაც ყმები ასრულებდნენ მეფის სასახ-  
ლეზე საჭირო სამუშაოს შესრულებით.  
სასვიანო 710<sub>6</sub>, 17, 711<sub>12</sub>, 713<sub>18</sub>, 714<sub>2</sub>, 715<sub>7</sub>, 13; ყმის მისართმევი ბატონისათვის  
უკანასკნელის ოჯახში ქორწილის შემთხვევაში.

ხასოფლო პური 582<sub>11</sub>; ამ შემთხვევაში მეფის ვენახის მოკრეფისა და ყურძნის დაწურვის დროს საჭირო სამუშაოების შესრულებისათვის შემსრულებელთა (მუშების) შესანახად საჭირო პური.

სატამაზლუხე 665; ქართული ფორმანტების თავსართი „სა“-ს და ბოლოსართი „ა“-ს მოცილების შემდეგ დარჩება თურქ „ტამაზლუხ“, რაც ნიშნავს სანაშენე ცხოველს (ულაყი, ბულა და სხვა); „ბატონის სატამაზლუხეს ცხერის ქასილის ოცისთავი“. დ. ჩ.: „სატამაზლუხი — животное назначенное для приплода“.

სატარულო 597<sub>2</sub>; ტარულისათვის (იხ.) განკუთვნილი გადასახდელი.

სატყვისპირო 671<sub>1</sub>; გადასახდელი ტყვის სახით, რომელიც მოურავისათვის ან სხვა მოხელეთათვის მოსახლეობას უნდა მიეცა („ტყვის თხოვება“).

სატყვეო ხარჯი 536<sub>11, 12</sub>; ირანს ქართლი უგზავნიდა ხარკის სახით ქალ-ვაჟებს, ტყვეებს. ტყვეების საყიდელ ხარჯს მოსახლეობა იხდიდა.

საულუფე 502<sub>7</sub> „სამეჭლისო ლავაში... საულუფე ლავაში“ 502<sub>7</sub>. იხ. ულუფა.

საულლღარი, სოიულღარი. 515<sub>13-18</sub>: „როდესაც ქართლი აწერილა და ან აიწერების, ამ წესით უნდა აიწერებოდეს: ყაიყულიდამ შემოყოლებით, თათარსა და მელიქის-საულღარს გარდა, სომხითს, ყაიყულის თრიალეთს და საბარათაშვილოში,—ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა, ერთი მდივანი წავა — ასწერს და დავთარს დაიჭერს; მეფის მდივანი წავიდოდეს“. ამ ამონაწერის მიხედვით ელი და მელიქის საულღარი ქართლის აღწერის საერთო წესებს არ ექვემდებარება, სარდალი და მეფის მდივანი იქვერ შვევა ასაწერად. ელის აღწერა დასტურლამალით სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა განსხვავებით ქართლის დანარჩენი ნაწილებისაგან. ამიტომ აღწერის მხრივ ქართლის ელების გამოყოფა გასაგებია. მაგრამ რა არის მელიქის „საულღარი“? ან რატომ არ ექვემდებარება ის ქართლის აღწერის საერთო წესს? მელიქის „საულღარი“ — მელიქის სამფლობელოა, მაგრამ ამით „საულღარის“ შინაარსს ნათელი მაინც არ ეფინება.

პროფ. ვ. გაბაშვილი „დასტურლამალის“ „საულღარში“ მიწისმფლობელობის იმ აღმოსავლურ ფორმას ხედავს, რომელიც „სოიულღარის“ სახელწოდებით არის ცნობილი (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 293—296).

მონღოლური ტერმინი „სოიულღარი“ ნიშნავს წყალობას. XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა სოიულღალის ინსტიტუტი შუაზიასა, ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში — როგორც მიწის მფლობელობის ლენური ფორმა. თავის მხრივ სოიულღარი მიწისმფლობელობის იმ ფორმის განვითარებას წარმოადგენს, რომელიც აღმოსავლეთ ქვეყნებში იქტას სახელწოდებით არის ცნობილი, და რომელიც თავისი შინაარსით ბენეფიციუმს უახლოვდება (იქვე, გვ. 164). „სოიურღალი“, როგორც მიწის მფლობელობის ფორმა, საგადასახადო და სასამართლო შეუვალობას გულისხმობს (იქვე, გვ. 165). როგორც ტექნიკური ტერმინი, რომლითაც გადმოიცემა ლენური წყალობის განსაკუთრებული სახე, სოიურღალი აზერბაიჯანსა და სომხეთში გვხვდება XIV საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან (И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., 1949, стр. 147).

პროფ. ვ. გაბაშვილი ასაბუთებს, რომ სომხეთის მელიქი, მართალია, ირანის ვასალის — ქართლის მეფის მოხელე იყო, მაგრამ ირანის მფლობელს „შაჰაბაზს მუდამ სწამდა და სჯეროდა“ მისი, ე. ი. მელიქის; ქართლის მელიქებმა ირანის შაჰის მიმართ სრული ნდობა დაიმსახურეს და ამიტომაც ქართლის მელიქებმა განსაკუთრებული უფლებები მოიპოვეს, რაც ამ შემთხვევაში იმაში გამოიხატა, რომ ქართლის სამეფოს აღწერა მათ არ შეეხებოდათ; ქართლის აღწერა გადასახადების გაწერის თვალსაზრისით ხდებოდა და აღწერიდან განთავისუფლება საგადასახადო იმუნიტეტს ნიშნავდა და სწორედ „საგადასახადო იმუნიტეტი სოიურალის ძირითადი ნიშანი იყო“ (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 291); იმ დიდი დამსახურების გამო, რაც მელიქებს ირანის მიმართ ჰქონდათ „შაჰაბაზს სომხეთის მელიქისათვის სოიურალად უნდა მიეცა ქვეყანა, რომლის ხელშეუვალობა დასტურლამალითაც არის აღიარებული“ (იქვე, გვ. 295).

ამგვარად, „დასტურლამალში“ ნახმარ ტერმინს „საულლარს“ პროფ. ვ. გაბაშვილმა, ჩვენი აზრით, მართებული ახსნა მოუხანა, მაგრამ მეცნიერის დასკვნები ქართული და ირანული მიწათმფლობელობის წესების ურთიერთობასთან ქართველობისათვის ბრძოლის დაკავშირება არ მიგვაჩნია მართებულად, მაგრამ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგანაც სხვა შრომაში გვაქვს ამ საკითხის შესახებ საუბარი (იხ. ჩვენი „საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის“, უფრ. „მნათობი“, № 12, 1960).

**საური** 518<sub>1, 2, 3</sub>; 536<sub>12</sub>; 539<sub>4</sub>; 596<sub>5</sub>; 599<sub>5</sub>; გადასახადი, ხარკი შემოღებული იყო საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლების სასარგებლოდ (იხ. ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტი, ტ. VI, 1952).

**საუფლო** 702<sub>4</sub>; ღვთისადმი საკუთვნილი (დ. ჩ.).

„მარიამ დედოფლისათვის მიეცემოდეს შვიდს საუფლოს დღეს ცხვარი — 1, ბრინჯი 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ნახევარ კოკა ღვინო, პური კოდი 1“ (1 დ.). საუფლო დღეები ეწოდებოდა ქრისტიანული დღესასწაულის დღეებს — აღდგომას, შობას და სხვა. „დასტურლამალით“ შვიდი ასეთი დღესასწაულისათვის გათვალისწინებულია მარიამ დედოფლის სულის მოსახსენებელი სააღაპო, რომლის ხარჯს, რაც ზემოთ მოვიყვანეთ (ცხვარი, ღვინო და სხვ.), სადედოფლო სოფლების შემოსავლიდან გაისტუმრებდნენ. მარიამ დედოფლის ალაბი დაწესებულია სადედოფლო „დასტურლამალის“ შემდგენელის, გიორგი XI მიერ (იხ. სადედოფლო „დასტურლამალის“ სათაური), რომელიც იყო მარიამ დედოფლის გერი.

**საფარეშო** 658<sub>17</sub>; ამ შემთხვევაში მეფის სასახლის სამსახურის ერთ-ერთი განყოფილება, ფარეშთა სადგომი.

**საფერავი** 716<sub>14</sub>, ატენის ზერებისათვის „საფერავისა და ნეხვის ფასი კარიდან უნდა“.

**საფიჩხულე** 713<sub>13, 24</sub>; თევზის დასაჭერი ფაცერის ჩადგმისათვის დაწესებული გადასახადი.

საქერიო 581<sub>1</sub>, 582<sub>6</sub>, 589<sub>4</sub>, 591<sub>1</sub>, 593<sub>4</sub>, 599<sub>7</sub>, 601<sub>8</sub>, 606<sub>5</sub>, 612<sub>5</sub>, 613<sub>3</sub>, 619<sub>9</sub>, 620<sub>2</sub>, 709<sub>10</sub>, 21, 710<sub>20</sub>, 711<sub>5</sub>, 7, 712<sub>6</sub>, 11, 713<sub>14</sub>, 714<sub>5</sub>, 8, 19, 715<sub>29</sub>; ქვრივი გლეხი ქალის გათხოვებისათვის დაწესებული გადასახადი, რომელსაც ქვრივის საქმრო იხდიდა. გადასახდელი უდრიდა დაახლოებით ერთ ხარს (იხ. ივ. სურგულაძე, შემთხვევებთან დაკავშირებული გადახდვები გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ. მეცნ. აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტი, შრომები, ტ. VII, 1953).

საქონელი 697<sub>3</sub>; „ჯავანშირის საქონელზე არა ეთხოვებინ რა“ 577<sub>14</sub>; „ბატონის ყმას ჯავანშირს გარდა, სხვა ვისიცი იყოს ძროხაზედ ნახევარ-შაური აართვან“ 577<sub>6-7</sub>; ამ მუხლით „საქონელი“ შინაურ ცხოველს ნიშნავს. 697<sub>3</sub>: მოპარული „საქონელი თუ საბატოს კაცის შვილისა იყოს, ან აზნაურ-შვილისა, — ექვსი პატრონს და ერთი კვეისთავს“. ამ მუხლით საქონელი ნიშნავს როგორც ცხოველს, ე. ი. სულიერს, ისე უსულო საგანს, ნივთს, პროდუქტს.

საქორწილო 711<sub>5</sub>, 7; ბატონის ოჯახში ქორწილის შემთხვევაში გლეხის გადასახდელი ბატონის სასარგებლოდ (ამ შემთხვევაში).

საქცევა 625<sub>11</sub>; მიწის ოდენობის საზომი. „ორი საქცევი მიწა“.

საღვინე 670<sub>8</sub>; 1) ღვინის ჭურჭელი, 2) ღვინის შესანახი ადგილი.

საყა (არაბ. საყუ) სამზარეულოს მოხელე 501<sub>15</sub>: „ოსტატს — თასი, საყას თასი“; 505<sub>5</sub>; „ოსტატის თასი, საყას თასი“. 669<sub>5</sub>: „საყა წყლის მზიდავი“.

საყათი (არაბ.-სპ. საყათ, საყათჰორუშ) 538<sub>3</sub>, საწვრილმანო საქონელი, „საწყათ საქონელზე, ესე იგი საწვრილმანოზე, რომელ არს კალა, შაქარი, ჩაი, ყავა, ჭია, ლილა, წმინდა სანთელი, სანდალი, დარიჩინი, ილი, მიხაკი და ყოველ საწვრილმანოზედ — 3 რუბლი“ („სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, 1964, გვ. 159—160, მუხ. 6). საყათის ცალზე ერთი შაური (538<sub>3</sub>).

„კიდევ დავთრიდამ საყათის აქლემის საპალნეზედ“ ოცდაშვიდი შაური 541<sub>1</sub>; „საყათის საპალნეზედ ცხრა შაური“ 543<sub>7</sub>; „ქალაქის — კარზედ ასე აუღიათ: აბრეშუმის საპალნეზედ — შაური, ფარჩის საპალნეზედ — ნახევარ შაური, ბანბის საპალნეზედ — ბისტი, საყათზედ — ფული ორი“ (547<sub>10-13</sub>).

საყაფიჩო 643<sub>16</sub>; ყაფიჩისათვის განკუთვნილი (იხ. ყაფიჩი).<sup>1</sup>

საყდარი 626<sub>13</sub>, 718<sub>21</sub>, 22; ტახტი, ეკლესია.

საყველიერო 709<sub>1</sub>, 710<sub>18</sub>, 711<sub>14</sub>, 712<sub>2</sub>, 3; გადასახდელი ბატონის სასარგებლოდ, რომელსაც გლეხი იხდიდა საყველიეროდ.

საყორულო 577<sub>1</sub>, 2; „იალღუჯის საყორულო“, 646<sub>1</sub>; სამოვარი ადგილისათვის გადასახდელი (იხ. ყორული).

საშარბათო 507<sub>14</sub>, 671<sub>10</sub>, 674<sub>1</sub>, 3; შარბათის დასამზადებელი და შესანახი ადგილი.

საშობაო ძღვენი 583<sub>2</sub>, 586<sub>1</sub>, 589<sub>8</sub>, 590<sub>9</sub>, 592<sub>6</sub>, 600<sub>2</sub>, 601<sub>8</sub>, 602<sub>14</sub>, 605<sub>5</sub>, 606<sub>4</sub>, 618<sub>7</sub>, 630<sub>1</sub>, 645<sub>10</sub>, 705<sub>13</sub>, 712<sub>22</sub>, 713<sub>11</sub>, 714<sub>4</sub>, 715<sub>13</sub>, 716<sub>9</sub>, 718<sub>8</sub>, 719<sub>1</sub>; გადასახდელი ბატონის სასარგებლოდ, რომელსაც გლეხი იხდიდა საშობაოდ (ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 193—194).

საჩექმე 587<sub>13</sub>, 590<sub>3</sub>, 591<sub>6</sub>, 593<sub>8</sub>, 603<sub>3</sub>, 610<sub>2</sub>, 616<sub>8</sub>, 619<sub>16</sub>, 620<sub>6</sub>, 709<sub>21</sub>, 712<sub>6</sub>, 11;

713<sub>28</sub>; გადასახდელი ყმა გლეხი ქალის გათხოვების შემთხვევაში, ქალის პატრონი უხდიდა ბატონს (იხ. ივ. სურგულაძე, შემთხვევებთან დაკავშირებული ექსტრა-ორდინალური გადასახდლები გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1953; მისივე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 213—239).

საჩივარი 617<sub>9</sub> სარჩელი, ამ ტერმინით აღინიშნებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში (ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963 გვ. 66—69).

ხაცილობელი 622<sub>4</sub>; სადავო.

საწიგნე ოქმისა 648<sub>4</sub>; მდივნის სასარგებლო გამოსაღები, რომელსაც მდივანი იღებდა ოქმის დაწერისათვის ამ ოქმის პატრონისაგან. მდივნებს „იჭარაზე საწიგნე ოქმისა“ 648<sub>4</sub>.

სახაბაზო 667<sub>6</sub>; ხაბაზისათვის განკუთვნილი (იხ. ხაბაზი).

სახასო 510<sub>2-3</sub>, 519<sub>2</sub>, 521<sub>1, 2, 3</sub>, 523<sub>8</sub>, 524<sub>7</sub>, 530<sub>8-9</sub>, 579<sub>2</sub>, 594<sub>7</sub>, 598<sub>;</sub>, 603<sub>6</sub>, 620<sub>8</sub>, 636<sub>11, 12</sub>, 637<sub>1;</sub>, 643<sub>12</sub>, 645, 646<sub>8</sub>, 647<sub>10</sub>, 679<sub>9, 10</sub>, 681<sub>4, 5</sub>, 699<sub>11</sub>, 714<sub>11</sub>, 715<sub>;</sub>, 716<sub>;</sub>; სამეფო ან საბატონო (ქ. გ. ლ.).

✓ სახევისთაო 619<sub>6</sub>; ხევისთავისთვის განკუთვნილი გადასახდელი (იხ. ხევისთავი).

სახელმწიფო 476<sub>2</sub>; სამეფო.

სახელო 476<sub>2, 19</sub>, 477<sub>4</sub>, 520<sub>;</sub> 8, 646<sub>12, 14</sub>, 651<sub>4</sub>, 654<sub>;</sub>; თანამდებობა.

საჯაბადრო 658<sub>10</sub>; აბჯართ საცავი, арсенал (დ. ჩ.). 658<sub>9</sub>; „საჯაბადროს მოხელენი“.

საჯარო 497<sub>16</sub>; ჯარისათვის (ს. ო.); ამ შემთხვევაში ნეფის გარდა, სხვა ყველასათვის; „ხუთი ბატონის წინ დასადგმელი, ოცდახუთმეტი საჯაროდ“ 497<sub>16</sub>; 498<sub>11</sub>, 499<sub>7</sub>, 499<sub>18</sub>.

საჯელგო „ჩარიგებით მყოფთათვის“ (პ. უ.). 497<sub>5</sub>; „სამი ყაზრ ბატონის წინ დასადგმელად და ექვსი ყაბი საჯელგოდ“, 504<sub>9</sub>, 702<sub>8</sub>; საჯელგო — ჯელგისათვის.

საჯინბო 690<sub>5</sub> „ცხენთ-სადგომი სახლი“ (დ. ჩ.); თავლა (ქ. გ. ლ.).

სევანი, სეუნი 690 სქ. „ბატონის სევანი“, კარავი (დ. ჩ.).

სეისხანა 680<sub>4</sub>; იხ! ზინხანა. „ადგილი, სადაც საწინაო ყოჩი თხა ინახება“ (პ. უ.). „რომელიც ჩვენი თავლა იქნებოდეს... ულაყისა, ჯორისა და სეისხანისა“.

სერი 496<sub>6, 7</sub>; ნადიმი.

სეფე 718<sub>13</sub>; სამეფო, საუფლე (ქ. გ. ლ.).

სითარხნე 597<sub>7</sub>, 602<sub>6</sub>; თავისუფლება.

სიკილა 533<sub>10</sub>, 535<sub>1</sub>; „ერთი დიდრაქმა“ (ს. ო.), „დიდრაქმა-დრაქმა და ნახევარი“ (ს. ო.). „დრაქმა ესე არს 13 დანგი და მესამედი დანგის“ (ს. ო.). დანგი სამის კერატის „წონა“ არის (ს. ო.); „ოთხი ქრთილის მარცვალნი ერთი კერატია“ (ს. ო.); ქრთილი — ქერთან ნახე (ს. ო.); „გაზაფხულის ნათესს ქერი ეწოდება, ხოლო შემოდგომისას ქრთილი“ (ს. ო.). „სამი მისხალი და ერთი მესამედი“ (პ. უ.); სიკილა-დიდრაქმა, რომელიც 14 შაურად ფასობდა (დ. ჩ.).

სიქაქუნი 534<sub>4</sub>; ზარაფხანის ერთ-ერთი ქარხანა, რომელშიაც „ფულის მომჭრე-

ლი ოსტატები ყოველდღე მონეტების მოჭრით (სიქა-ქუნი) არიან გართული“, ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXV B, 1949, გვ. 215; ამ შემთხვევაში ამ დარგის ხელოსანი.

სოიბათიასაული 478<sub>2</sub>, 493<sub>11</sub>, 495<sub>2</sub>, 496<sub>7, 20</sub>, 497<sub>9</sub>, 498<sub>3, 14</sub>, 499<sub>10</sub>, 500<sub>5, 6, 13</sub>, საპოლიციო დარგის მოხელე, რომელსაც სამეურნეო ხასიათის ფუნქციებიც ჰქონდა (ივ. სურგულაძე, საქართველოსა და სახელმწიფო ისტორიისათვის, 1952, გვ. 270—272).

სომხითის მელიქი 678<sub>8</sub>; სომხითის გამგებელი, მსხვილი ფეოდალი. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით (მუხ. 35) ქართლში დიდებულები არიან: არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი, ორბელიანი, ამათზე ნაკლებია მელიქი: „ამათთან (დიდებულებთან, — ი. ს.) კი არა და სომხითის მელიქიც ითქმის“.

სოფელი „სოფლის კაცი“, 516<sub>14</sub>, 517<sub>3</sub>, 520<sub>10, 11</sub>, 521<sub>7, 8, 1</sub>, 524<sub>8, 10</sub>, 527<sub>11</sub>, 539<sub>12</sub>, 579<sub>3</sub>, 585<sub>6</sub>, 602<sub>5</sub>, 607<sub>1</sub>, 608<sub>3, 4, 5, 6</sub>, 610<sub>1, 3, 4, 5, 7, 8, 9</sub>, 620<sub>8</sub>, 620<sub>10</sub>, 622<sub>3</sub>, 631<sub>4, 5</sub>, 634<sub>5</sub>, 643<sub>13</sub>, 681<sub>6</sub>, 694<sub>16</sub>, 696<sub>10</sub>, 699<sub>8</sub>, 709<sub>11</sub>, 710<sub>1, 2</sub>, 714<sub>4</sub>, 716<sub>26</sub>, 721<sub>6</sub>; ამ შემთხვევაში გეოგრაფიული პუნქტი გლეხებით დასახლებული.

სპასალარი (სპ. სეფჰჰჰჰჰარ) 475<sub>11</sub>, 634<sub>18</sub>; სარდალი, ჯარების უფროსი. სპასპეტი (სპ. სეფჰჰჰჰად) შს. 475<sub>11</sub>, სარდალი, ჯარების ხელმძღვანელი.

სპეტობა 703<sub>10</sub>; „სადიასახლისო ფურისა სპეტობა სუფრაჯისა არის“ (იხ.) შპეტი. სტილი 611<sub>10</sub>; 613<sub>7</sub>; 616<sub>7</sub>; 630<sub>1, 4</sub>; ამ შემთხვევაში წონის ერთეული. „სამი მინალთუნისა და ათი შაურის წონა ერთი სტილი არის“ (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 124; მისხალი ან 5 დრამი, დ. ჩ.).

სტუმრის დგომა 579<sub>4</sub>; „სასტუმრო“ ეწოდებოდა მოსახლეობის ვალდებულებას, რომ მეფის ბრძანებით მიეღო უცხოელი სტუმარი თანმხლები პირებით და ადგილობრივი მოხელეებით და გამასპინძლებოდა (ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, 1952, გვ. 375—376).

სუბაობა 502<sub>15</sub>; მარტობა (დ. ჩ., პ. უ.) „ღვინისა ასრე იქნას: რომელიც მეულუფეს მიეცეს, იმას ნაზირი შეიტყობს და მეჯლისისა და სუბაობისა შიგნით თუ გარედ ჩვენს სუფრაზედ რაც ღვინო დაიხარჯოს, იმის დახარჯვა საღვინის თავილდრისათვის გვიბრძანებია“ (502<sub>15</sub>). არაბ.-სპ. subaye — ტკბილი სასმელი.

სუფრაქეში (სპ. სოფრეჰეშ) 495<sub>2</sub>; 496<sub>8</sub>; 497<sub>1, 11</sub>; 498<sub>4</sub>; 499<sub>11, 11</sub>; 668<sub>13</sub>; სასახლის ერთ-ერთი მსახური, რომლის ფუნქციას საქმლის განაწილება შეადგენდა, ქართლში 6 სუფრაქეში იყო.

სუფრაჯი 494<sub>14</sub>; 495<sub>16</sub>; 496<sub>17</sub>; 497<sub>10</sub>; 498<sub>4, 15</sub>; 499<sub>11</sub>; 500<sub>1</sub>; 506<sub>1</sub>; 513<sub>12</sub>; 522<sub>13, 14</sub>; 527<sub>5</sub>; 703<sub>5, 10</sub>; 708<sub>12</sub>; 709<sub>14</sub>; 711<sub>15</sub>; 718<sub>28</sub>; ხელშინაური მოხელე, მეფესთან დაახლოებული პირი (იხ. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 197—199).

სუხტი 533<sub>7</sub>; 534<sub>5</sub>; Softa არაბ. პ. უ.: „თათ... სუხთა — შავირდი, მოწაფე“. დ. ჩ., სუხტი სპ. წონა. ზეც. 533<sub>6-7</sub>: „პირველ ზარაფხანისა მუზდი ასრე არის: საბაქის მუზდი ავა ყურსზედ თვრამეტი შაური. ამისგან საბაქებს მუზდი თავის სუხტითა — შაური ათი“. „თავილდარი და სუხტი ყურსზედ

ორ შაურს“ წაიღებენ (535ს). ამ შემთხვევაში სუხტი ხელოსნის შეგირდს უნდა ნიშნავდეს. მ. ბროსეს დასტურლამალის ფრანგულ თარგმანში, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, „სუხტი“ გადმოცემული აქვს სიტყვით შეგირდი.

სჯულისდება 4763. კანონი, სამართლის წიგნი.

### ტ

ტანა 715<sub>28</sub> თურქ. ხბო; ტანა ძროხა. ქ. გ. ლ.: კუთხური, ქიზიყური, ერთი-ორი წლის ხბო, — ბოჩოლა.

ტარულა (დარულა) 494<sub>14</sub>; 570<sub>1</sub>; 571<sub>5</sub>, 7; 607<sub>1</sub>; მოურავი (იხ.).

ტაშტ-წურწუში 494<sub>10</sub>; ტაშტი და წურწუშა (ქ. გ. ლ.). წურწუშა-ხელსაბანი (დ. ჩ.). ტივი 539<sub>5</sub>, 6. „ერთი მეორეზე მიწყობით შეკრული დიდი ძელები მდინარეზე დასაცურებლად“ (ქ. გ. ლ.); იხ. ნავტიკი.

ტოგუნი 497<sub>7</sub>, 8, 15: „ტოგუნის რიგი“. „მაღალი საჯდომი მოვლებული“ (ს. ო.). „მაღალი საჯდომი გარემოვლებით... амфитеатр“ (დ. ჩ.).

ტუთხუ 575<sub>1</sub>, 2; 645<sub>10</sub>; 647<sub>12</sub>; ელის მოსახლეობის გადასახადი ცხვარზე; „ტუთხუ სძესთ: პირეულზე გამორჩეული ცხვარი“ (575<sub>2</sub>); სახლთუხუცესი. „ტუთხუს თერთმეტი თავის მეოთხედის ნახევარი“ 645<sub>10</sub>. მდივნებს „ტუთხუს თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი“ (647<sub>12</sub>).

ტუთხუჩი თურქ. 571<sub>1</sub>; „ტუთხუჩისა პირზე ჩებიჩი ერთი“ 575<sub>3</sub>; ტუთხუს გადასახადის ამკრეფი უნდა იყოს. „ტუთხუჩი თათ. დუთლუჩი — შემენახველი, მჭირავი“ (პ. უ.)

ტყვე 536<sub>12</sub>; 545<sub>5</sub>; 573<sub>8</sub>; 644<sub>8</sub>; 647<sub>1</sub>; 648<sub>11</sub>; 698<sub>19</sub>, 20, 22; მონის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი; ტყვით ეაჭრობდნენ გვიანფეოდალურ საქართველოშიც (იხ. ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, 1963, გვ. 160—164).

### უ

უღანისტრო 641<sub>1</sub>, 12; დანისტარის (იხ.) საწინააღმდეგო.

უზალთუნი 708<sub>22</sub>; 709<sub>24</sub>; თათრ. „ორშაურ ნახევარი“ (დ. ჩ.); თურქ. აუზალთუნ „ასი ოქრო“; ძვ. ორი შაური (ქ. გ. ლ.).

უზბაში 487<sub>5</sub>, 6, 8; 488<sub>11</sub>; 489<sub>4</sub>, 5, 12; 490<sub>4</sub>, 6, 14; ასისთავი, ასეულის მეთაური (თურქული აუზბაში (ქ. გ. ლ.).

უკვდავი 712<sub>2</sub>; კამეჩი ზაქით უკვდავია, ვისაც აბარია (20 დ.) გაბარებული საქონელი გლეხზე, ძროხა, კამეჩი და სხვა, ითვლებოდა უცვლელად, უკვდავად, ე. ი. თუ ცხოველი დამარცხდებოდა, მიმბარებელ გლეხს ეთვლებოდა, რომ საქონელი ცოცხალია და ამის შესაბამისად უხდიდა ბატონს გადასახდელს, აძლევდა მას ერბოს ან ყველს.

ულაყი თურქ. 582<sub>4</sub>; 586<sub>13</sub>; 589; 590<sub>3</sub>, 10; 591<sub>8</sub>; 598<sub>1</sub>, 12; 613<sub>10</sub>, 14; 616<sub>14</sub>; 618<sub>10</sub>; 633<sub>6</sub>, 7, 8; 709<sub>4</sub>, 11; 710<sub>16</sub>, 711<sub>4</sub>, 12; 712<sub>20</sub>; 713<sub>25</sub>; 714<sub>19</sub>; 715<sub>6</sub>, 20 716<sub>18</sub>; მამალი ცხენი, ჯორი, აქლემი, ვირი (დ. ჩ.); ქ. გ. ლ.: ულაყი (თურქ. ულაკ შიკრიკი) მამალი ცხენი.

ულუფა (არაბ. ულუფა?); 487<sub>8</sub>; 488<sub>2</sub>, 13; 489<sub>2</sub>, 5, 8; 517<sub>7</sub>; 529<sub>3</sub>; 689<sub>1</sub>; 703<sub>12</sub>, 704<sub>20</sub>; 706<sub>8</sub>, 14; 707<sub>2</sub>, 3, 718<sub>23</sub>, 26, 29, საზრდო, სარჩო.

უფროსი 689<sub>1</sub>; 716<sub>28</sub>, უხუცესი რისამე, გამგე ხელმძღვანელი, ან სამსახურებრივი მდგომარეობით სხვებზე დიდი (ქ. გ. ლ.).

უხუცესი 476<sub>15</sub>; უფროსი.



- ფანჯიაქი, ფანჯიექი 698<sub>გ</sub>; მეხუთელი. ამ შემთხვევაში დავლის მეხუთელი. მეფე ომში ნაშოენი ნიეთის „ფანჯიაქს“ აიღებს (ვანტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 55); ამილახორს მისი სადროშე კაცის საშოვრიდან წილი აქვს ფანჯიექის სახით (698<sub>გ</sub>).
- ფარა 610<sub>ჰ</sub>; ცხერის ჯოგი (ქ. გ. ლ.).
- ფარეში 501<sub>გ</sub>; 548<sub>ჟ</sub>; 659<sub>ი</sub>; 707<sub>ი, ვ, ზ, ე</sub>; მსახური.
- ფარეშთუხუცესი 494<sub>ი, ჰ, 14</sub>; 495<sub>იგ</sub>; 496<sub>გ, 21</sub>; 497<sub>იგ</sub>; 498<sub>იჟ</sub>; 499<sub>იკ</sub>; 658<sub>იგ</sub>; 707<sub>ი, 2</sub>; ფარეშების უფროსი.
- ფარეშხანა 494<sub>იგ</sub>; ფარეშების ადგილი, ფარეშების სამყოფი.
- ფარჩა 506<sub>გ, 9</sub> „ერთი მთელი ცხვარი ექვსი ფარჩა არის“; ნაწილი; ნაჭერი. „თავრიზის ფარჩა“ 540<sub>იჰ</sub>. ძვირფასი ქსოვილი.
- ფალირ-ფულარა 554<sub>ჰ</sub>; ფუხარა არაბ., ფუქარან; არაფრის მქონე, ღარიბი, ღატაკი (ქ. გ. ლ.).
- ფეშქაში სპარ. ფეშქაშ 536<sub>ი, 4</sub>; 551<sub>გ</sub>; 573<sub>7, 8, 9</sub>; 663<sub>ი, 2, 6</sub>; 704<sub>ჟგ</sub>; ძღვენი, საჩუქარი. ირანში ფეშქაში ფორმალურად ნებაყოფლობითია, ფაქტიურად გლეხების სავალდებულო გამოსაღები იყო ფეოდალებისა, მოხელეებისა და თვით შაჰის სასარგებლოდ. შაჰს ფეშქაში უშუალოდ გადამხდლებსაგან კი არ მისდიოდა, არამედ ამირებისა და დიდი მოხელეებისაგან, რომლებიც კრფდნენ გამოსაღებს, რომ შაჰისათვის ფეშქაში მიერთმიათ (იხ. პეტრუშევსკის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, გვ. 281).  
საყურადღებოა ასეთი მაგალითი: 1621/2 წელს შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი ამ ქვეყნის ამირებითა და დიდებულებით წარსდგა შაჰ-აბაზის წინაშე მაზანდარანში და მიართვა „ღირსეული საჩუქარი“, რომელშიაც შედიოდა: ახალგაზრდა ქალები და ვაჟები, რჩეული ცხენები, აქლემები დატვირთული ფულით, საქონლით, ქსოვილით და სხვა; რასაკვირველია, შაჰის ფეშქაში მძიმე ტვირთად აწვებოდა მოსახლეობას (იქვე, 281), რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რამდენად შეურაცხმყოფელი იყო ხალხისათვის ასეთი შინაარსის გადასახდელი.
- იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ცნობით, როცა საქართველოში შაჰისათვის ფეშქაშს ამზადებდნენ, მოსახლეობა ბავშვებს მალავდა, რომ შაჰის საჩუქარში არ გაეგზავნათ (იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის რედ., 1950, გვ. 4). ვახუშტის ცნობით ვახტანგ VI შაჰთან გასაგზავნად ვაჟებსა და ქალებს საზღვარგარეთ ყიდულობდა (ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის რედ., გვ. 74). ფეშქაშს ხარკის ხასიათი ჰქონდა (ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952, გვ. 345—353).
- ფეშქაშის ქარხანა 663<sub>ჰ</sub>; ფეშქაშის შესანახი ადგილი.
- ფეშქაშნივისი 663<sub>ჰ, 5</sub>; ფეშქაშების ანგარიშის მწარმოებელი მოხელე.
- ფისოსი 653<sub>იგ</sub>; 663<sub>გ</sub>, შანდანი (დ. ჩ.), სპ., რკინის ანუ სპილენძის ფიალა ქრატისა (პ. უ.); „მოლარეთუხუცესს უნდა ქარხნიდამ მიეცეს... ერთი ფისოსის ქონი“ 653<sub>იგ</sub>, ფეშქაშნივისის ერგება ერთი ფისოსი ქონი 663<sub>გ</sub>.

ფისოსი საერთოდ სითხის საზომი ერთეული იყო (ეჟ. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1952, გვ. 58).

ფაშქარი (სპ. ფიშქარი) 633<sub>გ</sub>; „ხელოსანი“ (დ. ჩ.). „ფიშქარს აბაზი ერთი“ 553<sub>გ</sub>.  
ფიცი 623<sub>11</sub>; სასამართლოში მტკიცების ერთ-ერთი საშუალება (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 6, 10, 11, 24, 37, 38, 39, 62, 97, 103, 144, 147, 237, 239).

ფლატე 515<sub>3</sub>; დამრეცი ადგილი; კლდე, ხრამი (ქ. გ. ლ.).

ფლური 574<sub>4</sub>; 650<sub>11</sub>; 651<sub>1</sub>; ოქროს (შემდეგში ვერცხლისაც) ფულის ერთეული, უღრიდა ექვს ან შვიდ აბაზ ნახევარს, წონით 4 გრამ ოქროს, — დრაჰმანი (ქ. გ. ლ.).

ფოხალი 602<sub>2</sub>; 610<sub>16</sub>; ნახევარკოდინი (ქ. გ. ლ.).

ფსუზასი 534<sub>2</sub> (სპარ. ფეი+სუზ. კრაქი); კონტექსტის მიხედვით ხელოსანი, რომელიც კრაქის ალით ასწორებს შენადნობს. „...აპანგარი [წაიღებს] ერთს აბაზს და ყათალი შვიდ შაურსა და ორ ფულს, ფსუზასი ერთს აბაზს“ (534<sub>2</sub>).

ფული 677<sub>2</sub>; 13, 580<sub>15</sub>, 588<sub>4</sub>, 8, 640<sub>3</sub>, 647<sub>7</sub>, 650<sub>5</sub>, 654<sub>5</sub>, 686<sub>11</sub>; ბისტის ნახევარი, ნახევარი კაპიკი (დ. ჩ.).

ფურის ბარება 619<sub>3</sub>; ბატონის მიერ გლეხისადმი ძროხის მიბარება, რისთვისაც ბატონი იღებდა ერბოს, ყველს და სხვ. (იხ. საღიასახლისო).

ფუხარა 554<sub>5</sub>; იხ. ფალირ-ფულარა, ღარიბი, გლახა.

### ჟ.

ქათმის ბარება 602<sub>14</sub>; ბატონის მიერ გლეხზე ქათმის გაბარება, რისთვისაც გლეხი ბატონს უხდიდა ქათმით და კვერცხით.

ქათმის ძღვენი 707<sub>22</sub>; ქათმის მირთმევა გლეხის მიერ ბატონისადმი.

ქანარა 689<sub>8</sub>; სპარს. ნალარასავით საკვრელი (დ. ჩ.).

ქარვასლა 579<sub>3</sub>; სპარს. ქარავნის დასადგომი, ვაჭრების სადგომი — ფუნდუქი. სპ. ქარავნსარაჲ.

ქართული 642<sub>16</sub>; „ვინც ეშიკალასბაშის ქართულით წავიდოდეს, ნახევარს მოუტანდეს“. ამ შემთხვევაში „ქართული“ ნიშნავს ბრძანებას.

ტერმინი „ქართული“ ხშირად გვხვდება სხვადასხვა ძეგლებში და მას სხვადასხვა შინაარსი აქვს.

ლევან ბატონიშვილი სწერს ირანიდან მდივანზეგ ერასტი ორბელიანს ორბელიანთა გაყრის შესახებ (ერასტი ორბელიანს წერილი მიუწერია ირანში ლევანისათვის და უთხოვია გაყრის შემთხვევაში საუფროსო წილის საკითხის გარკვევა): „თქვენის საუფროსოს წიგნის საქმეს შემოგვხვეწოდით, ამის რატომ არ გასინჯავთ, რომე მე რომ ჩუმაღ წიგნი მოქცე, რას ხელს ყრი? ის საქმე სულ ქართველთ იციან.. ჩემი ჯანიშინი მანდ ზის, ილაპარაკეთ... პირობა ასრეა... რომე პაპუნას საუფროსო ყველამ სწორედ გავეყოთ... ახლა თუ ჩემზედ მოაგდებენ და დამეკითხვიან, მის ქართულს მე ვპოვნი და მოვსწერ, თუ როგორ იყო. ჩემად მაგიერ ეგ არის ბატონი, მიდით, იჩივლეთ, და რა ქართული დასკუნათ, მომწერეთ... ქვეყნის, ბატონის და ყმის გარიგებულთა, ამას

რალა ბევრის ქართულის თქმა უნდა“ (საქართველოს სიძველენი, II, ექ. თათყაიშვილის რედაქ., 1909, გვ. 292—293).

იმავე საკითხის, ე. ი. საუფროსო წილის, შესახებ გიორგი XI სწერს სულხან-საბა ორბელიანს: „რაც ქართული მქონდა, ყველა მდივანბეგის ერასტისთვის მომიწერია“ (იქვე, გვ. 222—223).

ლევან ბატონიშვილის წერილში სამეგრეო არის ნახმარი ტერმინი „ქართული“... 1) „თუ ჩემზედ მოაგდებენ და დამეკითხებიან, მის ქართულს მე ვპოვნი“. ე. ი. თუ ამის პასუხს ჩემზე მოაგდებენ და დამეკითხებიან, ამის პასუხს მე ვნახავო, 2) „რა ქართული დასკუნათ“ მომწერეთო. აქ ქართული ნიშნავს გადაწყვეტილებას, 3) „რალა ბევრი ქართულის თქმა უნდა“, აქ „ქართული“ სიტყვას ნიშნავს.

- ერანი, ირანი 475<sub>13</sub>, 634<sub>11</sub>, 640<sub>5</sub>; სპარსეთი. მდივანბეგის გარიგებასა და ბოქაულთუხუცესის გარიგებაში საუბარია ქართლის მეფეზე, რომელიც „ერანში“ იყო მდივანბეგად და სპასალარად.
- ერწო 708<sub>18</sub>. ეს ერწო ალგეთის სოფელია, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 691; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 306.
- ერჭვეანი 621<sub>12</sub>, ნასოფლარი თრიალეთში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 306, III—IV, გვ. 379.
- ეცო 708<sub>18</sub>; ქციის ხეობაში. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 41; III—IV, გვ. 370.
- ეძანი 620<sub>10</sub>, 628<sub>10</sub>, 677<sub>7</sub>, 685<sub>7</sub>, 707<sub>7</sub>. თრიალეთში, ვახუშტის აქვს რუკაზე და სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 484; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 306, III—IV, გვ. 379.

## 3

- ვაზიანი 515<sub>6</sub>; თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით.
- ვანათი 532<sub>3</sub> „ვანათელი“, ორი ვანათი იყო: 1) ქციის ხეობაში, კიკვაძის მარცხენა მხარეს (ვახ. აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 375), 2) სკვირეთში, ვერის მარცხენა მხარეზე (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 197, № 671; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 307, III—IV, გვ. 380); „დასტურლამალი“ უნდა გულისხმობდეს მეორე ვანათს, ე. ი. ვერის ხეობის ვანათს, რადგანაც „დასტურლამალი“ ვანათის წინ „დრე“ არის დასახელებული; ხოლო „დრე“ ვერის ხევის მარჯვენა მხარეს არის საგულგებელი, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 303, III—IV, გვ. 375.
- ვარდისუბანი 621<sub>9</sub>, 628<sub>1, 6</sub>, თრიალეთის სოფელი, ვახუშტის აქვს რუკაზე და თრიალეთის სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 518; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 303, III—IV, გვ. 380. თრიალეთის ვარდისუბანის გარდა კიდევ იყო 3 ვარდისუბანი: ორი ვარდისუბანი აღნიშნული აქვს ვახუშტის გომარეთისა და ზურტაკეტის სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 441, 442, მესამე ვარდისუბანი ბწლიჭის ხეობის სოფლების სიაშია; იქვე, გვ. 193, № 276; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 308, III—IV, გვ. 380.
- ვარიანი, ვარიანს ხევდელიანი 531<sub>10</sub>, 605<sub>1, 2, 3</sub>, ვახუშტი წერს: გორს ზემოთ „დასავლეთიდან ლიახვს ვარიანის ფშანი“ ერთვის, „ვარიანს ზეით ერთვის ლიახვს აღმოსავლეთიდან პატარა ლიახვი“ (ვახ., აღწ. სამ.

საქ., გვ. 75). დიდი ლიახვის ხევის სოფლების სიაში ვახუშტის აქვს ვარიანი (იქვე, გვ. 202, № 104). ვარიანი ვახუშტის მიხედვით გეოგრაფიული პუნქტია. ძნელია იმის თქმა ვარიანი და ვარიანს ხვედიანელი ერთი და იგივე პუნქტია თუ სხვადასხვა. შესაძლებელია, ხვედიანელი გვარ-სახელიც იყოს და ამის მიხედვით ხვედიანელთა მიერ დასახელებული ადგილი ვარიანის ფშანზე ატარებდეს ასეთს სახელწოდებას. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვარიანის ფშანზე იყო ვარიანის დასახლებული ადგილი და კიდევ მეორე ადგილიც — ვარიანს ხვედიანელის სახელწოდებით.

ველათი, ველათის სოფელი 700<sub>8</sub>; ტაშირში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 131; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 309, III—IV, გვ. 381.

ვერე 604<sub>2</sub>; „ვერელნი“, ატენის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 57.

ვეძისი 682<sub>13</sub>; სკვირეთში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 310, III—IV, გვ. 382; „ძველი ვეძისი“ შედის დიდმის სასოფლო საბჭოში (გარდაბნის რაიონი) „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, 1966, გვ. 31, გვ. 382.

## ზ

ზავარაძორი, ზავარაძორელი 691<sub>2</sub>; ზავარაძორი მოხსენებულია სამშველდის (ქციის ხეობა), შემდეგ და ღურნუკის (ალგეთის ხეობა) წინ.

ზარიქანდო, ზარიქანდი 631<sub>15</sub>; ტაშირში. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 310, III—IV, გვ. 83.

ზაულისტანი 509<sub>7</sub>, 622<sub>2</sub>, ზაულისტანი ორი იყო: 1) თრიალეთის ნასოფლარი ზაულისტანი, ვახუშტის თრიალეთის ზაულისტანი არა აქვს, 2) ვახუშტის გომარეთისა და ზურტაკეტის (ყარაბულალის) სოფლების სიაში აქვს ზაულისტანი (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 431); „დასტურლამალის“ 34-ე მუხლით; ზაულისტანელნი, ეგრისელნი, „გომარელნი“, თოფრაცალელნი, სხალნარელნი და სხვა ვალდებულნი იყვნენ საფერისცვალებო თევზი დაეჭირათ ბატონისათვის, ვახუშტის ცნობით, გომარეთის მიდამოების მდინარეები მდიდარი იყო კალმახით (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 41); ვახუშტის რუკაზე ზაულისტანი ნაჩვენებია გომარეთსა და ყარაბულალს შორის. ჩამოთვლილი სოფლები ზაულისტანს ესაზღვრება. 34-ე მუხლის ზაულისტანი ის სოფელი უნდა იყოს, რომელიც ვახუშტით გომარეთისა და ზურტაკეტის სოფლების სიაშია მოყვანილი. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 310, III—IV, გვ. 380.

ზემო ანდრაბი 620<sub>12</sub>, 627<sub>7</sub>, 701<sub>3</sub>, იხ. ანდრაბი.

ზემო ბეშქაშენი 623<sub>11</sub>, იხ. ბეშქაშენი.

ზემო გუფთა 694<sub>2</sub>; გუფთა ვახუშტის მოხსენებული აქვს ლიახვის ხეობის აღწერასთან დაკავშირებით, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 77 (იხ. სატკიური).

ზემო ოლთისი 620<sub>14</sub>, იხ. ოლთისი.

ზემო ორთლუ 699<sub>2</sub>, იხ. ორთლუ.

ზემო ფარეხა 627<sub>7</sub>, იხ. ფარეხა.

ზემო ქართლი 515<sub>17</sub>, 526<sub>5</sub>, 528<sub>2</sub>, 529<sub>9</sub>, 716<sub>6</sub>, 717<sub>13</sub>, 721<sub>14</sub>. ქართლი დაიყოფოდა: ზემო ქართლად, ქვემო ქართლად და შიდა ქართლად. „ზემო ქართლის“ ცნება ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო.

ზემო ხორიეთი 625<sub>6</sub>, იხ. ხორიეთი.

ზირიშქი 635<sub>1</sub>; ირანის ერთ-ერთი გეოგრაფიული პუნქტი, რომელიც სამმართველოდ ჰქონდათ ქართლის მეფეებს.

ზრბითი 521 სქ., ვახუშტის ალგეთის ხეობაში აქვს მოხსენებული ზრბითის ხევი. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 47, გვ. 196, № 611; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 310—311; III—IV, გვ. 383.

## თ

თავრიზი, თებრიზი 540<sub>12</sub>, 552<sub>1</sub>, 673<sub>5</sub>, ჩრდილოეთ ირანის ქალაქი, თეირანის შემდეგ პირველი ქალაქი ირანში, აზერბაიჯანის ირანის პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი.

თაკვი 532<sub>5</sub>, „თაკველთ“, ალგეთში ზრბითის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 613; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 311, III—IV, გვ. 384.

თამარაშენი 721<sub>30</sub> დ. „ქციხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლეთით, თამარაშენი, მცირე ქალაქი“ (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 76).

თეზი 626<sub>3</sub>, 5, 8, 13, 626<sub>2</sub>, 700<sub>16</sub>, თრიალეთის სოფელი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 436, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 313, III—IV, გვ. 386.

თეთრი სოფელი 575<sub>5-7</sub>, 647<sub>6</sub>, შულავერის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 190, № 23, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 313, III—IV, გვ. 386.

თეთრი წყარო 620<sub>13</sub>, 701<sub>6</sub>, თრიალეთში, ანდრაპის ხევის მარჯვენა მხარეზე. ვახუშტის აქვს რუკაზე და თრიალეთის სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 544; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 313, III—IV, გვ. 387.

თვალათუბანი 531<sub>10</sub>, გორის რაიონში, ურბნისის ახლოს.

თიქმატაში 515<sub>9</sub>, 609<sub>3</sub>, ყაიყულის სოფელი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 204, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 314, III—IV, გვ. 307.

თორტიზა 563<sub>10</sub>; „თორტიზამ“ მოუხსნას. 87-ე წ-ში თორტიზა გორის დებულე-ბაშია მოხსენებული, მაშასადამე, ამ რაიონშია.

თოფალას სოფელი 610<sub>4</sub>; ყაიყულში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 312<sub>7</sub>, III—IV, გვ. 385.

თოფრაყალა 509<sub>7</sub>, 8, „თოფრაყალელნი“; გომარეთის ახლოს უნდა იყოს. იხ. ზაულისტანი.

თრეღვი 521 სქ., 694<sub>9</sub>, 695<sub>13</sub>, „თრეღვის ბუდე (შავარდნის—ი. ს.) თრეღველთა და ერთობილთ ხვედურელთ შეინახონ“. მაშასადამე, თრეღვი ხვედურეთის ახლოს უნდა იყოს (იხ. ხვედურეთი).

თრიალეთი, 510<sub>4</sub>, 511<sub>12</sub>, 515<sub>15</sub>; 524<sub>7</sub>, 8, 12, 617<sub>12</sub>, 13, 14, 618<sub>11</sub>, 619<sub>1</sub>, 14, 650<sub>5</sub>, 6, 7, 622<sub>3</sub>, 627<sub>16</sub>, 633<sub>17</sub>, 679<sub>3</sub>, „თრიალეთი“, 650<sub>5</sub>, 6, 7, 622<sub>3</sub>, 627<sub>16</sub>, 627<sub>16</sub>, 633<sub>17</sub>, 674<sub>17</sub>, 679<sub>3</sub>, „თრიალეთი“, „თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია“, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 41. ამჟამად თრიალეთის დაბა წალკის რაიონში შედის (საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა, 1966, გვ. 214).

თულანთ მამული 532<sub>6</sub>; დრესა (იხ.) და ვანათის (იხ.) ახლოს.

თურანი 622<sub>2</sub>; ნასოფლარი თრიალეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 522, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 315; III—IV, გვ. 389.

თხილნარა 604<sub>8</sub>; „თხილნარელნი“. წ-ის შინაარსის მიხედვით ატენის ხეობაში უნდა იყოს. ი. ლორთქიფანიძეს თხილნარი ეგულება ალგეთში ან ყარაბულახში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 315, III—IV, გვ. 390.

თხილოვანა 683<sub>2</sub>, ალგეთში, უფრო ზუსტად ლაკვაში, ლაკვის ხეობაში, ლაკვის წყალი ერთვის ალგეთს მანგლისის შემდეგ. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 46, 197, № 654; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 315, III—IV, გვ. 90.

## 0

იაღლუჯი 577<sub>1, 2</sub>; „იაღლუჯის საყორულო“; 644<sub>1</sub>, 647<sub>1, 2</sub>; „მთა იაღლუჯა დემურჩი ასანლის ახლოს ადგილია თბილისიდან 25—30 ვერსზე“ (პ. უ.); იხ. „დემურჩი ასანლუ“. ვახუშტის მოხსენებული აქვს იაღლუჯის მთა (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 48).

იერქორფი 515<sub>8</sub>, §-ს ასეთი სათაური აქვს: „კახეთისა და ქართლის სამძღვა-რი“; „იერქორფი“-ც ამ საზღვარზეა საგულევებელი.

იეჩი 700<sub>9</sub>, იაჩი ტაშირში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 126; ი. ლ., ქვ. ქ., გვ. 315, III—IV, გვ. 391.

იისციხე 604<sub>7</sub>, „იისაციხელნი“, იისციხელნი ატენში ბატონის, ე. ი. ქართლის მეფის „დიდ ზვარს“ ამუშავებდნენ სხვა სოფლებთან ერთად. მაშასადა-მე, იისციხე ატენის მიდამოებშია.

იმერეთი 545<sub>5</sub>, დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი. მაშინ („დასტურლა-მალის“ ეპოქაში) სამეფო იყო.

იმერხევი 695<sub>14</sub>; ვახუშტის საციციანოს აღწერასთან დაკავშირებით მოხსენებული აქვს „იმერხევის — ქევი“, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 58.

ირდასუბანი 708<sub>18</sub>, ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 193, № 360, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 316, III—IV, გვ. 392.

ისპანი 688<sub>3</sub>, ისპაპანი, ქალაქი ირანში.

იფნობი 509<sub>9</sub>; „იფნობელნი“, ქციის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 193, № 361; ი. ლ., ქვ. ქ., გვ. 316, III—IV, გვ. 392.

## ბ

კავთისხევი 510<sub>15</sub>, 524<sub>8, 12</sub>, 532<sub>12</sub>, 598<sub>4, 5, 6</sub>, 599<sub>9</sub>, 600<sub>5, 7, 12</sub>, 678<sub>14</sub>, 684<sub>15</sub>, 685<sub>7</sub>, 682<sub>2</sub>, 693<sub>15</sub>. ნიჩბისის დასავლეთით, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 55—56. ახლანდელი დარაიონებით შედის კასპის რაიონში (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. 1966, გვ. 217).

კარა 708<sub>18</sub>, კორა, ქციის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 193, № 352; ი. ლ. ქვ. ქ., I—II, გვ. 317, III—IV, გვ. 393.

კარასორი 696<sub>2</sub>, ი. ლორთქიფანიძის ვარაუდით კარასავორი სომხითშია, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 317, III—IV, გვ. 393.

კარწახი 620<sub>9</sub>, 629<sub>1, 6</sub>, 701<sub>8</sub>; თრიალეთის სოფელი, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 318, III—IV, გვ. 394.

კახეთი 515<sub>1, 2, 3</sub>, „კახური“, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი, სამეფო.

კეზვი 604<sub>9</sub>; „კეზველნი“, ეს სახელი გვხვდება „ატენის დებულებაში“, აქედან ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ გეოგრაფიული პუნქტიც ატენის მიდამოებშია.

კერატის სოფელი 793<sub>2</sub>; სომხეთში, შულავერის ზეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 190, № 144, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 318, III—IV, გვ. 394.

კეხვი 721<sub>32</sub>, ზემო ქართლში. „კეხვი“ მოხსენებულია ზემო ქართლის სადედოფლოში „არადეთის“ (იხ.) შემდეგ და „აჩაბეთის“ (იხ.) წინ. კეხვი ვახუშტის აქვს ლიახვის ზეობის აღწერაში (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 76—77). თანამედროვე დარაიონებით კეხვი ცხინვალის რაიონშია (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 218).

კვეხეთი, ქვეხეთი 532<sub>3</sub>, „კვესელთ“, სკვირეთში, ვერის ხევის მარჯვენა მხარეზე, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 319, III—IV, გვ. 394. თანამედროვე დაყოფით გარდაბნის რაიონში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 219.

კირაკოზას სოფელი 609<sub>9</sub>; ვახუშტის აქვს რუკაზე და ყაიყულის სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 213; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 320, III—IV, გვ. 395.

კლდეკარი 694<sub>4</sub>, 695<sub>11</sub>; „კლდეკარის ბუდე იქივ ყვავიანებმა, იქ მანგლელის სოფელი არის, იმათ და უგუდელთ შეინახონ“. 521 სქ. (SK): „ახლა რომ შავარდენს ვართმევთ თრეღვიდამ ორი, საჯავახიანოდამ ორი, კლდეკარიდამ ორი, იმერხვეიდამ ორი, კოშკიდამ“... ვახუშტის საუბარი აქვს კლდეკარის ციხეზე, რომელიც, ვახუშტისავე სიტყვით, ლიპარიტ ბაღვაშის მიერ იყო აშენებული, და კლდეკარის მთაზე; ამ მთიდანვე, ვახუშტის მიხედვით, მიედინება ალგეთი (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 41, 42, 46, 52, 59). შესაძლებელია აქ შემდეგი ვარაუდი:

1) „დასტურლამალის“ წ-ის მოყვანილი ადგილი შეიძლება ისე გავიგოთ, რომ საუბარია კლდეკარის მიდამოებში ან ტყეებში შვევარდნის ბუდეების შენახვაზე, რომელიც ევალებოდა კლდეკარის მახლობელ სოფლებს.

2) კლდეკარი მოხსენებულია დასახლებული ადგილების სიაში: თრეღვი, იმერხვეი, კოშკი, საჯავახიანო, ამიტომაც, უფრო ახლოა სინამდვილესთან თუ ვიტყვით, რომ კლდეკარი „დასტურლამალით“ დასახლებული ადგილია.

კლონეთი 622<sub>8</sub>; თრიალეთში; ვახუშტის აქვს „ქნოლე ბ“, ე. ი. 2 სოფელი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 496; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 320, III—IV, გვ. 395.

კობალა 708<sub>19</sub>, ალგეთში. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 634; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 320, III—IV, გვ. 395.

კოლორი 521<sub>6</sub>, 580<sub>3</sub>, 582<sub>4</sub>, 585<sub>10</sub>, 590<sub>10</sub>, 593<sub>1</sub>, 596<sub>2</sub>, 616<sub>14</sub>, 633<sub>3</sub>, 5, 6, 634<sub>3</sub>, 670<sub>4</sub>, 709<sub>3</sub>, 716<sub>23</sub>; თბილისის სამხრეთით, ზაფხულობით მეფეთა სამყოფი, „სასახლე მეფისა“ (კოეორში); ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 46, 47, 49; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 321, III—IV, გვ. 396. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით შედის გარდაბნის რაიონში, „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, 1966, გვ. 31, 354.

კორტანეთი 515<sub>18</sub>; „ზემო ქართლში ზეობას აქეთ, — ნექვი და კორტანეთი და ტაშის-კარცი დაეთარში ჩავარდების. იმას აქათაც — საამილახვრომდი



და ამილახორის მამულიც. ზემო ქართლის სარდალი და ერთი მდივანი წავა და დავთარს დაიჭერს“.

ვახუშტის მტკვრის ხეობის აღწერისას მოხსენებული აქვს „კევი კორტანეთისა“, რომელიც მტკვარს ერთვის „მცირე ქალაქ“ ახალდაბის ახლოს (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 83).

გარდა ამისა, ვახუშტის ნაშრომის მიხედვით აწყვერის ქალაქსა და ციხეში არის „ეკლესია დიდშენი“, სადაც „იჭდა მიტრაპოლიტი, მწყემსი ყვიბის, კორტანეთს ზეითისა“ (იქვე, გვ. 124).

კორტანეთი და ყვიბისი ახლანდელი დარაიონებით ბორჯომის რაიონში შედიან (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 221, 272).

კოშკა, კოშკი, 521<sub>4</sub>, 532<sub>7</sub>, 694<sub>12</sub>, 695<sub>15</sub>, ლიახვის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 77 (იხ. სატკიური).

კოხაჯი 621<sub>1</sub>; თრიალეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 350, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 321.

კრეთლა, კრეფა 708<sub>17</sub>, სოფელი ქციაში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 321, III—IV, გვ. 396.

ვახუშტის კრეფა მოცემული აქვს ირაგის სოფლების სიაში (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 383), ხოლო „კევი ტორნე“ არის „ირაგის ხეობის მდინარე“, რომელიც ერთვის ქციას (იქვე, გვ. 44).

კრკონი, 694<sub>7</sub>, დბანისის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, ბალიქის ხეობის სოფლების სია, № 260; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, 321; III—IV, გვ. 396.

კრწანისი 492<sub>1</sub>, 494<sub>2</sub>, 547<sub>5</sub>, ვახუშტის კრწანისი აქვს ჭივჭავის ხეობის სოფლების სიაში (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 372), ვახუშტი იხსენიებს ჭივჭავის ხრამს (სამშვილდის ახლოს) და ჭივჭავის წყალს (იქვე, გვ. 44); ამასთანავე, ვახუშტის კოდის სოფლების სიაში აქვს აგრეთვე კრწანისი (იქვე, გვ. 196, № 596); თანამედროვე დარაიონებით ერთი კოდა შედის ქარელის რაიონში და მეორე თეთრწყაროში (საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 220). ვახუშტის დასახელებული აქვს აგრეთვე კრწანისის გორა (თბილისის ახლოს, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 52; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 322, 453, III—IV, გვ. 396).

კუკია 624<sub>10</sub>, 701<sub>9</sub>, თრიალეთში მდ. ქციის მარცხენა ნაპირას, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 523; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 322.

კუმისი 596<sub>9</sub>, „კუმელთ“, ალგეთზე, კუმისი ვახუშტის აქვს კოდას სოფლების სიაში. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. № 600, ი. ლ., ქვ. ქ., გვ. 322.

## ლ

ლაუვარდი 631<sub>12</sub>, 699<sub>11</sub>; ტაშირში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 322.

ლაქი, ლაქლარი, ქალაქლარი, 561<sub>7</sub>, 568<sub>12</sub>. იხ. ქალაქლარი.

ლიახვი 715<sub>11</sub>, მდინარე, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ლილო 511<sub>1</sub>, 515<sub>4</sub>, 601<sub>1, 2, 3, 9</sub>, 700<sub>11, 12</sub>. „აღმოსავლეთ ტფილისისა არს ლილო“ (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 54); მეფის სასპასპეტოს აღმოსავლეთით საზღვრავს ლილო (იქვე, გვ. 51); გრდანი, ლილო და მარტყოფი გარდაბანში შედიოდა (იქვე, გვ. 50); ვახუშტი ჩამოთვლის სოფლებს: გარ-

დაბანს, გრდანს, მარტყოფს, ლილოს, დიდუბეს და სხვა (იქვე, გვ. 86). მას „ვერის-წვეის“ სოფლების სიაში აღნიშნული აქვს ლილო, რომელსაც უწერია ე, ე. ი. 5 (იქვე, გვ. 197, № 68); ეს იმას ნიშნავს, რომ ვახუშტის ხუთი ლილო ეგულება. ამ ხუთიდან ვახუშტის აღნიშნული აქვს „ქვიტკირის“ ლილო, რომელიც ქართლისა და კახეთის საზღვარზე არის, ის წერს: „აეჭალა არს მტკვრის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ აეჭალის ბოლოს არს წვემმარი, ჩამოვარდების მშრალი წვევი. ქვიტკირის ლილოდამ მტკვრამდე. ესე არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა“ (იქვე, გვ. 94). „დასტურლამალში“ ქვიტკირისა და სააკას ლილო მოხსენებულია ორ მუხლში (115, 202). ამავე ძეგლში ნახსენებია ორი სამეფო ლილო (მუხ. 37).

ი. ლორთქიფანიძე ასახელებს 5 ლილოს შემდეგ სახელებს: 1) ბაგრატის, 2) თბილელის, 3) კოდის ქვიტკირის, 4) შავრობის და 5) სააკას ლილოს, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. გვ. 289, 313, 321, 322—323, 356, 363—364; ჩამოთვლილი სახელები ვახუშტის რუკაზე არის, გარდა სააკას ლილოსა, 1721 აღწერაში იხსენიება — ბაგრატის, კოდის ქვიტკირის და შავრობის ლილო. „დასტურლამალში“ მოხსენებული მაღალი ლილო (მუხ. 42) უნდა იყოს ვახუშტის მიერ აღნიშნული ლილო, მთნს ახლოს და მარტყოფის მეზობლად მდებარე სოფ. ლილო (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 95), იქ სადაც დღეს მდებარეობს დიდი და პატარა ლილო. დანარჩენნი განლაგებულნი იყვნენ მტკვრის მხარეზე აეჭალის მიმართულებით, ხოლო ქვიტკირის ლილო ყველაზე ახლო იყო აეჭალასთან.

ლორი, ლორელი, 663<sub>1-2</sub>, ლოქის ქედის სამხრეთით (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 24, 35, 37).

ლოში 621<sub>1</sub>, 625<sub>2</sub>, 626<sub>6</sub>, 628<sub>12</sub>, 701<sub>4</sub>, ვახუშტის აქვს „ლოში“ თრიალეთის სოფლების სიაში. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 539, აქვს რუკაზეც, ქვემო ანდრაპის დასავლეთით, ბოჟანოს (იხ.) ჩრდილო-აღმოსავლეთით. ლოში და ბოჟანო თრიალეთის ორი სოფელია, რომლებიც მეზობლად მდებარეობდნენ და რომელთა მოურავობა მდივანბეგს ჰქონდა. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 324; III—IV, გვ. 399.

ლოქინი 515<sub>15</sub>, მტკვრის გაღმა გორაზე, ნავთლულის სამხრეთით, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 324, III—IV, გვ. 400; ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, გვ. 51, 95.

### მ

მანგლისი 694<sub>4</sub>, 720<sub>4</sub>; ალგეთის ხეობაში, ვახ. აღწ., სამ. საქ., გვ. 46.

მარაბდა 713<sub>3</sub>, მდ. ალგეთის მარცხენა მხარეზე, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 561; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 325, III—IV, გვ. 404.

მარიაში 668<sub>3</sub>, 669<sub>9</sub>, 718<sub>6</sub>, „მარიაშული“ ალგეთში, ლაკვის ხევის მარცხენა მხარეზე, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 46, 96, № 639; ი. ლ. ქვ. ქ. I—II, გვ. 326, III—IV, გვ. 404.

მარქარას სოფელი 609<sub>4</sub>, ყაიყულში, ვახუშტის არა აქვს; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 326; III—IV, გვ. 404.

მასხუდლუ 557<sub>31</sub>, ელის მოსახლეობა, მასხუდლუ ელის ერთი თაბუნი ოთარ მდივანს ჰქონდა სამოურაოდ. რუკებზედ ვერ ვიპოვეთ. ი. ლ.: ქვ. ქ., I—II, გვ. 326, III—IV, გვ. 404, იხ. ელი.

- მაყუალთწყარო 5157, დასახლებულია ზ-ში, რომლის სათაურია „კახეთისა და ქართლის სამძღვარი“. ვაზიანის ახლოს უნდა იყოს.
- მაჩვთა, მაჩუთა, 492<sub>3</sub>, 621<sub>3</sub>, 701<sub>2</sub>. თრიალეთის სოფელი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 541; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 375, III—IV, გვ. 404.
- მაჩქათი, 509<sub>8</sub>; „მაჩქათელნი“, ყარაბულახში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 446; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 326, III—IV, გვ. 404; დაბა ყარაბულახი მდებარეობს გომარეთის სამხრეთით, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 41, ამჟამად შედის წალკის რაიონში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 272.
- მაწევანი 708<sub>15</sub>, წინწყაროს (იხ.) ახლოს.
- მეთრევანი 623<sub>8</sub>, 628<sub>9</sub>, თრიალეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 509. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 327.
- მელას ტამალია 624<sub>6</sub>, იხ. ტამალია.
- მელესი 532<sub>11</sub>, ამ მუხლში ნათქვამია, რომ საჯავახიანომ (იხ.) შეინახოს, მოუაროს თავისი და მელეს გზაო. საჯავახიანოდ აქ უნდა იგულისხმებოდეს ფეოდალ ჯავახიშვილების სამფლობელო. მელელიც ამ სამფლობელოს მიდამოებში არის საგულეებელი. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 541; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 375; III—IV, გვ. 404.
- მელიქბეგას სოფელი 609<sub>2</sub>. მელიქბეგის სოფელი ყაიყულშია, არის რუკაზედ, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 188. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 327, III—IV, გვ. 407.
- მერაბ ალას სოფელი 609<sub>10</sub>; ვახუშტის აქვს მერაბალას სოფელი (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 209), „დასტურლამალში“ არის: „სელიმას სოფელი მერაბ ალას“ აქვს სამოურაოდ (მუხ. 122). მამასადამე. ამ შემთხვევაში სოფლისა და მოურავის სახელი ერთმანეთს ცვლის.
- მერეკანი 626<sub>4</sub>; თრიალეთში, ვახუშტის ნაჩვენები აქვს ორი სოფელი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 549; 550, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 327.
- მეჭვრის ხევი 715<sub>15</sub>, „მეჭვრისხევის წყალი“, მუხლის შინაარსით ლიახვის ხეობაშია საგულეებელი.
- მეჯუნე ყალა 515<sub>8</sub>, კახეთის და ქართლის საზღვარზე (ფ-ის შინაარსის მიხედვით).
- მისირა 608<sub>4</sub>; მისირის სოფელი ყაიყულშია, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 328.
- მლაშის წყალი 531<sub>12</sub>, ურბნისის (იხ.) მიდამოებში.
- მონთის სოფელი 610<sub>3</sub>, მონათის სოფელი ყაიყულში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 330, III—IV, გვ. 413.
- მულალუ, მულანლუ 561<sub>3</sub>, 562<sub>11</sub>; ელის დასახლება ქვემო ქართლში, რუკებზე არ არის, ამ დასახლებაში შედიოდა ორი თაბუნი: 1) ალიაღას, 2) ალიოღლი მამულდასი (თარხანი), ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 332. 462—463; III—IV, 138, 140, 143; იხ. ელი.
- მუხათგვერდი 532<sub>17</sub>, 18, დიღომსა და მცხეთას შორის, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 55.
- მუხრანი 516<sub>10</sub>, 11, 529<sub>7</sub>, 8, 701<sub>18</sub>. დიღმიდან „ძეგვის წყლამდე მუხრანისა არს“, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 54, შენიშვნა, გვ. 60—64, 72, 84, 93.
- მცხეთა 701<sub>14</sub>, საქართველოს უძველესი დედაქალაქი.
- მცხოვრეთი 708<sub>17</sub>; წინწყაროს (იხ.) ახლოს.

- ნაგები 91, 182; ბოსტან-ქალაქი, რუსთავი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 50—51, 86; ი. ლ.; ქვ. ქ., ნაგები, იხ. რუსთავი, III—IV, გვ. 435, 441.
- ნადვალეთი 696<sub>2</sub>; სომხითში, ფოლადაურის მარცხენა მხარეს. ვახუშტის ბოლნისის ხეობაში აღნიშნული აქვს 2 ნადვალეთი (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 118, 119), ამას გარდა იყო კიდევ ნადვალეთი თრიალეთში (იქვე, გვ. 195, № 479; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 333).
- ნაზარლუ 558<sub>3</sub>; „ნაზარლუ უსეინას თაბუნი“; ელის მოსახლეობა, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 334, 466, III—IV, გვ. 140, 435; ხუთვერსიანი რუკაზე არის მეჯვრის მარცხენა ნაპირზე, რკინისგზის სადგურ ყარაიაზის სამხრეთის მიმართულგებით. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით თბილისის სამგორის რაიონშია, „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, 1966, გვ. 32, 236.
- ნახიბლუ 559<sub>9</sub>, „ნახიბლუელი“ 691<sub>6</sub>; ელის მოსახლეობა დბანისის ხეობაში, ქციისა და მაშავერის შესართავს შუა; არის ვახუშტის რუკაზე და ვახუშტის სოფლების სიაშიც, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 247, 466, III—IV, 140, 436.
- ნაქულბაქევი 532<sub>17</sub>; „ნაქულბაქელი“, დილომსა და მცხეთას შორის, ვახ., აღწ. I—II, გვ. 247, 466, III—IV, გვ. 140, 436.
- ნახიდური 773<sub>5, 6</sub>, 717<sub>6, 7</sub>, 721<sub>8</sub>; ქციის ხეობაში ორი ნახიდურია მდ. ქციის ორთავე მხარეს. „დასტურლამალში“ მოხსენებულია გამოღმა ნახიდური, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 193, № 347, 348; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 335.
- ნახშირის გორა 523<sub>3</sub>, 533<sub>1</sub>; სკვირეთში, ვერის მარცხენა მხარეზე, ვახ., აღწ., სამ. საქ., გვ. 197, № 666, 667 (ორი სოფელია); ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 335, III—IV, გვ. 437.
- ნაჯბადინი 568, 580<sub>7</sub>; „ნაჯბადინლუ“ 562<sub>13</sub>; ელის დასახლება ქციის ხეობაში, „ნახიდურს ქვეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა, სახლობენ ელნი მაჰმადიანნი, მოზარკენი და მოლაშქრენი მეფისა, არამედ ბაიდრის სულთანნი, რომელი დასხნა შასეფიმ ავლაგარს, ქვეით ნაჯბადინამდე და ეკლესია-ნაზარას სოფლამდე. ხოლო ადგილსა ამას პირველ ეწოდებოდა წყალთა-შუა და აწ ბაიდარი“; ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 45; ნაჯბადინში ითვლებოდა: 1) ერთი თაბუნი კომლი 160, 2) მოლა ალიას ერთი თაბუნი 10 კომლი თარხანი; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 336, 465, III—IV, გვ. გვ. 138, 140, 143, 437.
- ნეძვი 515<sub>18</sub>, 694<sub>10</sub>, 695<sub>16</sub>; მტკვრის ხეობის აღწერასთან დაკავშირებით ვახუშტი ახსენებს „ნეძვის ქვეს“, რომელიც ახალდაბის ახლოს „მტკვარს მოერთვის ჩრდილოდამ“, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 83.
- ნიაწარი 509<sub>8</sub>, „ნიაწრელი“, ყარაბულალში, ვახ., აღწ. სამ., საქ., გვ. 194, № 422, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 336, III—IV, გვ. 437.
- ნიჩბისი 532<sub>14</sub>, 693<sub>14</sub>; „მცხეთის ზემოთის“ აღწერასთან დაკავშირებით ძეგვის ხევის შემდეგ ვახუშტის მოხსენებული აქვს „ქვეი ნიჩბისის“, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 55.

- ოთურბულახი 632<sub>3</sub>, 4; ტაშირში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 133; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 336.
- ოლთისი 672<sub>10</sub>; ვახუშტის აქვს ორი ოლთისი თრიალეთის სოფლების სიაში; ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 545, 546. ორთავე ოლთისი არის რუკაზეც, 1) ზემო ოლთისი ანუ დიდი ოლთისი, ანდრაპის ზევით, მარცხენა მხარეზე (თრიალეთში), 2) ქვემო ოლთისი ანუ პატარა ოლთისი—თრიალეთის ხევდრმის ხევის მარჯვენა მხარეზე, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 336—337, III—IV, გვ. 438.
- ოლოზი 604<sub>9</sub>; „ოლოზელნი“, ეს სახელი ატენის დებულებაში არის მოცემული, ამავე რაიონშია საგულევებელი თვით გეოგრაფიული პუნქტიც.
- ორდუბადი 541<sub>2</sub>, ქალაქი ნახიჩევანის ასსრ-ში.
- ორთაშუა 696<sub>1</sub>, 708<sub>18</sub>, ბოლნისის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 391. № 114, მეორე ორთაშუა იყო ყარაბულახში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 337. „დასტურლამალში“ მხედველობაშია ბოლნისის ხეობის ანუ სომხეთის ორთაშუა, ვახუშტის აქვს რუკაზე და ყაიყულის სოფლების სიაში.
- ორთლუ 609<sub>1</sub>, 2; ორი სოფელი ყაიყულში, ქვემო და ზემო ორთლუ, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 189, 190; ი. ლ., ქვ. ქ., 337, III—IV, გვ. 438.
- ოხიაური 704<sub>15</sub>, 707<sub>1</sub>, 2, 714<sub>1</sub>, 2; ვახუშტის ეს სახელი მოთავსებული აქვს სურამის წყლის აღწერაში. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 81.
- ოფრეთი 679<sub>7</sub>, 699<sub>6</sub>, 703<sub>8</sub>, 705<sub>12</sub>, 710<sub>13</sub>; 14, 721<sub>7</sub>. შულავრის ხეობაში, ვახ., აღწ., სამ. საქ., გვ. 190, № 40; ი. ლ., ქვ. ქ. № I—II, გვ. 338.
- ოქრომჭედლის სოფელი 700<sub>6</sub>; ოსკიპარა (ვახუშტით), 1721 წლის აღწერით ოსკერიჭა, ტაშირში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 129, ი. ლ., ქვ. ქ. I—II, გვ. 337—338.
- ოქსუზი 608<sub>8</sub>; ყაიყულში, არის რუკებზე და ვახუშტის სოფლების სიაში ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 197, 198; ორი სოფელი; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 338, III—IV, გვ. 439.
- ოშეთი 708<sub>18</sub>; ალგეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 616; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 338, III—IV, გვ. 439.
- ოძისი 521 სქ. 532<sub>12</sub>, „ოძელთ“, ალგეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 647, 648.
- ოძისი არის აგრეთვე მუხრანშიც (იქვე, გვ. 63, 64, 68);  
ოძისი ქვემო, ოძისი ზემო, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 338.

3

- პალაკაციური ელი 578<sub>1</sub>, 2; ელი, რომელიც პალაკაციოს მთაზე პირუტყვს აძოვებდა და ამისათვის გადასახადს იხდიდა, ვახუშტი წერს: „...რაოდენნი ელნი დავსწერეთ ქართლს ზამთარ არიან ამ ადგილთა შინა და ზაფხულს აღვლენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა“, ვახ., აღწ. სამ. საქ. გვ. 51, „პალაკაციო“ მოხსენებული აქვს ვახუშტის აბოციისა და ყაიყულის აღწერასთან დაკავშირებითაც (იქვე, გვ. 38).  
იხ. აგრეთვე ი. ლ., ქვ. ქ., III—IV, გვ. გვ. 135, 149.
- პალუყაი 700<sub>2</sub>; ვახუშტით—პალუა, ტაშირში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 138.

პატარა ოლთისი 707<sub>1</sub>, იხ. ოლთისი.  
პატარა საბატე 625<sub>11</sub>, 626<sub>9</sub>, იხ. საბატე.

რ

რატინი, რატევიანი 713<sub>8</sub>; ღბანისის ხეობაში, მაშავერას მარცხენა მხარეზე, ვახ.,  
აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 223, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, 339, III—IV,  
გვ. 440.  
რევაშენი 509<sub>8</sub>, „რევაშენელი“ ყარაბულალში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194,  
№ 425; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 339, III—IV, გვ. 440.  
რუისი 531<sub>11</sub>, 684<sub>10</sub>, 715<sub>10</sub>, 716<sub>6</sub>, 7; გორის რაიონში, ვახ., აღწ. სამ. საქ.,  
გვ. 78—79.  
რძიების ნასოფლარი 610<sub>10</sub>, ყაიყულში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 340, III—  
IV, გვ. 442.

ს

სამილახვარო 516<sub>1</sub>, 528<sub>4</sub>, 5, 15; ამილახვართა სამფლობელო.  
საკას ლილო 700<sub>11</sub>; იხ. ლილო.  
საკას სოფელი 609<sub>5</sub>; ვახუშტის აქვს რუკაზე და ყაიყულის სოფლების სიაში,  
ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 185; ი. ლ., ქვ. ქ., გვ. 340, III—IV,  
გვ. 442.  
საბა 696<sub>3</sub>, ბოლნისის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 111, ი. ლ., ქვ.  
ქ., I—II, გვ. 340.  
საბარათაშვილო 515<sub>15</sub>, 16, 530<sub>3</sub>, 4, 1, 2, 582<sub>5</sub>, 665<sub>7</sub>, 705<sub>15</sub>, 707<sub>4</sub>, 8, 717<sub>11</sub>; ბა-  
რათაშვილთა სამფლობელო.  
საბატე „საბატელი“, 621<sub>7</sub>, 624<sub>5</sub>, 6, 625<sub>11</sub>, 626<sub>9</sub>, 700<sub>18</sub>, თრიალეთში, მდ. ქციის  
მარცხენა ნაპირზე, ვახუშტის აღნიშნული აქვს ორი სოფელი „საბატე—  
ბ“, ერთს ჰქვიადა პატარა საბატე, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 487,  
488, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 340, III—IV, გვ. 443.  
საბეკლავი 622<sub>4</sub>, 9, 10, თრიალეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 414; ი. ლ.,  
ქვ. ქ., I—II, გვ. 340.  
საბურთალო 113, 598<sub>3</sub>; მაშინდელი თბილისის გარეუბანი.  
საგარეჯო 502<sub>3</sub>; გარე კახეთი. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 16—89, 90.  
სადაყუდებულო 721<sub>33</sub>; 41-ე წ-ი, რომელშიაც არის „სადაყუდებულო“, ასეთ სა-  
თაურს ატარებს: „ზემო ქართლის სადედოფლო ძველთაგან და აწ მე-  
ფის გიორგისაგან დამტკიცებული“.  
სადგერი 516<sub>7</sub>; ზემო ქართლში, ტამიშის კარის ახლოს, ვახ., აღწ. სამ. საქ.,  
გვ. 52, 59, 78, 83, 84.  
სავეანლო 559<sub>3</sub>; ელის დასახლება, რუკებზე ვერ ვიპოვეთ. იხ. ელი. ი. ლორთქი-  
ფანიძეს სავეანლოს კომლთა რაოდენობა აღნიშნული აქვს „18“-ით  
(ი. ლ., ქვ. ქ., I—II, 314, 474), ხოლო სტატისტიკურ ცხრილში სავეან-  
ლოს ციფრობრივი მაჩვენებელი მიწერილი აქვს სარაჯულ ემინას (იხ.)  
თაბუნს და პირიქით (ი. ლ., ქვ. ქ., III—IV, გვ. 140).  
სათოვლი 533<sub>1</sub>, სკვირეთში უნდა იყოს ნახშირ-გორას (იხ.) ახლოს.  
საკაცე „საკაცელი“ 509<sub>9</sub>; საკაცე, ქციის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194,  
№ 367; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 341, III—IV, გვ. 446.

სამადლო 623<sub>4</sub>, 9, 629<sub>12</sub>, „სამადლოელნი“, თრიალეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 499; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 432.

სამანაო 515<sub>6</sub>; ეს სახელი გვხვდება 42-ე წ-ში, რომლის სათაურია; „კახეთისა და ქართლის სამძღვარი“, მოხსენებულია ვაზიანთან ერთად.

სამენახირე საყდარი 628<sub>10</sub>; თრიალეთში, ტაშალიასა (იხ.) და ეძანის (იხ.) ახლოს.

სამეხრეო „სამეხროელი“, 620<sub>5</sub>, 624<sub>10</sub>; 672<sub>22</sub>, 677<sub>8</sub>, 700<sub>13</sub>, ვახუშტის აქვს თრიალეთის სოფლების სიაში „სამეხრეო“ ბ“, ე. ი. ორი სოფელი სამეხრეოს სახელწოდებით, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 524, 525; მდებარეობდა ქციის მარცხენა ნაპირზე. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 342, III—IV, გვ. 447.

სამშვილდე 699<sub>31</sub>; „სამშვილდელი“, 691, 659<sub>12</sub>, ქციის ხეობაში, ჭივჭავის მარჯვენა მხარეს, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 371; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 343.

სამშვილდის კრწანისი 699<sub>3</sub>; ქციის ხეობაში, სამშვილდის მეზობლად. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 372; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 343.

სარაჯლუ, სარაჩლო 554<sub>4</sub>, 566<sub>5</sub>, სარაჯლუ ემინას ელის თაბუნი იყო. სომხეთში, შულავერის ჩრდილო-დასავლეთით; აღნიშნულია ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ რუკაზე; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 248, 343, III და IV, 1938 წ., გვ. 140.

თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ბოლნისის რაიონში შედის. „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, 1966, გვ. 29, 251; ხუთვერსიან რუკაზე „Саражио“ შულავერის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ნაჩვენები.

სარვანი 559<sub>1</sub>; ელის დასახლება, ალგეთის მარჯვენა ნაპირზე. ნახიდურის ახლოს, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემული ისტორიული რუკა, 1923 წლის; ხუთვერსიან რუკაზე „Сарахи“, აღნიშნულია ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, სადგურ ჯანდარის სამხრეთით.

სარვანი როგორც ობა დასახლებული აქვს ვახუშტის, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195; „სარვანის მინდორი“ მოხსენებული აქვს ვახუშტის ალგეთის აღწერასთან დაკავშირებით (იქვე, გვ. 48); ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 344, 477, III—IV, გვ. 140.

სამოურაოდ შეიძლება გაცემულიყო ელის დასახლება, სოფელი, ობა, თაბუნი, ან კიდევ დასახლების, ობის, თაბუნის, სოფლის ნაწილი. ამ მხრივ საყურადღებოა დავით ბაგრატიონის ბოძების ერთი სიგელი: „ჩვენ საქართველოს მეფის ძემ დავით გიბომეთ შენ გოსტაშაბაძეშვილს დათუას სარვანში ჩვენი ყმანი სამოურაოდ, დელიალიას დისწულები და რაც შამშადილიდამ მოყვანილნი, რომელნიც კვამლნი არიან, ისინი სრულად შენთვის გვიბოძებია სამოურაოდ, რომელიც რიგი და განწესება არის, იცე უნდა გემსახურონ და შენც თვალყური გეჭიროს, რომ უბრალოდ არავინ შეაწუხოს და სანამდინ ალაგს უშოვნიდეთ, საცა დგანან, იქვე უნდა იდგნენ, და როდესაც ალაგს უშოვნით, საცა ჩვენ გიბრძანოთ, იქ დააყენე, თუ არ დაფანტულნი იყვნენ და ან მისუ-ლიყუნენ ვისთანმე, ისევე ერთად უნდა შეჰყარო და არა დაჰათანტო

- და კარგად მოუარო და იმის შემატებას ეცადო“, „საქართველოს სიძველენი“, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. 1, გვ. 471, № 402.
- სარკინეთი; „სარკინელი“, 692<sub>12</sub>, სომხითში, შულავრის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 71, 72; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 344, III—IV, გვ. 449.
- სარუსაპუნჩი 557<sub>1</sub>, 564<sub>2</sub>; ელის დასახლება. „დასტულამალით“ არის 2 თაბუნი: ერთი მუსტაფასი, 93 კომლი, მეორე ყუჩუროლის, 20 კომლი, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 344—478, III—IV, გვ. 140, 143; რუკებზედ ვერ ვიპოვეთ (იხ. ელი).
- სარუყალი (აუშენებელი) 631<sub>13</sub>, ტაშირში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 344.
- სარქისას სოფელი 610<sub>8</sub>; ყაიყულში; ვახუშტის არა აქვს. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 345, გვ. 445.
- ხასირეთი 531<sub>11</sub>, გორის რაიონი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 202, დიდი ლიახვის ხეობა.
- სატანას სოფელი 609<sub>7</sub>; ვახუშტის აქვს რუკაზე და ყაიყულის სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 206; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 345, III—IV, გვ. 450.
- სატკიური 694<sub>12</sub>; „სატკიურის ბუდე (შავარდნის — ი. ს.), ზემო გუფთის ბუდე, ღვერცევის ბუდე, კოშკას ბუდე, — ეს ოთხი ბუდე — ბაადურის-შვილის ოსებმა შეინახონ“. ამ ოთხიდან ორი დასახლება გუფთა და კოშკის ხევი მოხსენებული აქვს ვახუშტის ლიახვის ხეობის აღწერასთან დაკავშირებით (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 77). სავარაუდებელია, რომ ლიახვისავე ხეობაში იყოს სატკიურთა და ღვერცევიც.
- საქართველო 611<sub>11</sub>, 635<sub>2</sub>, 640<sub>5</sub>; ქართლის მეფის წოდებულებაში „ქართლის“ ნაცვლად ზშირად გვხვდება „საქართველო“.
- საქაშეთი 531<sub>19</sub>, გორის რაიონი, დიდი ლიახვის ხეობა ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 90.
- სალირაშენი 708<sub>16</sub>, ალგეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 610; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 345.
- საყავრე 694<sub>6</sub>; „წითელკლდის ბუდე და ბეგციხის ბუდე ფიცხელთა და საყავრელთ შეინახონ“. ზ-ის სათაურია: „შავარდნის ბუდეებისა“; „დასტულამალის“ მიხედვით სამეფო სოფლები ვალდებულნი იყვნენ შავარდნის და ქორის ბუდეები შეენახათ, მოევლოთ მათთვის, რომ მეფეს შავარდნები და ქორები ჰყოლოდა. იყო აგრეთვე საშავარდნო გადასახადი. სადაც შავარდენი არ ბუდობდა, იქ სოფელი ფულად გადასახადს იხდიდა შავარდნის სასყიდლად (ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, 1952). რასაკვირველია, შავარდნის ბუდეებისათვის გათვალისწინებული ადგილები, ჩვეულებრივად ტყეები, უნდა დაეცვათ იმ სოფლებს, რომლებიც ამ ტყეებს აკრავდა, ახლო იყო მათთან. ამიტომ გეოგრაფიული პუნქტები — ბეგციხე, ფიცხი და საყავრე ერთსა და იმავე მიდამოში, ერთმანეთთან მახლობლად არის საგულვებელი. ვახუშტის ალგეთის აღწერაში ნათქვამი აქვს, რომ „კლდე-ქარი აღაშენა ლიპარტ ბალუაშმან, და არს მაღალს მთის კლდეს ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი... ამას ქვეით ერთვის ალგეთს საყავრის-



კევი ჩრდილოდამ“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 46). მაშასადამე, „საყავრის-კევი“ არის მდინარე ალგეთის შენაკადი და სწორად აქ იყო, როგორც ჩანს, სოფ. საყავრე. ვახუშტის სოფლების სიაში ორი საყავრე აქვს აღნიშნული (იქვე, გვ. 196, № 660, 661). გეოგრაფიულად ამ სოფელთან (საყავრესთან) ახლო არის სავარაუდებელი წითელკლდე და ბეგციხე.

საციციანო 5167, 629<sub>11,12</sub>, ციციშვილების სამფლობელო.

საქე, „საქელნი“ 509<sub>8</sub>, ყარაბულახში (იხ. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194. № 447; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 346, III—IV, გვ. 451.

სახუნდარი 660<sub>3</sub>; სომხითში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 79, 80; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 346.

საჯავახიანო 521<sub>1</sub>, სქ, 532<sub>1</sub>, 695<sub>12</sub>, 68-ე წ-ის ჰათაური ასეთია: „გზების შენახვისა“. წ-ში საუბარია გზების მოვლა-პატრონობაზე: „რევიშვილებმა — წრულელთ, ნახშირისგორელთ, კვესელთ და შავწყლის გზა უნდა შეინახონ... თულაშვილებმა — თაკველთ, ღვეველთ, დრელთ, ვანათელთ, და თულანთ მამულმა — ფანჯების გზა შეინახონ... საგინაშვილებმა თავეთის მამულით კოშკის გზა შეინახონ. სააკაძემ, გლურჯიძემ და ატენელთ და იმ ქეობამ ბათლოძის გზა [შეინახონ]. საჯავახიანომ მელესისა და თავიანთ გზა“. ამ კონტექსტში საჯავახიანო ჯავახიშვილების მამულს უნდა ნიშნავდეს, ტერიტორიულადაც ჯავახიშვილების საფეოდალო სააკაძეების საფეოდალოს ესაზღვრებოდა.

521 სქ. და 198-ე წ-ის ტექსტი შინაარსით ერთი და იგივეა, ორთავე პარაგრაფში ჩამოთვლილია ის ადგილები, რომლებსაც შავარდენი აქვს შეწერილი: კლდეკარი, საჯავახიანო, თრელვი, იმერხევი და კოშკი. ამის მიხედვით შეიძლება საჯავახიანო დასახლებული ადგილად (ჯავახიშვილთა საფეოდალო) მივიჩნიოთ და არა ჯავახეთის ქედად, რომლის ტყეებში შეიძლებოდა შავარდენების მოშენება.

ხელიმას სოფელი 609<sub>10</sub>, იხ. მერაბაღას სოფელი.

ხვლნეთი 553<sub>10</sub>; „სველნეთმა“ მოუხსნას, სველნეთის ფშანი ვახუშტის მოხსენებულ აქვს „მეჯვდის მდინარის“ აღწერასთან დაკავშირებით (გორის რაიონი), ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 74.

ხვერი 694<sub>15</sub>, ლიახვის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 77—78.

ხვეტიცხოველი 552<sub>7</sub>, მცხეთის კათედრალური ტაძარი. გორის ბაეიდან „მესამედი ხვეტის ცხოვლისა არის შეწირული, კათალიკოზი წაიღებს და ორი წილი სამეფოა“.

სკრა 604<sub>2</sub>; სკრა მოხსენებულა ატენის შესახებ დებულებაში (§ 87).

სომხითი 515<sub>15</sub>, 530<sub>9, 10</sub>, 605<sub>7, 8</sub>, 606<sub>9, 10</sub>, 11, 14, 607<sub>1</sub>, 695<sub>18</sub>, 698<sub>21</sub>, 717<sub>12</sub>, ქვემო ქართლის ერთი ნაწილი.

სოსანი 695<sub>21</sub>; სომხითში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 346.

სუთოქუღლანი 632<sub>4</sub>, ტაშირში, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 347.

სულყუელიანი 515<sub>6</sub>, ქართლის და კახეთის საზღვარზე, ვაზიანის ახლო.

სურამი 686<sub>2</sub>, „მცირე ქალაქი“, სურამის ხეობა. ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 81.

სხალნარი „სხალნარელნი“ 509<sub>7</sub>; ყარაბულახში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, ი. ლ., ქვ. ქ., გვ. 347, III—IV, გვ. 457.

ტალავერი 693<sub>3</sub>, სომხითში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 190, № 62; ი. ლ., ქვ. ქ., გვ. 348, III—IV, გვ. 458.

ტამალია 627<sub>6</sub>, 7, 10, 11, 12, 628<sub>7</sub>; ვახუშტის თრიალეთის სოფლების სიაში აღნიშნული აქვს „ტამალია ბ“, ე. ი. ორი ტამალია, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 485, 486. ვახუშტის რუკაზე ქციის მარცხენა ნაპირზე საბატესა, ვარდისუბანსა და ბეშქაშენს შორის მოთავსებულია „მელას ტამალია“, რომელიც გვხვდება „დასტურლამალის“ 126-ე მუხლში, და ხუცის ტამალია, რომელიც აგრეთვე 126 მუხლშია. ხოლო მდ. ქციის მარჯვენა მხარეს, ჩამოთვლილი ადგილების საპირისპიროდ, რუკაზე აღნიშნულია ეძანის ტამალია.

ამგვარად, ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია სამი ტამალია: ეძანის, „მელასა“, ხუცის, ამასთანავე ვახუშტის თრიალეთის სოფლების სიის „ხუცის სოფელი“ ვახუშტისავე თრიალეთის რუკაზე ვერ ვიპოვეთ, აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ვახუშტის თრიალეთის სოფლების სიის „ხუცის სოფელი“ (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 489) ვახუშტის რუკაზე (თრიალეთში) აღნიშნული ხუცის ტამალია უნდა იყოს.

ვახუშტის აქვს აგრეთვე ბალიჭის ხეობის სოფლების სიაში სოფ. ტამალია, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 193, № 281, მაგრამ ეს ტამალია „დასტურლამალში“ არ არის. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 348, III—IV, გვ. 458.

ტაშირი 525<sub>3</sub>, 629<sub>16</sub>, 630<sub>4</sub>, 9, 631<sub>1</sub>, 633<sub>13</sub>, 647<sub>6</sub>, 674<sub>17</sub>, 679<sub>8</sub>, 699<sub>16</sub>. „ლორეს ზეით და ლოქის სამკრით, ვიდრე დებედამდე და არჯანის მთამდე ეწოდების ამ ადგილს ტაშირი სივაკისათვის“, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 37, 38, 39, 42, 48, 50.

ტაშისკარი 515<sub>18</sub>, 718<sub>3</sub>, 722<sub>7</sub>, ვახუშტით მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდან ვიდრე ტაშისკარამდე ვრცელდებოდა, ტაშისკარი არის მტკვრის ხეობაში, ქვიშხეთის მეზობლად, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 51, 78, 83, 84.

დედოფლის სასარგებლოდ „სამარხოდ“ გათვალისწინებული იყო „ტაშისკარიდან ნიორი“ (718<sub>3</sub>, და 722<sub>7</sub>) ზომ არ იყო მეორე ტაშისკარი თბილისის ახლოს, როგორც მეორე ახალდაბა?

ტაშქორფი 609<sub>12</sub>, ყაიყულში, ვახუშტის აქვს რუკაზე და სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 211. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 349, III—IV, გვ. 459.

ტახტის გორა 623<sub>5</sub>; თრიალეთში, ბეშქაშენსა (იხ.) და სამადლოს (იხ.) შორის. ტბისყური 509<sub>4</sub>, 618<sub>11</sub>, თრიალეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 41, 43.

## უ

უგუდეთი 694<sub>5</sub>; (უგუდელთ) ალგეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 197, № 662, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 350, III—IV, გვ. 459.

უზნარიანი 629<sub>3</sub>, თრიალეთის სოფელი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 472; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 350, III—IV, გვ. 259.

ურბნისი 531<sub>7</sub>, 8, 9, 13, გორის რაიონში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 78, 79.

ურუტი 631<sub>6</sub>, 679<sub>8</sub>, ბოლნისის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 112; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 351.

ურცევანი 509<sub>8</sub>, 700<sub>17</sub>, 706<sub>7</sub>, 712<sub>18-19</sub>, 721<sub>12</sub>, ვახუშტის აქვს გომარეთისა და ზურტაკეთის ხეობაში ორი ურცევანი; ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 194, № 429, 430; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 351.

უფლისციხე 706<sub>7</sub> კასპის ახლოს, მტკვრის მარცხენა მხარეს.

უწყლო 624<sub>8</sub> თრიალეთის სოფელი, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 528; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 351.

## ფ

ფავლენიანთი 722<sub>3</sub>; ფავლენიშვილთა მამული.

ფალაქათა 560<sub>7</sub>, 561<sub>1</sub>, 561<sub>1</sub>; ელის დასახლება ქვემო ქართლში; ფალაქათის ორი თაბუნი იყო: 1) ამირასანის („ამირხანის“, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 352, 463, III—IV, გვ. 140, 461), 2) მამაისი (ნუსხებში არის მამიაა, ან კიდევ მამიაა, 3. უმიკაშვილის გამოცემაში კი წერია „მალაიასთან“, „დასტურლამალი“, გვ. 7, § ნდ). უძველეს ნუსხებში „ფალაქათა“ ან კიდევ „ფალაქთა“ წერია (MS I var K). J-ს მომდევნო ნუსხებში წერია „ფალაქარი“, ი. ლ.-ძეს უწერია „მალაია“, ხოლო „ფალაქათის“ მაგიერ უწერია ახალი ნუსხების „ფალაქარი“, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 352, 469. III—IV, გვ. 141, 261.

რუკებზე ვერ ვიპოვეთ. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მამაი (Мамай), XIX საუკუნის დასაწყისში მარიამ დედოფლის მფლობელობაშია, „Акты...“, I, გვ. 79, 81; (იხ. ელი).

ფანაქლუს თავი 515<sub>7</sub>, ფ-ს შინაარსის მიხედვით კახეთისა და ქართლის საზღვარზეა, ვაზიანის მიდამოებში.

ფანოსას სოფელი 609<sub>1</sub>, ვახუშტის აქვს რუკაზე და ყაიყულის სოფლების სიაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 182; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 352, III—IV, 461.

ფანჯები 532<sub>6</sub>, „ფანჯების გზა შეინახონ“, დრესა (იხ.) და ვანათის (იხ.) ახლოს.

ფარავანი 618<sub>11</sub>, 628<sub>14</sub>, „ფარავანული“, ფარავნის ტბა, ფარავნის გზა, ფარავნის მთა, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 41.

ფარეხა 625<sub>1</sub>, 626<sub>3</sub>, 7, 10. თრიალეთში, მდ. ქციის მარცხენა ნაპირას; ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 195, № 526, არის ვახუშტის რუკაზე. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 352; ვახუშტის № 526-ით აღნიშნული აქვს. ფარეხა — ერთი სოფელი, № 527-ით კი აღნიშნული აქვს გველფარეხა“, დასტურლამალის 126-ე მუხლში (627<sub>7</sub>) არის „ზემო ფარეხა“. შესაძლებელია ვახუშტის მიერ 526 ნომრით აღნიშნულ „ფარეხას“ ეწოდებოდა „ზემო ფარეხა“, ან კიდევ „გველფარეხა“ ატარებდა მეორე სახელს — „ზემო ფარეხას“.

ფარცხისი 708<sub>16</sub>, ალგეთში, ვახ., აღწ., სამ. საქ., გვ. 196, № 574; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 353.

ფეთხაინი 695<sub>20</sub>, MSK-ს გარდა ყველა ნუსხაში, ე. ი. ანბანური წესით შედგენილ ნუსხებში არის „ფეთხინის ბუდე ანდიკა“, ანდიკა ვახუშტით ბალიჭის ხეობაშია (ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 192, № 261); ი. ლორთქიფანიძის ვარაუდით იყო „ფეთხაინის ანდიკა“, რომელიც ვახუშტის

- 261 ნომრით აქვს აღნიშნული; „დასტურლამალის“ მიხედვით ფეთხაინი სომხითშია. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 353.
- ფირმამადას სოფელი 609<sub>8</sub>; ყაიყულში, ვახუშტის არა აქვს, ი. ლ., ქვ. ქ., გვ. 353, III—IV, გვ. 463.
- ფიფიჯანი 695<sub>9</sub>, ვახუშტის ფირფიჯანი, ბოლნისის ხეობაში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 191, № 104; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 353.
- ფიცხი, 694<sub>6</sub>, „ფიცხელთა“; წ-ის შინაარსის მიხედვით — საყავრესთან (იხ.) ახლოს უნდა იყოს.
- ფორცხლუ 608<sub>7</sub>, „ფერცხლუ“, იას. ლორთქიფანიძის აზრით არის ვახუშტის ყაიყულის სოფლების სიაში მოხსენებული „ფალჩუხლუ“, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 353.
- ფუტრევანი 708<sub>19</sub>; ალგეთში, ვახ., აღწ. სამ. საქ., გვ. 196, № 640; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 354.
- ფუშთუქუნი, ფუშთუქუ, 646<sub>6</sub>; „ფუშთუქუნის ბარხანის წილი აქვს“ 646<sub>6</sub>, 648<sub>5</sub>, 649<sub>4</sub>, 650<sub>5</sub>, 653<sub>12</sub>, 687<sub>7</sub>, ჩრდილოეთ ერანის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული გილანის ოლქში. იხ. ვ. გაბაშვილის „სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში“. („მიმოძიებელი“, II, 1951, გვ. 159—160).

### ქ

- ქალაქი 582<sub>2</sub>, 583<sub>2</sub>, 585<sub>7</sub>, 591<sub>8</sub>, 593<sub>4</sub>, 598<sub>8</sub>, 601<sub>3</sub>, 616<sub>13</sub>, 629<sub>11</sub>, 636<sub>17</sub>, 637<sub>8</sub>, 644<sub>13</sub>, 647<sub>4</sub>, 648<sub>3</sub>, 687<sub>2</sub>, 701<sub>14</sub>, 709<sub>8</sub>, 716<sub>20, 21, 31</sub>, 717<sub>13</sub> ძეგლის მიხედვით თბილისი.
- ქალაქლარი, ლაქი, ლაქლარი, 561<sub>7</sub>, ელის დასახლება, სავარაუდებელია რუსთავეის მიდამოებში. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 355, III—IV, გვ. 147, 464.
- ქართლი 515<sub>1, 2, 3, 11, 12, 13</sub>, 516<sub>6</sub>, 637<sub>3</sub>, 714<sub>17</sub>, 717<sub>11</sub>, ქართლის სამეფო.
- ქაფანაქჩი 562<sub>12</sub>, 566<sub>2-5</sub>, ელის მოსახლეობა; იქ ითვლებოდა: 1) აჯი ალიას ერთი თაბუნი 14 კომლი, 2) აჯი მამადას ერთი თაბუნი, 18 კომლი. 3) აჯი შეფიას ერთი თაბუნი, 45 კომლი ელი თარხანი; 4) ფათას თაბუნი, 68 კომლი; 5) ფათას ერთი თაბუნი, ზარგრებისა 8 კომლი; 6) ჭაფარას 1 თაბუნი, 44 კომლი, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 355; დარეჯან დედოფალი 1802 წლის 10 ივლისის წყალობის სიგელში იხსენიებს „ერთობით ქაფანაქჩის ჭამათს“, რომელიც მირიან ბატონიშვილის ყმა ყოფილა. ამავ საბუთში საუბარია კახეთში მყოფ „ქაფანაქჩელთა“ შესახებ („საქართველოს სიძველენი“, III, ექ. თაყაიშვილის რედ., 1910, გვ. 287—289). თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით „ქაფანაქჩი“ მარნეულის რაიონში შედის, იხ. „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, 1966, გვ. 67, 262.
- ქეშალუ, 557<sub>5</sub>, ქეშელუ, ელის თაბუნი სომხითში, ყოჯას ორი თაბუნი; ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 248, 346, 450, III—IV, გვ. გვ. 144, 145, 465, 472; თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით მარნეულისა და სავარჯოს რაიონებში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 67, 81, 263; ზუთვერსიან რუკაზე არის მტკვრის მარჯვენა მხარეზე, მდ. ალგეთის შესართავიდან ჩრდილოეთით.
- ქვათახევი 693<sub>15</sub>, 694<sub>2</sub>. „კავთის ქევის“ აღწერაში ვახუშტის აქვს მოხსენებული ქვათახევი და მისი მონასტერი, ვახ. აღწ. სამ. საქ., გვ. 55.

ქვახერელი 533<sub>2</sub>, 604<sub>4</sub>, ქუახურელელი, „დოელთა და ქვახერელთ — ხიდი“ — ს მოვლა ევალეზობდათ; §-ის (68) სათაური ასეთია: „გზების შენახვისა“. § 117; ბატონის ზვარში „ქუახურელელი მუშაობენ“, §-ის სათაურია: „ატენის დებულება“.

თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით გორის რაიონში არის როგორც ატენი, ისე ქვახერელი, „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, 1966, გვ. 36, 264.

„დასტურლამალის“ ქვახერელი გორის რაიონის ატენის ხეობაშია საგულეებელი, ხოლო ამ სოფლის ახლოს უნდა იყოს დოელიც.

ქვემო ანდრაპი 620<sub>12</sub>, 685<sub>3</sub>, 701<sub>5</sub>, იხ. ანდრაპი.

ქვემო ბეშქენაშენი 623<sub>4</sub>, იხ. ბეშქენაშენი.

ქვემო ბოლნისი 633<sub>9</sub>, 669<sub>16</sub>, 679<sub>2</sub>, 692<sub>12</sub>, იხ. ბოლნისი.

ქვემო ოლთისი 620<sub>15</sub>, იხ. ოლთისი.

ქვემო ორთლუ 609<sub>1</sub>, იხ. ორთლუ.

ქვითკირის ლილო 601<sub>1</sub>, 2, 3, 9, 700<sub>12</sub>, იხ. ლილო.

ქირმანი, ქერმანი 475<sub>12</sub>, ქალაქი და პროვინცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში, პროვინცია აღწევს ომანის გუბემდე.

ქოლაგირი 717<sub>7</sub>, ელის დასახლება ქციის ხეობაში. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით შედის ბოლნისის რაიონში, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 29, 269; იხ. ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 357, 452, III—IV, გვ. 139, 141, 466.

მეფე ერეკლე I 1696 წ. წყალობის სიგელით უბოძებია ორბელიშვილის პაპუასათვის „გამოდმა ნახიდურის და ქოლაგირის ყარმალს თაბუნის მოურაობა“ (საქართველოს სიძველენი, II, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, 1909, გვ. 260—261, № 220). შემდეგში ქოლაგირი აოხრებულა და გადაშენებულა. დარეჯან დედოფლის სიტყვით, ქოლაგირი ასი წლის ხარაბა ყოფილა, როდესაც ის მეფე ერეკლე II დარეჯანისათვის უბოძებია. ქოლაგირში დედოფალს „უცხო ქვეყნიდან ქრისტიანები“ მოუყვანია და დაუსახლებია (საქართველოს სიძველენი, III, გვ. 299—300, № 311). ქოლაგირი სხვა საბუთებშიც იხსენიება (საქ. სიძველენი, III, გვ. 248, 308).

ქორარხი 567<sub>9</sub>, 568<sub>10</sub>, ი. ლორთქიფანიძის აზრით, „ამირ ხასლუში ორი არხი ყოფილა“: „ქორ არხი“ და „ყანდი მოლას არხი“, ი. ლ., ქვ. ქ., I—II, გვ. 282, იხ. ამირხასლუ.

